სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა – გზა, წყალი, ელექტროენერჯია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა სოფლის მოსახლეობის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის მოტივაციის სტიმულირება, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა შემცირება. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. რადგან მათ კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

ვისაც დღეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის დაგეგმვა და მართვა ავალია, ამის დაზინყების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის და ყოველთვის იქნება სოფლის მაცოცხლებელი და გარდაქმნელი, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების განმაახლებელი და მცველი.

გლეხკაცი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. გლეხკაცის მონოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანელი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მონოდებაა ის, რომ იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი,

საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ.

რა ხდება ჩვენთან ამ მხრივ?

სადღეისოდ საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებულია ქართული სოფლის დახმარების ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლის ქმედითუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს. უზრუნველყოფს ერთის მხრივ — ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას და მეორეს მხრივ — აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. სამწუხაროდ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში განეული ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალი ქმედითუნარიანობის მქონე, ან სულაც უკუშედეგის მომტანი, როგორც ხდებოდა ამ ბოლო ათწლეულებში.

სწორედ ასეთ სტრატეგიულ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე, ძირითადად, შპს-ებზე მოდის და მათ შორის არ არის არცერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადეკვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაიძულებს განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ცალსახად და კატეგორიულად უნდა განსაზღვროს — რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად, რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენილი იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის — შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ გლეხობისაგან პროდუქციის შესყიდვას

რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, კარტელურ ბარიერად გლეხობასა (მინის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამონვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მონეობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთი მხრივ — სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ — აგრარული წარმოების პარალიზებისა.

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (პარცელურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისათვის. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ხელისუფლების ამოცანებში.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონმა დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მონეობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.⁴ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის არსებითი ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში ნეგატიურად აისახება ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე. კერძოდ:

კანონმა არ გაითვალისწინა არანაირი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოდან კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ და რომელიც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კოოპერატივებზე და არანაირ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერატივების განვითარების სერიოზული პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს პროცესი

4 კანონი ძალიან მოისუსტებს ეკონომიკურ-ფინანსური კუთხით. მასში არაა წამახალისებელი მუხტი. არ ჩანს კარგად ორგანიზებული მუშაობის შემთხვევაშიც კი რა შედეგი დაუდგება კოოპერატივებს. ასეთი კანონი ვერანაირად ვერ წახალისებს სოფლად კოოპერატიულ მოძრაობას.

განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მაღალმთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მკვეთრად უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები; კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ არ ხდება კოოპერატივის შიდა სანარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი ნესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაციის დონე, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. სწორედ ამ ორი კომპონენტის — შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით, (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულებაა — არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

ამ მიმართულებით ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შეტანით, როგორცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრობა და სხვ., ახდენენ კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდა-სანარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად (მათ შორისაა პოსტსაბჭოური ქვეყნები: უკრაინა, ბალტიის, ბელორუსია, რუსეთი, ყირგიზეთი) მოეხ-

დინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა-საწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და ხელშეწყობი ფუნქცია.

ეროვნული მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარების სტრატეგიაში, როგორც წესი, იგულისხმება სრულყოფილი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საფუძველზე იმ ძირითადი ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება, რომელმაც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა უზრუნველყოს დარგის მდგრადი განვითარება. ამ მიზნით მასში ასახული უნდა იქნეს როგორც ფუნქციონალური, ასევე დარგობრივი პრიორიტეტები და მათი რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს ხელშეწყობი ძირითადი ღონისძიებები როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე (მ.შ. ბაზრის სტრუქტურული სრულყოფა და მისი ნეგატიური შედეგების ნიველირება ფაქიზი კორექციის გზით).

წარმოდგენილ სტრატეგიაში არ არის განსაზღვრული, სოფლის მეურნეობის რომელი და როგორი მოდელი ესაჭიროება დღეს და სამომავლოდ საქართველოს. იგი მოკლებულია არა მხოლოდ ადეკვატურ ზოგად ხედვას, არამედ კონკრეტიკასაც, მასში გააზრებული არაა მისი რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯები, დასახული ღონისძიებების განხორციელების ვადები, ეტაპები და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ამ მიმართულებით კარგი ნაბიჯი იქნებოდა თუ საქართველოს მთავრობა შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას და სოფლის განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, კვლევების, ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშეწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

აგროსექტორში კვლევა დღეს არა იმდენად ტექნოლოგიების მექანიკურ გადმოტანასა და დანერგვას სჭირდება, რამდენადაც კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების და სხვა გამოწვევების გათვალისწინებით ისეთი კვლევების ჩატარებას, რომელიც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციულ ღონისძიებებთან იქნება დაკავშირებული. მათ შორისაა ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილება და სპეციალიზაცია შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით და ა.შ., რაც წარმოდგენილ სტრატეგიაში საერთოდ არ ჩანს.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულსგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება

ანსხვავებს: **1) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებაში და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა — სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; 2) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.** დასავლური პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: „**სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა**“.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეისათვის შექმნილ სიტუაციაში სახელმწიფომ ბაზარზე რამდენი მინაც არ უნდა გაიტანოს გასაყიდად, მასზე ადგილობრივი მენარმის მოთხოვნა ნაკლებად იქნება, სათანადო ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სოფლად საქონელმწარმოებელს მაშინ გაუჩნდება მოთხოვნა, როცა ამ მიწაზე წარმოებულ პროდუქტიაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა, რაც დღეისათვის ქვეყანაში დამკვიდრებული საბაზრო კონიუნქტურის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის ფუნქცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა დაეკისროს, ნაცვლად ეკონომიკის სამინისტროსი.

მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მიდგომები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების მიმართ („გრუზფინპრომი“, აკურის ღვინის ქარხანა, ლაგოდესისა და აბაშის რაიონებში განთავსებული მარცვლეულის საშრობი საწარმოები და სხვ.) და შეფასდეს ისინი, როგორც მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტური და მასშტაბური განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მიუღებელია მათი აუქციონის წესით გაყიდვა ან ამ საწარმოებში ე.წ. „ინვესტორების“ შემგება სოლიდური წილით, გადაიარაღების ან სხვა ნებისმიერი მოტივით. ამ შემთხვევაში საწარმოო კოოპერაციისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი სიკეთე (შემოსავლების ინტენსიური ზრდა, დემოკრატიული და სამართლიანი სოციო-ეკონომიკური გარემოს ფორმირება) პრაქტიკულად დაიხურება ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის და მოხმარდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კიდევ უფრო გამდიდრებას. სახელმწიფო საწარმოები უნდა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გრძელვადიანი იჯარის ფორმით, ხოლო ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან სხვა მიზნებით „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახ-

ევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური – ამ ეტაპზე მარეგულირებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სათანადო კონდიციაში მოყვანა და მისი რეალიზაცია უდავოდ გახდება ქართული სოფლის აღორძინებისკენ შემობრუნების ათვლის ნერტილი. სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობაზე საჭირო იქნება სათანადო მონიტორინგის დაწესება, რომელიც ძირითადად უნდა დაეფუძნოს მისი რეალიზაციის შეფასების ისეთ განმაზოგადებელ კრიტერიუმებს, როგორცაა, აგროსასურსათო სექტორში რეალურად დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებულ დარგებში პროდუქციის წარმოების გადიდება, სურსათის ექსპორტის და იმპორტის მოცულობათა განწინასწორებული თანაფარდობა, შრომის მწარმოებლურობა და სხვა აგრეგირებული მაჩვენებლები. ამასთან ერთად, სტრატეგიის რეალიზაციის მიმდინარეობის პერიოდულად შეფასება და აუცილებლობის შემთხვევაში მასში სათანადო კორექტივების შეტანა, უნდა ხდებოდეს აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს გადამწყვეტილებით.

მთავრობის მარეგულირებელი ფუნქცია ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მეურნეობრიობისთვის საჭირო პირობებისა და ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რომელიც მყარ გარანტიებს შექმნის კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბების, სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრის და სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინებისთვის.

მიგვაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენასა და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას.

დასკვნის მაგიერ. მთავრობის კომპეტენტურობა და აგრარულ პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან (მ.შ. სოფლისა და სოფლის მეურნეობის) გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ.

ქვეყნის აგროსექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებას, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ურთიერთინტეგრაცია (პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), დანვრისერეთეულეული საწარმოო ბაზის (მიწის) კონსოლიდაცია, ბაზრებთან კავშირის აღდგენა, სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის (კოოპერაციული ტიპის, ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) ფორმირება და განვითარებული აგრარული (მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ზოოვეტერინარული) მომსახურების სტრუქტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტრადიციული დარგებისა და მწვანე ტურიზმის ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისად მინათმქმედთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს.

საქართველოს მთავრობა უნდა დაადგეს აგრარული პოლიტიკის ახალ სტრატეგიას სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების პოლიტიკა (აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა) იგულისხმება. აგრარული სექტორის სისტემური რეფორმირება და კომპლექსური განვითარება განსხვავებულ (ქართული სპეციფიკის გამთვალისწინებელ) მიდგომას მოითხოვს, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.

ივორ კვესელავა,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

თვითმმართველობის ისტორია თბილისის დედაქალაქად გამოცხადებიდან იღებს სათავეს. ქალაქის წარჩინებულების მიერ ჩამოყალიბებული თვითმმართველობის სათავეში სპარსელები, შემდეგ არაბები, ხოლო XI საუკუნიდან სომხები ჩანან.

დავით აღმაშენებლის შემდეგ თვითმმართველობის სათავეში სომხები მოექცნენ, რომელთა საგვარეულოებები პერიოდულად მართავდნენ დედაქალაქს. მდგომარეობა არც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეცვლილა და XIX საუკუნიდან 1917 წლამდე, თბილისში 47 სომეხი ქალაქის მერი ჩაენაცვლა ერთმანეთს. ამ ხნის განმავლობაში დედაქალაქის თავის თანამდებობაზე მხოლოდ სამი ქართველი წარჩინებულია დაფიქსირებული (დ. ყიფიანი, ვ. ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი), ა. მათინოვი (მათიშვილი)), რომლებმაც მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს დედაქალაქის ასაღორძინებლად.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა. თბილისის სომეხი მერები. სამი ქართველი მერი. სომეხი ავტორი ქართველების შესახებ.

Резюме

История самоуправления города Тбилиси начинается с его объявления столицей. Во главе самоуправления города, сформированной знатными лицами, видны персы, арабы, а с XI века армяне.

После правления Давида Агмашенебели (Строителя) во главе самоуправления встали армяне, которые периодически правили городом. Ситуация не изменилась и после российского вторжения в Грузию по XIX века до 1917 года, в должности мэра города друг с другом сменились 47 армян. За это время фиксируются только три знаменитые лица грузинского происхождения в должности главы города (Г. Кипиани, Ф. Черкесов (Черкезишвили), Матинов (Матишвили)), которые осуществили значительные проекты в целях возрождения столицы.

Summary

From the Beginning of Tbilisi's Self Government

The history of self government starts as soon as Tbilisi was declared as the capital of Georgia. At first the city self government was formed by the noble men of Persians, then Arabs and then from XI century it was followed by Armenian.

After the reign of David the builder Armenians came into the power of municipal government, so the capital from time to time was governed by several Armenian ancestral. The situation did not change even after Russian en-

vision and from the XIX century to 1917 Tbilisi had 47 Armenian mayor. During this period the capital of Georgia had only 3 Georgian mayor (D. Kipiani, V. Cherkezovi (Cherkezishvili), A. Matinov (Mateashvili)). In order to build the capital these 3 noble men carried out many significant projects.

* * * * *

საქართველოში თვითმმართველობის ისტორია თბილისთანაა დაკავშირებული. დედაქალაქად გამოცხადების შემდეგ თბილისის წარჩინებულებმა ქალაქის თვითმმართველობაც ჩამოაყალიბეს, რომლის სათავეში ირანელები, ხოლო მოგვიანებით, VIII საუკუნიდან, სამი ასეული წელი არაბთა ამირები იმყოფებოდნენ და მხოლოდ XI საუკუნის მიწურულიდან დაიწყო დედაქალაქში გაძლიერება სომეხ ვაჭარხელოსანთა მმართველობამ.

თბილისის მმართველობაში წამყვან როლს ქალაქის ზედა ფენებიდან არჩეული, უხუცესთა 12-კაციანი საბჭო ასრულებდა და ქალაქის დაცვის, სამართალწარმოების, სურსათ-სანოვაცის, წყლით მომარაგების და სხვა საკითხებს განაგებდა. არაბობის პერიოდში თბილისი, დამოუკიდებელ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა, რომელსაც მცირე ქალაქ-სახელმწიფოც შეიძლება ეწოდოს, თავისი მმართველობითი საბჭოთი და ქალაქის დროებითი გამგებლებით, რომლებიც პერიოდულად მართავდნენ დედაქალაქს.

დავით აღმაშენებლის მიერ არაბების განდევნის შემდეგ, თბილისი მეფის ხელისუფლების ქვეშ მოექცა, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული მოურავი მართავდა. მოგვიანებით ასეთი მოურავი იყო გიორგი სააკაძე, რომელსაც ისტორია „დიდი მოურავის“ სახელით იცნობს.

რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, თბილისში, თვითმმართველობა და მეფისნაცვლის ინსტიტუტი დამკვიდრდა. 1824-1825 წლებში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე „საქალაქო სახლიც“ აშენდა და მან რამდენიმე გადაკეთების შემდეგ დღევანდელი სახე მიიღო.

ხელისუფლების მიერ შემუშავებული დებულებებით, თბილისის მდიდარი ადამიანებიდან ირჩეოდა ქალაქის თავი და სათათბირო. 1870 წელს, ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული საქალაქო დებულებით, თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოდ სათათბირო გამოცხადდა, რომლის კომპეტენციაში შევიდა თანამდებობის პირთა არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საქალაქო საქმეთა განხილვა და სხვ.

1875 წელს ქალაქის თვითმმართველობას სათავეში ჩაუდგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. მანამდე, 1874 წელს, თბილისის ცენზიანმა

მაცხოვრებლებმა საქალაქო სათათბიროს 72 ხმოსანი აირჩიეს.

დიმიტრი ყიფიანი სამი წელი მეთაურობდა თბილისის თვითმმართველობის ორგანოს და არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი გახდა (მოსახლეობის აღწერა, ადმინისტრაციული სამეურნეო სისტემის შემოღება, წყალსადენის პროექტის დამუშავება, დაბალჩინოსანთა ოჯახების დახმარება, ქალაქის გაზის ნათურებით განათება, სანჯავის გააფება და ა.შ.).

აქტიურობით გამოირჩეოდა ქალაქის მომდევნო თავის ალექსანდრე მატინოვის (მათიაშვილი) საქმიანობაც (სახაზინო თეატრის მშენებლობა, 7 დაწყებითი სკოლის გახსნა, მტკვარზე ლითონის ვერის ხიდის გახსნა, პირველი თბომავლის ამუშავება, უდედამამო ბავშვთა თავშესაფრის მოწყობა და სხვ.).

მნიშვნელოვანი პროექტები უკავშირდება, 1905 წელს, ქალაქის თავად არჩეული ვასილ ჩერქეზიშვილის (ჩერქეზოვი) სახელსაც. ამ პერიოდში ამუშავდა თბილისის ფუნქციონირი; დასრულდა ქაშუეთის ეკლესიის მშენებლობა; მუშაითის ბაღში გაიხსნა პირველი კინოთეატრი, აიგო ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი – დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობა. თბილისის ტერიტორიას შეუერთდა ვაკე. დასრულდა მტკვარზე მუხრანის ლითონის ხიდის მშენებლობა. მისი მმართველობის წლებში გაიხსნა ქალაქის პირველი კლინიკა ე.წ. არამიანცის საავადმყოფო. თბილისის ქუჩები განათებული იყო 54 ელექტრონათურით. აშენდა სათავადაზნაურო ბანკის შენობა, დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი. ამ დროს აშენდა კინოთეატრი „აპოლო“, არტისტთა საზოგადოების სახლი, დღევანდელი რუსთაველის თეატრი და სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობები [1].

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი არაერთხელ იყო ქართველი მოაზროვნეების – ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მიხაკო წერეთლის და სხვა მოღვაწეთა განსჯის საგანი, ხოლო, როგორც ინსტიტუტი განმტკიცდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით.

აღნიშნულის ფონზე ყურადსაღებია ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თბილისის ეკონომიკური, კულტურული და არქიტექტურული განვითარება დაკავშირებულია არა ქართველებთან, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან, კერძოდ, სომხებთან. სწორედ ამ პათოსითაა გაჟღერებული სამველ კარაპეტიალის 2003 წელს გამოცემული, კომპილაციური ხასიათის ნაშრომი „ტიფლისის მერები“, რომელიც სომხური არქიტექტურის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს გრიფით გამოიცა და როგორც ავტორი, ისე ამ წიგნის თავფურცელზე ჩამოთვლილი უცხოეთში მოღვაწე სომეხი მეცნიერები და საეკლესიო პირები აღნიშნავენ, თბილისის მკვიდრი მოსახლეობის სომხურ ნაწილს, პირველი რანგის მოქალაქეობა ჰქონდა მიკუთვნებული და 800 წლის განმავლობაში მართავდა დედაქალაქს.

ს. კარაპეტიანი არ ასახელებს XIX საუკუნის მე-

ორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, თბილისის თავებად არჩეულ ქართველ მოღვაწეებს: დიმიტრი ყიფიანს, ალექსანდრე მათიაშვილს (მატინოვი) და ვასილ ჩერქეზიშვილს (ჩერქეზოვი), რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს დედაქალაქის ეკონომიკური, კულტურული, ყოფითი, არქიტექტურული და სხვა მიმართულებების განვითარების საქმეში.

მთლიანად უნდა დავეთანხმოთ გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“, გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწორედ ეხლა თბილისის მერის არჩევნების წინ, კვლავ გაიხსნა განცხადებები თუ წინადადებები, თუ ვინ, საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენელი უნდა ავირჩიოთ დედაქალაქის მერად – მაინცდამაინც თბილისში დაბადებული კაცი თუ სხვა მხარის წარმომადგენელი?! [2].

ცხადია, კამათი იმაზე, რომ დედაქალაქის მერი, არ შეიძლება იყოს ადამიანი პროვინციიდან თავისთავად უაღრესად მავნე პროვინციალიზმის გამოვლენა. უდავოა, საქართველოს დედაქალაქის მერის არჩევა თბილისის მოსახლეობის გადასაწყვეტია და მათ საკმარისი გონიერება აქვთ თავად გადაწყვიტონ ეს პრობლემა. ამასთან, „ქალაქელობის“ ზედმეტი ამბიციებით გაბრუნებულ ადამიანებს ვურჩევ, დაწვრილებით ნაიკითხონ კარაპეტიალის წიგნი და დასკვნა თვითონ გააკეთონ.

მანამდე, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება მკითხველს გავაცნოთ, წიგნში ჩამოყალიბებული ზოგიერთი მოსაზრება თბილისის მმართველობისა და მისი მერების შესახებ.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1917 წლამდე, თბილისში ერთმანეთს 47 მერი ჩაენაცვლა. XII საუკუნიდან მოყოლებული დედაქალაქს ნაცვლები ანუ ამირები თუ მელიქ მამასახლისები, ხოლო 1840-1917 წლებში მერები ანუ ქალაქის თავები მართავდნენ.

ს. კარაპეტიალის რწმუნებით, 1801 წლამდე, თბილისის ყველა მელიქი სომეხი იყო და ის ფლობდა ქალაქის ხუთივე ჭიშკრის (შესასვლელის) (სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი) გასაღებს. ისტორიკოსი შ. ჩხეტია ამ ფაქტს ქალაქში სომხების რაოდენობრივი უპირატესობით ხსნიდა: „თბილისის მელიქად – ქალაქის თავად – ქართველი მეფეების დროს ტრადიციულად ინიშნებოდა სომეხი, რაც ლაპარაკობს იმაზე, რომ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ანგარიშს უწევდა თბილისის სომხურ მოსახლეობას, რომელიც ქალაქის უმრავლესობას შეადგენდა და ქალაქის თავად ირჩევდა სომეხს. მეფის უკანასკნელი მელიქი თბილისში XVIII საუკუნის ბოლოსთვის იყო დარჩო ბებოთოვი“.

ს. კარაპეტიანი იმასაც გვამცნობს, რომ 1821 წელს, 3368 სახლიდან სომხებს ეკუთვნოდა 2951, ხოლო ქართველებსა და რუსებს ერთად აღებული 417 სახლი ჰქონდათ, ანუ სომხები მოსახლეობის 87,6 პროცენტს შეადგენდნენ.

სომეხი ავტორი, იტალიურ, სპარსულ, სომხურ, ქართულ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს

ამტკიცოს, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თბილისის წარმოადგენდა სომხურ ქალაქს და ქართველი მეფეები, სპარსეთის შაჰები და თურქეთის სულთნები სომხებს, როგორც მელიქის, ასევე მამასახლისის თანამდებობებს ანიჭებდნენ. მისი აზრით, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისის მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენდნენ, ხოლო 1860 წლიდან ჩატარებული სტატისტიკური კვლევების შედეგები ასეთ სურათს იძლეოდა: 1864 წელს სომხები თბილისში წარმოადგენდნენ 47 პროცენტს, 1922 წელს – 36 პროცენტს, ხოლო 1979 წელს სომხთა რაოდენობა 14 პროცენტამდე შემცირდა.

ს. კარაპეტიანი მიიჩნევს, რომ XVII საუკუნის შუა ხანებიდან თბილისს სომეხი ბებუდიანების გვარის წარმომადგენლები მართავდნენ, რომლებსაც წყალობდნენ ქართველი მეფეები და მათთვის ბოძებული პრივილეგიები ქართველი არისტოკრატების პრივილეგიების ფარდი იყო. სომხებს ანუ „მოქალაქეებს“ შეეძლოთ დაეკავებინათ თანამდებობები, თუმცა ძირითადად ისინი ხელოსნობას მისდევდნენ და ქართველებს მოქალაქეებად არ წერდნენ. ს. კარაპეტიანის წიგნში დასახელებულია თბილისის პირველი რანგის მოქალაქეთა სია, რომელშიც 79 სომხური გვარია ჩამოთვლილი, მათ შორის ქართველი არც ერთი არ არის, მაგრამ აქ მე-40 ნომრად ნაჩვენებია მელიქ სააკოვი, რომლის გვარმა შემდგომში სახეცვლილება განიცადა.

ქართველების არყოფნას ძირძველი მოქალაქეების სიაში კარაპეტიანი ასე ასაბუთებს: „წარმომავლობით ქართველებს მიდრეკილება არ ჰქონდათ ქალაქური ცხოვრებისა და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისადმი. ეს იმდენად ძლიერი იყო, რომ, სარფიანობისა და უპირატესობის მიუხედავად, მოქალაქეთა ნოდება მხოლოდ სომხებით იყო წარმოდგენილი“.

თბილისის მართვის ახალი ფორმა კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურის და კავკასიის სამოქალაქო მმართველობის მმართველის ვ. გოლოვინის სახელს უკავშირდება, რომელმაც შეძლო ქალაქის მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება. შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მართვის დებულება. ამ დებულებით ქალაქს მიეცა უფლება, ჰყოლოდა ქალაქის გამგეობა, ქალაქის თავისა და 6 წევრის შემადგენლობით. ქალაქის თავს ირჩევდა ქალაქის საზოგადოება. წევრებს კი – სამი ნოდება: სახლების მფლობელები, ვაჭრები და ხელოსნები.

ქალაქის გამგეობის დადგენილებების განხორციელებას უზრუნველყოფდა 6 მამასახლისი – უსტაბაში, რომლებსაც ირჩევდნენ ნოდებები – თითოეულისაგან ორი კაცის რაოდენობით და ორი თანაშემწით. გოლოვინის მმართველობის პერიოდში აღნიშნული წესით ქალაქის თავად აურჩევიათ ოგანეს იზმირიანი.

1841 წლიდან ამოქმედდა თბილისის, როგორც საგუბერნიო ქალაქის, მმართველობის სისტემა.

1840 წლიდან 1864 წლამდე ქალაქის თავის თანამ-

დებობას მემკვიდრეობით იკავებდნენ მხოლოდ თბილისის მკვიდრი, სომხური წარჩინებული გვარების წარმომადგენლები, ხოლო შემდეგ ქალაქის თავად არამკვიდრ სომეხ მოქალაქეებსაც ირჩევდნენ.

1875 წლამდე, როგორც წესი, ქალაქის თავები და გამგეობის წევრები მხოლოდ სომხები იყვნენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქალაქის მდივნის თანამდებობაზე არჩეულ რუსი ეროვნების წარმომადგენელს – პეტრე სოკოლოვსკის. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ 1860-1867 წლებში ქალაქის გამგეობის აპარატი მუშაობდა ორი ქართველი – ფილიპე ჩიკვაიძე (მე-4 რაიონის კომისარი) და მიხეილ ქიქოძე (ქალაქის გამგეობის მდივანი).

როგორც ირკვევა, 1880-იან და 1890-იან წლებში ქალაქის საბჭოში ჩამოყალიბდა ქართველი, სრულუფლებიანი ხმოსნების ოპოზიციური ფაქტი – ცნობილი ქართველი მოღვაწეები – ნიკოლაძე, ზუბალოვი, ჩელოკაევი, მაჩაბელი და სხვები.

1886 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სომხები მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენდა და ქალაქის საბჭოში ხმების 75 პროცენტი ჰქონდათ. მოსახლეობის 28-პროცენტთან ქართველებს მხოლოდ ხმათა 4 პროცენტი ერგოთ. ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლები (რუსები, გერმანელები, პოლონელები, ბერძნები და სხვ.) ხმების 24 პროცენტს ფლობდნენ.

1890 წელს ქალაქის საბჭოში არჩეული 72 წევრიდან, 38 სომეხი იყო, 22 ქართველი, 11 რუსი და ერთი გერმანელი. 1893 წლის 16 მაისს გამართული არჩევნების შემდეგ ურთიერთობა გამწვავდა სომხურ და ქართულ-რუსულ დაჯგუფებებს შორის. იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ქართველი მოღვაწეები მოითხოვდნენ სომხები ქალაქის საბჭოში გაცილებით ნაკლები ხმებით ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. სომხებს უნდა მიეღოთ 22, რუსებს – 23, ქართველებს – 28 ადგილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პოზიციას იზიარებდა რუსული გაზეთის – „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო, რომელიც ასაბუთებდა ქართველებისა და რუსების უფრო მეტი რაოდენობით არჩევის აუცილებლობას: „სომხებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ტიფლისი საქართველოს ყოფილი სამეფოს დედაქალაქია, ხოლო რუსების არჩევა საჭიროა იმიტომ, რომ რუსეთის მფარველობით ქვეყანაში შემოვიდა განათლება“.

ოპოზიციის აქტიური მოქმედების შედეგად, 1893 წლის 16 მაისის არჩევნების შედეგები გაუქმდა. თუმცა, სომხებმა მაინც მოახერხეს უმრავლესობის მოპოვება იმავე წლის 30 მაისს დანიშნულ არჩევნებში. მათივე უპირატესობით დამთავრდა 1897 წლის მაისში ქალაქის სრულუფლებიანი ხმოსანთა არჩევნებიც. მთლიანობაში სომხებს 55 ადგილი ერგოთ, რუსებს – 19; 10 ადგილი მიეკუთვნათ ქართველებს და 2 – გერმანელებს.

ს. კარაპეტიანის რწმუნებით, პირველ მსოფლიო ომამდე თბილისის საქალაქო საბჭო ინარჩუნებდა ისეთ ეროვნულ თანაფარდობას, როგორც ჩამოყალიბდა 1880-იანი წლების დასაწყისში. 1917 წელს,

თბილისის უკანასკნელი სომეხი მერი ა. ხატისიანი (ცი თანამდებობიდან გადადგა. მართალია, ჯერ კიდევ 1919 წელს, მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ეროვნებით სომეხ მ. ათაბეგიანს და საბჭოთა წლებში, 1960-იან წლებამდე, მერის მოადგილეებად ხშირად სომეხები ინიშნებოდნენ, მაგრამ 1921 წლიდან მოყოლებული თბილისის მერები მხოლოდ ქართველები იყვნენ.

ს. კარაპეტიანი, სომხურ მასალებზე დაყრდნობით, ცდილობს ამტკიცოს, რომ დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დემეტრეს და შემდეგ დავითის დროს თბილისის ქალაქის თავი იყო სომეხი ვასაკი არწრუნი, სომეხ თავადთა გვარიდან, რომელიც დავით მეფის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა და ამის გამო განრისხებულმა ქართველმა თავადებმა, კერძოდ, ორბელიანების გვარის წარმომადგენლებმა, მეფე მონამლეს და სამეფო ტახტზე მისი ძმა გიორგი აიყვანეს. ეს უკანასკნელი კი სომეხთა მიმართ კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა, რაც ვასაკ არწრუნის ქალაქის თავობიდან წასვლის მიზეზი გახდა. როგორც კარაპეტიანი გვაუწყებს, ის ქალაქის თავის თანამდებობაზე, მის ძმას, კურდ არწრუნს, შეუცვლია. სომეხი (მადინი თუ ბადინი) სახელდება თბილისის მმართველებად ლაშა გიორგის, მისი ვაჟის დავითის და რუსუდანის ვაჟის დავითის ეპოქებშიც.

სომეხი ბეიზუდიანები ყოფილან თბილისის ქალაქის თავები XVII-XVIII საუკუნეებშიც (მელიქ ენალი, მელიქ ბაინდური, მელიქ ხოჯა ბეიზუდი, მელიქ აშხარბეკი, მელიქ ავთანდილი).

კარაპეტიანის ნაშრომში ჩამოთვლილია თბილისის 47 სომეხი მერის გვარ-სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების, მმართველობის წლების, დასაფლავების ადგილების ცხრილი და მითითებულია – შემორჩენილია, განადგურებული თუ უცნობია ეს საფლავები.

კარაპეტიანი შენუხებულია იმ ფაქტით, რომ 1921 წლიდან, თბილისის 34-მა ქართველმა მერმა ვერ შეძლო გადაერჩინა იმ სომეხ მერთა საფლავები, რომლებიც „800 წლის განმავლობაში აშენებდა და კეთილმოაწყობდა თბილისს“.

სომეხი ავტორი მთლიანობაში ასე აჯამებს სომეხთა საქმიანობის მთელ ისტორიას: „ჭეშმარიტად, ის, რაც სამშობლოში არ არის აშენებული, ქვიშაზეა აშენებული.“

ისტორია ეს არის ხსოვნა, წარსულის გაკვეთილები, მაგრამ სომეხები დღესაც აგრძელებენ უცხო ქვეყნების კეთილმოწყობას და იქ ჰპოვებენ თავიანთ უკანასკნელ ნავსაყუდელს – განისვენებენ უცხო მიწაში. მოუვლელს ტოვებენ თავიანთ ბაღებსა და მიწებს, სომეხები დღესაც მთელ თავიანთ ენერჯიას ახარჯავენ სხვებს, მსხვერპლად ეწირებიან დროებით, უპერსპექტივო და მოჩვენებით კეთილდღეობას“ [3].

უდავოა, სომეხებს, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ძველი თბილისის ინფრასტრუქტურის, სამეურნეო, ყოფითი და სხვა სფეროების განვითარებაში და ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ

სომეხი ავტორის მიზანდასახული მტკიცება, სხვადასხვა, არაერთგზის გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან და იქიდან ამოკრეფილი ციტატების დამონება, რომ თბილისი სომხური (ან სომხების) ქალაქია, არის სომეხი მერების თბილისზე ზრუნვის ჭეშმარიტი მიზნის – სომხურ ქალაქად მისი გარდაქმნის სურვილის გადაფარვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაშვილი ი., გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 24 იანვარი
2. სანებლიძე ა., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2014, 30 აპრილი — 6 მაისი.
3. კარაპეტიანი ს., ტიფლისის მერები, იხ. ვრცლად: გაზ.: „საქართველოს და მსოფლიო“, 2014, 14-20 მაისი

საქართველოში სამშენებლო სამუშაოების საბუნდავრო შესყიდვების
ზოგადი განხორციელების არააუქციონის შესახებ

ირაკლი ქვარაია, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

თითქმის ორი ათეული წელია საბიუჯეტო სახსრებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა საქართველოში ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის” მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად ამისა ობიექტის დასრულების შემდეგ, როგორც წესი შესრულებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით დიდ უთანხმოებებს აქვს ადგილი დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. ეს განპირობებულია დამკვეთის მხრიდან საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალური დაზოგვის სურვილით, რაც ხშირად წინასწარ ითვალისწინებს იაფფასიანი სამშენებლო მასალების და დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის გამოყენებას, ამასთან ერთად ხდება იმ თანხების მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც აუცილებელია მუშების შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფისათვის. ასეთი მდგომარეობა პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ ზემოთხსენებული კანონი წარმოადგენს მონინავე საზვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი კანონის გადმოქართულულ ვარიანტს და არ ითვალისწინებს იმ ქვეყნებში და საქართველოს სინამდვილეში არსებული საკანონმდებლო ბაზის რადიკალურ განსხვავებას სამშენებლო სფეროში, რაც აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ მოითხოვს დახვეწას.

საკვანძო სიტყვები: მშენებლობა, ბიუჯეტი, ობიექტი, შესყიდვა, ტენდერი, დამკვეთი, შემსრულებელი, მასალა, კვალიფიკაცია, მუშახელი, ხარისხი, კანონი

Резюме

Почти двадцать лет в Грузии закупка строительных работ бюджетными средствами производится в соответствии с “законом о государственных закупках”. Несмотря на это, после завершения каждого объекта, как правило возникают разногласия между заказчиком и исполнителем в связи с качеством выполненных работ.

Это обусловлено желанием заказчика максимально сократить расходы бюджетных средств, что изначально допускает использование строительных материалов низкого качества и рабочих недостаточной квалификации. При этом происходит неоправданное уменьшение средств предусмотренных на обеспечение условий труда и вопросов техники безопасности рабочих. Такое положение в первую очередь вызвано тем, что вышеупомянутый закон является прямым переводом аналогичного закона передовых стран мира, без учета существующей радикальной разницы в законодательных базах строительной сферы тех стран по сравнению с Грузией. Это требует немедленного исправления и усовершенствования.

Ключевые слова: Строительство, бюджет, объект, закупка, тендер, заказчик, исполнитель, материал, квалификация, рабсила, качество, закон

ძირითადი ტექსტი

შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის ან სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლისათვის გენმოიჯარადე ორგანიზაციის შერჩევა ტენდერის ჩატარების გზით მსოფლიო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული და გავრცელებული მეთოდია. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების მაქსიმალურად ეკონომიურად და ეფექტურად ხარჯვა. საზღვარგარეთის ქვეყნებში, საპროცედურო ღონისძიებების, იქ არსებული წესების სრული დაცვით ტენდერების ჩატარების შემთხვევაში, მართლაც სავსებით რეალურია საუკეთესო შემსრულებლის გამოვლენა და სამუშაოთა ღირებულების შემცირება. აქედან გამომდინარე, სამუშაების დასრულების შემდეგ გარანტირებულია შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხი და გამოირიცხულია დამატებითი დაფინანსების

მოთხოვნის შემთხვევები. სამწუხაროდ სრულიად საპირისპირო მოვლენებს აქვს ადგილი საქართველოში სამშენებლო სამუშაოების სატენდერო შესყიდვების დროს. ძალზე იშვიათია, როდესაც ტენდერის გზით შერჩეული სამშენებლო ორგანიზაცია სრულყოფილად და სათანადო მოთხოვნების დონეზე ასრულებს დამკვეთის დავალებებს. შედეგად მშენებარე ობიექტის დასრულების შემდეგ, როგორც წესი ადგილი აქვს სამშენებლო სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას და მისი გამომწვევი მიზეზების ურთიერთგადაბრალებას დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. ასეთი მდგომარეობა უკვე მრავალი წელია გრძელდება და არ ჩანს მისი გამოსწორების პერსპექტივები. ამ მეტად არასახარბიელო ვითარებაში გარკვევისათვის საჭიროა კარგად გავაანალიზოთ სატენდერო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები საქართველოში

ასაშენებელი ობიექტის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოების შემსყიდველი იურიდიული ან ფიზიკური პირი, ყოველმხრივ მზად არის ტენდერის ჩატარებისათვის. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს, დამკვეთი საქართველოში, საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ცდილობს ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული იყოს სამშენებლო მასალების იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ყველაზე დაბალი ფასები. ანალოგიური მდგომარეობაა მუშახელის შრომის ანაზღაურების მხრივაც, როდესაც წინასწარ გათვალისწინებულია ძალიან უმნიშვნელო ხელფასების გაცემა. შედეგად, არსებულ განფასებებში თავიდანვე შეგნებულად თუ შეუცნობლად ჩადებულია სამშენებლო მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოების მინიმალური ღირებულება. აქედან გამომდინარე, დამკვეთი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე თანახმაა, რომ მის მიერ დაკვეთილი ობიექტის მშენებლობა საკმაოდ დაბალი ხარისხით განხორციელდეს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სამშენებლო სამუშაოების თითქმის ყველა შემსყიდველი საქართველოში ცდილობს, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ღირებულებაზე კიდევ უფრო იაფად მოახერხოს ობიექტის მშენებლობა. ძირითადად სწორედ ასეთი მიდგომით ხდება ტენდერების გამოცხადება. რაც უკვე პირველი სიგნალია იმისა, რომ დამკვეთი მზადაა მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების დაზოგვის მიზნით თვალი დახუჭოს სამშენებლო სამუშაოების, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე კიდევ უფრო ნაკლები ხარისხით შესრულებაზე ანუ თანახმაა მასალების ხარისხის გაუარესებასთან ერთად, მოხდეს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე კიდევ უფრო დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის გამოყენება.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სამუშაოების მაძიებელმა ყველა სამშენებლო ორგანიზაციამ იცის, რომ შეუძლია ასეთი ვითარებით ისარგებლოს და საკუთარი შესაძლებლობების დასაბუთებულად შე-

ფასების გარეშე იწყებს შემსყიდველის მიერ სატენდერო შესყიდვის ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ბრძოლას გამარჯვებისათვის. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე არც ის არის საიდუმლო, რომ ტენდერში მონაწილე ყველა ორგანიზაციისათვის, სხვადასხვა გზების გამოყენებით, თითქმის ყოველთვის წინასწარ ცნობილი ხდება დაახლოებითი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და კონკურენციას ადგილი აქვს მის შემცირებასთან დაკავშირებით. ქვეყანაში იმდენად ფართო მასშტაბები მიიღო უმუშევრობამ, რომ სამშენებლო კომპანიები მზად არიან სამუშაოებზე დაკვეთის მიღების მიზნით სამშენებლო სამუშაოების არარელურად დაბალი ანუ დემპინგური ღირებულებები წარმოადგინონ. არსებული მდგომარეობა თვით დემპინგური ღირებულების გამოვლენასაც სერიოზულად ართულებს, რადგანაც ტენდერებში მონაწილე სამშენებლო კომპანიები ხარჯთაღრიცხვების ყოველმხრივ შემცირებულ მინიმალურ ზღვარზე ქვემოთაც კი ჩამოდიან. მშენებლობის რეალური ღირებულების შემცირებას, მშენებლობის ხარისხთან ერთად როგორც წესი ეწირება სამშენებლო მოედნის სათანადო დონეზე მოწყობა (შემოღობვა, მისასვლელი გზები, განათება და სხვა); მუშებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები შექმნა (გასახდელები, დასასვენებელი ოთახები, შხაბი და სხვა) და რაც მთავარია ძალიან ხშირად საერთოდ არ ითვალისწინებენ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო დანახარჯებს. არაფერს ვამბობთ გაუთვალისწინებელ ხარჯებზე, რომელთა საჭიროება თითქმის აუცილებლად წარმოიშობა მშენებლობის პროცესში. სამწუხაროა, რომ ასეთი ვითარება თითქმის ყველა სატენდერო შესყიდვასთან ახლავს და მან სისტემატიური ხასიათი მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის ქვეყნების მონივრულ სამშენებლო კომპანიები სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებას აქცევენ და წლითიწლით იზრდება ამ მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების ხვედრითი წილი საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში. უფრო მეტიც, ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო დონეზეა აყვანილი ახალი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის კონტროლი და პროფკავშირები იცავენ მუშების ინტერესებს, სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შემთხვევაში უმკაცრესი სანქციები ტარდება, რაც ხშირად მშენებლობის ლიცენზიის ჩამორთმევით მთავრდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოში ჩამოყალიბდა სამშენებლო სამუშაოების შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის სტანდარტული ურთიერთობა, რომელმაც შემდეგი სახე მიიღო:

1. ტენდერის დასრულების შემდეგ ორივე მხარე კმაყოფილია. შემსყიდველი - თანხების დაზოგვით,

ხოლო შემსრულებელი - დაკვეთის მიღებით ანუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარანტირებული დასაქმებით;

2. სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღიდან სამშენებლო კომპანია პრაქტიკულად ყურადღებას არ უთმობს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას. იგი თავს იმართლებს იმით, რომ დამკვეთის მიერ დამტკიცებულ ანუ უკიდურესად მინიმუმზეულ ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრები საერთოდ არ არსებობს ან მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით არის გამოყოფილი;

3. სამუშაოთა მსვლელობის პროცესში მოულოდნელად წამოჭრილი სამშენებლო პრობლემების, მაგალითად მიმდებარე ტერიტორიების დაზიანების, გრუნტის წყლების გაუთვალისწინებელი მოდინების და ბევრი კიდევ სხვა არასასურველი მოვლენების გამოსწორება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის სერიოზული დავის საგანი ხდება, რადგანაც გაუთვალისწინებელი ხარჯებიც ამოღებულია ხარჯთაღრიცხვიდან მისი გათვლების მიზნით და დამატებითი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას ორივე მხარე გაუარბის;

4. მშენებლობის დასრულების შემდეგ დამკვეთი, როგორც წესი უკმაყოფილოა შესრულებული სამუშაოების ხარისხით, ხოლო შემსრულებელი ყველანაირი გზებით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ დამკვეთის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად არის ყველაფერი შესრულებული და უკეთესი ხარისხის მიღწევა იქ გათვალისწინებული მასალებითა და შრომის დანახარჯებით შეუძლებელი იყო.

აღბათ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში აღარ არსებობს ახალი პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის მოთხოვნა და მშენებლობის მიმდინარეობის პროცესზე არ ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან სათანადო კონტროლი დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ურთიერთობა ასეთივე დონეზე დარჩება. რაც მთავარია ყოველივე ასეთი შემთხვევის მერე აუცილებლად ჩნდება ეჭვები ტენდერის ჩატარებაში მონაწილეთა მიმართ, მათი პირადი დაინტერესების შესახებ, რაც არც თუ ისე იშვიათად არის მოკლებული საფუძველს.

იმისათვის, რომ მაღალეფექტური და ხარისხიანი გახდეს სამშენებლო სამუშაოების სატენდერო შესყიდვების გზით განხორციელების შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ქვეყანაში მოქმედ კანონში. იგი ფაქტიურად მონინავე საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი კანონის გადმოქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს და არ ითვალისწინებს იმ ქვეყნებში და საქართველოს სინამდვილეში არსებული საკანონმდებლო ბაზის რადიკალურ განსვავებას სამშენებლო სფეროში, რომელიც თავისთავად მოითხოვს სათანადო დონეზე ჩამოყალიბებას.

1. ი.ქვარაია. სატენდერო შესყიდვებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემები. ქუთაისის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები, რეალობა და პერსპექტივები”. შრომების კრებული, ქუთაისი, 20-22 ოქტომბერი, 2012 წელი.

2. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე, ე.მაღალია. საქართველოში სამშენებლო ინვესტიციების განხორციელების დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №4, თბილისი, 2012 წელი.

3. ი.ქვარაია, თ.თავაძე, ქ.ქუთათელაძე. თანამედროვე მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომების კრებული. ჩგორი. 2014 წელი.

კონცეპტ-ანალიზის მეთოდი

ქეთევან კინზარიშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

* * * * *

კონცეფტ-ანალიზი (წარმოდგება ინგლისურიდან concept — ცნება) — დოკუმენტებში ასახული სხვადასხვა ფაქტებისა და ტენდენციების გამოვლენის მიზნით მათი შინაარსის ხარისხობრივი ანალიზის მეთოდია. კონცეფტ-ანალიზის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია დოკუმენტების შესწავლა სოციალური კონტექსტის მიხედვით. ამ მეთოდში ჩადებული მთავარი იდეა. სტრუქტურირების, კონცეფტუალიზაციის და პრობლემატიზაციის საშუალებით, იძლევა ახალ შინაარსზე გასვლის საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტ-ანალიზი; კონცეფტუალიზაციის ამოცანა; პარადიგმატური მიდგომა; კატეგორიზაცია; იდენტიფიკაცია.

Резюме

Концепт-анализ (от англ. concept – понятие) – метод качественного анализа содержания документов в целях выявления различных фактов и тенденций, отраженных в этих документах. Особенность концепт-анализа состоит в том, что с его помощью можно изучать документы в их социальном контекста. Основная идея, заложенная в данном методе, заключается в выходе на новое содержание через структурирование, концептуализацию и проблематизацию.

Summary

Concept-analysis (derived from the English word concept - notion) is the method of qualitative analysis of the content of the documents for verifying various facts and tendencies.

Features of the concept-analysis allow to explore the documents through their social context. Major idea contemplated in this method, allows to move to the new content through structuring, conceptualization and problematization.

კონცეფტ-ანალიზი (წარმოდგება ინგლისურიდან concept — ცნება) — დოკუმენტებში ასახული სხვადასხვა ფაქტებისა და ტენდენციების გამოვლენის მიზნით მათი შინაარსის ხარისხობრივი ანალიზის მეთოდია. კონცეფტ-ანალიზის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია დოკუმენტების შესწავლა სოციალური კონტექსტის მიხედვით. ამ მეთოდში ჩადებული მთავარი იდეა. სტრუქტურირების, კონცეფტუალიზაციის და პრობლემატიზაციის საშუალებით, იძლევა ახალ შინაარსზე გასვლის საშუალებას.

როგორც წესი, კონცეფტ-ანალიზის მეთოდის გამოყენების მიზანია მუშა ჯგუფის წევრი ექსპერტების სტიმულირება, რათა მათ მოახდინონ სიტუაციის უფრო სრულყოფილი განხილვა, გამოავლინონ მასში ჩადებული წინააღმდეგობები, ფარული გაურკვეველი აზრები, მოსალოდნელი გადაწყვეტილებები. უფრო ხშირად კონცეფტ-ანალიზის კვლევის ობიექტებია განსხვავებული ქეისები (პრობლემური სიტუაციები), ანალიტიკური მიმოხილვები, სხვადასხვა ანგარიშები და ტექსტის სახით მოცემული დოკუმენტები. კონცეფტ-ანალიზის მიზანია გამოავლინოს ის, რაც არსებობდა ტექსტამდე და რამაც ამა თუ იმ სახით ასახვა ჰპოვა ტექსტში (ტექსტი წარმოადგენს შესასწავლი ობიექტის — არსებული სინამდვილის, ავტორის, ან ადრესატის მახასიათებლების ინდიკატორს), რაც არსებობს მხოლოდ ტექსტში, რაც იარსებებს ტექსტის შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ რაც ადრესატი აღიქვამს მას.

კონცეფტ-ანალიზის მეთოდით ტექსტზე მუშაობისას გამოყოფენ სამ ეტაპს:

I კონტექსტის შესავალი

- ტექსტის შინაარსის ზოგადი გაცნობა;
- გაურკვეველ საკითხებზე კითხვების დასმა; დაზუსტებებისა და განმარტებების შეტანა;
- ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, ტექსტზე პირველადი სამუშაოს ჩატარება, ზოგადი განხილვა.

II უშუალოდ კონცეფტ-ანალიზი


1. კონცეფტუალიზაციის ამოცანა: კონცეფტის განმარტება (ახსნა), რაც საფუძვლად უნდა დაედოს შემდგომ სამუშაოს (დამოკიდებულია სამუშაო ჯგუფის წევრი ექსპერტების მომზადების დონეზე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეფტ-ანალიზი ეფუძნება პარადიგმატურ მიდგომას, რომლის მიხედვით ტე-

ქსტის შესასწავლი ნიშნები (პრობლემის შინაარსი, მისი წარმოშობის მიზეზები, პრობლემის წარმოქმნილი სუბიექტი, პრობლემის სიმწვავის ხარისხი, მისი გადაჭრის გზები და სხვა) განიხილება, როგორც გარკვეული ნესით ორგანიზებული სტრუქტურა;

2. ზოგადი კონცეფციის მიხედვით ინდივიდუალურად, დიალოგის მიხედვით ტექსტის სტრუქტურირება.

3. კატეგორიზაცია (კატეგორიზირება) — როლების შემოტანა (ხდება დიალოგის პროცესში), ექსპერტებმა უნდა იგრძნონ თითოეული მათგანის სპეციფიკა (ნახ. 1.1.).

- როლების მიხედვით იდენტიფიკაცია (იდენტიფიცირება) (როლების მიღება) — თითოეული ექსპერტი არის განსაზღვრული როლის მატარებელი, რომელსაც გააჩნია საკუთარი შეხედულება მთლიანად საკითხის შესახებ (შემთხვევითი, არა შემთხვევითი);



ნახ. 1.1. ორგანიზაციის ელემენტების შესაძლო შეთავსება (კატეგორიზაციის ინსტრუმენტი)

- თითოეული მონაწილის მიერ ტექსტის ანალიზი, საერთო კონცეფციაში მისთვის განკუთვნილი როლის პოზიციიდან — ჰიპოთეზები, კითხვებზე პასუხები (სირთულეები, წინააღმდეგობები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები), სისტემის ელემენტების დახასიათებები, კითხვები ტექსტთან დაკავშირებით, ახალი იდეები და ა.შ.;
- შედეგების ფიქსაცია (ფიქსირება) — მონაწილეების მიერ შედეგების თანმიმდევრობით წარმოდგენა, დამატებების შეტანა, ფიქსაცია ფლიპ-ჩარტ/დაფაზე.

მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ მონაწილეებს ხელთ უპყრიათ დაუსრულებელი მასალა, რომელსაც სჭირდება შემდგომი დამუშავება (ჰიპოთეზები, კითხვების ჩამონათვალი და ა.შ.).

III მიღებული შედეგების განხილვა ჯგუფში

- განცალკავებული მონაცემების ინტეგრაცია (ინტეგრირება);
- შეფასება, იდეების შერჩევა;
- პრიორიტეტების განაწილება;
- შემდგომი დამუშავება.

ჯგუფის მუშაობის საბოლოო (ჯამური) შედეგი — პრობლემაზე სრული წარმოდგენა, მისი გადაჭრის გზების შემუშავება (ნახ. 1.2). თუ პირველი და მეორე ეტაპი ხასიათდება უპირატესად ერთობლივი/ინდივიდუალური საქმიანობით, მესამე ეტაპზე ხორციელდება გადასვლა ერთობლივ/შემოქმედებით საქმიანობაზე.

კონცეფტ-ანალიზის მეთოდის გამოყენების დროს, როგორც წესი, მიმართავენ ასეთ „ტექნიკას“:

- მეტაფორების გამოყენების საშუალებით ინფორმაციის სტრუქტურირება;
- წყვილ-წყვილად შედარების საშუალებით ცნებების ანალიზი;
- მონაწილეებისთვის კითხვების დასმას;
- როლების მიხედვით იდენტიფიცირებას;
- ანალოგის მეთოდს.

მოცემული მეთოდის შესაძლებლობებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ყველა მონაწილის პოტენციალის ჩართვა და აქტივიზირება;
- ტექსტის სიღრმისეული დამუშავება — ადრე დაფარული ინფორმაციის გამოვლენა;
- მაღალი ალბათობით პროდუქტის მიღება;
- ნებისმიერი ტექსტიდან ე.წ. „მშრალი ნაშთის“ გამოყოფა.

თუმცა, ამ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების დროს ადგილი აქვს გარკვეული სახის შეზღუდვებს: რთულია ისეთი ანალიზ-კონცეფციის სქემის შერჩევა, რომელიც უპასუხებს დასმულ ამოცანებს. ასევე, შესაძლებელია, რომ იდენტიფიცირების პროცედურის მიმართ ადგილი ჰქონდეს გარკვეული სახის ემოციონალურ წინააღმდეგობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კინმარიშვილი. პერსონალის მართვა /პრაქტიკული/. თბილისი, გამ. „სამართლიანი საქართველო“. 2013 წელი.
2. Базаров Т.Ю. – Управление персоналом (практикум) – М., ЮНИТИ-ДАНА, 2012.
3. Горбатова М.М. Методы управления персоналом: Учеб. пособие. Кемеров: ЮНИТИ-ДАНА, 2002.
4. Управление персоналом: Учебник для вузов / Под ред. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. 2-е изд., перераб. и доп. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.

მართვა	მიზანი	აღმნიშვნელობა (პერსონალი)
-განვითარებადი -გუნდური -მართვის მოქნილი სტილი -პროექტების მართვის -ტექნოლოგია ეთიკური ლიდერობა (გადაწყვეტილებების მიღება, პასუხის- მგებლობის დელეგირება)	-აღმნიშვნელოვანი კაპიტალის ლირებულების გაზრდა - ექსპანსიონისტური მიზნები (სხალი ბაზრების სწრაფად დაპყრობა) -გამუდმებით ცვალებადი მიზანი (მისი სწრაფი ცვლის შესაძლებლობა) -მუდმივი მზადყოფნა ყვე- ლაფრისთვის, მობილურობა -პერსონალის განვითარება (თვითსწავლების ორგა- ნიზების ტექნოლოგიის ათ- ვისების გზით)	-ტრანსპროფესიონალიზმი -შეცვლისათვის მზა- ობა და სურვილი -პიროვნული ზრდა, როგორც ორგა- ნიზაციაში მუ- შაობისთვის აუცილე- ბელი პირობა
სტრუქტურა		რესურსები (ფინანსები)
-საპროექტო, მატრიცული -ქსელში ჩაშენებული		-სახელმწიფოსთან აფილირება -გეგმიური გა- ნაწილება
	ტექნოლოგიები	
	-მაღალი ტექნოლოგიის მქონე (მაღალტექნოლო- გიური) კომპანია -მეთოდოლოგიური -ინსტრუმენტების უნივერ- სალობა -მეტატექნოლოგიურობა / საკუთარი და უგზო ტექნო- ლოგიების დაუფლების ტე- ქნოლოგია -ინოვაციურობა (ნიუ-ხაუ) -მოქნილობა, ვარიანტულობა (გამოყენებითი ტექნო- ლოგია)	

ნახ. 1.2. ექსპერტების ჯგუფის მიერ ჩატარებული კონცეფტ-ანალიზის შედეგი

**ვენჩურული ბიზნესის განვითარება
ინოვაციების რეალიზაციის დაჩქარების გზაა**

ლუარა გვაჯაია, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

Summary

სტატიაში განხილულია “ვენჩურული” (სარისკო) ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარებისათვის. ვენჩურული ბიზნესი უზრუნველყოფს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური დამუშავებების დაფინანსებას და მათ კომერციალიზაციას. ამისათვის კი საჭიროა ფართო გამოცდილება და ცოდნა, დიდი ფულადი სახსრები და თავდადებული შრომა, მაგრამ წარმატების შემთხვევაში ეს ბიზნესი შესაძლოა უზარმაზარი მოგების მომტანი გახდეს.

Development of the venture business is the way of the accelerate realization of innovations

In this article discusses the essence and the importance the ‘venture’ (Risky) business of through the development of an innovative way. The venture business provides the funding and commercialization of new ideas, advanced scientific-technical and technological development. For this it is necessary the extensive experience and knowledge, large financial resources and committed work, but these businesses in case of the success could be generating huge profits.

ვენჩურულ ბიზნესში ორი მხარე მონაწილეობს: ერთის მხრივ, მსხვილი კომპანია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების დანერგვაზე და ახდენს სარისკო პროექტის დაფინანსება-ინვესტირებას და მეორეს მხრივ, ვენჩურული ფირმა, რომლის საქმიანობა მთლიანად მიმართულია ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნისათვის მეცნიერული იდეების შემუშავებაზე და სარისკო ინოვაციების კომერციალიზაციაზე.

There are two sides in the venture business: on the one hand, a large company that is focused on innovation and on a risky project financing and on the other hand, the venture firm, whose work is entirely focused on develop of scientific ideas for the creation new products and technologies and commercialization for risky innovation.

განხილულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საკითხებში. აღნიშნულია, რომ საქართველოს არ გააჩნია ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენჩურული ფირმები, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, ინოვატორები, რომელთა დეფიციტს საქართველო არ განიცდის.

The article deals the experience of United States and European countries in the development of the venture business. It is noted that Georgia does not have the experience of working with new technologies and venture investments. This is partly due to the fact that the current institutional and organizational structures, as representatives of the state in the science and the technology field, do not meet modern requirements. It is necessary to operate the stock market, the creation of venture firms, which will consist of experienced scientists, engineers, inventors, innovators, in which there is not suffering from shortages in Georgia.

* * * * *

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში ჩართვისთვის ნებისმიერი ქვეყნის ამოცანაა არსებული საინჟინრო-ტექნოლოგიური და სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით ეკონომიკის გადაყვანა ინოვაციური განვითარების რელსებზე, რაც უსათუოდ უზრუნველყოფს დაჩქარებულ ეკონომიკურ განვითარებას.

ინოვაციების სწრაფი ტემპებით და მიზანმიმართულად დანერგვისათვის განვითარებად ქვეყნებში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. “ვენჩურულმა” (“სარისკო”) ბიზნესმა, რაც გულისხმობს მაღალი რისკის მქონე პროექტებში კაპიტალის, ე.წ. “ვენჩურული” (“სარისკო”) კაპიტალის ინვესტირებას. იმის გამო რომ ბანკები არ ახდენენ სარისკო პროექტების მასშტაბურ დაფინანსებას, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიზნით ისინი ვენჩურულმა

კომპანიებმა ჩაანაცვლეს.

ვენჩურული ბიზნესი უზრუნველყოფს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური დამუშავებების დაფინანსებას და მათ დაყვანას კომერციალიზაციამდე. ამისათვის კი საჭიროა ფართო ცოდნა და გამოცდილება, დიდი ფულადი სახსრები და თავდადებული შრომა, მაგრამ წარმატების შემთხვევაში ეს ბიზნესი უზარმაზარი მოგების მომტანი შეიძლება გახდეს.

ვენჩურულ ბიზნესში მონაწილეობს ორი მხარე: ერთის მხრივ, მსხვილი კომპანია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების დანერგვაზე და ახდენს სარისკო პროექტის დაფინანსებას - ინვესტირებას და მეორეს მხრივ, ვენჩურული ფირმა, რომლის საქმიანობა მთლიანად მიმართულია მეცნიერული იდეების დამუშავებაზე ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად და სარისკო ინოვაციების კომერციალიზაციაზე.

ვენჩურული დაფინანსება წარმოადგენს მაღალი რისკის სპეციალურ სახეობას, რაც სრულად ეფუძნება ვენჩურული საქმიანობის წარმატების რწმენას. მსხვილი კომპანია ენდობა დამოუკიდებელ ვენჩურულ ფირმას და აფინანსებს საკმაოდ რისკიანი სიახლის დამუშავებას. ვენჩურულ ბიზნესში ინვესტირების დამახასიათებელი განსაკუთრებულია ფინანსური სახსრების ჩადება ყოველგვარი გარანტიებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე ვენჩურული ფირმის მხრიდან.

ვენჩურული ფირმები იქმნება სახელშეკრულებო საფუძველზე და იმ ფულად სახსრებზე, რომელიც მიიღება რამდენიმე იურიდიული ან ფიზიკური პირის (ან ორივეს ერთად), სახსრების გაერთიანებით, ან მსხვილი კომპანიების, ბანკების, კერძო ფონდების და სახელმწიფოს დაბანდებებით და კრედიტებით. თანამედროვე მცირე ვენჩურული საწარმოები წარმოადგენენ მოქნილ, მობილურ სტრუქტურებს, რომლებიც გამოირჩევიან ძალიან მაღალი და მიზანმიმართული აქტიურობით, რაც უპირველესად აიხსნება საწარმოსა და ინვესტორების პირდაპირი დაინტერესებით დასამუშავებელი იდეის, ტექნოლოგიის, გამოგონების, ობიექტის სწრაფი და წარმატებული რეალიზაციით მინიმალური დანახარჯებით. ასეთი საწარმოს შექმნის ინიციატორად ხშირ შემთხვევაში გამოდის ადამიანების მცირე ჯგუფი - ნიჭიერი ინჟინრები, გამომგონებლები, მეცნიერები, მენეჯერ-ნოვატორები, რომელთაც სურთ მოღვაწეობა წარმართონ პერსპექტიული იდეების დამუშავება - განხორციელებაზე მსხვილი კომპანიების ლაბორატორიების გამოყენებით.

ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ვენჩურული ფირმების („ვენჩურების“) საქმიანობამ მეცნიერებატევად დარგებში, სადაც ისინი სპეციალიზირდებიან სამეცნიერო კვლევებისა და საინჟინრო დამუშავებების ჩატარებაზე.

ვენჩურული ბიზნესის უპირატესობაა: მოქნილობა, ორიენტირების შეცვლის უნარი, ახალი იდეების სწრაფი ათვისება და აპრობირება. მისწრაფება

მოგებისაკენ, ბაზრის ცვალებადობა, კონკურენცია, კონკრეტულად დასმული ამოცანა, მკაცრი ვადები აიძულებენ სიახლის შემუშავებლებს იმოქმედონ შედეგიანად და სწრაფად, მოახდინონ კვლევითი პროცესების ინტენსიფიცირება. ცნობილია, რომ მსხვილი კორპორაციები, რომელთაც გააჩნიათ ძვირადღირებული დანადგარები და მყარი პოზიციები ბაზარზე, არც ისე ადვილად მიდიან წარმოების ტექნოლოგიურ გარდაქმნაზე და ექსპერიმენტებზე, ამიტომ მათთვის უფრო სარგებელიანია დააფინანსონ მცირე დანერგვითი ფირმები და წარმატების შემთხვევაში მიყვნიენ უკვე გაკვალულ გზას.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვენჩურული ბიზნესი:

- ქმნის სიცოცხლისუნარიან სამეურნეო ერთეულებს, რომელიც ზემოქმედებს სამეცნიერო კვლევების წარმოების მთელ ტრადიციულ სტრუქტურებზე და ინვესტს სტრუქტურულ ცვლილებებს ქვეყნის საზოგადოებრივ წარმოებაში;
- ზრდის მაღალი კლასის სპეციალისტების დასაქმებას;
- ხელს უწყობს ეკონომიკის ტრადიციული დარგების ტექნიკურ გადაიარაღებას;
- უბიძგებს მსხვილ კორპორაციებს მართვის პრინციპებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფისაკენ;
- უჩვენებს, რომ გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირება თხოულობს სპეციალურ საკრედიტო-საფინანსო სისტემას ვენჩურული კაპიტალის სახით.

ვენჩურული ფირმები არსებობენ როგორც დამოუკიდებელი ერთეულების სახით, ისე მსხვილი კორპორაციის შიგნით.

დამოუკიდებელ ვენჩურულ ფირმას ინვესტორი კომპანია დამოუყოფს ფინანსებს ხანგრძლივი ვადით უკან დაბრუნების გარეშე, ამიტომ ზოგ შემთხვევაში მას უწევს ლოდინი 3-5 წლით, რათა დარწმუნდეს დაბანდების პერსპექტიულობაში. ინვესტორი აქტიურ კავშირშია ვენჩურულ ფირმასთან, ვინაიდან პირადად დაინტერესებულია მისი წარმატების მიღწევაში, ხშირად ისინი არ ისაზღვრებიან ფულადი საშუალებების ოდენობით.

მსხვილი კორპორაციის შიგნით ე.წ. „შიგა ვენჩურის“ შექმნის გადანყვეტილებას იღებს საწარმოს ხელმძღვანელობა და შემდგომ, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი აკონტროლებს მის საქმიანობას. იდეის შერჩევისას, რომლის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას სარისკო მეცნიერებატევადი პროექტი, ითვალისწინებენ შემდეგ მომენტებს:

- პროექტის ამოცანა არ უნდა დაემთხვეს კომპანიის ინტერესების ტრადიციულ სფეროს, მისი მიზანი უნდა იყოს ახლის, ინოვაციის ძიება და შექმნა;
- იდეის შერჩევისას, რომლის რეალიზება მოხდება შიგა ვენჩურის მეშვეობით, ექსპერტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ახალშემონალებთა კომერციული პოტენციალის, მის შექმნასა, წარმოებასა და რეალიზაციაზე დანახარჯების სიდიდე დადგინდეს

დაახლოებით 50-75 პროცენტის სიზუსტით მაინც;

შიგა ვენჩურებს, როგორ წესი, ეძლევათ იურიდიული და საბიუჯეტო დამოუკიდებლობა, ასევე პერსონალის ფორმირების უფლება. უფრო დიდი დამოუკიდებლობისათვის ისინი განთავსდებიან ცალკე შენობაში. კომპანია მათ უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი, გამოსათვლელ - საანგარიშო და სხვა საჭირო მოწყობილობებითა და დანადგარებით, უნევს აუცილებელ მომსახურებას მართვის საქმეში. სარისკო პროექტის დასრულების შემდეგ შიგა ვენჩური წყვეტს საქმიანობას - ან შეერწყმება დამფუძნებელ მსხვილ ფირმას ან დამოუკიდებლად გადის ბაზარზე კეთილსასურველი კომერციული კონიუნქტურის, დამუშავებების გაყიდვის კონკურენტუნარიანი პირობების არსებობისას და იწყებს საქმიანობას. უფრო ხშირად შიგა ვენჩური წარმატებული საქმიანობისას გარდაიქმნება დედა-კომპანიის ერთ-ერთ სანარმოო ერთეულად და მისი პროდუქცია რეალიზდება კომპანიის გასაღების ბაზრების მეშვეობით.

ვენჩურული მენარმეობა ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. "სარისკო" კაპიტალის მოცულობით იგი მნიშველოვნად აჭარბებს დასავლეთ ევროპულსაც და იაპონურსაც. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ინვესტიციების აკუმულირებული თანხა იაპონურ ვენჩურულ ფირმებში შეადგენდა 2.6 მილიარდ აშშ დოლარს, აშშ-ში კი მან შეადგინა 24 მილიარდი დოლარი, ბოლო წლებში კი აშშ-ში ვენჩურული ინვესტიციების წლიური მოცულობა 50 მილიარდი დოლარის დონეზეა. ევროპაში ვენჩურულმა ბიზნესმა თავდაპირველად განვითარება დაიწყო ჰოლანდიაში, გერმანიაში, იტალიაში. ამჟამად ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად მოდის ევროპის ვენჩურული კაპიტალის თითქმის ნახევარი (5 მილიარდი დოლარი). ვენჩურების საქმიანობის შედეგი გახდა ისეთი ნაწარმის შექმნა, როგორცაა ცელოფანი, ბურთულიანი ავტოკალამი, ვერტმფრენები, ტურბორეაქტიული ძრავა, შესაკვრელი "ელვა", კინესკოპი, ფერადი ფოტოგადაღება და ფოტობეჭდვა, ქსეროგრაფია, მიკროპროცესორი და ბევრი სხვა. აშშ-ში ვენჩურული ბიზნესი შეთავსებულია უფრო მეცნიერებატევად დარგებთან, როგორცაა, ნახევარგამტარების, კომპიუტერების, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება. ამჟამად ამ ბიზნესის განვითარების მთავარ მიმართულებად მიჩნეულია უსაფრთხოების ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიური და ბიოტექნოლოგიები.

საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. არ გაგვანია ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება. ეს განპირობებულია ნაწილობრივ იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს ფუნქციონალური წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. ასეთივე სირთულეებია რეალური სექტორის სფეროებში; ქვეყანაში არ არსებობს გრძელ-

ვადიანი, ეროვნულ თავისთავადობაზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, არ არის შემუშავებული ინოვაციების ფინანსირების სისტემა. ეს კი გაურკვეველობას იწვევს ცალკეული პრიორიტეტების შერჩევისას, ანელებს წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესებს, ასევე არ ჩანს ადგილობრივი ინიციატივები, არ არსებობს ამ ინიციატივების გამოვლენისა და მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმი. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას მცირე ვენჩურული ფირმები, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, ინოვატორები, გამომგონებლები; საბედნიეროდ, საქართველო არ განიცდის ასეთი ინტელექტუალების დეფიციტს. ამ გზით შესაძლებელი გახდება ინოვაციური პროდუქტის, ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და პრაქტიკული დანერგვა, რაც მნიშველოვნად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი, 2009.
2. ლ.გვაჯაია. ინოვაციური პოლიტიკა. უ. „სოციალური ეკონომიკა“. №3, 2013.
3. В. Г. Медынский. Инновационный менеджмент. Москва. 2008.
4. Основы инновационного менеджмента. Под редакцией Р. Н. Завлина. Москва, 2000.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სერვისის სფეროში

ნაირა ლევდაშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სერვისულ ფირმებს სხვადასხვა სახის და დონის ინფორმაციული სისტემები აქვთ. ესენია: ოპერაციული, მარკეტინგული, ფინანსური, ბუღალტრული და ა. შ. ასეთი სისტემები მათ ადრეც ქონდათ, მაგრამ ახლა ეს სისტემები კომპიუტერიზებულია (განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში).

ინფორმაციული ტექნოლოგიების და საერთოდ ტექნიკური სიახლეების დანერგვით კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია. კონკურენტულ უპირატესობად სერვისის სფეროში შეიძლება იქცეს მომსახურების სისწრაფე, დაბალი ფასი, მაღალი ხარისხი სერვისის პაკეტის სიდიდის გაზრდა და სხვა. ამის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სერვისულ სფეროში მეტად დიდია. ფართოდ გავრცელდა იგი საბანკო სექტორში (ბანკომატები, ფულის ელექტრონული გადარიცხვა და სხვა), მედიცინაში (ტომოგრაფიული სკანერები, ემბრიონული მონიტორინგი და სხვა), განათლებაში (ინტერნეტი, ელექტრონული ინფორმაციული ტაბლო, მასალის მულტიმედიური პრეზენტაცია), კომუნიკაციებში (ოპტიკური საფოსტო სკანერი, კონტროლის ავტომატიზაცია), ტრანსპორტში (ნავიგაციური სისტემის თანამგზავრებიდან მართვა), რესტორნებში (ხორცის ავტომატური დაჭრა, კონტროლის ოპტიკური სკანერები) და სხვა სფეროებში. თითქმის ყველა სერვისულ საწარმოში არის დანერგილი კომპიუტერები, ქსეროსები, ინფორმაციის ოპტიკური გადაცემის ხელსაწყოები და სხვა. ყველა შემთხვევაში ისინი მიმართულია მომხმარებლების ან მათი ქონების მომსახურებისათვის, ინფორმაციის დასამუშავებლად და მომსახურების ახალი სახეობების შესაქმნელად და სხვ.

Summary

The use of informational technologies in the field of service

Service companies have different types and levels of informational systems. These are: operational, marketing, financial, accounting, and so on. They have had such systems before, but now these systems computerized (Especially in developed countries).

It is possible to maintain and achieve the competitive advantage of the company by developing informational technologies and generally by technical innovations. The competitive advantage in the field of service can be: prompt service, low price, high quality, increasing the size of the package of services and etc. This is possible only through the new technologies. The use of informational technologies has a great potential in the field of service. It is widely spread in the banking sector (ATMs, electronic money transfer, etc.), Medicine (tomography scanners, embryonic monitoring, etc.), Education (Internet, Electronic Information Board, a multimedia presentation of the material), Communications (optical Postal Scanner, Control Automation), Transport (navigation system management from satellite), Restaurants (automatic meat cutting, optical scanners of control) and in another fields. Computers, Xerox, optical line transmission equipment and etc are implemented almost in every service enterprises. In all cases, they are focused on services of users or of their property, for processing information and the creating of new types of services and so on.

ჟურნალ „ფორტუნას“ ერთ-ერთ ნაშრომში ნაიკითხავთ ამერიკელი მეცნიერების ასეთ განცხადებას: „თანამედროვე კორპორატიული ამერიკა შენდება არა აგურისა და ბეტონისაგან, არამედ უპირატესად ინტელექტუალური კაპიტალისაგან.“ ამ აზრს იზიარებენ სხვა განვითარებული ქვეყნების მეცნიერებიც. ისინი ეხლანდენ ეკონომიკას თვლიან ცოდნაზე და ინფორმაციაზე დაფუძნებულ მომსახურების ეკონომიკად.

მაშასადამე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია მომსახურებამ ანუ სერვისმა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ცოდნით და ინფორმაციით. ერთიც და მეორეც ინტელექტუალური კაპიტალია.

მომსახურება შეუძლებელია ინფორმაციის გარეშე. მომსახურების პროცესში ინფორმაცია შემავალი რესურსია. მის გენერირებას ახდენს საინფორმაციო სისტემა. იგი სამ ფუნქციას ასრულებს:

- ინფორმაციის მიღება;
- ინფორმაციის გადამუშავება;
- ინფორმაციის გამოშვება.

საინფორმაციო სისტემა ინფორმაციას იღებს ფაქტების, რიცხვების, სიტყვების, ნიშნების და სიმბოლოების სახით. მათ ყველას მონაცემები ეწოდებათ. ინფორმაციული სისტემისათვის მონაცემები არის შემავალი რესურსი, ანუ „ნედლეული“, რომელიც მან უნდა გადაამუშაოს. გადამუშავების შემდეგ სისტემა უშვებს უკვე არა იმავე მონაცემებს თუ ციფრებს, არამედ ინფორმაციას, როგორც მათ სახეშეცვლილ ფორმას, ისეთს, როგორც ის ადამიანებს სჭირდებათ. ეს არის საინფორმაციო სისტემიდან გამომავალი ნაკადი, ანუ ინფორმაცია.

სერვისულ ფირმებს სხვადასხვა სახის და დონის ინფორმაციული სისტემები აქვთ. ესენია: ოპერაციული, მარკეტინგული, ფინანსური, ბუღალტრული და ა. შ. ასეთი სისტემები მათ ადრეც ქონდათ, მაგრამ ახლა ეს სისტემები კომპიუტერიზებულია (განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში).

ინფორმაციული სისტემები განსხვავდებიან დონის მიხედვითაც. არსებობენ გადამწყვეტილების მიღების სისტემები, სტრატეგიული დონის სისტემები, ექსპერტული სისტემები, გონებრივი შრომის მუშაკთა ინფორმაციული სისტემები და ა. შ. რესურსების დაგეგმვის სისტემები და სხვა.

ყველა ამ სისტემების საერთო პრობლემა არის მათი არათავსებადობა. ერთი და იგივე მონაცემები იკრიბება და ინახება სხვადასხვა სისტემაში და, როგორც წესი, ამ სისტემების ინფორმაცია ურთიერთშეთანხმებული არ არის. სწორედ ამის შედეგია მონაცემთა არაერთგვაროვნება, უზუსტობა და საბოლოო ჯამში ინფორმაციული ტექნოლოგიების არაეფექტიანობა.

უცხოეთის ეკონომიკაში თითქმის ჩამოყალიბებულია სტერეოტიპი, რომ სერვისული ფირმა ეს არის პატარა, მასობრივი პროცესების მქონე სა-

წარმო, რომელიც არ საჭიროებს ინვესტიციებს ტექნოლოგიებში. გარკვეულად ამას იმანაც მისცა საფუძველი, რომ თუ სხვა სფეროში ჩანს ტექნოლოგიებში დახარჯული ინვესტიციების ეფექტიანობა (მოგების მაჩვენებლით), სერვისულ სფეროში ეს არ ჩანს.¹ ამ სიტუაციას „ინფორმაციული ტექნოლოგიების პარადოქსი“ კი დაარქვეს. მეცნიერებს საკმაოდ გაუჭირდათ ამის ახსნა. ამერიკის მეცნიერეთა ეროვნული აკადემიის კომიტეტმა თავის ანგარიშში ამის მიზეზად დაასახელა:²

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტრუმენტარიუმის არასწორი და არაკომპეტენტური გამოყენება ადგილებზე;

2. სხვა ფაქტორების ზემოქმედება (საქმე ისაა, რომ ეფექტიანობას მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიები არ ქმნიან. მასზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ და შეიძლება ისინი (და არა ინფორმაციული ტექნოლოგიები) მოქმედებენ მასზე უარყოფითად;

3. ეფექტიანობის (მწარმოებლურობის) განსაზღვრის არასრულყოფილი მეთოდიკა;

4. დაგვიანების ეფექტი (შეიძლება ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მყისიერად კი არა, არამედ მომავალ პერიოდში მოგვცეს ეფექტი);

5. აგრეგირების დონე (ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობა იანგარიშება ფირმის დონეზე. ეს აგრეგირების მეტად დაბალი დონეა. უმჯობესია მისი ანგარიში მაკროეკონომიკურ დონეზე).

ამ პირობების შესახებ მიუთითებენ სხვა ავტორებიც. მაგალითად, კორპორაცია „ქსეროქსის“ ინფორმაციული განყოფილების დირექტორი პოლ სტრასმანის აზრით, ინფორმაციული ტექნოლოგიების დაბალი ეფექტიანობა კომპიუტერების ბრალი კი არ არის, არამედ იმ ადამიანების, რომლებიც მათ არაეფექტურად იყენებენ.³ იგივე აზრისაა მენეჯმენტის გურუ პიტერ დრუკერი. იგი წერს „წარმოების ინსტრუმენტები უწყობენ ხელს თუ უშლიან შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას ეს იმ ადამიანებზე არის დამოკიდებული, რომლებიც მათთან მუშაობენ.“

ყოველივე ზემოთქმულიდან ის დასკვნა კეთდება, რომ სერვისის სფეროს ორგანიზაციები არ უნდა შეუშინდნენ იმ მოსაზრებას, თითქოს ინფორმაციული ტექნოლოგიები ეფექტს არ იძლევა. მხოლოდ საჭიროა მათ პერსონალი მოამზადონ ისე, რომ მათ შეძლონ ამ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების უმეცდომოდ და სრულად გამოყენება. დასავლეთში ამას ასეც აკეთებენ და იქ სერვისული ორგანიზაციები აბანდებენ ინვესტიციებს ინფორმაციულ ტექ-

1 К. Хаксевер, Б. Рендер, Р. Рассел, Р. Мердик. „Управление и организация в сфере“, услуг 2-е изд. СПб Питер. 2002. ст. 213

2 committee to the Impact of Information Texnology on the Performance of Service Activites, Information Texnology in the Service Society(Washington, DC, National Akademy Press 2000).pp. 27-29.

3 Paul A. Strassman, „Will Big spending on Comhuters Cuarantee Profitability?“

ქნოლოგიებში შემდეგი მიზეზების გამო:⁴

- საბაზრო წილების შენარჩუნება ან ზრდა;
- რისკებისგან ანდა ალტერნატიული დანახარჯებისაგან თავის არიდება (მაგალითად, აეროპორტები ფეთქებადი ნივთიერებების აღმომჩენ დეტექტორებს, იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ტერორისტული აქტები და სხვ.);
- მოქნილობის ინფორმაციული სისტემის შექმნა შეცვლილ გარემოზე ადაპტირებისთვის;
- კომპანიის შიგა გარემოს გაუმჯობესება;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება (ხარისხის ამაღლება იწვევს მომხმარებელთა კმაყოფილებას, რაც თანამედროვე პირობებში კომპანიის მთავარი ამოცანაა).

ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს ინფორმაციული ტექნოლოგიების და საერთოდ ტექნიკური სიახლეების დანერგვით კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება. კონკურენტულ უპირატესობად სერვისის სფეროში შეიძლება იქცეს მომსახურების სისწრაფე, დაბალი ფასი, მაღალი ხარისხი სერვისის პაკეტის სიდიდის გაზრდა და სხვა. ამის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებში პროგრესი სტრატეგიული ალიანსების შექმნის საშუალებას იძლევა. მათ სხვადასხვა მსხვილი სერვისული ფორმები ქმნიან. ისინი ერთი დარგის ფარგლებშიც იქმნებიან და სხვადასხვა დარგთაშორისაც. პირველის სამაგალითოდ გამოდგება ავიახაზების ცნობილი *aliansebi—Northwest Airlines Continental, „Air Canada,“ „Lufthansa“* და სხვები. ისინი მონაცემთა საერთო ბაზებს იყენებენ. ეს მათ საშუალებას აძლევს გააერთიანონ ფრენების განრიგები და გაყიდონ ბილეთები ალიანსში გაერთიანებულ ყველა ავიახაზზე. ასეთი ორგანიზაცია მისაღებია მგზავრებისთვის რადგან მათ ერთ ადგილას შეუძლიათ ალიანსში გაერთიანებულ ნებისმიერ ავიახაზზე ბილეთის ყიდვა. ალიანსის მეორე ფორმის სამაგალითოდ გამოდგება ავიახაზების და კომერციული ბანკების ალიანსები (მაგალითად, „Citibank & American Airlines“).

ამჟამად, სერვისული საწარმოები ყოველი ზომით ცდილობენ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მიღწევას. პროფესორი გეონარდ ბერი ამისათვის მათ „ტექნოლოგიების გამოყენებაში შემდეგ რჩევებს სთავაზობს:⁵

- გამოიყენონ მთლიანობითი მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური სიახლის დანერგვას მარტო ტექნოლოგიებიდან კი არ უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა, არამედ სერვისული საწარმოს მთელი ხელმძღვანელობიდან;
- მოახდინონ ეფექტური სისტემების ავტომატიზაცია. ე. ი. მოახდინონ ისეთი პროცესების და ოპერაციების ავტომატიზაცია, რომლებიც

ეფექტური არიან. ამიტომ მანამ სანამ საწარმო მოახდენდეს ტექნოლოგიებში ინვესტირებას, მან უნდა შეისწავლოს სისტემის შემადგენელი ელემენტების და პროცესების მდგომარეობა და ის პროცესები გააუქმოს, რომლებიც არ არიან ეფექტური;

- გადანყვიტოს არსობრივი პრობლემები. იმისათვის, რომ ტექნოლოგია ეფექტიანი იყოს, აუცილებელია იგი სერვისული მომსახურების ნამდვილი პრობლემის გადანყვიტისთვის იყოს მიმართული;
- შესთავაზოს დიდი არჩევანი და კონტროლი. როცა ფირმა მომხმარებელს მომსახურების დიდ არჩევანს აძლევს მათ, ისინი უფრო თავისუფლად აკეთებენ არჩევანს, ფირმის თანამშრომლებს კი საშუალება ეძლევა მაქსიმალურად გააკონტროლონ მომხმარებელთა ქცევები;
- მოახდინონ ძირითადი ტექნოლოგიების ოპტიმიზება. სერვისულ საწარმოში პროცესს რომელშიც ახალი ტექნოლოგიის დანერგვა ხდება აქვს მაღალ და დაბალტექნოლოგიური კომპონენტები. დაბალტექნოლოგიური კომპონენტები იგივე დროს დაბალეფექტურებიც არიან. ფირმამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახალი ტექნოლოგიები დაინერგოს ძირითად (საბაზო) პროცესებში, რადგან ისინი მას დიდ სარგებელს მისცემენ;
- მოახდინოს ადამიანებთან პირად მიდგომების და მაღალი ტექნოლოგიების გაერთიანება. როცა ტექნოლოგიები კომპეტენტურად გამოიყენება, მაშინ ჩქარდება მომხმარებლების მომსახურების პროცესი. ზოგიერთ მომხმარებელს არ მოსწონს როცა ადამიანების ნაცვლად მათ ტექნიკის (დანადგარები, მონყობილობა) მეშვეობით ემსახურებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ ახალ ტექნიკა-ტექნოლოგიაზე, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ადამიანები მთლიანად გამოვრთოთ მომსახურების პროცესიდან. ტექნიკა-ტექნოლოგია მათ შეუძლებს შრომას და მისცემს მათ დამატებით დროს, იმისთვის, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ მომხმარებელს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სერვისულ სფეროში მეტად დიდია. ფართოდ გავრცელდა იგი საბანკო სექტორში (ბანკომატები, ფულის ელექტრონული გადარიცხვა და სხვა), მედიცინაში (ტომოგრაფიული სკანერები, ემბრიონული მონიტორინგი და სხვა), განათლებაში (ინტერნეტი, ელექტრონული ინფორმაციული ტაბლო, მასალის მულტიმედიაური პრეზენტაცია), კომუნიკაციებში (ოპტიკური საფოსტო სკანერი, კონტროლის ავტომატიზაცია), ტრანსპორტში (ნავიგაციური სისტემის თანამგზავრებიდან მართვა), რესტორნებში (ხორცის ავტომატური დაჭრა, კონტროლის ოპტიკური სკანერები) და სხვა სფეროებში. თითქმის ყველა სერვისულ საწარმოში არის დანერგილი კომპიუტერები, ქსეროები, ინფორმაციის ოპტიკური გადაცემის ხელსაწყოები და სხვა. ყველა შემთხვევაში ისინი მიმართულია მომხმარებლების ან მათი ქონებ-

4 Information Texnology in the Service Society, pp. 12-13.

5 Leonard L Berry, On GreatService: A Framework for Action (New York, TheFree Press.2005), pp.147-155.

ის მომსახურებისათვის, ინფორმაციის დასამუშავებლად და მომსახურების ახალი სახეობების შესაქმნელად. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. ესენია კომპიუტერული თამაშები, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტის მომსახურება, ვებ-გვერდების მომსახურება და მრავალი სხვ.

ამრიგად, სერვისის სფეროში ტექნოლოგიების დანერგვის არაეფექტიანობის პრობლემა, რომლითაც ჩვენ მოცემული სტატიის წერა დავიწყეთ, მართალია ისინი მყისიერად ვერ გაუზრდიან მოგებას, მაგრამ გაუუმჯობესებენ მომსახურების ხარისხს, დააჩქარებენ სისწრაფეს, გააადვილებენ მომსახურების პროცესს, შექმნიან მომსახურების ახალ სახეებს, რაც გამოიწვევს მომხმარებელთა კმაყოფილებას და მათი წრის გაფართოებას. მომხმარებელთა წრის გაფართოებიდან და მათი კმაყოფილებიდან კი მოგების გაზრდამდე ერთი ნაბიჯია.

ასე, რომ სერვისის საწარმოების დირექტორებო, გაბედულად დახარჯეთ ფული ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვაში. ისინი თქვენ აუცილებლად გაგიზრდიან მოგებას.

A Brief Retrospective Analysis Of The Georgia's Economic

Kakhaber Tsimintia, Sukhumi State University, Associate Professor

რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკის მოკლე რეტროსპექტიული ანალიზი

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვანი, რადიკალური ცვლილებებით ხასიათდება. კერძოდ, ქვეყანაში ერთმანეთს დაემთხვა, ნებისმიერი საზოგადოებისთვის რთული და მნიშვნელოვანი, პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცებისა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების ისტორიული, შესაბამისად, მენტალური ცვლილებების პროცესები.

დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველო შეხვდა, როგორც საბჭოთა კავშირის მეტნაკლებად განვითარებული რესპუბლიკა, ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სტრუქტურებითა და ცხოვრების დონით. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. ზბიექტურად განყვეტილი ეკონომიკური კავშირების, ძველი, ტრადიციული ბაზრებისა და მიმწოდებლების დაკარგვასთან ერთად, ქვეყანა აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეტნოპოლიტიკური ომების წინაშე, რამაც ცხადია, ქვეყნის განვითარებაზე არსებითი ხასიათის, მნიშვნელოვანი, ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა. ქვეყანა სისტემური კრიზისის ხანგრძლივ და ქრონიკულ ფაზაში აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან საქართველოში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებზე, საერთოდ ქართულ საზოგადოებაში და მათ შორის მეცნიერ-ეკონომისტებში დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში მოხერხდა სისტემური კრიზისის დაძლევა, შეიქმნა საფუძველი მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მიმდინარე პერიოდმა უნდა გვიჩვენოს შედეგებს თუ არა საქართველო თავი დააღწიოს საბნოური წარსულით განპირობებულ ჩამორჩენილობას, ადეკვატურად და ეფექტიანად უპასუხოს მის წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებსა და მუქარებს.

Key words: *Georgia's economic. Economic reform. Sistic economic crisis. Economic development. Economic development scenarios.*

In the last decades of the 20th century, radical changes are characteristic to the political and economic life of Georgia; namely, processes of historical and, accordingly, mental changes of restoration-strengthening of political independence and establishment of market-based economic relations which are difficult and important for any society began simultaneously in the country.

In 1990, Georgia met the restoration of independence as a more or less developed republic of the Soviet Union with economic structures and level of living characteristic to this system. The first years of restoration of independence and development of the economic system based on market principles appeared the most difficult for the country. In addition to broken economic relations, loss of the old, traditional markets and suppliers, the country appeared to face civil discord and ethno-political wars which, of course, exerted essential, significant, negative influence on the country's development. The country appeared in prolonged and chronic phase of systemic crisis.

The administration of President Zviad Gamsakhurdia who came to power through the elections in 1990 carried out fundamental changes in the country's economic development and announced the restoration of independence by the referendum. Besides, the directions of economic reforms were elaborated which recognized the reasonability of application of the theory of convergence in social-economic development [11, p. 10], though as the result of the discord and violent change of the government, accordingly, the attempt to carry out the above mentioned failed. The created extreme situation, of course, exerted a negative effect on the country's economic development, deteriorated the problems of the state which was on the way of formation and resulted in the extremely negative indicators; in particular, in 1990-93, the gross domestic product was decreasing by 28% annually and, considering the parity of purchasing power, fell from 4,433 US dollars per capita in 1990 to 1,437 US dollars per capita in 1993 [17]. Moreover, while recession lasted for 7 years in post-Soviet countries and the decrease of cumulative production equaled to 51%, the mentioned index in Georgia reached 5 years and 78% [9, p. 9-10]. The economic fallout in Georgia took place quickly and during a short period the country's economy fell to the lowest level than in post-Soviet countries.

It must be noted that from two main directions of transformation of post-Communist economy – “shock therapy” and gradual [3, p. 21], in Georgia the emphasis was put on shock therapy. As it is known, its content comes from the orthodox scenario of macroeconomic stabilization when

liquidation (or at least minimization) of budget deficit and enforcement of strict monetary policy takes place in the short period of time in conditions of observing nominal mass of money or exchange rate [3, p. 21]. Besides, as the result of the problems of objective or subjective nature characteristic to the process of the reforms in Georgia, “shock therapy” was carried out “with maximum shock and minimum therapy”.

The scales of the economic crisis are shown especially clearly by the following indices: In comparison with 1988, in 1994, GDP amounted to 27.8%, industrial production – 15.6%, agricultural production – 49.3%, capital investments – 2.8 %, goods turnover volume – 33.3% [11, p.11]. In 1990-95, hyperinflation reached average 3310.6% [16], to be concrete, in 1994, the level of inflation exceeded 7800%. The level and quality of living fell significantly; the population was appreciably differentiated based on incomes.

In such difficult situation, radical and essential reforms were necessary to be carried out in all aspects of social life in order to overcome the crisis, so at that stage it was impossible to impale those reforms. It is worth noting that the currency reform carried out in 1995 (change of the former surrogate of currency – Kuponi, into the national currency - Lari (GEL)) laid foundations to reaching macroeconomic stability in 1996-97 and increasing gross domestic product with 24% [15, p. 98], however it did not shift into a more long-term tendency, the growth rate decreased, the budget and energy crises, sharp social differentiation could not be overcome, the employment still had critical parameters. Among the achievements of that period it is worth noting the commencement of construction of one of the longest pipelines (1,768 km) - Baku-Tbilisi- Ceyhan (BTC) pipeline.

Thus, Georgia met the 21st century as a typical post-Soviet country: with economic backwardness, undeveloped political and economic structures, unemployment, high level of poverty, corruption and crime.

The new government practically began to build a new state in a style of European democracies. Accordingly, from the very first days since coming to power the emphasis was put on carrying out reforms and establishing order.

Among the achievements in the sphere of economy, scientists-economists and experts pay the special attention to: establishing financial-budgetary discipline, overcoming budget and energy crises, fighting against corruption, setting legal rules of economic game, improving business environment (orientation of reformist endeavor towards improvement of business environment), significant decrease of tax load thanks to the new tax code, improving tax administration, accelerating processes of privatization and emphasizing support of private investments, simplifying customs procedures and improving their administration, great success in banking sector, telecommunications and international trade [see 1, 7; p. 73-74, p. 39-40].

At the same time, the following events are considered as the main negative processes (events) of the mentioned

period: significant fluctuation of the level of prices, deepening macroeconomic disproportions, decrease in the number of employees, growth of unemployment, prosperity of elite corruption, implementation of unreasonable and ineffective infrastructural projects, deterioration of the balance between social justice and efficiency, violation of the right of private property [see 2], stimulation of the economic model of Georgia on customer rather than on growth of production, which caused a lot of negative results including the fact that imports were 4 times more than exports [5, p. 8], control of large businesses by the government [see 6], blocking the advantages of high rates of economic growth to reach the most part of the population [8, p. 2].

The attitude in the Georgian society and among them in economists is different in relation to the important economic reforms carried out after the Rose Revolution [4, p. 18]; the presented positive and negative events, lights and shades of economy of the past period are subjects of a long dispute.

In 2003, the real and nominal gross domestic product in Georgia was 8.6 billion GEL (\$3.4 US dollars). By 2012, real GDP had equaled to 14.5 billion GEL which means that it increased 1.7 times, and nominal GDP was 26.2 billion GEL or 3 times more.

Throughout this period (excluding 2009), the tendency of growth (quite impressive in certain years) was characteristic to real GDP, and, in 2004-2012, it amounted to 6.1%.

We have the same picture in relation with real GDP per capita which, according to the parity of purchasing power (PPP), increased up to \$5,903 PPP for 2012 from \$2,961 PPP in 2003 [19, according to the data of International Monetary Fund].

The budget crisis was overcome which resulted in granting pensions and salaries of the state sector employees not have been allocated for years; as the result of improvement of various events including tax and customs administration and decrease in corruption, budget incomes (up to 7.1 billion GEL in 2012 compared to 0.93 billion GEL in 2003) were significantly increased; this enabled the country to increase pensions (more than 10.7 times) and salaries (more than 4.5 times) and carry out infrastructural and other types of projects.

In addition, the energy crisis was overcome. If the electricity had been supplied according to the schedule before (especially in winter), the reforms carried out in this sphere and the right management coped with the problem quickly and efficiently.

The tendency of growth was characteristic to one of the most important indices necessary for development of the country - investments. Namely, direct foreign investments had increased up to \$2 billion by 2007 compared to \$340.1 million in 2003, and in 2012 they amounted to \$911.6.

Such positive dynamics of the indices gives us the proof to urge that the systemic economic crisis was overcome and the vector of its development shifted onto the trajectory of growth. Also, it must be noted that in spite of all the above said, the poverty was not eliminated in the country,

unemployment was still high which increased from 11.5% (2003) to 15.0% (2012) and the number of employees decreased in the period of study.

It is known that economic growth does not always mean increase in employment and Georgia is a good example. The reason is that 80% of economic growth covered those fields where the number of employees did not exceed 20% of the total number of employees. Even the positive indices could not deal with the problem as investments in the real sector of economics “are followed” by new technologies, automation and computerization [14, p. 3-4]. Optimization of employees in the state sector can be considered as one of the factors. According to the above mentioned, in spite of carrying out employment projects by the government, it was impossible to diminish the problem of unemployment, let alone its settlement.

The same can be said in connection with the elimination of poverty: in spite of the economic growth, it is evident that the pace of the existing growth was insufficient for rapid permutation of the situation and essential rise in the level of living of the population, final elimination of poverty.

Like to other countries the major national interest of Georgia in conditions of maintaining its identity is to provide each of its citizens with high level and quality of living and prosperity. In order to achieve the above mentioned, it is necessary to provide competitiveness of economy, change the country into an active subject of international economy, achieve stable and safe development of economy. Fast paces of economic growth and development are important for the implementation of the above said. It is evident that apart from the growth of gross domestic product, the country’s economic development depends on a number of factors. Besides, the mentioned macroeconomic indicators are both the basis and the result of providing acceptable parameters of other economic indices.

Realistic scenario. Nowadays Georgia can achieve 6-10% rate of real GDP growth. In such case it is possible to stop the aggravation of poverty and improve general economic situation, even develop it in certain direction, thought the country has the potential of development with more optimistic scenario.

The optimistic scenario for the development of Georgia will be the growth of GDP with more than 10% (at least in the present decade). In such conditions the country is given an opportunity to carry out quick and essential permutation, provide the population with the parameters of the level and quality of living characteristic to the developed countries and take up the challenges with dignity.

Bibliography:

1. Gurgenzidze I. „Georgia” s Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economy”. American Enterprise Institute for Public Policy Research. Development Policy outlook, 2009. #2, June. <http://WWW.aei.org/outlook/foreignand-defence-polisy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty>
2. Kvaratskheli D. Priorities of Development of Economy of Georgia (Part One). http://for.ge/view.php?for_id=29818&cat=1
3. Papava V. Political Economy of Post-Communist Capitalism and Economy of Georgia. Tbilisi, 2002.
4. Papava V. Pathologic Anatomy of Economic Reforms Carried out in Post-revolutionary Georgia. The Academy of Sciences of Georgia. Works, Volume 6. Tbilisi, 2008.
5. Papava V., Tapladze T. On Main Tendencies and Prospects of Economic Development of Georgia. Journal “Economist”, 2013, #2.
6. Rimple P. Who Belonged Georgia to in 2003-2012. Tbilisi: International Transparency – Georgia. 2012.
7. Samson I. Search for Ways of Development: “Objectives of Georgia”. Georgian-European Consultancy Center for European Policy and Legal Affairs. Economic Tendencies of Georgia (quarterly review), March, 2006.
8. Strategy of Social-Economic Development of Georgia. Georgia 2020 (Project). Government of Georgia. November, 2013. http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10742
9. Economic Transformation of Georgia: 20 Years of Independence (interim report). “European Initiative – Liberal Academy Tbilisi”. http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
10. Economic Prospect of Georgia. 2012 review. Center for Research of Economic Policy. March 2013. http://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf
11. Chitanava N. „Modern Situation of Social-economic Development of Georgia (Theoretical-Methodological, Organizational Aspects) in the Collection of Works “Problems of Formation and Functioning of Market Economy in Georgia”, Volume V. Tbilisi, 2000.
12. Chitanava N. Social-Economic Problems of the Transitional Period. Part III. Tbilisi, 2001.
13. Tsimintia K. State Regulation of Economy (Aspects of Economic Safety). Tbilisi, 2009.
14. Dzneladze G. “2010 Course of Economy of Georgia. Had the Vector Changed the Direction?” Center for Strategic Researches and Development of Georgia. Bulletin #118. March 2011.
15. Khaduri N. “Economic System in Georgia” in the Collection Are we Approaching Europe? Economic and Social Policy in Georgia, Armenia and Azerbaijan. Tbilisi, Center for Research of Problems in Economy.
16. World Economic Outlook. Database. 2007. www.imf.org/external/pubs/ft/weo/2007/02/weodata/index.aspx
17. www.data.worldbank.org
18. www.geostat.ge
19. [http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(ППС\)_на_душу_населения](http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения)

ნატო ბებიაშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

Summary

The Importance of Business Process Reengineering

The article reviews the importance of Business Process Reengineering (BPR). BPR is the fundamental rethinking and radical redesign of business processes to achieve dramatic improvements in critical contemporary measures of performance, such as cost, quality, service, and speed. The key to BPR is for organizations to look at their business processes from a "clean slate" perspective and determine how they can best construct these processes to improve how they conduct business.

In BPR, information technology is generally considered as playing a role as enabler of new forms of organizing and collaborating, rather than supporting existing business functions. The people / human resources dimension deals with aspects such as education, training, motivation and reward systems. The concept of business processes - inter-related activities aiming at creating a value added output to a customer - is the basic underlying idea of BPR.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-პროცესები, რეინჟინერიზმი

* * * * *

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმი – ესაა სრულიად ახალი და უფრო ეფექტიანი ბიზნეს-პროცესების შექმნა, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა იყო ადრე.

მ. ჰამერის და ჯ. ჩამპის მიერ მოცემულია რეინჟინერიზმის შემდეგი განმარტება: "რეინჟინერიზმი კომპანიის ბიზნეს-პროცესების რადიკალური გარდაქმნა და ფუნდამენტური ხელახალი გააზრებაა იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნას მისი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლების საფუძვლიანი გაუმჯობესება, ისეთების როგორცაა ღირებულება, ხარისხი, სერვისი და ტემპები". ამასთან, კომპანია განიხილება რაიმე ისეთად, რისი შენება, დაგეგმარება, ან გადაგეგმარება შესაძლებელია ინჟინერიზმის პრინციპების გამოყენებით.

ამ განმარტებიდან რამოდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს. პირველ რიგში იგულისხმება ის, რომ დაწყება საჭიროა, ასე ვთქვათ, სუფთა ფურცლიდან. ხშირად ამისთვის საკმარისად თავისუფალი ცნობიერება მოითხოვება, რომელსაც შეუძლია ფიქრი არსებული სისტემის ჩარჩოებს მიღმა, საწყისი ვარაუდების იგნორირებით. სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა იქიდან გამოდის, რომ არსებული წესები ნორმალური და გარდაუვალია.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმის ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია ამ შეხედულების შეცვლა, თუმცა ეს არც ისე ადვილია.

მეორეა ის, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმი კითხვის ქვეშ აყენებს ბევრ საზოგადოდ მიღებულ ვარაუდს. მაგალითად, წლების განმავლობაში ითვლებოდა, რომ შეცდომები გარდაუვალია და არსებობს გადახრების გარკვეული დასაშვები პროცენტი, რომელსაც უნდა შევეგუოთ. შესაბამისად, წარმოებაში დგინდებოდა ხარისხის მისაღები დონე (Acceptable Quality Level, AQL), დაუშვავთ 95 პროცენტის ოდენობით, 5 პროცენტის ნუნის დაშვებით. შემდგომში ეს ყველაფერი შეიცვალა, როგორც ეს ჩანს ერთი ცნობილი მაგალითიდან. "IBM — კომპიუტერულმა გიგანტმა, გადაწყვიტა ენარმოებინა ზოგიერთი დეტალი იაპონიაში და შეკვეთის სპეციფიკაციაში დააფიქსირა ხარისხის მისაღები ნორმა – 3 წუნდებული დეტალი 10 000 ცალზე. იაპონიაში შესრულებულ შეკვეთას თან ახლდა შემდეგი შინაარსის წერილი - პატივცემულო ბატონებო, იაპონელებს არ გვესმის ბოლომდე ჩრდილოეთ ამერიკის საქმიანი პრაქტიკა. მაგრამ ყოველ 10 000 დეტალზე ჩვენ სამი წუნდებული დეტალი ჩავდეთ და შევახვიეთ ისინი ცალკე. იმედი გვაქვს მოგწონებათ".

ეს არ ნიშნავს, რომ არავითარი ვარაუდები არ უნდა გავაკეთოთ. თუმცა, ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმის პროექტის რეალიზების დროს აუცილებელია იმის გაგება, რომ არ არსებობს არავითარი აპრიორული (წინასწარ განსაზღვრული) ვარაუდი იმის შესახებ თუ რა უნდა იყოს და რა არა, რა არის ნორმალური და რა არის გარდაუვალი. ამ მეთოდის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ არაფერია ხელშეუხებელი, ანუ ყველაფერი ეჭვის ქვეშ დაყენებას ექვემდებარება.

მესამე, რაც ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმის განმარტებიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმი მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას, რომელიც იქამდე დაქსაქსულ ობიექტებს და იდეებს გააერთიანებს. მრავალი უდიდესი გარღვევა მეცნიერებაში ინტუიციას ეყრდნობოდა და მხოლოდ შემდგომში მტკიცდებოდა თეორიულად. ეინშტაინის მიერ ფარდობითობის თეორიის და კრიკის და უოტსონის მიერ დნმ-ის სტრუქტურის აღმოჩენა – მხოლოდ ორი მაგალითია მრავალთაგან.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერიზმი აზროვნების სტილზეა დამოკიდებული. მაგალითად, ხალხი მუშაობდა ოფისებში სამრეწველო რევილუციის დროიდან მოყოლებული, ტელეფონი დაახლოებით 100 წლის წინ გამოიგონეს, ხოლო მოდემები - 20 წლის წინ. პერსონალური კომპიუტერები 70-იან წლებში შეიქმნა, ხოლო მათი საერთო გავრცელება

ბოლო 10 წელიწადში მოხდა. ოფისის ფლობა, ან მისი არენდა ძვირია. ადამიანები ბევრ დროს ხარჯავენ გზაში და სამსახურში მთელი დღე კომპიუტერებთან სხედან. მათი მგზავრობა ფული ღირს, დეფიციტური რესურსების ხარჯვას მოითხოვს და ხშირად გარემოს დაბინძურებას უწყობს ხელს. მაგრამ მიუხედავად ამისა ის, რომ “ხალხი ყოველთვის მუშაობდა ოფისებში”, იყო და რჩება საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებად. სხვა ალტერნატივები შეიქმნება, თუ კი ჩვენ დავუშვებთ მათი წარმოქმნის შესაძლებლობას. მაგალითად, ბევრისთვის სახლის პირობებში მუშაობა ამჟამად უკვე რეალური ფაქტია.

მეოთხე დასკვნა, რომელიც ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის განმარტებიდან გამომდინარეობს, ტექნოლოგიების გამოყენებას შეეხება. ზოგიერთი ადამიანი მცდარად ფიქრობს, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს და მეტ არაფერს. სინამდვილეში ტექნოლოგია მხოლოდ ერთ-ერთია რადიკალური გარდაქმნების მამოძრავებელი ძალებიდან. რასაკვირველია, ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგმა უნდა გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები, თუ კი სურს საქმიან პრაქტიკაში ბიზნესის წარმოების სულ უფრო რადიკალური და ეფექტიანი ხერხების დანერგვის ინსტრუმენტად დარჩეს. მაგრამ ამასთან ერთად იგი, სხვა მნიშვნელოვან ელემენტებსაც უნდა მოიცავდეს, მაგალითად იყენებდეს პროცესების მართვის სწორ პრინციპებს, სარგებლობდეს გარკვეული მიდგომებით პრობლემების გადაწყვეტისადმი და საყოველთაო ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდებით, მისდევდეს პერსონალის მართვის და მოტივირების თანამედროვე მიდგომებს.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი არ უნდა განვიხილოთ, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მიერ შექმნილი სტრატეგია, რადგან ამან შეიძლება არაადეკვატურ და ძვირადღირებულ გადამწყვეტილებებამდე მიგვიყვანოს. ინფორმაციული ტექნოლოგიები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია. მაგრამ საჭიროა, რომ ყველას, ვისაც კი ეს ეხება, ზოგადად მაინც ესმოდეს მათი პოტენციალი და მაშინ მოცემული ტექნოლოგია მოემსახურება რეინჟინირინგს, მაგრამ არ მართავს მას. იმისთვის, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგმა შეძლოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის წარმოჩენა, საჭიროა სხვადასხვა სახის პროფესიული გამოცდილება და ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპერტებმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ რეინჟინირინგის გუნდში.

და ბოლოს, ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი არსებულ პროცესს როგორც შემკვეთისთვის, ისე თვით ორგანიზაციისთვის უფრო ეფექტიანი პროცესით ცვლის. შემკვეთის თვალთახედვით, შეკვეთის შესრულების ვადის შემცირება და ბიუროკრატის არარსებობა, დაეხმარება მისი მოთხოვნილებების უფრო სწრაფ დაკმაყოფილებას. ორგანიზაციის თვალსაზრისით მცირდება დანახარჯები, იზრდება

კონკურენტუნარიანობა, უმჯობესდება მომსახურება და ამგვარად, ჩნდება ბაზრის მეტი წილის დაპყრობის შესაძლებლობა.

როგორ შეეფარდება ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი სხვა მიდგომებს? უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი იმ მენეჯერების განკარგულებაში არსებული შესაძლებლობებიდან მხოლოდ ერთ-ერთია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებით. ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი დგება მხოლოდ სათანადო პრაქტიკის საფუძველზე, იგი არ არის თეორია და არც ყველაზე სრულყოფილი ხერხი ორგანიზაციის მართვისა. ახალი მეთოდები, რომლებიც თავიანთი პრობლემების გადაჭრაში და არსებული შესაძლებლობების გამოყენებაში ეხმარებიან ორგანიზაციებს, მუდმივად ჩნდებიან და ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი უფრო ასეთი მეთოდია, ვიდრე რალაც უნივერსალური “ქოლგა”.

თუ ორგანიზაციაში უკვე დანერგილია ცვლილებების პროცესი, მაგალითად ისეთი, რომელიც მუშაობს შედარებით დიდი პერიოდის – 5 და მეტი წლის განმავლობაში, მას უნდა გააჩნდეს სოლიდური ინფრასტრუქტურა და ჩვეულებრივ სამუშაო პროცესში იყენებდეს შესაბამისი ინსტრუმენტების და მეთოდების ნაკრებს. ასეთ შემთხვევაში ათვისებული მეთოდებისთვის ახლის დამატება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

პრობლემები, რომლებიც ხელმძღვანელობის ჩარევას მოითხოვენ, წარმოიქმნებიან მაშინ, როდესაც ახალი მეთოდის გამოყენება სერიოზულად ეხება ორგანიზაციის დაუნერულ კულტურას. თუ მაგალითად, ორგანიზაციის ფორმალური, ან არაფორმალური კულტურა დასაქმების დონის ამაღლების პროცესში პერსონალის მოზიდვაში მდგომარეობდა, მაშინ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი ამ კულტურისთვის საფრთხის მომტანად აღიქმება, რომელსაც მთელი პროცესის განადგურება შეუძლია, თუ კი არ დაინერგება სათანადო ცოდნით და სიფრთხილით. თავის მხრივ ორგანიზაცია, სადაც არ არსებობს ფორმალური პროცესი და რომელსაც სურს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი-ს დაწყება, უნდა აცნობიერებდეს, რომ სანამ არ იქნება განვითარებული ხარისხიანი ინფრასტრუქტურა, ერთადერთი მოსალოდნელი შედეგი ენთუზიაზმის ამოფრქვევა და მოჩვენებითი პროგრესი იქნება, რომელსაც სწრაფი დაცემა და პროექტისთვის განაჩენის გამოტანა მოჰყვება, რომ ესაა მენეჯერების სრულიად უვარგისი გამოწონა.

საჭირო ინფრასტრუქტურა საკუთარ თავში ორგანიზაციის კულტურის სხვადასხვა შემადგენლებს მოიცავს, რომლებიც ცვლილებების ჩამოყალიბებული პროცესების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ. მათ მიეკუთვნება ქცევის სტანდარტები და მკაფიოდ დასახული მისია. შემუშავებული სათანადო დოკუმენტები უნდა იყოს გასაგები, თანამშრომლები მათ ყველა დონეზე და ყოველდღიურად უნდა იყენებდნენ. ინფრასტრუქტურა ასევე ითხოვს მუდმივ ზრუნ-

ვას ორგანიზაციის “ჯანმრთელობაზე”, მის სტრუქტურაზე, მართვის ხერხებზე, შემკვეთებზე (როგორც შიგა, ისე გარე) რეალური ორიენტირების ხარისხზე, ინფორმაციის გადაცემის პროცესზე, და ბოლოს, პროფესიულ ავტორიტეტზე, რომელიც სხვადასხვა დონის თანამშრომლებს შორის არსებობს.

არ ყოფილა ცვლილებების არც ერთი წარმატებული პროცესი, რომელიც მხოლოდ ერთ ინსტრუმენტს, ან მეთოდს ემყარებოდა. ორგანიზაციებმა, რომელთაც ჯერ არ დაუწყიათ ცვლილებების პროცესი და სურთ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის გამოყენება, უნდა გააცნობიერონ, რომ იქ, სადაც ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი არ მიესადაგება, მათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად სხვა მეთოდებიც დასჭირდებათ.

სიახლეები მენეჯერულ აზროვნებაში ზოგიერთ კომპანიაში კრახს განიცდიდნენ იმის გამო, რომ არასწორედ გაიგეს, არასწორედ დანერგეს და ცუდად გამოიყენეს ახალი მეთოდები. უდავოა, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი ეფექტიან პროცესს წარმოადგენს, ხოლო მისი სათანადო გამოყენებისთვის საჭიროა ამ მეთოდის არსის ზუსტი გააცნობიერება და აზროვნების ახალ წესის დამკვიდრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hammer, M. and Champy, J. A. Reengineering the Corporation: A Manifesto for Business Revolution, Harper Business Books, New York, 1993.

ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები ფერმერულ მეურნეობებში

მანანა შალამბერიძე, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლება დამოკიდებულია მენარმეობის სფეროზე, საქმიანობის ეკონომიკური სტრატეგიაზე, ტექტიკის სწორად განსაზღვრაზე და მაღალი მოთხოვნის მაღალ-მოსავლიანი კულტურების წარმოებაზე. ცალკეულ კულტურათა ეფექტიანობის მაჩვენებლების შედარებამ გვიჩვენა, რომ ფერმერულ მეურნეობებში სპეციალიზაციის ოპტიმალური სტრუქტურის პირობებში, მოსავლიანობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვებად უნდა მივიჩნიოთ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასაწყობო, სამაცივრო, სატრანსპორტო და მექანიზაციის საშუალებები) სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს რელიზაციის ხარჯების შემცირებას და პროდუქციის ხელსაყრელ პერიოდში (მაღალი ფასებით) რელიზაციიდან შემოსავლების გადიდებას.

საკვანძო სიტყვები: ფერმერული მეურნეობები, ეკონომიკური ეფექტიანობა, აგრარული ბიზნესი.

Summary

Economic efficiency reserves in farms

Depending on the efficiency of the farming enterprise, the economic strategy, tactics and determination of the high demand for high-yielding crops. In some cultures, the effectiveness of comparative analysis, the farms specialized optimal structure in terms of productivity increases, economic to enhance the effectiveness of the reserve should be considered as its material and technical resources (storage, refrigeration, transportation and vehicles) to perfection, which will contribute to the realization reducing costs and production fertile period (high prices) to increase revenue from the sale.

* * * * *

აგრარული ბიზნესის, ისე, როგორც ნებისმიერის ხვას ფეროს ბიზნესის მთავარ ფაქტორად მოგება გვევლინება. მოგება ბიზნესის მიმდინარე და გრძელვადიანი განვითარების საკუთარი წყარო და სასაქონლო წარმოების ძირითადი ეკონომიკური კატეგორიაა. მოგებაში კონცენტრირებულია განსაზღვრული სამენარმეო ეკონომიკური ურთიერთობები და ის წარმოადგენს ქვეყნის შიდაპროდუქტის ნაწილს.

თანამედროვე პირობებში აგრარული სფერო საქართველოში პრიორიტეტულ დარგადაა აღიარებული ამას განაპირობებს ის, რომ: სოფლის მეურ-

ნეობის დღევანდელი სურათი, სასოფლო-სამეურნეო დარგების გაადგილებისა პროდუქციის წარმოების მოცულობების თვალსაზრისით შემდეგია:

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარეფასებში, მლნ. ლარი)

	2009	2010	2011	2012
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სულ	2072,2	2241,8	2674,0	2740,0
მემცენარეობა	868,3	932,1	1237,9	1009,7
მეცხოველეობა	1140,5	1240,0	1336,8	1620,4
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	63,4	69,4	99,3	109,9

წყარო: საქართველოს სოფლისმეურნეობა 2013 წ. სტატისტიკური პუბლიკაცია

მემცენარეობისა და მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილები სოფლისმეურნეობის პროდუქციის ამოშვებაში (პროცენტულად)

	2009	2010	2011	2012
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სულ	100	100	100	100
მემცენარეობა	42	42	46	37
მეცხოველეობა	55	55	50	59
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	3	3	4	4

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2013 წ. სტატისტიკური პუბლიკაცია

მემცენარეობის პროდუქციის გამოშვების წილის ცვალებადობა და შემცირება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში ძირითადად გამოწვეულია ნათესი ფართობების შემცირებით, მ.შ. მარცვლეული კულტურებისა, ტექნიკური კულტურებისა, საკვები კულტურებისა. მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის ფართობი, სიმინდის, მზესუმზირის, ბოსტნეულის, რამდენადმე გაიზარდა კარტოფილისა და ბაღყეულის ფართობები. ჯერ კიდევ დაბალია მეცხოველეობის პროდუქციის გამოშვება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ 2009 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 124,3 %-ით და შეადგინა 537,1 მლნ. ლარი. მემცენარეობაში 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 109,9%-ით და შეადგინა 91,6 მლ. ლარი. მეცხოველეობაში 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 131,9%-ით (პროდუქტიულობა გაიზარდა) და შეადგინა 392,8 მლნ. ლარი. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას, იგი 2009

ნელთან შედარებით გაიზარდა 190,5 %-ით და შეადგენს 52,7 მლნ. ლარს.

საჭიროა კვლავ ინტენსიურად განვითარდეს მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც ქვეყანაში დიდი ხელშემწყობი ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები არსებობს. კერძოდ, ეს ეხება ყურძნის, ხილის, ჩაის და მათი გადამამუშავებით მიღებული პროდუქტების წარმოების ზრდას ამ დარგების რაციონალური და სხვა დარგებთან გამართლებული პროპორციით შეთანხმებული განვითარება, ერთ-ერთი ძირითადი პირობა უნდა იყოს ამ პრიორიტეტული დარგების პროდუქციის გარანტირებული ექვივალენტური გაცვლების და სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირურთიერთობების, საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ჩასმისა და თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის.

დღეს აგრობიზნესი წარმოდგენილია დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი, მრავალრიცხოვანი, შედარებით მცირე ოჯახური მეურნეობების და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოებისგან. სფეროში ჯერ კიდევ მცირე რიცხოვანია მსხვილი ფერმერული ტიპის მეურნეობები. აგრობიზნესის ეს სფერო წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის ერთ მთლიან ეკონომიკურ ერთეულს და ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მიუხედავად მისი ზომისა, იურიდიული სტატუსისა, აქტივების მფლობელობის ფორმისა (საკუთარი ან იჯარით აღებული) და წარმოების მიზნისა (რეალიზაცია, საკუთარი მოხმარება) და ა. შ. დღეისათვის ქვეყნის აგრარულ სფეროში უმეტესობას წარმოადგენს მცირე, ოჯახური, მენარმე ფერმერები, როგორც წესი, მათ არ შეუძლიათ სფეროს მონოპოლიზება ბაზარზე ზემოქმედება საბაზრო ფასებით, რაც მთავარია, მათ არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ აგრობიზნესში დასაქმებულ მსხვილ ფერმერებს, კომპანიებს, კორპორაციებს, შუამავალ სტრუქტურებს და ა.შ.

ფერმერულ მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია მენარმეობის სფეროს და საქმიანობის ეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის სწორად განსაზღვრაზე. ფერმერულ მეურნეობებში მოგების ზრდის ძირითადი წყარო კულტურების მოსავლიანობის ზრდასა და მაღალმომგებიანი კულტურების წარმოებაში უნდა ვეძებოთ. ამიტომ, საჭიროა განზოგადებული მოგების მაჩვენებლებთან ერთად განვიხილოთ წარმოების ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა მოსავლიანობა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა, მოსავლიანობა.

მოსავლიანობა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებელია, მისი ამაღლება ფერმერს დაეხმარება სასურველი მოგების მოცულობის და ამ მიზნით შესაბამისად ნათესი ფართობის სიდიდის განსაზღვრაში.

მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის წარმოება საქართველოში

ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

წელი	მარ-ცმ-ლეუ-ლი	მათ-შორის		კარ-ტო-ფილი	ბოსტ-ნუ-ლი	ხილი	ქ-ურძე-ნი	ჩაი	
		ხორ-ბაღი	სი-მინ-დი						
საქა-რო-ქვე-ლი	22011	397,6	96,8	269,6	273,9	185,8	187,3	159,6	2,9
	22012	370,0	80,7	267,0	252,0	198,5	157,9	144,0	2,6
წილი %	22011	17,2	—	24,9	0,2	11,1	9,8	21,7	6,8
	22012	18,2	—	25,5	0,3	10,0	13,8	13,8	—

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა. 2013 წ. სტატისტიკური პუბლიკაცია

ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი მოთხოვნის მაღალმოსავლიანი კულტურების წარმოებას. ცალკეულ კულტურათა ეფექტიანობის მაჩვენებლების შედარებამ გვიჩვენა, რომ ფერმერულ მეურნეობებში სპეციალიზაციის ოპტიმალური სტრუქტურის პირობებში, მოსავლიანობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასაწყობო, სამაცივრო, სატრანსპორტო და მექანიზაციის საშუალებები) სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს რეალიზაციის ხარჯების შემცირებას და პროდუქციის ხელსაყრელ პერიოდში (მაღალი ფასებით) რეალიზაციიდან შემოსავლების გადიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეშელაშვილი ო. „ბიზნესურიეკონომიკა“ თბ.2010 წ.
2. ყამარაული ს. და ავტორთა კოლექტივი „წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ-მეურნეობებში“ თბ. 2000
3. საქსრთვრლოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს სოფლისმეურნეობა 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია თბ.2013

ინოვაციური ეკონომიკის რეგულირება საბაზრო

ურთიერთობათა პირობებში

აკაკი გვარუციაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ანა ბოლქვაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

* * * * *

რეზიუმე

საზოგადოების პროგრესირებადი, ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეცნიერებატევადი პროდუქციითა და მომსახურებით შეუძლებელია ინოვაციათა ფართოდ გამოყენების გარეშე.

იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარდეს აუცილებელია წავიდეს ინოვაციური განვითარების გზით. ამისათვის კი, საჭიროა პირველ რიგში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმების ჩამოყალიბება. ეკონომიკაში ინოვაციების როლისა და მნიშვნელობის გაძლიერებას განაპირობებს სოციალურ ამოცანათა კომპლექსი, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის კვლავწარმოების პრობლემები.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზე სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, სამეურნეო საქმიანობაში მთავრობის ჩარევის მასშტაბები შეიძლება განისაზღვროს როგორც მინიმალურად აუცილებელი.

სახელმწიფო რეგულირების მიზანი საკმაოდ მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას უკავშირდება და რეგულირების ობიექტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რა არის აღიარებული ქვეყნის ძირითად სტრატეგიად, განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის მიმართულებად.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, პროგრესირებადი, სტრატეგიული მართვა, ინდიკატური დაგეგმვა.

Summary

The important and obvious for postindustrial level of community development is innovative processes, not only material wealth growing but its qualitative improvement, the basic rule of community improvement.

Current reforms in our country, which's principal content serves moving on market economic, demands the improvement of state regulation systems of Economic and new approach towards to it.

The aim of state regulation is related to many social economic problems. Regulation objects in different countries are different under principal strategy, Particular areas of national importance.

Solution of problems is impossible, that exist in the field of innovative economic regulation, for this is necessary purposeful study of overseas experience and its using by foresee our country's features.

საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიული საფეხურისათვის ინოვაციური პროცესების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგრძნობია არა მარტო მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდების, არამედ მისი თვისობრივი სრულყოფის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების წესის ძირეული გაუმჯობესების მხრე.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, რომლის მთავარი შინაარსი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას ემსახურება, მოითხოვს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფას და მისადმი ახლებურ მიდგომას.

იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარდეს, აუცილებელია წავიდეს ინოვაციური განვითარების გზით. ამისათვის კი საჭიროა პირველ რიგში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმების ჩამოყალიბება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ მთავარია განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ორი ძირითადი მიდგომა, რომელშიც მარეგულირებელ ფაქტორებს უპირატესად საბაზრო მექანიზმები წარმოადგენს და ე.წ. შერეულ ეკონომიკას, სადაც საბაზრო მექანიზმებთან ერთად სახელმწიფოც ასრულებს ეკონომიკის მარეგულირებელ ფუნქციას. უნდა აღინიშნოს, რომ XX-ე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში („რიგანომიკა“), ინგლისში („ტეჩერიზმი“) და სხვა ეკონომიკური მიმართულებანი მეტყველებენ კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების აღორძინებას. ამასთან დასაბამი მიეცა ნეოკლასიზმის (მ. ფრიდმანი) თეორიის შემდგომ განვითარებას. ამ დოქტრინის ჩარჩოებში საფუძვლიანად შეიკვეცა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები, ამასთან საუბარიც კი ზედმეტია მის სრულ გაუქმებაზე.¹

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო საქმიანობაში მთავრობის ჩარევის მასშტაბები შეიძლება განისაზღვროს, როგორც „მინიმალურად აუცილებელი“.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხის უდიდესი ავტორიტეტი ჯ. მ. კეინზი იძლეოდა გაფრთხილებას: „სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრულ ფარგლებში დაეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობა ზიანი მიაყენოს მას განუსაზღვრელია“.²

1თ. შენგელია. ინოვაციური პროცესები. თბ., 1997, გვ. 50.

2 ი. ქვანახია. თეორიული ეკონომიკა. თბ., 1966, გვ.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ მოსაზრებას, როგორც გარდამავალ, ასევე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ემხრობა ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილი. როგორც აღნიშნავს გ. პაპავა „მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში თავისუფლება არ გამორიცხავს რეგულირებას, რომელიც მოქმედებს მონინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც სტრატეგიული მართვის კომპონენტი... სახელმწიფო ახორციელებს ინდიკატურ დაგეგმვას და მის საფუძველზე სტრატეგიულ მართვას“.³

რ. გოგოხიას აზრით: „საბაზრო მექანიზმთან ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების ორგანულმა შერწყმამ შექმნა ეკონომიკის რეგულირების ერთიანი, გარკვეული აზრით, მთლიანი მიზნობრივი სისტემა“.⁴ ნ. ჭითანავას აზრით „ახალი ტიპის შერეული ეკონომიკის ფორმირება უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სახელმწიფო რეგულირებასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს რეგულირების როლზე ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში. დემოკრატიზაციის გაფართოება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესუსტებას კი არ ნიშნავს, არამედ სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, ძალისმიერი ჩარევიდან უფრო ცივილიზებულ ფორმებზე გადასვლას, მაგრამ ეს ჩარევა არ უნდა იყოს უსაზღვრო და არც გარკვეულ ზღვარზე დაბლა.“

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიზანია ბაზრის მაღალეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას, თავდაცვის უზარიალობის განმტკიცებას, განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების სისტემის რეფორმირებას, ეკოლოგიური პრობლემების გადანეწყვტას, მძლავრი სატრანსპორტო და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას მტკპ-ის მიღწევათა საფუძველზე და ა.შ.

სახელმწიფო რეგულირებამ უნდა განახორციელოს ორი ძირითადი ფუნქცია: ინდიკატორული და მასტიმულირებელი, რომელსაც სრულიად განსაზღვრული როლი აკისრიათ ინოვაციური განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. პირველი ემსახურება ინოვაციური განვითარების სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების ფორმირებას, ხოლო მეორე კი — ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას სიახლეთა შექმნის, დანერგვის, წარმოების და მოხმარების ყველა სტადიაზე.

სახელმწიფო რეგულირების მიზანი საკმაოდ 268.

3 გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძველები. თბ., 1991, გვ. 10.

4 რ. გოგოხია. საბაზრო ეკონომიკა. ლექციების კურსი. თბ., 1996, გვ. 143.

5 ნ. ჭითანავა. შერეული, მრავალწიფობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბ., 1996. გვ. 10.

მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას უკავშირდება და რეგულირების ობიექტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რა არის აღიარებული ძირითად სტრატეგიად, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიმართულებად.

სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია ინოვაციური სფერო, ინოვაციური საქმიანობა, რომლისადმი ინტერესმა, ქვეყანაში შექმნილი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, უკანა პლანზე გადაინია. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ გატარებულა ისეთი საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც სტიმულს მისცემდა მენარმეობას, მის ინოვაციურ განვითარებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება პირობითად წარმოვიდგინოთ როგორც ორი კომპონენტისაგან შემდგარი: პირველი — ესაა საბაზრო სისტემის საფუძველების ჩამოყალიბება და მეორე, საბაზრო სისტემის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, საკუთრივ, სამეურნეო მექანიზმის ჩართვით (სამეურნეო მექანიზმის ქვეშ იგულისხმება თეორიულ შეხედულებათა სისტემა, ეკონომიკის მართვის მეთოდები და საშუალებანი). საბაზრო სისტემის საფუძველებს შეიძლება მივაკუთვნოთ საკუთრება მის კონკრეტულ ფორმებში და მათი ადექვატური სამენარმეო საქმიანობის ტიპები (ფორმები). მეორე კომპონენტს მივაკუთვნებთ ფორმებს შორის, ფორმებსა და ფიზიკურ პირებს, სახელმწიფო და საშინაო მეურნეობებს შორის და ბოლოს, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობების ლეგიტიმურობის წესებს. ინფრასტრუქტურას ასევე ეკუთვნის მთელი ფინანსური სისტემა (ფულად-საკრედიტო დაწესებულებები ეროვნული ბანკის ჩათვლით, კომერციული ბანკები, საფონდო და სასაქონლო ბირჟა, სხვადასხვა ფონდები, სადაზღვევო სტრუქტურები, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის ორგანოები და ა.შ.). არ არის საჭირო ვამტკიცოთ, რომ ორივე ეს კომპონენტი წარმოადგენს ერთიანობას, ხოლო პირველი მათგანი გამოდის როგორც დეტერმინანტი. რატომ გახდა აუცილებელი მაინცდამაინც XX ს-ში და არა უფრო ადრე სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ღრმა ეკონომიკური ჩავარდნების შედეგების, ეკონომიკის განვითარების წონასწორობიდან გადახრების დასაძლევად? საერთო წონასწორობიდან გადახრებს ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი ეროვნულ ჩარჩოებში დაიძლეოდნენ, რადგან შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არ იყო ღრმა და გადახრები მოიცავდნენ ცალკეულ დარგებს და არა მთელ ეროვნულ მეურნეობას.

რამდენადაც ტექნიკური პროგრესი არის ციკლურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, XX ს-ში იგი ყველა ფორმით უნდა გაძლიერებულიყო, უფრო გაზრდილიყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მოთხოვნილება, რასაც სინამდვილეში ჰქონდა კიდევაც ადგილი. ასეთი მოთხოვნის ყველაზე ძლიერი სიგნალი გახდა 1929-1933 წწ. „დიდი დეპრესია“. მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევამ მისცა აშშ-ს ეკონომიკას კრიზისიდან გამოსვლის საშუალება. ბიზნესის

შეუზღუდავი თავისუფლების იდეები უარყოფილ იქნა „დიდი დეპრესიის“ რეალიებით, როდესაც სახელმწიფოს ისევ მოუწია გამოეყენებინა შესაბამისი ბერკეტები კრიზისული შედეგების შერბილების, უმუშევრობისა და დეფლაციის დონის ზრდის შერყევების მიზნით. შემდეგი ციკლური კრიზისებიდან გამოსვლა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ახალი ფორმების გაძლიერებასთან.

სახელმწიფო და ბიზნესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სისტემებია. მათ შორის თანაფარდობის დასადგენად გამოდიან შემდეგი ზოგადი ფორმულიდან: მეურნეობრიობაზე არ უნდა იყოს სახელმწიფო მონოპოლია, ასევე არც რაციონალური ბიზნესია შესაძლებელი სახელმწიფოს გარეშე. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს როგორც პარტნიორული. ამ ურთიერთობების ამგვარი ხასიათი ბოჭავს (ზღუდავს) ორივე მხარის თავისუფლებას. სახელმწიფო, რომელიც არ უშვებს თავისუფალ ბიზნესს, განწირულია, ასევე განწირულია ბიზნესი, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს. არავინ იცის, რა არის უფრო საშიში — ბრძოლა ბიზნესის თავისუფლების წინააღმდეგ თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ბიზნესმენი, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადანყვებილების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ჩარჩოების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შეიძლება სრულიად თავისუფალი იყოს თავის გადანყვებილებებში. არის სფეროები და საკითხები, რომლებშიც სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს.

სახელმწიფო რეგულირება შეიძლება იყოს როგორც დადებითი ფაქტორი, ასევე უარყოფითი, რაც ანელებს სოციალური განვითარების პროცესს, თრგუნავს მენარმეების ინტერესს მაღალეფექტიანი საქმიანობისადმი. სწორედ ეს პროცესი დააფიქსირა ტეტჩერმა 70-იან წლებში. „შეზღუდული მთავრობის“ იდეა, ანუ იდეა მთავრობისა, რომელმაც უარი განაცხადა თავისი ფუნქციების გაფართოებისათვის ბრძოლაზე და ნაცვლად ამისა შეკვეცა თავის უფლებამოსილებათა სფერო, გახდა განმსაზღვრელი მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკაში. შედეგები მიღებულ იქნა 10 წლის შემდეგ - გაფართოვდა კერძო სამენარმეო ინიციატივისათვის ასპარეზი, გაიზარდა წარმოების ეფექტიანობა და ა.შ.

აშშ-ში ბიზნესი უფრო მძლავრია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. იქ შესაბამისად არსებობს უფრო მძლავრი რეგულირების სისტემა. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომლებიც არეგულირებენ მენარმეობას: სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისია, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირების კომისია, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კომისია, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია, შრომითი ურთიერთობების ნაციონალური საბჭო, სოციალური დაცვის უწყება, თანაბარი დასაქმების ხელშეწყობის კომისია, პროფესიული უსაფრთხოებ-

ის უწყება, საპენსიო დაგეგმვის უწყება, გარემოს დაცვის უწყება, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და დამუშავების უწყება და სხვ.

70-იანი წლების ბოლოს გაერო მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის რეგულირება. ამ საკითხს 1981 წელს მიეძღვნა გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ, რომელზეც მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე მიღებული იყო სამართლიანი პრინციპებისა და ნესების კომპლექსი, შემზღუდველ საქმიან პრაქტიკაზე კონტროლის განსახორციელებად. შემოღებულ იქნა შესაბამისი სანქციები: საერთაშორისო ურთიერთობებში სანდო პარტნიორის რეპუტაციის დაკარგვა, რაც იწვევს ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის დანაკარგებს, სუბსიდიების მიღებაზე და ა.შ.

კვლევები აჩვენებს, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების დონეს შორის. რაც მეტია ეს დონე, მით მძლავრი და მრავალმხრივია სახელმწიფოს გავლენა საბაზრო მექანიზმებსა და რეგულატორებზე. სახელმწიფო გადაიქცევა სამეურნეო-საფინანსო სისტემის მძლავრ მაკორდინირებელ და მარეგულირებელ ცენტრად. ლოგიკის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია შექმნას საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მექანიზმიც. „მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა, და მით უმეტეს, შერეული საბაზრო ეკონომიკა, საერთოდ არ არსებობს, რამდენადაც, ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა არ არის, მეორეც, საბაზრო მეურნეობა თავისი ბუნებით, არსით არასოციალურია. სოციალურობას ის, როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, იძენს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით“ აღნიშნავს პროფ. რ. გოგოხია.

სახელმწიფოს ეკონომიკური მისია შემდეგი ამოცანების გადაჭრაშია: ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტების განსაზღვრა; შეღავათიანი დაკრედიტება სახელმწიფო გარანტიების გამოყენების ხარჯზე; ეკონომიკური ზრდის ეროვნული „ლიდერების“ გამოზრდა; ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება (მათ შორის სახელმწიფო შესყიდვებისა და შეკვეთების ჩათვლით); მონინავე ტექნოლოგიების განვითარების, საბაზრო დარგების, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის, სამამულო ტექნიკის მსხვილი ლიზინგის სახელმწიფო მხარდაჭერა, საშინაო ბაზრის დაცვის ვალუტის დევალვაცია და ფულადი სისტემის გამყარების მიზნით ოქროს და სხვა სავალუტო რეზერვების შენახვა; სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და იმპორტის შემცირება; დაგეგმვის და რეგულირების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; ფულადი და საბანკო-საკრედიტო სისტემის დეზინტეგრაციის დაძლევა; ირიბი გადასახადების დონის შემცირება; საშინაო და საგარეო ვალის რესტრუქტურირება მისი შემცირების მიზნით და მისი მომსახურების ხარჯების შემცირება; საფი-

ნანსო ბაზრის რეფორმა, საფინანსო ნაკადის მიმართვა რეალური ეკონომიკისაკენ; ეკონომიკური და ადმინისტრაციული კონტროლის ზომების მიღება ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებაზე; ბუნებრივი მონოპოლიების ფასწარმოქმნის რეგულირება.

მაგრამ მიუხედავად სახელმწიფოს საქმიანობის ასეთი მრავალფეროვნებისა შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი ეკონომიკური ფუნქცია; ეფექტიანობის გადიდება, თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა და ზრდის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებისა და პირობების ნიველირების ტენდენცია. მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის პროცესები, რომლის ორივე ფორმა (ინტეგრაციული და ტრანსეროვნული) ხელს უწყობს განსხვავებული ეკონომიკური სისტემების ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი ელემენტების ექსტერიტორიულ გავრცელებას. ამავე დროს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სპეციფიკა კვლავაც რჩება მსოფლიო განვითარების მრავალფეროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად.

მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, დროდადრო გადაივლის ხოლმე პრივატიზაციის ან პირიქით, ეკონომიკის ცალკეულ დარგებში და სამეწარმეო საქმიანობაში, ამა თუ იმ ფორმითა და მეთოდით, სახელმწიფოს უშუალოდ ჩართვის ტალღები.

განვითარებული ქვეყნებიდან, სწორედ ევროპაშია თვალშისაცემი ძლიერი სახელმწიფოს ტრადიციები სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე. თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანას ახასიათებს საკუთრების, მენარმეობის ფორმების მრავალფეროვნება. ეროვნული ეკონომიკის მოდელი, სახელდობრ, აშშ-ში გამოირჩევა სახელმწიფო საკუთრების მინიმალური პირდაპირი გავლენით. აშშ ამ მხრივ შეიძლება მივაკუთვნოთ საბაზრო განვითარების კლასიკურ ლიბერალურ ნიმუშს, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა აშშ-ს ხელისუფლება შედარებით გაეზარდა სახელმწიფო საკუთრება და ამ მხრივ დახმარებოდა გაკოტრების პირას მყოფ ისეთ ცნობილ ავტომწარმოებელ კომპანიებს, როგორებიცაა: ჯენერალ მოტორსი, კრაისლერი და ა.შ.

აშშ-ში მოქმედებს ვენჩურული ფირმები (ფირმები სარისკო კაპიტალზე) და „სპინ-ოფფ“ (შვილობილი ფირმა) ფირმები, რომლებიც შედგებიან დამოუკიდებელი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ცენტრების და სხვა მსხვილი კორპორაციების სპეციალური ლაბორატორიებისაგან. ამ ფირმების საშუალებით ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე ინოვაციური ცენტრი, რომელსაც აფინანსებს აშშ ეროვნული სამეცნიერო ფონდი. აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ესფ) არა მხოლოდ აკრედიტებს ინოვაციურ ფირმებს, არამედ უსასყიდლოდ აძლევს მათ გარანტიებს სუბსიდიის მიზნით.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში

ინოვაციური საქმიანობის რეგულირება და სტიმულირება მიმდინარეობს ეროვნული კვლევითი პროგრამებისა და სახელმწიფოს მონაწილეობის საფუძველზე. პროგრამათა დამუშავების კრიტერიუმებს მიეკუთვნება სახელმწიფოს, კორპორაციებისა და ფირმების ნებაყოფლობითი მონაწილეობა მასში. ამიტომ თითოეული მონაწილე საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით კი, იაპონური ეკონომიკის გამოცდილებამ აჩვენა ასეთი პროგრამების ეფექტიანი გამოყენება. კერძოდ, ეროვნული რესურსების კონცენტრაციის მიზნით ტექნიკური მიღწევების გამოყენება. ვინაიდან იაპონიაში განლაგებულია ბუნებრივი რესურსების მინიმუმი, ქვეყნის მთავრობას სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა მიაჩნია საერთო ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ საშუალებად. იაპონიის პოლიტიკა კონცენტრირებულია პროდუქციის ექსპორტზე, რომელიც სამედიცინო პროდუქციის სფეროში ლიდერობას ითვალისწინებს. სახელმწიფო აპარატსა და სამრეწველო სექტორს შორის ურთიერთობა საერთო მიზნიდან გამომდინარე, ძირითადად ყალიბდება პრაგმატული გადაწყვეტილებების, ურთიერთპატივისცემისა და შეთანხმებული საქმიანობის საფუძველზე.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის იაპონური მოდელი გვთავაზობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას ტექნოპოლისების სახით, რომლებიც შეესაბამებიან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს (სკსსს) და სამეცნიერო წარმოებას. იაპონიაში ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება ხასიათდება სკსსს-ის ინდიკატური დაგეგმვით, მაღალი საიმპორტო საბაჟო ტარიფით, სკსსს-ის დაფინანსებაში საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით, ასევე ახალი სამეცნიერო საქონლის მოძრაობისას პროტექციონისტული პოლიტიკით. ინოვაციური საქმიანობის აქტიურობის შედეგებით იაპონია პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში. იაპონური კომპანიები მნიშვნელოვნად თვლიან საქონელს, რომელიც დამზადებულია მონივნვე ტექნოლოგიების შედეგად. სკსსს-ზე დანახარჯების მიხედვით გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი (ევროკავშირის ქვეყნები) მსოფლიო ტექნოლოგიურ სივრცეში, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ მე-3, მე-4 და მე-5 ადგილებს იკავებენ. სკსსს-ის თვალსაზრისით, ევროკავშირის ქვეყნების ბაზაზე მოქმედებს რამდენიმე პროგრამა: „ბელიუ“, „ესპრიტი“, „რასე“, „ევრიკა“. ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებას ევროკავშირი ახორციელებს იმ პრინციპების პარალელურად, რომლებიც მიღებულია საერთოდ მსოფლიოში.

საფრანგეთში შეიმჩნევა ინოვაციური საქმიანობის ცენტრალიზებული რეგულირების განსაკუთრებით მაღალი დონე, სადაც სამეცნიერო გამოკვლევა აღიარებულია ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმების სახით. ინგლისში არაა ინოვაციური საქმიანობის რეგულირების ცენტრალიზებული სისტემა, მაგრამ

არსებობს კარგად შემუშავებული ურთიერთქმედების მექანიზმი, კერძოდ, ინოვაციათა დამუშავების კოორდინაციის ნებართვა. აშშ-ში ეკონომისტები და სოციოლოგები გამოყოფენ ვენჩურულ ბიზნესს, სადაც მნიშვნელოვანია „კონდრატიევის ციკლი“, რომელიც ნოვაციური სტრატეგიის დამუშავებისას გამოიყენება.

თანამედროვე პირობებში ამერიკული, იაპონური და ევროპული კომპანიები გამოშვებული საქონლის მონოპოლიზაციის მიზნით მიდიან ნარმოების კონცენტრაციისა და დივერსიფიკაციის გზაზე. ამის მაგალითია, ამერიკული კომპანიები: „ჯენერალ ელექტრიკი“, „ფორდ მოტორსი“, იაპონური კომპანიები: „სონი“, „ტოიოტა“, შვედური კომპანია „ელექტროლუქსი“, გერმანული კომპანია „სიმენსი“. სამხრეთ კორეული კომპანია „სამსუნგი“ და სხვ. მსხვილი ფორმები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები ნარმოებასა და ბაზარზე, რაც მოძველებული პროდუქციის გაუმჯობესებით მიდინარეობს. მათთვის სიახლე ნიშნავს მხოლოდ მოგების გადიდებას ან ბაზრის გაფართოებას. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მსხვილი ფორმები არ ცდილობენ მიიღონ ტექნოლოგიური და ტექნიკური სიახლე მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან მის ეფექტიანობაში. დარგები, სადაც ხშირად იცვლება ტექნოლოგიები მიეკუთვნება; ელექტრონიკა, ქიმიური მრეწველობა, ფარმაცევტული მრეწველობა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ინგლისში მიმდინარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის და სახელმწიფო სექტორის მაქსიმალური შემცირების პოლიტიკა. ამის შედეგად, გაერთიანებული ევროპის კავშირში ინგლისი აღმოჩნდა იმ ქვეყნების რიგში, სადაც სახელმწიფოს ხვედრითი წილი საკმაოდ დაბალია.

ინგლისის საპირისპირო პოლიტიკას ატარებს დღეს საფრანგეთი. იქ სახელმწიფო სექტორი ისტორიულად თამაშობდა მეტად მნიშვნელოვან როლს და დღესაც იტალიის, პორტუგალიის და საბერძნეთის გვერდით, გაერთიანებული ევროპის კავშირის იმ ქვეყნების რიცხვში შედის, სადაც სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი არის საკმაოდ დიდი (15%-მდე).

უკლებლივ ყველა შემთხვევაში სახელმწიფო იმისათვის, რომ იყოს საბაზრო და კონკურენტული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების გარანტი, ობიექტურად იკავებს გარკვეულ მდგომარეობას საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა მას ავალდებულებს, ჯერ ერთი, თავი მოუყაროს მთელი საზოგადოების ინტერესებს და იყოს მათი გამომხატველი, მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში შეინარჩუნოს მოქნილი, მაგრამ ერთიანი „თამაშის წესები“, მესამე, იყოს საიმედო „ზურგი“, ხშირად კი ეროვნული კომპანიებისათვის „შორსმხედველი“ მსოფლიო საინვესტიციო ბაზარზე. გამოდის, რომ დღეს, როცა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების ისტორიაში არაერთი საუკუნეა გავლილი, სახელმწიფოს აღნიშნული „ეკონომიკური ვალდებულებები“ კი არ ძველდება და

იშრიტება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სულ უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

თეორიულ ასპექტში საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოდ სახელმწიფო ცდილობს გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე, „ეკონომიკურ მოძრაობაზე“ მისთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მეთოდებით. ამავე დროს, იგი არც თუ იშვიათად უკუზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური განვითარების სულისკვეთებითა და განწყობით, მაშინ მასსა და ამ განვითარებას შორის არ ნარმოიქმნება რაიმე კონფლიქტი და ეკონომიკური განვითარება ჩქარდება. იქ, სადაც რომელიმე ქვეყნის შიდა სახელმწიფო ხელისუფლება ანტაგონიზმში მოექცა მის ეკონომიკურ განვითარებასთან, როგორც ეს აქამდე განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ემართებოდა თითქმის ყოველ პოლიტიკურ ხელისუფლებას, იქ ბრძოლა პოლიტიკურ ძალაუფლების დამსობით მთავრდებოდა.

მამასადამე, ჩამოვაცალიბოთ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები, რომელთა მიღწევა მხოლოდ გონივრული სამენარმეო პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი: მენარმეთა ინტერესების დასაცავად სამართლებრივი ბაზის დამუშავება და მიღება; კანონმდებლობაზე კონტროლის განხორციელება; სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის ამაღლება და მასზე დანახარჯების შემცირება; სამენარმეო საქმიანობაში პირდაპირი ჩარევისა და ბიუროკრატიული კონტროლის შესუსტება; ბაზარზე თავისუფალი არჩევანისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბება; ქვეყნის ბიუჯეტის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სწორი ფინანსური, საგადასახადო, ფულადი და საპროცენტო პოლიტიკის გატარება; სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების და სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის გატარებისას მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გათვალისწინება; ინფლაციის მართვა ეკონომიკური მეთოდებით და კაპიტალის დაგროვების ზრდის ხელშეწყობა; შრომითი რესურსების თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა და შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; სამართლიანი სოციალური პოლიტიკის გატარება.

მენარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდებია ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის. მათი მეშვეობით რეგულირება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით, სათანადო ინსტრუმენტებით.

ადმინისტრაციული მეთოდებით მენარმეობის რეგულირება მეტწილად პირდაპირ ხასიათს ატარებს. ადმინისტრაციული მეთოდები ნიშნავს ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც ეფუძვნება აკრძალვას, ნებართვას და ძალდატანებას. მაგალითად: ლიცენზირება, კვოტირება, ლიმიტირება, ანტიმონოპოლიური შეზღუდვები, რეგისტრირება, ბუნების დაცვითი ხასიათის აკრძალვები და სხვ.

რეგულირების ეკონომიკური მეთოდი რეგულირებას ახდენს როგორც პირდაპირი, ისე არა პირდა-

პირი ფორმით. პირდაპირი ფორმით რეგულირების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელი ეკონომიკური სექტორების და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის დაცვის მიზნით, პრიორიტეტული მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა შემდეგი ინსტრუმენტებით: სახელმწიფო სუბსიდიებით, სახელმწიფო პროგრამების განხორციელებით, სახელმწიფო მენარმეობის განვითარებით. ეკონომიკური მეთოდით არაპირდაპირი ფორმით მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: საგადასახადო, ამორტიზაციის, ფულად-საკრედიტო, ფისკალური, სავალუტო, საბაჟო ინსტრუმენტები, ასევე ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა: პროგნოზირება, დაგეგმვა, პროგრამირება.

სახელმწიფო სამენარმეო საქმიანობაზე პირდაპირ კონტროლს ახორციელებს შემდეგი საშუალებებით: ბიზნესზე კონტროლი საწარმოს ფლობის სახით; საწარმოთა განლაგებასა და მშენებლობაზე კონტროლი; ფინანსური დახმარება; ეკოლოგიური კონტროლი; სანიტარული კონტროლი; ხანძარსა და ნაღმდეგო კონტროლი; საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლი; ლიცენზირებად საქმიანობაზე ლიცენზირების გაცემა; ანტიმონოპოლიური კონტროლი; კონტროლი ფასებზე, კონტროლი ფინანსური მომსახურების სხვადასხვა სახეობაზე (საბანკო, სადაზღვევო, საფონდო).

გარდა პირდაპირი კონტროლისა, სახელმწიფოს აქვს ასევე განსაზღვრული ხერხები სამენარმეო საქმიანობაზე ირიბი გავლენის განსახორციელებლად. ასეთებია: გადასახადები; საგადასახადო შეღავათები; ფასებისა და შემოსავლების დინამიკაზე გავლენა; დასაქმებისა და პროფესიული მომზადების რეგულირება; კონკურენტუნარიანობის პროგრამირება; პროგნოზირების მეთოდი და ბიზნესის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს მენარმეობრივი საქმიანობა მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ დროს სახელმწიფო განაგებს იმ საწარმოებს, რომელთა ფუნქციონირება კერძო სექტორში არამომგებიანია ან მათი არსებობა იმ ეტაპისათვის შეუძლებელია (კერძო სექტორის განვითარების გამო).

სახელმწიფო მენარმეობა უნდა იყოს არაკონკურირებადი. იგი უნდა ეხმარებოდეს მენარმეობის განვითარებას. სახელმწიფო საწარმოების ფინანსირება ხდება ერთი მხრივ, მთლიანად სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე მხრივ, იშვიათად, კერძო ინვესტორების მიერ. ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს განვითარების პროცესის ხელშეწყობის როლი, რადგანაც მისი ფუნქცია ერთმანეთს შეუსაბამოს სიმძლავრეები და რესურსები. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ამ ღონისძიებების გადაუდებელი აუცილებლობა, რომლებიც ადამიანური კაპიტალის შესაქმნელადაა საჭირო, განათლების და ინფრასტრუქტურების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული ის ნაკლოვანებები და სირთულე-

ბი, რომლებიც გააჩნია ჩვენს ქვეყანაში საინოვაციო საქმიანობას. ცხადია, იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც არსებობს ინოვაციურ სფეროში მარტო საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეუძლებელია და საჭიროა საზღვარგარეთული გამოცდილების მიზანდასახული შესწავლა და მათი გამოყენება ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014;
2. შენგელია თ. ინოვაციური პროცესები, პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა, თბ., 1997.
3. გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991.
4. რ. გოგოხია. საბაზრო ეკონომიკა. ლექციების კურსი, თბ., 1996.
5. ნ. ქიტანავა. შერეული, მრავანწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა. თბ., 1996.
6. Молчанов Н. Н., Инновационный процесс: организация и маркетинг, Санкт-Петербург, 2008.
7. Кокурон Д., Инновационная деятельность, М., 2009.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თავისებურებები ტურიზმის განვითარებაში

ია გელაშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი

რეზიუმე

ტურიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით, რომელიც ქმნის სამუშაოსა და სიმდიდრის შესაძლებლობას. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების გამო საქართველოს ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, ამიტომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. საქართველომ აქცენტი უნდა გააკეთოს ტურიზმის მდგრად განვითარებაზე, რათა მოახდინოს თავისი ადგილისა და ფუნქციის დაკავება მსოფლიო გლობალიზაციაში. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას დიდი როლი ენიჭება.

Summary

Characteristics of the transport infrastructure for tourism development

Tourism has an important role in country's development, mainly it makes possibilities in working. Georgia has a chance participate in the world's international process, that's why to improve the transport infrastructure, is the most important condition for country's economical and the social development.

Georgia has to make an accent about a tourism, to detain in global of the world. To this direction, from the state has a big helping.

* * * * *

დღეისათვის ყველასათვის ცნობილია, რომ ტურიზმს განსაკუთრებული და აუცილებელი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარების კუთხით, და არა მარტო შიგნით, არამედ იგი ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას, სოციალურ-ეკონომიკურ თანამშრომლობას, კეთილმოზღოვან პოლიტიკურ განმტკიცებას და სხვ.

საქართველოს ხომ თავისი ბუნებრივი, ისტორიული, კულტურული რესურსებითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით განსაკუთრებული შესაძლებლობები გააჩნია ტურიზმის განვითარებისთვის. მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის მნიშვნელობა და პოტენციალი მეტად დომინანტურ-

რია, ვიდრე მაღალ განვითარებულ ქვეყნებში. სადაც ახალი სამუშაოების უმეტესობა ტურიზმის ინდუსტრიაში იქმნება. ტურიზმი ინვესტ ეკონომიკური აქტიურობის დივერსიფიკაციას და იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას სამუშაო და სიმდიდრე. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით აღადგინონ შეერთებული შტატები, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია ა.შ.

ტრანსპორტი წამყვანი ფაქტორია ტურიზმის განვითარებაში. დიდია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის როლი მოსახლეობის სოციალური პრობლემების, საქმიანი, კულტურული და ტურისტული ღონისძიებების განხორციელებაში. ის ხელს უწყობს კულტურათა გაცვლას, როდორც ქვეყნის შიგნით ისე მის საზღვრებს გარეთაც. ტრანსპორტი უზრუნველყოფს როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, აგრეთვე ქვეყნებს შორის ურთიერთ სასარგებლო გაცვლების წარმოებას.

ისტორიულად ნებისმიერი ქვეყნის სატრანსპორტო-ტექნიკურ ბაზას აყალიბებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პოტენციალი და აგრეთვე კლიმატის და ლანდშაფტის თავისებურებები. ტურიზმის განვითარებასთან ერთად სატრანსპორტო გზები მუდმივად ვითარდება მოთხოვნილებათა შესაბამისად, რაც დადებითად აისახება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, ამიტომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციისა და ეკონომიკური კარგახსნილობის პირობებში, ჩვენი სატრანსპორტო პოტენციალის სრულად ათვისება საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. სატრანსპორტო მომსახურება მომსახურების ერთერთი მთავარი სახეა ტურიზმის განვითარებაში და მასზე მოდის ტურის ფასის ძირითადი წილი, იგი დამოკიდებულია ტურის ხანგრძლივობასა და სატრანსპორტო საშუალების სახეზე.

მოგზაურობის დროს ტურისტებისათვის გამოიყენება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობები, მთავარი წილი კი საავიაციო ტრანსპორტზე მოდის, რადგან ტურისტები ხშირ შემთხვევაში უპირატესობას სწორედ საავიაციო ტრანსპორტს ანიჭებენ. სტატისტიკურად საავიაციო ტრანსპორტის ზრდის ტემპი ბევრად მაღალია ავტო ტრანსპორტთან შედარებით. საქართველოს სატრანსპორტოს პოტენციალის ათ-

ვისება, რეალიზაცია, განვითარება აქტიურად მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, რაშიც გადამწყვეტ როლს საქართველოს რკინიგზა ასრულებს. რკინიგზა ერთ-ერთი მოსახერხებელი საშუალებაა ნებისმიერი კატეგორიის ტურისტთა გადასაცემად. (ინდივიდუალური, დიდი და მცირე ტურისტული ჯგუფები).

წყლის ტრანსპორტი, სამდინარო თუ საზღვაო თავისთავად გულისხმობს ტურისტული კრუიზების აქტიურ მომსახურებას. საზღვაო მოგზაურობები მოიცავს ტურისტულ მოგზაურობას მდინარეებზე, ზღვებსა და ოკეანეებში სპეციალური საზღვაო ხომალდით, რომლებიც მარშუტის განმავლობაში წინასწარ განსაზღვრულ პორტებში ჩერდება. კრუიზები, ტურისტული ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებული სექტორია. ტრანსპორტის ამ სახეობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს კომფორტის მაღალი დონე, გადაზიდვების დიდი მოცულობა, სრულყოფილი დასვენება, ტურიზმის სხვადასხვა სახეობების რეალიზაცია (შემეცნებითი, ბიზნეს-ტურიზმი, სასწავლო, შოპინგური და სხვ.). უარყოფით მხარედ მიიჩნევა დაბალი სიჩქარე, მაღალი ტარიფები, ის ფაქტორი რომ ადამიანთა დიდი ნაწილს ანუხებს ზღვის ავადმყოფობა და მათ უბრეალოდ არ შეუძლიათ საზღვაო ტრანსპორტით მგზავრობა.

საავტომობილო ტრანსპორტი საყოველთაო მომსახურების ტრანსპორტია, რადგან გამოიყენება, როგორც ქვეყნის შიდა ტურებისათვის, ისე ქვეყნის გარეთ სამოგზაუროდ, დაწყებული ავტობუსებით, დამთავრებული მცირე ლიტრაჟიანი ავტომობილებით.

გლობალიზაციის პირობებში საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები-ბუნებრივი და შრომითი რესურსების, ინტელექტუალური პოტენციალის, გეოპოლიტიკური და გეო ეკონომიკური უპირატესობების კუთხით, რათა მოახდინოს საკუთარი ადგილისა და ფუნქციის დამკვიდრება მსოფლიო გლობალიზაციაში. თუმცა ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ამ მხრივ ქვეყანაში არსებული შესაძლებლობები სრულყოფილად არ არის გამოყენებული.

საქართველოს ტურისტულ უნდუსტრიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვას, რომელთა გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ძალზედ დიდია. ისინი აკონტროლებენ ტურიზმის ბაზარს და ხელს უწყობენ მიმღებ ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას. ქვეყნის მთავრობა იძულებულია გამოყოს დამატებითი თანხები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ასეთი კორპორაციების მოთხოვნით ხდება ახალი აეროპორტების აშენება, სატრანსპორტო სისტემის ცვლილებები და სხვ. რასაც დადებითი შედეგები მოაქვს ქვეყნისთვის. მისასალმებელია, რომ საქართველო ეკონომიკის განვითარების

გზას ხედავს უცხოელი ინვესტორების მოზიდვაში, რომელთა ხელშეწყობითაც შექმნილია სხვადასხვა ტიპის სასტუმროთა ჯაჭვი, რომლებიც თავის თავში მოიცავენ რესტორნებსა და სავაჭრო ცენტრებს, საკონფერენციო დარბაზებს, მათ შეუძლიათ ბაზრის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება. ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა და ინვესტირება ყოველთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ტურიზმის სფეროს გააქტიურებაში. ბუნებრივია, რომ რეგიონის ინფრასტრუქტურა, რომელიც უმჯობესდება ტურიზმის მეშვეობით, სწორედ ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ გამოიყენება.

აქცენტი ყოველთვის უნდა კეთდებოდეს ტურიზმის მდგრად განვითარებაზე, რაც თავის თავში გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, დამთვალეიერებელთა სასიამოვნო ყოფის უზრუნველყოფას და გარემოს ხარისხის შენარჩუნებას. ყველაფერი ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე დამთვალეიერებლებზე. მდგრადი განვითარება უწყვეტი ცვლილებების პროცესია, რომლის ფარგლებშიც რესურსების ექსპლუატაცია, ინვესტიციების განხორციელება, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა სიახლეები ხორციელდება მომავლისა და აწმყოს მოთხოვნილებების შესაბამისად. საქართველოში არსებობს ყოველგვარი საფუძველი მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის: მშენებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ადათ-ჩვევები, ტრადიციები, კულტურული და ხელოვნური ძეგლები, ადამიანური რესურსები. მდგრადი ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მთიანი რეგიონების გადარჩენას და მიგრაციის შეჩერებას.

ქართული ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ხარისხი, მომხმარებელს შევთავაზოთ ექსკლუზიური ტურისტული პროდუქტი, გაიზარდოს ფასები და მოვიზიდოთ უფრო მაღალი კლასის განათლებული კლიენტები. საქართველოში ტურიზმის მდგრად განვითარებას ხელს უშლის ის, რომ საკანონმდებლო ბაზა არ არის სათანადოდ დახვეწილი, არადა მისი განვითარება და დახვეწა საქართველოს ტურიზმს ბევრად წაადგებოდა. საქართველოს ტურისტული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს, რადგან იგი ამაყად იდგეს სხვა ქვეყნების გვერდით თავისი უძველესი ისტორიითა და მასპინძლობის კულტურით, ამასთანავე უნდა შევინარჩუნოთ წონასწორობა ბუნებასთან, ისტორიასთან და კულტურასთან.

ტურისტული ინფრასტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში არასათანადო დონეზეა განვითარებული და ამ მიმართულებით სახელმწიფოს დიდი როლი ენიჭება. ზოგ რეგიონში საერთოდ არ ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, ტურისტებს საჭიროებისამებრ ვერ ემსახურებიან. ტურისტულ კომპანიებს სათანადო ხელშეწყობაც არა აქვთ ტურიზმის დეპარტამენტისგან, არადა ტურისტული კომპანიების როლი არის მეტად მნიშვნელოვანი. მათი სწორად მუშაობის შედეგია ის, რომ იზრდება

კომპანიების შემოსავლებიც და ბიზნესიც უფრო წარმატებული ხდება. ხელისუფლების მხარდაჭერით მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს სასტუმრო ინფრასტრუქტურა. უცხოელების მოსაზიდად ნორმალურ ფასებთან ერთად საჭიროა შეაბამისი გარემოს შექმნა. აღსანიშნავია და მეტად მნიშვნელოვანია სამუშაოთა განხორციელება მოგზაურობის გაადვილებისა და სავიზო სისტემის გამარტივების კუთხითაც. საქართველოს აქვს უვიზო მიმოსვლა დაახლოებით 87 ქვეყანასთან, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსვლა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მონომობით შეუძლიათ. მოგზაურობის გამარტივებასთან ერთად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე სერვისის ხარისხის ამაღლების საკითხიც. სწორედ ამ მიზნით საქართველოს მასშტაბით ხორციელდება ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის. მარკეტინგი უდაოდ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ცნობადობისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაში. სწორი ბაზრების არჩევა მარკეტინგის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურკაძე თ. - ტურიზმის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების პერსპექტივა. ჟ. „ეკონომიკა“, 7-8. 2004
2. შუბლაძე ვ. - ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ჟ. „ეკონომიკა“, 9-10. 2004
3. მეტრეველი მ. -ტურიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2003
4. WWW.nplg.gov.ge
5. www.ambioni.ge
6. www.for.ge
7. www.gnta.ge

ბაღაწყვიტობის მიღების პრინციპები თანამედროვე მენეჯმენტში

*ევგენი ბარათაშვილი, სტუ-ს პროფესორი,
ირმა მახარაშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი*

რეზიუმე

მეცნიერება შესაძლებელია ეფექტურად გამოვიყენოთ ბიზნეს პროცესების მართვაში გადაწყვეტილების მისაღებად. სტატიაში განხილულია, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება მენეჯმენტში. გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებულია გადაწყვეტილების ანალიზის ინსტრუმენტები, მეცნიერებას შეუძლია და უნდა ეკავოს კიდევ მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში ყველა ძირითადი გადაწყვეტილების მიღებისას.

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილების მიღება, მართვის პოლიტიკის ეფექტიანობა, პოსტინდუსტრიული საზოგადოება, ოპერაციული ასპექტების ოპტიმიზება, რესურსების სპეციალიზაცია.

Summary

Science can be efficiently used for business process management in decision making. The article discusses how the decision-making system performs in modern management. Decision analysis tools are used for decision making process. Science can and should occupy an important role in the lives of all the major decision-making.

Key Words: Decision-making, management, policy effectiveness, post-industrial society, the operational aspects of optimization, resource specialization.

* * * * *

საზოგადოების მომავალზე თანამედროვე შეხედულებებს უკავშირებენ თვით ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებასა და სრულყოფას. ეს განაპირობებს უმთავრეს ამოცანად პირადი და სოციალური მოთხოვნილებების გრძელი და რთული ჯაჭვების გამოვლენას, მათ შორის ხელსაყრელ საყოფაცხოვრებო პირობებში, ჯანმრთელობის დაცვაში, ინფორმირებულობის ზრდაში, ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებაში და სხვა მიმართულებებში; მათ ოპერაციულ უზრუნველყოფას საზოგადოების საბაზრო და არასაბაზრო ინსტიტუტების მეშვეობით. შესაბამისად, მოთხოვნილებათა ამ ჯაჭვის მწვერვალზე უნდა იყოს ჯანდაცვა, დასვენებისა და გართობის, ტელეკომუნიკაციების ინდუსტრია და სხვა დარგები, ასევე მათი უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურა.

გადაწყვეტილების მიღებაში მეცნიერება ყოველთვის თამაშობს გარკვეულ როლს. სამწუხაროდ,

სამეცნიერო ინფორმაცია იშვიათადაა ხელმისაწვდომი იმ ფორმატში, რომ სასარგებლო აღმოჩნდეს გადაწყვეტილების მიღებისას. სამეცნიერო ცოდნა იოლად ხელმისაწვდომი არ არის ჩვეულებრივი ადამიანებისა და პოლიტიკოსებისათვის. სამეცნიერო ცოდნის რეალიზება ხდება სამეცნიერო ჟურნალების სტატიებში და სამეცნიერო ნიგნებში, რომელიც გასაგებია, მხოლოდ მეცნიერთა ჯგუფის მცირე ნაწილისათვის. ამავე დროს, გადაწყვეტილების მიმღებებს აქვთ კითხვები, რომლებზე მეცნიერული პასუხის გაცემაც საკმაოდ რთულია. XXსაუკუნის დასაწყისი-შუახანები - არის პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია კომპანიათა ორიენტაცია წარმოების შესაძლებლობებზე, თავისი რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებასა და მთლიანი მომხმარებლისთვის იმის შეთავაზებაზე, რისი წარმოებაც შეეძლოთ და საჭიროდ ჩათვალეს მეურნე სუბიექტებმა (ამგვარი სანარმოს თვალსაჩინო მაგალითია სტანდარტული პროდუქციის მასობრივი წარმოება მრავალი წლის, ხშირად კი ათწლეულების მანძილზე);

50-იანი წლები - 80-იანი წლების შუახანები - მარკეტინგული მიდგომის დომინირების პერიოდი მასობრივი ბაზრის მსხვილ სეგმენტებზე ორიენტაციით;

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი, როცა ბიზნესის წარმატებისთვის უმთავრეს საკითხად გამოიყოფა კლიენტთა ჯგუფების და, შეძლებისდაგვარად, კონკრეტული კლიენტის მოთხოვნილებები და მათი უზრუნველყოფა. აღნიშნული ტენდენცია ჰქონდა მხედველობაში ცნობილ რუს ეკონომისტს, პროფესორ ა.ვ. ორლოვს, როცა უთითებდა, რომ: „განვითარებული ქვეყნების ეროვნული მეურნეობები, რომლებიც გადავიდნენ პოსტინდუსტრიულ სტადიაში, სტანდარტული პროდუქციის მასობრივი წარმოებიდან გადადიან მაღალსპეციალიზირებულ, ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე გათვლილ წარმოებისა და სერვისის მცირე ფორმებზე“.

უკანასკნელი ფენომენი, რომელიც თავდაპირველად ინგლისურენოვან, შემდგომ კი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასა და ბიზნეს-პრაქტიკაში შემოვიდა სახელწოდებით კასტომიზაცია (ინგლ. Customer- მომხმარებელი), ნიშნავს განსაკუთრებულ, ინდივიდუალიზებულ მიდგომას პროდუქტის შექმნისა და ცალკეული კლიენტის მოთხოვნილებების უზრუნველყოფისადმი და ფართოს ხდება მისი ინტერპრეტირება, როგორც მომსახურების მომწოდებელსა და კლიენტს შორის ურთიერთქმედებათა ძალზე სასურველი იდეალისა. იგი არა მხოლოდ ეთიკურადაა მიმზიდველი, არამედ ეკონომიკურადაც სახარბიელოა, იმდენად რამდენადაც ქმნის კონკრეტულ უპირატესობას კლიენტისათვის მეტი ფასეულობებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ხარჯზე. მოცემულმა

კონცეფციამ მეცნიერული განვითარება ჰპოვა მთელ რიგ მკვლევარებს შორის, როცა მისი რეალიზაციის ობიექტებს მიაკუთვნებენ არა მხოლოდ მომსახურების სექტორს, არამედ ნებისმიერ ბიზნეს-საქმიანობას, ბიზნეს-პროცესების ექსტერნალიზაციის, პარტნიორული ურთიერთობების ქსელის (ხშირად ერთმანეთთან შინაარსობრივად საკმაოდ ვიწრო, მიწოდების კონტრაქტული სისტემისადმი მიდრეკილი ტერმინით - აუტსორსინგით - დაკავშირებული) შექმნის გზით. ამ პირობებში „სერვისული ფაბრიკის“ საქმიანობის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება განიხილება როგორც კონკურენტული აუცილებლობა, რომელსაც ხშირად სერვისულ იმპერატივსაც უწოდებენ.

მომსახურებათა ბაზრების წარმოქმნას, კონკურენციის გაძლიერებას კლიენტების მოსაზიდად ახალი, წინანდელთან შედარებით თვისებრივად განსხვავებული შინაარსი შეაქვს მომსახურების სფეროს ინსტიტუტების საქმიანობაში არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ უპირველესად ადამიანის პირად მოთხოვნილებებზე მათ ორიენტაციაში.

პირადი გადაწყვეტილებების უმეტესობა მიიღება სწრაფად, გრძნობებზე, წარსულ გამოცდილებაზე, ასოციაციებზე, ჩვევებზე, ტრივიალურ შედეგებზე ან ამკარა უპირატესობებზე დაყრდნობით, ხოლო სერვის მენეჯმენტში მიღებული გადაწყვეტილება მოითხოვს უფრო დინჯ და წინასწარ მოფიქრებულ მოდგომას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, სპეციალისტებისაგან რჩევის მიღებას, ოფიციალურ შეფასებას და ანალიზს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკლანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი. 2010
2. Leonard A. Schlesinger and James I. Heskett, “ The Service-driven Service Company”,
3. Chase R.B. Garvin D.A. The Service Factory, Harvard Business Review vol. 67, No 4, July/August 1989

დემოგრაფიული სვლილებების გავლენაზე თანამედროვე
განვითარების განვითარებაში

ევგენი ბარათაშვილი,
სტუ-ს პროფესორი
მანანა მარიდაშვილი,
სტუ-ს უფროსი მასწავლებელი

რეზიუმე

Summary

დემოგრაფიული ტენდენციები ყველა განვითარებული ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ახდენს გავლენას. შობადობის დაბალი დონე ამ ქვეყნებში აძლიერებს პოლიტიკურ დაძაბულობას უპირატესობას ანიჭებს იმ ქვეყნებს, სადაც არსებობს უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულების ასიმილაციის ტრადიცია. მაგრამ ამ ქვეყნებშიც იმიგრაცია შესაძლებელია პოლიტიკურ დაძაბულობას იწვევს ისეთ სხვადასხვა ჯგუფებში, როგორცაა, მაგალითად, დამსაქმებლები, რომლებსაც ჩამოსული მუშახელი ესაჭიროებათ; პროფკავშირები, რომლებიც შიშობენ, რომ ემიგრანტები გავლენას მოახდენენ პროფკავშირების წევრთა დასაქმებასა და ხელფასზე.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერების პროცესი საფრთხეს უქმნის უკვე არსებულ საპენსიო სისტემას და უზიდავს პენსიაზე გასვლის ტრადიციულ ასაკის ზრდას. გონებრივი შრომის მუშაკები პენსიაზე გასვლის შემდეგ, დიდი ალბათობით, ისევ გავლენ შრომის ბაზარზე, ამჟამად არასრულსამუშაო განაკვეთზე, რათა მიიღონ პენსიის გარდა დამატებითი შემოსავალი. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, განსაკუთრებით გონებრივი შრომის მუშაკთა შორის, მივყავართ იქამდე, რომ მეორე და პარალელური კარიერის შექმნა იქნება არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიც. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობა ბერდება, იზრდება უფროსი ასაკის, 50 წლის ასაკის ზევით, მოსახლეობის მოთხოვნა ფინანსურ მომსახურებაზე უწყვეტი განათლება, ჯანდაცვა და ფინანსური მომსახურება მიეკუთვნება მომავალში ყველაზე აქტიურად განვითარებად სფეროებს.

საკვანძო სიტყვები: შრომითი რესურსების სტრუქტურა, მოსახლეობის დაბერების პროცესი, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, იმიგრაცია, დემოგრაფიული ცვლილებები, სამუშაო ძალა, მეორე კარიერა.

Demographic trends influence on the political and economic issues of developed countries. Low birth rate in those countries increases political tension and gives preference countries where a tradition of assimilation with citizens from is abroad. But immigration in this countries leads to political tension in a variety of groups, such as, for example, employers who need foreign workers; The unions, who fear that immigrants will affect employment and wage of union members.

The process of population aging in developed countries poses a threat to the existing pension system and pushes the traditional retirement age increase. Mental labor workers after retirement are likely to remain in the labor market, and seek part-time jobs in order to receive additional income. Increase in life expectancy, especially among workers in mental labor, leads to the second and parallel career which is not only possible but also desirable. To take into consideration that the population is aging, also it is growing demand for financial services for 50 years and older persons. Continuing education, healthcare and financial services are among the most actively developing areas.

Key Words: structure of work recourses, population aging process, increase of life expectancy, immigration, demographic changes, work force, second career.

* * * * *

დღეს ყველა საიმისო ნიშანი იკვეთება, რომ ერთიანი ბაზარი ნაწევრდება. ფინანსური მომსახურების სფეროში, რომელიც სხვა დარგებთან შედარებით ძალიან სწრაფად ვითარდება ეს გახლენა უკვე მოხდა. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში შეიძლება გახდეს უკვე უმაღლესგანათლებამიღებული ზრდასრული ხალხის უწყვეტი სწავლება, რომელიც დგას ფასეულობებზე, რომელიც შეუთავსებელია ახალგაზრდულ კულტურასთან. შეიძლება, რომ ზოგიერთი ახალგაზრდული ბაზარი ძალიან მომგებიანი გახდეს. ჩინეთის სანაპირო ქალაქებში, სადაც ხელისუფლებამ დანერგა თავისი პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს ოჯახში ერთზე მეტი ბავშვის დაბადებას, აღმოჩნდა, რომ საშუალო კლასის ოჯახები

ხარჯავენ თავიანთ ერთადერთ ბავშვზე იმაზე მეტს, ვიდრე ოთხ ან ხუთ ბავშვზე ხარჯავდნენ. მსგავსი სიტუაცია არის იაპონიაშიც. ბევრი ამერიკული სამუშაო კლასის ოჯახი ხარჯავს უზარმაზარ თანხებს თავიანთი ერთადერთი შვილის განათლებაზე, რისთვისაც პირველ რიგში გადადიან გარეუბნის ძვირად ღირებულ რაიონებში, სადაც კარგი სკოლებია. მაგრამ ეს ახალი ახალგაზრდული ფუფუნების ბაზარი სულაც არ ჰგავს ერთგვაროვან მასობრივ ბაზარს. მასობრივი ბაზარი სწრაფად სუსტდება., რაც დაკავშირებულია იმ ახალგაზრდა ადამიანების რიცხვთან, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს.

მომავალში სამუშაო ძალა ალბათ ორ ნაწილად გაიყოფა. პირველ ჯგუფში შევლენ ორმოცდაათი წლის ასაკამდე ადამიანები, ხოლო მეორეში - ორმოცდაათი წლის ასაკის შემდეგ ადამიანები. ამ ორ ჯგუფს, სავარაუდოდ, ბევრი სხვადასხვა მოთხოვნა და სხვადასხვა ქცევის სტილი ექნება. მაგრამ უფრო დიდი იქნება განსხვავება სამუშაოს იმ სახეებს შორის, რომელსაც ისინი შეასრულებენ. უფრო ახალგაზრდა ჯგუფისათვის საჭირო იქნება მუდმივი სამუშაო ადგილი ან რამდენიმე მუდმივი სამუშაო ადგილი სტაბილური შემოსავლით. სწრაფად ზრდადი უფროსი ჯგუფს ექნება უფრო ფართო არჩევანი და შეუძლია შეუთავსოს ერთმანეთს ტრადიციული სამსახური, არატრადიციული მოვალეობები და თავისუფალი დრო იმ პროპორციით, რომელიც უფრო აწყობს მას. სწრაფად ზრდადი უფროსი ჯგუფი კიდევ ორ ნაწილად გაიყოფა. ერთი ნაწილი იქნება ქალები გონებრივი შრომის ტექნიკოსების ჯგუფიდან. მედდას, კომპიუტერების სპეციალისტს ან იურისტის თანაშემწეს შეუძლია თხუთმეტი წელი წავიდეს საქმიდან, რომ ბავშვები გაზარდოს და შემდეგ ისევ დაუბრუნდეს სრულფასოვან სამუშაოს. უმაღლესი განათლების მქონე ქალები, რომლებიც მამაკაცებზე მეტნი არიან ბევრ ქვეყანაში, სულ უფრო და უფრო ინტერესდებიან გონებრივი შრომის ახალი სფეროებით. ასეთი სამუშაო კაცობრიობის ისტორიაში პირველად არის ადაპტირებული ქალების, როგორც ადამიანთა მოდგმის გამგრძელებელთა, განსაკუთრებულ მოთხოვნებთან და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასთან დაკავშირებით. სწორედ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა არის ბაზრის გაყოფის ერთ-ერთი მიზეზი. ორმოცდაათი წლის შრომითი სტაჟი ძალიან დიდია იმისათვის, რომ ადამიანი მხოლოდ ერთი საქმით დაკავდეს. გაყოფის მეორე მიზეზია ყველანაირი კომპანიისა და ორგანიზაციის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება. წარსულში დამსაქმებელი ორგანიზაციები თავის თანამშრომლებზე მეტ დროს ცოცხლობდნენ. მომავალში დასაქმებულები, განსაკუთრებით, გონებრივი შრომის მუშაკები, ხშირად უფრო დიდხანს იარსებებენ, ვიდრე ყველაზე წარმატებულ კომპანიები. იშვიათად ხდება, რომ რაიმე საწარმომ, სახელმწიფო ორგანომ ან პროგრამამ იარსებოს ოცდაათ წელზე მეტხანს. წარსულში დასაქმებულთა უმრავლესობის სამუშაო სტაჟი ოცდაათ წელზე ნაკლები იყო, იმი-

ტომ, რომ ბევრი მუშა, რომელიც ფიზიკური შრომით იყო დაკავებული, ზიანს აყენებდა თავის ჯანმრთელობას. ხოლო გონებრივი შრომის მუშაკები, რომლებმაც ოცი წლის ასაკში დაიწყებეს მუშაობას, სრულიად შესაძლებელია, რომ იქნებიან კარგ ფიზიკურ და გონებრივ ფორმაში ორმოცდაათი წლის შემდეგაც.

„მეორე კარიერა“ და „ცხოვრების მეორე ნახევარი“ უკვე ჩვეული ცნებები გახდა. უფრო და უფრო ხშირად დასაქმებულები გადაიან პენსიაზე მაშინვე, როგორც კი ამას სოციალური უფლებების დამცველი კანონი აძლევთ საშუალებას, ე.ი. ტრადიციული საპენსიოასაკის მიღწევისთანავე, მაგრამ მუშაობას არ წყვეტენ. მათი „მეორე კარიერა“ ხშირად უჩვეულო ფორმას იღებს. მათ შეუძლიათ ხშირად უშტატო თანამშრომლებად იმუშაონ (ხშირად ავინყდებათ, რომ ამის შესახებ საგადასახადო სამსახურს შეატყობინონ და ამგვარად, თავის სუფთა შემოსავალს საგრძნობლად ზრდიან). მუშაობენ შეთავსებით, როგორც დროებითი თანამშრომელი და .შ. პენსიაზე ადრე გასვლის ასეთი პრაქტიკა სამსახურის გაგრძელებით განსაკუთრებით პოპულარულია გონებრივი შრომის მუშაკებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ უმცირესობაში არიან იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ორმოცდათხუთმეტი წელს მიაღწიეს, მაგრამ ძალიან მალე, დაწყებული 2030 წლიდან, გადაიქცევიან უფროსი ჯგუფის წარმომადგენლების უდიდეს ჯგუფად ბევრ ქვეყანაში.

პროგნოზს მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ მომავალი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მკაცრი სიზუსტით ვერ გავაკეთებთ. ვინაიდან, როგორც ბოლო რამდენიმე ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს, დემოგრაფიული ტენდენციები შეიძლება საკმაოდ მოულოდნელად შეიცვალოს და მაშინვე საგრძნობი ეფექტი გამოიწვიოს.. ამიტომ მომავლის საზოგადოებაში დემოგრაფიული სიტუაცია იქნება არა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი, არამედ, ყველაზე ნაკლებად პროგნოზირებადი და პრაქტიკულად არაკონტროლირებადი.

2030 წლისათვის გერმანიაში სამოცდახუთ წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეების რიცხვი ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაღწევს და თუ შობადობის დონე ამ ქვეყანაში არ გაიზრდება ამჟამინდელთან შედარებით, მაშინ ამ დროისათვის ოცდათხუთმეტი წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხვი ორჯერ უფრო სწრაფად შემცირდება, ვიდრე უფროსი თაობის რიცხვი გაიზრდება. ამის შედეგად მოსახლეობა, რომელიც დღეს 83 მილიონს შეადგენს, 70-73 მილიონამდე შემცირდება. შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი ერთი მეოთხედით შემცირდება ან დღევანდელი 40 მილიონის ნაცვლად იქნება 30 მილიონი. დემოგრაფიული სიტუაცია გერმანიაში გამონაკლისის არ არის. იაპონიის მოსახლეობამ თავის პიკს (128 მილიონი) 2007 წელს მიაღწია, 2050 წლისათვის, ყველაზე პესიმისტური პროგნოზის მიხედვით, ის 95 მილიონამდე შემცირდება, მაგრამ მანამდე დაახლოებით 2030 წლისათვის, სამოცდახ-

უთ ნელზე უფროსი ასაკის მოქალაქეების რიცხვი ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ნახევარს მი-
აღწევს. შობადობის რიცხვი იაპონიაში, ისევე რო-
გორც გერმანიასა და საქართველოში შეადგენს 1,3
ბავშვს ერთ ქალზე. სხვა ისეთი განვითარებული
ქვეყნების უმრავლესობაში, როგორცაა იტალია, სა-
ფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, შვე-
ცია, აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა
მაგალითად ჩინეთი მონაცემები პრაქტიკულად იგ-
ივეა. ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად ცენტრალურ
იტალიაში, საფრანგეთის სამხრეთით და ესპანეთის
სამხრეთით, შობადობის დონე კიდევ უფრო დაბა-
ლია, ვიდრე გერმანიასა და იაპონიაში.

სიცოცხლის ხანგრძლივობა და მასთან ერთად
ხანდაზმული ადამიანების რიცხვი ბოლო სამასი წლის
განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ ახალგაზრდების
რიცხვი შემცირება ახალი მოვლენაა. ერთადერთი
განვითარებული ქვეყანა, რომელმაც თავიდან აი-
ცილა ეს ხვედრი არის აშშ, მაგრამ იქაც კი შობა-
დობის დონე სიკვდილიანობის დონესთან შედარებით
დაბალია და ხანდაზმული ადამიანების რაოდენობამ
ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე საგრძობლად მოი-
მატა. ეს ნიშნავს, რომ უფროსი თაობის ადამიანების
მხარდაჭერის მოპოვება პოლიტიკოსებისათვის აუ-
ცილებელ მოთხოვნად იქცა ყველა განვითარებულ
ქვეყანაში. საპენსიო გადახდები უკვე დიდი ხანია
ამ რეგიონების წინასაარჩევნო პროგრამების აუცი-
ლებელი პუნქტი გახდა. ამას გარდა, ბევრ კამათს
ინვესტ ემიგრანტთა თემა, თუ რამდენად სასურვე-
ლია ქვეყანაში იმიგრანტთა შემოდინება ქვეყნის
მოსახლეობისა და შრომითი რესურსების შენარჩუ-
ნების კუთხით. ამასთან ერთად, ორი მნიშვნელოვანი
საკითხი ცვლის პოლიტიკურ ლანდშაფტს ყველა
განვითარებულ ქვეყანაში. მაქსიმუმ 2030 წლისათ-
ვის საპენსიო ასაკი ყველა განვითარებულ ქვეყა-
ნაში გაიზრდება სამოცდათხუთმეტ წლამდე, ხოლო
ჯანმრთელი პენსიონერების ლგოტები ბევრად შემ-
ცირდება დღევანდელთან შედარებით. უფრო მეტიც,
ფიქსირებული ასაკი კარგი ფიზიკური და გონებრივი
ჯანმრთელობის მქონე ადამიანებისათვის, შეიძლება,
ღირდეს, რომ გაუქმდეს იმის თავიდან ასაცილე-
ლად, რომ საპენსიო ფონდში გადარიცხვები დიდ
ტივრთად არ დაანვეს შრომისუნარიან მოსახლეობას.
უკვე დღეს ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადა-
მიანები ეჭვობენ, რომ როდესაც ისინი ტრადიციულ
საპენსიო ასაკს მიაღწევენ, პენსიის გადასახდელი
ფული ყველას აღარ ეყოფა. მაგრამ პოლიტიკოსები
თავს ისე იჭერენ, თითქოს მათ შეუძლიათ არსებული
საპენსიო სისტემის გადარჩენა.

იმიგრაციის საკითხი, ეჭვსგარეშეა, კიდევ უფრო
მწვავედ დადგება. ბერლინის ერთ-ერთმა სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ
2020 წლისათვის გერმანიას დასჭირდება წელიწადში
ერთ მილიონამდე იმიგრანტის მოწვევა იმისათვის,
რომ შეინარჩუნოს შრომითი რესურსების მისაღები
დონე. ევროპის სხვა მდიდარი ქვეყნებიც ასეთივე
მდგომარეობაში არიან. იაპონიაში საუბრობენ იმ-

აზე, რომ ყოველწლიურად ქვეყანაში ნახევარ მილ-
იონამდე კორეელი შემოუშვან და დააბრუნონ უკან
თავის ქვეყანაში ხუთი წლის შემდეგ, ყველა დიდი
ქვეყნისათვის, აშშ-ს გამოკლებით, ასეთი მასშტაბის
იმიგრაცია უპრეცედენტოდ დიდია. პოლიტიკური
შედეგებმა უკვე იჩინა თავი. 1999 წელს ევროპელ-
ები გაოცებული იყვნენ იმ წარმატებით, რომელსაც
მიაღწია ავსტრიაში არჩევნებზე მემერჯვენე რადი-
კალურმა პარტიამ, რომელიც ამკარად ქსენოფობი-
ით იყო შეპყრობილი და მისი ძირითადი ლოზუნგი
იყო იმიგრაციის წინააღმდეგ მოწოდება. მსგავსი
მოძრაობა გავრცელდა ბელგიის ფლამანდიის ნაწილ-
ში, ტრადიციულად ლიბერალურ დანასა და იტალ-
იის ჩრდილოეთში. აშშ-შიც კი იმიგრაცია არღვევს
ბალანსს პოლიტიკურ ძალების განაწილებას შორის.
ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატს დემოკრა-
ტიული პარტიიდან მოუწევს არჩევანი გააკეთოს
პროფკავშირების ხმებსა და ლათინური ამერიკიდან
და სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ იმიგრანტთა ხმებს
შორის. პირველ შემთხვევაში მოუწევს იმიგრაციის
წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი,
პირიქით-იმიგრანტების დაცვა. ზუსტად ასევე, რეს-
პუბლიკური პარტიის კანდიდატს მოუწევს გააკეთოს
არჩევანი ერთის მხრივ, იმ ბიზნესის მხარდაჭერის
მოსაპოვებლად, რომელსაც სჭირდება სამუშაო ძალა
და მეორეს მხრივ, საშუალო კლასის იმ თეთრკანი-
ანი მოსახლეობის ხმების მოსაპოვებლად, რომლებიც
სულ უფრო და უფრო ხშირად გამოდიან იმიგრაციის
წინააღმდეგ.

აშშ-ში იმიგრანტებთან მუშაობის დიდი
გამოცდილება აქვთ. 1970-იან წლებში ქვეყანაში იმი-
გრანტების უზარმაზარი რაოდენობა შემოვიდა. მათ-
გან უმრავლესობა ახალგაზრდა იყო და პირველი თა-
ობის ქალ იმიგრანტთა შორის შობადობა იყო ბევრად
მაღალი, ვიდრე ქვეყანაში სხვა ქალების. ეს იმას ნი-
შნავს, რომ მომავალ ოცდაათ ან ორმოც წელიწადში
აშშ-ს მოსახლეობა კვლავ გაიზრდება, ხოლო ზოგი-
ერთ განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობა მკვეთ-
რად შემცირდება აშშ-ს კულტურაში ჩადებული იმი-
გრაციის მიმართ მოთმინება და ლოიალური დამოკ-
იდებულება. აქ ადამიანები დიდი ხანია მიეჩვივნენ
ჩამოსულების ჩართვას თავანთ საზოგადოებასა და
მეურნეობაში. ამას გარდა, თანამედროვე იმიგრან-
ტები, მიუხედავად იმისა, არიან ისინი ლათინური
ამერიკიდან, აზიიდან თუ სხვა ქვეყნიდან უფრო
სწრაფად ახდენენ ინტეგრირებას, ვიდრე ოდესმე.
მაგალითად, ამ ბოლო დროს ლათინო-ამერიკელების
ერთი მესამედი ქორწინდება არა ლათინო-ამერიკელ-
ებზე ან სხვა იმიგრანტებზე, არამედ ადგილობრივ
მოქალაქეებზე.

განვითარებული ქვეყნებიდან აშშ-ს მსგავსად
მხოლოდ ავსტრალიასა და კანადაში არსებობს იმი-
გრანტების მიღების ტრადიცია. იაპონია მკაცრად
ირიდებდა თავიდან უცხოელებს. გამონაკლისი იყო
კორეელი იმიგრანტების მცირერიცხოვანი ჯგუფები,
რომელთა შთამომავლები დღესაც დისკრიმინაციის
ოებიექტებად გვევლინებიან. მასიური იმიგრაცია მე-

19 საუკუნეში ხდებოდა ან დაუსახლებელ რაიონებში (აშშ, კანადა, ავსტრალია, ბრაზილია) ან სოფლიდან ქალაქად თავისი ქვეყნის ფარგლებში. დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში სიტუაცია შეიცვალა და მიგრაცია დაიწყეს უცხოელებმა, სულ სხვა ეროვნების, ენის, კულტურისა და რელიგიის ადამიანებმა. ევროპული ქვეყნები ჯერჯერობით ვერ აღწევენ რაიმე წარმატებას ასეთ ჩამოსულებთან ინტეგრაციის საქმეში. დემოგრაფიული ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება იქცეს წარსულში ერთგვაროვანი საზოგადოებისა და ბაზრების დაყოფა. 1920-1930-იან წლებამდე თითოეულ ქვეყანაში აღინიშნებოდა კულტურისა და ბაზრების დიდი მრავალფეროვნება. ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან კლასის, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.ბარათაშვილი. გ.ნაკაიძე. პროექტის მენეჯმენტი. თბილისი 2007.
2. ე.ბარათაშვილი. ლ.ქოქიაური. მენეჯმენტის პრინციპები. თბილისი 2010.
3. **The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Change** by Stephen R. Covey 2010
4. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28804,2086680_2086683_2087656,00.html
5. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html

მინის კადასტრის როლი მინათრეგულირებასა და მართვაში

გიორგი ბუცხრიკიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მინის კადასტრის არსი და მისი მნიშვნელობა. მოცემულია დღევანდელი მდგომარეობით სრულყოფილი მინის კადასტრის სამუშაოების ახლებურად და დეტალურად ჩატარების აუცილებლობის შესახებ. მითუმეტეს პრივატიზაციის მიღწევებმა, ისევე როგორც დანერგილმა საკანონმდებლო ბაზამ ვერ შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი მინის მართვის შემდგომის საქმიანობისათვის.

**Summary
Role of land cadastre in land regulation
and management**

Essense of cadastre and its meaning is discussed in the following article. Necessity of new and more detailed conduction of current land cadastre work is also described. Achievements in privatization, as well as launched legal base, could not create an important base for future land activities.

* * * * *

საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების და მინის ფონდის რაციონალურად მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მინის სრულყოფილი კადასტრის წარმოებაა.

მინის კადასტრის ჩანასახი უხსოვარი დროიდან გაჩნდა. კადასტრის წარმოების ხერხები, მეთოდები და პრინციპები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებში. დღემდე შემონახული ისტორიული წყაროებიდან მინის კადასტრის წარმოების შესახებ აღსანიშნავია მესოპოტამიასა და ეგვიპტეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მინის კადასტრის ნიშნები, რომლებიც დათარიღებულია 4000 წლით ჩვენს ერამდე. დღესაც ინახება თურქეთში უძველესი კადასტრული რუკა. თიხის ფილაზე გამოკვეთილია სავარგულების სახეები, მათი ხარისხობრივი მდგომარეობა. ჯერ კიდევ მესამე-მეოთხე საუკუნეებში, ჩვენს ერამდე ბერძენები ანსხვავებდნენ ნიადაგისა და მინის ცნებებს.

დიდი მოცულობის საკადასტრო სამუშაოები ჩაატარეს მონღოლებმა მე-13 საუკუნის შუა ხანებში. საქართველოშიც აღწერილი იქნა სოფლები, მოსახლეობა და ადგილმამული ხარკის გასაწერად. 1705-1709 წლებში დანერგილი „ვახტანგ VI“ მინის სამართ-

ლის წიგნში მუხლი 165 ნათქვამია „სყიდვა ასრე უნდა კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით უნდა იყიდოს, რომ ან სხვისი მანძილი არ შემოატყუოს, ან ზღვარი ტყუილად არ დაენესოს, კაი მონმით, წიგნი და ბეჭდით უნდა იყოს“. გარკვეული შინაარსითა და მეთოდებით ქართულ საადგილმამულო ურთიერთობებს, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ახლდა მინის კადასტრი. მინის დაბეგვრას წინ უძღოდა მისი რაოდენობისა და ხარისხის მაჩვენებლების ცოდნა, მათი გათვალისწინებით ხდებოდა მიწაზე გარიგებათა წარმოება, მინის ბეგარა და სხვა. დოკუმენტების გაფორმება ინარმოებოდა მონმეთა დასტურით და ბეჭდის დასმით. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა სანიმუშოდ საფრანგეთის მინის კადასტრი, ნაპოლეონის ბრძანებით შედგენილი მინის კადასტრი იყო ევროპის ფისკალური პოლიტიკის წამყვანი ატრიბუტი. მინის ნაკვეთების აზომვა ხდებოდა 1:2500 მასშტაბით. აიგეგმა მთელი ტერიტორია. მიწების რეგისტრაცია ტარდებოდა ადგილ-მამულის სახელების მიხედვით. მონაცემები ძირითადად გამოყენებული იყო დაბეგვრის მიზნით. ქვეყნის კადასტრის შედგენა დამთავრდა 1850 წელს. მეთოდი მონონებული და გამოყენებული იყო ევროპის, ბალკანეთის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. თითოეული მამულის ჩვენებით შედგენილი იყო საკადასტრო რუკა-გაფორმებული წერილობითი ნაწილით.

კიდევ უფრო სრულყოფილი გახადეს საკადასტრო სამუშაოები პრუსიელებმა. დეტალურად და მაღალ დონეზე იყო ჩატარებული მინის ნაკვეთების აგეგმვა, ნიადაგის გამოკვლევა, მინის ფასის განსაზღვრა, მოსავლიანობა, პროდუქციის მთლიანი მოცულობა, განეული დანახარჯები, მიღებული მოგება-რუკები დგებოდა ჯერ სავარგულის, ხოლო შემდეგ პარცელების მიხედვით. ჩამოყალიბდა საკადასტრო სამუშაოს მწარმოებელი სპეციალური ორგანოები.

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებოდა ინგლისის მინის კადასტრი. აქ სპეციფიკურობა განპირობებულია მინის საკუთრების, მფლობელობისა და სარგებლობის თავისებურებებით. მინის მესაკუთრე მხოლოდ ერთეულდება. დანარჩენი მფლობელობა ორი სახისაა - აბსოლიტური და დროებითი. (იჯარა ლისტოლდი) იჯარის ვადა არ იზღუდება შეიძლება 99 წლითაც. ყველა გარიგება მიწაზე რეგულირდება ხელშეკრულებით. გარიგებას აწარმოებს იურიდიული სამსახური, მე-19 საუკუნიდან დაიწყო აქტების ფორმით რეგისტრაცია და დღესაც ამ ფორმით ხდება. შედგენილია ქვეყნის ტოპოგრაფიული რუკა 1:2500 მასშტაბში, მასზე დატანილია მინის საკუთრების ბუნებრივი საზღვრები.

საინტერესოა დალაგებული კადასტრის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის რეგისტრაციის ტექნო-

ლოგია, სარეგისტრაციო სისტემებიდან გამოყოფილია 4 ბლოკი: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი-ნაპოლეონის ადმინისტრირების სისტემა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია-გერმანული სისტემა; შვედეთი-სკანდინავიური სისტემა და დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა,-ინგლისურენოვანი სისტემა; ნაპოლეონის სისტემის ძირითადი მიზანია უძრავი ქონების დაბეგვრა, არ გააჩნია უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამცავი მექანიზმი; გერმანული-დაფუძნებულია იურიდიულ ტრადიციებზე-ზუსტადაა განსაზღვრული მიწის ნაკვეთის საზღვრები და დაცულია საკუთრების უფლებები. სკანდინავიისათვის დამახასიათებელია საკუთრების რეესტრის ცენტრალიზაცია; ინგლისურისათვის დამახასიათებელია „მიწის უდიდებულესობა დედოფლის რეესტრი“ – უძრავი ქონების რეესტრი.

მიწის კადასტრის ისტორიული წარსულისა და წარმოების თანამედროვე დონის შესწავლა-ანალიზს ეძღვნება მრავალი შრომა. მკვლევართა მეტი წილი გამოყოფს სამ ძირითად სახეს: შეფასება მიწათმფლობელობის მიხედვით; მიწის სავარგულების სახეებისა და წარმოებული კულტურების მიხედვით და ნაკვეთების მიხედვით, როდესაც ნაკვეთები გამოყოფილია სამეურნეო გამოყენებისა და უფლებრივი მდგომარეობის განსხვავების მიხედვით. თითქმის ყოველი მათგანი აღიარებს, რომ საკადასტრო სამუშაოების წარმოებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით საფუძვლად უდევს ევროპის ქვეყნების მეთოდები, ხერხები და პრინციპები.

მიწის კადასტრის წარმოება ოთხი შემადგენელი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: მიწების აღრიცხვა, ბონიტირება, შეფასება და რეგისტრაცია.

მიწის რესურსების აღრიცხვა და მიწის რაოდენობრივ - ხარისხობრივი მაჩვენებლების ცოდნა, მიწის ფონდის მართვის პროცესში მათი გათვალისწინება, საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების, მიწების დაცვის, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ერთ-ერთი საიმედო საფუძველია. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა ბევრად ჩამორჩებოდა მოწინავე ქვეყნებს, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში, როდესაც მიწა გახდა საქონელბრუნვის უმნიშვნელოვანესი ობიექტი და საგანი. მე-20-ე საუკუნის 40-იანი წლებიდან მიწების რაოდენობრივი აღრიცხვა სრულდებოდა 1942 წლის (გაუს-კრიუგერის) კოორდინატთა სისტემის სხვადასხვა მასშტაბის გეგმებზე. მიწისზედა მენზულური გადაღებისა და აეროფოტოგადაღების გეგმით.

ვინაიდან, ამჟამად ყოველწლიურად ხდება აეროფოტოგადაღებები, თანაც დიდი სიზუსტეებით, აღნიშნული პროცედურების ჩატარება აღარაა საჭირო და არსებული საარქივო მასალები ტექნოლოგიურად უვარგისია-გარკვეულწილად, ვინაიდან მრავალფორმიანი მეურნეობრიობა, მსხვილი მეურნეობების ბაზაზე წვრილ მიწათმესაკუთრეთა ფორმირება, დღის წესრიგში აყენებს საკითხს ტერიტორიის სიტუაციური ელემენტების (ცალკეული კონტურების) უფრო დეტალურად აგეგმვისა და ნათ-

ლად ასახვისათვის. მეტწილად უნდა დამზადდეს მსხვილმასშტაბიანი გეგმები, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს კონტურების ასახვის სისრულეს და უტყუარობას, ფართობების ზუსტად განსაზღვრას, ასევე გამოსახულების ანალიზისა და გეგმაზე საპროექტო ელემენტების სწორად განლაგების შესაძლებლობას. საშუალოდ და ნორმალურად ითვლება ფართობის დატვირთვა, თუ 1 კვ დმ-ზე 30 სიტუაციური ელემენტზე მეტი არ არის. ჩვენი პირობებისათვის, სამუშაოების ჩასატარებლად მიზანშეწონილია დამზადდეს 1:2000-იანი, 1:5000-იანი მასშტაბის გეგმები და 1:10000, 1:25000-იანი მასშტაბის რუკები. მასშტაბი განისაზღვრება ტერიტორიის სიტუაციური ელემენტების სიხშირით ფართობის ერთეულზე (კონტურიანობა, ადგილის გადაკვეთილობა, ორთოგრაფიული პირობები და სხვა).

გეგმურ-კარტოგრაფიულმა მასალამ უნდა უზრუნველყოს:

- მიწის კადასტრის ჩატარება.
- ნიადაგური და გეომორფოლოგიური გამოკვლევა სათანადო რუკების შედგენით.
- სამინათმონყობო სამუშაოების ჩატარება, კონტურების ამოხაზვით და ჰორიზონტალებით რელიეფის გამოსახვით.
- მიწათსარგებლობის ურელიეფო კონტურული რუკა.
- საკრებულოს რუკა.
- ადმინისტრაციული რაიონის რუკა.
- ბუნებრივ-სამეურნეო რაიონის რუკა.

1:2000 მასშტაბის გეგმები გამოყენებული უნდა იქნეს მცირე ფართობიანი 100-დან 300-მდე ჰექტარი მიწის გეგმის შედგენის დროს, როდესაც კონტურის საშუალო ფართობი 0.3 ჰექტრამდეა.

1:5000 მასშტაბის გეგმა ვარგისია 300-დან 1000 ჰექტრამდე ფართობის მქონე მიწათსარგებლობის დროს, როდესაც კონტურის საშუალო ფართობი 0.75 ჰექტრამდეა და ყველაზე მცირე კონტურის ფართობი 0.01 ჰა.

1:10000 მასშტაბის გეგმა ვარგისია 1000-დან 10000 ჰექტრამდე ფართობის მქონე მიწათსარგებლობისათვის, როდესაც კონტურის საშუალო ფართობი 0.04 ჰა.

1:25000 მასშტაბის რუკა გამოსადეგია 10000-დან 40000-ჰექტრამდე ფართობის მქონე მიწათსარგებლობის ტერიტორიაზე, როდესაც კონტურის საშუალო ფართობი 50 ჰექტრამდეა და ყველაზე უმცირე ფართობიანი კონტური 0.25 ჰა.

1:50000 მასშტაბის რუკა გამოიყენება 40000 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე ტერიტორიისათვის, როდესაც კონტურის საშუალო ფართობი 200 ჰექტრამდეა და ყველაზე უმცირესი კონტურის ფართობი 10 ჰა.

კომპლექსური კარტოგრაფირების შედეგად მიღებული ტაქსირების სიზუსტემ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული მეურნეობისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების სწორად დადგენა,

მინათმონყობა, მცენარეთა დაცვის პროგნოზების შემუშავება, საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირება და მინაზე სხვადასხვა სახის გარიგებათა წარმოება;

კარტოგრაფირების კომპლექსურობით ინფორმაციული უზრუნველყოფა გულისხმობს გეგმასა და რუკაზე ყველა სააღრიცხვო ელემენტის ასახვას გრაფიკული ხერხით, ლაკონურად, ლოგიკურად დასაბუთებული სისტემით (სიმბოლიკა ციფრობრივი და ნერილობითი ნაწილები), გეგმის შინაარსის, ფორმის, სტრუქტურის და უნიფიცირების უზრუნველყოფა, პირობითი ნიშნები-გრაფიკული სიმბოლიკის, საინფორმაციო შეღებვისა და სხვათა საშუალებით.

მიზნობრივი გამოყენების მიხედვით საქროა ქვეყნის მინის ფონდის კატეგორიებად დაყოფის სრულყოფა-დიფერენციაცია და სავარგულების კლასიფიკაციის გაუმჯობესება.

ამდენად, მინის რესურსების აღრიცხვის მონერგება დიდი ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებაა და მისი სათანადო დონეზე აყვანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის უტყუარი გარანტია.

მინის კადასტრი მოიცავს: გეომეტრიულ მონაცემებს (კოორდინატებს, რუკებს); საკუთრების მისამართებს; მინათსარგებლობას; მინის დანიშნულებას; მინის ხარისხს.

მონაცემები შეიძლება უკავშირდებოდეს მინის ცალკეულ ნაკვეთს ან მოიცავს სხვადასხვა საკუთრებას, როგორც მინათსარგებლობის ზონებად დაყოფაში გვხვდება. მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინის კერძო ტრანზაქციების, მინის ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად ან ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ადმინისტრირების დასახმარებლად, როგორცაა; სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, განსახლება, მინათსარგებლობის მართვა-მენეჯმენტი და ზონებად დაყოფა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ტრანსპორტი.

საკადასტრო აგეგმვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინის რეგისტრაციის სისტემის ხელშეწყობისთვის და მართლაც, მრავალ ქვეყანაში საკადასტრო აგეგმვა გამოიყენება საკუთრების ჩანაწერების შექმნის დროს.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში მინის რეფორმის შედეგად მინა საკუთრებაში მიიღო 1015,7 ათასმა კომლმა(ოჯახმა), ანუ 4 მილიონამდე მოქალაქემ-საშუალოდ ერთმა კომლმა 0,86 ჰექტარი; აქედან:

ყოფილ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში დასაქმებულ 630.8 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 640.3 ათასი ჰექტარი-საშუალოდ, კომლს 1.1 ჰექტარი.

ქალაქად (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და სხვა) მცხოვრებმა 326 ათასმა ოჯახმა მიიღო 72.4 ათასი ჰექტარი-საშუალოდ, ოჯახმა 0.22 ჰექტარი.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო მინის საკუთრებაში გადაცემის გზით ქვეყანაში განხორციელდა

მინაზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრებით შეცვლა. თუმცა, როგორც შემდგომში ცხოვრებაში გვიჩვენა, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს უდავოდ პოზიტიური პროცესი, წარმართა გაუთვალისწინებელი შეცდომებით-რასაც მოყვა მინების დანაწევრების უაღრესად არასასურველი შედეგი. ზემოთ აღნიშნული 873 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული განაწილებულია 4 მილიონზე მეტ ნაკვეთად, ანუ, თითოეული ცალკე მდებარე ნაკვეთი არ აღემატება 0.22 ჰექტარს, რაც ინვესტდამუშავებაში არსებული მინის ფართობის შემცირებას, იკარგება ნაყოფიერი მინები, ირღვევა გარემოს დაცვის მოთხოვნები და სხვა.

ყოველივე ამის გამო დღეს საქართველოში აუცილებელი და გარდაუვალია მინის კადასტრის საშუალების ახლებურად და დეტალურად ჩატარება თვითეულ ნაკვეთზე. მითუმეტეს პრივატიზაციის მიღწევებმა, ისევე როგორც დანერგილმა საკანონმდებლო ბაზამ ვერ შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი მინის მართვის გასაუმჯობესებელი შემდგომი საქმიანობებისათვის. საქართველოს მთავრობის მხრიდან შეიმჩნევა შემდგომი ნაბიჯების განხორციელებისა და მათი ფორმის განსაზღვრის სტრატეგიისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების ნაკლებობა, რასაც შედეგად მოჰყვა რეფორმის დაწყებამდე არსებული საადგილმამულო ურთიერთობათა სისტემის ლიკვიდაცია, რომელიც უზრუნველყოფდა: თესლბრუნვის სისტემის დანერგვას, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, სარწყავი ქსელის მოწყობას, მინების ხარისხის გაუმჯობესებას, ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვას და სხვა.

როგორც განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, გამოსავალი მხოლოდ მინების კონსოლიდაციაშია. რასაც წინ უნდა უსწრებდეს მინის კადასტრის საშუალების ჩატარება. თუ რა გზები უნდა დაისახოს მისი განხორციელებისათვის, დიდი კვლევებია საჭირო-პრივატიზაციის შემდგომ სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით.

მინის კონსოლიდაციის სტრატეგიის დროული განხორციელება პირდაპირდამოკიდებულებაში იქნება წინასწარი შესწავლიდან გამომდინარე დროულ და ეფექტურ დასკვნებზე, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და სახელმწიფომ უნდა განახორციელოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუცხრიკიძე გ. ფანჩულიძე ვ. ადმინისტრირება და მენეჯმენტი. გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“ ახალციხე 2013
2. ტურაბელიძე ნ. ქვაცაბაია ფ. მიწის კადასტრი სახელმძღვანელო თბილისი 2012
3. ფანჩულიძე ვ, ბუცხრიკიძე გ. „მინათრეგულირებისა და ადმინისტრირების საფუძვლები“ სახელმძღვანელო ასსუ. ახალციხე, 2012

ОСОБЕННОСТИ СОВРЕМЕННОГО ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ФИРМЫ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ ЭКОНОМИКИ

*Попхадзе Гоги - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор.
Какауридзе Натела - Академия наук тури зма Грузии, старший преподаватель.*

РЕЗЮМЕ

В работе показана необходимость проведения сильной технологической политики. Именно в сфере технологии закладываются наиболее существенные конкурентные преимущества, которые оказывают долговременное воздействие. Глобальный характер конкуренции не только делает нововведения более значимыми для транснациональных корпораций, но обуславливает необходимость поиска новых путей создания инноваций. Новые технологии являются не только причиной изменений на предприятиях, но и параметром их стратегии развития. Технологическая политика многонациональных корпораций определяется значительным количеством факторов, ее реализация связана с взаимодействием участников, имеющих разные, порой противоположные интересы. Особую важность приобретают управленческие технологии, позволяющие сочетать глобальный подход с удовлетворением локальных интересов. Именно этой цели служат модели альтернативных путей технологического развития, методы планирования и финансирования международных научно-исследовательских работ, а также подходы к управлению персоналом в международной среде.

რეზიუმე

ფირმის თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების თავისებურებები ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

ნაშრომში ნაჩვენებია ძლიერი ტექნოლოგიური პოლიტიკის ჩატარების აუცილებლობა. ზუსტად ტექნოლოგიის სფეროში ჩადებულია უფრო არსებითი კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც ახდენენ გრძელვადიან ზემოქმედებას. კონკურენციის გლობალური ხასიათი ხდის სიახლეთა შემოტანას უფრო მნიშვნელოვანს ტრანსნაციონალურ კორპორაციებისათვის, განაპირობებს ინოვაციების შექმნის ახალი გზების ძიების აუცილებლობას. ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენენ არა მხოლოდ ცვლილებების მიზეზებს საწარმოებში, არამედ მათი განვითარების სტრატეგიის პარამეტრს. მრავალნაციონალური კორპორაციების ტექნოლოგიური პოლიტიკა განისაზღვრება ფაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობით, მისი რეალიზაცია დაკავშირებულია მონაწილეთა ურთიერთობებთან, რომლებსაც გააჩნია გან-

სხვავებული, ზოგჯერ საწინააღმდეგო ინტერესები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ მმართველობითი ტექნოლოგიები, რომლებიც გლობალური მიდგომის შეხამების საშუალებას იძლევა ლოკალური ინტერესების დაკმაყოფილებასთან. ზუსტად ამ მიზანს ემსახურება ტექნოლოგიური განვითარების ალტერნატიული გზების მოძიებები. საერთაშორისო სამეცნიერო — კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის და დაფინანსების მეოთხეები, აგრეთვე პერსონალის მართვის მიდგომები საერთაშორისო გარემოში.

* * * * *

В современном международном окружении способность компании к технологическим нововведениям становится основным источником ее конкурентоспособности. Глобальный характер конкуренции не только делает нововведения более значимыми для транснациональных корпораций, но обуславливает необходимость поиска новых путей создания инноваций. Новые технологии являются не только причиной изменений на предприятиях, но и параметром их стратегии развития.

Современная рыночная среда характеризуется тем, что технологии, непрерывно развиваясь, меняют рынок, формируя новые потребности и видоизменяя связанные технологические цепочки. Скорость изменений бросает вызов традиционным методам управления. Так, сегодня недостаточно ориентироваться на спрос и его эволюционное развитие – нужно успевать замечать только еще зарождающиеся потребности, так как даже самые мощные в финансовом и производственном отношении компании, опоздав хотя бы на год, оказываются зачастую не в состоянии успеть занять достаточную для лидерства или даже выживания долю проебразованного рынка. Неудивительно, что рынок интеллектуальной собственности играет все более важную роль в развитии бизнеса вообще и международного в особенности.

Сфера технологии привлекает внимание международного менеджера, так как именно в ней закладываются наиболее существенные конкурентные преимущества, которые оказывают долговременное воздействие.

Международный менеджер должен уметь принимать решения, касающиеся деятельности фирмы в технологической сфере таким образом, чтобы

использовать национальные различия и преимущества международной кооперации для наращивания конкурентных преимуществ. При этом должны учитываться взаимозависимости, существующие между технологической политикой фирмы и другими сторонами ее деятельности: отношениями собственности, структурной политикой, финансовой сферой, рынком рабочей силы и т.п.

Особую важность для международного менеджера приобретают управленческие технологии, позволяющие сочетать глобальный подход с удовлетворением локальных интересов. Именно этой цели служат модели альтернативных путей технологического развития, методы планирования и финансирования международных НИОКР, а также подходы к управлению персоналом в международной среде.

Технологическая политика многонациональных корпораций определяется значительным количеством факторов, ее реализация связана с взаимодействием участников, имеющих разные, порой противоположные интересы.

Развитие технологий – основная движущая сила экономического роста фирмы. В последние десятилетия проявились следующие закономерности технологического развития: новая технология приходит не одна, а в связке с другими; каждая связка (набор) технологий состоит из ряда взаимодополняющих базовых технологий; каждая базовая технология – ядро многих прикладных технологий; прикладные технологии используются для модернизации существующих производств, причем отставание в применении на фирме новой технологии рано или поздно приведет к смене руководства.

В 50-60-е гг. экономический бум был связан с набором технологий, основанных на переработке нефти, и вызвал к жизни производство пластмасс, искусственных волокон, пестицидов и других специфических продуктов, нашедших широкое применение. В 70-е гг. было потрачено много времени и сил для осуществления нового технологического рывка, и в начале 80-х гг. появились первые продукты, ставшие плодом технологической революции.

Особенность нового этапа заключается в том, что теперь развивается не один пучок технологий, как было в 50-60-х гг., а целых три: информационно-коммуникационный, биотехнологический и связанный с новыми материалами. Как следствие, предприниматели сталкиваются с новыми технологиями несколько раз в году.

Технологическая революция, особенно в информационно-коммуникационной сфере, способствовала процессу глобализации экономики. С одной стороны, увеличение стоимости НИОКР интенсифицировало поиск компаниями возможностей расширения рынков, чтобы оправдать возросшие расходы, а с другой – современные средства

коммуникации позволяют чрезвычайно быстро распространять новые образцы поведения, воздействуя на культуру как производства, так и потребления во многих странах. Попытки создания государством локального внутреннего рынка рано или поздно приводят к качественному разрыву между товарами, предлагаемыми на национальном и международном рынках. Взаимодействие рассмотренных факторов приводит к изменениям в корпоративной культуре, способствуя переходу на децентрализованное управление многонациональных корпораций.

Необходимость проведения сильной технологической политики особенно касается работы многонациональных корпораций. Сегодня наиболее жизнеспособны уже не те компании, которые видят конкурентные преимущества в расширении масштабов своей деятельности или в умелом использовании несовершенства конкуренции на мировых рынках труда, капиталов, материальных ресурсов – значимость таких преимуществ уменьшается со временем. В большинстве отраслей многонациональные корпорации больше не могут конкурировать лишь с некоторым числом национальных компаний, они вынуждены конкурировать с другими гигантами, имеющими аналогичные преимущества географической диверсификации. В таких условиях действительно передовые компании – это те, которые в состоянии внимательно отслеживать все рыночные и технологические тенденции, творчески реагировать на те возможности и угрозы, которые эти тенденции несут в себе, постоянно генерировать новые идеи и продукты и быстро и эффективно использовать их с учетом глобального масштаба. Компании же, нечувствительные к технологическим изменениям или медлительные, становятся жертвой растущих затрат на НИОКР, размывания различий в уровнях технологического развития между странами и сокращающегося жизненного цикла продуктов. Технологическая политика служит двуединой глобальной цели фирмы – во-первых, снизить риски и выжить, во-вторых, повысить эффективность собственной деятельности, стать более прибыльной.

Повышение роли технологий в развитии экономики заставляет по-новому взглянуть на эффективность крупных мультинациональных корпораций. Большая часть доводов в пользу крупных размеров компаний в настоящее время не представляется убедительной. Сейчас даже такие ресурсы, как капитал информация, во все большей степени становятся доступными мелким и средним фирмам. Существенными преимуществами крупных корпораций являются экономия на масштабах, способность проводить интенсивные НИОКР, диверсифицировать производства, максимизировать прибыль на вложенный капитал, управлять международными проектами. Однако они недостаточно гибки и динамичны для того, чтобы своевременно разрабатывать новые идеи в сфере новейших

технологий. Вообще, механизм крупной корпорации, ориентированной на массовое производство, - далеко не лучшая форма для быстрого освоения технических новшеств, а объективный процесс концентрации производства и капитала – одно из серьезных препятствий на пути научно-технического прогресса. Структуры крупных корпораций не приспособлены к поиску нововведений, а зачастую и к их внедрению в производство.

В этом плане роль индивидуальных ученых, изобретателей и мелких инновационных компаний в технологическом развитии остается незаменимой, в особенности на стадии зарождения идеи, ее концептуализации. Малая фирма, являясь наиболее мобильной формой организации бизнеса, выполняет роль генератора новых идей, которые не могут зародиться в научно-исследовательских коллективах в силу довлеющих там представлений и авторитетов, испытателя новых товаров, технологий, освоение которых связано с высокой степенью неопределенности и риска.

Однако для разработки промышленной технологии или внедрения нового продукта в современное промышленное производство требуются промышленные лаборатории, конструкторские бюро, технологические подразделения. В связи с этим углубляется разделение труда между индивидуальными изобретателями, предлагающими новые нетрадиционные идеи, мелкими и средними инновационными компаниями, доводящими эти идеи до стадии практического применения, и крупными корпорациями, обеспечивающими использование новой технологии в массовом производстве.

Мелкие инновационные компании в основном определяют предложение на современных рынках технологии. Наиболее распространенным способом реализации своего продукта для независимого изобретателя или мелкого бизнеса является продажа изобретения промышленной компании, заинтересованной в освоении новшества в производстве.

Таким образом, рыночная структура на начальном этапе воспроизводственного цикла технологии характеризуется, с одной стороны, огромным числом мелких инновационных фирм и индивидуальных изобретателей, генерирующих новые технические идеи и стремящихся продать свои научно-технические результаты. На другой стороне находится большое число крупных промышленных компаний, готовых приобрести наиболее перспективные из них для применения в собственном производстве путем покупки патентов и лицензий, контрактации мелких фирм на условиях субподряда, найма владеющего технологией специалиста или приобретения предприятия, где она успешно используется.

Значительную роль в осуществлении связи между различными участниками процесса воспроизводства

технологии играют посреднические фирмы. Брокеры и посреднические фирмы в торговле технологиями появились в 1960-1970 гг. Их появление связано с проблемами перепроизводства научных знаний, когда в условиях постоянного расширения научных исследований значительно увеличился разрыв между количеством создаваемых научно-технических достижений и возможностями применения их в производстве. В результате значительная часть потенциально полезных технологий не применяется не только по причине экономической неэффективности, но и в значительной степени из-за того, что потенциальные потребители не знают о ее существовании. Посреднические фирмы создают базу данных имеющихся и разрабатываемых технологий, помогают решить проблему поиска партнеров, заинтересованных в продаже или приобретении той или иной технологии, создают своим клиентам условия для общения продавца и покупателя посредством компьютерной связи в режиме реального времени.

Посреднические фирмы являются необходимым атрибутом развитых рынков технологии. Их значение состоит в том, что они: обслуживают научно-технический обмен; способствуют повышению скорости распространения нововведений в экономике; способствуют увеличению отдачи от капиталовложений в НИОКР.

Помимо посреднических фирм элементом инфраструктуры, способствующей распространению новых технологий, является расширение практики проведения всевозможных выставок, ярмарок, на которых изобретатели и мелкий инновационный бизнес могут продемонстрировать свои достижения в различных отраслях знаний.

В технологической политике многих многонациональных корпораций в последнее время произошли значительные изменения. Это связано с двумя противоположными тенденциями технологического развития. С одной стороны, региональная экономическая интеграция в сочетании со сближением стандартов и потребительских предпочтений создает условия в ряде отраслей для эффективного стратегического управления многонациональных корпораций на основе централизованного контроля и собственных филиалов. С другой стороны, существуют многочисленные примеры фирм и отраслей, где стратегия сотрудничества оказывается более эффективной. Этому способствуют экономический национализм, протекционизм, различия местных культур и стандартов и другие факторы.

В связи с этим возможны две модели многонациональных корпораций. Согласно первой, это закрытая административная система, переступающая через национальные границы, другая рассматривает многонациональные корпорации как участника многих открытых и меняющихся коалиций, каждая из которых имеет конкретные

стратегические задачи. Соответственно передача технологий может осуществляться как в результате разового приобретения технологии, принадлежащей другой фирме, так и в рамках научно-технического сотрудничества нескольких фирм. В последнее время стратегия сотрудничества превращается в важную составляющую корпоративной стратегии, одно из направлений конкурентной стратегии фирм, потеснившее такие традиционные направления, как стратегия диверсификации, прямых иностранных инвестиций и поглощений. Наиболее перспективной формой организации международного научно-технического сотрудничества сегодня является создание стратегических альянсов между фирмами разных стран для совместного решения научно-технических проблем. В последние десятилетия резко усилилась тенденция образования стратегических альянсов, особенно за счет объединения в альянсы компаний в таких высокотехнологичных отраслях как фармацевтика, телекоммуникации, гражданская авиация, производство полупроводников и т.п.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА:

1. Артемьев И.Е. Рынки технологии в мировом хозяйстве. М.: Наука, 2002.
2. Робинс, Стивен П., Коултер Мери, Менеджмент. 6-е издание. Издательский дом «Вильямс», М., 2002
3. Кемерон Э., Грин М. Управление изменениями – модели, инструменты и технологии организационных изменений. «Добрая книга». М., 2006
4. Сергеев П.В. Мировое хозяйство и международные экономические отношения на современном этапе. М.: Новый юрист, 2008
5. Evans Plo, Management 21 Century Someday We'll all manage this way, S. Chowdbury, Financial Times/Prentice Hall, London, 2000.
6. Hesselbein F., Johnston R. On Leading Change, Jossey-Bass, New- York, 2002.

აგროდაზღვევა საქართველოში: კულტურისა და პროდუქტების ღირებულება

ირინე მამალაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

* * * * *

საქართველოში არსებული აგროდაზღვევა ვერ ასახავს იმ რეალობას, რაც ბიზნესსა და სახელმწიფოს სჭირდება. არადა, სადაზღვევო სექტორი დაინტერესებულია აგროდაზღვევის პროდუქტების განვითარებით, ოღონდ სუბსიდირების გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია.

ამჟამად ჩვენთან ძალიან ინტენსიურად განიხილავენ აგროდაზღვევის ესპანურ მოდელს, რომელიც სწორედ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებას ეყრდნობა. ამ მოდელის მთავარი უპირატესობაა დაზღვევის პროცესებში სახელმწიფოს აქტიური როლი.

ეკონომიკური გაანგარიშებებისა და მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე ესპანეთის მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად დაასკვნა: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება ფერმერის შემოსავლების მხარდაჭერის იმაზე უკეთესი საშუალებაა, ვიდრე კატასტროფული ზარალის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ განეული პირდაპირი დახმარება.

Summary

Agroinsurance in Georgia: Deficit of culture and farm produces

Agroinsurance in Georgia doesn't reflect completely the reality needed for business and the state itself, whereas insurance sector is highly interested in the development of agroinsurance products. At the same time, it is important to mention, that achieving this without serious subsidies is almost impossible.

Recently Spanish model of agroinsurance is under intense discussion in our country. This model is based on subsidization from the governmental side. The main advantage of this model is an active participation of the governmental bodies in the insurance processes.

Based on the economical calculations as well as on the longterm experience, the government of Spain has concluded the following: subsidization, as an insurance grant, is a better way to support incomes of the farmer, than a single assistance from the government in case of loss from any natural or other disaster.

ზოგიერთი ფერმერის შეფასებით, რომელიც, ჩემი აზრით, ყველა ფერმერისა და მენარმის საერთო აზრს გამოხატავს, საქართველოში არსებული აგროდაზღვევა ვერ ასახავს იმ რეალობას, რაც ბიზნესსა და სახელმწიფოს სჭირდება. არადა, სადაზღვევო სექტორი დაინტერესებულია აგროდაზღვევის პროდუქტების განვითარებით, ოღონდ სუბსიდირების გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია.

ამჟამად ჩვენთან ძალიან ინტენსიურად განიხილავენ აგროდაზღვევის ესპანურ მოდელს, რომელიც სწორედ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებას ეყრდნობა. როგორც ამბობენ, ამ მოდელის მთავარი უპირატესობაა დაზღვევის პროცესებში სახელმწიფოს აქტიური როლი და მისი ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია, რაც, პირველ რიგში, მისივე სახსრებით დაზღვევის ზარალის გარკვეული ნაწილის დაფარვაში ვლინდება. ამ ფუნქციით სახელმწიფო შუამავლის პოზიციაში დგება ფერმერსა და სადაზღვევო სექტორს შორის; სხვა საქმეა, რომ თვითონ აგროსექტორში რისკების საიმედოდ შეფასების პრობლემა დგას მწვავედ, რაც, იქნებ, ამ ეტაპზე ცოტათი მაინც შეარბილოს სახელმწიფოს ძალისხმევამ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო რისკების დაზღვევა თვითონ არის დაზღვევის ერთ-ერთი ურთულესი სახე, რაკი წარმოების ეს დარგი ბუნების მოვლენებზეა განსაკუთრებულად დამოკიდებული. ამდენად, სადაზღვევო პრემიის ნაწილის საკომპენსაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირების გაცემა ყველა მხარისთვის სასარგებლო მხარდაჭერა იქნება, რაც, ამავე დროს, დღესდღეობით ერთადერთ გამოსავლადაც კი გვესახება.

ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს აგროსექტორში რისკების დაზღვევას და მთელი აგროდაზღვევის სისტემის განვითარებას. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს სისტემები ყველაზე კარგადაა განვითარებული აშშ-ში, კანადასა და ესპანეთში.

საზოგადოდ, თითქმის ყველგან აგროდაზღვევა ნებაყოფლობითია და მასში ყოველთვის მონაწილეობს სახელმწიფო, ოღონდაც განსხვავებული ფორმებით:

1. ნაწილობრივ მონაწილეობს სადაზღვევო პრემიების გადახდაში;
2. ასევე ნაწილობრივ ანაზღაურებს რეალიზაციისა და სხვა რისკებით განცდილ დანაკარგებს. მეორე ფორმა სულ უფრო ნაკლებად პოპულარუ-

ლი ხდება, რადგან იგი არ შეესაბამება მსო-ს წესებს. იმის გამო, რომ ჩვენთან (და სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, რუსეთში) დაზღვევის ესპანურ მოდელს მეტი მომხრეები ჰყავს, ჩამოვთვალოთ მისი ძირითადი ნიშან-თვისებები:

- აგრორისკების დაზღვევა ნებაყოფლობითია;
- რისკების დაზღვევას კერძო სადაზღვევო კომპანიები უზრუნველყოფენ სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველზე;
- სახელმწიფო აკონტროლებს და ავითარებს აგროდაზღვევის სისტემას, გამოყოფს სუბსიდიებს და ახორციელებს გადაზღვევას ქვეყნის შიგნით;
- აგრომწარმოებლები მათი გაერთიანებების მეშვეობით აქტიურად მონაწილეობენ დაზღვევის საკითხების გადაწყვეტაში;
- კატასტროფული რისკების დადგომის შემთხვევაში სახელმწიფო ახდენს პირდაპირ მხარდაჭერას;
- აგროდაზღვევის წესები კანონმდებლობითაა განმტკიცებული და, რაც ყველაზე მთავარია, ისინი უცვლელია.

ესპანეთში აგრომწარმოებელს შემდეგ სადაზღვევო პროგრამებს სთავაზობენ:

1. ინდივიდუალურ დაზღვევას სახელობითი რისკებისგან (თითოეული რისკისა და თითოეული კულტურისათვის);
2. მულტირისკებისგან ინტეგრალურ დაზღვევას რაიონის საშუალო მაჩვენებლებით გაანგარიშებული ტარიფებით;
3. ყველა რისკისგან დაზღვევას, როცა ტარიფს ანგარიშობენ მეურნეობის საშუალო მოსავლიანობით;
4. ინდექსურ დაზღვევას (ამინდის ინდექსს);
5. მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის დაზღვევას.

სხვაგან აპრობირებული და წარმატებული (თუნდაც, ესპანური) სადაზღვევო სისტემების ჩვენში გადმოტანა და დაზღვევის კულტურის ამაღლება ნამდვილად სასარგებლო და საჩქარო საქმეა, მაგრამ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს დაზღვევის პროდუქტების განვითარების მოთხოვნაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვითონ ესპანეთის პრაქტიკა, სადაც თამამად მიდიან დაზღვევის პრაქტიკაში სიახლეების დანერგვაზე ახალი რეალობებიდან, საჭიროებებიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. კერძოდ, 2014 წ. მოსავლის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ახლა უკვე იმ ფერმერებს შეუძლიათ დააზღვიონ თავიანთი მოსავალი, ვისაც ბამბა და სელი მოჰყავს. პროგრამაში ამ კულტურების იმ სახეობებზეა საუბარი, რომელთა მოყვანის პერიოდი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადას ემთხვევა. სიახლე რწყვის სისტემების დაზღვევაშიცაა, რომელიც იმ სისტემებს ეხება:

ა) რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ სარისკო მოვლენის დადგომის თავიდან ასაცილებლად იყენებენ, და

ბ) რომელთა ექსპლუატაციის პერიოდი 20 წელზე ნაკლებია.

ცხადია, აგროდაზღვევის სექტორის გამართულად ფუნქციონირება სამივე კომპონენტზეა დამოკიდებული - სადაზღვევო კომპანიებზე, სახელმწიფოზე და ფერმერებზე (კოოპერატივებზე), მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მის „სახელმწიფო კომპონენტზე“ ვამახვილებთ ყურადღებას (ისევე და ისევე ესპანეთის პრაქტიკიდან გამომდინარე).

ესპანეთის სადაზღვევო სისტემაში ცენტრალური ხელისუფლება სამ მთავარ ფუნქციას ასრულებს:

1. სისტემის დაგეგმვა და საერთო კოორდინაცია (აგროდაზღვევის სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით);
 2. ქვეყნის შიგნით სახელმწიფო გადაზღვევა (დაზღვევის კომპენსაციის კონსორციუმის მეშვეობით) და
 3. სადაზღვევო საქმიანობის კონტროლი (დაზღვევის გენერალური სამმართველოს მეშვეობით).
- აქედან პირველი და მეორე უწყებები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება, მესამე კი - ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

აგროდაზღვევის სახელმწიფო სააგენტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით შემდეგ საქმიანობას ეწევა:

- ამუშავებს აგროდაზღვევის გეგმებს;
- ახდენს სუბსიდიების ადმინისტრირებას;
- თავს უყრის და ავრცელებს შესაბამის ინფორმაციას;
- იკვლევს ახალი სადაზღვევო პროდუქტების ქმედითობას.

ბოლო წლებში ევროპის ქვეყნებში დაიწყო ესპანეთში დანერგილი და განვითარებული აგროდაზღვევის პრაქტიკის შესწავლა და გამოყენება. იგი მართლაც იმსახურებს ყურადღებას, თუ იმ შედეგებს დავაკვირდებით, რაც ესპანეთში ჯერ კიდევ თითქმის ამ 10 წლის წინ იყო მიღწეული:

დაზღვევის გავრცელების მასშტაბები ესპანეთის აგროსექტორში (2006 წ.)

დარგები	დაზღვევის ობიექტები	დაზღვევის გავრცელების %
მემცენარეობა	საშემოდგომა მარცვლეული ვენახი ბოსტნეული და ყვავილები	ნათეს-ნარ-გავეების ფართ. მიხ. 80 40 28
მეცხოველეობა	მისხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაცემა ცოფი უბედური შემთხვევა ცხვარი და თხა	სულადობის მიხედვით 83 12 18 3
აკვაკულ-ტურები		56

საგანგებოდ ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკური გაანგარიშებებისა და მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე ესპანეთის მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად დაასკვნა: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება ფერმერის შემოსავლების მხარდაჭერის იმაზე უკეთესი საშუალებაა, ვიდრე კატასტროფული ზარალის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ განეული პირდაპირი დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.ნატროშვილი. აგროდაზღვევის პერსპექტივები საქართველოში.-netgazeti.ge/GE/105/Business/26488. 20.12.2013.
2. ო. ტურაბელიძე. მდგრადობის სამკუთხედი. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.04.2014.
3. И. Добвий. Страхование агрорисков за рубежом//Банки. Лизинг. Страхование. 2008. №6.
4. В, Киселёв. Иммитационная система мониторинга программ агрострахования. – agro-incurance.com/review/179.
5. В. Якубович. Система страхования аграрных рисков в Испании. –agroincurance.com/files//Spanish%20system%20_rus.pdf.

შედეგების აკონომიკის ნარეზებისა და განვითარების მიზანები

*გურამ ჯოლია, სტუ-ს პროფესორი
თამარ აბუაშვილი, სტუ-ს ასისტენტი-პროფესორი*

რეზიუმე

* * * * *

საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლება ეროვნული მეურნეობების პრიორიტეტები, ადამიანთა დასაქმების სფეროები და კონკურენტუნარიანობის შეფასების პარამეტრები.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე განვითარებულ სამყაროში წინა პლანზე წამოინია შემოქმედებითა საქმიანობამ, რომელიც გულისხმობს ყველაფრისადმი შემოქმედებით მიდგომას, ახალი იდეების დანერგვას, ინოვაციურ განვითარებას.

თანდათან იკვეთება შემოქმედებითი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, იზრდება ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა და ვითარდება შემოქმედებითი ინდუსტრიის ბაზრები. წესრიგდება ურთიერთობა კულტურას, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული, ინოვაცია, ინდუსტრია, დეინდუსტრიალიზაცია, ინკლუზიური, კონცენტრაცია.

The reasons for the origin and development of creative economy

Guram Jolia,
Tamar Abuashvili

The priorities of the national economy, employment and competitiveness in the areas of evaluation parameters is changing together with the development of the Society. In the edge of the XX-XXI centuries in the developed world, forced creative activity that involves a creative approach to everything, the introduction of new ideas, innovative development.

Gradually is emerging creative economy characteristics, increasing the number of employees in this area and developing the creative industry markets. Interrelation is regulated between culture, business and society.

ბოლო ორი ათეული წელია განვითარებულ საზოგადოებაში შემოქმედების ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, კვლევის ერთ-ერთ პროგრესულ მიმართულებად ითვლება.

შემოქმედების ეკონომიკის კატეგორიულობითი აპარატი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა: „კრეატიული ადამიანი“, „კრეატიული ინდუსტრია“, „კრეატიული კლასი“ და ა. შ. თუმცა, ამ ცნებების შესახებ საერთო კონსენსუსი ჯერჯერობით არ მიღწეულა.

„შემოქმედების ეკონომიკის“ ცნება უშუალო კავშირშია შემოქმედებით პროცესთან ანუ კრეატიულობასთან. თუ ინდივიდის შემოქმედება მეცნიერების სხვა სფეროებში კარგად შესწავლილია, შემოქმედება, როგორც სოციალური პროცესი, ჯერ კიდევ ნაკლებად გამოკვლეულია. ზედაპირულად, ერთი მხრივ, კრეატიულობასა და, მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი მცირედ შესამჩნევია.

შემოქმედებითი (კრეატიული) პროდუქტების ეკონომიკური ბუნების ფასეულობათა ფუნდამენტური გაგება მოცემულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, შოტლანდიელი ბრძენის ადამ სმიტის შრომებში. ესაა „წყლისა და ბრილიანტის“ ცნობილი პარადოქსი, როცა წყალი, რომლის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია, უფრო იაფი ღირს, ხოლო ბრილიანტი, რომელიც ნაკლებად საარსებო სიკეთეა, ძალიან ძვირია. XIX საუკუნიდან, როცა შემუშავდა მომხმარებლის ქცევის თეორია, განისაზღვრა სარგებლიანობის სუბიექტური გაგება და დადგინდა რესურსების იშვიათობის ცნება, დაიწყო შემოქმედებითი ინდუსტრიის ბაზრების ფუნდამენტური წანამძღვრების ფორმირება.

ეკონომისტებს შორის შემოქმედებით ინდუსტრიაზე ყურადღება პირველად გაამახვილა გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა, კულტურის ფილოსოფოსმა ვენგერ ზომბარტმა, რომელმაც ცალკე გამოყო მეცნიერება, კულტურული ინდუსტრია და ხელოვნების ბაზარი, რომლებშიც შემოქმედებითი სანყისი და რაციონალურობა ურთიერთ-შერწყმულია.

იმავდროულად მოხდა შემოქმედებითი სექტორების ინტერესებთან საბაზრო სისტემის ინტერესების თანხვედრა და ადაპტაცია (შეგუება). შემოქმედებითი ინდუსტრიის ინსტიტუტებმა და მათში დასაქმებულმა ადამიანებმა ახალი სტატუსი შეიძინეს. წარმოიშვა შემოქმედებითი მუშაკების სოციალური კარიერის ზრდისა და დასაქმების გადიდების საინტერესო ფორმები, რამაც შემოქმედებითი სფერო ინვესტირებისათვის უფრო მიმზიდველი გახადა.

კრეატიული ინდუსტრიისადმი ყურადღება ნაკარ-
ნახევი იყო ისეთი ობიექტური პროცესებით, როგორ-
იცაა საზოგადოების პოსტინდუსტრიულ განვითარე-
ბაზე გადასვლა, საქმიანობის ახალი სფეროების, უპ-
ირველესად, ინფორმაციული სექტორის აქტიურად
გამოჩენა.

XX ს-ის მე-2 ნახევრიდან დასავლეთის ინდუს-
ტრიული ცენტრებიდან აქტიურად დაიწყო შედარ-
ებით იაფი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებში სამ-
რეწველო საწარმოების გადატანა, რამაც მსხვილი
ქალაქების დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია. ნარ-
მოების გაჩერების გამო, დაცარიელდა საწარმოო შე-
ნობები, გართულდა მოსახლეობის დასაქმება.

აღნიშნულმა გარემოებამ განვითარების ახა-
ლი პრიორიტეტული სფეროების ძიება მოითხოვა.
ყურადღება შეაჩერეს შემოქმედებით ინდუსტრიაზე.
ტრადიციულ დარგებში განვითარების ახალი იმპულ-
სი გამოჩნდა. შემოქმედებითი სექტორი, რომელიც
წინათ ეკონომიკური განვითარების მეორეხარისხო-
ვან სფეროდ ითვლებოდა, თანდათან მძლავრი სა-
წარმოო რესურსი შეიქმნა. დაცარიელებული ფაბ-
რიკა-ქარხნების შენობები კრეატიული ინდუსტრიის
განვითარების, თანამედროვე ხელოვნების, მუზეუმე-
ბისა და გალერეების ცენტრები გახდა და განვი-
თარებისათვის მიმზიდველი ახალი „ეკონომიკური
ნიშა“ წარმოიშვა [1].

ბოლო წლებში მსოფლიო ეკონომიკამ გლობალ-
ური ცვლილებები განიცადა. ინფორმაციული ტე-
ქნოლოგიების დანერგვით მნიშვნელოვნად შეიცვალა
ეკონომიკური ზრდის ტემპები და ბიზნესის წარმართ-
ვის შეფასების ხარისხობრივი პარამეტრები. ახლე-
ბურად წარმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკის დარგობ-
რივი სტრუქტურა (საგრძნობლად გაიზარდა მომსახ-
ურების სფეროს წილი), გაფართოვდა წარმოებული
საქონლისა და მომსახურების სპექტრი, მოხდა მომხ-
მარებლების მოთხოვნებისა და გემოვნების ტრანს-
ფორმაცია და სხვა.

XX საუკუნის ბოლოს ცივილიზაციის განვი-
თარებაში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა,
„შემოქმედების ეკონომიკის“ წარმოშობისა და განვი-
თარების ფუნდამენტური წინამძღვრები საბოლოოდ
შექმნა.

შემოქმედების ეკონომიკა, როგორც ინტეგრი-
რებული მეცნიერება, აერთიანებს ეკონომიკის,
ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და კულტუროლოგი-
ის საკითხებს.

შემოქმედების ეკონომიკა არის მეცნიერების,
კულტურისა და ხელოვნების სფეროთა ერთობლივი
ეკონომიკა. იგი ეფუძნება მაღალი კონცენტრაციის
კრეატიულ სამუშაო ძალას, რომელიც სიანხლების
დამუშავების სულისჩამდგმელი და მამოძრავებელია
[2].

შემოქმედების ეკონომიკის არსია ურთიერთკავ-
შირის მოწესრიგება კულტურას, ბაზრებს, საზოგა-
დოებასა და ვაჭრობას შორის [3].

საზოგადოების მომავალი განვითარება კულ-
ტურის გარეშე შეუძლებელია, შემოქმედებითობა კი

კულტურის ორგანული ნაწილია.

შემოქმედებითი სექტორი სამართლიან საფუძვ-
ელზე უზრუნველყოფს ახალგაზრდების, შეზღუდუ-
ლი შესაძლებლობების მქონეთა და ქალთა დასაქმე-
ბას.

შემოქმედების ეკონომიკა საზოგადოების განვი-
თარებისათვის ქმნის ადამიანზე ორიენტირებულ
მდგრად, ინკლუზიურ და ეკოლოგიურად გამართლე-
ბულ გზებს.

შემოქმედების ეკონომიკის ნიშანია რაიმეს შესახ-
ებ შემოქმედებითი მიდგომა, ახალი, ადრე არარსე-
ბული იდეების დანერგვა, საზოგადოების უწყვეტი
ინოვაციური განვითარება, რომლის საფუძველია
ორიგინალური იდეები დასაქმების ახალი სფეროე-
ბისა და სრულიად ახალი პროდუქტებისა და მომსახ-
ურების შესაქმნელად.

შემოქმედების ეკონომიკის უმეტესი ნაწილი კერ-
ძო სექტორშია თავმოყრილი. ამ სფეროში სჭარბობს
მოკლევადიანი, არასრული დასაქმება, დროებითი
კომპანიები (დროებითი შემოქმედებითი კოლექტივე-
ბი), მაღალია თვითდასაქმების დონე.

დღეისათვის მრავალ ქვეყანაში შემოქმედებითი
ინდუსტრიის განვითარება ეკონომიკური ზრდის
გამოცოცხლების, მოსახლეობის დასაქმების გა-
დიდებისა და სოციალური დარაზმულობის სტრატე-
გიული პრიორიტეტი. თანამედროვე საზოგადოება
სულ უფრო მეტად ხდება შემოქმედებითი, რომ-
ლის მთავარი პროდუქტი – ახალი (ინოვაციური)
სტრატეგიები – ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ
მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რითაც ხელს უწყობს
სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, გაფარ-
თობასა და განმტკიცებას.

ტრადიციული ეკონომიკისაგან განსხვავებით,
შემოქმედების ეკონომიკის მთავარი თავისებურება
ისაა, რომ მისი ძირითადი ინსტრუმენტია ცოდნა,
რესურსი – ინფორმაცია, ხოლო პროდუქტი – ინო-
ვაცია [4].

შემოქმედების ეკონომიკისათვის დამახასიათე-
ბელია ინოვაციური ინდუსტრია, რომლის მნიშ-
ვნელობაში იგულისხმება მასობრივი მასშტაბით
კონკურენტუნარიანი ინოვაციების დამუშავება, წარ-
მოება და რეალიზაცია.

ინოვაციური ინდუსტრიის მიზანია ეკონომიკის
ყველა დარგის მოდერნიზაცია და განვითარება, მო-
ქალაქეთა ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღ-
ლება, ეფექტურობის ზრდა, მეცნიერებატევადობის
გადიდება და შრომის ხარისხის გაუმჯობესება და
ამით ქვეყნის (რეგიონის, საწარმოს) კონკურენტუ-
ნარიანობის უზრუნველყოფა.

ინოვაციური ინდუსტრიის ამოცანაა ეკონომიკის
ყველა დარგისა და საზოგადოებრივი სფეროს გან-
ვითარება მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან პე-
რიოდებში.

სოციალური ინოვაციები უფრო მნიშვნელოვანი
ხდება სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში.
ინოვაციური საქმიანობა უმაღლესი სასწავლებლის
ჩარჩოებში გულისხმობს ცოდნის, როგორც სპეცი-

ფიკური ინტელექტუალური კაპიტალის წარმოებას. მით უმეტეს, რომ ცოდნას შეიძლება არ ჰქონდეს კომერციული ღირებულება, რადგან განვითარებას ის ქვეყნები კი არ აღწევენ, რომლებიც დიდ ცოდნას ქმნიან, არამედ ისინი, რომლებიც დიდ ცოდნას იყენებენ.

მეტად მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის ინოვაციად გარდაქმნა. ამისათვის აუცილებელია პირადი კონტენტის შექმნა, ცოდნის ელექტრონული სახით გამოყენება. საჭიროა მსურველს ვასწავლოთ თავისი ცოდნის კაპიტალიზაცია (ღირებულებითი შეფასება), მისი გაყიდვა, ელექტრონული ფულის მოხმარება. უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი შესაძლებლობები და ინოვაციური აზროვნება სწავლების საპროექტო მეთოდის ჩარჩოებში უკეთესად ვითარდება.

შედარებითი უპირატესობის თეორიული მიდგომა, რომელიც ქვეყანას სთავაზობს იმ სფეროში დასპეციალდეს, რომელიც უფრო უკეთესად შეუძლია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებმა თავიანთი ძალისხმევის კონცენტრაცია კრეატიულ სექტორებში მოახდინეს, ხოლო როცა აუცილებელია წარმოება, აზიისა და სხვა რეგიონების იაფი სამუშაო ძალის ქვეყნებს იყენებენ [5].

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში კრეატიული სფეროს მნიშვნელობა და შესაბამისად მისი წილი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) განუწყვეტლივ იზრდება (დღეისათვის, 7%). ეთგო-ს ქვეყნებში შემოქმედების ეკონომიკის წლიური ზრდა 5-20%-ის ფარგლებში მერყეობს. ევროკომისიის კვლევებით, ევროკავშირის ქვეყნების მშპ-ში შემოქმედების ეკონომიკის წილი აღემატება უძრავი ქონების, კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის, ქიმიური და რეზინის მრეწველობის დარგების წილს [6].

2002-2011 წლებში კრეატიული პროდუქციისა და მომსახურების მსოფლიო საქონელბრუნვა თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და 624 მილიარდ აშშ დოლარს მი-აღწია [7].

კულტურისა და ხელოვნების ინდუსტრიამ აშშ-ის ეკონომიკა 2011 წელს 504 მილიარდი დოლარით გაზარდა, რაც ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულების 3,2%-ია. შედარებისათვის: ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრიის წილი აშშ-ის მშპ-ში 2,8%-ია. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: აშშ-ის საერთო საგარეო-სავაჭრო დეფიციტის ფონზე, კრეატიული სექტორი პროფიციტულია ანუ მეტი ოდენობის პროდუქციას ყიდის, ვიდრე ყიდულობს [8].

ჰოლივუდი და ვიდეოინდუსტრია მონინავე შემოქმედებითი სექტორებია: დასაქმებულია 310 ათასი ადამიანი 25 მილიონი აშშ დოლარის ხელფასის წლიური ფონდით. მუზეუმებსა და საშემსრულებლო ხელოვნებაში 100 ათასამდე ადამიანი მუშაობს. საერთო ჯამში აშშ-ის კრეატიულ სექტორში 2 მილიონი კაცია ჩართული [8].

შემოქმედების ეკონომიკა ისეთ არამატერიალურ

ფასეულობებსაც ქმნის, რომლებიც ადამიანზე ორი-ენტირებულ მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

მიჩნეულია, რომ მომავალში შემოქმედების ეკონომიკის განვითარება სერიოზულ გავლენას მოახდენს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე.

შემოქმედების ეკონომიკის სამომავლო განვითარების წანამძღვარია გარკვეული დონის ცოდნა და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება, ასევე კრეატიული კლასის ფორმირება და განვითარება.

შემოქმედების ეკონომიკის განვითარებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს:

პირველი: ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ა. მასლოუმ ახსნა, თუ რატომ ხარჯავს ერთი ადამიანი უფრო მეტ დროსა და ენერჯიას საკუთარ უსაფრთხოებაზე, მეორე კი – სხვებისაგან პატივისცემის დამსახურებაზე? მისი აზრით, ადამიანის მოთხოვნილებებს იერარქიული სტრუქტურა აქვს, რომელიც აერთიანებს ფიზიოლოგიურ, უსაფრთხოების, სოციალური კავშირების, თვითპატივისცემისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილებებს.

ადამიანი ცდილობს პირველად დაკმაყოფილოს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. მას შემდეგ, რაც იგი დაკმაყოფილდება, ის აღარ იქნება მოტივატორი და ადამიანი შეეცდება დაიკმაყოფილოს შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. მაგ., მოშიშნულე ხალხს (ფიზიოლოგიური მოთხოვნილება) არ აინტერესებს ის უახლესი მოვლენები, რომლებიც ხელოვნებაში ხდება (თვითგამოხატვის მოთხოვნილება), არც ის, თუ როგორ პატივს სცემენ მათ სხვები (პატივისცემის მოთხოვნილება), მაგრამ როგორც კი დაკმაყოფილდება თვითოეული მნიშვნელოვანი მოთხოვნილება, შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება დგება რიგში [9].

მასლოუ მიიჩნევს, რომ ჩვენი მოთხოვნილებები იერარქიის საფეხურზე მაღლა მიიწევს, ფიზიოლოგიურიდან ემოციურ და სულიერ საფეხურებისაკენ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების მატერიალური მოთხოვნილებები ძირითადად დაკმაყოფილებულია, მათ მაღალი შემოსავლები აქვთ და ინტელექტუალურ საქმიანობას ანიჭებენ უპირატესობას (ანუ ზრდიან მოთხოვნილებას).

აღნიშნული შესაბამისად იწვევს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბაზრის განვითარებას. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მომსახურების სფეროში დასაქმების გადიდების კვალობაზე, ახალგაზრდობა მეტ ინტერესს კრეატიული ინდუსტრიისადმი იჩენს. მათი აზრით, ეს დარგები უფრო მიმზიდველ სტილს სთავაზობენ და ეკონომიკური დაჯილდოებაც (ანაზღაურება) საშუალოზე მაღალია. გარდა ამისა, კრეატიული ინდუსტრიებიც თანდათან უფრო კომერციული და კონკურენტულები ხდებიან. მოთხოვნის მხრიდან, კრეატიული ინდუსტრი-

ის პროდუქციის მოცულობა იზრდება, რაც განაპირობებს სამომხმარებლო შესაძლებლობების ზრდას, თავისუფალი დროის ბიუჯეტის გადიდებას და ამ ინდუსტრიის სექტორებისადმი გაზრდილ ინტერესს. მაგ., ბრიტანელები, ამერიკელები და იაპონელები გართობაზე მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე სამედიცინო მომსახურებაზე [5]. შედეგად, მათთან შემოქმედების ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება.

მეორე: შემოქმედების ეკონომიკის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელი საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების არნახული მასშტაბებით განვითარებამ. ახალმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა შექმნეს ახალი შესაძლებლობები კონტენტის – მსოფლიო კიბერსივრცის შესაქმნელად. 3D გამოსახულებისა და იდეების სინთეზი ახალ ნიმუშებს ელის.

საზოგადოებაში ამკარად ვლინდება ორი ურთიერთგადამკვეთი ტენდენცია: კრეატიული ადამიანები და ორგანიზაციები უფრო მეტად ბიზნესზე ორიენტირებულები ხდებიან. თავის მხრივ, ბიზნესიც შემოქმედებით მიდგომებზე მეტ დამოკიდებულებას იჩენს.

1. Зеленцова Е. На пути к творчество экономике. // «<http://www.creativeindustries.ru>»
2. Florida R., Tinagli I. Europe in the Creative Age. «http://creativeclass.com/rfcgdb/articles/Europe_in_the_Creative_Age_2004.pdf.»
3. ООН. ЮНКТАД XIII, Доклад об итогах диалога высокого уровня по политике в отношении креативной экономики в интересах развития. Доха, Катар, 21-26 апреля, 2012. С. 6.
4. Журавлев В. А. Интеллектуальный потенциал креативного общества // «КЭ» экономика. 2009. №8.
5. Джон Хокинс. Креативная экономика. М., 2007. С. 116.
6. Клоудова Й. Влияние развития креативной экономики на экономически отсталые регионы. «www.econorus.org/repec/journal/2010-5-110-125r.pdf» С. 111.
7. Креативная экономика – двигатель и катализатор устойчивого развития. «<http://trade.ecoaccord.org/news/dev/>»
8. «<http://top.rbc.ru/economics/05/12/2013/893112.shtml>»
9. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. ქართული თარგმანი. თბ., 2005.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი საქართველოს
ეკონომიკაში გლობალიზაციის პირობებში

მედეა ძონენიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკური სივრცის განვითარების ტენდენციები მოითხოვს მეტ ყურადღებას საერთო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას და ქვეყნის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების თავისდროული შესწავლა და ანალიზი უზრუნველყოფს პოზიტიური ცვლილებების ეფექტის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ტექნოლოგიების ვირტუალური ზონა, პროგრამული ქსელები, მობილური ინტერნეტი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები.

Summary

Development of a modern economy requires more attention to the secular trends in the economic development strategy of the country's infrastructure development. Time-ly changes in the economy in the current study and analysis will positively effect on changes.

შესავალი

მსოფლიო იმყოფება ისტორიული ტრანსფორმაციის შუა პერიოდში მილენიუმის გზაზე. ისტორიულად ცნობილი სხვა ძირითადი ტრანსფორმაციების მსგავსად, ის არის მულტიგანზომილებიანი: ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური. ესოდენ მრავალფეროვანი, ექსტრაორდინალური ცვლილებები გავლენას ახდენენ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე, ადამიანების ცხოვრებაზე და კეთილდღეობაზე. ეს პროცესები განაპირობებენ ადამიანების მდგომარეობას და სოციალურ-ეკონომიკური პირობების განსხვავებულობას. განსხვავებულობა ინვესტებს ბევრ დებატებს განსაკუთრებით ქვეყნებს შორის საერთაშორისო საკითხების განხილვისას. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ფართო გამოყენება სრულიად ცვლის ქვეყნების ინფრასტრუქტურას, ზრდის საერთაშორისო ბაზრის მნიშვნელობას და აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ბუნებრივია, რომ დღეს დღეობით სოციალური განვითარება განაპირობებულია სინერგიული ერთიერთობებით ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და

ადამიანურ შესაძლებლობებს შორის, ახალი ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური სისტემების ჩამოყალიბებით, მწარმოებლურობის, სტრატეგიული მოქნილობის, სოლიდარობის, თავდაცვის, თანამონაწილეობის და პასუხისმგებლობის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების განვითარებით, რომ ჩამოყალიბდეს სოციალურად და ეკონომიკურად სტაბილური განვითარების მოდელი.

პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ამ მიზნების სტრატეგიულად მიღწევა საკმაოდ რთულია, რაც განპირობებულია ინტერესების და პრიორიტეტების კონფლიქტით. თუმცა ბევრი არის დამოკიდებული მიმდინარე გლობალური ცვლილებების თანმსწრები პროცესების გააზრებაზე, მათ ბუნებაზე და რეალობაზე.

ძირითადი ნაწილი

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულს მსოფლიოში შეიქმნა კომპიუტერული საკომუნიკაციო ქსელები, რომლებიც წარმოადგენდნენ საინფორმაციო სისტემების და კომუნიკაციის საფუძველს. საერთაშორისო პროგრამული ქსელების (მოფტნარე) შექმნამ დააკავშირა ყველა სფეროში მიმდინარე პროცესები. ერთის მხრივ საკმაოდ გაადვილა და დააჩქარა საწარმოო, საორგანიზაციო, ტექნოლოგიური პროცესები. მეორე მხრივ კი წარმოიშვა სირთულეები, დაკავშირებული კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიების სტატუსის ჩამოყალიბებასთან, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან.

საქართველოში მოქმედებს რამოდენიმე ინტერნეტ ქსელის კომპანია და მრავალი პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ტელე-მედია-კომპანიები, სატელეფონო კომპანიები და სხვა. ჯერ კიდევ 1999 წელს იყო განხილული საქართველოს სამთავრობო ქსელის პროექტის შემუშავების საკითხი, რომელიც მომზადდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის (GRENA, დაარსებული 1999 წლის 26 ივლისს, ქ. თბილისში) მიერ. 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა კანონი "საინფორმაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური) ზონის შესახებ". ფინანსთა სამინისტრომ იმავე წელს ვირტუალური ზონის სტატუსი მიანიჭა 5 კომპანიას. გარდა ამისა დაწესდა საგადასახადო შეღავათი საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპორტის ნახალისების მიზნით.

ეს მოქმედებები ვერ წყვეტავს ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე IT-კომპანიების პრობლემებს. ვინაიდან 2011 წლის კანონის შესაბამისად შეღავათებით ისარგებლებდნენ მხოლოდ იურიდიული

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაშვება
აღამიანთა პოტენციალის განვითარების მაღალი დონის ქვეყნებში

№	ქვეყნების რეიტინგი	ტელეფონი		ინტერნეტი			საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაშვება და ლირებულება			
		მობილური და სტაციონალური სატელეფონო კავშირების აბონენტები		მობილური კავშირით მოცული მოსახლეობა	მომხმარებლები	ფართო დაშვების აბონენტები	პერსონალური კომპიუტერი	მობილურზე გადასახადი	სტაციონალური სატელეფონო კავშირების ლირებულება	
		100 კაცზე	%	%	100 კაცზე	%	100 კაცზე	100 კაცზე	აშშ დოლარებში	აშშ დოლარებში
43	ბაჰამის კუნძულები	145	236	100	31,5	711	10,1	0	50	0
44	ლოტვა	173	235	100	54,4	703	17,8	24,5	2,1	106,1
45	ჩილი	109	173	100	32,5	113	805	0	1,9	92,1
46	არგენტინა	141	291	94	28,1	331	8,0	0	4804	4707
47	კუვეიტი	126	284	100	36,7	601	1,4	0	17,3	130,1
48	ლატვია	127	152	99	60,4	809	8,9	32,8	2,0	0
49	ჩერნოგორია	176	0	99	47,2	0	10,0	0	7,3	0
50	რუმინეთი	137	364	98	28,8	679	11,7	19,3	5,6	0,0
51	ხორვატია	175	176	100	50,5	632	11,9	0	20,3	123,6
52	ურუგვაი	134	233	100	40,2	282	,3	0	46,1	52,1
53	ლიბის არაბული უამახარია	93	809	71	5,1	3130	0,2	0	3,8	38,1
54	პანამა	131	429	83	27,5	383	5,8	2,8	30,0	30,6
55	საუდის არაბეთი	163	837	98	31,5	1612	4,2	68,3	26,7	80,0
56	მექსიკა	90	265	100	22,2	368	7	14,1	0	116,8
57	მალაიზია	118	228	92	55,8	203	4,9	23,1	2,5	15,0
58	ბულგარეთი	166	252	100	34,7	517	11,1	11,0	0	18,0
59	ტრინიდადი და ტაბაგო	136	279	100	17	127	4,6	13,2	0	23,9
60	სერბეთი	173	0	93	44,9	0	4,6	19,3	3,6	89,7
61	ბელორუსია	122	321	99	32,1	1553	4,9	0	1,5	28,2
62	კოსტა-რიკა	74	199	69	32,3	540	2,4	0	5,5	39,7
63	პერუ	83	697	95	24,7	791	2,5	0	13,7	122,1
64	ალბანეთი	0	0	99	23,9	21329	2,0	4,6	0	143
65	რუსეთის ფედერაცია	172	587	95	31,9	1450	6,6	13,3	9,6	281,7
66	ყაზახეთი	117	191	94	10,9	1582	4,3	0	5,7	117,3
67	აზერბაიჯანი	91	541	99	28,2	20206	0,7	8,0	4,9	97,3
68	ბოსნია და ჰერცეგოვინა	112	382	99	34,7	3169	5,0	6,4	11,2	52,6
69	უკრაინა	149	513	100	10,5	1294	3,5	4,6	22,9	31,6
70	ირანი	94	532	95	32,0	3483	0,4	10,4	30,8	106,1
71	მაკედონია	145	375	100	41,5	1596	8,9	36,8	14,3	34,9
72	მადრიკა	110	204	99	22,2	225	7,2	17,4	3,5	40,4
73	ბრაზილია	100	254	91	37,5	1341	5,3	0	18,7	62,7
74	საქართველო	78	379	98	23,8	4352	2,2	27,2	6,7	120,7
75	ვენესუელა	120	319	90	25,7	776	4,7	0	2,3	31,0
76	სასომხეთი	120	572	88	6,2	378	0,2	0	3,3	39,2
77	ეკვადორი	100	688	84	28,8	2057	0,3	13,0	5,0	67,2

სტატუსის მქონე პირები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ორიენტირებულნი იქნებოდნენ ექსპორტზე. ახალი კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს ფიზიკურ პირ-

თა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას და აღარც ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე კომპანიებს უქმნის რაიმე შეღავათს.

“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის” მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც ყოველწლიურად ტარდება INSEAD—თან ერთად, საქართველოს პოზიცია 2012 წელთან შედარებით გაუმჯობესდა და 65-ე ადგილი უკავია. მობილური ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 56%-ით, 2012 წლის მეოთხე კვარტალში გადააჭარბა 1.3 მლნ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიებით სარგებლობდა 2010 წელს 86 ათ. აბონენტი, 2011 წელს — 125 ათ., 2012 წელს — 180 ათ. აბონენტი. საინფორმაციო — საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებული ანგარიშის მიხედვით საქართველო იკავებს მსოფლიოში 74 ადგილს (რეიტინგი), 2012 წლის მონაცემით, როგორც არის ნაჩვენები ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (სურ.1).

როგორც ცხრილიდან ჩანს მობილური კავშირით დაფარული სივრცე გაცილებით მეტია, ვიდრე ინტერნეტის ქსელით. შესაბამისად დაბალია კომპიუტერიზაციის პროცენტიც სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალია საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების ღირებულება. ქვეყნები, სადაც კარგად არის განვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მაღალია განათლების და სოციალური უზრუნველყოფის დონე, ასევე მაღალია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელიც. ამ მაჩვენებლების მიხედვით დგება ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI – human development index), რომლის მიხედვით 2013 წლის წლიურ ანგარიშში საქართველოს რეიტინგი შეადგენს 0.748, რაც აძლევს საქართველოს საშუალებას დაიკავოს 72 ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ადამიანური განვითარების ინდექსის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს შემოსავლების ინდექსი, რომლის სიდიდე არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონეზე, ინფრასტრუქტურაზე, ბიზნეს გარემოზე, მათ შორის საგადასახადო სისტემაზე. ყველა აღნიშნული ფაქტორი ურთიერთდამოკიდებულია. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ტენდენციამ წარმოშვა მოთხოვნილება ადამიანურ რესურსებზე, მომზადებულ და კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე, ახალი საწარმოო და ორგანიზაციული სტრატეგიების შემუშავებაზე, ინფორმაციული დაცვის საკითხებზე და საკუთარი საინფორმაციო პროგრამული სისტემების შემუშავებაზე.

დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულების შემუშავება ყოველწლიურად ცვალებად გარემოში დღითიდღე აქტუალური ხდება. ადგილობრივი სამენარმეო საქმიანობის ხელისშემწყობი პირობების განვითარება შეუქმნის მას სამომავლოდ აუცილებელ საფუძველს, რათა ქვეყნის ფარგლებს შიგნით შეიმნას სამეურნეო საქმიანობისათვის ნაყოფიერი გარემო. ამიტომ აუცილებელია საქმიანობის ავტომატიზაცია, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საინფორმაციო ბაზების შექმნა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ახალ განვითარებადი დარგებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა — მიზნები და ამოცანები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელ. რესურსები. 2014 წელი
2. ჰ. ვან-ჩუნგი იენგი — აზიის ბიზნეს-სისტემების დინამიკა გლობალიზაციის ერაში, 2000წ.
3. WTO - წლიური ანგარიში, 2011წ.
4. <http://hdr.undp.org/en/data> - გაეროს წლიური ანგარიშები, 2012 წელი
<http://www.compinfo.ge/>

აგროტურიზმი, როგორც მენეჯმენტის ფორმა და მისი განვითარების სპეციფიკა

*ეთერ ნარიანიშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

შეიძლება ითვას, რომ აგროტურიზმი საქართველოში ისევ და ისევ განვითარების სტადიაში იმყოფება. აუცილებლად უნდა ვეცადოთ და რასაკვირველია სახელმწიფო ორგანოებიც უნდა ჩაერთვნენ აგროტურიზმის განვითარებაში, რათა ავამაღლოთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემცირდეს უმუშევრობა და აგროტურისტული პროდუქტი გახდეს ცნობადი და მიმზიდველი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

Summary

Agro-tourism as a form of entrepreneurship and specific way of development

We can say that agro-tourism in Georgia is still developing. We should try to develop it and authorities also have to be involved in this process in order to develop living standards for population in communities, to reduce unemployment and to make agro touristic products become well-known and appealing all over the world.

* * * * *

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. სხვადასხვა ქვეყნებში აგროტურიზმს სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ: ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით “სოფლის ტურიზმი” (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი “auernhoftourismus”, რაც სიტყვასიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც ლათინური წარმომავლობის სიტყვა “აგრო”-დან (agros) და მისგან ნაწარმოები “აგრარული” - agrarius – სასოფლო-სამეურნეო, მომდინარეობს. მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – სწორედ ესენი გახლავთ აგროტურიზმის შემადგენელი ძირითადი კომპონენტები. აგროტურიზმის მთავარი მიზანია ტურისტების განთავსების საშუალებანი სოფლად მდებარეობდეს და სწორედ აქედან გამომდინარე ცხოვრების აჩქარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის სურვილს, რომ პერიოდულად მშვიდ, წყნარ გარემოში, ქალაქარეთ დაისვენოს მან. ვინაიდან, აგროტურისტული მეურნეობები ისტორიული და

კულტურული ძეგლების საინტერესო გულისხმობს, ტურისტებს ღამის გასათევს სთავაზობს, ადგილზევე იწარმოება საკვები პროდუქტი და შენარჩუნებულია ტრადიციული ტექნოლოგიები აგროტურისტული მეწარმეობის ფორმა პოპულარულია, რადგან ფერმერებს არ უხდებათ დიდ ინვესტიციებთან დაკავშირებული სერიოზული რისკების გაწევა. მისი განვითარება შესაძლებელია თანმიმდევრულად, უკვე არსებულ რესურსებზე დაყრდნობით და შემოსავლების თანმიმდევრული ზრდით.

საქართველოს რეალობაში აუცილებელია მცირე ფინანსური ინვესტიციების დაბანდება. რათა ტრადიციული კარ-მიდამოს სანიტარული პირობები მიუახლოვდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით უმეტეს ევროპულ ქვეყანაში არსებობს საგადასახადო შეღავათები. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ხუთი სასტუმრო ოთახის გაქირავება არ რეგისტრირდება და არ მოითხოვს ყოველთვიურ ფინანსურ აღრიცხვას. საქართველოში არსებობს ინდ. მეწარმისათვის (საოჯახო ბიზნესი) გადასახადისაგან გათავისუფლებული მინიმალური წლიური ბრუნვა, დღგ-ისაგან განთავისუფლებული ბრუნვა, საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება და ა.შ. აგროტურიზმის მეწარმის ტურისტული საქმიანობა სეზონურია. იგი მუშაობს ოჯახის წევრებთან და აგრეთვე დაქირავებულ თანამშრომლებთან ერთად, უშუალო ურთიერთობა აქვს დამსვენებელთან, უნაწილებს დავალებებს ოჯახის წევრებს (ან თანამშრომლებს), ხელმძღვანელობს, ორგანიზებას უწევს, ამოწმებს და აფასებს შესრულებულ სამუშაოს. მისი ძირითადი ტურისტული მომსახურება ისაა, რომ სტუმრებს შესთავაზოს ფერმერული ან სოფლის ტრადიციული ყაიდის სახლში ღამის გათევა, ტრადიციული საკვები, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული რეკრეაციული აქტივობები (ტრადიციული პროდუქტის დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიის გაცნობა, სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობა, ტურისტული ინფორმაციით უზრუნველყოფა, დამატებით-ცხენების გაქირავება და სხვ.). აგროტურიზმის მეწარმე თანამშრომლობს ტუროპერატორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მართავს უძრავ ქონებას და ეწევა სოფლის ტურიზმის პროდუქტებისა და მომსახურების მარკეტინგს. აგროტურიზმის მეწარმე უნდა ფლობდეს კომუნიკაბელურ უნარ-ჩვევებს. იგი პასუხისმგებელია დამსვენებლისათვის სა-

სიამოვნო და საინტერესო გარემოს შექმნაზე მის უსაფრთხოებასა და მაღალი კლასის მომსახურებაზე. აგრარული ტურიზმი ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა. იგი აგროეკონომიკის სფეროს ტრადიციული შემადგენელი ნაწილია. აგრარულმა ტურიზმმა მნიშვნელოვნად განსახილვრა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და გარკვეულ წილად მეურნეობის მოგების წილის ფორმირებაც. 1972 წლიდან დაწყებული აგროტურიზმი მსოფლიო პრაქტიკაში ცალკეული დარგის სახით გვევლინება, რომელიც თავისი არსითა და მსგავსებით გვახსენებს ახალგაზრდების შრომით ბანაკებს ან სასოფლო-სამეურნეო კამპანებს. მოსავლის აღებისათვის ქალაქის მოსახლეობის მიზიდვით. საჭიროა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ეს შეთავსებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან, მაგრამ შრომის და დროებითი აგროსეგმენტის დასვენების პირობები აქ წარმოიდგინება სხვა რიგობრივი დონით.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ტურიზმი მაღალ შემოსავლიანი დარგია, რომელსაც მესამე ადგილი უკავია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს თურქეთის ფენომენს, რომელმაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან 30 წლის განმანმავლობაში გადაიქცა მაღალგანვითარებულ ტურისტულ ქვეყნად. ნებისმიერი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საერთოდ და კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტით. ამ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გზაა ეფექტიანი, მაღალმოშვებიანი დარგების განვითარება. ამ შემთხვევაში აგროტურიზმი განხილულ უნდა იქნას, როგორც აგროსამრეწველო სტრუქტურის თავისებური საკვანძო ელემენტი. აგრარულ ტურიზმს, განსხვავებით ტურისტული სფეროს სხვა მიმართულებებისაგან აქვს თავისი სპეციფიკა, რომელიც გამოიხატება დანახარჯების მინიმიზაციაში, პირველ ყოვლისა, კვება სოფლად 2- 2,5-ჯერ იაფია (შუამავლების გარეშე) ვიდრე ქალაქში. განსაკუთრებით იაფია ზაფხულში, რაც მინიმუმ ორჯერ ამცირებს საგზურების ღირებულებას. ამავე დროს ტურისტული პროგრამის კულტურული პოტენციალი ამათუ იმ ქვეყანაში, თუ სრულად შეიძლება რეალიზებულ იქნეს აგროტურიზმთან ერთი ლოკალური შეხებით შრომითი საქმიანობისაგან თავისუფალ დროს. ამ შემთხვევაში აგროტურიზმი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სოციალური ტურიზმის სახესხვაობა.

აგროტურიზმის სპეციფიკას შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი ქვედარგების განვითარება, როგორიცაა სამრეწველო საფუძველზე გარეული ფრინველის გამოზრდა სამონადირეო სავარგულებზე გამოზრდით. ცნობილია, რომ ასეთი სახის სარეწები ფართოდ იყო განვითარებული ყოფილ იუ-

გოსლავიაში, თავის გამოხატულებას პოულობს კანადაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში, რომლებიც საკმაოდ მაღალ სამეწარმეო შემოსავალს იღებენ. საქართველოსათვის უპირატესია: სვანეთის, მთათუშეთის, შავი ზღვის და ბორჯომის, საირმის, წყალტუბოს რეკრეაციული ადგილები, ასევე მიწათმოქმედების საოჯახო ტრადიციული წესის აღდგენა, ნაციონალური კულტურის მიმართულებათა განვითარება და ა. შ. ქართული ეგზოტიკა უცხოელი ტურისტებისათვის, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ ჩვენი ქვეყნის ულამაზესი და რეკრეაციული ადგილების შესახებ, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკის დამატებითი შემოსავლების წყარო. საქართველოს კულტურული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი: აგრეთვე მისი ეგზოტიკური კუთხეები ეკუთვნის ან შეიძლება პოტენციურად მიეკუთვნოს ასკას, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ აგროტურიზმის განვითარება უშუალო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი დარგების განვითარებასა და აღდგენაზე. ამავე დროს ასკას ხვედრითი წონა უმნიშვნელოა იმ პოტენციალთან შედარებით, რომელიც შეაქვს აგროკომპლექსს რეგიონთაშორისი ტურიზმის განვითარებაში, სადაც გაითვალისწინება მიწა, შრომა და კაპიტალი, წარმოების ამ ძირითადი ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს, როგორც რეგიონული ეკონომიკის ნაწილი, ისე ავტონომიურადაც ცალკეული მეურნეობებისა და ტერიტორიული ერთეულების დონეზე.

აგროტურიზმის განვითარების ეფექტიანობა განპირობებულია შემოსავლით, რომელიც 1 ჰა. მიწიდან მიიღება. ეს გულისხმობს მიწის უპირატეს გამოყენებას არაშავმიწიან ზონაში ტურისტული მიზნებისათვის, ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ არაშავმიწიანადაცაა ზონაში ბევრია ღირსშესანიშნავი კულტურული ძეგლები. აგრარული ტურიზმის ეფექტიანობა განპირობებულია აგრეთვე აგრარული სფეროს შეღავათიანი დაკრედიტებით, აგროსაწარმოებში შემავალი რიგი კომერციული სტრუქტურების შექმნით, კომერციული ბანკების, კერძო პირებისა და უცხოელი ინვესტორების და აგროსფეროში ამ საშუალებების განთავსებით. ეს ხელს უწყობს არა მარტო აგროტურიზმის განვითარებას, არამედ ასკას მთლიანად. ამის გარდა სოფლად ტურიზმის განვითარება გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ან ე. წ. ხელსაყრელი რეკრეაციული გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. ამრიგად, აგრარული ტურიზმის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ღირებულების შექმნის შედეგად ყალიბდება დიდი რაოდენობის სასაქონლო პროდუქციის დამატებითი რეალიზაცია, არსებული აგროსამრეწველო ტექნოლოგიების განახლება,

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარება. ტურისტული მომსახურების არატრადიციული ფორმების (ნადირობა, მეთევზეობა, საწყლოსნო და საცხენოსნო ტურიზმი) დაკრედიტებისა და განვითარების შეღავათიანი პირობები დამახასიათებელია, გარკვეულწილად მხოლოდ აეროსფეროსთვის, აგრეთვე კონკრეტულ უპირატესობას უქმნიან ტურისტულ ბიზნესში ამჟამად არსებულ მონოპოლიურად ფუნქციონირებულ დასვენების სახლებსა და პანსიონატებს. კონკურენტუნარიანი აგრარული ტურიზმის შექმნის უპირატესობას განაპირობებს განსაზღვრული ეკონომიკური ბაზა, შიგა ტურისტულ ბაზარზე ფასების საერთო შემცირება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სოციალური ტურიზმის აღორძინებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე ლ., «აგრო-ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში», სამეც. შრომათა კრებული ტ. XXX, გვ. 197-200. 2005.
2. მეტრეველი მ. «ტურიზმი», თბ. 2003.
3. შუბლაძე ვ. «საქართველო და ტურიზმი», 2004
4. ოქროცვარიძე ა., «ტურიზმის მენეჯმენტი», სალექციო კურსის მასალები საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სტუდენტებისათვის. 2010.
5. ხომერიკი გ. „ტურიზმი“, -სახელმძღვანელო ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისათვის-2008

*Елене Камкамидзе, Профессор Гту
Екатерине Гварамия, Профессор Гту*

Summary

**Perspective directions of development
a telemedicine**

Today, information systems in medicine are increasingly being used. When building a serious hospital IT-component is essential. Introduction of information systems in commercial clinics and medical centers are especially actual. It is obvious that information systems should be used in the form of a whole comprehensive set that incorporates all aspects of the medical facilities. That is why the local computer programs now are incorporated into a single integrated health information system, which is based on the module principle. Telemedicine with difference from remote diagnostics inevitably involves opportunity for dialogue and the provision of any audio-visual information. In such way valuable background information for advice during diagnosis and treatment of patients, discussion of new methods of clinical and functional diagnosis, therapy and surgical treatment of diseases is provided. In other words, a video conferencing system is a complex system that provides an increase “accessibility” of care for virtually any patient, regardless of his/her location.

* * * * *

Стремительно набирая темпы в последние десятилетия, прогресс на фоне повсеместного внедрения компьютерных информационных технологий (IT-технологий) охватил и медицину. Сегодня информационные системы в медицине используются всё шире: при создании серьёзной клиники без IT-составляющей уже не обойтись. Совершенно очевидно, что информационные системы необходимо использовать в виде целостного комплекса, органично интегрирующего в себе все стороны работы медучреждения. Вот почему локальные компьютерные программы ныне сводятся в единые комплексные медицинские информационные системы, в основу создания которых заложен модульный принцип, где каждый из модулей-подсистем, предназначенных для решения «своих» специфических задач, тесно взаимосвязан с остальными. При этом деятельность медицинского персонала в едином информационном пространстве обеспечивается за счёт взаимного использования модулями информации из всех подсистем. Широкими возможностями обладает и сама по себе электронная история болезни, которую называют ещё электронной медицинской картой (EHR

- electronic health records), представляющая собой современную систему программного обеспечения и модулей, которые позволяют свести воедино различные структуры лечебного учреждения.

Видеосвязь – современный способ делового общения. Видеоконференция востребована при дистанционном обучении, позволяя проводить курсы, тренинги и семинары для сотрудников компаний с целью повышения их квалификации. Видеоконференция позволяет не только передавать информацию через видеосвязь, но и способствует ее лучшему восприятию. Именно благодаря возможности видеосвязи использовать в режиме реального времени передачу визуальных данных, видеоконференцсвязь широко используется различными компаниями в ходе дистанционного обучения. Видеоконференция применяется как средство оперативного принятия решения в той или иной ситуации; при чрезвычайных ситуациях. Большую роль в видеоконференции играют каналы связи. Для подключения к каналам связи используются сетевые протоколы IP или ISDN. Существует два режима работы ВКС (видеоконференцсвязь), которые позволяют проводить двусторонние (режим «точка-точка») и многосторонние (режим «многоточка») видеоконференции. Для реализации данного режима требуется наличие специального видеосервера MCU (Multipoint Control Unit).

Телемедицина – это достаточно новое направление на стыке нескольких областей - медицины, телекоммуникаций, информационных технологий. Бесспорно, что одно из главных достоинств телемедицины - это возможность предоставить высококвалифицированную помощь специалистов ведущих медицинских центров в отдаленных районах и существенно сэкономить при этом затраты пациентов. Практические врачи в процессе регулярного консультирования получают дополнительный опыт и знания. Благодаря телемедицине они могут «посещать» видеолекции или наблюдать за ходом операции, проводимой самыми авторитетными специалистами, находясь в этот момент за сотни и тысячи километров. Плановые и экстренные видеоконсультации и видеоконсилиумы - это непосредственное общение между врачом-консультантом и лечащим врачом, при необходимости - с участием больного. Телемедицинские системы позволяют организовать диалог с врачом-экспертом на любом расстоянии и передать практически всю необходимую для квалифицированного заключения медицинскую

информацию (выписки из истории болезни, рентгенограммы, компьютерные томограммы, снимки УЗИ и т.д.). Видеоконференцию можно проводить как по цифровым телефонным линиям ISDN, так и по IP-сетям. Сегодня для видеоконференций можно использовать практически любые цифровые каналы связи с достаточно широкой полосой пропускания.

По представлениям специалистов телемедицина остается, в первую очередь, дистанционной диагностикой, но её потенциальные возможности значительно шире. Сетевые технологии предоставляют возможность документальной передачи историй болезни при переводе больных из клиники в клинику, оперативное решение вопросов страхования и оплаты, новые возможности повышения квалификации врачей, широкое внедрение новых медицинских технологий и методов, дистанционные медицинские консультации, консилиумы, телеманипуляции. Первой страной, поставившей телемедицину на практические рельсы стала Норвегия, где имеется большое количество труднодоступных для традиционной медицинской помощи мест. Второй проект был осуществлен во Франции для моряков гражданского и военного флотов. А сегодня уже трудно назвать западноевропейскую страну, где бы не развивались телемедицинские проекты. Особый размах сеансы «телемедицины» получили в США. В настоящее время во многих странах и в международных организациях разрабатываются многочисленные телемедицинские проекты, разрабатывается идея создания глобальной сети телекоммуникаций в медицине. Получают развитие и международные сети медицинских телекоммуникаций, направленных на разные цели: система «Satel-life» — для распространения медицинских знаний в развивающихся странах и подготовки кадров, «Planet Heres» — система глобальных научных телекоммуникаций, международной научной экспертизы и координации научных программ. Главной задачей проектов является развитие методов медицинской информатики, нацеленных на регистрацию и формализацию медицинских данных. Разрабатываются и испытываются алгоритмы сжатия информации, стандартные формы обмена информацией как на уровне исходных данных (изображений, электрических сигналов, например электрокардиограмм, и т. д.), так и на уровне истории болезни. Идет разработка автоматизированных рабочих мест по различным врачебным и диагностическим специальностям (ультразвуковая диагностика, компьютерная томография, рентгенология, биохимия). В настоящее время в мире известны более 250 телемедицинских проектов, которые по своему характеру делятся на клинические, образовательные, информационные и аналитические.

К перспективным направлениям телемедицины относятся телехирургия и дистанционное обследование. Развивается в настоящее время в двух направлениях:

дистанционное управление медицинской диагностической аппаратурой и дистанционное проведение лечебных воздействий, хирургических операций на основе использования дистанционно управляемой робототехники. Безусловно, данное направление предъявляет наиболее высокие требования ко всем элементам телемедицинского комплекса, особенно к надежности и качеству телекоммуникаций. В настоящее время некоторые варианты дистанционного управления уже входят в практику. Примером может служить управление сетевыми видеокамерами, что эффективно при наблюдении за состоянием пациентов в палатах интенсивной терапии и дистанционном контроле хирургических операций. Другим примером дистанционного управления является управление удаленным микроскопом, благодаря чему врач-консультант получает возможность проведения патогистологического или патоцитологического исследований в полном объеме, просмотра всех имеющихся образцов материала (телеморфология). Такое направление как телехирургия находится в стадии экспериментальных разработок. Предполагает использование телеуправляемых манипуляторов и дистанционное управление ими непосредственно при проведении операций (управление скальпелем, лазером и т.д.). Наиболее ответственное и сложное с точки зрения реализации направление в настоящее время является сугубо экспериментальной методикой, внедрение которой в практику требует выполнения многих технологических инноваций. Однако, примеры экспериментального дистанционного использования роботов-манипуляторов уже есть: врачи медицинского центра университета Южной Калифорнии начали проводить пробные хирургические операции с помощью хирургического робота. Перспективы телемедицины связаны с дальнейшей миниатюризацией контрольно-измерительных средств, внедрением смарт-технологий, робототехники, новейших достижений информатики, прикладных аспектов нанотехнологии. Вполне проявившей себя тенденцией развития телемедицинских технологий является формирование региональных телемедицинских сетей. Такие сети, с одной стороны, будут развиваться вглубь территорий, охватывая все большее число медицинских учреждений, а с другой стороны – объединяться друг с другом. При создании телемедицинских сетей будут использоваться практически все доступные средства связи – наземные и спутниковые, волоконно-оптические и беспроводные, широкополосные сети передачи данных и сети мобильной телефонной связи.

Несмотря на все более широкое распространение телемедицины, ее медицинская и экономическая эффективность изучены недостаточно. Телемедицина, в отличие от дистанционной диагностики, предполагает в обязательном порядке возможность диалога и предоставление любой аудио-визуальной информации. Таким путем обеспечивается полноценная исходная

информация для консультативной помощи в диагностике и лечении пациентов, для обсуждения новых методов клинической и функциональной диагностики и терапии или оперативного лечения заболеваний. Другими словами, система видеоконференций представляет собой комплекс, обеспечивающий повышение “доступности” высокоспециализированной помощи практически для любого пациента, независимо от места его нахождения.

Список литературы:

1. Таненбаум Э., Уэзеролл Д. Компьютерные сети. 5-е издание. Питер, 2012.
2. ISBN: 978-5-459-00342-0
3. К. Камкамидзе, М. Тевдорадзе, М. Мануков, М. Салдадзе, Е. Камкамидзе.
4. Компьютерные сети телемедицины. „Технический Университет” 2009.
5. ISBN: 978-9941-14-582-7

კაპიტალის სტრუქტურა და მისი ოპტიმიზაციის ზოგიერთი საკითხები

რეზიუმე

კომპანიის გრძელვადიანი განვითარება დაფინანსების პოლიტიკასთანაა უშუალოდ დაკავშირებული. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ფირმების უმნიშვნელოვანეს ამოცანას კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა და მათი ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. შესაბამისად კაპიტალის სტრუქტურისა და მის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მეტად აქტუალურია და მას კორპორაციული ფინანსების თეორიაში, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი. ამასთან არსებობს კითხვები. ასე მაგალითად: რამდენად შეესაბამება კომპანიის გრძელვადიანი დაფინანსების პოლიტიკა მის მთავარ მიზანს? კომპანიის სტრატეგიული განვითარება მხოლოდ საკუთარი კაპიტალის გამოყენებითაა შესაძლებელი თუ მოზიდული კაპიტალის ზრდასაც უნდა ითვალისწინებდეს? როგორ უნდა განისაზღვროს, კომპანიის დაფინანსების პოლიტიკა? რას ნიშნავს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა? რა ფაქტორები ახდენს გავლენას კაპიტალის სტრუქტურის ფორმირებაზე და ა.შ. სტატიაში შევეცადეთ აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით გავვეცა პასუხი.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალი, ინვესტიცია, დაფინანსება, ფინანსური დეფიციტი, კაპიტალის სტრუქტურა, კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა.

Summary

Capital structure and Some of the issues of its optimization

The company's long-term development of funding with politics is directly related to. In countries with market economy the main task of a firm is: to create optimal capital structure and effectively use its advantages. Hence, it is very significant to explore issues of capital structure in corporate finances. There are some questions connected with this problem; for example: is an appropriate long-term financial policy of a company to its main objectives? Is it available for companies strategic development using only own equity or we need to grow additional capital too? How they create companies financing policy? What is optimal capital structure? What factors influence on capital structure? In this paper we attempted to find answers on the questions like this.

ლილი გვენეტაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

* * * * *

კორპორაციების (ფირმების) ფინანსები, საფინანსო სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს. ქვეყნის შემოსავლის, მთლიანი შიდა პროდუქტის, უმნიშვნელოვანეს ნაწილს სწორედ ფირმები აწარმოებენ, აწარმოებენ და მოიხმარენ. ფინანსური რესურსების საკმარისი რაოდენობა, მათი ეფექტური გამოყენება და რაციონალური სტრუქტურა, ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, მის გადახდისუნარიანობას, ფინანსურ მდგრადობასა და ლიკვიდურობას განსაზღვრავს. ფირმებს ხშირად არ გააჩნიათ წარმოების გაფართოების, მისი გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის, ახალი პროექტების შექმნის, ვალდებულებების დაფარვისა და სხვა საჭიროებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება, ფინანსური დეფიციტი, (სხვაობა კომპანიების ფულზე მოთხოვნილებას და იმ საშუალებების მოცულობას შორის, რომლიც საკუთარი ძალებით არის წარმოებული). დეფიციტის დასაძლევად, ფირმის მენეჯერებს უწევთ ორი საერთო ტიპის ფინანსური საკითხის გადანწყვეტა.

1. მოგების რა ნაწილის რეინვესტირება განახორცილონ ნაცვლად იმისა, რომ ის აქციონერებს შორის ის დივიდენდის ფორმით განაწილდეს;

2. ფინანსური დეფიციტის რა ნაწილი დააფინანსდეს სესხის საშუალებით და არა აქციების გამოშვებით.

პირველი საკითხი სადივიდენდო პოლიტიკის, ხოლო მეორე საკითხი სასესხო პოლიტიკის გათვალისწინებით უნდა გადამწყვეტდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კორპორაციული ფინანსების თეორიაში, ფირმის კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია და განმსაზღვრელ როლს თამაშობს, როგორც საოპერაციო საქმიანობის ისე საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით გადანწყვეტილებების მიღებაში. ფირმების უმნიშვნელოვანეს ამოცანას კი კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა და მისი ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე კაპიტალის სტრუქტურისა და მის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მეტად აქტუალურია.

კაპიტალის სტრუქტურას, გრძელვადიანი დაფინანსებასთან დაკავშირებით, საკუთარი და ნასესხები საშუალებების გამოყენების თანაფარდობა ასახავს. ის კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარამეტრია. ერთის მხრივ, დაფინანსებაში, ნასესხები კაპიტალის ძალზე დაბალი ხვედრითი წონა ფაქტურად ნიშნავს იმას, რომ კომპანია, საკუთარი კაპიტალითან შედარებით, დაფინანსების პოტენციურად უფრო იაფი წყაროს სათანადოდ ვერ

იყენებს. იმავდროულად ამგვარი სტრუქტურა ნიშნავს, იმასაც რომ კომპანიას კაპიტალზე ხარჯები უფრო მაღალი ექნება და მომავალი ინვესტიციების მიმართ გაზრდილი მოთხოვნილება წარმოიშობა. მეორეს მხრივ კაპიტალის სტრუქტურაში ნასესხები საშუალებების შედარებით მაღალი ხვედრითი წონა, ასევე კაპიტალის შემოსავლიანობის მიმართ ძალზე მაღალ მოთხოვნებს წარმოშობს. რამდენადაც ასეთ შემთხვევაში გადაუხდელობის ალბათობა და შესაბამისად ინვესტორების რისკიც იზრდება.

ზოგადად კომპანიის საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის შეფასება მის ოპტიმიზაციას უკავშირდება. კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა არის, კომპანიის გრძელვადიან დაფინანსებასთან დაკავშირებით, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის ისეთი თანაფარდობა, რომლის დროსაც კაპიტალზე ერთობლივი ან საშუალოშენიშნული ხარჯები მინიმალური იქნება.¹ შესაბამისად კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ ამოცანაა, რომელიც მართებულ გადაწყვეტას მოითხოვს. თავის მხრივ კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს საჭიროა ვიცოდეთ, რომ კაპიტალის სტრუქტურის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ასეთ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ: კომპანიის სოპერაციო საქმიანობის დარგობრივი თავისებურებანი; მიმდინარე ეტაპზე კომპანიის სასიცოცხლო ციკლი; ფინანსური ბაზრის კონიუქტურა; საოპერაციო საქმიანობის მომგებიანობის დონე; ოპერაციული ლევერეჯის დონე; საგადასახადო მოგების დაბეგვრის დონე; მესაკუთრეებისა და კომპანიის მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის დონე და სხვა. ამასთან საჭიროა ვიცოდეთ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს თითოეულმა მათგანმა კაპიტალის სტრუქტურაზე.

საოპერაციო საქმიანობის დარგობრივი თავისებურებანი - კომპანიის აქტივების სტრუქტურისა და ლიკვიდურობის განმსაზღვრელია. კომპანიები რომლებიც გამოირჩევიან არასაბრუნავი აქტივების მაღალი ხვედრითი წილით, მათი საკრედიტო რეიტინგი შედარებით დაბალია და შესაბამისად იძულებული არიან თავის საქმიანობის პროცესში ორიენტაცია საკუთარი კაპიტალის გამოყენების მიმართულებით შეარჩიონ. გარდა აღნიშნულისა დარგობრივი თავისებურებები საოპერაციო ციკლის განსხვავებულ ხანგრძლივობას განსაზღვრავს. სხვა თანაბარ პირობებში რაც უფრო მცირეა საოპერაციო ციკლის პერიოდი, კომპანიის მიერ ნასესხები კაპიტალი შეიძლება უფრო მეტად იქნეს გამოყენებული.

კომპანიის სასიცოცხლო ციკლის სტადია. ზრდადი კომპანიები, რომლებიც სასიცოცხლო ციკლის ადრეულ სტადიაში იმყოფებიან და კონკურენტუნარიანი პროდუქცია გააჩნიათ, განვითარებისათვის, სასესხო კაპიტალი დიდი ხვედრითი წილით შეუძლიათ მოიზიდონ. მაშინ როდესაც იმავდროულად კომპანია, რომელიც სიმწიფის სტადიაში იმყოფება

უპირეტესად საკუთარი კაპიტალი უნდა გამოიყენოს. **სასაქონლო ბაზრის კონიუქტურა.** რაც უფრო სტაბილურია ბაზრის კონიუქტურა და შესაბამისად სტაბილურია კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნა, მით უფრო მაღალია და უსაფრთხოა სასესხო კაპიტალის გამოყენება. და პირიქით, არასასურველი კონიუქტურის და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის შემცირების პირობებში სასესხო კაპიტალის გამოყენება პირდაპირ ზემოქმედებს, როგორც მოგების დონის შემცირებაზე, ისე გადახდისუნარიანობით გამოწვეული ზარალის საფრთხეს წარმოადგენს. ასეთ პირობებში სასესხო კაპიტალის გამოყენების შემცირებით საჭიროა ფინანსური ლევერეჯის დონის ოპერატიული დაწევა.

ფინანსური ბაზრის კონიუქტურა. მისი მდგომარეობა სასესხო კაპიტალის ფასზე უშუალოდ ზემოქმედებს (ზრდის ან ამცირებს) ახდენს. იმ შემთხვევაში, როდესაც სასესხო კაპიტალის ღირებულება იზრდება ფინანსური ლევერეჯის დიფერენციალმა შესაძლოა უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინოს. ასევე ამ ღირებულების შემცირება გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას მკვეთრად ამცირებს (თუ კი სასესხო ხელშეკრულება კრედიტის საპროცენტო განაკვეთის კორექტირებას არ ითვალისწინებს). აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსური ბაზრის კონიუქტურა ასევე გარე წყაროებთან მიზიდულ საკუთარი კაპიტალის ფასზე ახდენს გავლენას. იმ შემთხვევაში, როდესაც სასესხო პროცენტის დონე იზრდება, დაბანდებული კაპიტალის მოგების ნორმაზე ინვესტორების მოთხოვნა მატულობს.

საოპერაციო საქმიანობის მომგებიანობის დონე. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია კომპანიის საკრედიტო რეიტინგი იზრდება და მისი სასესხო კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობის პოტენციალი ფართოვდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანია, მომგებიანობის მაღალი დონის პირობებში, დიდია ალბათობით, მიღებული მოგების მაღალი კაპიტალიზაციის დონით კაპიტალზე დამატებით მოთხოვნას დააკმაყოფილებს. შესაბამისად პრაქტიკაში, ხშირად, ამ პოტენციალის გამოყენება არ ხდება. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეები, საკუთარ კომპანიაში მიღებული მოგების რეინვესტირებას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის უკუგების მაღალ დონეს, რაც სხვა თანაბარ პირობებში ნასესხები საშუალებების ხვედრით წონას ამცირებს.

კომპანიების მიმართ კრედიტორების დამოკიდებულება. როგორც წესი კრედიტორები კომპანიის საკრედიტო პოტენციალის შეფასების დროს თავისი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა კომპანიების მიერ საკუთარი კრედიტუნარიანობის შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია მაღალი ფინანსური მდგრადობა, ზოგჯერ, კრედიტორებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ სხვა ისეთი კრიტერიუმებით, რომლებიც მის ნეგატიური იმიჯს ქმნის და შესაბამისად ამცირებს კომპანიის საკრედიტო რეიტინგს. ეს უარ-

ყოფით გავლენას ახდენს კომპანიის მიერ სასესხო კაპიტალის მოზიდვის ალბათობაზე, შესაბამისად ამცირებს, როგორც მის ფინანსურ მოქნილობას, ისე მოზიდული წყაროებიდან კაპიტალის ოპერატიული ფორმირების ალბათობას.

მოგების დაბეგვრის დონე. როდესაც მოგებაზე საგადასახადო განაკვეთი არ არის მაღალი ან კომპანიის მიერ გამოიყენება მოგებაზე საგადასახადო შეღავათი, ასეთ შემთხვევაში საკუთარი და გარე წყაროდან მოზიდული ნასესხები კაპიტალის ღირებულებას შორის სხვაობა მცირდება. რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ნასესხები საშუალებების გამოყენება არ იწვევს საგადასახადო ტვირთის შემცირებას, ხოლო კაპიტალის ფორმირების პროცესში უპირატესობა ენიჭება არა დაფინანსების გარა წყაროს გამოყენებას არამედ აქციების ემისიას. მაშინ როდესაც მაღალი საგადასახადო განაკვეთის პირობებში სასესხო კაპიტალის მოზიდვის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იზრდება.

კომპანიის მესაკუთრეების და მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი. მესაკუთრეებისა და მენეჯერების კონსერვატიული მიდგომის თანახმად კომპანიის განვითარების დაფინანსებასთან დაკავშირებით რისკის მაღალი დონე მიუღებელია და მის საფუძველს საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს. ამასთან საკუთარ კაპიტალზე მაღალი მოგება, რისკის მაღალი დონის პირობებში, კომპანიის დაფინანსების აგრესიულ მიდგომას აყალიბებს, რომლის დროსაც სასესხო კაპიტალით დაფინანსება მაქსიმალურია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის დონე. ხშირად, მიუხედავად ხელსაყრელი წანამძღრებისა, კომპანიის მენეჯმენტზე ფინანსური კონტროლის შესანარჩუნებლად მის მფლობელებს არ სურთ გარე წყაროდან დამატებით საკუთარი კაპიტალი მოიზიდონ. ასეთ შემთხვევაში ნასესხები საშუალებით დამატებითი კაპიტალის ფორმირების კრიტიერიუმს, კომპანიის მენეჯმენტისათვის, ფინანსური კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტი ორ ძირითად მიმართულებამდე დაიყვანება:

1. კომპანიისათვის საკუთარი და ნასესხები კაპიტალის გამოყენების ოპტიმალური პროპორციის დაამყარება;

2. კომპანიაში აუცილებელი სახისა და მოცულობის კაპიტალის მოზიდვა და მისი სტრუქტურის საანგარიშსწორებო მაჩვენებლების მიღწევის უზრუნველყოფა.

ამგვარად, კომპანიის მენეჯერის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანასა კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც გადანყვეტას მოითხოვს. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. ის იწყება კომპანიის კაპიტალის ანალიზით, შემდეგ ხდება კაპიტალის სტრუქტურის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორების შერჩევა და შეფასება; საჭიროა მრავალფარიანტული გამოთვლების მიხედვით

ვიპოვოთ კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. ანალიზის ამ ეტაპზე უნდა შეფასდეს მთლიანად კაპიტალისა და მისი შემადგენელი ნაწილების გამოყენების ეფექტიანობა; რაც შეეხება მინიმალური საშუალოშენიანი ხარჯების კრიტერიუმით კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ეს თავის მხრივ, ემყარება საკუთარი და ნასესხები წყაროს წინასწარ შეფასებას და კაპიტალის საშუალოშენიანი ფასის გამოთვლას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, კორპორაციების უმეტესობა, კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მისი განსაზღვრა ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. რაც შეეხება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში, აქ კაპიტალის ბაზარი ჯერ კიდევ განუვითარებელია, ხოლო ფინანსური მენეჯერების პროფესიულ მომზადების დონე დაბალია. რაც თავის მხრივ კომპანიებში კაპიტალის სტრუქტურის მიმართ ჯერ კიდევ სუსტ ყურადღებას განაპირობებს. ამასთან სიტუაცია იცვლება, რაც ბიზნესის ღირებულებას გაზრდის მიზნით, გრძელვადიან დაფინანსებასთან დაკავშირებით, დაბანდების პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაპოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მეორე მეთე გამოცემა, „საქართველოს მაცნე“ 2009;
2. Ричард Брейли, Стюарт Майерс., Принципы корпоративных Финансов (второе издание), Москва • 2008
3. Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес – Финансовый Менеджмент М.2001;
4. Роберт С. Хиггинс., Финансовый анализ: Инструменты для принятия бизнес-решений., 8-е издание Москва»Санкт-Петербург» Киев.,2007.
5. Семенова Е.,39 Смирнова И. Исследования издержек финансовой неустойчивости в рамках компромиссной теории структуры капитала: Электронный журнал `Корпоративные Финансы~ 2003 №3
6. Пономарева О.А., Тематические обзоры `финансовая архитектура фирмы~,`Электронный журнал `Корпоративные Финансы~ 2003 №2

ინვესტიციების როლი საქართველოში
ეკონომიკის განვითარებაში

ალეკო ქუთათელაძე, სტუ-ს პროფესორი
თემური მატუა, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

Summary

საერთაშორისო სავალუტო ფონდს, საერთაშორისო და ევროპული რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკებს, სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს დაგროვილი აქვთ მდიდარი გამოცდილება დაეხმარონ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში (განსაკუთრებით საკრედიტო და საინვესტიციო სფეროებში). საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის აუცილებელია მისდამი ნდობის აღდგენა. ამას გარდა, ამ საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებით საქართველოს ეკონომიკას აქვს საშუალება შეუერთდეს მსოფლიო ეკონომიკის საფინანსო დინებებს. ეს საშუალებას იძლევა სწრაფად განხორციელდეს დაგეგმილი რეფორმები.

საქართველოს თანამედროვე საინვესტიციო ბაზარი ხასიათდება როგორც განვითარებადი ბაზარი, მომავალი მდგომარეობების გაურკვეველობის მაღალი დონით, რომელიც ამცირებს მის მიმზიდველობას რეალური უცხოური კაპიტალდაბანდებისთვის. რისკების მაღალი დონე განპირობებულია შიდა კორპორატიული დანაზოგების არაეფექტური პოლიტიკით, საინვესტიციო პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა მუდმივი ინტერესთა კონფლიქტის არსებობით, საინვესტიციო ნაკადების დაუბალანსირებლობით, რომლებიც ასრულებენ კონპენსირების და ჩანაცვლების ფუნქციებს.

განსაზღვრა იმისა, რომ ინვესტიცია სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერიდან წარმოადგენს არა იმდენად დანახარჯებს, რამდენადაც სამომავლო კაპიტალდაბანდებას, დაგვეხმარება უფრო ოპტიმალურად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი და მოძიებულ იქნას შესაბამისი ფინანსური რესურსები.

International Monetary Fund, International and European Reconstruction and Development banks, other international financial organizations have gained huge experience to assist and contribute countries to execute economic reforms, especially focused on crediting and investments. It is mandatory to rehabilitate the trust toward Economy of Georgia in order to achieve development. Besides of the above, by help of International institutions Georgian Economy has good opportunity to join financial flow of International Economy. This gives opportunity to execute economic reforms faster.

Current, modern investment market of Georgia can be described as a development market, without unclear forecast for the future stability, which decreases attractiveness for international capital investments. High risk is determined by inefficient policy in management of internal corporate savings/assets., by permanent conflicts of interests between different stake holders of the investment market, by instable and misbalance flow of investments which makes the balancing functions.

To determine that investments, from the point of view of the growth of Economy of the country, are less regarded as expenditures but more determined as future investment, will help the country to manage the investment process more optimal way and to obtain appropriate financial resources.

* * * * *

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ნაკლებად მიმზიდველია როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის.

ამიტომ საჭიროა ამის გამომწვევი მიზეზების კომპლექსური შესწავლა და შესაბამისად მათი დაძლევისათვის ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტების (იმ "წერტილების", რომლებზე ზემოქმედებითაც შეიძლება მაქსიმალური ეფექტის მიღება) სწორად განსაზღვრა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პროცესების კოორდინაცია.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და

ორგანიზაციული საკითხების მიზანმიმართული და კომპლექსური გადაჭრა, როგორცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა; ცივილიზებული სამართლებრივი სავრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით; სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა და ა.შ.

საქართველოში საინვესტიციო გარემო, ზოგიერთი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია, რომელთა შესწავლას, აღმოფხვრის გზების დადგენას და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის ცალკეული საკითხების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა: ე. ბარათაშვილმა, ვლ. პაპავამ, ლ. ქოქიაურმა, ა. სიჭინავამ, ი. მესხიამ, თ. შენგელიამ, ვ. ბურდულმა, გ. მაღაშხიამ, ზ. ვაშაკიძემ, ლ. ხურციამ, მ. გიორგაძემ, გ. ნიკლაურმა, დ. ჩხარტიშვილმა და სხვებმა. ამასთან საინვესტიციო გარემოს მრავალი ასპექტი, მისი გარემოს გაჯანსაღების პრობლემები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. კერძოდ, არ არის გამოკვლეული ის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ანალიზი. იმ მიმართულებების, ღონისძიებების და მეთოდების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული გარემოს გაჯანსაღებას.

ახალ ეკონომიკურ სისტემაში საინვესტიციო პროცესის ანალიზი შეუძლებელია ინვესტიციის არსის განსაზღვრის გარეშე. მრავალი გამოკვლევის მიუხედავად, ამ საკითხის მიმართ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი მეთოდურ-თეორიული მიდგომა.

ჯ.მ. კეინის ინვესტიციების განსაზღვრისას მკვეთრად უსვამს ხაზს მათ თვისობრივ მახასიათებლებსა და ორგვარ ხასიათს. მისი აზრით, ინვესტიცია, ერთი მხრივ, ასახავს დაგროვების მიზნებისათვის აკუმულირებული შემოსავლის სიდიდეს ანუ განსაზღვრავს პოტენციურ საინვესტიციო მოთხოვნას, მეორე მხრივ, წარმოადგენს დანახარჯს, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო წინადადების რეალიზაციის შედეგად კაპიტალური ქონების მნიშვნელოვან ზრდას. უფრო კონკრეტულად, ავტორის აზრით, ინვესტიციები არის საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის შედეგად კაპიტალური ქონების ღირებულების ზრდა, ასევე შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მოხმარებისათვის არ იყო გამოყენებული.

თანამედროვე პირობებისათვის უფრო შესაფერისი მოსაზრების მიხედვითაც კეინის სისტემაში ერთობლივი წარმოების და შემოსავლის რყევის მიზეზია სასურველი საინვესტიციო ხარჯების

სიდიდის ცვლილება. ამასთან, ავტორი გვთავაზობს განმარტებას, რომლის მიხედვითაც ინვესტირება ნიშნავს გარკვეული კეთილდღეობის ყიდვას იმ შემოსავლისათვის, რომლის მიღებასაც ჩვენ ველოდებით მომავალში. შესაბამისად, ფირმა ახორციელებს ინვესტირებას, როდესაც ყიდულობს დაზღვებს, ზუსტად ისევე როგორც ინვესტიციების განხორციელება ხდება აქციების ყიდვის შემთხვევაში.

ინვესტიციებში იგულისხმება ეკონომიკურ სისტემაში მოქმედი კაპიტალის მოცულობის ზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია წარმოადგენს სხვადასხვა ინსტრუმენტებით განხორციელებული გარკვეული ხარჯების ერთიანობას ანმყოში და შესაძლო გაფართოებულ მოთხოვნას მომავალში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე, ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

მიზანშეწონილი იქნება აქცენტი გაკეთდეს ინვესტიციების არსობრივ ხასიათზე. ამ კატეგორიის ტექნიკური მხარე განსაზღვრავს მხოლოდ ფულადი ნაკადების მოძრაობას ეკონომიკურ სისტემაში და არ ასახავს ამ სახსრების მოძრაობის არსს. ამგვარად, ინვესტიცია ხანგრძლივადიანი ინტერვალით განსაზღვრული კაპიტალდაბანდებაა, სპეციალური ინსტრუმენტების მეშვეობით, მომავალში გაზრდილი მოთხოვნის მიღების მიზნით.

განსაზღვრა იმისა, რომ ინვესტიცია სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერიდან წარმოადგენს არა იმდენად დანახარჯებს, რამდენადაც სამომავლო კაპიტალდაბანდებას, დაგვეხმარება უფრო ოპტიმალურად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი და მოძიებულ იქნას შესაბამისი ფინანსური რესურსები. ამასთან, სამომავლო გაფართოებული მოთხოვნის სიდიდე პირდაპირ არის დამოკიდებული მიმდინარე დროში საინვესტიციო დანახარჯების ეფექტიანობაზე. როგორც ნებისმიერი სხვა ეკონომიკური კატეგორია, ინვესტიცია იყოფა მარტივ შემადგენლებზე, რომლებიც სრულად ასახავენ საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან მახასიათებლებს და საშუალებას იძლევიან რეალურად იქნეს შეფასებული მთელი პროცესის ხარისხი. კერძოდ, ინვესტიციები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. დაბანდებათა ძირითადი ფონდების შესაქმნელად ანუ კაპიტალდაბანდებათა. ხშირად ასეთ ინვესტიციებს პირდაპირ ანუ რეალურ ინვესტიციებს უწოდებენ; 2. პორტფელური (საფინანსო) ინვესტიციები ანუ დაბანდებიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად (აქციები, ობლიგაციები, სასესხო ვალდებულებები და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ რეალური და პორტფელური ინვესტიციები წარმოადგენენ ინვესტიციური ნაკადის

ძირითად ქვესახეობას, რომლებიც ნებისმიერ საბაზრო ეკონომიკაში არსებობენ. ინვესტირების ორივე მეთოდი ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის განსხვავება კი დაბანდების განხორციელების ხერხებში მდგომარეობს. ჩვენი აზრით, პირდაპირი და საფინანსო ინვესტიციები საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ძირითად მეთოდებს წარმოადგენენ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფინანსური ინვესტიციები საქართველოში საერთოდ არ არსებობდა, რის გამოც ინვესტიციებს და კაპიტალდაბანდებებს ერთმანეთთან აიგივებდნენ. კაპიტალდაბანდების განმარტებათა ანალიზის მიხედვით არსებობს რამოდენიმე კონცეფტუალური მიდგომა: პირველი, კაპიტალდაბანდებათა ხარჯვითი კონცეფცია (კაპიტალდაბანდება წარმოადგენს გარკვეული მიზნობრივი მიმართულების ხარჯების ერთობლიობას); მეორე, კაპიტალდაბანდებათა სასესხო კონცეფცია (კაპიტალდაბანდება წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ან მისი ცალკეული დარგების განვითარების რესურსს); მესამე, კაპიტალდაბანდებათა მიზნობრივი კონცეფცია - გამოიყოფა არა მხოლოდ ფულადი სახსრების ხარჯები, არამედ მოცემული დაბანდების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ძირითადი ფონდების დაგროვება და განახლება) მიზნებიც; მეოთხე, კაპიტალდაბანდებათა სინთეტიკური (შერეული) კონცეფცია (კაპიტალდაბანდებათა ხარჯვითი ხასიათი უკავშირდება მოცემული ხარჯების მიზნებს).

საფონდო ბაზრის გამოჩენასთან და საზოგადოებაში საბაზრო გარდაქმნის დაწყებასთან დაკავშირებით კაპიტალდაბანდების მცნება ტექნიკურ განსაზღვრათა რიგში გადავიდა. არსებობას განაგრძობს აგრეთვე ხარჯვითი კონცეფციაც: კაპიტალდაბანდებები არის ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (ძირითად სახსრებში), მათ შორისაა ხარჯები ახალ მშენებლობაში, გაფართოებაზე, მოქმედი სანარმოების რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე, მანქანების აღჭურვილობის, ინსტრუმენტების, ინვენტარის შექმნაზე, საპროექტო-საკვლევ სამუშაოებსა და სხვა საქმიანობაზე. ჩვენი აზრით, ასეთი განმარტება საკმაოდ სრულად განმარტავს ამ კატეგორიას.

თანამედროვე პირობებში კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი უკვე არ ასახავს ინვესტიციური შევსების მთელ სიღრმეს. სწორედ ამიტომ მართებულია მათი განხილვა კაპიტალწარმომქმნელი ინვესტიციების სახით. ასეთი განმარტება უკვე დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში იმ საინვესტიციო ნაკადების სრულფასოვანი შეფასებისათვის, რომლებიც აისახება ეკონომიკის რეალური სექტორის მუშაობაში. აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ხარჯებს კაპიტალურ რემონტზე, ინვესტიციებს მინის ნაკვეთების შესაძენად, ინვესტიციებს პატენტების, ლიცენზიების, პროგრამული საქონლის შესაძენად, ინვესტიციებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო გეგმების შესამუშავებლად, სა-

ბრუნავი მატერიალური საშუალებების რეზერვების შესავსებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები საქართველოში. თბ. 2009. 191 გვ.
2. სიჭინავა ა., გოგორიშვილი ი. საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები, CD — 733, 2012. 302 გვ. (ელ. ვერსია).
3. ქუთათელაძე ა., ქალიაშვილი მ. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია — IEC 2013; ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: „გუმინ, დღეს, ხვალ; ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს—ინჟინერინგი“. 2013წ., №4. გვ.110—111.

თანამედროვე მიღწეები ორგანიზაციაში მუშაკის სწავლისადმი

რუსუდან ციციშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

* * * * *

თანამედროვე კომპანიის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის მუშაკები, რომელთაც აქვთ მისი სტრატეგიული მიზნებისა და კონკურენტული გარემოს შესაბამისი კომპეტენციები. ამიტომ დღეს წარმატებული კომპანიები ხარჯავენ დიდ დროსა და ფინანსებს თავისი მუშაკების განვითარებისათვის. ისინი აყალიბებენ ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიას, აანალიზებენ სამუშაოსა და მუშაკის შესრულებას, გეგმავენ და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ახორციელებენ მუშაკების სწავლების ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელების შეფასება იძლევა შესაძლებლობას დაისახოს გზები შემდგომი სწავლების გაუმჯობესებისათვის. თანამედროვე ორგანიზაცია ზრუნავს თავისი მუშაკის განვითარებაზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყავდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, არამედ იმიტომაც, რომ მუშაკის მიერ ორგანიზაციის მხრიდან კარიერული ზრდისათვის ხელშეწყობა განხილვება როგორც ორგანიზაციიდან მიღებული ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ცოდნა და უნარები, მუშაკის სწავლება, განვითარება, სტრატეგია, კონკურენტუნარიანობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კომპეტენციები, თანამედროვე კომპანია.

Summary

The Modern Approaches to the Learning in an Organization

The modern organization needs to have the high qualified competitive workers adequate to the organizational goals and strategy. Because of this reason the successful companies spend a large amount of time and money to develop own workforce. They design learning programs on the base of analysis of organizational needs, the job and the worker. The learning programs are conducting through different kinds of methods. The evaluation of learning results give an opportunity to improve worker development activities. An organization takes care about workers' development not only because of having higher qualified workers, but also to be more rewarding for the worker.

საუკუნის წინ მუშაკების უმეტესობას მოეთხოვებოდა მინიმალური კომპეტენციები. ორგანიზაციას ფაქტიურად არ ქონდა იმის საჭიროება, რომ ეზრუნა თანამშრომლის პროფესიული დონის ამაღლებაზე. ეს იყო ეპოქა, როდესაც ჭანჭიკების თეორიად მონათლული ტეილორის მეცნიერული მენეჯმენტი ეფექტურად მუშაობდა პრაქტიკაში. სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის ადამიანს მოეთხოვებოდა მხოლოდ ფიზიკური ძალა და მარტივი ინსტრუქციის შესრულება. მოთხოვნები კვალიფიკაციის მიმართ იყო ძალიან მცირე და მარტივი. მუშაკის ფასეულობების, დამოკიდებულებებისა და პიროვნული მახასიათებლების შესახებ კი ფაქტიურად არც საუბრობდნენ [5, 6, 9].

ოცდაათიანი წლების რეალობამ დღის წესრიგში დააყენა ტეილორისეული მიდგომის გადახედვა: იცვლებოდა სამუშაოს ბუნება და შესაბამისად იცვლებოდა მოთხოვნები მისი შემსრულებლის მიმართაც. თუმცა, ამ დროისათვის ორგანიზაციას ჯერ არ ქონდა იმის საჭიროება, რომ არსებითი ნაბიჯები გადაედგა თავისი მუშაკების პროფესიულ-კვალიფიკაციური განვითარებისათვის. ახალი ეტაპი მუშაკებისადმი დამოკიდებულებაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეკონომიკის აღმავლობისა და კონკურენტციის ზრდის პირობებში კომპანიებმა ინტენსიურად დაიწყეს ახალი მიდგომებისა და ინოვაციური მუშაობის გზების ძიება. გამოიკვეთა ადამიანის პროფესიული დონის როლი კომპანიის მიერ სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. თანდათან შეიცვალა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პოლიტიკა მუშაკებთან მიმართებაში, რამდენადაც კომპანიის კონკურენტუნარიანობის უპირობო შემადგენელი გახდა კვალიფიციური კადრი. ჩამოყალიბდა ადამიანური რესურსების მართვის ახალი დისციპლინა. ორგანიზაციებში დაიწყო მუშაკის განხილვა ძირითად სტრატეგიულ რესურსად [7, 8, 10, 11].

გლობალიზაციის, მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ბუმის საუკუნეში პროფესიული ცოდნა და უნარები ძალიან სწრაფად ძველდება. ამიტომ პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა დღეს აქტუალურია, როგორც არასდროს. მსოფლიოს წარმატებული კომპანიები უთმობენ დიდ დროსა და ფინანსებს თავისი მუშაკების განვითარებას. ერთი მხრივ, კომპანიები ზრუნავენ პერსონალის პროფესიულ-კვალიფიკაციურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, თავად ადამიანს უხდება ინტენსიურად ზრუნვა პროფესიული კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის. თანამედროვე კარიერა გულისხმობს მუდმივ ძალისხმევას ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების

გასამდიდრებლად. დღეს არავის არ აქვს იმის ილუზია, რომ მივა კომპანიაში და ინერციით გააგრძელებს იქ მუშაობას მთელი ცხოვრების განმავლობაში ისე, რომ არაფერს გააკეთებს საკუთარი პროფესიული ზრდისათვის. ეს რეალობა დარჩა მეოცე საუკუნეში [1, 3, 4, 7, 8].

მუშაკის განვითარების ძირითად ღონისძიებებში ჩვეულებრივ მოიაზრება მუშაკის ორიენტაცია, შეფასება, დაჯილდოება, დანინაურება და სწავლება. ეს პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, შეადგენენ ერთიან ინტეგრირებულ სისტემას და განიხილებიან კომპანიის მისიისა და მიზნების ძირითადი სტრატეგიის კონტექსტში. ოცდამეერთე საუკუნის სპეციფიურ ტრენდად შეიძლება ჩაითვალოს სწავლების განსაკუთრებული როლი კომპანიის განვითარებასა და მუშაკის კარიერაში. თანამედროვე ადამიანი სასწავლო დაწესებულებაში ღებულობს აკადემიურ განათლებასა და ბაზისურ უნარებს. შემდგომ ის იწყებს შრომით საქმიანობას და ამდიდრებს პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

ორგანიზაციისა და მუშაკს აქვთ ურთიერთგაცვლითი ურთიერთობა, ანუ თითოეული მათგანი რაღაცას აძლევს მეორეს და რაღაცას ღებულობს მისგან. თუ მეოცე საუკუნის ტრადიციულ მიდგომაში მუშაკის მიერ ორგანიზაციისაგან მიღებული ჯილდო იყო მხოლოდ ფინანსური ანაზღაურება, თანამედროვე მუშაკი ორგანიზაციისაგან მოელის სხვადასხვა ტიპის ჯილდოებს, რომლებიც შეეხება მის კეთილდღეობასა და პროფესიულ ზრდას. კვლევების თანახმად, მუშაკები სამუშაოდან ნებაყოფლობითი წასვლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებენ პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობის არარსებობას [4]. ასე რომ, კომპანიის ზრუნვას მუშაკის პროფესიულ განვითარებაზე აქვს ორმაგი ეფექტი. გარდა იმისა, რომ კომპანია მდიდრდება უფრო მეტად კვალიფიციური მუშაკით, თავად მუშაკი ღებულობს პირადად მისთვის ძალიან ღირებულ ჯილდოს. რა თქმა უნდა, არსებობს იმის საშიშროება, რომ პროფესიონალურად გაზრდილ მუშაკს ექნება პრეტენზიის უფრო მაღალი დონე და შეიძლება დატოვოს კიდევ კომპანია. ამ საკითხის სამართლებრივი რეგულაცია ფაქტიურად არ არსებობს, მაგრამ ერთიანი, ინტეგრირებული მიდგომა პერსონალის მართვისადმი, ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა პროცედურების ერთმანეთთან კავშირში განხილვა იძლევა შესაძლებლობას კომპანიამ ოპტიმალურად დაგეგმოს სამუშაო ძალის განვითარება. თანამედროვე კომპანია, ცდილობს რა ხარჯების ოპტიმიზაციას, ითვალისწინებს იმასაც, რომ სწავლების ალტერნატივებად შეიძლება განხილულ იქნეს მუშაკების შერჩევის მიდგომებისა და მეთოდების შეცვლა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეცვლა მუშაკის პოზიციის რედიზაინის საშუალებით

[2, 8, 10, 12].

კომპანიის მიერ თავისი მუშაკების სწავლების ძირითადი მიზანია ის, რომ მათ ქონდეთ კომპანიის მიერ სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო პროფესიონალური მახასიათებლები. ამიტომ პერსონალის სწავლებაზე ზრუნვა იწყება კომპანიის მიერ იმის გაცნობიერებით, თუ რა როლი უნდა ქონდეს თითოეულ მუშაკს კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში და შესაბამისად, რა კომპეტენციები — ცოდნა, უნარები და ქცევები მოეთხოვება მას. სწავლების საჭიროების განსაზღვრა იწყება სწორედ მთლიანი ორგანიზაციის ანალიზით. ორგანიზაციის ანალიზი ტარდება იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, თუ ორგანიზაციის რომელი უზანი მოითხოვს სწავლებას, რა მოთხოვნები აქვს ორგანიზაციას მუშაკების კომპეტენციების მიმართ, სად არის შეუსაბამობა ორგანიზაციის საჭიროებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს შორის. ამის შემდეგ ტარდება ამოცანის ანალიზი და ადამიანის ანალიზი. პირველში იგულისხმება იმის ნათლად განსაზღვრა, თუ რა ქცევის ტიპები, ცოდნა, უნარები, გამოცდილება და პიროვნული მახასიათებლები ჭირდება მოცემულ პოზიციაზე სამუშაოების შესრულებას. ადამიანის ანალიზი კი გულისხმობს თავად მუშაკისა და მისი შრომის შედეგების შეფასებას. ახალი მუშაკის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შესრულებული სამუშაოს შედეგების განხილვა შეუძლებელია და აქ ტარდება მხოლოდ ახლად აყვანილკი ადამიანის დიაგნოსტიკა.

ორგანიზაციის, სამუშაოსა და ადამიანის ანალიზის შემდეგ ხორციელდება სწავლების პროცესის დიზაინი, რაშიც მოიაზრება სწავლების მიზნების, მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება. სწავლება შეეხება ნებისმიერი ორგანიზაციის ნებისმიერ მუშაკს და ღებულობს სხვადასხვა სახეს პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან, მას შეიძლება ქონდეს რამდენიმე მიზანი. ეს შეიძლება იყოს მუშაკის მიერ დაკავებულ პოზიციაზე სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესება, მუშაკის მომზადება იმ პოზიციებისათვის, რომლებიც მან შესაძლოა დაიკავოს მომავალში ან მუშაკის მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანა ცვლილებებთან მის სამუშაო ადგილზე, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ტექნოლოგიური ინოვაციები ან უზრალოდ მენეჯერული გადაწყვეტილებები. თანამედროვე ორგანიზაციები სწავლების პროცესს იყენებენ არა მხოლოდ მუშაკების ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მათი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ფორმირებისათვის. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მუშაკი იყოს ეფექტიანი მის მიერ დაკავებულ პოზიციაზე და იქცეოდეს ორგანიზაციული ინტერესების შესაბამისად.

სწავლება თანამედროვე ორგანიზაციაში შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს სწავლება უშუალოდ სამუშაო ადგილზე. ის ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ძალიან კონკრეტული მუშაობის სტილი და

უნარ-ჩვევები და სამუშაო უკავშირდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. შეუცვლელი ღირებულება აქვს სწავლების ისეთ ტრადიციულ ფორმებს, როგორცაა ლექციები, სემინარები და სასწავლო ვიდეოფილმები. ორგანიზაციული სწავლების სფეროში დამკვიდრდა და პოპულარულ მეთოდებად იქცა ჯგუფური დისკუსიები, საქმიანი თამაშები, როლების მოდელირება, ქეისების შესწავლა და “კალათის” (იმიტირებულ საქმიან ქაღალდებთან მუშაობის) მეთოდები. თანამედროვე სწავლების გავრცელებული ფორმაა ე.წ. პროგრამული სწავლება, რომელშიც იგულისხმება მოსწავლისათვის ინფორმაციის თანდათანობით, მცირე ბლოკებად მიწოდება დაბეჭდილი ან ელექტრონული სახით; თითოეული ბლოკის გაცნობის შემდეგ მოსწავლე პასუხს სცემს შესაბამის შეკითხვებს და მაშინვე ღებულობს უკუკავშირს [3, 4, 7, 8, 10, 12].

ორგანიზაციული სწავლების აუცილებელი შემადგენელია მისი ეფექტიანობის შეფასება, რაც სრულიად აუცილებელია ოპტიმალური სამომავლო აქტივობების დაგეგმვისათვის. მუშაკის კომპეტენციის სასურველი მიმართულებით გაზრდის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი: შეიძლება ვკითხოთ აზრი თავად სწავლების პროცესში მონაწილე ადამიანებს, შეიძლება შევაფასოთ მათ მიერ მიღებული ცოდნა ან მათი ქცევა სამუშაო ადგილზე, და რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი კრიტერიუმია სამუშაოს შესრულების ხარისხის ცვლილების გაზომვა. თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ვერ იქნეს გათვალისწინებული შედეგზე ზეგავლენის მქონე სხვა ცვლადები. ამიტომ ორგანიზაციები ხშირად მიმართავენ სწავლების ეფექტიანობის შეფასებისას სხვადასხვა მეთოდების კომბინირებას. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების შედეგების სრულიად ზუსტი შეფასება პრობლემურია სამუშაო პროცესის შედეგების ორგანიზაციის შიდა თუ გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების გამო, პრაქტიკა ზოგადად ადასტურებს სწავლების ცალსახა პოზიტიურ გავლენას ორგანიზაციის ეფექტიანობაზე და მის უპირობო აუცილებლობას კომპანიის მიერ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არმსტრონგი მ., ადამიანური რესურსების მართვა, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი 2002.
2. გაბაშვილი მ. (რედ.), საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, ნაწილი 2, თბილისი 2013 (USAID-ის მხარდაჭერით).
3. შარვაშიძე ლ. (რედ.), პერსონალის მართვა: მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2003 (UNDP-ის მხარდაჭერით).
4. Dessler G., Human Resource Management, Pearson, 2013.
5. George J. M., Jones G.R., Understanding and Managing Organizational Behavior, Pearson 2008.
6. Greenberg J., Baron R.A., Behavior in Organizations, Pearson 2008.
7. Mathis R.L., Jackson J.H., Human Resource Management, South-Western, 2008.
8. Mondy R.W., Mondy J.B., Human Resource Management, Pearson, 2012.
9. Robbins S.P., Coulter M., Management, Prentice-Hall, Boston 2012.
10. Torrington D., Hall L., Taylor S., Atkinson C., Human Resource Management, Pearson 2011.
11. Мучински П., Психология, профессия, карьера, Санкт-Петербург 2004.
12. Свєргун О., Пасс Ю., Дьякова д., Новикова А., HR-Практика, Санкт-Петербург 2005.

საჯარო-კერძო პარტნიორობა როგორც სამენარმეო საქმიანობის რეგულირების განსაკუთრებული ფორმა

მერაბ ვანიშვილი, სტუ-ს პროფესორი
ელიშერ კვიციანი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეფექტური ეკონომიკის შექმნა შეუძლებელია მენარმეობის დინამიური განვითარების გარეშე. მენარმეობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირება, რომლის ძირითადი ამოცანაა საკანონმდებლო ბაზის ფორმირება მენარმეობის ფუნქციონირებისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა კონკურენციის დაცვას, მონოპოლიზმის შეზღუდვასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სამენარმეო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამენარმეო საქმიანობის ცალკეულ სახეობათა სახელმწიფო მხარდაჭერას, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში. ეკონომიკური საქმიანობის უმრავლეს სფეროში სახელმწიფო რეგულირება არის ბაზრის არაეფექტურობის გადალახვის ძირითადი ინსტრუმენტი.

Summary

Public-Private Partnerships as a special form of regulation of entrepreneurial activity

In the article, the recent literature on the theory and practice of entrepreneurship has been studied in a number of important issues, such as public-private partnerships as a special form of regulation of entrepreneurial activity.

The last two decades, the world has used a form of state regulation of business activity - a public-private partnership (PPP), a mechanism that allows for the possibility of a number of important tasks. In particular, it encourages entrepreneurs for investment and innovative activity to increase activity in those areas (traffic management, transport, municipal and utility services, health care, education, etc.), whose funding has traditionally been part of the state of entrepreneurship in the provision of partnership, by offering new activities.

PPP is a special form of state regulation of business activity. On the one hand, it gives us the opportunity to solve the tasks more efficiently. On the other hand, the PPP as a form of long-term cooperation between the state and business, legally upheld by a fixed and certain guarantees from the government, itself, is to stimulate and support entrepreneurial activity is an effective tool.

In general, the PPP - it is the state and business, mutually medium and long-term cooperation in various forms

are realized (ranging from works contracts, ending with the government and business associations in counseling) and is intended to be politically and socially important tasks of national, regional and local levels .

PPP dedicated to the works of the concepts are not divided into "forms of public-private partnerships" and "public-private partnership instruments." In our opinion, it is necessary to separate these concepts, because there is a fundamental difference between them. We believe that the PPP forms - it is their legal relations between the parties to the PPP, which originated in the PPP project implementation. PPP tools - this is a state-supported institutions PPP projects (including state subsidies, state guarantees), which may be used independently of the forms of PPP.

* * * * *

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში აქტიურად გამოიყენება სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული ფორმა - საჯარო-კერძო პარტნიორობის (სკპ) მექანიზმი, რომელიც იძლევა რიგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას. კერძოდ, იგი ხელს უწყობს მენარმეობის ინვესტიციური და ინოვაციური აქტივობის გაზრდას საქმიანობის იმ სფეროებში (საგზაო მეურნეობა, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.), რომელთა დაფინანსებაც ტრადიციულად ხდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე მენარმეობის განვითარების სახელმწიფო უზრუნველყოფას პარტნიორობის ფარგლებში, საქმიანობის ახალი სფეროების შეთავაზების გზით.

რიგი ინსტიტუციური გარდაქმნების მიუხედავად, სკპ-ის საფუძველზე მენარმეობის სახელმწიფო რეგულირების სისტემა მოცემული მომენტისთვის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შექმნილი. ამის გათვალისწინებით, ფრიად აქტუალურია სამენარმეო საქმიანობის რეგულირების სისტემის შემუშავებაზე მიმართული კვლევა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი ბაზის შექმნასა და სკპ-ის მართვის ინსტიტუტების ფორმირებას, სკპ-ის პროექტების რეალიზაციის საზოგადოებრივ კონტროლს, მმართველობითი კადრების მომზადებასა და პოტენციური ინვესტორების მოზიდვას.

სახელმწიფო რეგულირებისა და სამენარმეო სტრუქტურების ურთიერკავშირის მნიშვნელობაზე ბევრ უცხოელ ეკონომისტს (ი. ხ. ანსოფვი, ა. ატ-

კინსონი, ჯ. გვარტნი, რ. ლოუსონი, დ. მერსერი, მ. პორტერი, მ. პოუმერი, ჯ. სკოტი და სხვ.) აქვს მიძღვნილი ნაშრომები. სკპ-ის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ფართოდაა შესწავლილი უცხოელი მეცნიერების მიერ. სკპ-ის მექანიზმის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემებით დაკავებული იყვნენ: ტ. ბარნეკოვი, პ. ბარნსი, რ. ბოილი, ფ. ბაუსკვეტი, ჟ. ვედელი, ფ. კუკი, მ. მეიერი, რ. პიტმანი, დ. რიჩი, გ. დე რუსი, დ. სვარი, დ. სტრონგი, ა. ფაიარდი, ი. შიხატი, ა. ებოუჩარი, ე. ესტიერი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სკპ-ის გამოყენების ძირითად ფორმას წარმოადგენდა კონცესია. 1917 წლამდე კონცესიის გამოყენების საკითხებს სწავლობდნენ ვ. ა. აბეგვი, ნ. პ. ზიმინი, ლ. ს. ტალი. რაც შეეხება ნების პერიოდის კვლევას, ეს პრობლემა ყველაზე სრულად აღწერილია ბ. ა. ლანდაუსა და ნ. პ. დერგაჩოვის მონოგრაფიებში.

უნდა აღინიშნოს რომ სკპ-ის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები სხვადასხვაგვარადაა განხილული სხვადასხვა ქვეყნების მკვლევართა ნაშრომებში, აგრეთვე კანონმდებლობებშიც. ამასთან, დღემდე არაა შემუშავებული ერთიანი მიდგომა სკპ-ის მექანიზმების გამოყენებისადმი. აქედან გამომდინარე, რჩება უამრავი კითხვა, რომლებიც დამატებით შესწავლას მოითხოვს. თანამედროვე საქართველოს პირობებში აუცილებელია სკპ-ის გამოყენებისადმი კომპლექსური მიდგომის შემუშავება, რომელიც მოგვცემს ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების საშუალებას.

ჩვენი კვლევის მიზანია სკპ-ის განვითარების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციის სისტემის შემუშავება და შესაბამისი მეთოდური მიდგომების ფორმირების მეცნიერული დასაბუთება.

კვლევის შედეგები. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ყველა ქვეყანას გააჩნია საბაზრო ეკონომიკის განვითარების თავისებურება, თუმცა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (კერძო საკუთრება, თავისუფალი მენარმეობა და კონკურენცია) საერთოა ყველა ქვეყნისათვის. ეფექტური საბაზრო ეკონომიკის შექმნა ითვალისწინებს მენარმეობის ფართო განვითარებას, რომელიც წარმოადგენს ეფექტური წარმოების ორგანიზებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების ფუნდამენტს.

მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომებში გვხვდება განსხვავებული შეხედულებები მენარმისა და მენარმეობის არსზე. პირველი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეიმუშავა მენარმეობის კონცეფცია, იყო ფრანგი ეკონომისტი რ. კანტილიონი. საკუთარ ნაშრომში „გამოცდილება ვაჭრობის ბუნებაზე საერთოდ“ მან მენარმე განსაზღვრა, როგორც კაცი, რომელიც მოქმედებს რისკის პირობებში. მისი აზრით, მენარმე იძენს საქონელს საკუთარი რისკით განსაზღვრულ ფასად, შემდგომში მისი უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით [1, გვ. 28].

მენარმეობის თეორიის განვითარებაში უნდა აღინიშნოს ინგლისელი ეკონომისტის ა. სმიტის მიზ-

ვნელოვანი წვლილი, რომელმაც მენარმე განსაზღვრა, როგორც კაპიტალის მესაკუთრე, რომელიც რაიმე კომერციული იდეისა და მოგების მიღებისათვის მიდის რისკზე [1, გვ. 35].

ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი ი. შუმპეტერი თვლის, რომ მენარმეობა - ეს არის პირველ რიგში, ნოვატორობა: საკუთარ ნაშრომში „ეკონომიკური თეორიების განვითარება“ ის უწოდებს მენარმეებს „სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს ახალი კომბინაციების განხორციელება და რომლებიც წარმოადგება, როგორც მისი აქტიური ელემენტი“. მისი აზრით, მენარმეობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს წარმოების შესაძლებლობის რეფორმირება და რეკლუცი-ონიზება, გამოგონებების დანერგვის გზით, ხოლო უფრო საერთო აზრით - ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ახალი საქონლის წარმოებისთვის ან ძველი საქონლის ახალი მეთოდებით, ნედლეულის ახალი წყაროს ან მზა პროდუქციის ახალი ბაზრის აღმოჩენის წყალობით [2, გვ. 171].

ასევე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პ. დრუკერი მენარმეობას განმარტავს, როგორც კონკრეტულ საქმიანობას, პრაქტიკას. ის თვლის, რომ მენარმეობის ბაზას წარმოადგენს თანამედროვე ცოდნა. პ. დრუკერის აზრით, მენარმეობის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ახალი, ძველი მიდგომებისგან განსხვავებული წარმოების საშუალებების შექმნა, უნარი შეცვალო და გარდაქმნა არსებული ფასეულობები [1, გვ. 18].

ამერიკელი ეკონომისტებმა კ. მაკკონელმა და ს. ბრიუმ გამოავლინეს მენარმის შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ფუნქციები: მენარმე საკუთარ თავზე ღებულობს მინის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების გაერთიანების ინიციატივას საქონლის და მომსახურების წარმოებისათვის; მენარმე ბიზნესის წარმოების პროცესში საკუთარ თავზე ღებულობს ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების რთულ ამოცანას, სამეწარმეო საქმიანობის კურსის განმსაზღვრელ გადაწყვეტილებებს; მენარმე არის ნოვატორი, პირი, რომელიც იღწვის კომერციის საფუძველზე შემოიტანოს მოხმარებაში ახალი პროდუქტები, წარმოების ახალი ტექნოლოგიები ან ბიზნესის ორგანიზების ახალი ფორმებიც კი; მენარმე არის ადამიანი, რომელიც მიდის რისკზე. ის რისკავს არა მარტო საკუთარ დროს, შრომას და საქმიან რეპუტაციას, არამედ საქმეში ჩადებული საკუთარი და კომპანიონი ან აქციონერების სახსრებს [3, გვ. 38].

იმასთან დაკავშირებით, რომ მენარმე მოგების მიღების მიზნით იძულებულია შეუთავსოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, კ. მაკკონელი და ს. ბრიუ განსაზღვრავენ მენარმეობას როგორც საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია სახსრების დაბანდებასთან მოგების მიღების მიზნით, პირადი მოგების და საზოგადოებრივი სარგებლის შეთავსების საფუძველზე [4, გვ. 18-20].

ფრანგმა ეკონომისტმა ჟ. ბ. სემი საკუთარ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატი“ მოგ-

ვანოდა მენარმისა და მენარმეობის არსის საკუთარი განმარტებები:

- მენარმე - ეს არის აგენტი, რომელიც ახდენს ნარმოების ფაქტორების კომბინირებას, დაბალი ნარმოებისა და მოგების მქონე რესურსები „გადააქვს“ სფეროებში, სადაც მათ შეუძლიათ უფრო მეტი შედეგის (მოგების, შემოსავლის) მიღება;
- მენარმეობა - ეს არის ყველა რესურსის ეფექტიან გამოყენებასა და მაღალი შედეგების მიღებაზე მიმართული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ფაქტორების მუდმივი კომბინირების საშუალებით.

მენარმეობის თეორიის განვითარებაში ყ. ბ. სეის ძირითად დამსახურებას ნარმოადგენს ის, რომ პირადად მან ჩამოაყალიბა თეზისი ნარმოების სამი ფაქტორის შესახებ - კაპიტალი, შრომა და მიწა, რომელიც ახლაც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში [1, გვ. 37].

მენარმეობის ჩამოყალიბებასა და შემდგომი განვითარების საქმეში სახელმწიფო ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: მენარმეობის ეკონომიური მექანიზმის ფორმირების სტიმულირება საგადასახადო, საკრედიტო, სადაზღვეო და სხვა მეცნიერულად დასაბუთებული რეგულირების სისტემებით; სტიმულირება და მოთხოვნილების უშუალო ფორმირება ინოვაციურ პროდუქციაზე, სახელმწიფო შეკვეთების სისტემის განვითარების გზით; მენარმეობის საბაზრო და ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ფორმირება.

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების შინაარსი განისაზღვრება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნებით, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს: მდგრადი ეკონომიკური ზრდა; დასაქმების მაღალი დონე; ინფლაციის დაბალი დონე; მდგრადი ფინანსური მდგომარეობა; შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სტაბილურობა.

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შეიძლება მისი მიმართულებების შემდგენარად კლასიფიცირება: სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ბაზის ფორმირება; კონკურენციის დაცვა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; შრომითი ურთიერთობების რეგლამენტირება და სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა; საგადასახადო სისტემის ფორმირება და შემოსავლების გადანაწილება; რესურსების გადანაწილება; ტარიფებისა და ფასების რეგულირება; ბიზნესის ცალკეული სახეობების სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა; საგარეო სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგლამენტირება; საავალუტო კურსის რეგულირება.

თანამედროვე მკვლევარების მიერ სახელმწიფო რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, განიხილება ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში ბაზრის არაეფექტურობის გადალახ-

ვის ყველაზე უკეთეს საშუალებად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში სახელმწიფო რეგულირება გამოიყენება არასაკმარისად, ზოგიერთ სფეროში ის არის იმდენად მოჭარბებულად, რომ ზიანს აყენებს სამენარმეო საქმიანობის განვითარებას.

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები მეცნიერ-ეკონომისტების მიერ სხვადასხვა ნიშნებით კლასიფიცირდება. ერთი მხრივ, კლასიფიკაცია ბაზირებულია საბაზრო-კონკურენტული მექანიზმის თვითორგანიზების სისტემაზე და მენარმეობის თვითმმართველობაზე, მეორე მხრივ კი - სახელმწიფოს საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებზე და საზოგადოების განვითარების ამოცანებზე.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და მენარმეობის განვითარების სტიმულირების პირობებში ერთ-ერთი ფორმა, რომელმაც ფართოდ გამოიყენება ჰპოვა მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, არის სკპ. სხვადასხვა მკვლევარების მიერ სახელმწიფო რეგულირებასა და სკპ-ზე მიკუთვნიებული საქმიანობის ფორმებისა და სახეობების სპექტრი ძალიან ფართოდაა წარმოდგენილი. თუმცა, სახელმწიფო რეგულირება არის უფრო ფართე ცნება, ვიდრე სკპ.

სკპ არის სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული ფორმა. ერთი მხრივ, ის იძლევა, სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების უფრო ეფექტურად გადაჭრის საშუალებას. მეორე მხრივ, სკპ, როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმა, იურდიულად ფიქსირებული და გარკვეული გარანტიებით გამტკიცებულია სახელმწიფოს მხრიდან, თავისთავად არის სამენარმეო საქმიანობის სტიმულირებისა და მხარდაჭერის ეფექტური ინსტრუმენტი.

ზოგადად, სკპ-ის განსაზღვრებას თუ შევეცდებით, ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთხელსაყრელი საშუალო- და გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით რეალიზდება (დანყებული სამუშაოების შესრულებაზე კონტრაქტებით, დამთავრებული სახელმწიფოსა და ბიზნეს-ასოციაციების კონსულტაციებით) და მიზნად ისახავს პოლიტიკურად და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირში სკპ-ის საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია საკმაოდ ბევრი ლიტერატურა. 2004 წელს გამოქვეყნებულ ნიგნში „საჯარო-კერძო პარტნიორობა და საკონონმდებლო გაერთიანება სახელმწიფო კონტრაქტებსა და კონცესიების შესახებ“ ნათქვამია: „ტირმინი „საჯარო-კერძო პარტნიორობა“ არ არის განმარტებული გაერთიანების დონეზე. საერთო ჯამში ამ ტერმინის ქვეშ განიხილება კოოპერაციის ფორმები საზოგადოებრივ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის, რომლებიც ემსახურებიან ფინანსური უზრუნველყოფის მიზანს, მშენებლობას, მოდერნი-

ზაციას, მართვას, ინფრასტრუქტურის ექსპლუატირებას ან მომსახურების განევას” [7, გვ. 27].

ხშირად ერთი და იმავე ავტორის ნაშრომებში „საჯარო-კერძო პარტნიორობის“ ცნებასთან ერთად, გვხვდება სინონიმური ცნება „კერძო-საჯარო პარტნიორობა“ [6, გვ. 20]. ჩვენ უარვყოფთ ამ მოსაზრებას შემდეგი მიზეზების გამო: მოცემული ტერმინის სტრუქტურა გულისხმობს სახელმწიფოს ნამყვან როლს პარტნიორობაში, ხაზს უსვამს, რომ ზუსტად სახელმწიფო ახდენს ბიზნესთან პარტნიორული ურთიერთობების ინიცირებას, განსაზღვრავს შეთანხმებების პირობებს საჯარო-კერძო პარტნიორობაზე და აკონტროლებს მათ შესრულებას; სახელმწიფოს მთავარი როლი პარტნიორობაში განისაზღვრება იმით, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ობიექტი ყოველთვის არის ან სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრება, ან სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) განსაზღვრული საქმიანობა.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სკპ-ისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არ ყოფენ ცნებებს „საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმებსა“ და „საჯარო-კერძო პარტნიორობის ინსტრუმენტებს“. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ცნებების გამიჯვნა, რადგან მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავება. მიგვაჩინია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმები - ეს არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარეებს შორის, რომელიც წარმოშობილია სკპ-ის პროექტების რეალიზაციის პროცესში. საჯარო-კერძო პარტნიორობის ინსტრუმენტები - ეს არის სკპ-ის პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუტები (მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსება, სახელმწიფო გარანტიები), რომელთა გამოყენება შესაძლებელია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმების გამოყენებისგან დამოუკიდებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Классики менеджмента. - СПб.: Питер, 2001. - 1160 с.
2. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Эксмо, 2007. - 861с.
3. Макконнел К.Р., Брю С.Л. Экономикс: принципы, проблемы и политика. - М.: Инфра - М, 2007. - в 2 томах. - Том 2.-513 с.
4. Прудников В. М. Государственное регулирование предпринимательской деятельности. - М.:РИОР, 2008. - 241 с.
5. Высоцкий П.А., Зенякин В.Е. Государственное регулирование предпринимательства в современных условиях. - М.: Наука, 2008. - 230 с.
6. Варнавский В. Г. Государственно-частное партнёрство: некоторые вопросы методологии. // Вестник института экономики РАН. - 2009. - № 3. - с.17-33.
7. Государственно-частное партнерство: теория и практика. - М.:Издательский дом государственного университета Высшая школа экономики, 2010. - 284 с.

**ბასალეზისა და პროდუქციის წარმოების
ზრდის გავლენა ინვესტიციებზე**

ვალერი მოსიაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი — სეუ, პროფესორი

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორის კვლევა. მეცნიერ ეკონომისტთა დიდი ინტერესს ყოველთვის იწვევდა ინვესტიციების ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების გავლენის განსაზღვრა. წინამდებარე ნაშრომშიც მცდელობაა გადმოვცეთ ინვესტიციების ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის რაოდენობრივი მახასიათებლები და თვით ინვესტიციების ზრდაზე გასაღებისა და პროდუქციის წარმოების ზრდის გავლენის ხარისხი.

სტატიაში დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის არსებული დამოკიდებულების თეორიები სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის თუ მიმდინარეობის პოზიციიდან (ყ.ბ.სეი, ჯ.მ. კეინსი, კლასიკური სკოლა, ნეოკლასიკური სკოლა, კეინზიანელები, ნეოკეინზიანელები), რომელთა კრიტიკული ანალიზისა და შეჯერების შედეგად გაკეთებულია დასკვნები და წინადადებები, კერძოდ განხილულია ჯ.მ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორია (რომლის თანახმად ინვესტიციების გადიდება იწვევს დასაქმების ზრდას, ამასთან ერთად ზრდის შემოსავალს და მოხმარებას და შესაბამისად აფართოებს წარმოებას) და „აქსელერატორის პრინციპი“ (ინვესტიციებზე მოქმედებს გასაღებისა და პროდუქციის წარმოების ზრდა), რომელიც ეკონომიკური ციკლის თითქმის ყველა თეორიის შემადგენელი ელემენტია.

დასასრულს მოცემულია ფორმულა, თუ ახალი ინვესტიციების ზრდაზე რა გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: აქსელერატორის კოეფიციენტი; შემოსავლის ნამატი; შემოსავლის სიდიდე ბოლო პერიოდისათვის; შემოსავლის სიდიდე წარსულ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: დანაზოგები, ინვესტიცია, მულტიპლიკატორის ეფექტი, აქსელერატორის პრინციპი, ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური ზრდის, მისი ფაქტორების კვლევა ყოველთვის იყო ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხი. განსაკუთრებით საინტერესოა ინვესტიციების ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების გავლენის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში დგება საკითხი, როგორ ვიპოვოთ დამოკიდებულება დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის,

რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა მოდელი, რომელშიც მოთხოვნა ტოლია მიწოდებისა იმ შემთხვევაში, თუ დანაზოგების (S) მოცულობა ტოლია ინვესტიციებისა (I) $I=S$. ეს მოდელი ნაწილობრივ ეყრდნობა სეის კანონს, ამ კანონის მიხედვით, ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას შორის ტოლობა დაყვანილ იქნა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ტოლობამდე. სეის კანონის მიხედვით, ფაქტობრივად ინარმოება იმდენი, რამდენი მოთხოვნაცაა. მაგრამ ამ კანონის ამკარა ნაკლი ის არის, რომ შეიძლება არ მოხდეს მთელი საქონლის რეალიზაცია დანაზოგების შექმნის პირობებში და მიწოდებამ ასახვა ვერ ჰპოვოს მოთხოვნაში.

დანაზოგები იწვევენ დარღვევებს შემოსავალ-გასაღების ნაკადში და ამით აფერხებს სეის კანონის მოქმედებას, დანაზოგები წარმოადგენს შემოსავლების ნაკადიდან სახსრების ამოღებას, რაც იმას იწვევს, რომ მომხმარებლის დანახარჯები არასაკმარისი აღმოჩნდება მთელი წარმოებული პროდუქციის გასაყიდად. თუ საოჯახო მეურნეობები ზოგავენ თავიანთი შემოსავლის რაღაც ნაწილს, მიწოდება ვერ ქმნის თავის საკუთარ მოთხოვნას და დანაზოგები იწვევენ მოხმარების უკმარისობას.

მაგრამ კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ დანაზოგები სინამდვილეში არ იწვევს მოთხოვნის უკმარისობას, ვინაიდან ყოველი დანაზოგი ინვესტირებულ იქნება მენარმეთა მიერ. ინვესტიციები ავსებენ ნებისმიერ „ხარვეზს“ მოხმარებაში, რომლებიც დაგროვებითაა გამოწვეული. მენარმეთა საინვესტიციო დანახარჯები შემოსავალ-გასაღების ნაკადის დამატება ან შევსებაა, რომლებსაც შეუძლიათ დაზოგვით გამოწვეული მოხმარების ნებისმიერი „ხარვეზის“ შევსება $S=I$ ტოლობით. ამ მოდელს ეკონომიკურ ლიტერატურაში „კლასიკური“ მოდელი ეწოდება.

პირები, რომლებიც ახორციელებენ შემოსავლების ნაწილის დაზოგვას და ინვესტირებას, ერთიდაიგივენი არ არიან, ამიტომ კლასიკოსების მტკიცებით დანაზოგთა და ინვესტიციების ტოლობას უზრუნველყოფს ფულის ბაზარი (ე.ი. სარგებლის განაკვეთი). დაზოგვაცა და ინვესტიციებიც სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია პროცენტზე, დაზოგვა პირდაპირპროპორციულია სარგებლის განაკვეთის პროცენტისა, ხოლო ინვესტიციები კი უკუპროპორციული. შედეგად ვღებულობთ, რომ შ არის პროცენტის ნორმის მზარდი ფუნქცია და I კლებადი. ამ შემთხვევაში როგორ მივალნიოთ წონასწორობას? სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომხმარებელს შეუძლია მომგებიანად დააბანდოს თავისი

დანაზოგი ინვესტორთან, ხოლო ინვესტორს კი, მხოლოდ მათი მეშვეობით შეუძლია მიიღოს სარფიანი კრედიტი.

საპროცენტო განაკვეთი ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების რყევას, შედეგად წარმოიქმნება „ნონასწორული საპროცენტო განაკვეთი“, რომლის დროსაც ინვესტირებული დანაზოგები ტოლი იქნება დაკრედიტებული ინვესტიციებისა.

კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია „თავად განვითარდეს“. სახელმწიფოს დახმარება ეკონომიკის ფუნქციონირებაში, მათი აზრით, მავნედ ითვლება. აქ ფაქტობრივად საპროცენტო განაკვეთი წარმოდგენილია, როგორც თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი.

ჯ.მ. კეინზმა გააანალიზა რა 1929-33 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ექვი შეიტანა დანაზოგებისა და ინვესტიციების იგივეობაში. შეიმუშავა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საფუძვლები, რასაც მიუძღვნა მისი ძირითადი ნაშრომი. კეინზიანელები ვარაუდობენ, რომ დანაზოგთა სუბიექტები და ინვესტორები არსებითად სხვადასხვა ჯგუფებია, რომლებიც თავიანთი დანაზოგების და ინვესტიციების გეგმებს სხვადასხვა საფუძველზე შეიმუშავენ, დაზოგვის შესახებ გადანყვევტილებებს სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად. კერძოდ, დანაზოგების დონე სუსტადაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

კეინზი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინვესტიციების სიდიდეზე მოქმედებს მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან დანაზოგების დონესთან ინვესტიციების ავტომატურად შეთავსებას პროცენტის ნორმის მეშვეობით. მისი აზრით, ეს ფაქტორებია: კაპიტალზე მოგების მოსალოდნელი ნორმის შემცირება (კლებადი ნაყოფიერების კანონის მოქმედების შედეგად) და მყარი საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, კეინზი თვლიდა, რომ პროცენტის ნორმის შემცირებით ხელმისაწვდომი ხდება კრედიტი და იზრდება საინვესტიციო შესაძლებლობები, თუმცა მისივე განმარტებით, არსებობს საპროცენტო განაკვეთის ისეთი დაბალი ზღვარი, როცა ნაღდ ფულზე მოთხოვნა ძალიან დიდია და ამის შემდგომ პროცენტის შემცირებას უკვე აღარ შეუძლია სტიმული მისცეს ინვესტიციურ აქტივობას.

კეინზი აგრეთვე თვლიდა, რომ ინვესტიციების მოცულობის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზია ეროვნულ შემოსავალში მოხმარების წილის შემცირება. პირადი მოხმარების დინამიკა მან ე.წ. ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს დაუკავშირა, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს თითქოს მიდრეკილება აქვთ სახსრები დახარჯონ იმაზე უფრო ნელა, ვიდრე მათი შემოსავლები იზრდება. რადგან იხარჯება არა მთელი შემოსავალი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი (მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება 1-ზე ნაკლებია), ეროვნულ შემოსავალში მოხმარების საშუალო დონე განუწყვეტლივ მცირდება.

ყოველივე ეს ეხება საბაზრო თვითრეგულირების პირობებს. ამგვარად, კეინზს მიაჩნდა, რომ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, რაც საბაზრო თვითრეგულირების შესახებ კლასიკოსთა შეხედულების უარყოფას ნიშნავს. კეინზი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინვესტიციების მოცულობის ზრდა მხოლოდ სახელმწიფოს ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. მისი აზრით, თუ ქვეყანაში არ არის მიღწეული სრული დასაქმება, მაღალი დანაზოგი ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან იგი შემოსავლის პასიური წყაროა და წარმოებაში არ გამოიყენება, ამიტომ საჭიროა ჭარბი დანაზოგის ამოღება გადასახადის მეშვეობით, რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ჩარევით.

საინვესტიციო პროცესისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის თვალსაზრისით საინტერესოა მულტიპლიკატორის თეორია, რომელიც ასევე შემოგვთავაზა ჯ. კეინზმა და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკური ციკლის ახსნაში. ამ თეორიის ამოსავალი პუნქტია ინვესტიციების როლის განსაზღვრა ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების მოცულობის ზრდაში.

კეინზის მიხედვით, ინვესტიციების გადიდება ინვეს დასაქმების ზრდას, მასთან ერთად ზრდის შემოსავალს და მოხმარებას და შესაბამისად აფართოებს წარმოებას. ამ დამოკიდებულებას იგი უწოდებს მულტიპლიკატორს, ხოლო შედეგად მიღებულ ეფექტს — მულტიპლიკაციურს.

მულტიპლიკატორი არის მნიშვნელოვანი სიდიდე. ის ასრულებს არა მარტო წარმოებისა და, შესაბამისად, დასაქმების ზრდის იმპულსის როლს, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანს, მაკროეკონომიკური რეგულატორის როლსაც, ანუ ინვეს დასაქმებისა და ინვესტიციების დაბალანსებას. ასე, მაგალითად, ინვესტიციების შემცირება ინვეს წარმოების მოცულობის შემცირებას, დასაქმების შემცირება ამცირებს სამომხმარებლო მოთხოვნას და დანაზოგებს. მთელს ეკონომიკაზე გავრცელებული ეს მულტიპლიკაციური პროცესი ინვეს დასაქმების ჯამურ შემცირებას, რაც ინვესტიციების ჯამური შემცირების ტოლფასია. ამის შედეგად დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის მყარდება ნონასწორობა.

მულტიპლიკატორის თეორიის შემდგომ განვითარებას ვპოულობთ რ. ჰაროდის, ჰანსენის და პ. სამუელსონის შრომებშიც. აღსანიშნავია, რომ მულტიპლიკატორის თეორია წარმოადგენს პრინციპულად ღია კონცეფციას, რომელიც მუდმივად ფართოვდება და იხვეწება.

ეკონომიკური ციკლის მთავარი დეტერმინანტი — კაპიტალდაბანდება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, როგორცაა მსოფლიოში მოცემული ეკონომიკური და პოლიტიკური როლის გაძლიერების პერსპექტივა, საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მსოფლიო მოსახლეობის ზრდა და ა.შ. ინვესტიციებზე მოთხოვნა დამოკიდებულია სახელმწიფოს ფუ-

ლადი შემოსავლების პოლიტიკაზე. მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლება ინვესტიციების გადიდებას და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდას. ხოლო როცა ეკონომიკური დაქვეითების დროს ძნელდება წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია და მცირდება წარმოების მოცულობა, ადგილი ექნება კაპიტალის დაგროვების შემცირებას.

რაზე მიუთითებს აღნიშნული მსჯელობა? აშკარაა, რომ კაპიტალდაბანდებაზე მოქმედებს გასაღებისა და პროდუქციის წარმოების ზრდა. ეს დამოკიდებულება ცნობილია, როგორც „აქსელერატორის პრინციპი“, რომელიც ეკონომიკური ციკლის თითქმის ყველა თეორიის შემადგენელი ელემენტია. აქსელერაციის პრინციპის არსი შემდეგია: მზარდი შემოსავალი, რომელიც პირველადი ინვესტიციების მულტიპლიკაციური ზემოქმედების შედეგად მიიღება, ადიდებას სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნას. დარგები, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელს, ფართოვდებიან და ეს ინვესტიციები მოთხოვნის ზრდას სანარმოო დანიშნულების საქონელზე, ანუ წარმოების საშუალებებზე. ამასთან სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ცვლილება გამოიწვევს მკვეთრ ცვლილებებს სანარმოო დანიშნულების საქონლის მოთხოვნაზე. ეს დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების თავისებურებებთან. ეს უკანასკნელი კი საჭიროებს ერთდროულ მსხვილ დანახარჯს, რომელიც თანდათანობით განთავსდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებაში. ამიტომ არსებული სანარმოების გაფართოების, ან ახალი სანარმოების მშენებლობისას ახალი ძირითადი კაპიტალის შექმნაზე განეული დანახარჯები აჭარბებენ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას. სხვა სიტყვებით „აქსელერაციის პრინციპი“ ეხება „მზა პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებას“.

ამერიკელი ეკონომისტი ე. ჰანსენი განმარტავს: „აქსელერატორი – ეს არის რიცხობრივი მამრავლი, რომელზე ნამატი შემოსავლის თითოეული დოლარი ადიდებას ინვესტიციებს“.

ამრიგად, საინვესტიციო საქონლის მოთხოვნის ცვლილება განიხილება, როგორც სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის ცვლილების ფუნქცია, ხოლო ახალი ან სტიმულირებული ინვესტიციების ნაზრდი გამოითვლება, როგორც შემოსავლის ნაზრდის ნამრავლი აქსელერაციის კოეფიციენტზე. აქსელერატორის უმარტივესი ფორმულა ასეთია:

$$I_t = a (Y_t - Y_{t-1});$$

სადაც: I_t – ახალი ინვესტიციების ზრდაა;

a – აქსელერატორის კოეფიციენტი;

$Y_t - Y_{t-1}$ – შემოსავლის ნამატი;

Y_t – შემოსავლის სიდიდე ბოლო პერიოდისათვის;

Y_{t-1} – შემოსავლის სიდიდე წარსულ პერიოდში.

შესაბამისად, შემოსავლის ნამატიდან ეფექტი, რომელიც ინვესტიციების ნამატიდან აისახება, პირდაპირ დამოკიდებულებაშია აქსელერაციის კოეფიციენტთან და ამიტომ შემოსავლის გადიდებისას,

როგორც წესი, ინვესტიციები იზრდება.

აქსელერაციის პრინციპი შეიძლება დავუკავშიროთ სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნისა და მათი წარმოების ზრდას. მაშინ ჰანსენის მიხედვით, „ძირითად კაპიტალზე წმინდა დანამატების მოთხოვნა დამოკიდებულია არა სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის დონეზე, არამედ მისი მოთხოვნის ზრდის ტემპზე“. შემდეგ: „როცა სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის ტემპი სუსტდება, (მაშინაც კი, თუ მოთხოვნა, თუმცა ნაკლებად სწრაფად, მაგრამ მაინც იზრდება), დამატებით მონყობილობებზე მოთხოვნა აბსოლუტურად მცირდება. თუ მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე მუდმივი რჩება, დამატებითი მონყობილობების შექმნა საჭირო აღარ არის და დოვლათის მწარმოებელი დარგები მუშაობენ არსებული მონყობილობების შენარჩუნებაზე ცვეთის შესაბამისად.“

აქედან გამომდინარეობს, რომ: ჯერ ერთი, აქსელერატორის ზემოქმედებას სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა მოთხოვნის ზრდის ტემპი იცვლება და არა მაშინ, როცა ხდება სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის აბსოლუტური მოცულობის ცვლილება. მეორე, ფუნქციონალური დამოკიდებულება არსებობს ახალ ინვესტიციებსა და სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის ზრდის ტემპს შორის და, მე-სამე, აქსელერაციის პრინციპი ორმხრივი ზემოქმედების უნარით ხასიათდება.

ამრიგად, აქსელერაციის პრინციპით აიხსნება დამოკიდებულება კაპიტალური დოვლათის წარმოებასა და საქონლის საზოგადოებრივ მოხმარებას შორის.

მულტიპლიკატორი და აქსელერატორი ერთმანეთს განაპირობებენ.

მულტიპლიკატორის თეორიის მიხედვით, ინვესტიციების ზრდა მრავალმხრივ ზემოქმედებს შემოსავალზე. შემოსავალი მულტიპლიკატორის სიდიდის შესაბამისად იზრდება. რაც თავის მხრივ ზრდის სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ტემპებს და შემდგომ მათ წარმოებას. აქედან გამომდინარეობს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი სანარმოების მშენებლობის აუცილებლობა. ეს თავის მხრივ აფართოებს წარმოების საშუალებათა წარმოებას.

მულტიპლიკაციური ეფექტის გამომწვევი პირველადი ინვესტიციები ავტონომიური ინვესტიციების ხასიათს ატარებენ. მისგან განსხვავებით, აქსელერაციის პრინციპს საქმე აქვს სტიმულირებულ ინვესტიციებთან, რომლებიც დამოკიდებულია შემოსავალზე, ანუ საქონლის მოცულობის ან საბოლოო მოთხოვნის ზემოქმედების შედეგია. ავტონომიური ინვესტიციები ეკონომიკის გაფართოების პროცესის პირველადი ბიძგია და ინვესტიციები მულტიპლიკაციური ეფექტის, ხოლო სტიმულირებული ინვესტიციები მზარდი შემოსავლის შედეგია და ინვესტიციების შემდგომ ზრდას.

შესაბამისად, შემოსავლის ცვლილება დამოკიდებულია მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის

ურთიერთზემოქმედებაზე. რაც საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოფს ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ეკონომიკა (დინამიკა, ზრდა, განვითარება), თბ. 2008.
2. სიჭინავა ა., ინვესტიციები (თეორიები, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა), თბ., 2010.
3. ქოქიაური ლ., ფინანსური ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბზარის ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზი, თბ., 2013.

ნატალია კობალიანი, ეკონომიკის დოქტორი
ქეთევან სალუქვაძე, არქიტექტურის დოქტორი

რეზიუმე

* * * * *

მოსხენებაში განხილულია აგროსფეროს დარგების შეთანხმებისათვის გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სპეციფიკა: მისი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური თავისებურებები, ნედლეულის ბაზა, მოცულობა, ტრანსპორტაბელურობა, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ტრანსპორტირების პირობები, ენერგეტიკული და წყლის რესურსების მომარაგება, შრომითი რესურსები და ა.შ.

მოსხენებაში დეტალურად განხილულია სასოფლო-სამეურნეო დარგების შეთანხმების პროცესისათვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელიც ერთ-ერთი და მნიშვნელოვანია ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო სანარმოს ოპტიმალური დაგეგმარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემაში.

სასოფლო-სამეურნეო დარგების შეთანხმების ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ძირითად მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ დარგების ოპტიმალური შეთანხმება, რომლის დროსაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობით წარმოება.

Summary

The report covers specific formation Agricultural area sectors of agricultural production and the specifics of its technical, technological and economic characteristics, raw materials, capacity, transportability, the volume of production, transportation, energy and water supply, labor resources, etc.

The report discusses in detail the agricultural fields in the matching process of economic and mathematical model, which is one of the important center of agricultural production for optimal planning of economic and mathematical models of the system.

Agricultural sub-sectors of economic and mathematical matching main aim is to determine the optimal combination of composite fields, which can produce the maximum possible amount of agricultural production.

აგროსფეროს დარგების შეთანხმება მოითხოვს გათვალისწინებული იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სპეციფიკა: მისი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური თავისებურებები, ნედლეულის ბაზა, მოცულობა, ტრანსპორტაბელურობა, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ტრანსპორტირების პირობები, ენერგეტიკული და წყლის რესურსების მომარაგება, შრომითი რესურსები და ა.შ. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნებრივ-კლიმატური და ფიზიკო-გეოგრაფიული თავისებურებები.

ასე, რომ შეინახვლება ფაქტორთა დიდი რაოდენობა, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური.

სასოფლო-სამეურნეო დარგების შეთანხმების პროცესის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ცენტრალურია სასოფლო-სამეურნეო სანარმოს ოპტიმალური დაგეგმარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემაში. მას შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, როგორც სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, ასევე წარმოების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ამ მოდელით გამოკვლევა შეიძლება დაგვეხმაროს კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში განსაზღვრული წარმოებითი ტიპის სანარმოსათვის დარგების ოპტიმალური შეთანხმების პოვნაში. ასეთი ტიპის ამოცანის დასმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადად რესურსებს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო და შრომითი რესურსები. აგრეთვე ზოგიერთი სახის რესურსები, რომლებიც მოხმარებული იქნა უშუალოდ წარმოების პროცესში.

დარგების ოპტიმალური შეთანხმების მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს. ის წარმოადგენს ძირითად მრავალ სხვა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებიდან, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკური ამოცანების ამოხსნის ოპტიმიზირებისა. დამატებითი პირობების აღრიცხვის საფუძველზე შეიძლება ამოიხსნას ისეთი ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანები, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო წარმოებების სანარმოო პროგრამის ოპტიმიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სანარმოს განლაგება და სპეციალიზაცია ტერიტორიულ ასპექტში და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და კულტურების ოპტიმალური შეთანხმების პრობლემების გადანყვეტა მეტად რთული და შრომატევადია. მისი გადანყვეტა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით საშუალებას იძლევა დროის უმოკლეს ვადაში მივიღოთ ოპტიმალური გადანყვეტილებები.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი წარმოადგენს - მათემატიკური გამოსახულებების ერთობლიობას და მათში შემავალი სიდიდეების ეკონომიკურ აღწერას. მათემატიკური გამოსახულებების ერთობლიობა შედგება შეზღუდვებისა და მიზნის ფუნქციისაგან. შეზღუდვები სოფლის მეურნეობაში არსებულ ეკონომიკურ პირობებსა და შესაძლებლობებს ასახავენ. ხოლო კრიტერიუმი მოგების მაქსიმუმს ან დანახარჯების მინიმუმს ან სხვა შედეგობრივ მაჩვენებელს. შეზღუდვების ტიპებია : სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალანსი; სახნავი მიწების ბალანსი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა ბალანსი; გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეთა ბალანსი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გარანტირებული მოცულობების ბალანსი; ბაზრი მოთხოვნილებათა ბალანსი; საექსპორტო მოცულობათა ბალანსი.

ამისათვის არსებობს ე.წ. დამატებითი შეზღუდვები, რომლის მთავარი პირობა ის არის, რომ თითოეულ დარგში წარმოებული საპროგნოზო პროდუქციათა მოცულობები შესაძლებელ მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის უნდა მერყეობდეს.

კონკრეტული ამოცანის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეზღუდვების რაოდენობა გაიზარდოს ან შემცირდეს.

სასოფლო-სამეურნეო დარგების შეთანხმების ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ძირითად მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ დარგების ოპტიმალური შეთანხმება, რომლის დროსაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობით წარმოება. ასეთი მიზნის დასახვა ამცირებს დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე.

ჩვენერთ სასოფლო-სამეურნეო დარგების ოპტიმალური შეთანხმების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ზოგადი სახით. შემოვიტანოთ აღნიშვნები: i - რესურსის ინდექსი ($i=1,2,\dots,m$);

j -სასოფლო-სამეურნეო დარგის სახის (პროდუქციის) ინდექსი ($j=1,2,\dots,n$);

b_i - i -ური რესურსის მოცულობა;

a_{ij} - j - ური დარგის სახეზე (პროდუქციაზე) ერთეულის ეფექტიანობა(ღირებულება);

x_j - j -ური დარგის სახეობის (პროდუქციის)წარმოების საძიებელი მოცულობა.

ვიპოვოთ x_j ცვლადების მნიშვნელობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნის ფუნქციის მაქსიმალურ (მინიმალურ) მნიშვნელობას;

$$F = \sum_{j=1}^n C_j X_j \rightarrow \max(\min)$$

ეკონომიკურ-მათემატიკურ ამოცანის ამოხსნისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პირობები:

1. ოპტიმალური გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს რესურსების გამოყენების შეზღუდვებს;

$$\sum_{j=1}^n a_{ij} X_j \leq b_i$$

($i=1,2,\dots,m$)

2. ცვლადი სიდიდეები არ უნდა იყოს უარყოფითი მნიშვნელობის;

$$x_j \geq 0 \quad (i=1,2,\dots,m)$$

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ოპტიმალური განვითარების ამოცანის გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანია საიმედო საწყისი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. საწყისი ინფორმაცია შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ა) ძირითადი (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა);

ბ) საწარმოო (მექანიზებული და ხელით შრომის დანახარჯები და ხვა)

გ) რესურსული (მიწის რესურსი, შრომითი რესურსი და სხვა).

განსაკუთრებით რთულია ძირითადი ინფორმაციის პროგნოზირება. სასოფლო-სამეურნეო დარგების ოპტიმალური განვითარების ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საწყისი ინფორმაციის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზირებას. პროგნოზირების ერთერთი გავრცელებული, ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდია ეკონომიკური პარამეტრების ექსპერტული შეფასება.

საწარმოო ინფორმაციის პროგნოზირება შეიძლება მოხდეს კორელაციური ანალიზის ან პერსპექტიული ტექნოლოგიური რუქების გამოყენებით. კორელაციური ფუნქციები შეიძლება იყოს წრფივი და არაწრფივი.

რესურსული ინფორმაციის პროგნოზირებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მიწის ფონდის ტრანსფორმაცია, ნიადაგის ეროზია და სხვა მოვლენები, ხოლო შრომითი რესურსების პროგნოზირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის შესაძლო მიგრაცია, სეზონული სამუშაო ძალა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო დარგების ოპტიმალური განვითარების გადაწყვეტის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად ასპექტებს: სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული რეალური დონის დადგენა; იმ პრიორიტეტული დარგების გამოყოფა, რომელიც საბაზრო ურთიერთობებს აკმაყოფილებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს აგრაკუნრული პოლიტიკის კონცეფცია. თბ., 1996 გვ 5.
2. გოგხია რ, კილასონია, გ. ფერმერული მეურნეობის ჰორიზონტები. თბ. 2001. გვ 10-27;
3. კუნჭულია თ. საქართველოს საფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკიაზე გადაყვანის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები თბ. მეცნიერება 1997. გვ 15-20

Summary

For the Issue of Update an Reproduction of Scientific-Technical Knowledge

Like getting the technologies and techniques morally outdated, in the article there are analyzed : the definition of the morally outdated scientific-technical knowledge, the issue about its update and reproduction , and its three forms. According to the authors' opinion, with those two morally outdated forms of scientific-technical knowledge there arises a completely new third form in the conditions of socially-oriented market economy. The third form-Socially Unusefulness - of some scientific knowledge which usage if considering the philosophy of social purpose of activity- creating a new technology and improving the existing one accordingly to the aim of manufacturing , it is becoming ineffective comparing with the new scientific-technical knowledge, that the society have. This morally outdated form of scientific-technical knowledge, as the third social form arises only specifically in socially-oriented civilized market economy.

Some recommendations are given in the article, also there are set the ways for avoiding the probable negative results of getting morally outdated , especially "getting the scientific-technical knowledge morally outdated ". A special attention is paid to the importance of investments in solving the global problem of getting morally outdated, in the provision of the update and reproduction for scientific-technical knowledge by an extensive form.

რეზიუმე

ტექნიკისა და ტექნოლოგიის მორალური მოძველების მსგავსად, სტატიაში გაანალიზებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი განახლება-კვლევნარმოების არსი და სამი ფორმა. ავტორთა აზრით, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ ფორმასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიად ახალი მესამე ფორმა - სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული ცოდნისა, რომლის გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეს ფორმა, როგორც ტექნიკის

რევაზ შენგელია, სტუ-ს პროფესორი, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია, სტუ-ს პროფესორი

მორალური მოძველების მესამე სოციალური ფორმა, გვევლინება სპეციფიკურდ მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის.

სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები, ასევე დასახულია გზები მორალური მოძველების, კერძოდ კი „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების“ სავარაუდო უარყოფითი შედეგების ასაცილებლად. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ინვესტიციების მნიშვნელობას მორალური მოძველების გლობალური პრობლემის მოგვარებაში, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაფართოებული ფორმით განახლება-კვლევნარმოების უზრუნველყოფის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება, მისი განახლება-კვლევნარმოება და ფორმები, კონკურენტუნარიანობა,.

* * * * *

ცნობილია, რომ ნებისმიერ ნორმალურად მოწყობილ, გამართული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე უნდა შეადგენდეს მინიმუმ 5000-12000 აშშ დოლარს. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ტოლია 3596 აშშ დოლარის და იგი მსოფლიოს ქვეყნებს შორის 115-ე ადგილზეა; უმუშევრობის ნორმა უნდა შეადგენდეს 5-6%-ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ტოლია 16%-ის; ინვესტიციების წილი მშპ-ში უნდა შეადგენდეს 25%-ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 5-10%-ა. ე.ი. საქართველოს ეკონომიკას ძირითადად მომხმარებლური ხასიათი აქვს. მოიხმარება მშპ-ს 90-95%, ხოლო ინვესტიციებზე მიდის 5-10%. ის ქვეყანა კი, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, ხვალ უფრო ნაკლებ კვერცხს და ქათამს მიირთმევს (იხ: ჟურნალი "ეკონომიკა", № 5-6, 2014 წ. გვ.13-14.); საარსებო მინიმუმს ქვემოთ უნდა იყოს მოსახლეობის არა უმეტეს 10%-ისა, საქართველოში კი-40%-ია; ლოგიკურად, საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი და იმპორტს აბალანსებს, საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ აღემატება; ჩვეულებრივ, სამომხმარებლო კალათაში უნდა სჭარბობდეს სამამულო პროდუქცია, საქართველოში კი იმპორტული პროდუქცია შეადგენს სამომხმარებლო კალათის 75%-ს. ე.ი. სამამულო ბაზარი გაჯერ-

ებულია არა მწარმოებლურობის ამაღლებით, არამედ იმპორტის ექსპორტზე გადამეტებით; საქართველოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მეტი ჰყავს დაქირავებით დასაქმებული (750-800 ათასი კაცი), ვიდრე ქვეყნის შიგნით - 600 000 (კვირის პალიტრა. 16 აპრილი. 2014წ.), რის გამოც უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ფულადი გზავნილები საქართველოში წელიწადში 1 მლრდ დოლარს აღემატება (უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ; "უნივერსალი". 2013. გვ.430).

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე და მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის, კერძოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების მთავარი საშუალებაა ისეთი სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობაზე აისახება. ასეთი ეკონომიკური ზრდის უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი კი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სწორედ სუსტად განვითარებული, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაა.

მსგავსად ტექნიკის, ტექნოლოგიის მორალური მოძველებისა, ჩვენი აზრით, შესაძლოა პირობითად გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების სამი ფორმა: პირველი ფორმა დაკავშირებულია კვლევის განმეორებადი ოპერაციების შესრულების მეთოდების გაუმჯობესების შედეგად მეცნიერული შედეგების მიღების გაიაფებასთან. ეს ფორმა დაკავშირებულია ერთიდაიგივე ინფორმაციის მიღების კვლავწარმოების გაიაფებასთან; მეორე ფორმა დაკავშირებულია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, ან ახალი გადაწყვეტილების გამოჩენასთან, რომელთა გამოყენება იწვევს პრინციპულად ახალ შედეგებს, რის გამოც ძველი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა, შესაბამისად, ტექნიკაც, რომელშიც დაფიქსირებულია ეს ცოდნა, ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტიანი ხდება. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ ფორმასთან ერთად, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიდ ახალი მესამე ფორმა - სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული შედეგებისა, რომელთა გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების და მისი გამოვლენის ფორმების ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკაც, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც

წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული ცოდნის, სწავლების მეთოდების, ხერხების გამოყენების დროს.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების მოვლენის ობიექტურად არსებობა იმითაც დასტურდება, რომ ჩვენში როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სახელმწიფო ყოველწინააღმდეგარა დაზოგოს სახსრები განათლებაზე და მეცნიერებაზე და ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტს, რომ იაფი და უხარისხო ცოდნიდან მიღებული ზარალი და დანაკარგები ბევრად სჭარბობს ძვირ, მაგრამ მაღალხარისხიან ცოდნაზე გაღებულ ხარჯებს. მეტიც, ხშირად თავს ვინონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის და გვაფიქვდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალი კი-ცხოვრების დაბალ დონეს, სიღარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მონივნავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობას (უ.სამადაშვილი.ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი. ჟურნალი "ეკონომიკა", № 5-6, 2014 წ. გვ.17). აღნიშნულის დამადასტურებელია შემდეგი მონაცემებიც: მოლდოვა მშპ-სთან მიმართებაში პროცენტული მაჩვენებლით განათლებაზე ყველაზე მეტ თანხებს ხარჯავს. კერძოდ, ქვეყანამ ეს მაჩვენებელი 2004 წ. 6,8 %-დან 2012 წ. 10,9 %-მდე გაზარდა. განათლების სფეროში აღნიშნული მაჩვენებლით მეორე ადგილზეა უკრაინა(7,3 %), ხოლო საქართველო კი ბოლოდან მესამეა 2,9 %-ით და მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს უსწრებს 0,1 %-ით (კვირის პალიტრა. 16 აპრილი.2014 წ.). არადა როგორც ჟოლიო კიური აღნიშნავდა, ქვეყანა , რომელიც მეცნიერების განვითარებისთვის არ ზრუნავს, ადრე თუ გვიან კოლონია გახდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ მართლაც გვსურს ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი ზრდა, ანუ საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობა, ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაში, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში (ახალი დაზგა-დანადგარები, შენობები, გზები და სხვა). ასე მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში განათლებასა და მეცნიერებაზე გაწეული კაპიტალზეები მშპ-ს ზრდის 40%-ით, ხოლო 5-7 წელიწადში, როდესაც ეს ინვესტიციები სრული ეფექტის მოცემას დაიწყებს, მათი უკუგება აღემატება ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე უკუგებას(ჟურნალი "კომენტარი", 2003წ. №1, გვ-40.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, გლობალიზაციის პირობებში სავსებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ არამარტო ტექნიკის, მეცნიერ-

ულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების, მისი სამი ფორმის შესახებაც.

წარმოების, ეკონომიკის მსგავსად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცესები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერებებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ასეთ პირობებში ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან-წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინოვაციების, სიახლეების დანერგვის უგულვებელყოფა. არადა 21-ე საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა (გ.ჯოლია. ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი, №4, 2013 წ. გვ.259.). ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განახლოს ანუ აკვლავწარმოოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) პირველი-არასრული, ნაკლები (შეკვეცილი ფორმის) დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს (ცხოვრების განმავლობაში შექმნილმა ცოდნამ უკვე ამონურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების“ პროცესს განიცდის), რის გამოც იგი კონურენტუნარიანი ვერ იქნება. ეს კი, როგორც კონკრეტული ადამიანისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მამასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მეორე-მარტივი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას (ეს ცოდნა ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე უცვლელია) მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი კონურენტუნარიანია მანამ, სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შექმნილი ცოდნა ამონურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას და „მორალური მოძველების“ პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არ მიყენებს არც თავის თავს და არც ქვეყანას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-

კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არამარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც აქტიურად დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად განვითარებასა და დანერგვაში (თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ უწყევ ქვეყნისთვის მიიჩნეოდა, შეიძლება ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. ამიტომ სპეციალისტს სჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული აქტიური და განვითარებადი ცოდნა), აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანამედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუნარიანობის მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად სამუშაო ეძებს მას. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში (ჟურნალი “ეკონომიკა”, № 5-6, 2014 წ. გვ.18.). ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე ფორმის დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება-კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი მასშტაბით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაფართოებული ფორმით განახლება-კვლავწარმოება დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია. ამასთან სასურველია ინვესტიციები უპირატესად წარიმართოს ინტელექტუალური, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის განსავითარებლად. ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოძველების საკითხი პირველ რიგში იმიტომ არის გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, სანყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს სანარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. გამომდინარე აქედან, პრობლემის მოგვარება უნდა დაიწყოთ არა წარმოების სფეროში, არამედ იდეის, ცოდნის ფორმირების პროცესში.

ამრიგად, მორალური მოძველება საერთოდ, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განსაკუთრებით გაფართოებული ფორმით განახლება-კვლავწარმოება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ნებისმიერ ქვეყანას, მაგალითად, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის, ესაჭიროება თანამედროვე ეკონომიკური ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით, შინაგანი განახლების უნარით, მსოფლიო ენით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით

და მისაღები ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ; “უნივერსალი”. 2013.
- 2.უ.სამადაშვილი, რ.შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ., 2013.
- 3.ა.სიჭინავა. ინვესტიციები - თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ., 2010.
- 4.რ.შენგელია, ჟ.ნიკლაური, ნ.შენგელია. ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში.თბ., 2013;
- 5.ჟურნალები: “ ბიზნეს-ინჟინერინგი” , თბ., 2013; ჟურნალი “ეკონომიკა,”№ 5-6, თბ., 2014; ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი” - თბ., 2013; კვირის პალიტრა. 16 აპრილი. 2014 წ.; ჟურნალი “კომენტარი”, 2003წ. №1.

მსიკა და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების სისტემა, როგორც ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების საშუალებელი

*ნაზი ჭიკაიძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
მედეა კურტანიძე, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ბიზნესის განვითარება თანამედროვე პირობებში და ეკონომიკის რეფორმირება დაკავშირებულია ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლასთან. მცირე და საშუალო ბიზნესში ასეთი პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა ინოვაციების წარმოებებში ინტეგრაცია ერთიანი განუყოფელი საინოვაციო-მწარმოებლივი სისტემის შექმნის მიზნით, რომელიც ინოვაციური პროექტების განხორციელებას, შესრულებას და წინსვლას უზრუნველყოფს.

მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ჩამოყალიბება და განვითარება განიხილება როგორც საბაზრო კანონებით ფუნქციონირებადი ახალი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების აუცილებელ პირობად. მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების შედეგად მიიღწევა ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შრომისუნარიანი მოსახლეობის წარმოების პროცესში დასაქმება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წარმოების მენეჯმენტს, არამედ ინოვაციურ მენეჯმენტს, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებათა ინოვაციური განვითარების საშუალებას და ფუნქციონირებას საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში.

Summary

Innovative management development system in a small and medium sized business, as a base of increase of functioning efficiency

Business development in modern conditions and economical reforming is linked with transition on an innovative way of development. In a small and medium sized business, in innovation production one of the main means of solution for such problems is integration to create the united indivisible innovational- manufacturing system, which will guarantee implementation, performance and progress of innovational projects.

Formation and development of a small, medium and large size business is considered as a necessary condition for establishing new economical system functioning according to market law. As a result of small business formation and development, creation of new jobs and employing employable population during the process of production is

achieved.

In development of a small and medium sized business, not only manufacturing management is of a great importance, but innovational business, that ensures development of means of innovational implementation and functioning in terms of Georgian Economical Transformation.

* * * * *

ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის რეფორმირება თანამედროვე პირობებში დაკავშირებულია ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასთან. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გასაღების ბაზრისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ის საწარმოო თუ ფირმა, რომელიც თავის საქმიანობას აგებს უპირატესად ინოვაციური მიდგომის საფუძველზე. მცირე და საშუალო ბიზნესში ასეთი პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა ინოვაციების წარმოებებში ინტეგრაცია ერთიანი განუყოფელი საინოვაციო-მწარმოებლივი სისტემის შექმნის მიზნით, რომელიც ინოვაციური პროექტების განხორციელებას და შესრულებას უზრუნველყოფს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წარმოების მენეჯმენტს, არამედ ინოვაციურ მენეჯმენტს, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებათა ინოვაციური განვითარების საშუალებას და ფუნქციონირებას ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოტენციალი შედგება რიგი დამოუკიდებელი სისტემათა კატეგორიებისგან, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ და ქმნიან მოქმედ საწარმოთა საქმიანობის სინერგიულ ეფექტს. მცირე და საშუალო ბიზნესში მენეჯმენტის ეფექტური ინოვაციური სისტემის ფორმირება უნდა უზრუნველყოფს ამ საწარმოთა საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებით ინოვაციური პოტენციალის მართვის ეფექტურობის ამაღლების საფუძველზე. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს თეორიულ-მეთოდურ და მეცნიერულ-დამტკიცებულ დებულებათა დამუშავებას მცირე ან საშუალო ბიზნესის დონეებზე.

წარმოდგენილი სქემა - მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური მენეჯმენტის სისტემა როგორც ერთიანი მთლიანი სისტემა - განსხვავდება მსგავსი ინოვაციების, ინვეტიციების და წარმოების მართვის სისტემურობის და კომპლექსურობის შემუშავებისაგან. (სურათი 1.1) ინოვაციური მენეჯმენტის განსაზღვრა მცირე და საშუალო ბიზნესზე შესაძლებელია

როგორც ერთიანი პრინციპების, მეთოდების, ნო-
ვაციების და წარმოების მართვის საორგანიზაციო
ფორმები. ინოვაციური მენეჯმენტი ფუნქციონირებს
ინოვაციურ ბიზნესში სტრატეგიული აზროვნების
საფუძველზე.

**მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური
მენეჯმენტის სისტიმა**

**მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური
მენეჯმენტის წრფივი ქვესისტიმა**

მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მენეჯმენტის ფუნქციონალური ქვესისტიმა	მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მენეჯმენტის უზრუნველყოფის ქვესისტიმა	მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მენეჯმენტის პროგრამულ-მიზნობრივი ქვესისტიმა
---	---	--

ინოვაციური მენეჯმენტის ადგილი მცირე და საშუალო ბიზნესის საერთო სისტემაში შეიძლება ილუსტრირებული იყოს სქემით, რომელიც წარმოდგენილი 1.2 სურათზე:

მცირე და საშუალო ბიზნესის საერთო მართვის სისტიმა

წარმოება-გასაღების საქმიანობის მართვის სისტიმა (ოპერატიული მენეჯმენტის სისტიმა)	ფინანსური საქმიანობის მართვის სისტიმა (ფინანსური მენეჯმენტის სისტიმა)	ინვესტიციური საქმიანობის მართვის სისტიმა (ინვესტიციონალური სისტიმის მართვა)	მცირე და საშუალო საქარმოთა სხვა ფუნქციონალური სისტიმები
---	---	---	---

სურათი 1.2 ინოვაციური მენეჯმენტის ადგილი მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის საერთო სისტემაში და მისი ურთიერთკავშირი სხვა ძირითად ფუნქციონალურ სისტემებთან

უცხოური გამოცდილების ანალიზი გაკეთებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველაზე მდგრადი სამეურნეო სისტემის სტრატეგია და ტაქტიკა განპირობებულია მისწრაფებებით რომ გადავიდნენ ინოვაციური ტიპის განვითარებაზე. აქ ვლინდება მათ მიერ განუწყვეტილვ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინოვაციების კომპლექსურად გამოყენება, როგორც საწარმოთა მიმდინარე და პერსპექტიული იდეების ფუნქციონირების ერთობლიობა.

დღესდღეობით ახალი ეკონომიკის პირობებში ინოვაციური პროექტების 30% მოდის წარმოებაზე.

ინოვაციური და წარმოებითი მენეჯმენტის ინტეგრაციის პრობლემა - ეს არის ბაზრის პრობლემა: მოძიების და ფორმირების, მეცნიერების და წარმოების, წარმოების ინტეგრაციის, ინვესტირების და ინვესტიციების და აგრეთვე მეცნიერების და ტექნიკის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიზნით.

ინოვაციური პროექტი, რომელიც ეფექტურია ერთი მცირე ბიზნესისთვის, შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს მეორესთვის ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით: ტერიტორიული მდგომარეობა, პერსონალის კომპეტენტურობის დონე და სხვა გარემოებათა გამო. აღნიშნული ფაქტორებიდან ბევრის შეფასება ხარისხობრივად რთულია, რამოდენიმე შემთხვევაში შეუძლებელიც, მაგრამ ზუსტად მათ აქვთ გადამწყვეტი გავლენა ინოვაციური საქმიანობის ეფექტურ დასასრულზე. ამიტომ ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ გამოვიყენოთ რესურსული პოტენციური მიდგომა მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობის ასამაღლებლად, რადგან ის იძლევა შესაძლებლობას დავაფიქსიროთ რომელიც სისტიმა, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ საწარმოში ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებს. ეს მიდგომა ასევე საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ და გავანალიზოთ მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობები მაჩვენებლები, რომლებიც განისაზღვრებიან რესურსულ-პოტენციალური მიდგომის საფუძველზე, განსხვავდებიან თავიანთი თავისებურებებით და დარგობრივი კუთვნილებით. ამიტომ მაჩვენებელთა უნივერსალური სისტემის შედგენა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება გამოვყოთ რიგი ფაქტორებისა, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა მცირე და საშუალო ბიზნესის უმრავლესობასთან. ისინი ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას და შემდეგ აერთიანებენ მათ ჯგუფებში რომელთა შორისაა: კორპორატიული, მარკეტინგული, სამეცნიერო-ტექნიკური, წარმოებითი, ფინანსური, ეკოლოგიური საკადრო ასპექტები მოცემულ საწარმოთა ინოვაციური შესაძლებლობების კვლევისათვის. თითოეული საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ის მაჩვენებლები, რომლებსაც თვლის თავისთვის მნიშვნელოვნად და არსებითად ინოვაციური პროექტების სრულყოფის, შესაძლებლობების და ტენდენციების თვალსაზრისით.

ინოვაციური აქტივობების ამაღლების ეფექტურობა აირეკლავს მათი ეკონომიკური მოქმედებების შედეგიანობას, რომლებიც მიმართულია ინოვაციური პროცესის სრულყოფაზე და მრეწველობის ინოვაციური პოტენციალის ზრდაზე. მისი ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გამოარკვიოს რა ფასად მიიღო მოცემული შედეგი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მართვის ეფექტურობა - ეს არის შედარებითი მაჩვენებელი, რომელიც გაზომავს მიღებულ ეფექტს და დანახარჯს (ხარჯვითი მიდგომა) ან რესურსებით(რესურსული მიდგომა), რომლებიც გამოიყენება ამ ეფექტის მისაღწევად ინოვაციური პროცესების სრულყოფისათვის მცირე და საშუალო ბიზნესში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მცირე და საშუალო ბიზნესს ინოვაციური ეფექტურობის ამაღლებისათვის არ არსებობს. ეფექტურობის შეფასებისათვის მიზანშეწონილია მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, განზოგადებული და კერძო მაჩვენებლების ჩათვლით, რომელიც ახასიათებს ინოვაციური საქმიანობის შედეგებს და ინოვაციური პროცესების სრულყოფას მცირე და საშუალო ბიზნესში. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ არამარტო რა ფასით მივიღეთ მოცემული შედეგი, არამედ გავაზოგავინეთ ის გზები რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. ცხადია, რომ თითოეული მცირე ან საშუალო ბიზნესი ამ პრობლემას ხსნის. ამასთან ერთად არსებობენ ეფექტურობის ამაღლების საერთო რეზერვები, რომლებსაც განპირობებულია მცირე ბიზნესის საქმიანობის ინოვაციური და ინვესტიციების სპეციფიკით. ერთ-ერთი რეზერვია პროდუქციის ხარისხის და მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესება. ხარისხის ქვეშ იგულისხმება ობიექტურად არსებული მახასიათებლების, საქონლის და მომსახურების ისეთი განზოგადება, რომელიც დააკმაყოფილებს მყიდველის მოთხოვნებს. რაც შეეხება მცირე და საშუალო საწარმოთა პროდუქციას ამ ერთობაში შედის ისეთი თვისებები, როგორიცაა ტექნოლოგიურობა, იმედიანობა, ეკონომიურობა, ესთეტიკური თვისებები, უსაფრთხოება და ეკოლოგიურობა.

ძირითადი სისტემის მაგვარი ინოვაციური პროექტების მართვის ელემენტია საორგანიზაციო-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მიზანმიმართული პროცესი ინოვაციური პროცესის კერძო ამოცანათა გადანეშვისათვის მდგრადი მეთოდების, ნორმების წესების გაფორმების და რეგულირების საფუძველზე.

მმართველობითი ზემოქმედების რეალიზაცია ხორცილდება საორგანიზაციო-ეკონომიკური მექანიზმის მეშვეობით, რომლის საფუძველია მიმდინარე ფუნქციონირების და განვითარების ელემენტები. პირველნი დაკავშირებული არიან "შიგა ეფექტურობის" უზრუნველყოფაზე ანუ მისი ელემენტების ისეთ ურთიერთმოქმედებაზე, რომლებიც უფლებას აძლევს რეალიზება მისცეს საორგანიზაციო მიზნებს მოცემულ დონეზე. მეორენი მიმართულნი არიან „ გარედან ეფექტურობის“ მიღწევაზე. ბუნებრივია, რომ მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია ფუნქციონირებელ მიმდინარეობაზე, ნაკლებად სტაბილურია, რადგან ადაპტაცია ყოველთვის გვთავაზობს რეაქციას ზემოქმედების ახალ უნიკალურ გარემოცვაზე.

თვისობრივად ინოვაციური მენეჯმენტის საწარმოთა სტრატეგიული პარამეტრებიდან გამოდის შემდეგი ცვლადი: მოთხოვნილებები, რომლებიც დააკმაყოფილებს გამოსაშვები პროდუქციის ხასიათს და ტიპს; ტექნოლოგიები - მათი დახმარებით ხდება ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება: რესურსები, რომლებიც მოძიებულნი არიან ინოვაციური საქმიანო-

ბის უზრუნველსაყოფად. ჩამოთვლილ ფაქტორებს აქვთა უშუალო შეხება პროცესის აღდგენის სვლისაკენ და განსაზღვრავს ინოვაციური პროექტების სტრატეგიულ რეაქციას მართვის სისტემაზე გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ ცვლილებებზე. მათი დროული და ოპტიმალური კომბინირების ხარჯზე მცირე და საშუალო საწარმოები ცდილობენ მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას. სხვადასხვა პარამეტრების გავლენის დონე კონკურენტულ უპირატესობის მიღწევებზე არაერთმნიშვნელოვანია (და შეიცვალა სამრეწველო განვითარების პროცესში მთლიანად) სარესურსო ფაქტორი უფრო ტრადიციულია რადგან დაკავშირებულია კაპიტალის ბრუნვის სვლასთან. ძირითადი კონკურენტული უპირატესობა, რომლსაც ის უზრუნველყოფს - წარმოების მასშტაბის ეფექტია.

თავდაპირველად მისი გავლენა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და დღემდე ჭარბობს სახალხო მეურნეობის რამოდენიმე ძველ დარგში. ტექნოლოგიური ფაქტორი განპირობებულია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით. იგი მიმართულია მომხმარებლისთვის ოპტიმალური ტექნიკურ-ეკონომიურ დახასიათების მიღწევით გამოშვებული პროდუქციასა და მომსახურებაზე. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპების ზრდასთან ერთად ის თანდათან გახდა განმსაზღვრელი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. მისი მნიშვნელობის გაზრდა გამომწვეული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ავტომატიზაციის საშუალებათა გაზრდით, რომლებიც უფლებას აძლევს საწარმოებს თავისდროზე რეაგირება მოახდინოს მოთხოვნათა დინამიკის გაძლიერებაზე.

არაფერს ვამბობთ უკვე ახალი პროდუქტების და ტექნოლოგიების ჩანერგვაზე, როდესაც ჩნდება აუცილებლობა მოწყობილობის დაყენებაში, რომელნიც ხარისხობრივად განსხვავდებიან ადრე ათვისებული სხვა მასალებისგან, პერსონალის, სწავლის, სხვა საორგანიზაციო გადანეშვითა და ძიებისგან. ამიტომ უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები ინოვაციური პროექტების სისტემის მართვის ფორმირებისთვის არიან: კომპლექსურობა და სისტემურობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პირველ რიგში პროცესთა განვითარების არანინააღმდეგობრივი პროცესების განვითარება, მეორე - ყველა მონაწილეთა მოქმედებათა კოორდინირებულობა, მესამე მიღებული შედეგების ადეკვატურობა საწარმოთა ახალი პირობების ფუნქციონირებაზე.

დასახელებული მოთხოვნების რეალიზაცია იქნება სრული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ქვესისტემის გაუმჯობესება მიმდინარეობს არა ერთმანეთისგან იზოლირებულად, არამედ პროექტირების საერთო პროცესის ჩარჩოებში და ორგანიზებული ღონისძიებათა ჩანერგვით და მთლიანი საერთო-ეკონომიკური ეფექტის მიღწევით.

ამ შემთხვევაში ძირითადი სტრატეგიული რესურსი ხდება პერსონალი. შიგა გარემოს პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას შეუძლია გადაფაროს გარ-

დაუვალი შეზღუდვები ფინანსურ და მატერიალურ რესურსებში. როგორც წესი პატარა წარმოების საწარმოს პერსონალი რომელმაც მოიპოვა გარკვეული საბაზრო პოზიციები საშუალო სისწრაფის პერსპექტივაში, ხასიათდება კომპეტენციების მდგრადი შეჩვევით. ამავდროულად ბიზნესის ორგანიზაციის ტექნოლოგიები ასეთ წარმოებაში არასაკმარისადაა დამუშავებული, რაც შეიძლება ვნახოთ არაკორდინირებული სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ძირითადი პროცესების არასრული რეგლამენტაციით. ამ შემთხვევაში უფრო მეტად საშიშია ძირითადად სუსტად განვითარებული ან მოტივაციის სისტემის არ მქონე პერსონალი. თუ მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობის უფრო ხშირად რეალიზება ხდება დამაკმაყოფილებლად, მაშინ არამატერიალური მოტივაციის პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად არ იყოს გამოყენებული.

ამრიგად, ინოვაციური მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის დონეზე აუცილებელია ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქციის ხარჯზე უზრუნველყოფს ბაზარზე წარმატებით წინსვლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аньшина В.М., Дагаев А.А. Инновационный менеджмент : Концепции многоуровневых стратегий и механизмы инновационного развития : Учеб.пособие, 2-е изд.,перераб. и доп. М.: Дело, 2006.- 272с.
2. Баранчев В.П. Управление знаниями в инновационной сфере. М.:Благовест-В, 2007.-152 с.
- 3.Веснин В.Р. Менеджмент в схемах и определениях. М.: Проспект, ТкВелби, 2008.-150 с.
- 4.Гончаренко Л.П. Менеджмент инвестиций и инноваций. М.: КноРус, 2009.268с.
5. www.geostat.ge

მედიკალინური რესურსების მართვის
სამართლებრივი საკითხები

პარმენ ლემონჯავა, სტუ-ს პროფესორი
ლაშა მურჯიკნელი, სტუ-ს დოქტორანტი

SUMMARY

* * * * *

In the scientific article “The Myth of the non-exhaustion of natural resources,” there is noted the fact that at the present stage many events being held for the purpose of science-based interconnection mechanism elaboration with the nature. State research institutes are engaged in the study of these serious problems.

The author states that the strong economical development impacts the science and is directly associated with its transformation to a corporate force. It is noted that the expansion and deepening of specialization in the production sectors of the economy has led to the internal links, increasing the number of industrial facilities in the fields, as well as the first farm units. All this has increased the demand on natural resources for economic development, which is gaining a place in the nature and place of the latter economization, in the economy – for ecologization.

There is given also the nature of economic development and reproduction problems which have to be considered on the basis of mutual needs of interacting. Accordingly the modern stage of development occurs on the local, regional and global levels of economic and ecological processes of interconnection, which also contributed to the study of science - Econology. Econology is the science that studies the interaction and equal economic and ecological systems at different levels of development of the laws that allow the entire system to the natural character of these interact and their development. Econology is looking at economics in another way, in particular by combining it with ecology.

The paper will discuss the need for effective use of the scientific econological research process management. The results of the survey of econological researches are used to compile the country’s economic development projects.

In modern agricultural practices there have been outlined four areas of econological research.

The present research work deals with the attempt of the course “The use of nature in the economy” in the subject area of science due to the necessity of the correlation with other scientific disciplines and the justification of its interdisciplinary nature.

On the basis of climate change and the non-exhaustion of world’s natural resources’ analyzes it has been set forth the main mythological theories.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი მიღწევები ბუნებაზე ძლიერ გავლენას ახდენენ. ყოველივე ამან განაპირობა არსებული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა. ასეთ პირობებში ბუნებას არ შესწევს უნარი თავი გაართვას იმ ცვლილებებს, რომლებიც მიმდინარეობს მასში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უარყოფითი გავლენის შედეგად.

ბუნებასთან მეცნიერულად დასაბუთებული კავშირითიერობის მექანიზმის შემუშავების მიზნით თანამედროვე ეტაპზე ბევრი რამ კეთდება. მრავალი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაკავებულია ამ სერიოზული პრობლემის გამოკვლევით. ამჟამად, ყველასათვის ცნობილია, რომ ეკონომიკისა და ბუნების კავშირითიერობის პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტის ღონისძიებათა სისტემა წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური პროექტის ორგანულ შემადგენელ ნაწილს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, პრაქტიკულად ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეკონომიკის განვითარება და მისი ბუნებაზე ძლიერი ზემოქმედება დაკავშირებულია მეცნიერების უშუალო სანარმოო ძალად გადაქცევასთან. ეკონომიკის განვითარება და ზრდა თავის მხრივ გავლენას ახდენს ბუნებაზე.

წარმოების სპეციალიზაციის გაფართოებამ და გაღრმავებამ განაპირობა ეკონომიკის დარგების შიგნით კავშირები, სამეურნეო ობიექტების რაოდენობა, როგორც ეკონომიკის დარგთა, ასევე პირველადი სამეურნეო ერთეულების სახით. ყოველივე ამან გააძლიერა ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე, რომელთა მოპოვების ადგილს წარმოადგენს ბუნება.

ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანთა ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან. ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება მოითხოვს: სამომხმარებლო საქონელთა წარმოების გადიდებას, მომსახურების სფეროს გაფართოებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობით მოხმარებას. ჭეშმარიტებაა, რომ ეკონომიკის განვითარების ფაქტორები დაკავშირებულია ბუნების სხვადასხვა ელემენტებთან. ამიტომ დროთა განმავლობაში ბუნება განიცდის ეკონომიზაციას, ხოლო ეკონომიკა კი, თავის მხრივ, ეკოლოგიზაციას.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარება წარმოებს ახალ ეკოლოგიურ სიტუაციაში. ამიტომ სამეურნეო განვითარებისა და ბუნების კვლავწარმოების პრობლემები განხილულ უნდა იქნეს ურთიერთმთხოვნათა პრინციპის დაცვის საფუძველზე. საკითხი აქ ეხება ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემების ურთიერთკავშირს. ასეთ შემთხვევაში ცალკე უნდა გამოიყოს ლოკალური ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემა, სადაც განხილულ უნდა იქნეს კლასტერში შემავალი საწარმოების ეკონომიკური საქმიანობა ახლომდებარე ბუნებასთან ურთიერთკავშირში. ასევე უნდა გამოიყოს რეგიონული ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემა, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური ობიექტების დიდი რაოდენობით და გულისხმობს საწარმოთა ფართო ჯგუფისა და ბუნების ურთიერთკავშირს. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო რთული ტიპის კავშირს წარმოადგენს გლობალური ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემა, სადაც, ერთი მხრივ, განიხილება პლანეტარული მასშტაბით მთლიანად ეკონომიკა, ხოლო მეორე მხრივ, მთელი ბუნება.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადგილი აქვს ზემოაღნიშნულ სამივე დონეზე ეკონომიკური და ეკოლოგიური პროცესების ურთიერთშეღწევას. ამიტომ ამ კავშირურთიერთობიდან შეუძლებელია ერთ-ერთი სისტემის დროებით ამოღება, რადგან ეს განაპირობებს ეკონომიკის განვითარებასა და ბუნებას შორის კავშირურთიერთობის ცვლილებას. სწორედ ასეთ შემთხვევაში ძნელდება მათ შორის ურთიერთქმედების სრულყოფილი კვლევა, ანალიზისა და სინთეზის ტრადიციული მეთოდებით.

თანამედროვე პრობლემების რთული კომპლექსური ხასიათი მოითხოვს საოზგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ინტეგრაციის გაღრმავებას. ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა მოთხოვნილება კვლევისა და მენეჯმენტის თვისებრივად ახალი მეთოდების შესახებ, რომელიც დაეფუძნება რთული სისტემის ფუნქციონირების კანონების მოთხოვნილების ცოდნას. ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრირების მიჯნაზე წარმოიშვა სწორედ მეცნიერება – ეკონოლოგია, რომელსაც გააჩნია თავისი კვლევის საგანი, მეთოდი, კატეგორიები და პრინციპები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეცნიერების მიზანი და ამოცანები ჯერ კიდევ საბოლოოდ სრულყოფილად არ არის განსაზღვრული, ხოლო რაც შეეხება მეთოდებსა და პრინციპებს, მათი გამოცდა წარმოებს თეორიულად. ეკონოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის თანასწორუფლებიანი ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემების სხვადასხვა დონეზე ურთიერთმოქმედებისა და განვითარების იმ კანონებს, რომლებიც ერთიან სისტემაში კანონზომიერ ხასიათს აძლევენ ამ ურთიერთმოქმედებას და მის განვითარებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანი თავისი საწარმოო საქმიანობით ასაშუალებს, არეგულირებს და აკონტროლებს ნივთიერებათა ცვლას მასსა და ბუნებას შორის. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის

პირობებში ადამიანის საწარმოო საქმიანობის ხასიათი შეიცვალა, ამაღლდა მისი ტექნიკური დონე. ყოველივე ამან გააძლიერა ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების უნარი. ამ უკანასკნელმა ადამიანს საშუალება მისცა ბუნებრივ პროცესებს მისცეს მისთვის საჭირო მიმართულება.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების ურთიერთმოქმედების ადგილი არის წარმოების სფერო. ასეთი საწარმოო საქმიანობის ადგილი შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური მასშტაბის. რეგიონული მასშტაბის ეკონომიკა არის ქვეყნის მთელი ეკონომიკის ნაწილი და მოითხოვს წარმოებითი ურთიერთობის, საწარმოო ძალების განვითარების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების რეგიონულად კვლევას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ურთიერთშეღწეულ ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების შესწავლას. ასეთი ურთიერთშეღწეული პროცესები ქმნიან ეკონოლოგიურ სისტემებს. ამ უკანასკნელის მენეჯმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ეკონოლოგიური სისტემების სწორი მენეჯმენტი მოითხოვს მეცნიერულად განისაზღვროს სამართავი ობიექტი, საშუალებანი და მიზანი. ეკონოლოგიურ სისტემათა მენეჯმენტის საშუალებებია: ეკონომიკური ბერკეტები: ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, ბუნების გაჭუჭყიანებისათვის დაჯარიმება, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის გადასახადი და სხვა. ეკონოლოგიურ მენეჯმენტში ეკონომიკური ბერკეტების, როგორც საშუალებების გამოყენება ითვალისწინებს ბუნების დაცვას, მისი რესურსების კვლავწარმოებას.

ეკონოლოგიური სისტემის მენეჯმენტის საერთო მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ამ უკანასკნელის განხორციელების დროს ეკონოლოგიური სისტემების მენეჯმენტი მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ წარმოების დანახარჯთა შემცირებას, რესურსების რაციონალურ განაწილებას და გამოყენებას, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

ეკონოლოგიური კვლევისათვის საჭიროა ბაზა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა ერთიანობას, ე.ი. საერთო ეკონოლოგიურ მოთხოვნებს. ასეთი საერთო ეკონოლოგიური მოთხოვნები ჩამოაყალიბა ს. სტრუმლინი.¹ ამ მოთხოვნების ჩამოყალიბებისათვის ძირითადია ბუნების, მისი რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებელი მონაცემები, ადამიანთა სხვადასხვა სახის საქმიანობის ბუნებაზე ზემოქმედების ანალიზის, ბუნების დაცვის, მისი კვლავწარმოებისათვის გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის ანალიზის შედეგები და რეგიონული გლობალური მასშტაბით გარემოს ხარისხის სტატისტიკური მონაცემები.

თანამედროვე ეტაპზე ეკონოლოგიაში ფართოდ გამოიყენება მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების მთელი არსენალი, რომლებიც აღიარებუ-

1 С.Г. Струмилини, К оценке даровых благ природы. Т.И. М., 1964.

ლია ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში და საერთოდ მენეჯმენტის თეორიაში. ეკონოლოგიაში ფართოდ საგებლობენ მათემატიკური მოდელებების ანალიზური და ემპირიულობის ხერხებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან დადგინდეს მიმდინარე პროცესების განმაპირობებელი მიზეზები და მივიღოთ აღწერითი მონაცემები პროგნოზირებისათვის. ეკონოლოგიაში მიღებული კვლევის შედეგები გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროექტის შედგენის დროს.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ეკონოლოგიური პროცესების სისტემური მეთოდით გაანალიზება. აქ საქმე გვაქვს ეკონომიკის და ბუნების ურთიერთშელეწიულ სისტემების ერთობლივი პროცესის ანალიზთან. კვლევის ასეთი მიმართულების დროს ჭეშმარიტების დასადგენად წინასწარ წარმოებს სისტემათა კლასიფიკაცია.

ეკონოლოგიური კვლევის მეორე მიმართულებაა, მისი სისტემების პროექტის შედგენის, რეგულირებისა და მენეჯმენტის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება. ამ დროს წარმოებს მთელი სისტემის მასშტაბით ეკოლოგიური დატვირთვების დასაშვები ნორმების შემუშავება და ეფექტიანობის განსაზღვრა. ანალოგიური კვლევის მესამე მიმართულებაა, ბუნების, მისი რესურსების თვისებებისა და ხარისხის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური შეფასება.

ეკონოლოგიური კვლევის მეოთხე მიმართულებაა რთული ეკონოლოგიური სისტემების განვითარების, პროექტის შედგენისა და პროგნოზირების პროცესის მათემატიკური აპარატების გამოყენებით კვლევა. ასეთი მათემატიკური აპარატების საშუალებით რთულ ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემების პროგნოზული გაანგარიშების მონაცემები უნდა დაედოს საფუძვლად მსხვილი სანარმოო კლასტერების განვითარებას, რეგიონული გლობალური მასშტაბით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ბუნებასთან კავშირურთიერთობის პრობლემის სწორად გადაწყვეტას.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების სასწავლო კურსს, ინტერდისციპლინარული ხასიათი რომ ჰქონდეს, მის კავშირურთიერთობამ სხვა მეცნიერების სასწავლო კურსთან უნდა განაპირობოს მათი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე პოზიტიური ან ნეგატიური ზეგავლენა და ან პირუკუ, განიცადოს თავის მხრივ, დიალექტიკური კავშირურთიერთობა, რითაც ყალიბდება ამ მეცნიერების სასწავლო კურსის ინტერდისციპლინარული ხასიათი.

სწორედ სხვა მეცნიერებათა სასწავლო კურსთან, ზემოთაღნიშნული მიმართულების დიალექტიკური კავშირურთიერთობის მქონე მეცნიერების სასწავლო კურსს წარმოადგენს ბუნების გამოყენების ეკონომიკა.

ბუნების გამოყენების ეკონომიკის მეცნიერების სასწავლო კურსს დიალექტიკური კავშირურთიერთობა აქვს ისეთი მეცნიერებების სასწავლო კურსთან, როგორც არის: სამომხმარებლო სო-

ციალური ეკონომიკის, ეკონომიკური პრინციპების, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, მსოფლიო ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, მრეწველობის ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკის, ეკონომიკური სტატისტიკის, მშენებლობისა და ტექნიკურ მეცნიერებათა სხვა დარგების ეკონომიკის სასწავლო კურსებთან.

თანამედროვე პირობებში კლიმატის ცვლილებასა და მსოფლიო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების მარაგის შესახებ მსჯელობაა და გამოთქმულია მითიური მოსაზრებები. ბუნებრივი რესურსების მარაგის ამონურვის თაობაზე. ამ მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე ჩემს მიერ ჩამოყალიბებულია შემდეგი ძირითადი თეორიები, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ბუნებრივი რესურსების ამოუწურავი წყაროების არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ თეორია;

- ბუნებრივი რესურსების მხოლოდ მომხმარებლური გამოყენების თეორია;

- ბუნებრივი რესურსების გამოყენების ძველ, ტრადიციულ ადათ-წესებზე დამყარებული და თვითრეგულირების უნარის თეორია;

- ეკონომიკის „ნულოვანი ზრდის“ კონცეფციაზე დამყარებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების თეორია;

- ბუნებრივი რესურსების გამოყენების განათლებაზე დამყარებული თეორია;

- ბუნებრივი რესურსების ამოუწურავი წყაროების არსებობისა და გამოყენების საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი თეორია ეყრდნობა კონცეფციას, რომლის მიხედვით ბუნებრივი რესურსების ამოღება წარმოებს, იმ საკუჭნაოდან, რომლის მარაგი ამოუწურავია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, რადგან სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი რესურსები მსოფლიო მასშტაბით, თითქმის ყველა ქვეყანაში შეზღუდულია და ეს შეზღუდულობა ეკონომიკური განვითარების მაღალიტირებული ფაქტორი გახდა;

- ბუნებრივი რესურსების მხოლოდ მომხმარებლური გამოყენების თეორია ითვალისწინებს, რესურსების ამოუწურავი წყაროების შესახებ მოსაზრებას და მითითებებს, რომ რადგან რესურსების ამოღება წარმოებს ამოუწურავი საკუჭნაოდან, ამიტომ არაა აუცილებელი მათი წარმოება და კვლავწარმოება და შეიძლება უსასრულოდ მხოლოდ მოხმარების გაგრძელება. ეს შეხედულება არა სწორია, რადგან ხილული ფაქტია, რომ ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის მარაგი მსოფლიო მასშტაბით ამონურვის ზღვარს უახლოვდება.

- ბუნებრივი რესურსების ძველ, ტრადიციულ ადათ-წესებზე დამყარებული თვითრეგულირების უნარის თეორიის მომხრეები ასაბუთებენ, რომ არ არის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების გამოყენება ახალ პროგრესულ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, რადგან მათ გააჩნიათ თვითრეგულირების, თვითგანმენდის უნარი და საზოგადოების გარეშე უხილავად

მიმდინარეობს ეს პროცესი და ადამიანის ჩარევა არ არის აუცილებელი. ეს მოსაზრებაც არ არის სწორი, რადგან ადამიანის ჩარევა ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების პროცესში აუცილებელია, იმიტომ, რომ დღევანდელი ახალი, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში ანთროპოგენური ზემოქმედების ძალა იმდენად ძლიერია, რომ ბუნებას მარტო თავისი თვითაღდგენის უნარით, არ შეუძლია გაუმჯობესებული კვლავწარმოების პროცესის განხორციელება და არც პირვანდელი სახის შენარჩუნება;

– ეკონომიკის „ნულოვანი ზრდის“ კონცეფციაზე დამყარებული, ბუნებრივი რესურსების გამოყენების თეორიის იდეოლოგიები, ასაბუთებენ, რომ რადგან ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს „ნულოვანი ზრდა“ (ერთი და იმავე პროცენტით განვითარება), ამიტომ არაა აუცილებელი ბუნებრივი რესურსების განსხვავებული რაოდენობით გამოყენება, რაც თავის მხრივ არ წარმოშობს ბუნების ხარისხზე, მის დაცვაზე, მათ რაციონალურ გამოყენებაზე ყურადღების გამახვილებას.

– განათლების შესაძლებლობაზე დამყარებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების თეორია, ემყარება ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში განათლების ეფექტიან შესაძლებლობას და მოითხოვს ეკოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტებით ეკონომიკის ცალკეული დარგების, მათი შესაბამისი განყოფილებების უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა ამ თეორიის მოთხოვნა ყოველმხრივ გამართლებულია და მხარდაჭერას მოითხოვს, რადგან სასარგებლო სამეურნეო პრაქტიკისთვის.

ამ თეორიის დადებით მნიშვნელობაზე ერთხელ კიდევ მინდა ფართოდ ყურადღება გავამახვილო. ბუნების გამოყენების დარგში განათლების დიდ მნიშვნელობაზე მასშტაბურად მიუთითებს ის, რომ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მთლიანობაში შეადგენენ მსოფლიო პოლიტიკას, წონადი ადგილი უჭირავს ეკოლოგიური სპეციალობით კადრების მომზადებას. ამ მიზნით მრავალ სასწავლებელში შემოღებულია სპეციალური დისციპლინები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების დაცვის პრობლემასთან. მაგალითად, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე სავალდებულო წესით იკითხება ბუნების დაცვის კურსი, ხოლო ზოგიერთ უნივერსიტეტში კი ბუნების დაცვის სამართლებრივი საფუძვლების სწავლების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იურიდიულ ფაკულტეტზე.

ეკოლოგიური პრობლემების საფუძვლების შესწავლის დარგში გარკვეულ ცოდნას იძლევა საშუალო სკოლები, სადაც კარგადაა დაყენებული ბუნებათმცოდნეობის საფუძვლების სწავლება.

ბუნების დაცვის პრობლემების ძიებაში მონაწილეობითადაინტერესებისათვის, ამ დარგში აუცილებელი სიახლის ცოდნის შექმნის მიზნით, ბუნების დაცვის საკითხები უთუოდ უნდა იქნეს შეტანილი განათლების სისტემის ყველა რგოლში, რათა სწორად

იქნეს გაგებული ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები. ბუნების დაცვის დარგში განათლების საკითხების სწორად გადანყვეტამ, არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების გონივრულ გააზრებაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბუნების დაცვის სერიოზული პრობლემების გლობალურ დონეზე გადანყვეტის მნიშვნელოვან ნაწილს.

ეკოლოგიის დარგში განათლების საკითხების გადანყვეტა მოითხოვს შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, რომელიც ასახული იქნება ცოცხალი სამყაროს არსებობისათვის ბუნების საჭიროების დამასაბუთებელი საკითხები.

იმისათვის, რომ ეკონომიკის განვითარების პროექტის შედგენისა და მისი განხორციელების დროს ყურადღება მიექცეს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ეფექტიანობას, საჭიროა ეკოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. ახლო პერსპექტივაში კი მიზანშეწონილია ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნას „ბუნების გამოყენების ეკონომიკის“ სპეციალობა. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელს გახდის ეკონომიკის ყველა დარგს, მათ განყოფილებებს ჰყავდეთ ამ დარგში სპეციალისტები და ჰქონდეთ სპეციალური სამსახური.

ბუნების დაცვა და მისი კვლავწარმოება მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე გარკვეული რაოდენობის შრომის დანახარჯებს საჭიროებენ. თუ ამ უკანასკნელის ასეთი მიზნით ხარჯვის აუცილებლობა არაა, მაშინ ის შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოხმარდეს. როგორც ჩანს, ბუნების დაცვის, მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო შრომის დანახარჯებსა და ეკონომიკის განვითარებას შორის პროპორციული კავშირურთიერთობა არსებობს. ეს დიალექტიკური ეკონომიკური კავშირურთიერთობა ზოგიერთ მეცნიერთა მიერ გაგებულია, როგორც ხელშემშლელი პირობა ეკონომიკის განვითარებისათვის.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ნაწილი მეცნიერებისა არ ხედავენ და არც ცნობენ ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნების კავშირურთიერთობაში რაიმე სერიოზულ კონფლიქტს და ურთიერთსაზიანო მოვლენას ამ დიალექტიკურ პროცესში. ორივე ეს შეხედულება ცალმხრივია, პროცესს მარტივად წარმოადგენს და მეცნიერულად არასაკმარისად არის დასაბუთებული. ზარალი, რომელიც განიცადა ბუნებაში, მართლაც შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანს და ავსნათ ცხოვრების დონის ამაღლებით.

მართალია საზოგადოების ყველა წევრის ეკოლოგიური განათლება და აღზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოლოგიური პრობლემის გადანყვეტაში, მაგრამ მაინც ბუნების დაცვის, მისი რესურსების კვლავწარმოების საქმიანობაში მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ნარჩენტევადი საწარმოო ტექნოლო-

გიაზე გადასვლა. საჭიროა პრაქტიკულად, ისეთი ახალი ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბება, რომელიც დაეყრდნობა ეკოლოგიური საქმიანობის დიალექტიკურ დასაბუთებას, რაც შესაძლებლობას შექმნის დღენიადაგ სრულყოფილი იქნეს ბუნების დაცვისა და გამოყენების პროცესი.

მიზანშეწონილია უფრო გაძლიერდეს და ქმედითუნარიანი გახდეს იმ ორგანოების მუშაობა, რომლებიც ხელძღვანელობენ ბუნების, მისი რესურსების გამოყენებისა და კვლავნარმოების საკითხებს და ვალდებულნი არიან კონტროლო განახორციელონ ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის გადაჭრაზე.

ამასთან ერთად აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქვეყანაში – საქართველოში ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საქართველოში ეკოლოგიური განათლების ეფექტიანობის მიღწევისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს ყველა საშუალება, რომელიც გააჩნია საზოგადოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. ლემონჯავა. ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბილისი, 2014.
2. პ. ლემონჯავა. საზოგადოების ცხოვრების დონე და მისი გავშირი გარემოს დაცვასა და კვლავნარმოებასთან. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №6, 2013.
3. პ. ლემონჯავა, მ. სარჩიმელია. ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრაციულ სისტემაში ურთიერთშეღწეული პროცესების შესწავლის აუცილებლობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №4-5, 2013.
4. პ. ლემონჯავა, ნ. ვანიშვილი. საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №1, 2014.
5. პ. ლემონჯავა, ვ. დათაშვილი. ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №1, 2014.
6. პ. ლემონჯავა. ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთობის განვითარების ასპექტები, თბ., 2006.
7. К. Папенков. Экономика природопользования. М., 2008.
8. С. Бабылев, Н. Зубаревич, С. Соловьева, Ю. Власов, под ред. С. Бабылева. М., 2011.
9. В. Протасов. Экономика природопользования. М., 2012.
10. Методы анализа и управления эколого-экономическими рисками. М., 2003.

EVALUATION OF EQUITY FUNDS' EFFICIENCY USING MARKET TIMING MODELS

*Magdalena Osińska, University of Economy, Bydgoszcz, Poland, Professor,
Joanna Gajewska, Nicolaus Copernicus University, Torun, Poland, MA*
Investment funds in Poland

Summary

Investment funds are the popular way of investment. Being professionally managed collective investment scheme that pools money from many investors to purchase securities the fund enables the individuals to invest even relatively small amount of money. The question however arises whether a given investment fund is efficiently managed in comparison to others. The purpose of the research is to answer the question whether the equity funds in Poland in the years 2008-2013 were well managed. In this research market timing models were used to check whether managers have selectivity and market timing ability. Selectivity is responsible for proper choice of the securities for portfolio and market timing allows to predict the whole market in future and to use the results of prediction to proper risk management of the funds. The sample was consisted of nine equity funds operating in Poland in 2008, Jan – 2013, Dec.

Keywords: equity fund, market timing, T-M model, H-M model, three factor model, GARCH

Introduction

The investment funds are the popular alternative for investors who do not want to waste time for learning the rules that govern capital markets, particularly stock exchange markets. Being professionally managed collective investment scheme that pools money from many investors to purchase securities the fund enable the individuals to invest even relatively small amount of money. The question however arises whether a given investment fund is efficiently managed in comparison to others. The investment strategy and changes in the portfolio are then most important issues. The investment strategy realized by the fund should be considered within longer horizon of time but it must be flexible enough to adjust to the market conditions. Thus managers have to change the portfolio by buying and/or selling assets in the right moment to avoid losses or to increase the return. The problem of market timing and selectivity of the investment funds' managers was the subject of analysis in numerous literature (Lee and Rahman, 1990; Hendricks et al., 1993; Prather and Middleton 2006; Olbryś, 2008, 2010a,b,c; Zamojska, 2009a,b, 2012).

The purpose of the research is to answer the question whether the equity funds in Poland in the years 2008-2013 were well managed. The paper is organized as follows. In the first part of the paper the main types of investment funds and their advantages and disadvantages are considered. The measures and models of investment funds' efficiency are the subject of the second part, while in the third part empirical results will be shown and discussed. Conclusions sum up the results of the research.

Investment funds belong to basic institutions of financial market. In Poland they are present since early 90s of XX century. Their legal forms evaluated due to changes of legal acts within the period of 1991-2013 which constituted access to the market as well as more and more advanced constructions of the funds. The common characteristic of investment funds is that they collect money and securities that belong to individual and institutional investors and locate them – in return of remuneration – in financial market to obtain maximum rate of return (Perez, 2012). When more intense volatility is observed in financial markets the managers often change the investment strategy by introducing changes in the structure of the portfolio. It enables to secure the funds of investors and to achieve the investment goal. The investment goals may differ between the funds so it is important to define investor's preferences to maximize its gain. It should be mentioned that aggressive or conservative investment policy is directly related with the magnitude of accompanying risk. Risk is usually diversified by the fund by investments in different securities. Nevertheless it is common that investment funds has more advantages in the long term than in the short one. It is due to the risk of economic and political situation in the country that affects the results gained by the funds.

The investment funds are often classified from the point of view of legal and economic criteria. Taking into account construction the most popular are open-end and closed-end funds, both types can be also constructed as specialized funds. The mixed fund joins characteristics of open-end and closed-end funds. Taking into account type of investors the funds can be divided into special, private and public.

From the perspective of type of investments the funds are usually classified as equity fund, mixed (or hybrid) fund, bond fund and money market fund (Dawidowicz, 2011). The main characteristic of the mentioned funds is their attitude to the risk, where equity funds are considered to be most risky. Equity funds can also be divided according to the categories defining the geographical specialization. There are domestic market funds, European, American, Asia-Pacific and other funds, and global funds and emerging markets funds. Regardless of the classification the equity funds are also distinguished by index funds, small and medium-sized companies as well as sector funds. The second group, we can meet on the Polish market of investment funds are mixed funds, otherwise known as hybrid. They invest in shares and debt securities, where the shares are responsible for growth of investments, and in turn, other securities act for stabilizing and are the part of a

passive investment. Mixed funds have a lower risk, but also lower the expected rate of return than is the case for equity funds. Among the mixed funds stand out capital protection funds, whose main purpose is to protect against a decline in investment, balanced funds, whose share of stocks in the portfolio varies between 40% and 60%, and stable growth funds, having a maximum of 30% share of stocks in the portfolio. Another type of funds is bond funds, also called debt funds. These are funds that accumulated capital invests mainly in fixed income securities, mainly bonds. Treasury bonds and Treasury bills must be at least 90% of the portfolio of the fund by issuing bonds. This ensures that these funds have a much lower risk than mixed funds. The last group of investment funds listed according to the type of investments made are money market funds and money market funds. MMFs can be formed as an open investment fund and its assets may invest exclusively in money market instruments and deposits with a high degree of security and maturity no longer than one year. Money market funds among all these are of the highest liquidity of capital and because of the nature of the investments made and the lowest investment risk.

Methods of evaluation of investment fund effectiveness

Classical measures of investment funds' evaluation show the ability of funds' managers to prepare micro-forecasts using public as well as private information about the market. They can be divided into two groups, i.e. absolute and relative. Some of them are simple and widely used in practice, the other are more advanced and not so popular. Taking into account absolute measures Jensen's alfa and its modifications are usually considered (Perez, 2012a). The group of relative measures of evaluation investment funds is much more diversified, wider and, what is particularly important, developing. It includes: classical relative measures based on CAPM, such as Treynor ratio, Sharpe ratio, appraisal ratio, measures based on lower partial moments such as semi variance, Sortino ratio, U-P, Omega, Sharpe-Omega, Kappa and Farinelli-Tibiletti indicators, measures based on value at risk and mmeasure taking into account the maximum loss on equity, such as Calmar, Sterling and Burke indicators (Perez, 2012a; Zamojska, 2012). The more advance measures concentrate on macro-forecasting ability of funds' managers. Macro-forecasting ability is called market timing and concerns future situation in the market as a whole, represented by return on market portfolio. The first market-timing model was proposed by Treynor and Mazuy in 1966 (T-M). In the model classic linear CAPM model was replaced by quadratic function. The T-M model has the following form:

$$R_{pt} - R_{ft} = \alpha_p + \theta_p (R_{Mt} - R_{ft}) + \gamma_{pMT} (R_{Mt} - R_{ft})^2 + u_{pt}$$

where: 1, 2, ..., T.

If the fund manager correctly can forecast the market and increase systematic risk the periods of bull market and

decrease it in the period of bear market then return excess of the portfolio is a quadratic function of return excess of market portfolio. As a result the parameter γ_{pMT} takes positive values. Thus negative values will than correspond with negative impact of market timing technique on the results gained by the fund. Based on the model of Treynor and Mazuy we can also evaluate a manager's ability to predict the selectivity of assets. If parameter $\alpha_p > 0$ and additionally it is statistically significant then managers predict well and choose right assets.

Another market timing model was proposed by Henriksson and Merton (H-M) in 1981. They assumed that the only question to be answered by the managers is whether future excess return will be positive or negative. The H-M model takes the following form:

$$R_{pt} - R_{ft} = \alpha_p + \theta_p (R_{Mt} - R_{ft}) + \gamma_{pMT} I (R_{Mt} - R_{ft}) + u_{pt}$$

where I denotes situation in the market in future and takes one of two possible values:

$$I = \begin{cases} 1, & R_{Mt} > R_{ft} \\ 0, & R_{Mt} \leq R_{ft} \end{cases}$$

The interpretation of the parameters is similar to that

of Treynor and Mazuy model. Additionally if $\gamma_{pMT} = 0$ then the manager cannot predict short term market trends or does not use them.

In 1994 Grinblatt and Titman showed that the results of investment funds are very sensitive for the benchmark choice. Olbryś (2010c) extended Treynor and Mazuy as well as Henrikson and Merton model by introducing two additional variables i.e. SMB and HML that come from Fama and French model. The three-factor Treynor and Mazuy model (T-M-FF) takes the following form:

$$r_{p,t} = \alpha_p + \beta_p \cdot r_{M,t} + \delta_{1P} \cdot r_{SMB,t} + \delta_{2P} \cdot r_{HML,t} + \gamma_P \cdot (r_{M,t})^2 + u_{pt} \quad (2.2)$$

where: $r_{p,t}$ excess return of portfolio P, α_P measure of selectivity of assets, β_P market risk of portfolio P, $r_{M,t}$ excess return of market portfolio M, δ_{1P} sensitivity of return on portfolio P to changes of return of SMB portfolio, δ_{2P} sensitivity of return on portfolio P to changes of return of HML portfolio, $r_{-(HML,t)}$ excess return of HML i.e. market timing measure.

Three-factor modification of H-M-FF model is as follows:

$$r_{p,t} = \alpha_p + \beta_p \cdot r_{M,t} + \delta_{1P} \cdot r_{SMB,t} + \delta_{2P} \cdot r_{HML,t} + \gamma_P \cdot y_{M,t} + u_{pt}$$

$$y_{M,t} = \max\{0, R_{ft} - R_{Mt}\}$$

where:

In both models parameter interpretation is analogous.

Additionally, if then SMB has significant impact on changes of return of portfolio P. Parameter is similar although it measures the impact of HML factor on changes of return of portfolio P.

The above models can be estimated using both monthly and daily data. Using daily data can influence the results in that sense that the fund managers take their decisions concerning market timing more often than once a month.

Empirical analysis

It was already mentioned that investment funds in Poland have been developing for over last 20 years. Several times they were subject of professional investigation of theoretical and empirical nature (Jamróz, 2011; Olbryś 2010a,b,c; Zamojska 2009a,b, 2012).

In the present paper only equity funds are subject of the analysis. They were divided into two groups: universal ones and small and medium-size companies' equity funds. The data were taken from the internet portal www.bossa.pl. The following universal funds were subject of analysis: Allianz, Aviva, BPH, Investor, Legg Mason, Noble Fund and UniKorona. Among small and medium-size companies equity funds three were taken into account: KBC, PZU and Skarbiec. The chosen time period is very recent and covers daily observations from January 2008 to December 2013. The following practical assumptions for all models were taken: daily average rate of return of 52-week treasury bonds in Poland stands for risk-free return, for universal funds the WIG index plays the role of market portfolio while for small and medium-size companies' equity funds the market portfolio was represented by mWIG40.

In figures 1 and 2 the values of units of the funds are presented in comparison with the market portfolio indices.

Fig1. Values of the units of universal funds and WIG index in 2008, Jan – 2013, Dec.





Fig 2. Values of the units of small and medium-size companies equity funds and mWIG40 index in 2008, Jan – 2013, Dec.



In the models daily returns were analyzed. Summary statistics for daily returns are presented in table 1.

Table1. Summary statistics for daily returns of the funds

Fund name	Mean	Minimum	Maximum	Std. Dev.	Skewness	Kurtosis
Allianz	-0,000049	-0,1039	0,0774	0,0142	-0,8133	8,2868
Aviva	-0,000043	-0,0880	0,0605	0,0129	-0,5802	4,6144
Investor	-0,000216	-0,0760	0,0494	0,0128	-0,7652	4,2272
KBC	-0,000177	-0,0884	0,0552	0,0123	-0,8563	4,9356
Legg Mason	-0,000041	-0,0659	0,0640	0,0118	-0,4094	4,0579
Noble	-0,000010	-0,0711	0,0595	0,0127	-0,4455	3,5478
PZU	-0,000110	-0,0877	0,0471	0,0099	-1,1178	7,4627
Skarbiec	-0,000063	-0,0547	0,0335	0,0097	-0,9037	3,7698
Unikorona	-0,000024	-0,0757	0,0714	0,0131	-0,5307	3,9220

Source: Author's calculations

Since the return series have similar characteristics is similar as returns on single equities time series (fat tails, leptokurtosis) GARCH-t models were estimated to describe daily volatility processes (Osińska, 2006). In the research both models T-M and H-M were estimated using ML method in two versions: i.e. T-M and H-M models with GARCH-t error distribution and three factor T-M-FF and H-M-FF models with GARCH-t error distribution. Then the general model has the following form:

$$r_t = TM(or HM) + \varepsilon_t$$

$$\varepsilon_t | \psi_{t-1} \sim t(0, h_t)$$

$$h_t = \alpha_0 + \alpha_1 \varepsilon_{t-1}^2 + \beta_1 h_{t-1}$$

The results obtained for three factor model do not outperform the results of estimation of the original models that is why only these models will be discussed below. The results are presented in tables 2 and 3. The vast majority of structural parameters are statistically significant with 5% significance level, so it is possible to evaluate the ability of selection (parameter) and market timing (parameter) of the managers managing studied funds. Based on the Akaike information criterion, it can be seen that for the majority of funds the T-M model proved to be slightly better. In both models T-M and H-M alpha parameter values fluctuated

around zero, and all were negative, thus in the analyzed period managers have not demonstrated the ability to select securities.

Table 2. The results of estimation of the T-M model

Fund name	Model T-M			GARCH Student's t				AIC
							Degrees of freedom	
Alianz	-0,002*	0,83*	-0,82	1,6e-07	0,14*	0,87*	4,49	-12123
Aviva	-0,002*	0,88*	-0,99*	2,9e-08	0,08*	0,92*	6,78	-13111
Investor	-0,002*	0,81*	-0,91*	9,4e-08*	0,13*	0,87*	10,11	-12577
KBC	-0,001*	0,97*	0,08	1,0e-06*	0,10*	0,79*	6,65	-13350
Legg Mason	-0,002*	0,79*	-0,56*	4,4e-08	0,05*	0,95*	10,63	-13811
Noble	-0,001*	0,88*	-0,27	5,9e-07*	0,07*	0,83*	11,65	-13836
PZU	-0,004*	0,68*	-1,50*	1,0e-07	0,03*	0,97*	8,87	-12368
Skarbiec	-0,003*	0,71*	-1,23*	2,1e-07*	0,09*	0,91*	8,53	-12037
Unikona	-0,005*	0,57*	-2,63*	2,6e-05*	0,46*	0,31*	8,55	-9982

* Significant at $\alpha = 0,05$.

Source: Author's calculations

Table 3. The results of estimation of the H-M model

Fund name	Model H-M			GARCH Student's t				AIC
							Degrees of freedom	
Alianz	-0,002*	0,86*	-0,03	1,6e-07*	0,14*	0,87*	4,42	-12220
Aviva	-0,001*	0,92*	-0,06*	2,0e-08	0,08*	0,92*	6,73	-13073
Investor	-0,002*	0,85*	-0,09*	9,4e-08*	0,13*	0,87*	10,12	-12579
KBC	-0,0004*	0,97*	-0,07*	8,5e-07*	0,09*	0,81*	6,62	-13355
Legg Mason	-0,002*	0,82*	-0,06	4,8e-08	0,05*	0,94*	10,53	-13809
Noble	-0,001*	0,89*	-0,03	5,8e-07*	0,07*	0,83*	11,92	-13836
PZU	-0,003*	0,74*	-0,13*	1,1e-07	0,03*	0,97*	7,96	-12362
Skarbiec	-0,003*	0,75*	-0,06	2,0e-07*	0,09*	0,91*	8,65	-12031
Unikona	-0,004*	0,67*	-0,19*	2,3e-05*	0,40*	0,39*	7,46	-9971

* Significant at $\alpha = 0,05$.

Source: Author's calculations

A similar situation occurs in the case of the gamma, which in the T-M model for six funds is statistically significant but its values are negative that suggests a negative impact of market timing on the results of funds. Other gamma parameters of the T-M model are not statistically significant, three of which are negative and one positive. Positive

but insignificant parameter does not necessarily imply the ability of the fund manager. In turn, in the H-M model all funds have negative gamma, and five of them are statistically significant values, which may mean a negative impact of use of market timing technique on returns the funds.

Analyzing the systematic risk of the funds it should be noted that the parameter theta is statistically significant for all tested funds and has rather high values. The two explanations can be given. First, that due to managers activity the fund investors could not get extra return because they did not beat the market which in the analyzed period was in bad state after the recession in 2007-2009. Second explanation is of psychological nature. The managers have learned from the recession and are very careful in taking risky decisions that is why all the funds results are more or less the same as those on the whole market.

Conclusions

Effectiveness of investment funds may be examined with different methods. In this research market timing models were used to check whether managers have selectivity and market timing ability. Selectivity is responsible for proper choice of the securities for portfolio and market timing allows to predict the whole market in future and to use the results of prediction to proper risk management of the funds. The sample was consisted of nine equity funds operating in Poland in 2008, Jan – 2013, Dec. In most cases the managers did not make use of selectivity and/or market timing. In some cases managers had negative impact for returns gained by the funds. Only in single cases parameter estimates for selectivity and market timing were positive but often non-significant.

On the basis of the tests performed and the analysis of their results, it can be concluded that in the years 2008 - 2013 a tested group of nine funds did not generate superior returns in comparison to the market. These results are not isolated. Multiple studies of Polish, but also foreign investment funds market by market timing models in most cases pointed to a lack of market timing of fund managers.

References

1. Dawidowicz D., (2011), Fundusze inwestycyjne, Rodzaje, typy, metody pomiaru i ocena efektywności, CeDeWu, Warszawa.
2. Grinblatt, M., Titman S. (1994), A Study of Monthly Mutual Fund Returns and Performance Evaluation Techniques, Journal of Financial and Quantitative Analysis, 29(3), 419-444.
3. Hendricks, D., Patel J., Zeckhauser R., (1993), Hot Hands in Mutual Funds: Short Run Persistence of Relative Performance, 1974-1988, Journal of Finance, 48(1), 93-130.
4. Henriksson, R. D., Merton, R.C. (1981), On Market Timing and Investment Performance. II. Statistical Procedures for Testing Forecasting Skills, Journal of Business, 54(4), 513-534.
5. IZFA, Klasyfikacja funduszy inwestycyjnych ot-

- wartych oraz specjalistycznych funduszy inwestycyjnych otwartych, http://www.izfa.pl/files_user/Klasyfikacja-zasady.pdf, 16.06.2014.
6. Jamróz P., (2011), Parametryczna ocena umiejętności selektywności i zarządzających OFI akcji, [w:] Zeszyty Naukowe Uniwersytetu Szczecińskiego. Finanse. Rynek finansowy. Ubezpieczenia. z. 37, Szczecin 2011.
 7. Lee C., Rahman C., (1990), Market Timing, Selectivity and Mutual Funds Performance: An Empirical Investigation, *Journal of Business*, 261-278.
 8. Olbryś J., (2008), Ocena umiejętności stosowania strategii market-timing przez zarządzających portfelami funduszy inwestycyjnych a częstotliwość danych, *Studia i Prace Wydziału Nauk Ekonomicznych i Zarządzania* Nr 10, Uniwersytet Szczeciński, Szczecin.
 9. Olbryś J., (2010a), Ocena efektywności zarządzania portfelem funduszu inwestycyjnego z wykorzystaniem wybranych wieloczynnikowych modeli market-timing, *OPTIMUM. Studia Ekonomiczne*, Wydawnictwo Uniwersytetu w Białymstoku, 4(48), Białystok.
 10. Olbryś J., (2010b), Parametryczne testy umiejętności wycucia rynku – porównanie wybranych metod na przykładzie OFI Akcji [w:] *Metody ilościowe w badaniach ekonomicznych* Nr IX (2008). *Analiza rynków finansowych. Modele ekonometryczne*, red. Z. Binderman, Wydawnictwo SGGW, Warszawa.
 11. Olbryś J., (2010c), Three-factor market-timing models with Fama and French's spread variables, [w:] *Operations Research and Decisions*, 2.
 12. Olbryś J., (2012), Wieloczynnikowe hybrydowe modele market-timing polskich funduszy inwestycyjnych, [w:] T. Trzaskalik (red.), *Modelowanie Preferencji a Ryzyko '12*. Wydawnictwo Uniwersytetu Ekonomicznego w Katowicach, Katowice.
 13. Osińska M., (2006), *Ekonometria finansowa*, PWE, Warszawa.
 14. Perez K., (2012a), *Efektywność funduszy inwestycyjnych. Podejście techniczne i fundamentalne*, Difin, Warszawa.
 15. Perez K., (2012b), *Fundusze inwestycyjne, rodzaje, zasady funkcjonowania, efektywność*, Oficyna Ekonomiczna, Warszawa.
 16. Prather, L.J., Middleton, K.L., (2006), Timing and selectivity of mutual fund managers: An empirical test of the behavioral decision-making theory. *Journal of Empirical Finance*, Volume 13, Issue 3, 249–273.
 17. Treynor J., Mazuy, K. (1966), Can Mutual Funds Outguess the Market?, *Harvard Business Review*, 44, 131-136.
 18. Zamojska A., (2009a), Timing a okresy hossy i bessy na rynku kapitałowym: przypadek polskich funduszy inwestycyjnych, [w:] *Prace i Materiały Wydziału Zarządzania Uniwersytetu Gdańskiego* nr 4/2, Sopot.
 19. Zamojska A., (2009b), Timing – metody pomiaru i empiryczna weryfikacja na przykładzie polskich funduszy inwestycyjnych, *Prace Naukowe Uniwersytetu Ekonomicznego we Wrocławiu* Nr 60.
 20. Zamojska A., (2012), *Efektywność funduszy inwestycyjnych w Polsce, Studium teoretyczno-empiryczne*, C.H.Beck, Warszawa 2012.
 21. Databases
 22. Dom Maklerski Banku Ochrony Środowiska, www.bossa.pl
 23. Giełda Papierów Wartościowych w Warszawie, www.gpw.pl
Izba Zarządzających Funduszami i Aktywami, www.izfa.pl
Portal finansowy, www.money.pl
Polski Portal Finansowy Bankier.pl, www.bankier.pl

კატერინე ნინუა, აკაკი ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია თემაზე „უძრავი ქონების მართვის თანამედროვე პრობლემები“. ნაშრომში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლზე დაყრდნობით, მოცემულია უძრავი ქონების ლეგალური დეფინიცია. ნაშრომში დასმული პრობლემის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სიახლეებს, რაც განხორციელდა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის რომ მოხდა მინის განსახელმწიფოებრიობა და შეიქმნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა უძრავი ქონების რეგისტრაციის, ინფორმაციის მოპოვების და ა. შ. პროცედურები.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ მინა წარმოადგენს წარმოების უნიკალურ საშუალებას, რომელზედაც შესაძლებელია ქვეყნის ყველა ეკონომიკური დარგის განვითარება და სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ შესაბამისი ზომები უძრავი ქონების-მინის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პირობების შექმნაში და მართვაში.

საკვლევი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომში ავტორის მიერ შემოთავაზებულია უძრავი ქონების მართვის თანამედროვე პრობლემების გზების გადაჭრის საშუალებები.

РЕЗЮМЕ

Научная работа выполнена на тему – „Современные проблемы управления недвижимым имуществом“. В работе на основании 149-ой статьи Гражданского кодекса Грузии дается легальное определение понятия недвижимого имущества. При исследовании проблемы особое внимание уделяется тем новшествам, которые были проведены в Грузинском законодательстве в связи с переходом на рыночную систему. В частности, то что 1991 года произошла приватизация недвижимого имущества-земли, формирование публичного реестра, который в значительной степени облегчает процедуры связанные с регистрацией, получением информации о недвижимом имуществе и т.д.

В работе отмечается, что земля представляет собой уникальное средство производства, на котором возможно развитие всех отраслей экономики страны, в связи с чем соответствующие государственные органы обязаны принять необходимые меры для создания условий рационального и эффективного управления недвижимым имуществом.

Исходя из актуальности исследуемого вопроса, автором работы предложены конкретные предложения для решения современных проблем управления недвижимым имуществом.

* * * * *

უძრავი ქონების, ანუ უძრავი ნივთების ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 149-ე მუხლში, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მინის ნაკვეთი მასში არსებული ნიაღისეულით, მინაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მინაზე და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება შეუძლებელია.

უძრავი ქონების ხერხემალს მინის ნაკვეთი წარმოადგენს. ყველა სხვა ნივთი, ანუ ის რაც დგას მინაზე მისი არსებითი შემადგენელი ნაწილია და მისი გამოცალკავება შეუძლებელია. საბჭოთა პერიოდში, სადაც გაბატონებული იყო სახელმწიფო საკუთრება და უარყოფილი კერძო საკუთრება, მინა მთლიანად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მოსახლეობა მხოლოდ მოსარგებლის როლში გამოდიოდა.

1991 წლიდან ქვეყანაში მომხდარმა სოციალურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა, შესაბამის სფეროებში თავისთავად გამოიწვია მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვანი შეცვლის აუცილებლობა.

პირველი, ნორმატიული აქტი იყო „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება“ რომლის თანახმად, მოქალაქეებს მიეცა საშუალება უსასყიდლოდ საკუთრებაში მიეღოთ მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, იქნდა აგრეთვე საკუთრების უფლებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, თუ მას სრულად ჰქონდა გადახდილი ბინის ღირებულება.

1992 წლის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №48 დადგენილების საფუძველზე, განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მინის მასობრივი პრივატიზაცია. ამ დადგენილების თანახმად, განისაზღვრა პირთა წრე და ზღვრული ოდენობა მინის ნაკვეთისა, რომელიც უნდა გადაცემოდა საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ, ბარში და ზეგანზე 0,75 ჰექტრამდე, ხოლო მთაში 3 ჰექტრამდე, ხოლო მოგვიანებით იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო გაიზარდა და, შეიძლებოდა მოქალაქეს გადაცემოდა 1,25 ჰექტრამდე ბარში და მთის რაიონებში 5 ჰექტრამდე (მინისტრთა კაბინეტის №290 დადგენილება 1992წ.). ე.ი. მინის განსახელმწიფოებრიობამ-პრივატიზაციამ ხელი შეუწყო ნებისმიერ მსურველს მიიღოს მინის ნაკვეთი (უძრავი ქონება) საკუთრებაში.

2004 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო შეიქმნა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ქონების რეგისტრაციის პროცედურები.

ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მომხმარებელზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, უსაფრთხო და ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის შექმნა.

სააგენტოში განხორციელებული რეფორმა ძირითადად ოთხი მიმართულებით განვითარდა: ინსტიტუციური, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური. შედეგად კი, მოხმარებელმა მიიღო სწრაფი, მარტივი და ხელმისაწვდომი მომსახურება. აღნიშნული, შეიძლება ითქვას წარმოადგენს უძრავი ქონების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება ყველა შესაძლო ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში სავალდებულოდ მიიჩნევა საბაზრო ელემენტების შემოღებას უძრავი ქონების ფუნქციონირების სფეროშიც. საბაზრო ურთიერთობების ნებისმიერი სუბიექტი თავისუფლად შეძლებს თავისი ფუნქციების შესრულებას, თუ მას ექნება საქმიანობის განხორციელების შესაბამისი პირობები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტერიტორიული პრინციპის დაცვა და სამუშაოსათვის დამაკმაყოფილებელი ობიექტის არსებობა.

მინა შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოების უნიკალურ საშუალებას, რომელზედაც შესაძლებელია ქვეყნის ყველა ეკონომიკური დარგის განვითარება, რადგან შენობები, რომელიც დგას მიწის ნაკვეთზე, შესაძლოა ემსახუროდნენ აგროსამრეწველო წარმოებას, უფრო მეტიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები წარმოადგენენ ერთდროულად შრომისა და წარმოების საშუალების საგანს. ამიტომ, უძრავი ქონების სწორად მართვა წარმოადგენს ფუნდამენტურ ფაქტორს უძრავი ქონების ეფექტური გამოყენებისათვის.

საბაზრო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ უძრავი ქონება წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობების ობიექტს, რაც იმას, ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ბრუნვაუნარიან ნივთს და მისი შექმნა შეუძლია კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სუბიექტს. ჩამონაკლისს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომლის შექმნა ეკრძალება უცხოელ მოქალაქეებს. უძრავი ქონების ბაზრის განვითარება და ფუნქციონირება განპირობებულია თავად საბაზრო ურთიერთობების ობიექტების თავისებურებებით.

უძრავი ქონების თავისებურებებს წარმოადგენს: იშვიათობა, უძრავი ქონების ბრუნვის სპეციფიკა, უნიკალური სარგებლიანობა და სხვ.

უძრავი ქონების იშვიათი თავისებურებების დახასიათებისას მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ქალაქების დაგეგმარებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს უკვე განაშენიანებული ტერიტორიების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება.

უძრავი ქონების ბრუნვაუნარიანობა განაპირობებს უძრავი ქონების ბაზრის დაყოფას პირველად და მეორად ბაზარზე. აქედან გამომდინარეობს ბაზრის ფუნქციონირების ასეთი თავისებურებები: წარმოება, მისი ობიექტი კვლავ რჩება ბაზარზე დიდი ხნით, როგორც სარეზერვო შეთავაზება.

უნიკალური სარგებლიანობა განსაზღვრავს სამომხმარებლო არჩევანს უძრავი ქონების შექმნისას, ვინაიდან თითოეული ობიექტის ღირებულება მჭიდრო კავშირში იმყოფება მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. უძრავი ქონების თავისებურება გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ იგი არა მხოლოდ, როგორც საინვესტიციო ობიექტი, არამედ, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება-იპოთეკა, გადავცეთ დროებით სარგებლობაში —ლიზინგი და სხვ.

საქართველო განიცდის ფინანსურ პრობლემებს არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) ეფექტური გამოუყენებლობის გამო. იმავდროულად, ბევრი მიწის ნაკვეთი, რომლებიც ამჟამად გამოუყენებელია შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

უძრავი ქონების (მიწის) მართვას ახორციელებს სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით. ადმინისტრირების სახელმწიფო სისტემა დაყოფილია ორ ნაწილად — საერთო და დარგობრივი მმართველობა. საერთო სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სხვა მმართველობითი ორგანოების მიერ.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ მიწის ფონდის პრაქტიკულად მართვას. მართვაში მონაწილეობენ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ცენტრალური ორგანოებიდან მიწის მართვის პროცესში განსაკუთრებით აქტიურად არის ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი განყოფილებები.

მინა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, ეროვნული ეკონომიკის სივრცობრივი ბაზისია, მაგრამ მას სხვადასხვა დანიშნულება გააჩნია, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამიტომ, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მიწის რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად, მიწის დანიშნულების თავისებურებათა გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიწის რესურსების გამოყენების თავისებურებებიდან გამომდინარე, მიწების მართვა რთული სისტემაა. ამიტომ, უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მიწების ეფექტურად გამოყენებასა და დაცვას უზრუნველყოფს. მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პირობების შექმნა და მართვის გაუმჯობესება წარმოადგენს არა მხოლოდ

საქართველოს, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნი-სათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. თუმცა, საქართველო, როგორც მცირე მიწიანი ქვეყანა განსაკუთრებით განიცდის უძრავი ქონების-მინის რესურსების მართვის პრობლემას. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ნაწილი დაუმუშავებელია. მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ საკუთარ ნიადაგზე მოიყვანოს ნებისმიერი მცენარეული კულტურა და არ დასჭირდეს გარკვეულ პროდუქტებზე იმპორტის განხორციელება. ამისათვის კი საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტების არა მხოლოდ წარმოება, არამედ გადამამუშავებელი (ქარხნების) და შესაბამისი მონყობილობების აშენება, რისი უზრუნველსაყოფადაც სახელმწიფომ უნდა გამოთქვას მზაობა.

მართალია, კერძო საკუთრებაზე გადასვლა ნიშნავს კერძო პირთა ინტერესების წინ წამოწევას და მათ გამდიდრებას, თუმცა ყველას არ გააჩნია ამის უნარი. კერძო საკუთრების შემოღების შემდეგ პრაქტიკულად დაცარიელდა სოფლები, რაც ჩემი აზრით იმის მაუწყებელია, რომ სრულიად დაუცველი დარჩა გლეხი და დაკარგა მინის სარგებლობის ინტერესი. ამ პრობლემის გადასაჭრელად კი საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ ორგანოებზე მეტი სუბსიდიების გამოყოფა, რათა დაინტერესონ მოსახლეობა მიწათსარგებლობით და მიაბრუნონ სოფლებში. ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საწინდარია უძრავი ქონების-მინის რაციონალური მართვა, რისთვისაც აუცილებელია არსებული პოტენციალის ამოქმედება. ამასთან, იგი უზრუნველყოფს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური, მეცნიერულ-ინტელექტუალური და სულიერ-ზნეობრივი ასპექტების ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოში ბოლო წლებში მსოფლიო ბანკების მიერ არაერთხელ ჩატარდა კვლევა მინის მართვის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მინის მართვის გაუმჯობესების და მისი შეფასების სისტემის მონიტორინგს ითვალისწინებდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მინის მართვასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მინის რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და საქმიანობის მონიტორინგი. მსოფლიო ბანკის ექსპერტის განცხადებით, კვლევა მოიცავდა მინის და უძრავი ქონების ყველა ასპექტს — ურბანული მიწების, სასოფლო-სამეურნეო მიწების პოლიტიკა, ინსტიტუციური და იურიდიული მანდატი, დავების მოგვარება და ა.შ. შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ბევრი მიმართულება, რომელშიც საქართველო საკმაოდ წარმატებულია, ასევე ბევრი ის მიმართულება, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს.

შემოთაღნიშნულოდან გამომდინარე, უძრავი

ქონების მართვის თანამედროვე პრობლემების გზების გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდეგი ზომების მიღება:

1. ეკონომიკის ყველა დარგში მინის ერთიანი ფონდის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ეფექტური გამოყენება;

2. მინის რესურსების ოპტიმალური განაწილება ეროვნული ეკონომიკის დარგების, მინათმოსარგებლებისა და სავარგულების მიხედვით;

3. სასოფლო-სამეურნეო მიწების დაცვა და მათი ნაყოფიერების ამაღლება;

4. მინის რეზერვების გამოვლენა და მათი რაციონალური გამოყენება ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

5. მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის შემცირება.

ამდენად, ნაშრომში მოკლედია წარმოჩენილი ის ძირითადი თავისებურებები, რაც უძრავი ქონების-მინის მართვის თანამედროვე პრობლემებს უკავშირდება და შემოთავაზებულია მათი გამოსწორების გზები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997 წ.
2. გ.ბუცხრიკიძე. უძრავი ქონების ადმინისტრაციული მართვის პრინციპები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2010 წ.
3. ლ.ჭანტურია. უძრავი ნივთების საკუთრება, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ.
4. „აგარაული რეფორმა და მისი გატარება ცხოვრებაში“, ეროვნული სემინარის მასალები, თბილისი 2002 წ.
5. ე.ნინუა. აგარაულ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების სამართლით დაცული ინტერესები. ჟურნალი სამართალი, № 1-2; 2005 წ.
6. შ.ვაშაკიძე. საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი 2005 წ.
7. Кондратьев Н.Д., Петренко В.П. Управление земельными отношениями: требования, подходы – М.: ИНФРА-М., 2002 г.
8. Петренко И.А. Экономика земельных отношений. Томск, 2005 г.

საავტომობილო ტექნიკის საამორტიზაციო ანარიცხების შესახებ

ვალერიან ხარიტონაშვილი, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

დასაბუთებულია საკანონმდებლო ნორმის დაზუსტების აუცილებლობა და საავტომობილო ტექნიკის საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრის დიფერენცირებული ნორმების გამოყენება, ამ ანარიცხების დარიცხვის არანრფივ-მწარმოებლური მეთოდით, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო პირობებისა და საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის ნორმატივების მიხედვით, ტექნიკური მდგომარეობის თავისებურებებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საწარმომ დამოუკიდებლად განსაზღვროს ობიექტის საამორტიზაციო ნორმა.

საკვანძო სიტყვები: ავტოსატრანსპორტო საშუალება, საამორტიზაციო ანარიცხები.

SUMMARY

DEPRECIATION CHARGES ON MOTOR VEHICLES

The neobkhdodymost of specification of legislative norm and use of the differentiated norms of definition depreciation assignment for automobile equipment on a nelineynno-productive method, and also expediency of independent definition depreciation assignment by the enterprise taking into account its economic state and operational conditions, standards of service life and technical features of the vehicle are proved.

* * * * *

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საამორტიზაციო პოლიტიკა. იგი წარმოადგენს ქვეყანაში ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების სახელმწიფოს ძირითად ბერკეტს. საამორტიზაციო პოლიტიკა ზემოქმედებს საწარმოს ძირითადი ფონდების განახლების პროცესებზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, საინვესტიციო პოლიტიკაზე, ხოლო მათი საშუალებით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობაზე. სახელმწიფოს საამორტიზაციო პოლიტიკა ყოველ კონკრეტულ მომენტში გულისხმობს განსაზღვრულ კორექტირებას არსებული სიტუაციებისა და ეკონომიკური სტრატეგიის პერსპექტივების მიხედვით. სამეცნიერო-ტექნიკური წყაროების ანალიზი გვიჩვენებს რომ საამორტიზაციო პოლიტიკის არსის გაგებაში ეკონომისტებსა და ტექნიკური დარგის სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი

მიდგომა. პრობლემის არსი მდგომარეობს ტერმინის "ამორტიზაცია" ახსნის ურთიერსაპირისპირო პოზიციებში.

როგორც ცნობილია, ამორტიზაცია არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს შესუსტებას, საავტომობილო ტრანსპორტში კი გულისხმობს ავტოსატრანსპორტო (ას) საშუალების თანდათან გაცვეთას, მისი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადატანას მომსახურებაზე და წარმოადგენს ობიექტურ ეკონომიკურ პროცესს. განვითარებულ ქვეყნებში ას საშუალებებზე ამორტიზაციის ზღვრული ნორმა დადგენილია 20...30%, სადაც ამჟამად შეიმჩნევა ამორტიზაციის ვადების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, აშშ-ში, ძირითად კაპიტალში ინვესტიციის დაჩქარების მიზნით 1981 წლიდან შემოღებულია ამორტიზაციის ხანმოკლე ვადები, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებებზე 3 წელი. მოგებიდან გადასახადის შემცირების მიზნით ას საშუალების მფლობელი ისწრაფვის დაჩქარებული ამორტიზაციისკენ. მართალია საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვით მცირდება მოგებიდან გადასახადი, მაგრამ საამორტიზაციო ანარიცხების სიდიდე უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებულ ნორმებს.

საქართველო არ წარმოადგენს მანქანათა მწარმოებელ ქვეყანას, მოქალაქეთა მცირე შემოსავლების გამო მწარმეს შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან უკვე ექსპლუატაციაში ნამყოფი ას საშუალებები, რომელთა შენახვაზე ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები მნიშვნელოვანია მთლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში.

ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდში ას საშუალების კვანძებისა და აგრეგატების მტყუნებები წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ფიზიკური ცვეთის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია ას საშუალების საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის გაზრდის პროგრესი, ეს უკანასკნელი რჩება არასაკმარისი. უმრავლესი ას საშუალების (85...90%) საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადა განპირობებულია დეტალების ცვეთით. ას საშუალების ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე დანახარჯები დაახლოებით 5...6-ჯერ აჭარბებს მის საწყის ღირებულებას.

საქართველოში არსებული ნორმების მიხედვით საავტომობილო ტექნიკის საამორტიზაციო ანარიცხების რაოდენობა იანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ღირებულებით ბალანსთან მითითებული ამორტიზაციის 20%-იანი ნორმის მიხედვით. ას საშუალების რემონტის ხარჯების გამოქვითვა დასაშვებია 5%-მდე, ხოლო თანხა, რომელიც აღემატება 5%-ს, ზრდის ღირებულებით ბალანსს, ამავე დროს არ არის დადგენილი საავტომობილო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებაზე დანახარჯების ნორმები.

მცდარად არის განმარტებული ტერმინი “ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები - “ხარჯები, რომლებიც ამალღებს ძირითადი საშუალების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლობას, მათი სასარგებლო სამსახურის ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამალღების უზრუნველსაყოფად; მანქანა დანადგარის ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამალღების უზრუნველსაყოფად და ახალი სანარმოო პროცესების დანერგვა, გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით” [1].

სავტომობილო ტექნიკის საექსპლუატაციო პირობები რადიკალურად განსხვავდება სხვა სახის ძირითადი საშუალებების მუშაობის (საექსპლუატაციო) პირობებისგან. ას საშუალებების ექსპლუატაციისას, ერთი და იგივე საექსპლუატაციო პირობებშიც კი, მათი სადატვირთვო რეჟიმები და შესაბამისად, ცვეთა მნიშვნელოვნად განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ისეთი განსხვავებული სპეციფიკური ძირითადი საშუალებების, როგორიცაა ას საშუალებები, საამორტიზაციო ანარჩებების ნორმების დანესება წლიურად, ანუ ექსპლუატაციის დროის ყველა პერიოდში ერთნაირი ცვეთის დაშვებით, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, რადგან არც დროის პერიოდი და არც განარბენი (თუმცა ამ მაჩვენებელს გააჩნია უპირატესობა) არ ასახავს ას საშუალებებზე საექსპლუატაციო პირობების (საგზაო, სატრანსპორტო, ბუნებრივ-კლიმატური) გავლენას და შესაბამისად, მათი ექსპლუატაციის შედეგად ფაქტიური ცვეთის ინტენსიურობას. შესაბამისად, დაუსაბუთებელია რემონტის ხარჯების 5%-იანი ნორმა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია აგრეთვე ას საშუალების საიმედოობის მაჩვენებლებზე და იცვლება დიდ ზღვრებში.

ტერმინი “რემონტი” ცალსახად არის განმარტებული სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში და სტანდარტებით, როგორც “ნაკეთობის გამართულობის ან მუშაუნარიანობის აღდგენისა და ნაკეთობის რესურსის ან ზღვრულ მდგომარეობას მიღწეული მისი შემადგენელი ნაწილების აღდგენის და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის ოპერაციითა კომპლექსი”. არსებობს რემონტის სხვადასხვა სახეები. საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ავტოსატრანსპორტო საშუალების რემონტი არის ავტოსატრანსპორტო საშუალების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა მისი ცალკეული, მწყობრიდან გამოსული ან დასაშვებ ზღვრულ მდგომარეობას მიღწეული კვანძისა თუ აგრეგატის აღდგენით ან მისი ახლით შეცვლით [2].

იმის გამო, რომ არსებული კანონმდებლობით რემონტზე დანახარჯები შეზღუდულია, ხოლო ტექნიკურ მომსახურებაზე დანახარჯების ნორმები არ არის შეზღუდული, მენარმე იძულებულია რემონტზე დანახარჯები გადაიტანოს ტექნიკური მომსახურების დანახარჯებში.

საკოველთაოდ ცნობილია კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც სავტომობილო ტექნიკის განარბენისა და წლების შესაბამისად მცირდება ავტომობილის საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადა და შესაბამისად იზრდება რემონტზე დანახარჯები. მიმდინარე რემონტზე დანახარჯები მოიცავს ნაწილების შეცვლაზე შრომატევადობას და სათადარიგო ნაწილების ღირებულებას. მიმდინარე რემონტზე დანახარჯები განისაზღვრება მარტივი ფორმულით:

$$C_R = 0^{-3} L(C_r \tau_r + C_f) \quad (1)$$

სადაც L არის ავტომობილის განარბენი, C_r - შემსრულებლის (რემონტიორის) საათური განაკვეთი, τ_r - ყოველ 1000 კმ განარბენზე მიმდინარე რემონტზე ხვედრითი შრომატევადობა, კაც.სთ, C_f - სათადარიგო ნაწილების ხვედრითი ნორმატიული ღირებულება.

ძირითადი საშუალების (ავტომობილის) რემონტზე ხარჯები არ ამალღებს ძირითადი საშუალების (ავტომობილის) თავდაპირველ, ნორმატიულ მწარმოებლურობას, მათი სამსახურის ვადის გახანგრძლივების მიზნით, რემონტის ხარჯებით არ ხორციელდება ნაწილების გაუმჯობესება ძირითადი საშუალების (ავტომობილის) მწარმოებლურობის ამალღების უზრუნველსაყოფად.

ავტომობილის თავდაპირველი, ნორმატიული მწარმოებლურობა განისაზღვრება ავტომობილის დამამზადებლის მიერ დადგენილი ტექნიკური პარამეტრებით და მას გააჩნია ექსტრემუმები, მაქსიმალურ ნორმატიულ (თავდაპირველ) მწარმოებლურობას უზრუნველყოფენ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა ავტომობილის საიმედოობა, ტრირთამნეობა, წევითი და სიჩქარითი მახასიათებლები და ა.შ. რომელთა მნიშვნელობებმა ექსპლუატაციაში შეუძლებელია გადააჭარბოს დამამზადებლის მიერ დადგენილ პარამეტრებს და შესაბამისად, შეუძლებელია თავდაპირველი (ნორმატიული) მწარმოებლურობის ამალღება რემონტზე დანახარჯებით.

მაგალითად, სატვირთო ავტომობილის მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულით [3]:

$$Q_m = \frac{T_H q \gamma_s}{l_q / \beta v_t + t_p} \quad (2)$$

სადაც T_H არის განწესში ყოფნის ხანგრძლივობა; q - ტვირთამნეობა; γ_s - ტვირთამნეობის გამოყენების კოეფიციენტი; l_q - გადაზიდვის მანძილი; β - გარბენის გამოყენების კოეფიციენტი, v_t - ტექნიკური სიჩქარე; t_p - დატვირთვა-განტვირთვის დრო. ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტომობილის მწარმოებლურობის გაზრდა შესაძლებელია T_H განწესში ყოფნის ხანგრძლივობის გაზრდით, რაც

თავის მხრივ შესაძლებელია ავტომობილის რემონტში ყოფნის ხანგრძლივობის შემცირებით, ანუ რემონტზე რაციონალური დანახარჯებით. ამავე დროს, თეორია და პრაქტიკა ადასტურებს, რომ ავტომობილის განარბენისა და საექსპლუატაციო ვარგისობის ვადის გაზრდით მცირდება მისი მწარმოებლურობა, რადგან მცირდება განწესში ყოფნის ხანგრძლივობა მისი რემონტში მოცდენების გამო, ხოლო ავტომობილის ნაწილების გაუმჯობესება არ წარმოადგენს რემონტს, რადგან ნაწილების კონსტრუქციული გაუმჯობესება ავტომობილის ექსპლუატაციის პროცესში არ წარმოადგენს მფლობელის კომპეტენციას.

რემონტის დროს გამოიყენება სხვადასხვა დამამზადებლის ნაწილები, როგორც “ორიგინალი”, ისე მრავალი ფირმის მიერ დამამზადებული, რომელთა რესურსი “ორიგინალთან” შედარებით მცირეა. ნებისმიერ შემთხვევაში ნაწილების შეცვლის მიზნით აგრეგატის დამლა-ანყობით მცირდება აგრეგატის რესურსი, რემონტის შრომატევადობის გაზრდით კი მცირდება ას საშუალების მწარმოებლურობა, შესაბამისად, ას საშუალების საბალანსო ღირებულება კი არ იზრდება, არამედ ფაქტობრივად მცირდება.

საქართველოში რეგლამენტებული განმარტების მიხედვით კი ცვეთის შედეგად ამორტიზაცია კი არ ასუსტებს, ანუ კი არ ამცირებს ას საშუალების ღირებულებას და ნაწილ-ნაწილ კი არ გადადის გამოშვებულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე), არამედ ზრდის მის საბალანსო ღირებულებას, უსასრულოდ ახანგრძლივებს სამორტიზაციო დარიცხვის პროცესს, საბოლოო ჯამში ზღუდავს მწარმეს რემონტზე დანახარჯებში ასახოს ფაქტობრივად განეული ხარჯები, რაც ამკარად ეწინააღმდეგება ობიექტურ ეკონომიკურ პროცესს.

აგრეგატის რემონტზე დანახარჯები შედგება ახალი დეტალის (ნაწილის) ღირებულებისა და რემონტის შესრულების (შრომატევადობის) ღირებულებისაგან. საგადასახადო კოდექსის მიხედვით კი რემონტის შრომატევადობის ღირებულებით უნდა გაიზარდოს ავტომობილის საბალანსო ღირებულება. გამოდის რომ, რაც მეტია რემონტის შრომატევადობა, მით უფრო მეტი იქნება ავტომობილის საბალანსო ღირებულება და შესაბამისად მისი საიმედოობის მაჩვენებელი, მწარმოებლურობა, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებელი, რაც ამკარად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

გარდა ამისა თანამედროვე საავტომობილო ტექნიკის გამართულ მუშაობაზე ექსპლუატაციის დანყებიდან 3 წლიან გარანტიას იძლევა დამამზადებელი. პირველ 3 წელს საგარანტიო პერიოდშიც და 12 წლის შემდეგაც 5%-დე საამნორტიზაციო ანარიცხები არამართებულია. 3 წლამდე რემონტზე დანახარჯები იქნება მცირე, რადგან რემონტს თავის თავზე იღებს ას საშუალების დამამზადებელი, ხოლო 3 წლის შემდეგ დანახარჯები გაიზრდება კანონზომიერებით, რომელიც განპირობებული იქნება განარბენით მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში.

საცოველთაოდ ცნობილ დებულებას წარმოად-

გენს ის ფაქტი, რომ ზღვრული ცვეთის პერიოდის დასაწყისის შემდეგ შეიმჩნევა პროგრესული ან კატასტროფული ცვეთა. რაც ხდება ას საშუალების კონსტრუქციული ელემენტების ზღვრული მდგომარეობის მიღწევის შემდეგ. ამ პერიოდში ნაკეთობის ექსპლუატაცია არასასურველია არა მხოლოდ დეტალების ზედაპირების ცვეთის მკვეთრი გაზრდის გამო, არამედ ეფექტურობის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების შემცირების თვალსაზრისით.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით კი ნარჩენის ღირებულების შემცირებასთან ერთად მცირდება რემონტის ხარჯების ლიმიტი, ხოლო ას საშუალების საბალანსო ღირებულება იზრდება

$$C_b = C_b - 0,2 C_b + C_r = C_b(1 - 0,2) + C_r = 0,8C_b + C_r \quad (3)$$

სადაც C_r არის საბალანსო ღირებულების 5%-ზე მეტი თანხა, ლარი.

საანგარიშო წინა საგადასახადო წლის ბოლოსათვის საბალანსო ღირებულების 5%-ზე მეტი მიმდინარე რემონტზე დანახარჯების დამატება საბალანსო ღირებულებაზე, ანუ საბალანსო ღირებულების გაზრდა რემონტზე დანახარჯებით წინააღმდეგობაში მოდის მანქანის საიმედოობის თეორიის დებულებასთან.

დაჩქარებული წესით ამორტიზაციის დარიცხვა პირველ 3 წელიწადში, წარმოადგენს ნონსენსს, რადგან შეუძლებელია ას საშუალებას არ გააჩნდეს ღირებულება (ნარჩენი ღირებულება 1000 ლარი, ანუ ფაქტობრივი ღირებულების დაახლოებით 1...3 %) და ამავე დროს მისი ტექნიკური მდგომარეობა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ საიმედოობის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებს.

თანამედროვე პირობებში საწარმოს უნდა ჰქონდეს თავისი ძირითადი საშუალებების რაციონალური მართვისა და განკარგვის უფლება, აგრეთვე დამოუკიდებლად განსაზღვროს ობიექტის საამორტიზაციო ნორმა მისი საექსპლუატაციო პირობებისა და საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის ნორმატივების მიხედვით და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის (წრფივი, არანრფივი, მწარმოებლური) შერჩევისა და ფონდების უკუგების გაზრდისა და მორალური ცვეთის გათვალისწინების შესაძლებლობა, რადგან მხოლოდ თვით საწარმოს დონეზე შესაძლებელი ძირითადი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის თავისებურებებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება.

ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წარმოადგენს წლების მიხედვით თანაბრად განაწილებულ ნორმატიული საამორტიზაციო ღირებულებას საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის პერიოდში. ამორტიზაციის დარიცხვის არანრფივი მეთოდი მდგომარეობს ამორტიზაციის ღირებულების არათანაბარ (წლების მიხედვით) განაწილებას ნორმატი-

ული საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის პერიოდში. ამორტიზაციის დარიცხვის ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ძირითადი საშუალების ღირებულების უდიდესი ნაწილი შექმნილ პროდუქციაზე (მომსახურებაზე) შეიძლება გადანაწილდეს მისი ექსპლუატაციის სანჯის წლებში, ხოლო ექსპლუატაციის შემდგომ პერიოდში ობიექტის ნარჩენი ღირებულება შემცირდება, ვიდრე ამორტიზაციის ხაზოვანი დარიცხვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში. ნრფივი და არანრფივი მეთოდებისაგან განსხვავებით, ამორტიზაციის დარიცხვის მწარმოებლური მეთოდი წარმოადგენს ობიექტის საამორტიზაციო ღირებულების განაწილებას მისი რესურსის მიხედვით.

საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ 1 კმ განარბენზე ამორტიზაცია არ არის მუდმივი სიდიდე მთელი წლის განმავლობაში შემდგომ გადაფასებამდე, რადგან წლის განმავლობაში ას საშუალების ფუნქციონირების პირობები იცვლება. შემდგომ წელსაც (გადაფასების შემდეგ) ას საშუალების საექსპლუატაციო პირობების შეცვლის შესაბამისად საამორტიზაციო ღირებულება შეიძლება შეცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს).

ამორტიზაციის დარიცხვის მწარმოებლური მეთოდით ას საშუალების ამორტიზაციის ვადის წინაწარ დადგენა შეუძლებელია. ას საშუალება ამორტიზებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მისი რესურსი (განარბენი) მიაღწევს ნორმატიულ ზღვარს. ას საშუალება სხვადასხვა საწარმოში გამოიყენება სხვადასხვა ეფექტურობით. მუშაობის პროცესში ას საშუალება მეტად ცდება ერთ საწარმოში, მეორეში კი მუშაობს გაზრდილი სადატვირთვო რეჟიმებით. როცა საწარმოსათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ას საშუალების ეფექტური გამოყენების ფაქტორი, მაშინ მას უნდა შეეძლოს აირჩიოს ამორტიზაციის დარიცხვის მწარმოებლური მეთოდი.

დასკვნა

დასაბუთებულია საკანონმდებლო ნორმის დაზუსტების აუცილებლობა და საავტომობილო ტექნიკის საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრის დიფერენცირებული ნორმების გამოყენება, ამ ანარიცხების დარიცხვის არანრფივ-მწარმოებლური მეთოდით, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო პირობებისა და საექსპლუატაციოდ ვარგისობის ვადის ნორმატივების მიხედვით, ტექნიკური მდგომარეობის თავისებურებებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საწარმოს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების საამორტიზაციო ნორმის დამოუკიდებლად განსაზღვრის მიზანშეწონილობა.

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი N3591-III.
2. ტექნიკური რეგლამენტი “ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი”. საქართველოს მთავრობის დადგენილება №12, 03.01.2014.
3. ვ.ხარიტონაშვილი. საავტომობილო გადაზიდვები. თბილისი. 2003, 338 გვ.

ფულად-საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა

მაია გელაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ხათუნა ბერიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია საბანკო და საკრედიტო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე და განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს. ფულად-საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. ფულად-საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებები. ცხადია, რომ ეს არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკური კრიზისითაა განპირობებული, არამედ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სუსტადაა ინტეგრირებული საერთაშორისო ეკონომიკაში.

Summary

Current situation in the monetary and credit sphere

Establishing a banking relationship and its developments is impossible without a successful functioning of the monetary and credit system, as it directly affects all areas of economy and defines the vector of its development.

The effectiveness of the entire economic system greatly depends on the current status of the monetary and credit sphere. The formation of the credit system used to have and it still has a number of gaps. It would be appropriate if the bank will disburse mortgage loans at low interest rates to customers. However it is clear that the reason is not a global economic crisis, as the national economy of our country is weakly integrated with the international economy.

* * * * *

ფინანსური გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემა იმყოფება ტრანსფორმაციული პროცესების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფინანსურ-საკრედიტო სისტემის მიერ შექმნილ მართვის მოდელის ცვლილებასთან, მზარდ კონკურენციასთან, საერთაშორისო და ნაციონალური ზედამხედველობის ორგანოების საბანკო საქმიანობის ნორმატიული მოთხოვნების გამკაცრებასთან, საბანკო რისკების რაოდენობის გაზრდასთან. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა გახდეს ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა და საბანკო სის-

ტემის ფორმირების პროცესში წინააღმდეგობრივი მოვლენების აღმოფხვრა. შესაბამისად, ფულად-საკრედიტო სფერო უნდა ინვესტირდეს ფულის მიმოქცევის ისეთ რეგულირებას, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება წარმოების ერთობლივი მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიღწევა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დღეისთვის მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რაოდენობა საკმარისია ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, შეინიშნება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის სიმცირე. მიზანშეწინილი იქნებოდა გამოყენებულიყო მონინავე ქვეყნების პრაქტიკაში არსებული ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების მეთოდები (რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია სადისკონტო განაკვეთს), რომლებიც მოიცავს საკრედიტო ბაზარს მთლიანობაში. ვფიქრობთ პრობლემა მდგომარეობს არა ფულის მასის მიმოქცევის რაოდენობაში, არამედ იმაში, რომ თუ რამდენად ეფექტური იქნება შექმნილი ლიკვიდურობის რეგულირებისა და ფულზე მოთხოვნის გადიდებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით საკრედიტო ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთების დარეგულირების პროცესი რთულად მიმდინარეობს. კომერციულ კრედიტებზე მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად მაღალია. უარყოფითმა რეალურმა საპროცენტო განაკვეთმა მოსახლეობა აიძულა საკუთარი დანაზოგები დაეხსნა არა საბანკო დეპოზიტებში, არამედ ძვირფას ლითონებსა და ხანგრძლივი მომსახურების საგნებში, უცხოურ ვალუტაში, რაც ძირს უთხრის ინვესტიციების დაფინანსების საკუთარი წყაროების გამოყენებას, ინვესტორების გლობალურ ზრდას, არღვევს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. შესაბამისად მთავრობა უნდა ატარებდეს სტრუქტურულ რეფორმას საპროცენტო განაკვეთების მკაცრი ადმინისტრაციული რეგულირების შესახებ და აწესებდეს სესხებზე განაკვეთების ზედა ზღვარს, რითაც გაუადვილებს სესხების მიღებას მოსახლეობას. მაღალი საპროცენტო განაკვეთები კი შესაბამისად ხელშემშლელია ქვეყანაში მენარმეობის(ბიზნესის), მრეწველობის განვითარებისთვის. დაბალი საპროცენტო განაკვეთები კი ხელს შეუწყობდა მრეწველობის განვითარებას. შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმებოდა ხალხი, ბიუჯეტი შეივსებოდა ფულით და ფულად-საკრედიტო სისტემა უფრო მტკიცე იქნებოდა. რის შედეგადაც შემცირდებოდა ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტემპი. გასულ წლებში და მათ შორის, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში

მაღალი სარგებლის განაკვეთით გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის საკითხები არასაკმარისად შეისწავლებოდა. შედეგად, ათასობით ადამიანმა აღებული სესხის გასტუმრება ვერ შეძლო. ეს არა მარტო სუსტი მენეჯმენტისა, არამედ შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით: ა) სესხები გაიცა ძალიან მაღალი სარგებლის განაკვეთებით; ბ) მსესხებელმა ვერ იპოვა შემოსავლიანი სამსახური, რის საფუძველზეც შეძლებდა ვალის გასტუმრებას; გ) სასესხო პერიოდში მსესხებელმა განიცადა მოულოდნელი „ჩავარდნა“ ბიზნეს-გარემოს გაუარესების ან სხვა ზეგავლენის შედეგად და სხვა. ამრიგად, საკრედიტო კავშირები საქართველოში დაბალი ტემპებით ვითარდება, მათ საქმიანობაში ვერ ჩაერთო მოსახლეობის ფართო ფენები და აქედან გამომდინარე ისინი ჯერჯერობით სასურველი შედეგიანობით არ გამოირჩევიან.

უკანასკნელ წლებში განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციულ რეგულირებაზე. კაპიტალის მოძრაობის შეუზღუდავობისას აუცილებელია საპროცენტო არბიტრაჟის შექმნა, რომლის ძირითად ამოცანად გვევლინება საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო დონესთან გათანაბრება და ეროვნული ვალუტის მოსალოდნელი გაუფასურებისა და რისკის ფაქტორების გათვალისწინება. იმ ქვეყნებში, სადაც შიდა საკრედიტო-საფინანსო ბაზრები საგარო ბაზრებისაგან იზოლირებულად ფუნქციონირებენ, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების დონე არავითარ როლს არ ასრულებს, ასეთ შემთხვევაში ნომინალური საპროცენტო განაკვეთების დონე განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა:

ა) შიდა საკრედიტო-საფინანსო ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნას შორის თანაფარდობა;

ბ) ჭარბი ფულადი მასის სიდიდე;

გ) ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი.

განვითარებადი ქვეყნებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება წარმოების შემდეგი მექანიზმებით:

- საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებათა აქტივების რეგულირება არაპრიორიტეტული დარგებისათვის დაკრედიტების მინიმალური ლიმიტების დაწესების გზით;
 - სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების შექმნა, რომლებიც საკუთარი რესურსების დაბალ-საპროცენტო განაკვეთებს მიმართავენ პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის;
 - იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც პრიორიტეტულ დარგებს აკრედიტებენ, სპეციალური პირობების შექმნა განაღდების შეღავათიანი პოლიტიკისა და სარეზერვო მოთხოვნის შემცირების გზით;
 - საკრედიტო განაკვეთებს და დეპოზიტებს შორის განსხვავების დაფინანსება საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე.
- ფაქტია, რომ საბანკო და საკრედიტო სისტემა

თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე და განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს.

უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ჩამოსაყალიბებლად: მეტნაკლებად მონესრიგდა საბანკო-საკანონმდებლო ბაზა; გადაიკეტა მიმოქცევაში ფულის უკონტროლოდ გამოშვების არხები; ყალიბდება საფინანსო ბაზარი (ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, საფონდო ბირჟა); კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის ნორმატივებით. ეს ტენდენცია ეკონომიკის სხვა დარგების ფონზე კიდევ უფრო მკვეთრი და ძლიერია. როგორც ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა, 2014 წლის იანვარ-მარტში შენარჩუნებული იქნა კომერციული ბანკების საქმიანობის ის ფინანსური მაჩვენებლები, რამაც სექტორი 2013 წელს რეკორდულ მოგებაზე გაიყვანა, კერძოდ, ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2014 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, 2.0 პროცენტით, ანუ 204.9 მლნ ლარით გაიზარდა და მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის 10.6 მლრდ ლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 131.2 მლნ ლარით (3.2 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 73.6 მლნ ლარით (1.2 პროცენტით) გაიზარდა. იურიდიული პირების დაკრედიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 44.8 პროცენტი ვაჭრობის სფეროზე მოდის. 2014 წლის თებერვალთან შედარებით, მიმდინარე წლის მარტში ვაჭრობის სფეროზე გაცემული სესხების მოცულობა 0.1 პროცენტით ანუ 1.8 მლნ ლარით გაიზარდა და პირველი აპრილისათვის 2.4 მლრდ ლარს გადააჭარბა. მრეწველობაზე გაცემული სესხების წილმა იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში 17.5 პროცენტი შეადგინა, რაც 2014 წლის პირველი აპრილისათვის 943.9 მლნ ლარით განისაზღვრა (3.3 პროცენტით ანუ 30.5 მლნ ლარით მეტი პირველი მარტის მდგომარეობასთან შედარებით); 7.8 პროცენტი მოდის მშენებლობაზე, რაც 420.8 მლნ ლარია (0.8 პროცენტით, ანუ 3.6 მლნ ლარით ნაკლები, შესაბამისად). ამდენად, იურიდიული პირების დაკრედიტების საერთო მოცულობის 70.0 პროცენტი მხოლოდ სამ დარგზე-მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდის. საგულისხმოა, რომ ამ მიმა-

რთულებით ზრდის ტენდენცია დაახლოებით ორ ნელინადზე მეტია მიმდინარეობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სესხების ზრდის ტემპმა ბოლო ერთ ნელინადში 23% შეადგინა, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში დაახლოებით 10.8 მილიარდი ლარია, აქედან სხვადასხვა დარგებზე 5.4 მილიარდი ლარია გაცემული (დანარჩენი კრედიტები შინამეურნეობებზე მოდის).

როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, საქართველოში მოქმედი ბანკები თითქმის ორი წლის განმავლობაში ვერ გამოვიდნენ კრიზისით გამოწვეული მდგომარეობიდან. უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებები. კერძოდ, სანყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზრით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს მაღალი საპროცენტო განაკვეთით, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ. შესაბამისად, საბანკო კრიზისის შედეგები საქართველოს ეკონომიკისათვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ცხადია, ეს არ იყო განპირობებული მხოლოდ გლობალური ეკონომიკური კრიზისით, ემატება ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სუსტადაა ინტეგრირებული საერთაშორისო ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი. „საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2010
2. საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში- „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო.“ სტუ, „სოციალური ეკონომიკა“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „სოციალური ეკონომიკა“, 1(13), 2011.- გვ. 396-397;
3. საბანკო სისტემის განვითარების სტადიები საქართველოში-საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2011.- გვ.262-263 (ინგლისურ ენაზე);
4. საბანკო სისტემა. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“, №1, 2012
5. Банка и банковские операции. под. ред. У.Ф. Жукова. М.2003
6. www.nbg.gov.ge
7. www.mof.ge

რეგიონული პროექტების სახელმწიფო საბიუჯეტო
დაფინანსების მექანიზმები

კონსტანტინე ხმალაძე, სტუ-ს პროფესორი

РЕЗЮМЕ

Механизмы государственного бюджетного финансирования региональных проектов

В Грузии для инвестиционной сферы характерны тенденции сокращения инвестирования бюджетных средств, высокий уровень экономических рисков в регионах и резкое сокращение банковских инвестиций. Целесообразно постепенное перемещение вектора регулирования инвестиционной деятельности от центра на региональный уровень, на котором лучше видны текущие задачи развития; установить оптимальное соотношение между центральным и региональным источниками, централизмом и рыночной свободой; создать необходимые условия для корпоративного сотрудничества.

Необходимо финансированные инвестиционных и фундаментных инновационных программ за счет бюджетного фонда региональных проектов. С этой целью, считаем нужным оптимизацию процесса отбора проектов. Вместе с тем, требует уточнения критерий отбора и результирующие индикаторы проектов

Необходимо улучшить степень обоснованности проектных предложений и повысить ответственность муниципалитетов. Важнейшими критериями считаются результирующие параметры экономической, бюджетной и социальной эффективности. Конкретные критерий отличаются друг от друга по уровню развития регионов. Финансированные инфраструктурных, предпринимательских проектов, а также, проектов по стимулированию занятости, возможно в рамках региональных и отраслевых инвестиционных программ.

* * * * *

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპად გვესახება რეალურ ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთის ინვესტიციათა ეფექტიანობის შესატყვის დონემდე შემცირება. სახელმწიფოს შეუძლია ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს ინვესტიციური მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე, და შედეგად — კაპიტალური და ფინანსური აქტივებიდან შემოსავლის ნორმის ოდენობაზე. როგორც მსოფლიო საინვესტიციო პრაქტიკა გვიჩვენებს, ინვესტიციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება შემდეგი ფორმებით: სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამები; სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირი მართვა; გადასახადებისა და

შელავათების დიფერენცირებული სისტემის შემოღება; დახმარებები სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების, საბიუჯეტო სესხების სახით, ცალკეული ტერიტორიების, დარგებისა და წარმოებების განვითარებისათვის; საამორტიზაციო, საკრედიტო და ფასობრივი პოლიტიკის გატარება და სხვა.

საქართველოში საინვესტიციო სფეროსათვის დამახასიათებელია სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ძირითად საწარმოო ფონდებში ინვესტირების შემცირების ტენდენცია. მას თან ერთვის ეკონომიკური რისკების მაღალი დონე რეგიონებში, რაც განაპირობებს საბანკო ინვესტიციების მკვეთრ შემცირებას. მწირია მოსახლეობის დანაზოგები და მათი ინვესტიციებად ტრანსფორმირების შესაძლებლობები.

ამუამად, საინვესტიციო პოლიტიკა ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს. ეს მიდგომა არაეფექტიანი აღმოჩნდა ქვეყანაში არსებული, ეგრეთწოდებული საინვესტიციო შიმშილის ფონზე. მიზანშეწონილია, საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ვექტორი თანდათან გადაიხაროს რეგიონული კუთხით, რათა, უფრო ნათლად იქნას დანახული მიმდინარე ამოცანები და მათი გადაჭრის გზები.

სახელმწიფო რეგულირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება ინვესტირების ცენტრალურ და რეგიონულ წყაროებს, ცენტრალიზმსა და საბაზრო თავისუფლებას შორის.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპს უნდა წარმოადგენდეს სათანადო პირობების შექმნა კორპორატიული თანამშრომლობისათვის.

მიზანშეწონილია, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოს განვითარების ფონდი, რომლის დანიშნულება იქნება ინვესტიციური და ფუნდამენტური ინოვაციური პროგრამების დაფინანსება. საუბარია ფონდის შინაარსობრივ მხარეზე, რამეთუ, საქართველოს ბიუჯეტში რამოდენიმე წელია არსებობს ანალოგიური ფონდი, მაგრამ, მის ხარჯზე ფინანსდება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. იგი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრების თავისდროულად და ეფექტურად ათვისების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია პროექტების შერჩევის პროცედურების შემდგომი ოპტიმიზირება. ამასთან ერთად, დასახვეწია პროექტების შერჩევის კრიტერიუმები და შედეგობრივი ინდიკატორები.

საპროექტო წინადადებების მომზადება წარმოადგენს მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, - განმსაზღვრელ ეტაპს საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირებისა და განხორციელების ერთიან პროცესში. დადგენილების ეს ნაწილი მოითხოვს გაძლიერებას მოთხოვნების დაკონკრეტებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების კუთხით. სასურველია ნათლად და სრულად განისაზღვროს სამხარეო მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციები და პასუხისმგებლობა საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში.

მოქმედი დადგენილების დანართი-1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს აქვთ უპირატესად ფორმალური ხასიათი და ვერ უზრუნველყოფენ სათანადოდ დასაბუთებული წინადადებების შემუშავებასა და სამინისტროში წარმოდგენას.

როგორც მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურული საჭიროებების ფორმირებას არ აქვს სისტემური ხასიათი; არ ეფუძნება წინასწარ საფუძვლიან შესწავლას და კომპლექსურ კვლევას, რათა დადგენილ იქნას საინვესტიციო ობიექტის ზოგადი საინჟინრო-ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები. შედეგად, ადგილი აქვს პრიორიტეტების ხშირ ცვლილებას, გაუმართლებელ სხვაობებს საპროექტო წინადადების, საპროექტო და სატენდერო ღირებულებებს შორის და სხვა.

საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში სუბიექტური მიდგომების გამორიცხვის მიზნით, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტებმა და სახელმწიფო-რწმუნებულებმა-გუბერნატორებმა იხელმძღვანელონ შესაბამისად, განვითარების პროგრამებით და სამოქმედო გეგმებით. სასურველია, სამხარეო მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს წინასწარ, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე განესაზღვროთ ფონდიდან მისაღები დაფინანსების სავარაუდო მოცულობები. ეს მიზანმიმართულს და რეალურს გახდის წინადადებების მომზადების პროცესს.

წინადადებების დასაბუთებულობის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებლად მიგვაჩნია წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარება, როგორცაა: ტერიტორიის გეოლოგიური გამოკვლევა, პროექტის ეკონომიკური, საბიუჯეტო და სოციალური მნიშვნელობის განსაზღვრა; შესაბამისობა რეგიონული განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან; შესაბამისობა ფინანსურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან; პროექტის რეალიზაციის ვადები; რისკის დონე; პროექტის ეკოლოგიურობა და უსაფრთხოება; შესაბამისობა კანონმდებლობასთან და სხვა.

რათქმაუნდა, აღნიშნული სამუშაოების წარმოება

დაკავშირებულია სათანადო ხარჯებთან რეგიონული ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების მხრიდან. სანაცვლოდ, ეს მოახდენს მათ მეტ კონცენტრირებას პირველი რიგის ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე, შეზღუდავს განსახილველ წინადადებათა რაოდენობას და აამაღლებს რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობას სახსრების ეფექტიანად გამოყენების საქმეში.

დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით: „ამ დადგენილების მიზნებისათვის პროექტი რეგიონულად განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის განხორციელების არეალი ან მისი განხორციელებიდან მიღებული შედეგი მოიცავს ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულს“. ამ ფორმულირებით, რეგიონულად არ მიიჩნევა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროექტები, რაც წარმოშობს გარკვეულ გაუგებრობას სახელმწიფო ბიუჯეტის აღნიშნული ფონდის დანიშნულებიდან და შესაბამისად - დასახელებიდან გამომდინარე. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტი რომ რეგიონული პროექტია, - ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შესაბამისად, საჭიროდ მიგვაჩნია ზემოაღნიშნულის ახალი რედაქციით ფორმულირება.

ჩვენის აზრით, ფონდის ხარჯზე დაფინანსებული ყველა პროექტი რეგიონულ პროექტად უნდა მივიჩნიოთ. პროექტებს შორის განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ ღირებულებისა და ტერიტორიულ მასშტაბის მიხედვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად, პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი მუნიციპალური მასშტაბისა და მნიშვნელობისა და ღირებულების მიხედვით სავსებით განეკუთვნება ადგილობრივი ბიუჯეტით გადასაწყვეტ პრობლემათა რიგს. ეს მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მნიშვნელოვანწილად, ხომ არ ახდენს ადგილობრივი ბიუჯეტების საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული ხარჯების დაფინანსებას და წარმოადგენს მათ დანამატს. ამიტომ, პრინციპულად უნდა გაიმიჯნოს საინვესტიციო ფუნქციები ცენტრს, რეგიონულ ადმინისტრაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის.

დადგენილების უმნიშვნელოვანესი საკითხია პროექტების შერჩევის კრიტერიუმები (მუხლი 3). დადგენილებაში კრიტერიუმებად მოტანილია:

ა) საპროექტო წინადადებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა კონკრეტული რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან და მოცემული თვითმმართველი ერთეულის განვითარების პროგრამასთან (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა საპროექტო წინადადების შერჩევისა და პროექტის განხორციელების პროცესში;

გ) პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობა;

დ) თვითმმართველი ერთეულის საწარმოო-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება;

ე) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
ვ) ადგილი არა აქვს სხვა ორგანიზაციების პროგრამებსა და აქტივობებთან დაბლირებას;

ზ) მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მომსახურების სფეროებში, აგრეთვე მოსახლეობის უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღი და კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილთაგან უმრავლესობა თავისი არსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მიჩნეულ იქნას პროექტების შერჩევის კრიტერიუმებად.

პირველ რიგში, აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პროექტების შერჩევის პირობები ანუ აუცილებელი შეზღუდვები/დაშვებები საკუთრივ იმ კრიტერიუმებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ მის შედეგობრივ ეფექტიანობას.

დადგენილების მე-3 პუნქტის ა), ბ), გ) და ვ) პუნქტები არსებითად წარმოადგენენ პროექტების შერჩევის პირობებს, რამდენადაც აწესებენ შეზღუდვებსა და სავალდებულო პირობებს რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და პროგრამებთან შესაბამისობის, მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის, სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობისა და სხვა პროგრამებთან კოორდინირების თვალსაზრისით. მათ სასურველია დაემატოს: პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო საკადრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სანარმოო პოტენციალის არსებობა; რეგიონის განვითარების ინოვაციური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ინფორმაციული უზრუნველყოფა; ეკოლოგიური ნორმების დაცვა; შესაბამისობა მოქმედ სამართლებრივ ბაზასთან; აუცილებელი ნედლეულისა და მასალების არსებობა; კარგი ორგანიზაციული მენეჯმენტი, მსგავსი პროექტების რეალიზაციის გამოცდილება და უნარჩვევები; საჭირო მინის ნაკვეთის ან შენობებისა და ნაგებობების არსებობა; კავშირი რეგიონული მრეწველობის განვითარებასთან; საზოგადოებრივი აზრი; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და სხვა.

რაც შეეხება დანარჩენ პუნქტებს - თვითმმართველი ერთეულის სანარმოო-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მომსახურების სფეროებში, აგრეთვე მოსახლეობის უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღი და კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, - ისინი ეხმიანებიან კრიტერიუმის ცნებას, თუმცა, საჭიროებენ შემდგომ კონკრეტიზებას.

პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის დროს მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენენ ეკონომიკური, საბიუჯეტო და სოციალური ეფექტიანობის კრიტერიუმები. კონკრეტული კრიტერიუმები სხვადასხვა რეგიონისათვის განსხვავებულია. მაგალითად, ერთისათვის შეიძლება ეს იყოს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა,

ხოლო მეორესათვის - ინოვაციური პროდუქციის ხვედრითი წონის ამაღლება წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში.

შეგვიძლია დამატებით შემოგთავაზოთ პროექტების შერჩევის კრიტერიუმები: ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება; რეგიონული ეკონომიკის განვითარება; ახალი ინოვაციური კომპანიებისა და სამუშაო ადგილების შექმნა; სამეცნიერო დამუშავებათა კომერციალიზაცია; რეგიონის იმიჯის გაუმჯობესება და ინვესტიციების მოზიდვა; ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა.

კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული პროექტების დაფინანსება შესაძლებელია რეგიონული საინვესტიციო და დარგობრივი პროგრამების ფარგლებში. კრიტერიუმები ვარიირებენ კონკრეტულ პროგრამებში ჩართულობის მიხედვით. შერჩევის პროცედურა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რათა გამოვლენილ იქნას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი პროექტები.

დადგენილების მიხედვით დაფინანსების პროცესი გაყოფილია ორ პროცედურულ ციკლად - პროექტირებისა და უშუალოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების სტადიებად. შედეგად, ერთიანი პროცედურა საკმაოდ განვლილია დროში, ხოლო, წინასწარ პროექტების შედგენისა და ექსპერტიზის შედეგად მისაღები ეფექტი, ჩვენის აზრით, მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია. ბენეფიციარებს არ გააჩნიათ მოტივაცია იზრუნონ პროექტირებისა და ექსპერტიზის ხარჯების დაზოგვაზე, რამეთუ იგი არ არის დაკავშირებული გამოსაყოფი საინვესტიციო თანხის საერთო ღირებულებასთან. პირიქით, მათ უფლებაც კი ეძლევათ 10 %-მდე გაზარდონ სამუშაოებზე განაცხადის თავდაპირველი ღირებულება (რომელც უმეტეს შემთხვევაში ისედაც სუბიექტური და მნიშვნელოვნად გაბერილია).

ჩვენი წინადადებაა, პროცედურულად, განაცხადი კომისიაზე განსახილველად წარმოდგეს საპროექტო წინადადების ან თუ ეს შესაძლებელია - პროექტის სახით (დაფინანსების საერთო თანხიდან შემდგომი ანაზღაურებით). ექსპერტიზა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინადადების წარმოდგენამდე, ისე, წინადადების წარმოდგენის შემდეგ - კომისიის მოთხოვნით.

ვფიქრობთ, აღნიშნული მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროცედურას, შეამცირებს (არანაკლებ 2-ჯერ) დაფინანსების გამოყოფის ვადებს და გაზრდის ბენეფიციართა პასუხისმგებლობასა და მოტივაციას საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვის საქმეში.

მიზანშეწონილია განხილული იქნას საკითხი საბიუჯეტო ფონდიდან არამარტო ინფრასტრუქტურული პროექტების, არამედ მენარმეობის (მცირე ბიზნესის) და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების და პროექტების დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ. დაფინანსება მიმართულ უნდა იქნას დეპრესიული რეგიონების განვითარებაზე, ინდუსტრიული ზონებისა და პარკების შექმნაზე, მონოპროფილური

ქალაქების ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215 დადგენილება „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.
3. The economic development of e region is the basis of self-government. Interntional Conference “Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges”.COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010.
4. K. Khmaladze. Methodological aspects for ensuring Regional Development. International Scientific-Practical Conference “Sustainable Economic Development Issues: Realities and Opportunities”. Kutaisi University, 2012.

ელგუჯა კონჯარია, სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია, ასოცირებული პროფესორი

Summary

Necessity of double inserting in accounting

Double inserting on accounting ,as a method about information of economic activity is set up on revealing of economic ,social, economic-legal and other attitudes in certain enterprise in real events and processes .Double inserting on accounting enables to simplify these connections , reflects these as a connection between two objects. Economical points and descriptions changes but accounting temper remains unchangeableCybernetic approach is actualized by means of double inserting as an concept of “system” which consist of interrelated elements.

These connections are revealing in categories in ‘system’ of each element’s expense and income and all these correspond debit and credit os accounting records

* * * * *

ორადი ჩანერა ანგარიშებზე, როგორც სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ასახვის მეტოდი, დაფუძნებულია ეკონომიკური, სოციალური, სამეურნეო-სამართლებრივი და სხვა ურთიერთობის რეალურ გამოვლინებაზე კონკრეტულ საწარმოში. რეალურ მოვლენებსა და პროცესებში ამ ურთიერთობის კავშირის გამოვლინება მრავალმხრივია. შორადი ჩანერა ანგარიშებში საშუალებას იძლევა გამარტივდეს ეს კავშირები, აისახოს ისინი ერთი კავშირის სახით ორ ობიექტს შორის. ეკონომიკური ურთიერთობის არსი და დახასიათება იცვლება, მაგრამ ანგარიშებში ჩანერის ხასიათი უცვლელი რჩება. ორადი ჩანერით რეალიზდება კიბერნეტიკული მიდგომა “ სისტემის” ცნებაზე დაფუძნებული ინფორმაციის ორგანიზაციაზე, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ცალკეული ელემენტებისაგან. ეს კავშირები ვლინდება კატეგორიებში “სისტემების” თითოეული ელემენტის შემოსვლასა და გასვლაში, რომელიც შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების დებეტსა და კრედიტს.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ცოტა როდია ისეთი გამოთქმები (თუ ტერმინები), რომლებიც მათი ფართო გამოყენების მიუხედავად სრულყოფილად ვერ ასახავენ შინაარსს. ამის ერთ-ერთი მაგალითია “ორმაგი ჩანერა” და “ორმაგი ბუღალტერია”.

ორმაგი ჩანერა წარმოიშვა იტალიაში და განეკუთვნება იმ პერიოდს (1250-1350წწ), როცა ბუღალტრული აღრიცხვა ჯერ კიდევ ფორმირების საწყის სტადიაში იმყოფებოდა. მას შემდეგ 700 წელზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ბუღალტრულმა აღრიცხვამ მრავალი არსებითი ხასიათის სრულყოფა-

ფა-განვითარება განიცადა, რამაც სათანადო წანამძღვრები შექმნა რუსეთში მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედიდან ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებისათვის, ხოლო საუკუნის ბოლო მეოთხედში მისი მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბებისათვის.

დადგენილია, რომ იტალიელი ვაჭრები ორმაგი ჩანერის სახით ცნობილ ორადი ასახვის ხერხს კომერციული (სავაჭრო) საქმიანობის აღსარიცხავად იყენებდნენ. ეს ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ‘ორმაგი ჩანერა’ და ‘ორმაგი ბუღალტერია’ წარმოშვა სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებამ. თანაც იგი დამკვიდრდა თითქმის 200 წლით ადრე ლუკა პაჩიოლის პირველი ნაბეჭდი წიგნის (‘ტრაქტატი ანგარიშებისა და ჩანანერების შესახებ’- 1494წ.) გამოქვეყნებამდე. უფრო მეტიც “ორმაგი ჩანერა” იმდენად ფართოდ დამკვიდრდა, აღრიცხვის პრაქტიკაში, რომ იგი ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში ორმაგი ჩანერის კანონად აღიარეს.

ორად ასახვას, მიუხედავად მისი მოქმედების ხანგრძლივობისა, დღესაც გაბატონებული ადგილი უჭირავს ცივილიზებული სახელმწიფოების ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში. ეს ნამდვილად ადასტურებს იმას, რომ ორადი ასახვა საყოველთაო ხასიათის მეთოდური ხერხია და მისი გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოდ აღიარებული მეთოდური მიდგომის მეოხებით. ორადი ასახვის თეორიის დასაბუთება შეუძლებელია რომელიმე ცალკე აღებული თეორიული არგუმენტების მოშველიებით. სწორედ ამით აისახება ის გარემოება, რომ განვლილი 700 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული “ორმაგი ჩანერის” თეორიებიდან (იურიდიული, სამართლებრივი, გაცვლითი, მათემატიკური, ორი მწკრივი ანგარიშების,) ფილოსოფიური (მიზეზობრივი) და სხვა ვერცერთმა საერთო აღიარება ვერ მოიპოვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ორადი ასახვის თეორიის კვლევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მოცემული სახელმწიფოებრივი წყობილების დროს გაბატონებული კონკრეტული იდეოლოგიით და მისი მოთხოვნების რეალიზაციის საჭიროებით, არამედ წმინდა მეცნიერული მოსაზრებებით, ჭეშმარიტი შედეგების მიღწევის საჭიროებით.

ჭეშმარიტებისათვის ორადი ასახვის თეორიის გამოკვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული შემდეგი გარემოებანიც:

1. გამოკვლევის მიზანი და მისი მოქმედების არემასშტაბი.
2. მოვლენების შესწავლისადმი მიდგომა
3. შესასწავლი საგნის ინფრასტრუქტურა

4. რატომ ხდება ცვლილებები ტოლი თანხებით?

ცნობილია, რომ ყოველგვარ კვლევას თავისი მიზანი გააჩნია. ამასთან, გამოკვლევის მიზანი შეიძლება იყოს კონკრეტული ან ზოგადი. ამისდა შესაბამისად, ზოგიერთი მათგანის გამოყენების სფერო შეზღუდულია, მცირე მასშტაბისა, ხოლო ზოგიერთისა ფართო (რეგიონის, ქვეყნის, საერთაშორისო) მასშტაბის. ორადი ასახვის თეორიის კვლევის მიზანი სცილდება რეგიონს თუ ქვეყნის მასშტაბს. იგი საერთაშორისო მასშტაბს ღებულობს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორადი ასახვის თეორია, თავის 700 წლოვანი ისტორიის მიუხედავად, დღესაც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე მისი კვლევის მიზანიც საერთაშორისო მასშტაბისაა, ზოგადსაკაცობრიო დანიშნულებისაა.

სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ორადი ასახვის თეორიის კვლევა უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ზოგად კანონზომიერებებს, რომელიც ობიექტურ, ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებელ რეალობას ასახავს, მის ძირითად დებულებებს განაზოგადებს და ყველა მეცნიერების საგნისა და მეთოდის ზოგადთეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ასეთ მეცნიერებას მიეკუთვნება შემეცნების თეორია-ფილოსოფია.

ცნობილია, რომ გარდა სინამდვილის გარკვეული, სპეციფიკური სფეროებისა, არსებობს აგრეთვე ისეთი ფაქტი სინამდვილისა, რომელსაც არც ერთი კონკრეტული დარგი მეცნიერებისა არ სწავლობს. ასეთია თვითონ შემეცნება, შემეცნების პროცესი როგორც საგანი, რომელსაც შემეცნების თეორია (ფილოსოფია) სწავლობს. შემეცნების თეორია პირდაპირი გაგებით დიალექტიკაა, მეცნიერული მოძღვრებაა მოძრაობისა და განვითარების შესახებ. განვითარების ზოგადი კანონების ცოდნა კი შესაძლებლობას გვაძლევს გავერკვეთ წარსულში, სწორად გავიგოთ მიმდინარე პროცესები და განვჭრიტოთ მომავალი. ამიტომ იგი წარმოადგენს კვლევისა და შედეგებზე დაფუძნებული პრაქტიკული მოქმედებისათვის მიდგომის ხერხს. უფრო მეტიც, დიალექტიკა განიხილება არა როგორც მხოლოდ მეცნიერული თეორია მოძრაობისა და განვითარების შესახებ, არამედ როგორც შემეცნების მეთოდი და როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის.

სინამდვილის სპეციფიკური სფეროების შესწავლისას, ყოველი სპეციალური მეცნიერება გულისხმობს და იყენებს ისეთ ცნებებს-კატეგორიებს, როგორიცაა კანონი, ჭეშმარიტება, მიზეზობრიობა, არსება, რომელთა გარეშე ეს მეცნიერებანი ვერ განახორცილებენ თავიანთ მიზანს, ვერ გამოიკვლევენ საგანს, მათი კვლევის ობიექტს.

ყოველივე ეს თანაბრად ეხება ბუღალტრულ აღრიცხვის მეცნიერებას საერთოდ და ორადი ასახვის თეორიას კერძოდ. მაშასადამე, მხოლოდ დიალექტიკის საყოველთაოდ აღიარებული კვლევისა და მე-

თოდოლოგიის გამოყენებით შეიძლება ჭეშმარიტად მეცნიერული შემეცნება. ყოველი მოვლენა უნდა განვიხილოთ და შევისწავლოთ მოძრაობის, ცვლილებისა და განვითარების მდგომარეობაში, ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. სწორედ ასეთ განაჭერში უნდა იქნეს შესწავლილი ორადი ასახვის თეორია, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევის შედეგები მეცნიერული დასკვნების მისაღებად არ გამოდგება.

როცა უკვე ცნობილია საყოველთაო ხასიათის კვლევის მეთოდოლოგია, საჭიროა განისაზღვროს კვლევის საგანი, ჩვენთვის-ბუღალტრული აღრიცხვის საგანი.

ბუღალტრული აღრიცხვის საგანი, ზოგადი გაგებით, არის წარმოების პროცესი, რომელიც უაღრესად მრავალგვარი და მრავალწახნაგოვანი შედეგნილობისაა. წარმოების პროცესში ბუღალტრული აღრიცხვა სწავლობს შრომას, შრომის საგანს და შრომის საშუალებებს. ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით შეისწავლება ერთმანეთთან განუყოფელ კავშირურთიერთობასა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფი ცოცხალი და განვითარებული შრომა, მოძრაობაში მყოფი ღირებულება, ამ ღირებულების ზრდა.

აქედან გამომდინარეობს საბოლოო დასკვნა: თუ წარმოების პროცესი (ანუ ბუღალტრული აღრიცხვის საგანი) ერთმანეთთან განუწყვეტელ კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფ შრომას, შრომის საგანს და შრომის საშუალებებს გულისხმობს იგი თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ წარმოების პროცესი ორადი ხასიათისაა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ორადი ხასიათისაა აგრეთვე შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებები.

ასევე ითქმის სამეურნეო ოპერაციების შესახებ: წარმოების პროცესი (სამეურნეო საქმიანობა) ერთმანეთთან განუყოფელ კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფი სამეურნეო ოპერაციების ერთობლიობაა. ამდენად, სამეურნეო ოპერაცია წარმოების პროცესის უმცირესი და უმარტივესი შემადგენელი ნაწილია- მიკრო პროცესია. ამიტომ ორადი ხასიათი მისთვისაც თანაბრად დამახასიათებელია.

სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები გნპირობებულია არა თვით ოპერაციების (როგორც სამეურნეო საქმიანობის ელემენტის) ფუნქციური როლით, მათი ქმედითუნარიანობით, არამედ იმით, რომ ყოველი მათგანი, თავისი შინაგანი ბუნებით, შინაგანი არსით ორადი ხასიათისაა. ორადია იმით, რომ თვით წარმოების პროცესს აქვს ორადი ხასიათი. ეს კი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი რეალობაა, ობიექტური სინამდვილეა.

მაშასადამე, ორადი ასახვა არის ობიექტური რეალობის შესაბამისი ასახვა. ამიტომ, რომ ორადი ასახვის ხერხის გამოყენებამ საუკუნეებს გაუძლო. შრომის ორადი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანის პოტენციური ენერჯის დახარჯვას, ანუ წარ-

მოების ხარჯების გადიდებას, ხოლო მეორე მხრივ მომუშავეთათვის კუთვნილი საზღაურის ფორმირებას. ეს ერთი და იგივე პროცესია. შეუძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შრომის ხარჯვა და მისი კუთვნილი საზღაურის ფორმირება, რადგან მათ შორის განუყოფელი კავშირია და ერთმანეთს განაპირობებენ — დახარჯული შრომა განაპირობებს კუთვნილი ანაზღაურების ფორმირებას და პირიქით — კუთვნილი ანაზღაურება არ არსებობს შესაბამისი დახარჯვის გარეშე. სწორედ ესაა ამ მოვლენის ორადი ხასიათი და იგი ასთივე განაჭერში უნდა აისახოს ანგარიშებშიც, თანაც თანატოლი თანხებით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღრიცხვა ობიექტური სინამდვილის რეალური ამსახველი ვერ იქნება და ბუღალტრული აღრიცხვაც ვერ შეასრულებს წარმოების კონტროლსა და აზრობრივი განზოგადების დიდმნიშვნელოვან ფუნქციას.

წარმოების პროცესში მყოფი შრომის საგანიც ორადი ხასიათისაა და ის მხოლოდ მისი მოძრაობისას ვლინდება.

შრომის საშუალებების ორადი ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ საბალანსო ღირებულებების მომხმარებელი ნაწილი ერთდროულად გულისხმობს ერთი მხრივ წარმოების ხარჯების გადიდებას და მეორე მხრივ შრომის საშუალებების საბალანსო ღირებულების შემცირებას. ამიტომ ბუნებრივია მათი ღირებულებითი სიდდეებიც თანატოლია.

სამეურნეო ოპერაციების ორადი ასახვა, შესაბამისი ანგარიშთა სისტემა და ბუღალტრული ინფორმაციის ბალანსური განზოგადება განუყოფლად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, განაპირობებენ ერთიმეორეს და ქმნიან ბუღალტრული აღრიცხვის ორად სისტემას.

კვლავწარმოების პროცესის ორადი ხასიათი და მისგან განპირობებული ორადი ასახვა თანაბრად დამახასიათებელია აგრეთვე მისი სამივე სტადიისათვის (მომარაგება, წარმოება, რეალიზაცია).

მომარაგების სტადიაზე ხდება წარმოების საშუალებების შექმნა, ხოლო ყიდვა (როგორც წესი) იმავდროულად გულისხმობს გაყიდვას. ამიტომ ყიდვა — გაყიდვაც ტოლფასოვანი ღირებულებებით ხდება და ანგარიშებშიც ასახვა შესაბამისად ხდება — ერთი მხრივ ყიდვა და მეორე მხრივ გაყიდვა.

წარმოების სტადიაზე ვენევით შრომით და მატერიალურ ხარჯებს. ამით ერთი მხრივ იზრდება წარმოების ხარჯები და მეორე მხრივ ფორმირდება შრომის ანაზღაურება, მცირდება მატერიალური რესურსები ან იზრდება ძირითადი საშუალებების ცვეთა. ასეთი ოპერაცია ანგარიშებშიც შესაბამისად ორმხრივად უნდა აისახოს გატარებით.

რეალიზაციის სტადიაზე ხდება სასაქონლო პროდუქციის გაყიდვა. ვინაიდან იგი მომარაგებასთან ერთად, მიმოქცევის სფეროს განეკუთვნება, მომარაგების სტადიის საქმიანობის ორადი ხასიათი და შესაბამისი ასახვა თანაბრად ეკუთვნის რეალიზაციის სტადიასაც.

სააღრიცხვო ლიტერატურაში, ხშირად ვხვდებ-

ით შემთხვევებს, როცა სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეულ ცვლილებებს ამ ოპერაციების ქმედითუნარიანობით, მათი ფუნქციონალური როლით ხსნიან, რაც არ არის სწორი. საქმე იმაშია, რომ სამეურნეო ოპერაცია, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ელემენტი თვითონ კი არ განაპირობებს ოპერაციების ქმედითუნარიანობას ან მათ ორად ხასიათს, არამედ ის ავლენს მათ ბუნებას, ორადობას და აქედან გამომდინარე ორადი ასახვის აუცილებლობასაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორად ასახვას ექვემდებარება არა მარტო სამეურნეო ოპერაცია (ფულში ჩამოსახული მოქმედება, რომელიც ცვლილებებს იწვევს ან საშუალებებში ან წყაროებში და ან ორივეში ერთდროულად), არამედ სხვა სამეურნეო აქტივებიც, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ სამეურნეო ფაქტის რეგულირება, დაზუსტება, ერთი ანგარიშიდან კუთვნილების მიხედვით მეორე ანგარიშზე გადატანა და სხვა. ასეთია მაგალითად: არაპირდაპირი ხარჯების განაწილება თვის (ან წლის) ბოლოს, რეალიზაციის ანგარიშის სადებეტო ნაშთის (ზარალის) გადატანა ფინანსური შედეგების ანგარიშზე, რეალიზაციის ანგარიშის საკრედიტო ნაშთის (მოგება) გადატანა ფინანსური შედეგების ანგარიშზე, მეურნეობის ხარჯზე მიღებული ბუნებრივი დანაკლისის ჩამოწერა, გეგმიური თვითღირებულების დაყვანა (ან აყვანა) ფაქტობრივის დონემდე და სხვა. ვინაიდან ასეთი სამეურნეო აქტებიც სამეურნეო საქმიანობის ორადი ხასიათით არიან განპირობებული და ორადი ასახვის წესით აისახებიან, მათ პირობითი სამეურნეო ოპერაციები შეიძლება ვუწოდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოდერძიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, თბ, 1998წ.
2. გ. თოდუა, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, (საერთაშორისო სტანდარტებით). თბ, 2002წ.
3. ე. კუპრეიშვილი, ვუღალტრული აღრიცხვის კურსი, თბ, 2002წ.
4. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბ, 2007წ.
5. ნ. კვატაშიძე ფინანსური აღრიცხვა, პირველი ნაწილი, თბ, 2000წ.
6. ი. მესხია. დ. ჯალალონია, ბუღალტრული აღრიცხვა, თბ, 2006წ.

რისკები, რისკების მართვის მეთოდები, რისკებისგან თავის არიდება

მარიამ შიუკაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი
ია აფციაური, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

რისკების მართვის ამოცანა დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე. დღესდღეისობით უამრავი ინფორმაცია არსებობს მიწისძვრების, წყალდიდობის, ხანძრების, საგზაო შემთხვევების შესახებ, რომლებსაც თან სდევს ქონების განადგურება, ადამიანთა დასახიჩრება და მსხვერპლი. სტატიაში ვისაუბრებთ რისკების შესახებ, რისკების სახეობებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნეს საქმიანობასთან, ზარალის წარმოქმნის შემთხვევაში რა გზებს უნდა მივმართოთ, თუ როგორ ხდება რისკისგან თავის არიდება, რისკის შემცირება, აქვე აღწერილია დაზღვევადი და დაუზღვევადი რისკები.

საკვანძო სიტყვები: რისკები, სპეკულაციური რისკი, სუფთა რისკი, თვითდაზღვევა

Summary

Risks, Methods of Risk Management, How to avoid Risks

Risk management is becoming increasingly topical in the world of current events. Nowadays there is a lot of information about earthquakes, fires, traffic accidents, which are accompanied by the destruction, mutilation and human sacrifice. Now we'll talk about the risks, the risks to the species, which are related to business activities, the ways to turn to in case of loss, how to avoid risk, risk reduction, there is described insurable and uninsurable risks too in this article.

Keywords: Risks, Speculative Risk, Pure Risk, Self Insurance

შესავალი

რისკების მართვის ამოცანა დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე. ყოველდღიურად საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ მიწისძვრების, წყალდიდობის, ხანძრების, საგზაო შემთხვევების შესახებ, რომლებსაც თან სდევს ქონების განადგურება, ადამიანთა დასახიჩრება და მსხვერპლი. ამგვარ ცნობებს — ინფორმაციებს იმდენად მივეჩვიეთ, რომ ჩვენ მათ ვიღებთ როგორც ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს.


ბიზნესის თვალსაზრისით ამ მოვლენებს ცოცხა

სხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭება. მენარმეებმა უნდა დაფარონ ზარალი და გადაუხადონ საკომპენსაციო თანხები იმ ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები. გარდა იმ მოვლენებისა რომლებიც “ცხელი” ამბების სახით ხვდება საინფორმაციო გადაცემებში, არსებობს ათასობით სიტუაცია რომელიც შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი — წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევიდან დაწყებული, სხეულის დაზიანებით დამთავრებული, რომელიც გამონვეულია წარმოების მიერ გამოშვებული ნუნდებული საქონლით.

ძირითადი ნაწილი

როდესაც ვამბობთ რისკს, ჩვენ ვგულისხმობთ ზარალის შესაძლებლობას, ზარალის შესაძლებლობის ხარისხს და შესაძლებელი ზარალის მოცულობას. არსებობს „რისკის“ ცნების მრავალი განმარტება. შეიძლება ჩამოვყალიბოთ მოცემული სფეროსთვის ამ ცნების განსაზღვრის საკმაოდ დეტალიზებული მიდგომები. კერძოდ, რისკი შეიძლება განიმარტოს როგორც კონკრეტული ფინანსური დანაკარგების დონე გამოსახული: ა) დასახული მიზნის მიუღწევლობაში; ბ) პროგნოზირებული შედეგის განუსაზღვრელობაში; გ) პროგნოზირებული შედეგის სუბიექტურ შეფასებაში. ამიტომ

კაპიტალის ჩადების ობიექტები, რომლებიც ასოცირდებიან დანაკარგების უფრო მეტ ზომასთან, განიხილებიან როგორც უფრო რისკიანი. ბიზნესში არსებობს რისკის რამოდენიმე სახეობა:



ნახ.1 ფინანსური რისკის კატეგორიები

სუფთა რისკი — განისაზღვრება როგორც ზარალის წარმოქმნის საშიშროება მოგების მიღების შანსის გარეშე. სუფთა რისკს ადგილი აქვს მაგალითად, ხანძრის დროს, უბედური შემთხვევის ან სხვადასხვა დაზიანებების დროს. თუ ანალოგიური მოვლენები

ხდება, კომპანია კარგავს ფულს, ხოლო თუ არ ხდება — კომპანია არ იღებს არაფერს.

სპეკულაციური რისკი — ეს რისკის ისეთი ტიპია რომელიც ითვალისწინებს, როგორც მოგების, ასევე ზარალის შესაძლებლობას. სპეკულაციური რისკს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მაგალითად, თქვენ დებთ ფსონს იზოდრომზე, ტოტალიზატორზე ან თამაშობთ პოკერს. ასეთივე რისკებს მიეკუთვნება ფირმის ქმედება, როდესაც ის მიისწრაფის მოგების გაზრდისაკენ ოფციონების, ახალი მონეობილობების, დამატებითი სასაქონლო-მატერიალური რესურსების შეძენის და მსგავსი სხვა ქმედებების ხარჯზე, რომელთა შესრულების დროს ზარალის ალბათობა მცირეა, ხოლო მათი მოცულობა წინასწარ არის ცნობილი.

რისკის მართვის მეთოდები.

რისკებისგან თავის არიდება

ბიზნესში განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს სუფთა რისკი. ასეთი რისკები ემუქრება თვით კომპანიის არსებობასაც კი. ამგვარი რისკების არსის განსაზღვრის შედეგად, კომპანიას შეუძლია განახორციელოს რისკების მართვასთან დაკავშირებით, შემდეგი ქმედებები:

1. რისკის შემცირება; ფირმას შეუძლია შეამციროს რისკის წარმოქმნის საშიშროება ისეთი პროგრამების დანერგვით, როგორცაა, მაგალითად, ტრენინგები ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაზე, უსაფრთხოების ტექნიკის შემოწმება, მონეობილობების რემონტი, სანიტარული განათლება, უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებელი ქმედებები და ა.შ. ბევრ მაღაზიაში დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, რომელთა საშუალებით მაღაზიის მფლობელები ცდილობენ გაქურდვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას.

2. რისკისაგან თავის არიდება; ხშირად რისკი გარდაუვალია. შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ხანძარი, გაქურდვა, საავტომობილო ავარია ან სხეულის დაზიანება. მეორეს მხრივ ბევრი კომპანია ცდილობს თავიდან აიცილოს რისკი, გამორიცხავენ — უარს ამბობენ რა თავიანთ საქმიანობაში სახიფათო, საშიშ სამუშაოებზე, ან ამგვარი სამუშაოების ჩატარებაზე კონტრაქტს დებენ სხვა ფირმებთან.


3. რისკისაგან თვითდაზღვევა; თვითდაზღვევა არის ქმედება როდესაც კომპანია დამოუკიდებლად ცდილობს განსაკუთრებულ სიტუაციებში დაფაროს ზარალი. ამისათვის ის წინასწარ ქმნის სპეციალურ სადაზღვევო ფონდს და უარს ამბობს სადაზღვევო პოლისის შექმნაზე. როგორც წესი, თვითდაზღვევას კომპანიები მიმართავენ ჩვეულებრივი სარჩელის დასაკმაყოფილებლად, ხოლო “კატასტროფის შემთხვევებისათვის” იძენენ სადაზღვევო პოლისებს. თვითდაზღვევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა შედგება ერთმანეთისაგან დაშორებული ფილიალებისაგან. ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილია იმ რისკების მართვა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძართან, გაქურდვასთან და სხვა ამგვარ ზარალთან. ხოლო იმ ფირმებისათვის, რომლებსაც დიდი ოდენობით ქონება კონცენტრირებული

აქვთ ერთ ადგილას და უბედური შემთხვევის დროს შეიძლება მთლიანად იყოს განადგურებული,

4. დაზღვევის ყიდვა; უნდა ვალიაროთ, რაც არ უნდა ზედმინევით ზუსტად შევასრულოთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებულია რისკების თავიდან აცილებასთან, ის მხოლოდ ამცირებს რისკის ალბათობას, რადგანაც სხვადასხვა სახის უბედური შემთხვევისაგან ასი პროცენტით თავის არიდება წარმოუდგენელია — ისინი მაინც ხდება. აქედან გამომდინარე, იმ მიზნით რომ კომპანიებმა შეამცირონ მოსალოდნელი დანაკარგები (ზარალი) ისინი მიმართავენ სადაზღვევო კომპანიებს.

რეალურ სიტუაციაში რისკი არასოდეს არაა 0-ის ტოლი, მაგრამ მაგალითად საბანკო სექტორში, ბანკმა უნდა განსაზღვროს მისი მოცულობითი მაჩვენებლები. მთავარია — არ გადააჭარბოს რისკის განსაზღვრულ სიდიდეს, რის შემდეგაც უკვე ირღვევა წრფივი დამოკიდებულება (წრფე იღებს პარაბოლის სახეს). და წარმოიშვება მხოლოდ ნაგების მიღების საშიშროება, რისკის დასაშვები ზონიდან გამოუსვლელად.

რისკი



ნახ.2 შემოსავლიანობა და რისკი

იზრდება რისკის დონე, როდესაც:

- მოულოდნელად და სწრაფად წარმოიშობა პრობლემები;
- დასმული ახალი ამოცანები არ შეესაბამება ბანკის ძველ გამოცდილებას;
- ბანკის ხელმძღვანელებს არ ძალუძთ მიიღონ აუცილებელი და სასწრაფო ზომები, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ სიტუაცია;
- საბანკო საქმიანობის არსებული წესი ან საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა ხელს უშლის კონკრეტული სიტუაციისთვის ოპტიმალური ზომების მიღებაში.

დასკვნა

ზემოთ განხილული რისკების სისტემა საშუალებას იძლევა ბიზნესის ზოგიერთი სახისთვის, მაგალითად ვაჭრობისათვის, გადავწყვიტოთ პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც დაზღვევასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისას ადეკვატურად უნდა გავითვალისწინოთ ის რისკები, რომლებიც ახლავს საქმიანობის ამ სფეროს და რეალურად არსებობენ შესაბამის რისკების ქვესივრცეში.

საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. მაგალითად კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისგან, ახორციელებენ მათ შემდეგ გადასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს, კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღდო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომ ჩვეულებრივი კომპანიებისგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგ, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 2004
2. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია (ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი), თბ. 2007.
3. Москвин В.А.. Управление рисками при реализации инвестиционных проектов. М.:»Финансы и статистика»,2004
4. <http://www.grandars.ru>
5. <http://www.nplg.gov.ge/>
6. <http://www.nbg.gov.ge>

მდგრადი არქიტექტურის კონსერვაცია უმაღლეს

არქიტექტურულ განათლებაში

ლევან ბერიძე, სტუ-ს პროფესორი

არაფერი არ შეიცვლება, თუ ებრძვით არსებულ რეალობას. რამე რომ შეცვალოთ შექმენით ახალი მოდელი, რომელიც არსებულ რეალობას გადააქცევს უიმედოდ მოძველებულ მოდელად

რიჩარდ ბუკმინსტერ ფულერი

რეზიუმე

Резюме

მსოფლიოში აღიარებულია მდგრადი არქიტექტურის კონცეპცია. არქიტექტურულ—სამშენებლო პროექტირების თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი, მდგრადი არქიტექტურის კონტექსტში გვიჩვენებს, რომ მას საფუძვლად უდევს ახალი — ინტეგრირებული მიდგომა პროექტირებისადმი, რომლის მიხედვით არქიტექტორი ხდება ისეთი საპროექტო გუნდის წამყვანი ფიგურა, რომელიც შედგება არა მარტო საინჟინრო, არამედ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან. შესაბამისად, ასეთი ფართო სპექტრის ცოდნა და უნარები არქიტექტორმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ისეთი უმაღლესი არქიტექტურული განათლების სისტემის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ორიენტირებულია ყოვლისმომცველ პროფესიულ და დისციპლინათშორის მიდგომაზე.

სტატიაში მოკლედ მომხილულია მსოფლიო და სამამულო პრაქტიკა, განხილულია მდგრად არქიტექტურაში შემავალი კომპონენტების ერთობლიობა, მოკლედ ჩამოთვლილია ის ძირითადი ცოდნა და უნარები, რომელიც უნდა მიიღოს სტუდენტმა სწავლის დროს, მოცემულია ისეთი კურსების სისტემის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მდგრადი არქიტექტურის სწავლების მოთხოვნებს და ინტეგრირებული პროექტირების მეთოდის დაუფლებას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი არქიტექტურა; ინტეგრირებული პროექტირება; არქიტექტურული გარემო; უმაღლესი არქიტექტურული განათლება.

В мире признана концепция устойчивой архитектуры. Анализ современной практики архитектурно-строительного проектирования, в контексте устойчивой архитектуры, показывает, что в ее основе лежит новый-интегрированный подход к проектированию. согласно которому, архитектор становится ведущей фигурой такой проектной команды, которая состоит из специалистов не только инженерной, но и других отраслей. Соответственно получение такого широкого спектра знаний и навыков архитектор может при наличии такой системы высшего архитектурного образования, которая ориентирована на всеобъемлющий профессиональный и междисциплинарный подход.

В статье коротко дается обзор мировой и отечественной практики, рассматривается единство компонентов входящих в устойчивую архитектуру, коротко перечислены те основные знания и навыки, которые должен получить студент во время учебы, дана такая модель системы учебных курсов, которая предусматривает требования обучения устойчивой архитектурой и освоение методики интегрированного проектирования.

* * * * *

1993 წელს არქიტექტორთა საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს „ურთიერთდამოკიდებულების დეკლარაცია მდგრადი მომავლისათვის“. მასში ნათქვამია:

„არქიტექტურული გარემო და ცალკეული შენობები ხშირად უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნებრივ გარემოზე, ამიტომ არქიტექტორების მოვალეობაა შექმნან ისეთი არქიტექტურული გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს და, ამავე დროს, შეინარჩუნებს და კიდევაც გააუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს“.

ასეთმა არქიტექტურულმა გარემომ მიიღო დასახელება "მდგრადი არქიტექტურა".

მსოფლიოში მიღებულია მდგრადი არქიტექტურის შემდეგი განსაზღვრება:

„შენობების და მთლიანობაში არქიტექტურული გარემოს ხანგრძლივი (მდგრადი) ექსპლოატაციის

შესაძლებლობა, როგორც დღეს მცხოვრები, ისე მომავალი თაობების კომფორტული ცხოვრების და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების უზრუნველყოფის პირობით”.

ზოგადად მდგრად არქიტექტურაში იგულისხმება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა:

- შენობებში კომფორტული მიკროკლიმატის შექმნა, გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე;
 - შენობების ენერგოეფექტურობა;
 - განახლებადი ენერჯის გამოყენება;
 - შენობების ყველა ენერგეტიკული ელემენტის მთლიანობაში განხილვა და მათი ოპტიმიზაცია;
 - ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების გამოყენება.
 - სათბური აირების ემისიის შემცირება;
- ამ ელემენტებს შორის ურთიერთქმედებისა და კომპრომისების ძიება XXI საუკუნის არქიტექტორებისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ძირითადი ამოცანაა.

არქიტექტურულ—სამშენებლო პროექტირების თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი, მდგრადი არქიტექტურის კონტექსტში გვიჩვენებს, რომ მას საფუძვლად უდევს ახალი — ინტეგრირებული მიდგომა პროექტირებისადმი, რომლის მიხედვით არქიტექტორი ხდება ისეთი საპროექტო გუნდის წამყვანი ფიგურა, რომელიც შედგება არა მარტო საინჟინრო, არამედ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან.

მაგრამ ამ შემთხვევაში, პროექტირების ინტეგრირებული პროცესი მოითხოვს არქიტექტორისგან ცოდნას არა მარტო თავის დარგში, არამედ მრავალ მომიჯნავე დარგებში.

ასეთი ფართო სპექტრის ცოდნის და უნარების ფლობა, მდგრადი არქიტექტურის კონტექსტში, შესაძლებელია მხოლოდ ისეთი უმაღლესი არქიტექტურული განათლების სისტემის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ორიენტირებულია ყოველსომომცველ პროფესიულ და დისციპლინათშორის მიდგომაზე.

სწორედ ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებში შეიტანეს მდგრადი არქიტექტურის პრობლემატიკასთან დაკავშირებული კურსები.

მსოფლიოში, ჩვენგან განსხვავებით, გაცნობიერებულია სწავლების ტრადიციული მეთოდებიდან, მდგრადი არქიტექტურის პროფესიულად ორიენტირებული მოდელისკენ გადასვლის აუცილებლობა, მუშავდება რეკომენდაციები ამ პრობლემატიკის დასაწინააღმდეგებლად უმაღლეს არქიტექტურულ განათლებაში.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მდგრადი არქიტექტურის კონცეპციის გაღრმავებული შესწავლა და, მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე, თანამედროვე სწავლების მეთოდის დანერგვა, ლეზულობს განსაკუთრებულ აქტუალობას.

განვითარებული ქვეყნების უმაღლესი არქიტექტურული განათლების გეგმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იქ მდგრადი არქიტექ-

ტურის პრობლემატიკამ მიიღო საკმაოდ ფართო გავრცელება, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც აისახა ეროვნული აკრედიტაციის საბჭოს მოთხოვნებში არქიტექტურული სასწავლო პროგრამების მიმართ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, ასევე რიგ ქვეყნებში, ბაკალავრიატის საფეხურზე, ისწავლება კურსი — „არქიტექტურული ფიზიკა“, ამერიკის შეერთებულ შტატებში — კურსი სახელწოდებით „შიდა გარემოს კონტროლის სისტემები“.

ეს სასწავლო კურსები წარმოდგენას იძლევიან იმ ფიზიკურ პროცესებზე, რომლებიც წარმოიშობა შენობაში გარე ბუნებრივ სივრცეში განვითარებული პროცესების ზემოქმედებით, აგრეთვე იმ პასიურ და აქტიურ სისტემებზე, რომლებიც აუმჯობესებენ შიდა გარემოს და იძლევიან მათი კონტროლის საშუალებას. ისინი, ბაკალავრიატის საფეხურზე, მოიცავენ მდგრადი არქიტექტურის თემატიკასთან დაკავშირებულ ცალკეულ დისციპლინებს („არქიტექტურული კლიმატოლოგია“, „ბუნებრივი განათებულობა“, „ინსოლაცია და მზისგან დაცვა“, „სამშენებლო „თბოფიზიკა“, „არქიტექტურული აკუსტიკა“, „შენობების ბგერაიზოლაცია და ხმაურთან ბრძოლა“) და მათი სწავლება მჭიდრო კავშირში უნდა იყოს საკურსო არქიტექტურულ პროექტირებასთან, რაც ჩვენთან ჯერჯერობით ვერ ხორციელდება.

მოკლედ ჩამოვთვალოთ ის ძირითადი ცოდნა და უნარები, რომელიც უნდა მიიღოს სტუდენტმა სწავლის დროს და უნდა იცოდეს მომავალმა არქიტექტორმა პროექტირების ინტეგრირებული პროცესის წარმართვისათვის:

- მშენებლობის რაიონის ბუნებრივ—კლიმატური პირობების შესწავლა და ანალიზი; კლიმატური პასპორტის შედგენა;
- მდგრადი განვითარების კონტექსტში, არქიტექტურულ—გეგმარებითი კონცეპციის ჩამოყალიბების უნარი;
- შენობის ფორმის და ენერგოდამზოგავი სივრცით—გეგმარებითი სტრუქტურის სწორი შერჩევა; გარე შემოზღუდვების ფართების მინიმიზაციით შიდა მოცულობის მაქსიმალური გამოყენების საშუალების გამოწინააღმდეგება;
- ანგარიშებზე დაყრდნობით შემომზღუდავი კონსტრუქციების პარამეტრების შერჩევა და თბოიზოლაციის ტიპის განსაზღვრა — ზამთრის პერიოდში თბოდანაკარგების შესამცირებლად და ზაფხულის პერიოდში გადახურების ასაცილებლად;
- შენობის სწორი ორიენტაციის და შესაბამისი მზისგანდამცავი მოწყობილობების შერჩევა ინსოლაციისა და ქარის რეჟიმის გათვალისწინებით;
- ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიშების ჩატარება;
- განახლებადი ენერჯის არსებული წყაროების, მათი მოქმედების ფიზიკური პრინციპების და მდგრადი არქიტექტურის სფეროში მათი გამოყენ-

ების ცოდნა;

- გათბობის სისტემაზე დატვირთვის შესა-
მცირებლად, განახლებადი ენერჯის მიღების და
აკუმულირების პასიური და აქტიური მეთოდების
ცოდნა;

- შემოქმედებითი პროცესის წარმართვა
მდგრადი არქიტექტურის კონცეპციაზე დაყრდნო-
ბით, ლოგიკური და გამართლებული, ესტეტიურად
მისაღები არქიტექტურული ფორმის შექმნის, მოც-
ულობით—სივრცითი სწორი გადანწყვეტის შეძლების
უნარი.

მდგრადი არქიტექტურის და მასთან დაკავ-
შირებული დისციპლინების სწავლების დეტალური
ანალიზი გვაძლევს ისეთი კურსების სისტემის
მოდელის ფორმირების საშუალებას, რომელიც ით-
ვალისწინებს მდგრადი არქიტექტურის სწავლების
მოთხოვნებს და ინტეგრირებული პროექტირების მე-
თოდის დაუფლებას.

ასეთი მოდელის საფუძველში უნდა იდოს:

- სტუდენტური ცხოვრების დაწყებიდანვე,
მდგრადი არქიტექტურის განვითარებაზე ორი-
ენტირებული პროფესიული მსოფლმხედველო-
ბის გამომუშავება;
- იმ დისციპლინების ჩამონათვალის და სწავლებ-
ის საათების გაფართოება, რომლებიც მოიცავენ
მდგრადი არქიტექტურის სხვადასხვა ასპექტებს;
- მდგრადი არქიტექტურის პრობლემატიკის არ-
სებობის მუდმივობა სწავლების მთელი კურსის
განმავლობაში;
- პრაქტიკული ინტეგრირებული მეცადინეობების
ჩატარება მდგრადი განვითარების არქიტექტუ-
რული ამოცანების გადასაწყვეტად.
- საკურსო და სადიპლომო პროექტირების პრო-
ცესში გამოცდილი პრაქტიკოსი არქიტექტორე-
ბის ჩართვა.

ასეთი სწავლების მოდელი ქმნის თეორიულ ბაზას
თანამედროვე არქიტექტურული განათლების განვი-
თარებისთვის და იძლევა მდგრადი არქიტექტურის
პრობლემატიკის დანერგვის, პოტენციალური შესა-
ძლებლობების გამოვლენის საშუალებას.

საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე, სასწავლო
კურსში ისეთი არჩევითი დისციპლინების ჩართვა,
რომლებიც იძლევიან უფრო ღრმა ცოდნას მდგრადი
არქიტექტურის კონცეპციის ცალკეულ ასპექტებში,
აგრეთვე მიეცეს სტუდენტებს საშუალება შეისწავ-
ლონ საგნები არჩევით, არქიტექტურული პროგრამის
მიღმა.

პერსპექტიულია, აგრეთვე, წინადადება შეტანი-
ლი იქნეს სწავლების ზედა კურსებზე კომპლექსური
საკურსო პროექტის დამუშავება, სხვა სპეციალობებ-
ის სტუდენტებთან ერთად, როგორც სამშენებლო—
საინჟინრო, ასევე სოციალურ—ჰუმანიტარული მიმა-
რთულების.

სწავლების ასეთი მოდელი, უკვე სტუდენტური
მერხიდან, მიაჩვევს სტუდენტ—არქიტექტორს კომ-
პლექსურ აზროვნებას, ინტეგრირებულ პროექტირე-
ბას და მუშაობას გუნდში, რომელიც შედგება სხვა-

დასხვა დარგის მომავალი სპეციალისტებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო სიმპოზიუმი “მდგრადი არ-
ქიტექტურა: დღევანდლობა და მომავალი”.
17.11.2011 - 18.11.2011
2. Ченчик Елена Михайловна. «Концепция
устойчивой архитектуры в высшем
профессиональном образовании». Диссертация.
2005.

კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფლის რისკის მართვის თავისებურებები

გიორგი ხანთაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

* * * * *

ბანკებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდებით საქმიანობას ეწევიან, უნდა შეეძლოთ ინსტრუმენტების რისკების შეფასება მათ შექენამდე. ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე, ბანკმა უნდა შეაფასოს ინსტრუმენტი, რათა უზრუნველყოს მის მიერ სხვადასხვა მიზნის, რისკისადმი ამტანობისა და ბანკის პოლიტიკით გათვალისწინებული მითითებების შესრულება.

ბანკებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თავიანთი მიზნები და დაადგინონ მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ფასიანი ქაღალდების ტიპები. ამ მიზნების საფუძველზე უნდა მოხდეს ცალკეული ინსტრუმენტის შექენა და ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის, სტრატეგიისა და პროგრამების მუშაობისა და ეფექტურობის პერიოდული შეფასება.

მაღალი ლიკვიდობის დონისა და ბაზარზე მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფისაკენ მისწრაფებით, კომერციულმა ბანკმა საკუთარი საინვესტიციო სტრატეგიის ერთ-ერთი პრობლემა – ბანკის მენაბრეებისა და მისი აქციების მფლობელების არათავსებადი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა გადაწყვიტოს.

Summary

Portfolio risk management Features of commercial bank bonds'

Banks, which have bonds in their activity should be able to assess risks connected with an instrument while purchasing the bonds. Before conducting any operation bank should assess an instrument, in order to ensure achievement of goals, existence of risk bearing capacity and performance of commands defined by bank policy.

Banks should clearly define their goals and types of bond necessary for implementation the goals. Purchase of some instrument, and periodic assessment of bonds' portfolio, strategy and effectiveness and operation of programs should be conducted based on the goals.

Commercial bank should solve one of the problems - to serve the incompatible interests of bank depositors and shareholders by means of high liquidity levels and aspiration to ensure sustainability of a work on a market.

ბაზარზე მკაცრი კონკურენციის პირობებში კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს. ბანკების ინვესტიციებს უნოდებენ სახსრებს, რომლებიც შედარებით ხანგრძლივი პერიოდით კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებშია დაბანდებული.

მაღალი ლიკვიდობის დონისა და ბაზარზე მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფისაკენ მისწრაფებით, კომერციულმა ბანკმა საკუთარი საინვესტიციო სტრატეგიის ერთ-ერთი პრობლემა – ბანკის მენაბრეებისა და მისი აქციების მფლობელების არათავსებადი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა გადაწყვიტოს.

საინვესტიციო საქმიანობის პრინციპული დებულებებიდან, ასევე, ფასიანი ქაღალდებში სახსრების დაბანდების ძირითად ფაქტორებს – შემოსავლიანობას, ლიკვიდობასა და რისკს შორის რეალურად არსებული ურთიერთკავშირისგან გამომდინარე, ნებისმიერი ბანკი ამა თუ იმ სახის საინვესტიციო პოლიტიკას უარესად ან უკეთესად ახორციელებს.

ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის შემცირების ერთ-ერთი მეთოდია დივერსიფიკაცია. იგი ბანკის პორტფელში მრავალი სახეობის ფასიანი ქაღალდების არსებობას ნიშნავს.

საინვესტიციო სტრატეგიის რეალიზაცია ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- კონტროლის (ძირითადად - ფინანსურის) საფუძველზე მართვა, სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ექსტრაპოლაციის საფუძველზე მართვა, როდესაც პერსპექტივაში იგივე ტენდენციებია მოსალოდნელი, რაც წინა პერიოდში იყო;
- პრინციპულად ახალი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე მართვა, როდესაც ბაზარზე განვითარების აბსოლუტურად ახალი ტენდენციები წარმოიშობა;
- მიღებული ოპერატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე მართვა საგანგებო გაუთვალისწინებელი გარემოებებისას.

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციისას მსხვილი კომერციული ბანკები მართვის სტრუქტურაში სპეციალურ საინვესტიციო განყოფილებებს ქმნიან. რამდენად მაღალია აღნიშნული განყოფილებების თანამშრომლების კვალიფიკაცია, იმდენად მაღალია შესრულებადი მუშაობის ხარისხიც.

ბანკის ინვესტიციები შედგება ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელთა მეორად რეზერვში ჩართვა

არ შეიძლება. ისინი, მათი დაფარვის საფეხურიანი ვადების საფუძველზე, მეორადი რეზერვის შევსების ამოცანას წყვეტენ, ამიტომ მათ შეიძლება მეორადი რეზერვის საყრდენი ვუნოდოთ.

არსებობს მოსაზრება, რომ ინვესტიციები ორ მიზნისათვის გამოიყენება – შემოსავლების მიღებისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნულ მიზნებს შორის დაბალანსება ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ბანკს საინვესტიციო სფეროში და საბანკო ბალანსის ლიკვიდობის საკმარისი დონის უზრუნველყოფისათვის მკაფიო პოლიტიკის შემუშავება მოეთხოვება.

თუ მეორადი რეზერვი, ანაზრების გატანისა და სესხებზე მოთხოვნის გადიდებასთან დაკავშირებით, ამონაურულია, მაშინ ბანკის ლიკვიდობის აღსადგენად იგი მოკლე დროის განმავლობაში უნდა შეივსოს. თუ აღნიშნულის შესრულება სახსრების მოზიდვის გზით ვერ ხორციელდება, მაშინ პორტფელიდან ფასიანი ქაღალდების გაყიდვა გახდება აუცილებელი. ასეთი გაყიდვა გახდება საჭირო ფულად ბაზარზე მდგომარეობის გაუარესებისა და კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის პერიოდშიც, როდესაც ფასიანი ქაღალდებზე მოთხოვნა ეცემა. ასეთ სიტუაციაში ბანკმა საკუთარი ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია თავისთვის გარკვეული ზარალით უნდა მოახდინოს, მაგრამ იმის იმედით, რომ აღნიშნულ პერიოდში გაცემული კრედიტების მიხედვით პროცენტები გადაფარავს დაბალი ფასების მიხედვით ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებულ ყველა დანაკარგს და ამით რისკის კომპენსაცია მოხდება.

ინვესტიციებს უნდა შემოჰქონდეს შემოსავალი, რომელიც სხვა დანარჩენი დაბანდებებიდან (მათ შორის, საკრედიტოდანაც) მიღებულ შემოსავლებთან იქნება შედარებადი. მაგრამ, მეორე მხრივ, ინვესტიციები, თავისთავად, საბანკო აქტივს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად.

სახსრებში უეცარი მოულოდნელი მოთხოვნის წარმოშობისას შეიძლება პირველადი რეზერვის ნაწილი იქნეს გამოყენებული და საჭიროების შემთხვევაში მეორადი რეზერვი შემცირდეს. შეიძლება მოთხოვნამდე გაცემული სესხების დაფარვა იქნეს განხორციელებული და ვადაგასული სესხების განახლებაზე ითქვას უარი. საკმაოდ კომპეტენტური ქმედებების შედეგად სესხი ცენტრალური ბანკიდანაც შეიძლება იქნეს აღებული. მაგრამ პირველადი და მეორადი რეზერვების მინიმალური სიდიდისას ნაღდი ფულადი სახსრების მიღების ყველაზე მისაღები ხერხია არსებული საინვესტიციო პორტფელის ნაწილის გაყიდვა.

ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა ლიკვიდურ აქტივებში და ინვესტიციების შემოსავლიანობაში მოთხოვნილებების დაბალანსებულ დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული.

ბანკის ხელმძღვანელობამ ინვესტირების ისეთი ძირითადი მახასიათებლები უნდა შეიმუშაოს, რომ-

ლებიც საინვესტიციო განყოფილების/დეპარტამენტისათვის ერთგვარი სამოქმედო გეგმა/სტანდარტი იქნება. ბანკი, როგორც წესი, საკუთარ საქმიანობაში ხელმძღვანელობს:

- არსებული რესურსებით, რომელთა ლიმიტი დირექტორთა საბჭოს მიერ დგინდება;
- წინასწარ დადგენილი შესაძენი ფასიანი ქაღალდების ხარისხის დონით;
- შესაძენი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის ლიმიტით;
- სურვილით დირექტორთა საბჭოს მხრიდან სავაჭრო სპეკულაციური ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში.

ბანკის ანალიტიკური განყოფილება ბაზარზე შესაძლო ცვლილებების პროგნოზირებისაკენ მიისწრაფის. ამასთან, გაყიდვის ფასი უფრო მაღალი უნდა იყოს შეძენის ფასზე. სხვაობამ, თავის მხრივ, უნდა გადაფაროს:

- გადასახადის სიდიდე ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე;
- ბირჟაზე გადახდილი საკომისიოები;
- სხვა დანახარჯები შეძენასთან მიმართებაში.

თუ ფასების ცვლილების პროგნოზი შეძენისა და გაყიდვის ფასებში სხვაობის ხარჯზე დანახარჯების ასეთ გადაფარვას არ მოელის, მაშინ ასეთი ინვესტიციები არ უნდა განხორციელდეს.

ბანკის პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ამ ორგანიზაციის რისკისადმი ამტანობა (ტოლერანტობა) და დადგინდეს მისი მზადყოფნა ფასიანი ქაღალდების პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის გასაწვეად. ნებადართული ინსტრუმენტებისა და საქმიანობის სახეების განსაზღვრა რისკისადმი ამტანობის (ტოლერანტობის) დადგენის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული დასაშვები ინსტრუმენტები, ან მათი სახეობები და ბანკის მიერ ამ ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენების მიზეზები. განაცხადში ასევე უნდა იყოს დადგენილი გამოყენებული ინსტრუმენტებისა და პორტფელებისათვის დასაშვები საკრედიტო ხარისხის, საბაზრო რისკისადმი მგრძობელობისა და ლიკვიდობის მახასიათებლები. მაგალითად, საბაზრო რისკის შემთხვევაში, პოლიტიკა უნდა შეეხოს ფასისადმი მგრძობელობის დასაშვებ დონეს, ან დაფარვის ვადის ცვალებადობას, ინსტრუმენტისა და პორტფელის მახასიათებლების გათვალისწინებით. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ბუნებისა და შესაძლებლობების დონიდან გამომდინარე, ლიმიტები შეიძლება დადგინდეს ბიზნესის ცალკეული სექტორის, პორტფელის, ინსტრუმენტების ტიპისა თუ კონკრეტული ინსტრუმენტებისთვის.

ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ჯანსაღი სისტემის ძირითადი ელემენტების შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

საკრედიტო რისკი

ზოგადი პოლიტიკის თანახმად, ბანკმა არ უნდა შეიძინოს ფასიანი ქაღალდები მანამ, სანამ იგი არ შეაფასებს გამომშვები მხარის ან პარტნიორის კრედიტუნარიანობას და არ დაადგენს, რომ რისკი ბანკის პოლიტიკას შეესაბამება. ზემოაღნიშნულიდან წარმოქმნილი საკრედიტო რისკი, შეძლებისდაგვარად, სრულად უნდა ჩაირთოს მთელი ბანკის საკრედიტო რისკის საერთო პროფილში. საკრედიტო რისკის მართვისას, ბანკებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ანგარიშსწორებისა და წინასაანგარიშსწორებო საკრედიტო რისკი. წინასაანგარიშსწორებო რისკი არის ზარალის რისკი, რომელიც ოპერაციის მიმდინარეობის დროს პარტნიორის მხრიდან კონტრაქტის ან ხელშეკრულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს. ფულადი ინსტრუმენტების უმეტესობისთვის, ამ რისკის ხანგრძლივობა შემოიფარგლება ოპერაციაზე შეთანხმების მიღწევის საათებიდან ან დღეებიდან დაწყებული და ანგარიშსწორების განხორციელებამდე. ანგარიშსწორების რისკი არის ზარალის რისკი, როდესაც ბანკი ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ საკუთარ ვალდებულებებს [თანხების ან ფასიანი ქაღალდების ავანსირებით] პარტნიორის მიერ ვალდებულებების დაფარვამდე. ანგარიშსწორების შეუსრულებლობა შეიძლება გამოიწვიოს პარტნიორის გაკოტრებამ, საოპერაციო პრობლემებმა, ბაზარზე ლიკვიდობის შეზღუდვებმა და სხვა ფაქტორებმა. ანგარიშსწორების რისკი წარმოიქმნება იმ დროიდან, როდესაც შეუძლებელი ხდება გამავალი საანგარიშსწორებო ინსტრუქციის ანუღირება შემომავალი ანგარიშსწორების საბოლოო მიღებამდე. რისკი თან ახლავს ნებისმიერ სავაჭრო პროდუქტს.

რისკის ეფექტური მონიტორინგის სისტემა გულისხმობს ლიმიტის დანესებას რისკზე, რომლის განვსაზღვრავს ორგანიზაცია აპირებს, აგრეთვე, ლიმიტ-დანესებული რისკის მუდმივ მონიტორინგს და ადეკვატურ კონტროლს, რომელიც, დანესებული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, რისკის შესამცირებელი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფს. სადეპოზიტო დანესებულებებმა, პარტნიორის შერჩევისა და შენარჩუნებისას, მინიმუმ შემდეგი უნდა გაითვალისწინონ:

- ფასიანი ქაღალდების დილერისა და ბანკის შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების მიერ ვალდებულებების შესრულების უნარი, რასაც ადასტურებს მათი კაპიტალის სიძლიერე, ლიკვიდობა და საოპერაციო შედეგები;

- დილერის ზოგადი რეპუტაცია ან ფინანსური სტაბილურობა და მისი სამართლიანი და პატიოსანი ურთიერთობები კლიენტებთან;

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მარეგულირებლებისა და ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიიდან მიღებული ინფორმაცია.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში მითითებული უნდა იყოს მის მიერ პორტფელში არსებული თითოეული სახის ფასიანი ქაღალდის ხარისხი და

რაოდენობა. პოლიტიკაში მოცემული უნდა იყოს საკრედიტო რისკის დივერსი ფიკაციისა და კონცენტრაციის ლიმიტები, რომლებიც განსაზღვრავენ კონცენტრაციის ერთ ან დაკავშირებულ ემიტენტსა და პარტნიორზე რომელიმე გეოგრაფიულ გარემოში, ან მსგავს ვალდებულებებზე. პოლიტიკაში ასევე უნდა განიხილებოდეს ისეთი პროცედურები, როგორებიცაა მზარდი მონიტორინგი და ზარალის შემაჩერებელი ლიმიტები, რომლებიც კრედიტის ხარისხის გაუარესებას უკავშირდება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის შესაძლებლობა, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები ნეგატიურ გავლენას მოახდენენ ფინანსური ინსტრუმენტის ან პორტფელის ღირებულებაზე, ან მთლიანად ბანკის მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთის რისკი ყველა სახის ფინანსურ ინსტრუმენტში შეიძლება წარმოიქმნას, იგი ყველაზე დამახასიათებელი მაინც სავალო ინსტრუმენტებისთვის არის. ზოგადად, გრძელვადიანი ინსტრუმენტების ღირებულება უფრო მგრძობიარეა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი, ვიდრე მოკლევადიანი ინსტრუმენტების ღირებულება. სავაჭრო საქმიანობაში რისკი შეიძლება წარმოიქმნას ღია ან არაჰეჯირებული პოზიციებიდან და ერთმანეთის დასახურად შექმნილ პოზიციებს შორის არასრულყოფილი კორელაციიდან. გადაფასების რისკი ხშირად საპროცენტო რისკის ყველაზე აშკარა წყაროს წარმოადგენს, რომელიც ბანკის იმ აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობების შედარების საფუძველზე იზომება, რომელთა გადაფასებაც ერთსა და იმავე პერიოდში ხდება. ერთმანეთის დასახურად შექმნილ პოზიციებს შორის ან ჰეჯირებულ ინსტრუმენტებს შორის არასრულყოფილმა კორელაციამ, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას, როგორც საშემოსავლო განაკვეთების მრუდის გასწვრივ, ისე ერთი და იგივე ვადიანობის ან გადაფასების კატეგორიებს შიგნით, შეიძლება საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიოს. შემოსავლის განაკვეთების მრუდის რისკი შეიძლება წარმოიქმნას ისეთ პორტფელებში, რომლებშიც გრძელი და მოკლე პოზიციები კარგად არიან ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილების მიმართ, მაგრამ არა საშემოსავლო განაკვეთების მრუდის ფორმის ცვლილების შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ოდენობით იცვლება. არასრულყოფილი კორელაცია ერთმანეთის დასახურად შექმნილი პოზიციების საპროცენტო განაკვეთებსა და საბაზრო ღირებულებებს შორის, ვადიანობის ან გადაფასების კატეგორიების ქრილში, ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი რისკის წყარო.

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის შესაძლებლობა, რომლის დროსაც საკურსო განაკვეთის ცვლილებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელზე და აქედან გამომდინარე მის ფინანსურ მდგომარეობაზე. უცხო-

ოური ვალუტის კურსს შეიძლება ძალზე დიდი და მოულოდნელი მერყეობა ახასიათებდეს, როდესაც კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკის დადგენა და მართვა განსაკუთრებულად რთულდება. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკურსო განაკვეთის აღიარებას კონკრეტული საბაზრო რისკის მქონე ფაქტორად, უცხოური ვალუტის ინსტრუმენტების ღირებულების დადგენისას აუცილებელია როგორც სპოტ კურსის, ისე საპროცენტო განაკვეთების კარგი ცოდნა. ნებისმიერი ფორვარდული პრემია ან დისკონტი უცხოური ვალუტის ღირებულებაში, ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში, უმეტესწილად ამ ქვეყნებში არსებული საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე განისაზღვრება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ის საფრთხე რომელიც ექმნება ბანკის ფინანსურ მდგომარეობას საკუთარი ფასიანი ქაღალდების პორტფელის საბირჟო კურსის ნეგატიური ცვლილებების შედეგად, ამ პორტფელის ლიკვიდაციამდე ან დაფარვამდე. საბაზრო რისკი იზომება ცალკეული ინსტრუმენტის, პორტფელის ან მთლიანად ბანკის შემოსავლებზე, ან ეკონომიკურ ღირებულებაზე განაკვეთების, ან ფასების ცვლილებით გამოწვეული ეფექტის შეფასებით. ბანკებმა უნდა მართონ და აკონტროლონ საკუთარი საბაზრო რისკები შემოსავლებისა და ეკონომიკური ღირებულების მეთოდების გამოყენებით. ორი, ყველაზე გავრცელებული საბაზრო რისკის ფაქტორია საპროცენტო განაკვეთი და უცხოური ვალუტის კურსი. ფინანსური ინსტრუმენტისა და ინსტრუმენტთა პორტფელის საბაზრო რისკი შეიძლება იყოს ერთი ან ორივე ფაქტორის ფუნქცია, ამასთან, საბაზრო რისკი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვნად კომპლექსური იყოს.

ლიკვიდობის რისკი

ფასიანი ქაღალდებით ოპერირებისას ბანკები დადგენენ ორი ტიპის ლიკვიდობის რისკის წინაშე: სპეციფიკურ პროდუქტებთან/ბაზრებთან დაკავშირებული რისკების და მათი საქმიანობის საერთო დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების. ამ ორიდან პირველი — ბაზრის ლიკვიდობის რისკი, არის რისკი, როდესაც ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის არასაკმარისი სიღრმისა და არასტაბილურობის გამო ადვილად ვერ გაყიდის ფასიანი ქაღალდებს ან ვერ დახურავს ფასიანი ქაღალდებისგან შექმნილ პოზიციას წინა საბაზრო ან მასთან მიახლოებული ფასით. მეორე, ესაა დაფინანსება-ლიკვიდობის რისკი, ანუ ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების ანგარიშსწორების თარიღზე დაუფარაობის რისკი. ვინაიდან ლიკვიდობის რისკის არცერთი ტიპი არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის, მენეჯმენტმა ეს რისკები უფრო გლობალურად, ორგანიზაციის საერთო ლიკვიდობის ფონზე უნდა შეაფასოს. როდესაც ხდება დასაშვები ფასიანი ქაღალდების შერჩევა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ორ-

განიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მოცემული ინსტრუმენტების ბაზრის სიდიდე, ინტენსივობა, ლიკვიდობა და ის ეფექტი, რომელიც ამ მახასიათებლებმა შეიძლება იქონიონ მიზნის მიღწევაზე. ზოგიერთი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობამ შეიძლება აბსოლუტურად არაშესაფერისი გახადოს ისინი დასახული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის ეფექტი, რომელიც საბაზრო რისკმა შეიძლება იქონიოს სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტების ლიკვიდობაზე. ორგანიზაციის დაფინანსების რისკი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, როდესაც მისი არარეალიზებული ზარალი მატერიალური [არსებითი] ხდება. აქედან გამომდინარე, ეს რისკი კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ერთ-ერთი ფაქტორი უნდა იყოს. სუსტი ლიკვიდური პოზიციის მქონე ორგანიზაციები უფრო მეტად დგანან ამ ზარალის აღიარებისა, ბუღალტრული და საზედამხედველო კაპიტალის შემცირების საშიშროების წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adams D.-Banking and Capital Markets.,-College of Law Publ., Printed in Great Britain by Ashford Colour Press, Gosport, Hampshire, 2012.
2. Scott-Quinn B., - Commercial and Investment Banking and the International Credit and Capital Markets: A Guide to the Global Finance Industry and its Governance Hardcover, ICMA center for Financial Markets, Henley Business School, University of Reading, UK, 2012.
3. ცაავა გ, ხანთაძე გ,-საბანკო საქმე, (სახელმძღვანელო), გამომც. “დანი”, 2014.

ეთიოპიის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ზინაბ ახალაძე, ანსუ-ს ასოც. პროფესორი

რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში, ეთერზეთოვანი კულტურების მოშენებას და ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში წლიურად აწარმოებდნენ 50—100 ტონა ეთეროვან ზეთებს. ეთერზეთოვანი კულტურებს სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის 9 ადმინისტრაციული რაიონისთვის. თუმცა, ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად არასწორად მოხდა საეთერზეთე პლანტაციების და მეურნეობა-ქარხნების პრივატიზაცია, დაიკარგა გასაღების ბაზრები, მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა კომპლექსის მეორე ძირითადმა სფერომაც — კვებისა და გადამამუშავებელმა მრეწველობამ, რაც ამ დარგში ფაქტობრივად ყველა დასახელებული პროდუქციის წარმოების აბსოლუტურ შემცირებაში გამოიხატა.

სტატია ეძღვნება თანამედროვე ეტაპზე დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზს, იმას თუ რა საშუალებები გვაქვს და რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვანარმოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან პროდუქციას, ვაქციოთ ქვეყანა უმსხვილეს ექსპორტიორად, შევიტანოთ სოლიდური ნვლილი ეკონომიკის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ეთეროვანი ზეთების წარმოება, დარგის რეაბილიტაცია, კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

Резюме

Современное состояние и перспективы развития производства Эфирных масел в Грузии

Разведение эфиромаслечных культур и производство натуральных эфирных масел в нашей стране имеет давнюю историю. Грузия ежегодно производила 50-100 тонн эфирных масел. Эфиромаслечные культуры имели промышленное значение для 9 административных регионов страны. Тем не менее, в результате экономического кризиса неправильно были приватизированы эфиромаслечные плантации и фермы-заводы, были потеряны рынки сбыта, произошло значительное падение производства в другом ключевом направлении комплекса - пищевой и перерабатывающей промышленности, которое фактически было выражено в абсолютном упадке производства всех названных продуктов.

Статья посвящена анализу современного состояния отрасли, тому каковы возможности и что мы можем сделать для того, чтобы производить конкурентоспособную продукцию для мирового

рынка, превратить страну в крупнейшего экспортера, внести свой значительный вклад в экономическое развитие страны.

* * * * *

სურნელოვანი მცენარეებიდან ეთერზეთების გამოყოფა ადამიანებმა უხსოვარი დროიდან დაიწყეს. მსოფლიოში ეთერზეთოვანი მცენარეების 3000 სახეობა არსებობს. მიუხედავად ამისა სამრეწველო დანიშნულება მხოლოდ 150-ს აქვს. მათი ყოველწლიური მსოფლიო წარმოება 30 ათას ტონას აღწევს.

ჩვენს ქვეყანაში, ეთერზეთოვანი კულტურების მოშენებას და ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში წლიურად აწარმოებდნენ 50—100 ტონა ეთეროვან ზეთებს. ეთერზეთოვანი კულტურებს სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის 9 ადმინისტრაციული რაიონისთვის. 5 - დასავლეთ საქართველოში და 4 - აღმოსავლეთ საქართველოში. სამწუხაროდ, 90-იან წლებში საქართველო, აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. არასწორად მოხდა საეთერზეთე პლანტაციების და მეურნეობა-ქარხნების პრივატიზაცია, ქონება ხელში ჩაუვარდა არაპროფესიონალებს, დაიკარგა ყოფილი სსრკ-ის უდიდესი ბაზარი, მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა კომპლექსის მეორე ძირითადმა სფერომაც — კვებისა და გადამამუშავებელმა მრეწველობამ, რაც ამ დარგში ფაქტობრივად ყველა დასახელებული პროდუქციის წარმოების აბსოლუტურ შემცირებაში გამოიხატა.

რა მდგომარეობაა დღეისათვის დარგში, რა საშუალებები გვაქვს და რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვანარმოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან პროდუქციას, ვაქციოთ ქვეყანა უმსხვილეს ექსპორტიორად, შევიტანოთ სოლიდური ნვლილი ეკონომიკის განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას შემუშავებული ახალი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ფერმერული აზროვნების ჩამოყალიბებას და სულ უფრო მეტ ფერმერს მოიზიდავს აგრარულ სფეროში. ეს საბოლოო ჯამში აუცილებლად გამოიწვევს მთლიანად აგრარული წარმოების და მათ შორის ეთეროვანი ზეთების წარმოების განვითარებას.

დღევანდელი მონაცემებით საქართველოში ეთეროვანი ზეთების წარმოებით ერთი-ორი საწარმო თუ არის დაკავებული. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია შ.პ.ს „ეთერზეთი“. იგი ამ უძველესი დარგის ერთადერთი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც მიუხედავად სიძნელებისა, საქართველოსათვის ურთულეს პერიოდში შეძლო ფუნქციონირება.

საქართველოში ძირითადი ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადებისა და ეთეროვანი

ზეთების წარმოების დინამიკა
ცხრილი 1

წელი	გერანი			კვერლის რგანი			ეთერზეთიანი ვარდი		
	ფართობი ათას ჰა	მლდან მიხსველი ათ. ტონა	ყოფრენი ზედი	ფართობი ათას ჰა	მლდან მიხსველი ათ. ტონა	ყოფრენი ზედი	ფართობი ათას ჰა	მლდან მიხსველი ათ. ტონა	ყოფრენი ზედი ტონა
1931-1935	0.78	2.03	2.38	-	-	-	-	-	-
1936-1940	1.85	22.74	26.68	0.50	2.93	8.29	0.74	0.44	0.25
1941-1945	1.90	11.95	12.65	0.45	0.69	1.97	0.64	0.63	0.27
1946-1950	0.91	12.67	12.52	0.54	1.73	6.04	1.26	0.84	0.59
1951-1955	1.23	16.72	18.82	1.80	6.19	19.17	1.92	1.96	1.81
1956-1960	1.12	13.46	14.72	2.13	9.22	25.46	2.68	3.56	2.86
1961-1965	1.60	23.68	22.39	1.65	12.73	36.92	3.75	4.77	4.77
1966-1970	2.26	35.62	30.29	2.28	13.17	34.33	4.58	7.82	7.45
1971-1975	3.27	60.87	50.9	2.44	15.33	42.09	4.74	8.60	8.40
1976-1980	4.20	79.80	85.5	2.1	13.8	44.4	6.49	14.26	14.0
1981-1985	4.60	101.05	11.59	1.5	13.0	46.8	7.37	17.17	18.9
1986-1990	5.60	122.0	15.57	5.1	14.07	53.5	7.55	19.03	20.9

შ.პ.ს. „ეთერზეთი“ მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში, სოფ. ოქტომბერში. ძირითადად აწარმოებს დაფინისა და ევკალიპტის ეთეროვან ზეთებს. საწარმოს არა აქვს საკუთარი მეურნეობა, ნედლეულის მიღება ძირითადად ხდება მოსახლეობიდან. კომპანიას შეუძლია აწარმოოს 10-12 ტონა ეთეროვანი ზეთი წელიწადში, თუმცა რეალურად მუშაობს 3-4 ტონაზე წელიწადში, რაც გამონვეულია დამკვეთის მოთხოვნებიდან.

აღსანიშნავია რომ კომპანია აწარმოებს ევკალიპტის ეთეროვან ზეთს თუმცა, საქართველოში სამრეწველო ევკალიპტი ამ დროისთვის თითქმის აღარ არსებობს, მისი წარმოებაც ნაკლებად ეფექტურია, რადგან თვითღირებულება ბევრად მეტია სარეალიზაციო ფასზე. ნედლეულიც ნაკლებია. რაც შეეხება დაფინის ეთერზეთს, მასზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით ევროპის ბაზარზე. დაფინის ეთეროვანი ზეთის თვითღირებულება 60 აშშ დოლარია, საბითუმო ფასი კი 80 აშშ დოლარი. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ციტრუსის ეთეროვანი ზეთების წარმოების დანერგვა. კომპანია ასევე გეგმავს რეჰანის ეთეროვანი ზეთის გამოხდას, რომ-

ელზეც დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე.

2010 წელს გერმანული ინვესტიციების საფუძველზე შეიქმნა საწარმო „საქართველოს ეთერზეთები“. სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფორმის კუთვნილებაში არსებული მეურნეობები კი, რომელთა საერთო ფართობი 1000 ჰექტარს მოიცავს, ქვეყნის მრავალფეროვანი კლიმატიდან გამომდინარე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია განლაგებული, რაც უამრავი სხვადასხვა ჯიშის მცენარის მოყვანისა და გამრავლების საშუალებას იძლევა.

ეთერზეთების წარმოების დარგში აღსანიშნავია კომპანია „კოპალას“ საქმიანობა, რომელიც საქართველოში ერთადერთი ვარდის ზეთის მწარმოებელი ქარხანა არის. იგი მდებარეობს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში. საწარმოში ხდებოდა ვარდის ზეთის წარმოება და დაფასოება. საბოლოო პროდუქტი კი ექსპორტზე გერმანიაში გადიოდა. საინტერესოა, რომ ვარდის 100%-იანი ეთეროვანი ზეთი ითვლება „პრემიუმ“ კლასის პროდუქტად. 1 მლ. ეთეროვანი ზეთის მისაღებად როგორც მინიმუმ საჭიროა ვარდის საღი ფოთლების დაახლოებით 5 კილოგრამი, ფაქტიურად რამოდენიმე ასეული ყვავილი. ასეთი ზეთის საორიენტაციო ფასი მსოფლიოში 10 000 ევროს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ლოპოტას ტბასთან სიახლოვის გამო კომპანიას შეეძენა პრობლემები, რის გამოც იგი იძულებული შეიქმნა შეეჩერებინა ფუნქციონირება. წელს კომპანიამ განაახლა მუშაობა, ხელახლა გააშენა ვარდების პლანტაცია და პირველი მოსავალი მაისის თვეში მიიღო.

ეთერზეთების ექსპორტ / იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი 3

წლები	2000	2003	2004	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	41.2	16.3	31.8	9.8	2.3	-	2.3	37.9	16.8	103.6
იმპორტი	3.2	32.3	60.6	23.5	51.9	41.0	44.1	41.6	56.6	38.1

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დარგში არსებული უდიდესი სიძნელებისა, საქართველოში მაინც იწარმოება ეთეროვანი ზეთების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ორიენტირებულია ექსპორტზე, ძირითადად ევროპულ სახელმწიფოებში. კერძოდ: ავსტრია, საფრანგეთი, უკრაინა, გერმანია, პოლონეთი, ბელორუსია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და სხვა ქვეყნები. იმავდროულად, ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ეთეროვანი ზეთების იმპორტიც.

დარგს აქვს განვითარების პერსპექტივები, ამისათვის მთელი რიგი ამოცანების გადაჭრა არის საჭირო. პირველ რიგში საჭიროა არსებული საწარმოების უფრო ეფექტურად გამოყენება და იმ ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციების მოვლა და ახლის გაშენება რომელზედაც დიდი

მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მსოფლიოში დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ციტრუსოვანთა ეთეროვანი ზეთები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნედლეულს იღებენ, ციტრუსოვანთა ბალების (ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი) კომპლექსურად გამოყენებით. მაგალითად, აგროვებენ სხვა ფორმირების ნარჩენებს, ნაყოფების კრეფისა და დახარისხების შედეგად მიღებულ არასტანდარტულ მოსავალს. ყოველი მათგანი გადამუშავების შემდეგ იძლევა შესაბამის ეთეროვან ზეთს. მომავალში, ჩვენში დღემდე გამოყენებული, ამ რეზერვის ამოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქართული ციტრუსი რაოდენობრივ კონკურენციას ვერ გაუწევს სხვა ქვეყნების (იტალია, საბერძნეთი, აშშ) პროდუქტს. იქ უფრო ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო წელიწადში ოთხჯერ იღებენ მოსავალს. ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა არა თვითონ ციტრუსის, არამედ მისი გადამუშავების პროდუქტების (ეთერზეთები, წვენი, ლიმონის მჟავა და სხვა) ექსპორტი. აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია საქართველოში ერთხელ იღებენ ციტრუსის მოსავალს, მაგრამ სწორედ ზამთრის მოსავლიდან გამოყოფენ ყველზე მაღალი ხარისხის ეთერზეთებს.

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეთეროვანი ზეთების საექსპორტო პოტენციალი ეჭვს არ იწვევს, თუმცა ოპტიმისტური პროგნოზი ქვეყნის არომატულ მომავალთან დაკავშირებით გადის პირდაპირ ადგილობრივ და უხოურ ინვესტიციებზე. მნიშვნელოვანია მენარმეთა დაინტერესება სხვადასხვა შეღავათებითა და მხარდაჭერით რაც მას მისცემს მოტივაციას ამ დარგში თანხის დაბანდებასა და წარმოების აღორძინებისათვის. იმედია, რომ ინვესტორები ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანისათვის ოპტიმალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ეკოლოგიურად სუფთა მიწებისა და შედარებით იაფი მუშა-ხელის ძებნაში საკუთარ არჩევანს საქართველოზე შეაჩერებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხეცურიანი ბ. კვარაცხელია. აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის საკითხები. თბ. 2003 წ.
2. ცქიტიშვილი გ. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურები, თბ. 2002 წ.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2013 წ.

დალი სილაგაძე, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია იმერეთის მხარის აგრო-ბიზნესის ზოგადი მიმოხილვა, სადაც საუბარია დარგების განვითარების რაციონალურ თავისებურებებზე, კერძოდ იმერეთის მხარეში მიზანშეწონილი იქნება განვითარდეს სტრატეგიული დარგები: მემარცვლეობა, ბოსტნეულ-ბალჩეული, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა, რისთვისაც რეგიონში არსებული სპეციფიკური და უნიკალური პირობები მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. აგრობიზნესში კი მთავარს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომლის განვითარება უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს.

სტატიაში კარგადაა გაშუქებული იმერეთის რეგიონის ეკონომიკური მონაცემები ყველა კატეგორიის მეურნეობებში, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის დარგები, არსებობს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რადგანაც იმერეთის ნიადაგურ კლიმატური პირობები საუკეთესოა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, რა თქმა უნდა აგრობიზნესის საწარმოთა სწორი მართვის, რაციონალურად გაძღოლის პირობებში და შეზღუდული რესურსების სწორად, მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, აგრობიზნესი, დარგობრივი სტრუქტურა.

Summary

Imereti Agribusiness General Overview

The paper deals with a general overview of the Imereti region of the ADA, which deals with nature conservation sectors, particularly in Imereti region to develop appropriate strategic sectors: Livestock, fish, honey, for which area-specific and unique conditions should be the main agricultural production, the development of which should be the prime objective.

The article is well covered in the Imereti region's economic data for all categories of farms from which we can conclude that the agricultural sector structures represented as plant and animal breeding, there are the prospects for further development, as the regional soil and climatic conditions are perfect for agriculture development in the

course of agribusiness enterprises proper management of limited resources to effectively manage the situation and intended use cases.

* * * * *

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დარგების განვითარების რეგიონალური თავისებურებები, კერძოდ ჩვენს საკვლევ ობიექტზე იმერეთის მხარეში, მიზანშეწონილი იქნება შეთანხმებულია განვითარდეს სტრატეგიული დარგები: მემარცვლეობა, ბოსტნეულ-ბალჩეული, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. ამისათვის არსებული სპეციფიკური და აუნიკალური პირობები მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. აგრობიზნესში მთავარს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც წარმოდგენილია ავტონომიურად ფუნქციონირებადი მრავალრიცხოვანი და შედარებით მცირე ოჯახური მეურნეობებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებით.

იმერეთის უმეტესი რაიონები (ზესტაფონი, თერჯოლა, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, საჩხერე, ხარაგოული ძირითადად მევენახეობის საწარმოო მიმართულებისაა, მაგრამ ვერტიკალური ზონალობისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნების გამო, მაინც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილებით, დარგთა და კულტურათა შეთანხმებით, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებით.

როგორც კვლევამ აჩვენა – იმერეთის მხარეში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებია და ბიზნესს გააჩნია როგორც მიკრო გარემო, ასევე მაკროგარემო, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ დასახვეწია მიკრო და მაკრო-ეკონომიკური გარემოს ელემენტები, რომელთა კომპლექსური ზემოქმედებათა დაშესაძლო მართვით მიიღწევა ბიზნესის ძირითადი მიზნები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმოო პროცესი აგრარულ დონეზე, სუსტი მენეჯმენტის პირობებში მიმდინარეობს, მწარმეები, ფერმერები განიცდიან აგრობიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, ცოდნისა და ინფორმაციის მწვავე დეფიციტს, მათ ხშირ შემთხვევაში არ იციან, ან ვერ სარგებლობენ საკონსულტაციო, სესხების, გრანტების გამცემი და სხვა ინსტიტუტების არსებობის შესახებ. ისინი გაუთვითცნობიერებლები არიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა: მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიები, სარეკლამო და საშუამავლო რგოლე-

ბი და, რაც მთავარია წარმოებული პროდუქციის მიზნობრივი ბაზარი, რისთვისაც უნდა მოხდეს მათთვის კონსულტაციების განწევა ადგილზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებამხლოდ აგრობიზნესის საწარმოთა რაციონალური გაძღოლის საფუძველზე მოხდება იმერეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება.

იმერეთის მემცენარეობის დარგისათვის მარცვლოვნებიდან ყველაზე დამახა-სიათებელი სიმინდის კულტურაა...იმერეთის რეგიონში მებოსტნეობა-მებაღეობის მხრივ ყველაზე თვალსაჩინო და პერ-სპექტიულ მხარედ, მთელ დასავლეთ საქართველოში იმერეთის დაბლობი ითვლება, რომელშიც შედის: ქუთაისის მიმდებარე ტერიტორია, წყალტუბოს, სამტრედიის, ხონის, ვანის და ნაწილობრივ ტყიბულის და ზესტაფონის ადმინისტრაციული რაიონები, რომლებიც იძლევიან ხილ-ბოსტნეულის ადგილობრივ პროდუქციას. დღეისათვის იმერეთის რეგიონში ბოსტნეულ-ბაღეული კულტურების საერთო და საპექტარო მოსავლიანობა სასურველზე ბევრად დაბალია, რაც დაკავშირებულია რიგ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებთან. მოსავლიანობის გადიდების პრობლემების გადაწყვეტა და ამ რეგიონის მაღალი პოტენციის რეალურ პოტენციაში გადაყვანა საკვებით შესაძლებელია, თუ ამოქმედდება არსებული რეზერვი, ყველა საშუალება და გატარდება ნიადაგის განოყიერების სრული კომპლექსი.

საქართველოს ეკონომიკაში და კერძოდ მევენახეობაში იმერეთს, როგორც ქვეყნის განუყოფელ ნაწილს (მხარეს), ისტორიულად ყოველთვის გამოორჩეული ადგილი ეკავა. იმერეთის უმეტეს ადმინისტრაციულ რაიონებში მევენახეობა დღესაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. იმერეთის ღვინოები, რომლებიც მზადდება მთის ფერდობებზე და ქანობებზე გაშენებული ვაზისგან, უპირატესად თეთრი ღვინოები, გამოირჩევიან მაღალი ხარისხით. ძირითადად ეს ღვინოები ზომიერი სიმაგრისაა, ხასიათდება სინაზით, სისრულით, თავისებური არომატით და კარგად განვითარებული ბუკეტით სიძველეში

იმერეთის რეგიონის განსაკუთრებულ ეკოლოგიურ ზონებში მოყვანილი ჩაის ფოთლიდან გადაამუშავებული პროდუქცია იძლევა სპეციალური, სამარკო ჩაის გამომუშავების შესაძლებლობას, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით და შესაბამისად სარეალიზაციო ფასითაც.

იმერეთის რეგიონში მეცხოველეობის დარგში აღინიშნება პირუტყვის სულადობის კლება (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), სამაგიეროდ გაიზარდა ცხვრისა და თხის რაოდენობა. იკლო რძის წარმოებამ. მეფრინველეობა კი პრიორიტეტული დარგია.

იმერეთში მეფუტკრეობას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იმერეთის რეგიონი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ლანდშაფტურ-კლიმატური და ნიადაგური ნაირფეროვანი პირობებით ხასიათდება, რაც ხელსაყრელ

პირობებს ქმნის მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ დროს იმერეთში მებაღეუმეობა შემოსავლის ძირითადი წყარო იყო, რადგანაც მხარეში როგორც კლიმატური, ისე ნიადაგობრივი პირობები ხელსაყრელი იყო, რასაც ეფექტიანად იყენებდნენ ქვემო იმერეთის მხარეში, ზემო იმერეთში ეს შესაძლებლობა არ იყო სრულყოფილად გამოყენებული (ხარაგოული, საჩხერე, ჭიათურა, ტყიბული). ჩვენ ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ იმერეთში მებაღეუმეობის აღორძინება აუცილებელია, რაც ბევრ ოჯახს დაასაქმებდა და გახდებოდა შემოსავლის წყარო. ამასზე უნდა იფიქროს როგორც იმერეთის, ისე ქვეყნის ხელისუფლებამ და მიიღოს შესაბამისი ზომები.

განვიხილოთ ეკონომიკური მონაცემები იმერეთის რეგიონის ყველა კატეგორიის მეურნეობებში.

მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის წარმოება იმერეთის ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

	წ.	მარცვლო-ქული	მათ შორის		კარტო-ფილი	ბოსტნეუ-ლი	ხილი	ყურ-მენი	ჩაი
			ხორბალი	სიმინდი					
საქართველო	2011	397,6	96,8	269,6	273,9	185,8	187,3	159,6	2,9
სულ	2012	370,0	80,7	267,0	252,0	198,5	157,9	144,0	2,6
იმერეთი	2011	68,7	—	67,3	0,8	20,8	18,5	26,3	0,2
	2012	67,5	—	65,5	0,9	19,9	21,8	36,2	0,0
წილი %	2011	17,2	—	24,9	0,2	11,1	9,8	21,7	6,8
	2012	18,2	—	25,5	0,3	10,0	13,8	13,8	—

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა. 2012 წ. სტატისტიკური პუბლიკაცია

თუ გადავხედავთ იმერეთის მხარის მემცენარეობის დარგობრივ სტრუქტურას, დავინახავთ, რომ 2008 წლიდან მოყოლებული იგი იცვლება და იზრდება მოსავლიანობა, თუმცა ხვედრითი წილის მიხედვით ზოგიერთ პროდუქტზე იკლებს, რაც იმით აიხსნება, რომ 2008 წელთან შედარებით 2012 წელს გაიზარდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მთლიანად.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება (ათასი ტონა)

	2008	2009	2010	2011	2012
1. ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)					
საქართველო	57,3	54,3	56,4	49,3	42,6
იმერეთი	11,8	12,7	12,7	9,3	8,1
წილი %	20,5	23,3	22,5	18,8	19,0

2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)					
საქართველო	25,1	29,2	26,7	21,3	16,2
იმერეთი	4,9	5,6	5,4	3,5	3,0
წილი %	19,5	19,1	20,2	16,4	16,2
3. ღორის ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)					
საქართველო	11,4	8,2	12,8	11,6	11,8
იმერეთი	3,3	3,2	3,9	2,7	2,8
წილი %	28,9	39,0	30,4	23,2	23,7
4. ყველა სახის ფრინველის ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)					
საქართველო	12,9	12,4	11,6	12,0	11,7
იმერეთი	3,5	3,7	3,1	3,0	2,1
წილი%	27,1	29,8	26,7	25,0	12,2
5. რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)					
საქართველო	645,8	551,4	587,7	582,1	589,5
იმერეთი	135,4	112,4	112,4	108,3	111,5
წილი%	20,9	20,3	19,0	18,6	18,9
6. ფურისა და ფურკამეჩის რძის წარმოება (ათასი ტონა)					
საქართველო	639,1	544,8	581,0	575,7	582,6
იმერეთი	135,4	112,4	111,2	108,6	111,3
წილი%	21,1	20,6	19,1	18,8	19,1
7. კვერცხის წარმოება (მილიონი ცალი)					
საქართველო	639,1	544,8	581,0	575,7	474,0
იმერეთი	44,0	39,0	35,1	36,7	44,3
წილი%	6,8	7,1	6,0	6,3	9,3
8. თაფლის წარმოება (ათასი ტონა)					
საქართველო	2,4	2,5	4,2	2,7	4,1
იმერეთი	0,4	0,8	0,3	0,3	0,2
წილი%	16,6	32,0	7,1	11,1	4,8

როგორც მოკვლეული და გაანგარიშებული მონაცემებიდან ჩანს, 2012 წელს სხვა წლებთან შედარებით იკლებს ხორცის წარმოება დაკლულ წონაში და იგი შეადგენს 49,3 ათას ტონას, იმერეთის რეგიონში კი – 42,6 ათას ტონას, ანუ მთლიანი წარმოების 19,0%-ს, განსაკუთრებით შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება 2012 წელს – 3,0 ათასი ტონა. ასევე წინა წლებთან შედარებით 2011-2012 წლებში შემცირდა ღორის ხორცის წარმოება – 2,8 ათას ტონამდე, ფრინველის ხორცის წარმოებაც წინა წლებთან შედარებით დაბალია – 2,1 ათასი ტონა, ანუ მთლიანი წარმოების 12,2%-ტი. ჩვალებადია რძის წარმოების მაჩვენებელი, უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა 2011 წელთან შედარებით, მაგრამ 2008 წლის მაჩვენებელთან (125,4 მლნ. ლიტრი) შედარებით დაბალია (111,5). ლაც შეეხება კვერცხის წარმოებას, 2008 წლიდან მოყოლებული აქ კლება შეინიშნება და 2012 წელს შეადგენს 44,3 მილიონ ცალს. ჩვალებადია თაფლის წარმოებაც, 2012 წელს მხოლოდ 0,2 მლნ. თონა შეადგინა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროდუქციის წარმოება ძირითადად ხდება საოჯახო და მცირე ფერმერულ მეურნეობებში, ასე მაგალითად ხილის წარმოება 2012 წელს შეადგენს 157,9 ათას ტონას, ანუ ოჯახური მეურნეობების წილი 99,7%-ია, იგივეა ყურძნის წარმოებაში, წარმოებული 144,0 ათასი ტონა ყურძნის 91,5% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, იგივე ითქმის ციტრუსზე, ჩაიზე, ნათეს ფართობებზე, თითქმის ოჯახურ მეურნეობებში 98-99% ინარმოება. დანარჩენი 2-3%-ტი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო სანარმოებს. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგს – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის (100%), ცხვრისა და თხის ხორცის, რძის, მატყლის, თაფლის (100%) პროდუქციის წარმოება ასევე ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში ხდება. სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში ფრინველის ხორცის წარმოება 2012 წელს შეადგენს 27,9%-ს და კვერცხის წარმოება 61,0%-ს, დანარჩენი პროდუქციის წარმოება მერყეობს 0,1-3,6%-მდე.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში იმერეთის რეგიონში წარმოდგენილია, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის დარგები და არსებობს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რადგანაც იმერეთის ნიადაგურ-კლიმატური პირობები საუკეთესოა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, რათქმუნდა, აგრობიზნესის სანარმოთასწორი მართვის, რაციონალურად გაძლოის პირობებში და შეზღუდული რესურსების წორად, მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.პ.კოლუაშვილი,გ.ზიბზიბაძე-აგარაული სანარმოს ეკონომიკა თბ.2010
- 2.ს.თურმანიძე და სხვები-აგრობიზნესი თბ.2009
- 3.დ.სილაგაძე-მცირე ბიზნესის ეკონომიკური ეფექტიანობა და განვითარების პერსპექტივები იმერეთის მაგალითზე.(მონოგრაფია) ქუთაისი 2009
- 4.საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახური-საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012,სტატისტიკური პუბლიკაცია თბ.2013
- 5.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012

ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის

ამაღლების ფორმირების ფაქტორი

კობა სანდროშვილი, ეკონომიკის დოქტორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

XXI საუკუნე ხასიათდება გლობალიზაციის განსაკუთრებული ნიშნებით სადაც თითოეული ქვეყანა ცდილობს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით საკუთარი ნიშის დამკვიდრებას. საქართველოში რომლის სტრატეგიული მიზანი ევროპისა და მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული და სრულფასოვანი წევრობაა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ევროპული ტიპის საბაზრო სისტემის ფორმირებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისათვის. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ქვეყანამ გლობალურ ბაზარზე მყარი პოზიცია დაიკავოს მაქსიმალური მოგებისა და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის მიზნით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რეგიონული ბიზნეს ექსპორტის სტიმულირება რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ამ კუთხით. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ის საკითხები რომლებიც რეგიონული ბიზნეს-ექსპორტის სტიმულირებით ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

Summary

Some of the factors for enhancing national and regional competitiveness

XXI century is characterized with special features of globalization where each of the country tries to establish its own feature by rising up the competitiveness of national economic. Strategic aim of Georgia is to be worthy and full member of European and World Community for forming European-style market system and create competitive environment. Rising up the competitiveness of national economic should be the basis of the strong position of the country in the global market for maximizing the profit and, therefore, ensuring the high rates of economic growth. In this respect, it is important to stimulate regional business export which will play the crucial role. The paper reviews and analyzes the issues which will contribute to enhancing the competitiveness of the country by stimulating business export.

* * * * *

XXI საუკუნე ხასიათდება გლობალიზაციის განსაკუთრებული ნიშნებით სადაც თითოეული ქვეყანა ცდილობს გადაჭრას მნიშვნელოვანი ამოცანა, აწარმოოს ისეთი ხარისხისა და ფასის პროდუქცია რომელიც კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში რომლის სტრატეგიული მიზანი ევროპისა და მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული და სრულფასოვანი წევრობაა, სწორედ ამ მიმართულებით არის სასურველი ეკონომიკის ტრანსფორმირება და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

გლობალიზაციის პირობებში აღინიშნება ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ზრდა საგარეო ბაზარზე. სწორედ ამიტომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ქვეყანამ გლობალურ ბაზარზე მყარი პოზიცია დაიკავოს მაქსიმალური მოგებისა და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის მიზნით.

“ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის” გაგება განიმარტება, როგორც “ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო, მმართველობითი, მარკეტინგული და სხვა შესაძლებლობების კონცენტრირებული გამოხატულება, რომელიც რეალიზდება საქონელში და მომსახურებაში, რომელიც წარმატებულად უწევს წინააღმდეგობას მასთან კონკურენციაში მყოფ საზღვარგარეთის საქონელსა და მომსახურებას როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე”. უნდა აღინიშნოს ფირმების მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა მათ უნარზე შექმნან მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველი საქონელი. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დარგის განვითარების პერსპექტივებიც, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიდგომები, ინოვაციები. ზუსტად ეს ინოვაციები უზრუნველყოფენ ფირმების გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას და წარმოადგენენ მათი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ქვეყნის ინოვაციურობის შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური მაჩვენებელი — დანახარჯები ინოვაციისათვის, რომელიც ასახავს ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის უნარს.

გამოყოფენ კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და შეფასების სამ დონეს: მიკრო, მეზო და მაკრო დონეს. მაკროდონეზე ყალიბდება ეროვნული ფირმების ფუნქციონირების ძირითადი პირობები — ხელსაყრელი და არახელსაყრელი. მეზოდონეზე იქმნება რეგიონულ და საერთაშორისო წინაპირობები ფირმების განვითარებისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის რეგიონულ დონეზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფის რეალური მექანიზმები კონკურენტუნარიანი ფირმებისათვის. მიკროდონეზე იქმნება კონკურენტუნარიანი საქონელი და მომსახურება, რომელიც დამოკიდებულია წინა დონეებზე ჩამოყალიბებულ პირობებზე და ასევე ფირმის უნარზე შექმნას და გამოიყენოს თავი-

სი კონკურენტული უპირატესობა. სწორედ ამ საქონლითა და მომსახურებით ქვეყნის ფირმები უზენეურა კონკურენტციას სხვა ქვეყნის ფირმებს, გადაინ მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ექსპორტის ხასიათი, მისი სასაქონლო-გეოგრაფიული სტრუქტურა საბოლოო ჯამში, ასახავს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ექსპორტი შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წყარო, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონცენტრირებული ასახვა. ამრიგად, ექსპორტზე ყურადღების გადატანით, სახელმწიფოს მიერ მისი ნახალისების წყალობით და როგორც მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდის შედეგისა, შეიძლება ერთდროულად გადაიჭრას საქართველოს ეკონომიკის ორი უმთავრესი ამოცანა: უზრუნველყოფილი იქნეს ეკონომიკური ზრდა და ამალღდეს ეროვნული კონკურენტუნარიანობა.

ვფიქრობთ, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამალღების სტრატეგიამ უნდა მოიცავს ყველა დონე (მაკრო, მეზო და მიკროდონე). აღნიშნული სტრატეგიის მიზანი უნდა იყოს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის შედარებით ოპტიმალური ვარიანტი. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის განმსაზღვრელ ტენდენციას წარმოადგენს გლობალიზაცია, რომლის გავლენითაც საქართველო იკავებს თავის ადგილს მსოფლიოს ეკონომიკურ სფეროში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამალღების სტრატეგიამ, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ფირმების მსოფლიო ბაზარზე მოღვაწეობის ხასიათის შეცვლას. ამიტომ, ექსპორტის ახალი სასაქონლო-გეოგრაფიული სტრუქტურის ფორმირება წარმოადგენს ამ სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს ფირმების ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა შეიცვლება მხოლოდ იმ პირობების ზემოქმედებით, რომლებიც ფორმირებულია მაკრო და მეზოდონეებზე. ეს პირობები კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს ხელისუფლების რეგიონული ორგანოების მიერ. ამიტომ, ეფექტური საგარეო ვაჭრობის სტრატეგია როგორც საერთო სახელმწიფო, ასევე რეგიონულ დონეზე, უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამალღების მთავარი ელემენტი. საგარეო ვაჭრობის სტრატეგია განპირობებული უნდა იყოს საექსპორტო-ორიენტირებული და იმპორტშემცველი წარმოების პრიორიტეტებით. ამიტომ მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ექსპორტის სტიმულირების პროგრამა და აგრეთვე იმპორტის სტრუქტურის რაციონალიზაციის პროგრამა.

რეგიონული ბიზნესის გრძელვადიანი დარგობრივი პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს მსოფლიო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინ-

არე. მსოფლიო ბაზარი დღეს დიფერენცირებულია ორ დიდ ფენად: ნედლეულის ბაზრად და მზა პროდუქციის ბაზრად. პირველი მუდმივად ვინროვდება, ხოლო მეორე-ფართოვდება. თავის მხრივ, მზა პროდუქციის ბაზარი იყოფა სამ: დაბალი, საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქციების სეგმენტად. OECF-ს კლასიფიკაციით პირველ სეგმენტს წარმოადგენენ შავი მეტალურგიის პროდუქტები, საკონსტრუქციო მასალები, ტექსტილი, სამკერვალო პროდუქცია, ფეხსაცმელი და მსუბუქი მრეწველობის სხვა პროდუქცია. საშუალო ტექნოლოგიურ ნაწარმს მიეკუთვნება დაზგები, სატრანსპორტო საშუალებები, რეზინის და პლასტმასის ნაწარმი, ხის გადამამუშავებით მიღებული პროდუქცია. მაღალ ტექნოლოგიურ ნაწარმს წარმოადგენენ აეროკოსმოსური ტექნიკა, საინფორმაციო ტექნიკა, ელექტრონიკა, ფარმაცევტიკა, ზუსტი და გასაზომი ხელსაწყოები, ელექტრომონოციობილობა.

მსოფლიო ბაზრის მზა პროდუქციის სამივე სეგმენტიდან ყველაზე მეტად ფართოვდება უკანასკნელი. სწორედ მას აქვს დიდი მომავალი. ამიტომ რეგიონული სამრეწველო პოლიტიკის გრძელვადიან პრიორიტეტებად უნდა იქცნენ სწორედ ამ სეგმენტის დარგები. აღნიშნული სეგმენტის დარგების ფირმების კონკურენტუნარიანობის საფუძველს წარმოადგენენ რეგიონის კონკურენტული უპირატესობები. ამრიგად, აუცილებელი ხდება ამ მიმართულებით სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარება.

რეგიონის წარმოების ცალკეული დარგების ექსპორტზე მიმართულების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს მათი სტრუქტურული სპეციალიზაციის კოეფიციენტით.

მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზრის უმაღლეს საფეხურზე შეღწევა მოითხოვს ადექვატურ ღონისძიებებს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. გარდა ამისა, ამ საფეხურზე ასვლა და იქ გამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფირმებისათვის, რომელთაც გააჩნიათ უპირატესობა საქონლის დიფერენციაციაში. ამიტომ იმ სამამულო პროდუქციის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერების მიღწევებზე, რომელთაც არ გააჩნიათ ანალოგი მსოფლიოში ან გააჩნიათ საზღვარგარეთის ანალოგები უარესი სამომხმარებლო თვისებებით, უნდა გახდეს რეგიონული პროგრამის პრიორიტეტული მიზანი.

ამრიგად, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის სეგმენტში ჩვენმა ფირმებმა შეიძლება დაიკავონ ადგილი, პირველ რიგში, ქვეყნის მთავრობის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას უფრო ხელსაყრელი პირობები იმ ბიზნესისათვის, რომლებიც აწარმოებენ საზღვარგარეთის ანალოგებთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიან პროდუქციას. ასეთი ფირმები რეგიონულმა ხელისუფლებამ ისე ფრთხილად და მზუნველობით უნდა გამოზარდოს, როგორც პატარა ბავშვი ასეთი ფირმები დღევანდელ პირობებში თავისთავად არ წარმოიშობა.

რა თქმა უნდა, ამ საფეხურზე შეღწევა და იქ

ფეხის მოკიდება რთული ამოცანაა, ამიტომ იგი განიხილება უფრო შორეულ ამოცანად, რამდენადაც მოითხოვს დიდ დროს რეალიზაციისათვის. თუმცა ამ ამოცანის გადაჭრის წინა პირობებს ახლავს უნდა ჩაეყაროს საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტი რეგიონულ დონეზე. რეგიონულ ბიუჯეტში შესაძლებელია მეცნიერებისა და განათლების ფონდის ფორმირება, რომლის სახსრები მიმართული იქნება შედარებით პერსპექტიულ დარგებში სამეცნიერო სამუშაოებისათვის და აგრეთვე უმაღლესი საწავლებლების იმ ფაკულტეტების დასაფინანსებლად, რომლის კურსდამთავრებულებზე არ არის ბაზარზე დიდი მოთხოვნა, თუმცა ისინი აუცილებელი არიან ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისათვის (ფიზიკა, ქიმია და ა.შ.) პერსპექტიულია აგრეთვე საოლქო დონეზე ვენჩურული ფონდების ჩამოყალიბებაც.

ვენჩურული ფონდი, ვენჩურული კაპიტალი - ეს არის დასავლეთში დიდი ხნის წინ ცნობილი მექანიზმი, რომელიც აერთიანებს მეცნიერებისა და ბიზნესის ინტერესებს. საზღვარგარეთ ასეთი ფონდები არიან როგორც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, ისე მთლიანად კერძო მფლობელობაში. არსებობს ვენჩურული ბიზნესიც. ამ გამოცდილების რეალიზება უნდა მოვახდინოთ ჩვენთანაც, თუმცა ჩვენთან დღეს ასეთი ფონდი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რეგიონული ბიუჯეტის სახსრების, რეგიონული ბანკების კონსორციუმის და აგრეთვე კერძო ინვესტორების მონაწილეობით. სწორედ ეს ფონდი დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო გამოგონებებისა და მიღწევების კომერციულ გამოყენებაზე.

ვენჩურული საოლქო ფონდის მთავარი მიზანი უნდა გახდეს იმ ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერა, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტის თვალსაზრისით შედარებით პერსპექტიულ, ინოვაციურ პროდუქციას.

საშუალოტექნოლოგიური პროდუქციის საფეხურიც პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ექსპორტისათვის. აქ კონკურენციის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ზედა საფეხურზე, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია. აქაც, ისე როგორც ზედა საფეხურზე, შეიძლება იყვნენ ის ფირმები, რომელთაც აქვთ დიფერენცირებული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა. მსოფლიო ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში ჩვენი ფირმების მონაწილეობა შედარებით ახლო მიზანია. ამიტომ აუცილებელია იმ ფირმებისათვის რეგიონული მხარდაჭერა, რომელთაც უნარი აქვთ, შექმნან მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ეს მხარდაჭერა საჭიროა ამ პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასატანადაც. ასეთი მხარდაჭერის ინსტრუმენტები და მექანიზმები დიდი ხანია შემუშავებულია საზღვარგარეთ. საჭიროა ჩვენს ქვეყანაში ამ გამოცდილების ადაპტაცია.

რაც შეეხება მსოფლიო ბაზრის მზა პროდუქცი-

ის ქვედა სეგმენტს და ნედლეულის ბაზარს, უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია დღეისათვის ამ ბაზარზე ჩვენი ფირმების არსებობა. თუმცა პერსპექტივაში აუცილებელია ამ სეგმენტში ფირმების საქმიანობის შემცირება და მსოფლიო ბაზრის სხვა სეგმენტებში რეგიონული მონაწილეობის გაფართოება. მსგავსი პროდუქციის ექსპორტისაგან მიღებული შემოსავლები გამოყენებულ უნდა იქნას ზემოთაღნიშნული მიმართულებების დასაფინანსებლად ნედლეულის ექსპორტიორების რენტის გადასახადების გაზრდის გზით, რომელიც მიედინება რეგიონის ბიუჯეტში. სწორედ გადანაწილების გზით ნედლეულის ექსპორტით მიღებული შემოსავლები უნდა გახდეს ვენჩურული ფონდების და ქვეყნის განვითარების ბიუჯეტის ძირითადი წყარო.

სწორედ ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული ექსპორტის სტიმულირების და ბიზნესის განვითარების კონცეფციის რეგიონული პროგრამის შემუშავებისას. დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციაში საქართველოს ფირმებს აქვთ კარგი შესაძლებლობა. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ეროვნული სიმდიდრე — ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალი და მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იმ მიმართულებებს, რომელშიც სახელმწიფო დახმარებას უწევს საექსპორტო პროდუქციის ადგილობრივ მრეწველებს, წარმოადგენს:

- ექსპორტიორებისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა სპეციალური სახელმწიფო ან შერეული ბანკებიდან ან ორგანიზაციებიდან (აშშ-ში - "ექსიმბანკი", იაპონიაში კორპორაცია "ჯეტრო");

- ექსპორტისა და საექსპორტო კრედიტების შეღავათიანი დაზღვევა;

ექსპორტიორებისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა სპეციალური სახელმწიფო ან შერეული ბანკებიდან ან ორგანიზაციებიდან (აშშ-ში - "ექსიმბანკი", იაპონიაში კორპორაცია "ჯეტრო");

- ექსპორტისა და საექსპორტო კრედიტების შეღავათიანი დაზღვევა;

საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების მიცემა იმ მწარმოებისათვის, რომლებიც ამზადებენ საექსპორტო პროდუქციის პრიორიტეტულ სახეობებს.

- პრიორიტეტული საექსპორტო პროექტების განვითარების პროგრამების შემუშავება და დაფინანსება;

- ექსპორტიორებისათვის დახმარება ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და პირდაპირი საბიუჯეტო ფორმით;

- საზღვარგარეთ ეროვნული ინვესტორების პირდაპირი ინვესტიციებით მხარდაჭერა.

ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით ყურადღების კონცენტრირება უნდა მოხდეს იმ საშუალებებზე, რომელიც არ მოითხოვს დიდ ფულად დანახარჯებს.

ეს უპირველეს ყოვლისა არის საექსპორტო

კრედიტების გარანტირება და დაზღვევა სპეციალურად შექმნილი ექსპორტის დაზღვევის ფონდის საშუალებით. ასეთი ფონდის შექმნა აუცილებელია უკვე უახლოეს მომავალში. შესაძლებელია პროგრამების რეალიზაცია სპეციალური ბიულეტენებით, რომლის საშუალებითაც საზღვარგარეთის პარტნიორები ინფორმაციას მიიღებენ ჩვენი ფირმების საქმიანობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ხადური ნ, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი დასაქვტივები US-AID 2010წ 8 ივლისი
2. ბემკენაძე ზ, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამალღების ზოგიერთი თეორიული მოღელი ჟ."ეკონომიკა" 2014წ N1-2 გვ.18-38
3. სანდროშვილი კ, კონკურენციის რეგიონული ასპექტები თანამეღროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალღების კრებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ.2014 გვ.281-285
4. Пилипенко И.В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория, опыт малых стран Западной и Северной Европы. Москва-Смоленск, 2005;
- 5.<http://www.mof.ge/>;
6. <http://www.geplac.org/>;

ტურიზმის სატელიტური ანგარიშების აგების სრულყოფის ზოგადი

თეორიული ასაქმები

*იულია ონიანი, ანსუ-ს ასოცირებული უნივერსიტეტი
ნონა კუხიანიძე, ანსუ-ს ასოცირებული უნივერსიტეტი*

სტატიაში ეას რეკომენდაციების მიხედვით განხილულია, ზოგადად ტურისტული მოხმარების სტრუქტურა, ტურისტული ფაქტიური და საბოლოო მოხმარების ეკონომიკური შინაარსი, ტურისტული ინდუსტრიის ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლის საფუძველზეც აიგება ტურიზმის სატელიტური ანგარიშები (ტსა).

ტურისტული პროდუქტისა და ტურისტული საქმიანობის სახეების განსაზღვრის მიზნით, მიზანშეწონილია სატელიტური ანგარიშების დამუშავება დავიწყოთ დანახარჯების სტრუქტურის ანალიზით და გავითვალისწინოთ ეას რეკომენდაციები ცალკეული ჯგუფის პროდუქტების გამოყოფის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: სატელიტური ანგარიშები; ტურინდუსტრია; ტურისტული ფაქტიური მოხმარება; ტურისტული პროდუქტი; ტურიზმზე დანახარჯები; ტურიზმის მთლიანი გამოშვება; ტურისტული დამატებული ღირებულება

Summary

According to recommendation of the National Accounts System in the article is generally discussed tourist consumption structure, economic content of tourist actual and final consumption, types of economic activity of tourist industry which are basis for construction of the tourism satellite reports.

For determination of types of tourist products and activity its' advisable to start satellite reports treatment by analysis of expenses structure and to consider recommendations of the National Accounts System for allocation of the separate group products.

Резюме

Согласно рекомендациям Системы национальных счетов в статье рассмотрены в общем структура туристического потребления, экономическое содержание туристического фактического и конечного потребления, виды экономической деятельности туристической индустрии, на основании которых ведётся построение спутниковых счетов туризма.

С целью определения разновидностей туристического продукта и туристической деятельности целесообразно к обработке спутниковых счетов приступить с анализа структуры расходов и учесть рекомендации Системы национальных счетов с точки зрения выделения продуктов отдельной группы.

თანამედროვე პირობებში ტურიზმის მნიშვნელო-

ბა განისაზღვრება იმ შესაძლებლობებით, რომელიც უკავშირდება საქონელსა და მომსახურებაზე დამატებითი მოთხოვნის წარმოშობას, ახალი წყაროს და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მძლავრი სტიმულების შექმნას. ტურიზმის სფეროს განვითარების დონის ანალიზისათვის და მისი სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისათვის საჭიროა გვექმნოდეს ეკონომიკური ინფორმაციის ადეკვატური სისტემა. თითქმის ყველა ქვეყანაში არის ინფორმაციის ნაკლებობა ტურიზმის როლის შესახებ ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკაში. შესაბამისად, არსებობს მოთხოვნა საიმედო სტატისტიკურ ინფორმაციაზე, რომელმაც რეალურად უნდა ასახოს ამ ეკონომიკური სექტორის როლი და მნიშვნელობა, რათა სახელმწიფომ გაატაროს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ამ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ტურიზმის სტატისტიკური აღწერა ხდება ნატურალური მაჩვენებლების ნაკრების დახმარებით (დამსვენებელთა რიცხვი, ღამისმთევლების რიცხვი, სასტუმროებში ადგილების რაოდენობა და ა. შ.) მაგრამ ეს მაჩვენებლები არ იძლევა შესაძლებლობას განვსაზღვროთ ტურიზმის ადგილი ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ ღირებულებითი მაჩვენებლების დახმარებით, რომელიც მეთოდოლოგიურად შეესაბამება ეას-ში გამოყენებულ მაჩვენებლებს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის სტატისტიკის შექმნა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დამამთავრებელი ეტაპი ითვალისწინებს ტურიზმის სატელიტურ ანგარიშების მეთოდოლოგიის ათვისებას და ანგარიშების პრაქტიკულ აგებას.

მისი გადანყვეტა მოითხოვს:

მოქმედი საინფორმაციო ბაზის არსებით გარდაქმნას;

ტურისტული გამოკვლევების ორგანიზებას;

და რაც მთავარია, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მეთოდოლოგიის ათვისებას.

სატელიტური ანგარიშების აგების სამუშაოები რამოდენიმე წელია უკვე ხორციელდება მრავალი ქვეყნის ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებში და ტურიზმთან დაკავშირებულ ინსტიტუტებში. ტსა-ის აგების სამუშაოებში მონაწილეობს 60-ზე მეტი ქვეყანა, მაგრამ ვერც ერთი ქვეყანა ვერ იძლევა სრულ რეკომენდაციებს ამ ანგარიშების აგებისათვის. ამ სფეროში რამდენადმე წინ წავიდა კანადა, რომელმაც პირველად 1994 წელს გამოაქვეყნა თავისი სატელიტური ანგარიში, აგრეთვე აშშ და ნორვეგია. ამ სამუშაოებს ატარებს აგრეთვე გაეროს, ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია (ტსო), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

(ეთაგო), ევროსტატი და სხვა ორგანიზაციები. მათ შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს მეთოდოლოგიური რეკომენდაციები.

სატელიტური ანგარიშების აგების ამოცანა დგას იმიტომ, რომ წარმოდგენილ იქნას დანვრილებითი ანალიტიკური ინფორმაცია ტურიზმის ყველა ასპექტის შესახებ: ტურისტული მოხმარების სტრუქტურა, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომელიც პირველ რიგში მიმართულია დამსვენებელთა მომსახურებაზე, კავშირი ეკონომიკურ საქმიანობის სხვა სახეებთან. ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებში გამოითვლება ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის ზემოქმედების ღირებულებითი მაჩვენებლები.

ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შემუშავების პროცესი მოითხოვს არა მარტო საბაზო ინფორმაციის პირდაპირ შეგროვებას, არამედ აგრეთვე ეროვნულ ანგარიშთა მონაცემებში უკვე არსებული მონაცემების გარდაქმნას და განაწილებას „ტურისტული“ ნიშნით. არსებითად, ტურიზმის სატელიტურ ანგარიშების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მოდელირდება, ვიდრე პრაქტიკიდან მიიღება.

ეას რეკომენდაციების მიხედვით, სატელიტური ანგარიშები განასხვავებს ტურიზმზე დანახარჯებს (ანალოგიურია საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯების) და ტურისტთა ფაქტიურ მოხმარებას (ანალოგიური ეას-ში ფაქტიური საბოლოო მოხმარების). ტურიზმზე დანახარჯების ქვეშ იგულისხმება ტურისტების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები საბოლოო მოხმარებისათვის, იმის მიუხედავად, როდის იყო ეს ხარჯი გაწეული - მოგზაურობის პერიოდში, მანამდე თუ მის შემდეგ.

ტურისტთა საბოლოო მოხმარებაში შედის ტურისტების მიერ მოგზაურობის პროცესში, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე ხარჯები, შრომის ანაზღაურება ნატურალურ ფორმაში თუ გვექნება ასეთი გამოწვევის შემთხვევა (არის შემთხვევა, როცა სანარმო ერთეულები, მივლინებაში მყოფთათვის დაქირავებულ თანამშრომლებს უხდის კვების ხარჯებს) და სხვა ინსტიტუციური ერთეულებიდან მიღებული ტრანსფერები ნატურალურ ფორმაში (სოციალური ტრანსფერების გარდა). თუ ამ მაჩვენებლებს დაუმატებთ არაკომერციული ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული სოციალურ ტრანსფერებს, მიიღებთ ტურისტთა ფაქტიური საბოლოო მოხმარების მაჩვენებელს.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, საერთო ხარჯები მოიცავს აგრეთვე მწარმოებელი კორპორაციების ხარჯებს ტრანსპორტზე და თავისი მივლინებული თანამშრომლებისა და სტუმრების სასტუმროში ცხოვრების ხარჯებს, რომლებიც ჩვეულებრივ შეიტანება შუალედური მოხმარებაში.

ტურისტული მოხმარების ეს განსაზღვრება ვრცელდება საქონლისა და მომსახურების ყველა კატეგორიაზე. ეას რეკომენდაციას იძლევა დავინყოთ სატელიტური ანგარიშების დამუშავება დანახარჯების სტრუქტურის ანალიზით ტურისტული

პროდუქტისა და ტურისტული საქმიანობის სახეების განსაზღვრის მიზნით და გვთავაზობს რიგ რეკომენდაციებს ცალკეული ჯგუფის პროდუქტების გამოყოფის თვალსაზრისით.

ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მიხედვით ეს ნიშნავს საქონლისა და მომსახურების მთელი ერთობლიობის განაწილებას ტურიზმისათვის სპეციფიკურ და მისთვის არასპეციფიკურად. ამასთან სპეციფიკურის შემადგენლობაში გამოიყოფა მისთვის დამახასიათებელი (ექვემდებარება პროდუქტის სტატისტიკურ აღრიცხვას, რომლის უდიდესი ნაწილი, უმეტეს ქვეყნებში გაქრა ან რომლის მოხმარების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა დამსვენებელთა ნაკლებობის გამო) და თანმხლები (დანარჩენი კატეგორია, რომელიც მოიცავს პროდუქტებს, რომელიც ცალკეულ ქვეყნებში განსაზღვრული იყო როგორც ტურიზმისათვის სპეციფიური საქონელი და მომსახურება, თუმცა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით არ შეიტანება ამ კატეგორიაში), საქონელი და მომსახურება.

ეას-ის კონცეფციის თანახმად, საქმიანობის სახეები, სადაც წარმოებული საქონელი და მომსახურება ტურიზმისათვის წარმოადგენს ტიპიურს, განსაზღვრება როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სახეები, ხოლო მწარმოებელი, რომელიც დაკავებულია ასეთი სახის საქმიანობით, უნდა იწოდებოდეს განსაკუთრებულ მწარმოებლად.

იმისათვის, რომ საქმიანობის სახე მივაკუთვნოთ განსაკუთრებულს მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მის მიერ წარმოებული ტიპიური პროდუქტი (საქონელი), მომსახურება უნდა იკავებდეს არსებით ხვედრით წილს ტურისტული მოხმარების საერთო მოცულობაში, ან ამ სახის პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობაში.

მეორე განმასხვავებელ ნიშანს საქმიანობის სახეს ჰქონდეს ტურისტული ხასიათი, წარმოადგენს ის, რომ ისინი უშუალოდ უნდა ემსახურობდნენ დამსვენებლებს, ე.ი. უნდა იყოს პირდაპირი კავშირი პროდუქტის მიმწოდებელსა და მის მომხმარებელს შორის. მომსახურებისაგან განსხვავებით, მწარმოებელი და მიმწოდებელი, როგორც წესი, გამოდიან როგორც ერთი პირი. მომსახურებისაგან განსხვავებით საქონელისათვის მოცემული პირობა წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულს, რამდენადაც მწარმოებლებსა და საბოლოო მომხმარებლებს შორის შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ან რამოდენიმე შუამავალი. ამის გამო ტურისტულ ინდუსტრიაში, როგორც წესი, შედის არა განსაზღვრული საქონლის მწარმოებელი, არამედ საცალო ვაჭრობა, რომელიც ემსახურება მომხმარებლებს, ამიტომ სავაჭრო ფასდანამატი მოცემული სახის საქონელზე შედის ტურიზმის ინდუსტრიის მთლიან გამოშვებაში.

ტურისტული საქმიანობის სახეების ჩამონათვალი და მისი შესაბამისი ტურისტული პროდუქტები შესაბამისობაშია ტურისტული საქმიანობის სახეების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციასთან, რომელიც აგრეთვე ეფუძნება საქმიანობის სახეებ-

ის საერთაშორისო კლასიფიკატორს და მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

ტურიდუსტრიის საქმიანობის სახეები

ტურიდუსტრიის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეები	ტურისტული პროდუქტის ძირითადი სახეები
1. სასტუმროებისა და ანალოგიური განთავსების საშუალებების საქმიანობა.	1. განთავსებისათვის მომსახურება: <ul style="list-style-type: none">სასტუმროები და განთავსების სხვა საშუალებები;
2. ინდივიდუალური განთავსების საშუალებების საქმიანობა.	<ul style="list-style-type: none">საკუთარი ანგარიშით ან უფასოდ სხვა სახლების მომსახურება;
3. რესტორნების და ანალოგიური სახის სა.ს. კვების ობიექტების საქმიანობა.	2. სასკევა და სასმელების გაყიდვა.
4. რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტის საქმიანობა.	3. სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება: <ul style="list-style-type: none">რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურება;
5. საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტის საქმიანობა.	<ul style="list-style-type: none">საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება;
6. წყლის სამგზავრო ტრანსპორტის საქმიანობა.	<ul style="list-style-type: none">წყლის ტრანსპორტის მომსახურება;საპაერო ტრანსპორტის მომსახურება;
7. საპაერო სამგზავრო ტრანსპორტის საქმიანობა.	<ul style="list-style-type: none">სამგზავრო ტრანსპორტის დამხმარე სამსახურის მომსახურება;
8. სამგზავრო ტრანსპორტის დამხმარე საქმიანობა.	4. ტურისტული აგენტების, ოპერატორების და გიდების მომსახურებები: <ul style="list-style-type: none">ტერაგენტების მომსახურება;ტუროპერატორების მომსახურება;ტურისტული გიდების მომსახურება;
9. ტურისტული აგენტების და ანალოგიური შუამავლების საქმიანობა.	5. სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების არენდა.
10. სამგზავრო საარენდო ტრანსპორტის საქმიანობა.	6. კულტურის სფეროში მომსახურება : <ul style="list-style-type: none">სახცენო ხელოვნება;მუზეუმები და სხვა მომსახურებები კულტურის სფეროში;
11. კულტურის სფეროში საქმიანობა.	
12. სპორტისა და დასვენების ორგანიზაციის სფეროში საქმიანობა.	
7. რეკრეაცია და მოსვენების სხვა სახეები: <ul style="list-style-type: none">სპორტი და სპორტული მოსვენების სხვა სახეები;რეკრეაციული და გასართობი სახის სხვა მომსახურებები;	
8. სხვა ტურისტული მომსახურებები: <ul style="list-style-type: none">ფინანსური მომსახურება;სადაზღვეო მომსახურება;არენდის სხვა სახეები და ტურისტული მომსახურება.	

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ცხრილში ჩამოთვლილი საქმიანობის სახეებისა შეტანილია აგრეთვე ფინანსური და სადაზღვეო მომსახურებები.

ბი. არენდისა და ტურისტული მომსახურების სხვა სახეები გაერთიანებულია „სხვა ტურისტული მომსახურებების“ ჯგუფში.

ტურისტული მომსახურების განსაკუთრებულ სახედ ითვლება ტურისტული პაკეტი (მოგზაურობა ტურისტული საგზურით). დარგობრივ სტატისტიკაში ისინი გამოიყოფა მთლიანი სახით, ე.ი. ბილეთის ღირებულების, სასტუმროში ცხოვრების, საექსკურსიო მომსახურების და ა.შ. ჩათვლით. ამიტომ ღირებულება, რომელიც შედის მომსახურების პაკეტში ფაქტიურად განხორციელებულია სხვა კომპანიების მიერ. ამიტომ იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ტურისტული ფირმის (ოპერატორების) შუალედური მოხმარება.

ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილებისათვის სატელიტური ანგარიშების შედგენისას საჭიროა პაკეტური ტურების დეზინტეგრირება, მათი დაყვანა „წმინდა“ ღირებულებაზე. ამათან მომსახურება, რომელსაც ახორციელებენ რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიები, ცალკე უნდა იქნეს გაანგარიშებული.

ტურისტულ მოხმარების განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე. რომელიც განისაზღვრება არა მოხმარებული პროდუქტის მოცულობით, არამედ კონკრეტული მიზნით, რომელიც აქვს დამსვენებელს (ე.ი. მოგზაურობა სახლიდან შორს), შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სხვაობა მოცემულ რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის გამოშვების მოცულობასა და მათ მიერ მოცემულ რეგიონში ტურისტული მოხმარების დონეს შორის. სხვაობა განპირობებულია შემდეგი მოცულობების ხარჯზე:

იმ საქონლისა და მომსახურების მიწოდების მოცულობა, რომელსაც მწარმოებლები წარუდგენენ დამსვენებლებს არ მიეკუთვნება ტურისტულ ინდუსტრიას;

ტურისტული ინდუსტრიის სანარმოების მიერ მოსახლეობის სხვა კატეგორიებზე (რომლებიც არ არის დამსვენებლად) წარდგენილი მიწოდების მოცულობა;

განსხვავების სიდიდეზე შესაძლებელია გავლენას ახდენდეს, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების შესახებ არსებული ინფორმაციის დეტალიზაციის დონე.

ტურიზმის სატელიტური ანგარიშები ითვალისწინებს შემდეგი სპეციფიკური მაკროეკონომიკური აგრეგატების გამოთვლას:

ტურისტული ინდუსტრიის დამატებული ღირებულება;

ტურისტული დამატებითი ღირებულება;
ტურისტული მთლიანი (შიგა) რეგიონული პროდუქტი.

ჩამოთვლილი აგრეგატები უზრუნველყოფს სტატისტიკური შეფასებების საერთაშორისო შესადარისობას და წარმოადგენს ტურიზმის სტატისტიკის აუცილებელ მაჩვენებლებს.

ტურისტული ინდუსტრიის დამატებული ღირებულება ახასიათებს დამატებულ ღირებულებას,

რომელიც შექმნილა ტურისტული ინდუსტრიის ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიერ როგორც დამსვენებლების, ისე მომხმარებელთა სხვა კატეგორიების (ე.ი. რომლებიც არ წარმოადგენენ დამსვენებლებს) მომსახურების შედეგად.

ტურიტული დამატებული ღირებულება მოიცავს ტურისტული ინდუსტრიის დამატებული ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც განპირობებულია ტურისტული მოხმარებით, და იმ დამატებულ ღირებულებას, რომელიც მიიღება საქმიანობის სპეციფიური სახეებისაგან, რომელიც შექმნილია დამსვენებელთა მომსახურების მიზნით..

ტურისტულ მთლიანი შიგა (რეგიონული) პროდუქტი განისაზღვრება როგორც დამატებული ღირებულების ჯამი, შექმნილი ტურისტული ინდუსტრიისა და ტურიზმის მომსახურებაში დასაქმებული საქმიანობის სხვა სახეების მიერ პროდუქტებზე და იმპორტზე გადაახადების ჩათვლით.

ძირითადი აგრეგატების გარდა სატელიტური ანგარიშების მეთოდოლოგია რეკომენდაციას უწევს კიდევ დამატებითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვალას ესენია:

- დასაქმება, რომელც დაკავშირებულია ტურიზმთან;
- ინვესტიციები ძირითად საშუალებებში (მთლიანი დაგროვება);
- ტურისტული კოლექტიური მოხმარება (ხელისუფლების არასაბაზრო მომსახურება);
- ერთობლივი ტურისტული მოთხოვნა.

ცხადია, რომ ამ მაჩვენებლებიდან მხოლოდ პრველს აქვს საკმარისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, დანარჩენი მაჩვენებლების მეთოდოლოგია ფორმირების სტადიაზეა.

ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შემუშავებისათვის მეთოდოლოგიური სტრუქტურა წარმოადგენს განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულია ცხრილებში და დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით. ის მოწოდებულია ჩატარდეს ტურიზმის სრული ეკონომიკური ანალიზი, როგორც მოთხოვნის, ისე მოხმარების თვალსაზრისით.

ცხრილების უმრავლესობა, რომლებიც წარმოქმნის სატელიტური ანგარიშების სისტემას, გვთავაზობს ეტაპობრივ მოდგომას. თავდაპირველად ინფორმაციის ორგანიზებას ჯერ გამოყენების მაჩვენებლების მიხედვით, შემდეგ წარმოების მაჩვენებლების მიხედვით. შემდეგ განხორციელება მოხმარებისა და წარმოების მაჩვენებელთა შეთანხმება, რაც წარმოადგენს ტურიზმის სატელიტური ანგარიშების სისტემის ცენტრალურ ბლოკს. ამ მიზნით მოყვანილია ზოგიერთ მაჩვენებელთა ნაკრები, რომლებიც გარკვეული აზრით იძლევა მოცემულ მოვლენის საერთო ხედვას. ბოლოს, სისტემაში წარმოდგენილია ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ფენონმენის კიდევ სხვა უმნიშვნელოვანესი თავისებურებები.

1. Горбунов В.С. Туристический рынок Европе—М.: Юнитию 2000.
2. Винокуров В.И., Леонов В.А., Индустрия туризма: теоритические, методологические и практические аспектыю науч. монографияю Сочи: изд. СГУТ и КД, 1998.
3. <http://www.world—tourism.org—turizmis saerTaSoriso opganizacia>.

მაგისტრალური გაზსადენის დასვა დაინდუქციებული დენების ზემოქმედებისაგან

კოტე კამკამიძე, სტუ-ს პროფესორი
ირინა ბერძენიშვილი, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

განხილულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების უარყოფითი ზემოქმედების შედეგები გაზსადენზე. მილსადენის დასაცავად დაინდუქციებული ცვლადი დენების ზემოქმედებისაგან დასაბუთებულია დამცავი დამამინებელი მოწყობილობის გამოყენება. მოყვანილია დამცავი მოწყობილობის სქემა.

საკვანძო სიტყვები: გაზსადენი, საიმედოობა, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, დაინდუქციებული დენები, დამცავი მოწყობილობა.

Summary

PROTECTION OF MAIN GAS PIPELINE FROM INDUCED CURRENT EFFECTS

The results of dangerous influence of high-voltage power lines on gas piping system are considered. To prevent the gas pipeline from induced current effects it is substantiated the application of suitable protective grounding devices along pipeline. The scheme of the protective device is presented.

Key words: gas pipeline, safety, high-voltage power lines, induced currents, protective device.

* * * * *

ცნობილია, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (ეგბ) ველები იწვევს ლითონის გამტარ სხეულებში (მაგისტრალური მილსადენები, ლითონის სახურავები, მანქანები, ღობეები) ველის ან დენის გენერირებას. ადამიანის ან ცხოველის ასეთ გამტარ სხეულთან შეხება ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლოგიური ზიანი, შოკი ან სხვა უსიამოვნო შედეგი [1–4].

ლითონურ კონსტრუქციაზე ელექტრული დენის მოხვედრა მისი კოროზიული რღვევის მიზეზი ხდება. გაზსადენის სპეციფიკიდან გამომდინარე კი, კოროზიული დაზიანების და აირის გაფრქვევის შემთხვევაში, დაინდუქციებული მოხეტიალე ცვლადი დენები აფეთქების დიდ საშიშროებას ქმნის. ამ დროს გარემოსადმი მიყენებული ზიანი დიდია [4–6].


ეგბ-ს დერეფნის ფარგლებში განლაგებული მილსადენის საცდელი მონაკვეთის დათვალიერებამ და შესრულებულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ გაზსადენზე დაინდუქციებული ცვლადი დენის ძალა საშუალოდ 30 ა შეადგენს. შეხების მაქსიმალური ძაბვა მონაკვეთის კმ ნიშნულ 0—თან ფიქსირდება და 120 ვ შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ძაბვის დასაშვებ მნიშვნელობას TRL-71 დოკუმენტის

მიხედვით (65 ვ) [4, 7]. საკონტროლო მონაკვეთის კმ ნიშნულ 10—თან დამინებით დამავალი დენის სიდიდე 25 ა—ზე მეტია.

ეგბ—ს მიწასთან მოკლე ჩართვისას შეხების ძაბვის მაქსიმალურად შესაძლებელი გაანგარიშებული სიდიდე შეიძლება 3,7 კვ აღწევდეს, რაც ასევე მნიშვნელოვნად აღემატება ძაბვის დასაშვებ მნიშვნელობას, რომელიც 1000 ვ—ს ტოლია [7].

ელექტრული (მოხეტიალე) დენების არსებობა არსებით გავლენას ახდენს მილსადენის საიმედოობაზე. რიგ შემთხვევებში გაზსადენზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ველების მოქმედებას თან ახლავს ყინვის, გრუნტის ნყლების გამორეცხვის დამანგრეველი მოქმედება. ყველაფერი ეს აძლიერებს და აჩქარებს ფოლადის მილების კოროზიას.


მაღალი ძაბვის ხაზთან სიახლოვის პირობებში სავარაუდო რისკების აღმოფხვრის მიზნით მილსადენის მარშრუტის გასწვრივ ჩატარებულმა კვლევებმა და ელექტრომეტრულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ გადაძაბვისაგან დასაცავად და ელექტროუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მაგისტრალური მილსადენის დენგამტარი ნაწილების დამატებითი დამინება [3–6]. მაგალითად, მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების ხანგრძლივი ზემოქმედების დროს, dU მილი/მინა შეხების მაქსიმალური ძაბვის 26 ვ—მდე, ხოლო ეგბ—ს მიწასთან მოკლე ჩართვის შემთხვევაში, შეხების ძაბვის 1000 ვ—მდე შემცირება მიიღწევა მილსადენის გასწვრივ საკონტროლოდ შერჩეული ათკილომეტრიანი მონაკვეთის შესასვლელსა და გამოსასვლელზე დამინების დამატებითი დამცავი მოწყობილობების ჩართვით სქემაში ისე, როგორც ნაჩვენებია პირველ ნახაზზე. ამ დამცავი დამამინებელი მოწყობილობების განდინებისადმი წინაღობა (R_0 და R_L) შესაბამისად 0,3 და 0,4 ომს შეადგენს [3, 6].



ნახ. 1. ა — მილსადენის სქემა დამატებითი დამამინებელი მოწყობილობებით 0—ვან ($R_0 = 0,3$ ომ) და მე—10—ე კილომეტრზე ($R_L = 0,4$ ომ);

ბ — ეგბ—ს გავლენით მილსადენის სიგრძეზე დაინდუქციებული ძაბვის და დენის განაწილება

დამცავი დამამინებელი მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდნენ სახელმწიფო სტანდარტს. მილის საცდელი მონაკვეთისათვის შერჩეული მარტივი კონსტრუქციის დამცავი დამამინებელი მოწყობილობა წარმოდგენილია მე-2-ე ნახ.-ზე.



ნახ. 2. დამცავი დამამინებელი მოწყობილობის სქემა: 1 — სა-ზომ—საკონტროლო ხელსაწყო, 2 — ცვლადი დენის განდინების ბლოკი, 3 — დაცული მილი, 4 — სიხშირის ფილტრი, 5 — მეხდამ-

ცავი მოწყობილობა, 6 — საკომპენსაციო ბლოკი, 7 — ტრანსფორმატორი, 8 — დამამინებელი მოწყობილობა

მილსადენის დამცავი მოწყობილობა წარმოადგენს მილსადენების ელექტროქიმიური კოროზიისაგან დაცვის სისტემის ელემენტს. ეგბ—ს ზემოქმედებით გამოწვეული dU მილი/მინა შეხების ძაბვისა და დაინდუქციებული ცვლადი დენის განაწილების შესწავლა აჩვენებს, რომ ამ მოწყობილობით მილის ალჭურვისას dU შეხების ძაბვა 120 ვ—დან მცირდება 26 ვ—მდე (ნახ. 1 ბ).

თუ რა სიდიდის I დენი გაივლის მილსადენის საცდელ უბანზე იანგარიშებოდა ფორმულით:

$$I = \frac{\Delta U}{R \cdot l}$$

სადაც - ΔU - მილსადენის უბანზე ძაბვის ვარდნის საშუალო მნიშვნელობა, ვ; R — 1მ მილის წინაღობა, ომ/მ; l - გაზომვის წერტილებს შორის მანძილი, მ.

მილსადენზე დამონტაჟებული დამცავი მოწყობილობები ამავდროულად ეგბ—ს მინასთან მოკლე ჩართვის შემთხვევაში უზრუნველყოფენ შეხების ძაბვის მნიშვნელოვან შემცირებას. ამ დროს დენის ძალა კათოდური დაცვისათვის მატულობს, თუმცა უმნიშვნელოდ, რაც აიხსნება თუთიის ძალზე მაღალი უარყოფითი პოტენციალით ($UZn \approx -1$ ვ).

ჩატარებული დაცვითი ღონისძიებების შედეგად, ცვლადი დენით გენერირებული მაგნიტური ველის ზემოქმედება ფოლადის მილზე მცირე იქნება და მისი ტანი დაცული იქნება გადაძაბვისგან.

ფოლადის კონსტრუქციები კოროზიებადია და ეგბ—ც უარყოფით გავლენას ახდენს მათ კოროზიულ მდგომარეობაზე, რაც ნაწილობრივ შეიძლება შერბილებულ იქნას დამცავ ღონისძიებათა შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Михайлов М.И., Разумов Л. Д., Соколов С. А. Электромагнитные влияния на сооружения связи. М.: Связь, 1979. – 264 с.
2. Костенко М.В. Взаимные сопротивления между воздушными линиями с учетом поверхностного эффекта в земле. Электричество, №10, 1965. – с. 29-34.
3. nbra.ru/ecobook/declaration01.pdf.
4. კ. კამკამიძე, დ. კიკნაძე, ი. ბერძენიშვილი. გაზსადენი სისტემის საიმედოობის რისკ—დონეების შეფასება. ჰიდროინჟინერია, 2012, №1—2(13—14), . 108—116.
5. Толстая М.А., Иоффе Э.И., Потеминская И.В. Электрохимическая коррозия стальных подземных сооружений переменным током промышленной частоты // Газовое дело. - 1964. - № 3.
6. <http://www.pipe-st.ru/catalog/uzt/>
7. Technische Richtlinien-71 (TRL-71). EMR-Technic Kathodischer Korrosionsschutz für Erdgasfernleitungen.

რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზეგავლენის გაზომვა

ბესიკ ბარკალაია, სტუ-ს პროფესორი
ნინო შაფათავა, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება სადაც რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯების ეკონომიკური ზემოქმედების გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა მულტიპლიკატორი. რეკრეაციის მულტიპლიკატორი — ეს არის ერთ-ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, წარმოების, შემოსავლის ან დასაქმების ცვლილების თანაფარდობა რეკრეანტთა ხარჯების ცვლილებასთან. აქ წარმოდგენილ რეკრეაციის კოეფიციენტზე უნდა გამრავლდეს რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯები. წარმოების საერთო ცვლილებების შესაფასებლად გამოიყენებულ უნდა იქნას წარმოების მულტიპლიკატორი. საერთო შემოსავლების ცვლილებათა შესაფასებლად სხვა კოეფიციენტი, რომელზეც ასევე უნდა გამრავლდეს რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯები. რეკრეანტთა ხარჯების შემოსავლებზე, დასაქმებაზე და იმპორტზე ზემოქმედების შესაფასებლად შემოტანილ იქნა 1971 წელს ამერიკელი ეკონომისტების არჩერის და ოუენის მიერ შემუშავებული მულტიპლიკატორის გაანგარიშების მოდელი. მულტიპლიკატორის მნიშვნელობა განსხვავებულია ადგილობრივი ეკონომიკისა და მისი სხვადასხვა სექტორის სამეურნეო ურთიერთკავშირების ხასიათზე დამოკიდებულებით. პოლიტიკისა და დაგეგმვის შემუშავებისათვის შემოსავლების მულტიპლიკატორი ყველაზე ფასეულია, ვინაიდან ის უზრუნველგვყოფს ეროვნული შემოსავლისა და მისი ცვლილებებს ინფორმაციით მანამდე, ვიდრე ინარმოება პროდუქცია და საქონელბრუნვა.

მულტიპლიკატორების დანვრისა და ანალიზი წარმოებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზის მიზნით, აგრეთვე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებთან შედარებით რეკრეაციის სხვადასხვა სახეების ზემოქმედების შეფარდებითი სიდიდეების შესასწავლად და შესამოწმებლად.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაცია. ეკონომიკა. ზემოქმედება. შეფასება. რეკრეანტები. გაანგარიშება. მულტიპლიკატორი. წარმოება. შემოსავლები. დასაქმება. ხარჯები. ჩავადასახადები. ციკლი. მოხმარება. ეფექტიანობა.

Summary

Measuring the Economic Impact of Using Recreation

Measuring the economic impact of using recreation by using a multiplier for calculation of the costs borne by the holiday-makers. Recreation multiplier - this is one of the economic indicators, namely, correlation of production, income-generation or employment variations with the variations in the costs borne by the holiday-makers. The costs borne by the holiday-makers shall be multiplied by the recreation coefficient presented here. In order to evaluate the overall variations to the production the production multiplier shall be used. The overall income variations are evaluated by other coefficient which shall be used for multiplication of costs borne by the holiday-makers. For measuring the impact of the costs borne by the holiday-makers upon the income generation, employment and imports, in 1971 American economists Archer and Owen introduced a model of multiplier calculation. The meaning of the multiplier differs depending on the character of business interrelation between local economy and its different sectors. The multiplier is most valuable tool for policy development and planning, as it provides information on domestic revenues and the variations thereto before the product is produced and circulated.

The detailed analysis of the multiplier is made at national and regional levels with regards to the assessment of effectiveness of the investments made by public and private sectors, as well as for study and monitoring of the relative magnitude of impact by different types of recreation compared to other economic sectors.

ძირითადი ტექსტი

რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება ეფუძნება რეკრეანტთა (აღამიანები რომლებიც იყენებენ ბუნებრივ-რეკრეაციულ რესურსებს დასვენებისა და ძალების აღდგენისათვის ბუნებრივ-რეკრეაციულ ადგილებში) მიერ განეული ხარჯებს. აქ მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც განიცდის რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯების ზემოქმედებას.

რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯების ეკონომიკური ზემოქმედების გაანგარიშება წარმოებს მულტიპლიკატორის დახმარებით. რამდენადაც ადგილობრივი, რეკრეაციული სანარმოები (კურორტები, სამონადირეო მეურნეობები, ეროვნული პარკები) დამოკიდებულნი არიან სხვა მომმარაგებელ სანარ-

მოებზე, რეკრეაციულ ადგილებში რეკრეანტთა ხარჯების ნებისმიერი ცვლილება თავის მხრივ იწვევს შემოსავლების, დასაქმების, გაცვლითი კურსისა და ეკონომიკის წარმოებით დონეზე შესაბამის ცვლილებებს.

რეკრეაციის მულტიპლიკატორი — ეს არის ერთ-ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, წარმოების, შემოსავლის ან დასაქმების ცვლილების თანაფარდობა რეკრეანტთა ხარჯების ცვლილებასთან.

არსებობს რალაც კოეფიციენტი, რაზედაც უნდა გამრავლდეს რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯები. წარმოების საერთო ცვლილებების შესაფასებლად გამოიყენება წარმოების მულტიპლიკატორი. საერთო შემოსავლების ცვლილებათა შესაფასებლად გამოიყენება სხვა კოეფიციენტი, რომელზეც ასევე უნდა გამრავლდეს რეკრეანტთა მიერ განეული ხარჯები.

რეკრეანტთა მიერ განეული თავდაპირველი ხარჯები მიემართება რეკრეაციულ საწარმოებში რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან რეკრეანტებს. შემდგომ რეკრეაციული საწარმოები ხარჯავენ თანხებს საიდანაც, ფულის გარკვეული ნაწილი გადის ეკონომიკური ბრუნვიდან სხვადასხვა სახის იმპორტული საქონლის შესაძენად, რომელსაც რეკრეანტები ადგილზე მოიხმარენ. ის თანხა, რომელზეც რეკრეანტების მიერ ამ სახის საქონლისა და მომსახურებისთვისაა დახარჯული, შემდგომში არ მონაწილეობს ეკონომიკური საქმიანობის გენერირებაში. ამიტომ, ფულის რაოდენობა რომელიც აქტიურად განიცდის ცირკულაციას ადგილობრივ ეკონომიკაში, ამ თანხის ოდენობით მცირდება. დარჩენილი თანხა გამოიყენება ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, შრომის ასანაზღაურებლად, სხვადასხვა მოსაკრებლებისა და გადასახადების დასაფარავად. ხარჯვის ყოველ ციკლში ფულის გარკვეული ნაწილი შემოსავლების სახით (ხელფასი, მოგება და ა.შ.) ილექება მოსახლეობაში. ამ ფულის გარკვეული ნაწილი თავის მხრივ იზოგება და წყვეტს ეკონომიკაში ბრუნვას. შემოსავლის გარკვეული ნაწილი რომელიც არ გროვდება, შესაძლოა დაიხარჯოს იმპორტული პროდუქტის შესაძენად ან გადასახადების სახით შევიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამგვარად, შემოსავლები მცირდება და ყოველ ციკლში ეკონომიკური სისტემიდან ადგილი აქვს ფულადი კაპიტალის გაყოფას. რეკრეანტთა ხარჯების ხელშეწყობით კი ეკონომიკური საქმიანობის შემდგომი გენერირების შედეგად დარჩენილი შემოსავლები დიდი მოცულობით იხარჯება.

აქვე, საჭიროა აღინიშნოს მულტიპლიკატორის აქსელერატორისაგან განსხვავება. პირველი წარმოადგენს ახალი ინვესტიციების თანაფარდობას წარმოებისა და შემოსავლების ზრდასთან, ხოლო მეორე — თანაფარდობაა დამატებითი მოხმარებისა წარმოებისა და შემოსავლების ზრდასთან.

მათემატიკურად სამომხმარებლო ხარჯების მულტიპლიკატორი შემდეგი ფორმულით გამოისახება

$$KK = 1 / 1 - MPC$$

სადაც, PC - მოხმარებისადმი ზღვრული

მიდრეკილებაა;

1 - MPC - დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება.

რეკრეანტთა ხარჯების შემოსავლებზე, დასაქმებაზე და იმპორტზე ზემოქმედების შესაფასებლად შემუშავებულია მულტიპლიკატორის გაანგარიშების სხვადასხვა მოდელები. ერთ-ერთი ასეთი მოდელი შემუშავებულ იქნა 1971 წელს ამერიკელი ეკონომისტების არჩერის და ოუენის მიერ, რომელიც შემდგომად გამოიყურება:

$$Y = \sum_{j=1}^N \sum_{i=1}^n Q_{ij} K_{ij} V_i \frac{1}{1 - MPC \sum_{i=1}^n X_i Z_i V_i}$$

სადაც,

j - რეკრეანტთა კატეგორია, j = 1.....N;

i - რეკრეაციულ საწარმოთა სახეები, i = 1.....n;

j - ხარჯების ხვედრითი წილი, რომელიც განხორციელდა j-ური კატეგორიის რეკრეანტთა მიერ საერთო ხარჯებში;

K_{ij} - ხარჯების ხვედრითი წილი, რომელიც განხორციელდა j-ური კატეგორიის რეკრეანტთა მიერ i-ური ტიპის ბიზნესის მეშვეობით;

V_i - პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლები, რომელიც გენერირებულია ხარჯების ერთეულით და რომელიც განხორციელდა i-ური ტიპის ბიზნესის მეშვეობით;

X_i - ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯების ხვედრითი წილი საერთო სამომხმარებლო ხარჯებში, რომელიც განხორციელდა i-ური ტიპის ბიზნესის მეშვეობით;

Z_i - წილი X_i-დან რომელიც მიეკუთვნება შესასწავლ ზონას.

მულტიპლიკატორის მნიშვნელობის შეფასებისას საჭიროა არა მარტო მეთოდის, არამედ მულტიპლიკატორის სახის შერჩევა. მულტიპლიკატორის ყოველი სახე ასრულებს თავის სპეციფიკურ ფუნქციას.

გაყიდვის მულტიპლიკატორით გაიზომება ბიზნესის დამატებითი ბრუნვა, რომელიც წარმოიშობა რეკრეანტთა ხარჯების ზრდის შედეგად.

წარმოების მულტიპლიკატორით გაიზომება ეკონომიკაში პროდუქციის დამატებითი წარმოების მოცულობა, რომელიც წარმოიშობა რეკრეანტთა დანახარჯების ზრდის ხარჯზე.

ზემოთ მითითებულ ორ სახეს შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების მულტიპლიკატორში ყველა ყიდვა-გაყიდვა არ არის დაკავშირებული მიმდინარე წარმოებასთან. მაგალითად, ზოგიერთი გაყიდვები წარმოებს მარაგების შემცირების ხარჯზე.

არსებობს კიდევ ერთი მიდგომა (ხარჯები-

გამოშვება) მულტიპლიკატორით შეფასებისა, რომელიც ნაწილობრივ წონასწორობის პრინციპზე დაფუძნებული წინანდელი მოდელისაგან განსხვავებით ეყრდნობა საერთო წონასწორობის პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად რეკრეაციული ადგილების ეკონომიკა წარმოდგენილია მატრიცული ფორმით ცხრილის დახმარებით. ხარჯების ცვილება რომელიც განპირობებულია რეკრეანტთა ხარჯებით, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$DP = B(I - KA)^{-1} DT$$

სადაც,

P- ხარჯები;

B- დანახარჯთა კოეფიციენტების მატრიცა, $B = m \times n$;

I - იდენტურობის მატრიცა (ელემენტარულ აღგებრაში $I=1$);

K - მატრიცა, რომელშიც დიაგონალზე არსებული სიდიდეები ასახავენ კონკურენტული იმპორტის დონეს, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის ყოველ სექტორთან და რომელიც მატრიცასთან მიმართებაში შიდა გამოშვების კომპონენტს ამცირებს საჭირო რაოდენობით;

A - ეკონომიკაში დარგთაშორისი გარიგებების მატრიცა;

T - რეკრეანტთა ხარჯები.

აღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას რეკრეანტთა ხარჯების ზრდით გამოწვეული დასაქმების ცვლილებების გამოსათვლელად. ასეთ შემთხვევაში მოდელი იღებს შემდეგ სახეს:

$$DL = E(I - KA)^{-1} DT$$

სადაც,

L - დასაქმების დონე;

E - დასაქმების კოეფიციენტთა მატრიცა, $E = m \times n$.

შემოსავლების მულტიპლიკატორი განსაზღვრავს დამატებით შემოსავლებს (ხელფასი, საიჯარო გადასახადი, პროცენტული სარგებელი და მოგება), რომელიც წარმოიშობა ეკონომიკაში რეკრეანტთა ხარჯების შედეგად.

დასაქმების მულტიპლიკატორი განსაზღვრავს სამუშაო ადგილთა რაოდენობას, რომელიც მიიღება რეკრეანტთა დამატებითი ხარჯების შედეგად.

მულტიპლიკატორის გაანგარიშების არსებულ მოდელს ახლავს გარკვეული ნაკლი, რომლის პრაქტიკულად გამოსწორება შესაძლებელია.

შეზღუდვები, დაკავშირებული მიწოდების არაელასტიურობასთან, შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს საჭირო რაოდენობის ხარისხის საქონლისა და მომსახურების მიწოდების დროს რეკრეანტთა ხარჯების ზრდის შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ ჭარბი მოთხოვნა არ

კმაყოფილდება ადგილობრივი წარმოებით, მაშინ რეკრეანტთა დამატებითი ხარჯები წარმოშობს ინფლაციურ პროცესს და არასაკმარისად არსებული საქონლისა და მომსახურების იმპორტირება გარდაუვალი ხდება. ყოველივე ამის გამო მულტიპლიკატორის სიდიდე მცირდება.

მულტიპლიკატორის მნიშვნელობა განსხვავებულია ადგილობრივი ეკონომიკისა და მისი სხვადასხვა სექტორის სამეურნეო ურთიერთკავშირების ხასიათზე დამოკიდებულებით. პოლიტიკისა და დაგეგმვის შემუშავებისათვის შემოსავლების მულტიპლიკატორი ყველაზე ფასეულია, ვინაიდან ის უზრუნველგვეყოფს ეროვნული შემოსავლისა და მისი ცვლილებებს ინფორმაციით მანამდე, ვიდრე იწარმოება პროდუქცია და საქონელბრუნვა.

მულტიპლიკატორების დაწვრილებითი ანალიზი წარმოებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზის მიზნით, აგრეთვე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებთან შედარებით რეკრეაციის სხვადასხვა სახეების ზემოქმედების შეფარდებითი სიდიდეების შესასწავლად და შესამოწმებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) VARIATIONS IN MULTIPLIERS AND RELATED ECONOMIC RATIOS FOR RECREATION AND TOURISM IMPACT ANALYSIS By Wen-Huei Chang; A DISSERTATION Submitted to Michigan State niversity in partial fulfillment of the requirements for the degree of DOCTOR OF PHILOSOPHY Department of Park, Recreation and Tourism Resources aspects of tourism recreational tourism (demand and impacts)
- 2) "Serious Leisure Perspective" By [Sam Elkington](#), [Robert A. Stebbins](#), Published July 13th 2014 by Routledge;
- 3) [Community Based Research in Sport, Exercise and Health Science](#), Edited by [Robert J. Schinke](#), [Kerry McGannon](#), [Brett Smith](#). Published July 9th 2014 by Routledge
- 4) [Adventure Therapy](#), Theory, Research, and Practice, By [Michael A. Gass](#), [H.L. "Lee" Gillis](#), [Keith C. Russell](#). Published January 30th 2012 by Routledge;
- 5) [Strategic Recreation Management](#), By [Jay Shivers](#), [Joseph W. Halper](#), Published December 15th 2011 by Routledge; Published December 15th 2011 by Routledge

რამაზ ოთინაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი
ილია პაპაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

* * * * *

სტატიაში „კონკურენტუნია ბიზნეს-დაზვერვაში“ აღნიშნულია, რომ ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია კონკურენციის გამწვავება, მისი გამოვლენის ფორმებისა და წარმართვის მეთოდების მრავალფეროვნება. ამასთან დაკავშირებით ბიზნესის კონკურენტუნარიანობა არის მისი უნარი დაუპირისპირდეს კონკურენტების იერიშებს. შეინარჩუნოს ბაზრის საკუთარი წილი. კონკურენტუნარიანობა გულისხმობს კონკურენტული უპირატესობების ინდივიდუალური ნაკრების არსებობას, რითაც განისაზღვრება მოცემული ბიზნესის წარმატების საკვანძო ფაქტორები. მათ რიცხვს განეკუთვნება მუშაობის მაღალი ხარისხი, საქონლის და მომსახურების სამომხმარებლო ფასეულობა, კონკურენტუნარიანი ფასები, თანამშრომლების პროფესიონალიზმის მაღალი დონე, ფორმირებული იმიჯი, ბიზნეს გამოცდილება და რეპუტაცია, საკრედიტო ისტორია, მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დონე და ა.შ. კონკურენტული სტრატეგიის მიხედვით ბიზნეს ობიექტები იყოფა საბაზრო ლიდერებად, პრეტენდენტებად, მიმდევრებად და იმ ობიექტებად, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საკუთარი საბაზრო ნიშა.

РЕЗЮМЕ

В статье «Конкуренция в бизнес-разведке» отмечается, что для современного этапа экономического развития характерно обострение конкуренции, многообразие форм ее выражения и методов ведения. В связи с этим конкурентоспособность бизнеса – это его способность противостоять натиску конкурентов, удерживать свою долю рынка. Конкурентоспособность подразумевает наличие индивидуального набора конкурентных преимуществ, определяющих ключевые факторы успеха данного бизнеса. К их числу относятся высокое качество работы, потребительская ценность товаров и услуг, конкурентоспособные цены, высокий уровень профессионализма сотрудников, сформированный имидж, опыт и репутация в бизнесе, кредитная история, уровень управления и организационного развития и т.д. По конкурентной стратегии бизнес-объекты делятся на лидеров рынка, претендентов, последователей и объекты, уже нашедшие собственную рыночную нишу.

მრავალი ცდის მიუხედავად, კონკურენციის უგულვებელყოფისა, რასაც ქადაგებდნენ რადიკალური ფუნდამენტური და რელიგიური კონცეფციები, საზოგადოებამ, ჯერ ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს კონკურენციის გარეშე ცხოვრებას. ვინაიდან კონკურენცია განვითარების მთავარი მოტივია. კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა არა კონკურენციის უგულვებელყოფის არამედ მისი ცივილიზირებულ, ადამიანისეულ საზღვრებში მოქცევის პრობლემა. განათლებული ადამიანი კონკურენციის ფენომენს აიძულებს იმუშაოს საზოგადოების სასიკეთოდ. ზოგ ქვეყანაში ამას ახერხებენ წარმატებით, ზოგში კი ვერ.

როგორც ცნობილია, კონკურენცია არის რამდენიმე მონათესავე ბიზნეს ობიექტის მეტოქეობა, რომლებიც მოქმედებენ ბაზრის ერთსა და იმავე სეგმენტში და გააჩნიათ მსგავსი ინტერესები. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია კონკურენციის გამწვავება, მისი გამოვლენის ფორმებისა და წარმართვის მეთოდების მრავალფეროვნება. ამასთან დაკავშირებით ბიზნესის კონკურენტუნარიანობა არის მისი უნარი (პოტენციური და რეალური) დაუპირისპირდეს კონკურენტების იერიშებს. შეინარჩუნოს ბაზრის საკუთარი წილი. კონკურენტუნარიანობა გულისხმობს კონკურენტული უპირატესობების ინდივიდუალური ნაკრების არსებობას, რითაც განისაზღვრება მოცემული ბიზნესის წარმატების საკვანძო ფაქტორები. მათ რიცხვს განეკუთვნება მუშაობის მაღალი ხარისხი, საქონლის და მომსახურების სამომხმარებლო ფასეულობა, კონკურენტუნარიანი ფასები, თანამშრომლების პროფესიონალიზმის მაღალი დონე, ფორმირებული იმიჯი, ბიზნეს გამოცდილება და რეპუტაცია, საკრედიტო ისტორია, მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დონე და ა.შ.

ყველაზე კონკურენტული ბაზრებია საცალო ვაჭრობის ბაზარი (განსაკუთრებით „სავაჭრო ქსელის“ ბაზარი), ფარმაცევტული ბაზარი, სამშენებლო ბაზარი, საბანკო და სადაზღვეო სფეროები და ა.შ.

კონკურენტული სტრატეგიის მიხედვით ბიზნეს ობიექტები შეიძლება დაიყოს საბაზრო ლიდერებად, პრეტენდენტებად, მიმდევრებად და იმ ობიექტებად, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საკუთარი საბაზრო ნიშა.

საბაზრო ლიდერი არის სეგმენტის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს ბაზარზე ქცევის წესებს. კონკურენციაში მათი ქმედებების ძირითადი სტრატეგიაა დაკავებული პოზიციების დაცვა. გამოყოფენ გაბა-

ტონებული მდგომარეობის შენარჩუნების რამდენიმე შესაძლო სტრატეგიას:

- პოზიციური დაცვა მიმართულია ძნელად გადასალახი ბარიერების (ფასები, ლიცენზია და ა.შ.) შექმნაზე, მიმდინარე პოზიციის ირგვლივ. აგრეთვე ინოვაციურ აქტივობაზე („წინსწრება“ საქონლისა და ტექნოლოგიების განუწყვეტელი განახლების ხარჯზე);

- ფლანგური დაცვა მიმართულია ბაზარზე ბიზნეს ობიექტის პოზიციის ყველაზე „სუსტი ადგილების“ დაცვაზე, რომლებზეც პირველ რიგში შესაძლოა მიმართული იყოს კონკურენტების იერიშები;

- წინმსწრები დაცვა ემყარება წინასწარ ქმედებებს, მართვას „სუსტი სიგნალების“ მიხედვით;

- თავდაცვა კონტრიერით გამოიყენება საბაზრო ლიდერის მიერ მაშინ, როდესაც წინა დაცვითი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში ლიდერმა შეიძლება „დარტყმა“ მიაყენოს კონკურენტის სუსტ ადგილებს, მაგალითად, გამოიყენოს დემპინგური მექანიზმი;

- მობილური დაცვა მიმართულია, საკუთარი ბიზნესის ახალ ბაზრებზე გავრცელებაზე, მომავლის პლაცდარმის შექმნის მიზნით;

- კუმშვადი დაცვა დამყარებულია კონკურენტებისთვის სუსტი საბაზრო სეგმენტების ჩაბარებაზე და იმავდროულად ძალისხმევისა და სახსრების მობილიზაციაზე ბაზრის უფრო მნიშვნელოვან და ძლიერ სეგმენტებში, რაც იძლევა ეკონომიისა და რესურსების რაციონალური გამოყენების საშუალებას.

ამრიგად, აქტიური და შემტევი ქმედებების გამოყენება ლიდერი ფირმებისათვის დამახასიათებელი არ არის, ვინაიდან მათი ძირითადი მიზანია მოწინავე პოზიციების შენარჩუნება და არა კონკურენტების გასწრება.

საბაზრო პრეტენდენტები. რაც შეეხება საბაზრო პრეტენდენტებს, ისინი ცდილობენ ბაზარზე საკუთარი წილის ზრდას. ამ მიზნით მიმართავენ იერიშებს ბაზრის ლიდერებზე. ცდილობენ მათ გვერდით, ადგილის დაკავებას ან ლიდერის ჩანაცვლებას. აქ ასევე შეიძლება კონკურენტული ბრძოლის რამდენიმე ტიპიური ტექნოლოგიის გამოყოფა:

- ფრონტალური იერიში — კომპლექსური ზემოქმედება კონკურენტის საბაზრო მდგომარეობაზე. ტარდება ერთდროულად მრავალი მიმართულებით (ასორტიმენტის განახლება, რეკლამა, ფასების შემცირება და ა.შ.) და ხასიათდება აქტიური ქმედებით;

- ფლანგური იერიში მიმართულია კონკურენტების საქმიანობის მხოლოდ, სუსტ ადგილებზე, სადაც ძალისხმევა გადატანულია უპირატესობის მოპოვებაზე;

- იერიში ალყის შემორტყმით – აიძულებს კონკურენტს თავი დაიცვას ყველა მიმართულებით. გამოიყენება, როდესაც საბაზრო პრეტენდენტს აქვს პრეტენზია მოკლე ვადაში გატეხოს კონკურენტის წინააღმდეგობა და ნებისყოფა, და დაიკაოს მისი პო-

ზიციები;

- შემოვლითი იერიში – არაპირდაპირი შეტევის ნაირსახეობაა, რომელიც დაკავშირებულია პოზიციების განმტკიცებასთან „უფრო ადვილ“ ბაზრებზე საქმიანობის დივერსიფიკაციის, ახალი გეოგრაფიული სივრცეების ათვისების, ინოვაციების შემოღების და ა.შ. გზით.;

- პარტიზანული (ე.წ. „გორილას“) იერიში მდგომარეობს მცირე პერიოდულ შეტევებში კონკურენტის დემორალიზების, მასში ეჭვების განვითარების მიზნით. ასეთ სტრატეგიას ჩვეულებრივ იყენებენ მცირე ფირმები, რომლებიც ახლახან შემოვიდნენ ბაზარზე და მოქმედებენ მოკლე დროის განმავლობაში, უფრო მსხვილი კონკურენტების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ იერიშის ყველა ზემოთ განხილული სტრატეგია, როგორც წესი, არის ძნელადგანსახორციელებელი და ესაჭიროებათ რესურსებისა და ძალების კონცენტრაცია.

პრეტენდენტებისგან განსხვავებით მიმდევრები არ ესწრაფვიან საბაზრო წილის ზრდაზე. მიჰყვებიან რა ლიდერს, ზოგავენ ძალებსა და სახსრებს ხშირად ლიდერის ხარჯზე. ისინი აგროვებენ ინფორმაციას წარმატების ფაქტორებზე. ლებულობენ საუკეთესო კომპანიების გამოცდილებას და ფრთხილად მაგრდებიან ლოკალურ საბაზრო სეგმენტებში.

მოცემულმა კონცეფციამ ამაჟამად მიიღო სახელწოდება „ბენჩმარკინგი“ ანუ „შედარებითი კონკურენტული სტრატეგია“ არის ბიზნესის განვითარების ახალი კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტულ ასპარეზზე ბიზნესის საუკეთესო მეთოდებისა და ხერხების ძიება-შესწავლასთან და ამ მეთოდების გადატანასთან კონკრეტულ ბიზნესზე, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. როგორც ვხედავთ, ბენჩმარკინგი წარმოადგენს კონკურენტული დაზვერვის გარკვეულ ნაირსახეობას.

დღეისათვის არსებობს ბენჩმარკინგის რამდენიმე სახე:

- შიდა – დამყარებულია ანალოგიური პროცესების, საქონლისა და მომსახურების შედარებაზე მოცემული ობიექტის შიგნით; ამ შემთხვევაში ადვილად შეიძლება ინფორმაციის გაცვლა, თუმცა მნიშვნელოვანი სხვაობის აღმოჩენა ნაკლებად სავარაუდოა;

- კონკურენტული – დამყარებულია ბიზნეს ობიექტის, საქმიანობის შედარებაზე ძლიერ, გარე კონკურენტთან. ამ შემთხვევაში ალბათობა, რომ ნაპოვნი იქნება მნიშვნელოვანი განსხვავებები მაღალია. თუმცა სირთულეა სარწმუნო, საიმედო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება, კონკურენტთა ძლიერი მხარეების განსაზღვრა, განსაკუთრებით ღირებულებითი პარამეტრების მიხედვით;

- ფუნქციური ბენჩმარკინგი – საკუთარი ობიექტის შედარება სხვა ბიზნეს ობიექტებთან, რომლებიც არ არიან პირდაპირი კონკურენტები. ხშირად ისინი იმყოფებიან იმავე ან მომიჯნავე სფეროებში და აწარმოებენ სუბსტიტუტ (შემცვლელ) საქონელს

და მომსახურებას. ყოველ შემთხვევაში მათი მართვის ფუნქციებს გააჩნია საერთო ნიშნები;

- ზოგადი ბენჩმარკინგი – ბიზნეს ობიექტის შედარება საერთაშორისო კომპანიებთან, რომლებიც არ იმყოფებიან იმავე სფეროში. მაგრამ მათი ზოგიერთი პროცესი „მონათესავეა.“ ასეთი კომპანიების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, თუმცა გაცილებით მეტია ალბათობა, რომ ისინი გაგვიზიარებენ ინფორმაციას (ტექნოლოგიების დარგში სიახლეებითაც კი);

- კონსულტაციური ბენჩმარკინგი – ობიექტის შედარება სხვებთან კონტაქტური საკონსულტაციო სამსახურის გამოყენებით. საკონსულტაციო სამსახურმა შეიძლება იმოქმედოს სრულიად დამოუკიდებლად ინფორმაციის შეგროვებით და ანალიზით ბიზნესიდან ყურადღების გადატანის გარეშე. შედარების ეს ტიპი იძლევა არცთუ ურიგო შედეგებს კონკურენტულ ბენჩმარკინგთან შეხამებაში.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სახის ბენჩმარკინგი გულისხმობს კონკურენტების პრაქტიკის საუკეთესოს შესწავლასა და ამის საფუძველზე ეტალონური მოდელის შექმნას საკუთარი ბიზნესისთვის. ბენჩმარკინგი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს და კონკრეტულ კომპანიაში გამოყენებულ იქნას ის, რასაც სხვები უკეთ აკეთებენ, განისაზღვროს ნარმატივის საკვანძო ფაქტორები.

რეკომენდებულია ბენჩმარკინგის ხუთ ფაზად დაყოფა:

1. უპირატესობის ანალიზის ობიექტის განსაზღვრა. არსებობს შესაძლებლობა, კრიტიკულად გადაიხედოს მთლიანად ბიზნეს ობიექტი ან მისი ცალკეული ნაწილები. მეტიც, გადასაწყვეტია ჩატარდეს თუ არა უპირატესობის ანალიზი შიდა თუ გარე ხედვის კუთხით, მაგალითად მყიდველის აღქმის პოზიციიდან;

2. პარტნიორების გამოვლენა უპირატესობის ანალიზის მიხედვით, საუკეთესო ფორმების ძიება. შესაფერისი პარტნიორები უნდა იყვნენ არა მხოლოდ თავისთავად მაღალი დონის, არამედ შეძლებისდაგვარად ჰქონდეთ საკუთარ კომპანიასთან შედარებადობის მაღალი ხარისხი;

3. კონკურენტული ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია. ეს ფაზა მოიცავს არა მხოლოდ ხარისხიანი მონაცემების შეგროვებას, არამედ შრომის შინაარსის, პროცესებისა და იმ ფაქტორების შესწავლა-აღწერას, რომლებიც ხსნის პროდუქტიულობას;

4. ინფორმაციის ანალიზი. ეს ნაბიჯი წამოჭრის უმაღლეს მოთხოვნებს ბენჩმარკინგის პროცესში მონაწილეთა შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარისადმი;

5. მიღებული ცნობების მიზანმიმართული გაცარება ცხოვრებაში. მეხუთე სტადია მოიცავს არა მხოლოდ პროგრესული შესაძლებლობების დანერგვას, არამედ ობიექტის ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას, რათა დაუპირისპირდეს მომავალში მოსალოდნელ გამოწვევებს. საუბარი არაა იმაზე, რომ ბრმად გადმოვიღოთ საუკეთესო ბიზნეს ობიექტების

მიღწევები. პირიქით, ისინი უნდა იქცნენ სტიმულად საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი ინოვაციური განვითარებისათვის – სხვაგვარად უპირატესობის ანალიზი გადაიქცევა დამარცხებულის სტრატეგიად. გამოვლენილი ნოუ-ჰაუს პოტენციალი რეალიზებული უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებების მეშვეობით.

ბენჩმარკინგი არ არის ერთჯერადი ქმედება, ის უნდა განვიხილოთ როგორც ობიექტზე ფორმალურად დაყენებული ფუნქცია. სწორედ უწყვეტ და ხარისხიან ბენჩმარკინგს შეუძლია დღევანდელ დღეს უზრუნველყოს ამა თუ იმ ორგანიზაციის სტაბილურობა და ფინანსური თვითკმარობა კონკურენტულ ველზე. ბენჩმარკინგის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეშვეობით შეიძლება ჩატარდეს თანამშრომლების მომზადება.

კონკურენტების მონიტორინგის რეკომენდაციები

1. ყოველთვის იქონიეთ და განაახლეთ კონკურენტი კომპანიების ჩამონათვალი. მონიტორინგისათვის შეადგინეთ დამატებითი სია თქვენთვის საინტერესო მოთხოვნებზე. მაგალითად, გაქვთ სამზარეულოს ავეჯის ბიზნესი. თქვენთვის მთავარი პრობლემაა მისი რეალიზაცია. ინტერნეტში საძიებო მოთხოვნა ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „სამზარეულოები, გაყიდვა“, „ავეჯი სამზარეულო“. ძიების შედეგად მიღებული პირველი ათი ბიზნეს-ობიექტი შეიძლება განიხილოთ როგორც პოტენციური ინტერნეტ-კონკურენტი. ამასთან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, ჯდება თუ არა თქვენი კომპანია დასმული საკვანძო სიტყვების მიხედვით, პირველ ათეულში ან გეგმავთ თუ არა მასში მოხვედრას. თუ არ იქნებით პირველი ათეულში, ძიებისას კლიენტი აირჩევს კონკურენტს;

2. პოპულარული საძიებო სისტემებით პერიოდულად შეაგროვეთ ინფორმაცია კონკურენტი კომპანიების სახელწოდების მიხედვით. ასევე თუ ცნობილია საკვანძო მენეჯერების სახელი და გვარები, შეაგროვეთ ინფორმაცია მათ შესახებაც;

3. მოიძიეთ ინფორმაცია კონკურენტების გზავნილებზე;

4. მონაწილეობა მიიღეთ ინტერნეტ-ფორუმებში, სადაც მონაწილეობენ კონკურენტები;

5. შეაგროვეთ ინფორმაცია თქვენი კომპანიის საქმიანობაზე ბოლო კონფერენციების მონაწილეების შესახებ;

6. რეგულარულად ჩაატარეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინტერნეტ-პორტალების მონიტორინგი მათში თქვენი კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;

7. შეავსეთ მოთხოვნების ფორმები კონკურენტების საიტებზე. რითაც შეგეძლება თვალი ადევნოთ თქვენი კონკურენტების მუშაობის ოპერატიულობას, სერვისის დონესა და მომსახურების ხარისხს.

წარმატებისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკურენტების განზრახვების გაგება, მათი ბიზნე-

სის ძირითადი ტენდენციების შესწავლა, შესაძლო რისკების ანალიზი და ა.შ. შედეგად, ბიზნეს-დაზვერვა არის თანამედროვე ბიზნესის კორპორაციული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

ეკონომიკა მსოფლიოში კონკურენტუნარიანად ითვლება, თუ ეკონომიკური ინსტიტუტები და პოლიტიკა უზრუნველყოფენ მდგრად და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის დანიშნულებად განსაზღვრულია ქვეყნის პერსპექტივების განხილვა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა). ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006, №11-12;
2. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.2011.-556გვ.;
3. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა. დეკემბერი, 2005.
4. Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993.
5. Perlman B., Varno R. Barely Managing: Attitudes of Information Technology Professionals on Management Technique // The Social Science Journal. 2005. V. 42. P. 383-394;
6. <http://www.geostat.ge/>;
7. <http://www.economists.ge/>.

ახალი ელექტროსადგურების შენახლობისთვის ინვესტიციების მოსაზიდავ სეპეის მიერ შემუშავებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში საქრომ სვლილებების შესახებ

*ნოდარ კოდუა, სტუ-ს პროფესორი
კონსტანტინე ხაზალია, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში მოყვანილია ის მიზეზები, რის გამოც სეპეის მიერ შემუშავებული და სახელმძღვანელოდ რეკომენდებული „ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ ხელს ვერ შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას ახალი ელექტროსადგურების ასაშენებლად. მეთოდოლოგიაში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის დასამტკიცებლად რეკომენდებული ერთეული გამომუშავებული ელექტროენერჯის საშუალო შენონილი ღირებულების დადგენის კრიტერიუმი (WACC) მიუღებელია, რადგან ის ვერ ითვალისწინებს ინვესტირებული კაპიტალის დროში გაუფასურებას. ინვესტორისთვის მისაღებია მხოლოდ სუფთა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმი NPV, რაც მეთოდოლოგიაში არაა გათვალისწინებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ WACC –ის საანგარიშო ფორმულა არასწორად არის დანერგილი.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ეკონომიკური ეფექტიანობა, ელექტროენერჯის ტარიფი.

Резюме

В статье приведены причины по которым Разработанное семеком руководство по «производству электроэнергии, передаче, диспетчеризации и метод определения тарифа за обслуживание оператором электроэнергетического рынка» не будет способствовать привлечению инвестиций для строительства новых гидростанций. В методологии обоснования экономической эффективности строительства гидростанций, критерий (WACC) определения рекомендованной средневзвешенной стоимости вырабатываемой электроэнергии неприемлема, поскольку в ней не учтены факторы учитывающие обесценение инвестированного капитала по времени. Инвесторам приемлем критерий определяющий чистую текущую стоимость (NPV), также следует отметить, что приведенную в методологии формулу (WACC) надо внести коррективы.

Ключевые слова: инвестиций, экономическая эффективность, тариф на электроэнергию.

ელექტროენერჯის წარმოებისა და ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც შე-

მუშავებულია სეპეის მიერ არ იძლევა საშუალებას, დადგინდეს იქნას ელექტროენერჯის ისეთი ტარიფი, რომლის პირობებშიც ინვესტორი დააფინანსებს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, მიუღებელი განმარტებებია მოყვანილი ტერმინთა კაპიტალის სტრუქტურას საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თავსაზრისით ადგენს კომისია, რაც არასწორია. მას დასამტკიცებლად წარმოადგენს ინვესტორი თავისი შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ამავე მუხლში მითითებულია, რომ t–თი აღნიშვნება გაანგარიშების წელი, რაც ემთხვევა (t+1) ინდექსით აღნიშნულ სატარიფო წლის განმარტებას, მაგრამ იგი აქ განმარტებულია როგორც „სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი“, ეს განმარტება კი ემთხვევა d) ქვეპუნქტში მოცემულ განმარტებას, რომელიც აღნიშნება t–1 ინდექსით. ასეთი განმარტებები გაუგებრობას იწვევს მკითხველში.

ამავე მუხლის ვ) და ხ) ქვეპუნქტებში ტერმინ „გარანტირებული სიმძლავრის წყაროს“ ხმარება დაბნეულობას იწვევს, რადგან მას ე) ქვეპუნქტის განმარტების მიხედვით სხვაგვარი გარკვეული აზრი გააჩნია.

მეთოდოლოგიაში მოცემული (7) ფორმულით შეუძლებელია ელექტროსადგურის სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის ტარიფის გაანგარიშება სატარიფო (CAPEX) – (t+1) წლისთვის, რადგანაც მასში შემავალი $RCB_{(t+1)}$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება არ ითვალისწინებს ყველა საჭირო დანახარჯებს და რომელსაც ითვალისწინებს მისი მნიშვნელობის დადგენაც, არასწორი ფორმულის გამოყენებით არის რეკომენდებული.

ასე მაგალითად, არ ითვალისწინებს ქონების გადასახადს, მაგრამ $RCB_{(t+1)}$ ფორმულაში შემავალი კაპიტალური დანახარჯების საანგარიშო ფორმულა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$(CAPEX)_{(t+1)} = RAB_{stars(t+1)} X WACC + D_{t+1} \quad (1)$$

შეიცავს კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულებას, რომლის საანგარიშოდ არასწორი ფორმულა არის რეკომენდებული. ამ ფორმულას მეთოდოლოგიაში აქვს შემდეგი სახე:

$$WACC = g \cdot r_d + \frac{(1-g) \cdot r_e}{(1+T)} \quad (2)$$

აქ T მოგების გადასახადია, ცხადია ათწილადების გამოსახული და არა %–ში, როგორც ეს არის

მითითებული, მაგრამ მასზე საკუთარი კაპიტალის წილი (1-გ) არ შეიძლება გაიყოს. (1-T) უნდა გამოვარაუდოს (2) ფორმულის I შესაკრებზე, როცა T წარმოდგენილი იქნება ათწილადებით და არა %—ით. საერთოდ, გაუგებარია ამ ფორმულის ყველა წევრების განმარტებებში რატომაა მითითებული, რომ მათი მნიშვნელობები ჩაისვას %—ში. ეს ხომ დაუშვებელია და ტარიფის საანგარიშო სერიოზულ მეთოდოლოგიაში ასეთი შეცდომები არ შეიძლება გაიპაროს. (ტარიფის საანგარიშო მეთოდოლოგიაში გაანგარიშება უნდა იწარმოებოდეს ათწილადებში.)

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების გამოყენება ტარიფის დასადგენად არაა მიზანშეწონილი, რადგან სესხის დაბრუნების პერიოდი და კერძო კაპიტალის ამოღების პერიოდები ერთმანეთს არ ემთხვევა და ამავდროს ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი მაგალითადად ჰიდროელექტროსადგურებისთვის აღწევს 20-25წ—ს.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულების საანგარიშო ფორმულაში მონაწილეობს ინვესტირებული კაპიტალის მნიშვნელობა – INV_t , რომლის სასარგებლოდ მოხმარების ვადა ტერმინთა განმარტებებში (რ) ქვეპუნქტის მიხედვით უნდა აღემატებოდეს 1 წელს, მაგრამ, არსად არაა მითითებული ამ თანხის დისკონტირების შესახებ, მაშინ როცა ფინანსირებაში მონაწილე ინვესტიციის სიდიდის პირდაპირ დისკონტირების გარეშე ამოღება დაუშვებელია.

მუხლი 9-ში, სადაც კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების საანგარიშო ფორმულაა მოცემული, აღნიშნულია რომ სესხისა და საკუთარი კაპიტალის ღირებულება იანგარიშება ფორმულებით, მაშინ როდესაც სესხის ღირებულებას განსაზღვრავს. გამსესხებელი ბანკი და კერძო კაპიტალის ღირებულების მნიშვნელობას კი განსაზღვრავს ინვესტორი არა რაიმე ფორმულით, არამედ რისკ—ფაქტორის გათვალისწინების გარეშე 15-დან 20 %—ის ფარგლებში, რადგანაც ელექტროენერგია წარმოადგენს აუცილებელი მოხმარების საქონელს და მისი ღირებულების ამოღება გარანტირებულია სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით.

გაუგებარია მე—14 მუხლის ქვეპუნქტში მოყვანილი განმარტება იმის შესახებ, რომ „1. გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის (წარმოების ლიცენზიანტისთვის) დგინდება ორგანაკვეთიანი ტარიფი, რომელიც შედგება გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფისგან“. განა ინვესტორები ინვესტირებული თანხის ორგანაკვეთიანი ტარიფით ამოღებას შეძლებენ მაშინ, როცა სამომხმარებლო ტარიფი ორგანაკვეთიანი არაა.

დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სემეკი ვალდებულია ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი წარმოდგენილი ინვესტორის მიერ განიხილოს და დაამტკიცოს, მაგრამ თუ ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში არ იქნება მითითებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პერიოდი, რომელიც საშუალო სიმძლავრის სადგურებისთვის გრძელდება 5—7 წელი, როგორ მიმდინარეობდა დაფინანსება და რო-

გორ უნდა მოხდეს დაფინანსებული თანხის დისკონტირება, შეუძლებელია წარმოების ტარიფის დადგენა. ამაზე წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არაფერია ნათქვამი.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა საჭიროა ტარიფის დადგენა, ისეთი კაპიტალტევად ასაშენებელი საწარმოს მიერ, წარმოებ საქონელზე, როგორც ელექტროსადგურებია, არ შეიძლება ტარიფის გაანგარიშებაში გამოყენებულ იქნას – WACC კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება (მისი უარყოფითი მხარეები ზემოთ იყო აღნიშნული).

ამ შემთხვევაში აუცილებელია – NPV სუფთა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმის გამოყენება. მისი გამოყენების მაგალითი ნაჩვენებია ჩვენს შრომებში, რომელიც გამოქვეყნებულია სამცხ. ტექნ. ჟურნალ „ენერჯიაში“, კონკრეტულად კი შეგვიძლია მივუთითოთ ხუდონ ჰესის მშენებლობის ეკონომიკურ ეფექტიანობისადმი მიძღვნილი სტატია, №2 (54), 2010წ.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის დროს აუცილებელია ვისარგებლოთ ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის 5—10 წლიანი პერსპექტიული გრაფიკებით, სადაც ნაჩვენებია იქნება ელექტროსადგურებმა შემოდგომა—ზამთრისა და გაზაფხული—ზაფხულის სეზონებში როგორი რეჟიმით უნდა დაფარონ არსებული დეფიციტი, და თუ სიჭარბე აღმოჩნდება როგორი ტარიფით უნდა მოახერხონ ელექტროენერჯის ექსპორტირება. თუ ეს საკითხი სემეკმა და ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელიც მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად მოქმედებაში უნდა იყოს, ვერ გადაწყვიტა და ინვესტორს ვერ გაუწია ჯეროვანი კონტროლი, აღმოჩნდება, რომ ინვესტორს შეეძლება დააფიქსიროს ფაქტი იმის შესახებ, რომ მას ელექტროენერჯის წარმოებიდან მოგება არ გააჩნია და სახელმწიფო ბიუჯეტში მოგებიდან გადასახადს არ შეიტანს. ამგვარად, გამოვა რომ ჩვენი რესურსის სიკეთით ისარგებლებს მხოლოდ ინვესტორი და ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდება.

მეთოდოლოგიაში არ არის ნაჩვენები მომხმარებელი სხვადასხვა ელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯიას რომ მიიღებს, როგორ წარმოებს გადასახდელი ტარიფის დადგენა. ანდა როგორც მითითებულია, გენერაციის ტარიფი შეიძლება ყოველწლიურად იცვლებოდეს. გენერაციის ტარიფი დადგენილ უნდა იქნას ფინანსური ამორტიზაციის პერიოდისთვის, რომლის განმავლობაში დანახარჯები ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ ინვესტორს ყოველ წელს ამოაქვს ინვესტირებული თანხა ერთნაირი ტარიფით.

ისიც უნდა იყოს მითითებული, რომ ტარიფში საჭიროა აისახოს წარჩენი ღირებულების ოდენობით მისი გაძვირება, რადგან ფინანსური ამორტიზაციის პერიოდში არ ხდება აქტივების მთლიანი ცვეთა.

ანა გოგბერაშვილი, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ქალაქურ პირობებში საინჟინრო კომუნიკაციებიდან წყალსადენის, კანალიზაციის, თბოქსელის გამონადენი ტექნოგენური წყლებისაგან დაბინძურდა გრუნტის წყლებიც, ამოინია მათი გამყარების დონეც, დანესტიანდა საძირკვლები და მიწაში ჩალრმავებული კედლებიც; სარდაფებში წყალი ჩადგა; მათი საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მილიონობით თანხები იხარჯება; აღნიშნულის გამო სტატიაში განიხილება ახალმშენებლობებისას მიწაში ჩალრმავებული კონსტრუქციების წყალგაუმტარ ბეტონებით მოწყობის საკითხები ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობის გამოვლენით.

საკვანძო სიტყვები: საძირკვლები, მიწაში ჩალრმავებული სართულები, წყალგაუმტარი ბეტონი, გრუნტისა და ტექნოგენური წყლები, იმავდროული ეკონომიური ეფექტი, ჯანსაღი გარემო.

Summary

Engineering basements and deep ground floors on the waterproof concrete

Resume: In the conditions of the city, from the water supply systems, water drain, heating systems flowing out technogenic waters, ground waters are polluted, the level of their strengthening has risen, the foundations and the deep walls in the ground are damped, the basements filled with water; the millions of the sum spend for improving their condition. Proceedings from the aforesaid, at the time of a new bouldering in article it is considered questions for the device constructions deepening in the ground by water-proof concrete including revealing the economic and social effect.

შესავალი

რატომლაც ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის განხორციელებისას საზოგადოებრივი ეფექტის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა მისი ღირებულებითი მაჩვენებელი, რომელიც დგინდება კონსტრუქციული გადაწყვეტის, ან ურთიერთმემცვლელი საშენი მასალების ცალკეული ვარიანტების მიხედვით, შენობა-ნაგებობათა მთლიანი ღირებულების განსაზღვრითა და მიღებული შეფასებების ურთიერთმედარებით. აღნიშნული მეთოდით ხდება იმავდროული

ეფექტის გაანგარიშება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში გვაზიწყდება, რომ ნებისმიერი ვარიანტით განხორციელებულ შენობა-ნაგებობაზე ექსპლუატაციის პერიოდში მათზე მოქმედებენ რიგი უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ინვევენ მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ნაადრევ ფიზიკურ ცვეთას და საექსპლუატაციო პირობების მკვეთრ გაუარესებას. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საძირკვლებსა და მიწაში ჩალრმავებულ სართულებს მათ შემომზღუდავ კედლებთან ერთად, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გრუნტისა და ტექნოგენური წყლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

შენობა-ნაგებობათა გარშემო მოწყობილი სადრენაჟე სისტემები ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება საიმედოდ, ვინაიდან სადრენაჟე ხვრელები რამდენიმე წელიწადში მთლიანად იზიდნება და დრენაჟები წყალმოცილების ფუნქციას კარგავენ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დგება მჭიდროდ დასახლებული და მაღალი ინტენსივობის განაშენიანების მქონე ქალაქებში.

2. ძირითადი ნაწილი

ქალაქის არქიტექტურის სამსახური ცალკეულ მშენებლობაზე ნებართვის გაცემას, როგორც წესი ახორციელებს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მათ შორის კონსტრუქციული დოკუმენტაციის სათანადო ინსპექტირების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს მომავალი შენობა ნაგებობის არქიტექტურულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტას, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

შენობა საძირკვლებიდან იწყება და მის მშრალ გარემოში ფუნქციონირება განსაზღვრავს მოსახლეობის კეთილდღეობასაც და თვით შენობის ხანმედევობასაც სარემონტო სამუშაოების ჩატარების გარეშე.

თანამედროვე ცხოვრების პირობებში შენობის სარდაფის ფუნქცია შეიცვალა, აუცილებელი გახდა მასში ავტოსადგომების განთავსება, რის გამოც ხშირად სართულების ჩალრმავება მიწაში რამდენიმე დონიანია.

გრუნტის წყლები მიწის სიღრმეში ყოველთვის ფიგურირებდნენ რელიეფთან ახლოს, ან ღრმად. ცხადია, დასახლებები თავდაპირველად მოსწორებულ რელიეფზე გაჩნდა ღრმად მდებარეობის გრუნტის წყლებიან ტერიტორიებზე, რომლების შენობის სარდაფებს საფრთხეს არ უქმნიდნენ. ძველ სარდაფებს სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა, გრილი ტემპერატურის პირობებში მასში ინახავდნენ

ჭირნახულს ხორცეულსა და სხვა პროდუქტებს. ამჟამად კი ძირითადად გამოიყენებიან ავტოსადგომებად, აგრეთვე წყალკანალიზაციისა და სხვა სისტემების შენობის ქვეშ განთავსებისა და საქალაქო ქსელებთან მიერთების დანიშნულებით.

მოსახლეობის მატებამ საჭირო გახადა უსწორმასწორო ადგილების მოსწორება, გრუნტის გადაადგილებით ხევებისა და ხრამების ამოვსება. მათ ადგილზე შენობები აიგო და ქუჩები გაიჭრა. მთებიდან მონადენი წყლები თუ ქუჩებს არ მოყვება ან სანიაღვრე კოლექტორებში არ ჩადის, პოულობს ხვრელებს და კვლავ მიწაზე იხვევება და ხრამების ძველ ფსკერებს მიჰყვება.

ადრინდელ პერიოდში გრუნტის წყლები წყაროს წყლების მსგავსად სუფთა იყო, თბილისში წყალკანალიზაციის სისტემები მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, ორმოცდაათიან წლებში მათ დაემატა თბოქსელები. მათი პერიოდული დაზიანებებისაგან გამონადენი ტექნოგენური (დაბინძურებული) წყლები შეერია გრუნტის წყლებს და მისმა დონემაც ამოიწია. “ხრუშოვკის” 4-5 სართულიან საცხოვრებელ სახლებს საერთოდ არ აქვთ სარდაფი და სახლის ქვეშ გამავალ კონსტრუქციებთან მისვლა რთული იყო. ხოლო თბოქსელები რკინაბეტონის გაუვალ არხებში იყო განთავსებული. მათი დაზიანებისას წყალი მიწის ქვეშ გზას იკვლევდა და ძნელად ფიქსირდებოდა. აღნიშნულის გამო მიწის ქვეშ გრუნტის წყლებთან შერეული დაბინძურებული მდინარეები შეიქმნა.

1950 წელს შექმნილმა “თბილისი ზღვიდან” წყლის ნაკადებმა გაიკვლია მდინარე მტკვრისაკენ გზა და დიდუბე-ჩუღურეთის საცხოვრებელ სარდაფებშიც წყალი ჩადგა, გაჩნდა კოლო, კაპილარული შენოვისაგან სარდაფის კედლები დანესტიანდა, წყლის კაპილარული აღმასვლა საცხოვრებელ ბინებშიც შეიმჩნევა.

მთებიდან მოვარდნილ და მიწის ქვეშ გამავალი ნაკადები ქალაქ თბილისის პირობებში მდინარე მტკვარში ჩაედინებოდნენ კლდოვან ქანებში ნაპრალების გავლით, დაბინძურებულმა წყლებმა ნაპრალები ამოავსო და ფაქტობრივად ქალაქი მინიქვეშა დაბინძურებული გრუნტის წყლების ჭაობად იქცა.

გრუნტის წყლების დონის ამოწვამ გაანყლიანა არც თუ ისე დიდი ხნის წინ აშენებული საცხოვრებელი სახლების საძირკვლები, შენობები დაჯდა, კედლები დაიბზარა. აღნიშნულის გამო გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაშალეს პეკინის ქუჩაზე პოლიციის შენობისა და ბუდაპეშტის ქუჩის წინ აგურის მზიდ კედლებში აგებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 5 სართულიანი საერთო საცხოვრებელი, ასევე პეკინის ქუჩაზე, ბულაჩაურის ქუჩის მიმდებარედ ორი ტყუპი 5 სართულიანი შენობიდან ერთ-ერთს სადაც ჯანმრთელობის დაცვის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები იყო განთავსებული 1960 წლიდან რამოდენიმეჯერ ჩაუტარდა პროფილაქტიკურ-გასამაგრებელი სამუშაოები, მაგრამ ბზარების წარმოქმნა მზიდ

კედლებში კვლავ გრძელდებოდა მეპატრონეთა გადაწყვეტილებით 2011 წელს ეს შენობა დაიშალა.

ცალკე აღსანიშნავია ვარკეთილის 40-ამდე “ხრუშოვკის” ტიპის საცხოვრებელი სახლები, ჯდენისა და ავარიულობის გამო მათი ექსპლუატაციიდან სულ რაღაც 15-20 წელიწადში დაშალეს აღნიშნული კორპუსები და მოსახლეობა სხვა იმხანად აგებულ სახლებში გადაიყვანეს. 7-8 წლის წინ სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის მიმდებარედ ასაგები სახლის ქვეშ სადრენაჟე სისტემა მიაერთეს ქუჩაზე გამავალ სანიაღვრე ჭას. დრენაჟის მოწყობიდან 2-3 წელიწადში წყალი ჩადგა აღნიშნული საცხოვრებელი სახლის სარდაფში და დრენაჟი უფუნქციო გახდა. ასეთი სახლების შენარჩუნების მიზნით ექსპლუატაციის პირვანდელ ეტაპზევე საჭირო ხდება ძვირადღირებული სარემონტო სამუშაოების ჩატარება, თუმცა მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ცალკეული ასეთი შენობა-ნაგებობის მშენებლობის სტადიაზე.

ასეთი შემთხვევების სიმრავლისა და ექსპლუატაციის გარკვეულ პერიოდში თავის დაზღვევის მიზნით ზოგიერთი ინვესტორი მშენებელ ფირმას ხელშეკრულებით ერთი, ან მეტი წლით უზღოკავს სახარჯთაღრიცხვო მოგებით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვას, იტოვებს მათ გარანტიის სახით მოსალოდნელი ხარვეზების გამოსასწორებლად, ასეთმა მიდგომამ მართალია გარკვეული ზარალი მიაყენა ცალკეულ სამშენებლო კომპანიას, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირა საინვესტიციო რისკები. ჩგაიზარდა რა მშენებარე ფირმების პასუხისმგებლობა არა თუ მშენებლობის არამედ ექსპლუატაციაში გადაცემიდან გარკვეულ პერიოდზე.

რა არის საჭირო საიმედო საძირკვლებისა და მიწაში ჩაღრმავებული მზიდი კონსტრუქციებისა და კედლების ამოსაყვანად? მსოფლიო პრაქტიკაში მრავალჯერადად არის აპრობირებული სულფატ-მედეგი ცემენტები, ასევე ქიმიური ფხვნილები (პენეტრონი, კალმატრონი და სხვები) რომელთა გამოყენებითაც ბეტონი და შესაღესი ხსნარი წყალგაუმტარი ხდება. 2011 წლის III კვარტლის სამშენებლო რესურსების ფასების მიხედვით ბ-400 მარკის სულფატმედეგ და ჩვეულებრივ პორტლანდ ცემენტზე დამზადებულ 1მ/3 25 კლასის ბეტონის ღირებულებები შესაბამისად 136 და 15 ლარია, განსხვავება შეადგენს 21 ლარს. მოცემულ შემთხვევაში თუ საძირკვლებზე და მიწაში ჩაღრმავებულ სართულებზე ბეტონის ხარჯი შეადგენს 1000მ/3. მშენებლობა გაძვირდება 21 ათასი ლარით. პროპორციულად 2000მ/3-ზე სულ რაღაც 12 ათასი ლარით და ა.შ.

ათსართულიანი მზიდი მონოლითურ რკინაბეტონის კარკასის ღირებულებაში მიწის ნიშნულის დონემდე და მიწაში ერთი სართულით ჩაღრმავებული ნაწილის ამოყვანაზე ხარჯები საშუალოდ შეადგენს

ათ პროცენტს, ორი სართულის შემთხვევაში თხუთმეტ პროცენტს და ა.შ. ამდენად წყალგაუმტარი ბეტონების გამოყენებით შესრულებული სამუშაოები იძლევა აღნიშნული სახლების ექსპლუატაციის მთელ პერიოდში მშრალ და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების საშუალებას. ადამიანების ყოფითი პირობებისა და საბინაო ფონდის ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი ხარჯების გათვალისწინებით სავსებით მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს მინისქვეშა სართულების წყალგაუმტარი ბეტონებით მოწყობაზე დამატებით ხარჯების განევა.

აქ ყურადსაღებია შემდეგი: ბეტონის ჩასხმა ერთდროულად მინაში ჩალრმავებულ სართულების მთელ ფართობზე ცხადია ვერ მოხერხდება, გრუნტის წყლები მოქმედებენ როგორც ქვევიდან, აგრეთვე გვერდებიდან, მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე წყალდამწვეი ღონისძიებები, ხოლო სხვადასხვა დღეებში ჩასხმული ბეტონის შეერთების პირაპირები კი აუცილებლად უნდა დამუშავდეს წყალშეუღწევადი მასალით. მინაში ჩალრმავებულ სართულებზე, სადაც ეწყობა ავტოსადგომები და საძირკველი რკინაბეტონის ფილების გამოყენებით არის შესრულებული, სასურველია მათი მონოლითური რკინაბეტონით განხორციელება. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია სხვადასხვა დროს ჩასხმულ ბეტონების პირაპირები დამუშავდეს წყალშეუღწევადი მასალით.

3. დასკვნა

მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ტიპის საცხოვრებელ უბნებში განაშენიანების ფართის სიმცირე, ავტიფარეხებზე და ცალკეულ დამხმარე სათავსოებზე გაზრდილი მოთხოვნილება დღის წესრიგში აყვებს საცხოვრებელ კორპუსებსა და კერძო ბინებში მრავალმართიანი ჩალრმავებული საძირკვლების მოწყობის აუცილებლობას.

ამასთან, ჩვენს მიერ აღნიშნული ფუნქციის მატარებელი, ექსპლუატაციაში მყოფი, მინაში ჩალრმავებული სარდაფების არსებული მდგომარეობის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მათი უმრავლესობა, იატაკისა და კედლების დაბინძურებული წყლებით დასველების გამო, საექსპლუატაციოდ მიუღებელია, ხოლო მათთვის სასურველი ფუნქციის აღდგენა დაკავშირებულია დამატებით უზარმაზარ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან.

შენობა საძირკველიდან იწყება, ამიტომ აუცილებელია დამკვეთის, დამპროექტებელი და სამშენებლო ფირმის ერთობლივი ძალისხმევა ოპტიმალური, თუნდაც მცირედ ძვირადღირებული და საიმედო გადაწყვეტილებების მიღებაზე შეზღუდულ ქალაქის პირობებში კერძოდ, როცა მიმდებარე ქუჩებისა და შემობების ქვეშ ტექნოგენური წყლებით გაჯერებული გრუნტის წყლებია. მშენებლობაზე მინაში ჩალრმავებული სართულების მოწყობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს წყალგაუმტარი

ბეტონების გამოყენებით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მშენებლობას ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი არაიმავდროული ეკონომიკური ეფექტი შენობებში ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ჭანტურია- “მშენებლობის ორგანიზაცია დაგეგმვა და მართვა”
2. სნ და ნ 1.03.03-85 “სამშენებლო ნარმოების ორგანიზაცია” რუსულ ენაზე
3. რ.მახვილაძე —“შენობა-ნაგებობათა შეფასების კრიტერიუმები და აუდიტი”
4. 2011 წწ. III კვარტლის სამშენებლო მასალების ფასთა კრებული.

**კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის
შეფასების ძირითადი მიმართულებები**

*ზურაბ ჩხაიძე, სტუ-ს დოქტორანტი
ალეკო ქუთათელაძე, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

Summary

კომერციული ბანკების აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი მათდამი წაყენებული მოთხოვნების, ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და საიმედოობის შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია. ასეთი ანალიზის დროს შეისწავლება საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განისაზღვრება ბანკის მიერ სახსრების განთავსების ეფექტიანობა. ამიტომ ბანკის აქტივებისა და აქტივების მართვის ხარისხის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მისი კაპიტალის ზომის, არამედ მიღებული ფინანსური შედეგების უტყუარობის შეფასების მიზნით.

მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძვლად მიჩნეულ იქნა სისტემა „CAMEL“, რომელიც შემუშავდა აშშ-ში და რომელსაც იყენებს ისეთი მაღალრეიტინგული, მსოფლიო დონის სააგენტო, როგორცაა „Thomson Financial Bank Watch“. ამასთან დაკავშირებით, აქტივების მართვის ხარისხის ანალიზმა და შეფასებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან აქტივების რაოდენობრივი დახასიათება ყოველთვის როდი იძლევა სრულ წარმოდგენას ბანკის საქმიანობის ეფექტიანობისა და საიმედოობის შესახებ.

საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნილებათა და მათი წარმოებისა და რეალიზაციის გზებისა და საშუალებების მრავალფეროვნება და მათი კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან აუცილებელს ხდის საბანკო აქტივების ხარისხსთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ გადანყვევებას. მთელი საბანკო საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს აქტივების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

The analysis of the quality of the commercial bank assets management is an important step in evaluating the requirements set to the banks, bank financial standing and reliability. Such an analysis studies the major trends of banking and defines the efficiency of allotting the funds by the banks. This is why, the right analysis of the bank assets and quality of the assets management is of a great importance to evaluate not only the volume of the bank capital, but accuracy of the bank financial results.

The scientists and practitioners consider system “CAMEL” as the basis of the analysis of a bank financial standing. The system was developed in the USA and is now used by such a famous world agency as „Thomson Financial Bank Watch“. In this connection, the quality analysis and assessment of the bank assets management has acquired a particular importance, as the quantitative assessment does not always give a full picture of the efficiency and reliability of the bank activity.

Due to the diversified demands for bank products and ways to produce and realize such products and their association with social-economic problems, it is necessary to find thorough solutions to the issues concerning the quality of the bank assets. Any bank activity must seek to improve the quality of the bank assets.

* * * * *

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია აქტივების მართვის ხარისხის ოპტიმალური სისტემის შექმნა, რომელიც შედგება ორი თანმიმდევრული ეტაპისგან.

პირველ ეტაპზე განისაზღვრება კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის ანალიზის ძირითადი მიმართულებები. მეორე ეტაპზე შეისწავლება ბანკის საქმიანობა და დგინდება გაცემული სესხებისა და ბანკის მიერ სხვა განთავსებული სახსრების ეფექტიანობა.

ბანკის აქტივების მართვა რთული პროცესია და პირველ რიგში საჭიროებს ინფორმაციის შიდა და გარე წყაროების დადგენას.

კომერციული ბანკი, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგროვებს დიდი მოცულობით საქმიან ინფორმაციას, რომელიც ეხება მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირებას, მის კავშირებს ეროვნულ ბანკთან, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კომერციულ ორგანიზაციებთან, ფინანსური და საგადასახადო


სამსახურის ორგანოებთან.

აქტივების ხარისხის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამო საჭირო ხდება ამ წყაროების კლასიფიკაცია თავად ბანკების სამუშაო მახასიათებლების მიხედვით. ასე მაგალითად, გარე წყაროდან მომდინარე ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანალიზის მიზნით გამოიყენება, მიიღება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან, ეროვნული ბანკიდან, ფინანსთა სამინისტროდან და ა.შ.

შიდა ინფორმაციის წყაროებს კი წარმოადგენს აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის სხვადასხვა ფორმები, ცნობები კრედიტებისა და საკრედიტო დავალიანების შესახებ, სესხებზე შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებული რეზერვების შესახებ და სხვ.

გარე ინფორმაცია ან პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია კომერციული ბანკების მართვაში ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე შიდა ეკონომიკური ინფორმაცია. მას ყოველთვის აქვს განსაზღვრული მიმართულება. მაგალითად, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისგან მიღებული ინფორმაციის ძირითად წყაროებად გვევლინება კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები, განკარგულებები, გადაწყვეტილებები და სხვა ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები საბანკო სისტემის შექმნის სამართლებრივი საფუძვლების განვითარების, საკუთრების პრივატიზაციასთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების, აქციონირების, ანაბრების დაზღვევის, დაბეგვრის, სავალუტო კონტროლისა და სხვათა შესახებ.

გარე ინფორმაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება კომერციული ბანკის საქმიანი და ფინანსური გარემოს შეფასების პროცესში, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:



საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ადგენენ შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს:

- საკუთრების ურთიერთობების განვითარება;
- ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება;
- ლარის ზონის გაფართოება;
- დაბეგვრის რეგულირების მექანიზმის დახვეწა;
- საგადასახადო ბარიერებისა და შეღავათების განსაზღვრა;
- საგადასახადო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის მექანიზმის დახვეწა.

საბანკო საქმიანობის ფინანსურ ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტივების ხარისხობრივ შეფასებას, რადგან მათი რაოდენობრივი დახასიათება, მაგალითად, გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა, ყოველთვის არ იძლევა წარმოდგენას საბანკო სისტემის საკრედიტო დაბანდების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების და ფინანსური მდგრადობის შესახებ. ამიტომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებიდან მომდინარე უმნიშვნელოვანეს გარეშე ინფორმაციად გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს, კაპიტალის ფორმირებისა და საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსების ოპერაციები და სხვ. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონში მოყვანილია საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზების ერთიანი სამართლებრივი და მეთოდური საფუძვლები.

კანონებით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონების საფუძველზე შექმნილი საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებითა

და დებულებებით მოცემულია წესები და ხერხები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური აღრიცხვიანობისთვის, საბანკო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების, ბანკების მიერ სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების შესრულების, რეზერვების შექმნის და ა.შ. ანალიზისა და შეფასებისთვის.

ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი მოცულობის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალები მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ-ბმულზე www.nbg.gov.ge.

ზემოთ მითითებული საინფორმაციო მასალების მთავარ მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკებისთვის დახმარების განევა მათი ოპერატიულად ინფორმირების გზით საბანკო სფეროში მიმდინარე რთული მოვლენების შესახებ, ფინანსური მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიზნით სარწმუნო მონაცემების მიღების შესახებ.

მოცემულ ეტაპზე ნებისმიერი კომერციული ბანკის ფულად-საკრედიტო საქმიანობის ღრმა ანალიზი შეუძლებელია ანალიტიკური ინფორმაციის გარეშე სხვა ბანკებისა და ზოგადად, საბანკო სისტემის შესახებ. ასეთი წყაროები უნდა შეიცავდეს ცნობებს:

- კომერციული ბანკებისა და მათი ფილიალური ქსელების საერთო რაოდენობის შესახებ;
- ფინანსური კომპანიებისა და საბანკო ჰოლდინგების შესახებ;
- საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ბანკების წარმომადგენლობის, განყოფილებებისა და ფილიალების შესახებ;
- საბანკო კავშირების, ასოციაციების, კონსორციუმების შესახებ;
- უცხოეთში საქართველოს ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობის შესახებ;
- საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო კაპიტალის მქონე თანამედროვე კომერციული ბანკების შესახებ და სხვ.

კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის ანალიზის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია:

- გახსნილი ანგარიშების შესახებ;
- კერძო პირების მომსახურების მოცულობის შესახებ;
- ლარსა და ვალუტაში შეტანილ ანაზრებზე გადახდილი პროცენტების შესახებ;
- კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის აქტიურობის შესახებ;
- ბანკების, კლიენტებისა და კორესპონდენტი ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის შეფასების მთავარ მიმართულებებად შეიძლება, ჩაითვალოს:

- აქტივების მიზანიმართულებისა და

რაციონალურობის დადგენა;

- აქტივების სტრუქტურის დივერსიფიცირების ხარისხის განსაზღვრა;
- აქტივების რისკიანობის განსაზღვრა;
- აქტივების ლიკვიდურობის განსაზღვრა;
- აქტივების შემოსავლიანობის ანალიზი და განსაზღვრა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების მუშაობის პირობებზე უშუალო გავლენას ახდენენ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც, რამდენადაც ოპერაციები კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებთან წარმოადგენს არა მხოლოდ ბანკების შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, არამედ მათი ფინანსური აღმშენებლობის პატარა ბლოკებსაც, რაც ხორციელდება საპროცენტო რისკებისგან თავდაცვის მიზნით და ასევე, გამოიყენება ლიკვიდურობის რისკის აუცილებელი ხარისხის შენარჩუნების მიზნით.

გარდა ამისა, სხვა ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო ფირმები, დეპოზიტორები და სხვა არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები წარმოადგენს კომერციული ბანკების მთავარ კონკურენტებს.

ამჟამად კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა, როგორც ცნობილია, არ არის პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული საქართველოს საგარეო დავალიანების ზომაზე, დასავლეთ ქვეყნების მიერ საქართველოზე გაცემული ფინანსური დახმარების მოცულობასა და პირობებზე, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მინურულს. მიუხედავად ამისა, საგარეო-ეკონომიკური კომპლექსისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გავლენა ბანკის საქმიანობაზე საკმაოდ დიდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წ.
2. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. „საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.

განვითარების პერსპექტივები: საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული

სისტემის ინოვაციური მოდელი

ნანა ნადარეიშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

Резюме

ძირითადი ტექსტი

За последние годы одной из приоритетных направлений экономики правительством Грузии признано развитие рекреационно-туристической сферы. В результате осуществления ряда важных мероприятий количество приезжих туристов превысило 5 млн. человек, а удельный вес туризма в ВВП составил почти 7% (2013). При этом в отмеченной сфере обслуживания, совершенствованием стратегии и менеджмента, внедрением инновационных технологий, возможно более эффективное использование природного и трудового потенциала нашей страны, повышение уровня качества обслуживания.

В связи с переходом на экономику знания, весьма актуальной становится проблема разработки и развития инновационной модели рекреационных зон Грузии. Инвестирование в инновацию может принести быструю отдачу. Хотя, успешное решение данной проблемы требует разработки самых рациональных и эффективных моделей.

Автором разработана инновационная модель рекреационно-туристической системы, где главными структурообразующими блоками являются: 1. Валеологический инновационный центр (ВИЦ); 2. Центр формирования и развития трудового потенциала; 3. Учреждения и предприятия; 4. Научно-технический потенциал; 5. Инновационная инфраструктура.

В статье даётся характеристика и обоснование функций каждого блока, которые связаны с формированием объектов туризма, развитием материально-технической базы, совершенствованием организационной структуры инновационных центров здоровья, механизмом управления формирования и развития трудового потенциала, коммерциализацией научно-технических достижений. Структурообразующие блоки взаимосвязаны.

Для финансирования модели должны использоваться разные источники, как банки, так и частный сектор, но основная доля должна быть государственное инвестирование.

Представленная теоретическая модель будет способствовать развитию туристических центров (например, Боржоми, Цхалтубо, Абастумани) и преобразованию их в рекреопарки, рекреополисы, курортполисы.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციულ-ტურისტული სისტემა, ინოვაციური სტრუქტურები, სტრატეგია.

ბოლო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაინტერესებულია საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარებით, ის აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. განხორციელდა საკანონმდებლო რეგულაციები, გარკვეულ წილად განახლდა და შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოზიდულ იქნა კერძო ინვესტიციები, შეიქმნა კერძო ბიზნესის ხელშემწყობი ფინანსური პირობები, ფუნქციონირებენ ცენტრები და ფირმები, რომლებიც ტურისტების მოზიდვაზე და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებაზე ზრუნავენ, ეწევიან სამინაო ტურიზმის პოპულარიზაციას. ტურისტული ბიზნესით დაკავებული (მსოფლიოში ცნობილი) არაერთი ფირმა უკვე დაინტერესებულია ჩვენი სამშობლოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალით. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 2013 წლის ჯამური მონაცემებით 5,4 მლნ შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (4,4 მლნ) [1]. მშპ-ში კი მისმა წილმა თითქმის 7 % შეადგინა.

ამისთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რეკრეაციული და შრომითი პოტენციალი მთელი მოცულობით არ არის გამოყენებული და სერვისის დონე, ხშირ შემთხვევაში ბევრად ჩამორჩება წამყვანი ტურისტული ქვეყნების სტანდარტებს. არ ექცევა სათანადო ყურადღება ამ სფეროში მეცნიერულ კვლევებს და რეკომენდაციებს.

კარგი სტრატეგიითა და მენეჯმენტით, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, სავსებით შესაძლებელია ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყნის მშპ-ს ზრდაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ძალზე აქტუალური ხდება საქართველოს რეკრეაციული ზონების განვითარების ინოვაციური მოდელების შემუშავებისა და განვითარების პრობლემა. ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტირებას შეუძლია მოიტანოს სწრაფი უკუგება. თუმცა, ამ პრობლემისწარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს განვითარების ყველაზე რაციონალური და ეფექტური მოდელების შემუშავებას.

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020“, გარკვეულ მითითებებს შეიცავს ქვეყნის ინოვაციური გზით განვითარების შესახებ [2]. სტრატეგიაში დეტალურადაა აღწერილი ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა

გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამ დოკუმენტში საუბარია ინოვაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. აღნიშნულია, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას - „ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობა ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან, მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის„[2]. როგორც იყო აღნიშნული აქ იგულისხმება ისეთი ინოვაციური სტრუქტურები, რომლებიც ცოდნის ეკონომიკის მამოძრავებელი ინსტრუმენტებია. ასეთ ინოვაციურ სტრუქტურებში ზოგადად მოიაზრება ბიზნეს-ინკუბატორები, დამაჩქარებლები (აქსელერატორები), ტექნოპარკული და კლასტერული სტრუქტურები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ მიუთითებს საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური სტრუქტურების მშენებლობას 2020 წლამდე, მათ შორის რეკრეაციულ-ტურისტულ სისტემაში. ამისათვის, შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურებმა და სამეცნიერო საზოგადოებამ უნდა შეიმუშაონ რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციურად განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასევე უნდა მოხდეს ასეთი ვალეოლოგიური სტრუქტურების ორგანიზაციული მოდელირებაც. ეკონომიკურმა მოდელირებამ უნდა აჩვენოს აღნიშნული ინოვაციური სტრუქტურების განვითარების ის სავარაუდო სცენარები, რომელთაგან ადვილად იქნება შესაძლებელი ოპტიმალური სტრუქტურების ფორმირება შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ადამიანური რესურსებით. საქართველოს რეკრეაციულ ზონებში ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ რეკროპარკების, რეკროპოლისებისა და კურორტოპოლისების ფორმირებას. ასეთი ინოვაციური სტრუქტურები ჩვენი აზრით შეიძლება შეიქმნას კურორტ ბორჯომის, წყალტუბოსა და აბასთუმნის მაგალითზე.

როგორ უნდა მოხდეს ინოვაციების დანერგვა ტურისტულ-რეკრეაციულ სისტემაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენი აზრით საჭიროა, რომ გაკეთდეს დღევანდელი ვითარების დიაგნოსტიკა, ამ სფეროში შემუშავდეს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია, ხოლო შემდეგ უნდა გადაიჭრას ტაქტიკური ამოცანები.


ამჟამად, საქართველოში ინოვაციური სტრუქტურების მშენებლობის მხრივ ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაა. ქვეყანაში არსებობს ერთადერთი სერიოზულად მომუშავე ბიზნეს-ინკუბატორი ქალაქ ბათუმში[3]. აღსანიშნავია, რომ ამ ბიზნეს-ინკუბატორში ჩამოყალიბდა ისეთი ტურისტული ფირმა, როგორიცაა „ფლემტური„ [4]. რაც შეეხება ტექნოპარკულ სტრუქტურებს,

პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებულმა „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-მ თბილისში, ოქროყანაში არსებული ყოფილი მეფუტკრეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა პირველი ტექნოლოგიური პარკი. აღნიშნული ტექნოპარკი ჯერ ფორმირების პროცესშია და მისი პროფილი უპირატესად საინფორმაციო ტექნოლოგიები იქნება. სამწუხაროდ, სხვა ინოვაციური სტრუქტურები ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ ჩანს, მათ შორის რეკრეაციულ-ტურისტული პროფილის. რაც შეეხება კლასტერულ სტრუქტურებს, 2014 წლისათვის, არცერთი მათგანი ჩვენ ქვეყანაში არ არის იდენტიფიცირებული.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ემყარება გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შემუშავებულ იქნა საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციური მოდელი „კურორტოპოლის წყალტუბოს„ მაგალითზე, რომელიც ქვემოთ არის სქემატურად წარმოდგენილი (იხ. ნახ. №1).

მისი ძირითადი მდგენელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული შრომითი პოტენციალის ფორმირება-განვითარებასთან. რეკრეაციული სისტემის მთავარ სტრუქტურულ-მეცნიერულ ბლოკებს წარმოადგენენ: 1. ვალეოლოგიური ინოვაციური ცენტრი (ვიც); 2. შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების ცენტრი; 3. სანარმოები (დანესებულებები, ორგანიზაციები); 4. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი; 5. ინოვაციური ინფრასტრუქტურა. განვიხილოთ დანვრილებით მათი ფუნქციები, თავისებურებები და განვითარების ტენდენციები.

ვალეოლოგიის ინოვაციური ცენტრების (ვიც) სახელწოდება წარმოიშვა სიტყვა „ვალეოლოგიისაგან„- მეცნიერება ჯამრთელობის შესახებ. მათი მართვის ორგანიზაციულ საფუძველს შეადგენს სიახლეზე ორიენტირებული სტრუქტურის „ინოვაციური„ ტიპი. ამიტომ, ასეთი ცენტრების საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს მუდმივ დამუშავება-რეალიზაციაზე; ასევე, რეკრეაციაში, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მეთოდებში უპირატესად ბუნებრივი პრევენციული და აღდგენითი საშუალებების საფუძველზე თანამედროვე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების დანერგვაზე.



ნახ. №1. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის ინოვაციური მოდელი

ვიც-ის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

- საბაზისო რეკრეაციული რესურსების ათვისება ვიც-ის გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, სპა-ს, დასვენებისა და ტურიზმის ობიექტების ფორმირებისათვის;
- გამაჯანსაღებელი მომსახურების დაბალანსებულად წარსადგენად მეთოდებისა და ფორმების სრულყოფა;
- განახლებად პროფილაქტიკურ საშუალებათა უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა;
- ღონისძიებათა სისტემის სრულყოფა ჯანმრთელი ცხოვრების წესის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაწესებულებათა განვითარების საქმეში;
- ვიც-ის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სრულყოფა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება მოსახლეობის ჯანმრთელობის აღდგენის, შენარჩუნებისა და პროფილაქტიკის საკითხებში.

ვიც-ის განვითარება ხორციელდება ჯანდაცვაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე, როგორც მისი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი შემადგენელი ნაწილი.

რადგან ვიც-ები ტერიტორიული ინოვაციური სტრუქტურებია, მათ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელონ საკუთარი ტერიტორიის განვითარების კონტექსტში და რომელთა კოორდინაციას მოახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; მიზანშეწონილია, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური საბჭო ვიც-ში არჩეულ იქნას ვიც-ის ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემადგენლობიდან, მათი დამფუძნებლებისაგან და შესაბამისი სფეროს მეცნიერებისაგან[5].

უეჭველია, რომ რეკრეაციული ზონის შრომითი

პოტენციალის ფორმირებაში მთავარი როლი ეკუთვნის შრომითი რესურსების ფორმირებისა და განვითარების ცენტრს (იხ. სქემა), თუმცა, ეს, მოცემული პროცესების მართვისაგან არ ათავისუფლებს სხვა სამეურნეო სუბიექტებს.

რაც შეეხება შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების პროცესის მართვის მექანიზმს, ის უნდა მოიცავდეს კოორდინაციას, მონიტორინგს და პროგრამულ დაგეგმვას. ის ასევე უნდა შეიცავდეს შრომის ბაზარზე, საგანმანათლებლომომსახურებაში და სხვადასხვა პროფესიებში სიტუაციის მონიტორინგსა და მოთხოვნილებებს, შესაძლო სცენარების მოდელირებას და პროგნოზირებას, საინფორმაციო დამეთოდოლოგიურ მხარდაჭერას.

სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ბლოკის მთავარ ამოცანას, როგორც რეკრეაციული ზონის ინოვაციური სისტემის მესამე ძირითადი სტრუქტურულ-მეცნიერული, წარმოადგენს სამეცნიერო-დატექნოლოგიური მიღწევების კომერციალიზაცია.

შეზღუდული შიდა ფინანსური რესურსების გამო, გამოყენებული უნდა იყოს დაფინანსების ყველა წყარო, მათ შორის საბანკო, კერძო სექტორის და ა.შ.; მაგრამ ძირითადი დაფინანსება თავის თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს, როგორც ეს გაკეთდა თბილისში, ოქროყანის ტექნოპარკის შემთხვევაში. ერთი რამ ცხადია, რეკრეაციული ინოვაციური სისტემის ფორმირება-განვითარება შეუძლებელია ინოვაციური ინფრასტრუქტურის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ სფეროს ყველა საჭირო მომსახურებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასეთი ინფრასტრუქტურა საქართველოში შესაქმნელია. პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი ელემენტები, როგორებიცაა, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების, ინოვაციური პროექტებისა და გამოგონებების ბირჟები (გამოფენები), ვენჩურული კომპანიები, ინოვაციური რისკების დაზღვევა და ა.შ. ჩვენი აზრით, რეკრეაციული ზონის ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემაზეა მოცემული: მარკეტინგული კვლევის ცენტრი, ტექნოპარკული სტრუქტურები, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები, კონსალტინგური კომპანიები, ლიზინგისა და სადაზღვეო კომპანიები, ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგის ცენტრი, ბიზნეს-ინკუბატორები, ვენჩურული ფონდები.

ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობის გაზრდა ნიშნავს არა მარტო მცირე ინოვაციური მენარმეობის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტას, არამედ შრომითი პოტენციალის ფორმირება-განვითარების მოგვარებასაც. ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ პროცესების სტიმულირების ღონისძიებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/tourism>
http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/turizmis_statistikuri_mimoxilva_2013.pdf
2. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია–საქართველო 2020„. გვ. 27-28. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10967
3. ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორი. <http://www.bbi.ge/>
4. <http://www.frequency.com/video/batumi-business-incubator/40411020>
5. ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი. სამკურნალო და SPA ტურიზმის კლასტერიზაციით განვითარების პერსპექტივები (წყალტუბოს მაგალითზე). ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 5-6 ივლისი, ბათუმი. 2014. გვ.400-406.

ვენჩურული ბიზნესი როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება

გიორგი ცაავა, სტუ-ს პროფესორი

SUMMARY

VENTURE BUSINESS AS A MEANS FINANCING INNOVATION

“venture” or venture capital - capital invested in projects with a high (compared to the market average) level of risk. With the successful implementation of these investment projects “venture” capital earns a higher profit to its owner.

Venture Business provides for the development of new ideas, Progressive, and of innovative scientific and technological invention and commercialization, which in turn requires high knowledge, a lot of money and a titanic work, while it is in achieving success is the “gold mine” generating huge profits.

Georgia as a rich country human capital has an important economic development resources, the wise use of that pledge seriously, achieve success. Vector is determined by the long-term development of the country and human capital, sings requires such an economic policy that would contribute to the creation of a strong economic sector, the development of a business venture and the search of adequate financial resources, which ultimately loads can provide a worthy place in the world market.

РЕЗЮМЕ

«ВЕНЧУРНЫЙ» или рисковый капитал – капитал инвестированный в проекты с высоким (по сравнению со среднерыночным) уровнем риска. При успешной реализации этих инвестиционных проектов «венчурный» капитал приносит более высокую прибыль его владельцу.

Венчурный бизнес предусматривает развитие новых идей, прогрессивных и инновационных научно-технических изобретении и их коммерциализацию, что в свою очередь требует высоких знаниях, больших денег и титанического труда, при этом она при достижении успеха является «золотой жилой» приносящей огромную прибыль.

Грузия как богатая страна человеческим капиталом, обладает важнейшими ресурсами экономического развития, разумное использование которых залог достижения серьезных успехов. Вектор долгосрочного развития страны определяется и человеческим капиталом, поэтому требуется такая экономическая политика, которая способствовала бы созданию сильного экономического сектора, развитию венчурного бизнеса и поиска соответствующих финансовых ресурсов, что в конечном счете Грузии может обеспечить достойное место на мировом рынке.

* * * * *

„ვენჩურული“ კაპიტალი (სარისკო კაპიტალი) - არის მაღალი რისკის დონიან (საერთო საბაზროსთან შედარებით) პროექტებში ინვესტირებული კაპიტალი. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზების შემთხვევაში „ვენჩურულ“ კაპიტალს მისი მფლობელისათვის უფრო მაღალი მოგება მოაქვს. ვენჩურული (სარისკო) ბიზნესის განვითარებას ხელი შეუწყობს ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვამ, რაც თანამედროვე პირობებში გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკები გარკვეული მიზეზების გამო სარისკო პროექტების მასშტაბური დაფინანსებისაგან თავს იკავებენ, ამდენად ბანკებს, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მოზიდვასთან მიმართებაში, ვენჩურული კომპანიები ჩაენაცვლა. ვენჩურული კაპიტალისტები გამოგონებების, კვლევებისა და აღმოჩენების კატეგორიებით არ აზროვნებენ. ისინი თანხებს აბანდებენ არა პატენტებისა და ინოვაციური პროექტების დამუშავებაში, არამედ უშუალოდ იურიდიულ პირებს „აფინანსებენ“ საკუთარი მმართველობითი ხელმძღვანელობის განხორციელებით. ვენჩურული კაპიტალისტებისათვის კომპანია მთავარი ერთეულია. ისინი ისეთ ტექნოლოგიებს ეძებენ, რომლებიც ახალ ინოვაციურ სუპერვარსკვლავს წარმოადგენენ. მათ არა მარტო უბრალოდ დიდი იმედების მომცემი ტექნოლოგია ესაჭიროებათ, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიები საუკეთესო გუნდთან ერთად.

ვენჩურული კაპიტალის ძირითადი წყაროებია: დამოუკიდებელი ფონდები, რომლებიც ორგანიზებულია პარტნიორების (ამხანაგობა) პრინციპით; კორპორაციათა ფონდები, რომლებიც გამიზნულია ძირითადი კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად; სახელმწიფო სახსრებით შექმნილი ფონდები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას; მცირე ინოვაციური კომპანიები; სატრასტო ფონდები; კერძო ინვესტორები.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული და ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებების დაფინანსებასა და მათი გასაყიდად მიზანშეწონილ დონემდე მიყვანას, ანუ კომერციალიზაციას. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს მაღალ ცოდნას, დიდ ფულსა და ტიტანურ გარჯას. ამასთან იგი, წარმატების შემთხვევაში, უზარმაზარი

მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“. იგი თავისი მომგებიანობითა და რისკიანობით არ ჩამორჩება ტრადიციული ბიზნესის ისეთ ყველაზე მომგებიან სახეობებს, როგორებიცაა: ნავთობით, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ვენჩურული ბიზნესის პრინციპები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ვენჩურული კომპანიები არ არსებობდნენ, მაგრამ მარტოხელა მევახშეები, ილბლიანი და მდიდარი ფეოდალები საზღვაო სავაჭრო ოპერაციებს აფინანსებდნენ (შემდგომ მათი ადგილი ბანკებმა დაიკავეს). ვენჩურული ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ცენტრალურ კალიფორნიაში შექმნილმა „სილიკონის (კაჟბადის) ველმა“ ითამაშა. ეს ადგილი ხილის ბალებით იყო ცნობილი, რომელთაც ადგილობრივი ფერმერებისათვის დიდი შემოსავალი მოჰქონდათ. ინტენსიური მეზაღობის შედეგად ცენტრალური კალიფორნია XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის სწრაფად მზარდი რეგიონების ათეულში შედიოდა. აქ შავი ქლიავის მსოფლიო მოსავლის დაახლოებით მესამედი იკრიფებოდა. „სილიკონის ველის“ ჩამოყალიბებაში პრინციპული როლი ამ ტერიტორიაზე მდებარე სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტმა და მისმა რექტორმა ითამაშა. მისი „პირველი საპატიო მამა“ გამოჩენილი ელექტროტექნიკოსი პროფ. ფრედერიკ თერმანი.

„სილიკონის ველი“ ტექნიკოს-მეცნიერთა საზოგადოების შექმნის საფუძველზე ვითარდებოდა. ეს მოდელი მოიცავს: ერთის მხრივ, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებულ ძლიერ უნივერსიტეტებს, რომელთაც შესწევთ შემოქმედებითი საქმიანობის უნარი და, მეორეს მხრივ, ამ შედეგების გამოყენებულ კომპანიებს. ტექნიკოს-მეცნიერთა იდეების რეალიზაციას ხელი შეუწყო „სილიკონის ველის“ მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზამაც. II მსოფლიო ომის დროს კალიფორნია გახდა აშშ თავდაცვითი მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი რაიონი. აქ განლაგებულმა სანარმოებმა მიიღეს სამხედრო შეკვეთები. სტენფორდის უნივერსიტეტთან დაფუძნდა კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დასაწყისში თავდაცვას ემსახურებოდა და ელექტრონულ მრეწველობას ანვითარებდა. ამ ინსტიტუტში სამუშაოდ საუკეთესო სპეციალისტებს იზიდავდნენ და ომის დამთავრების შემდეგ ეს ტენდენცია გაგრძელდა. 1957 წელს სტარტი აიღო NASA-ს პროგრამამ, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო შეკვეთები. ეს იყო ტექნიკური ფირმების დაფინანსების საშუალება, მაგრამ 70-იანი წლებისათვის ასეთი ფირმების რიცხვი ასეულზე ავიდა. სახელმწიფო დაფინანსება მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და გაჩნდა სასესხო კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობა. ბანკებმა ვერ შეძლეს სარისკო ოპერაციების მასშტაბური დაფინანსება, ამიტომ ისინი ვენჩურულმა საინვესტიციო კომპანიებმა ჩაანაცვლეს. გაჩნდა წარმატების კალიფორნიული ფორმულა: brain capital + venture

capital (ინტელექტუალური კაპიტალი + ვენჩურული კაპიტალი).

თანამედროვე ეტაპზე კონკურენციული უპირატესობისა და ეკონომიკური წარმატებების მისაღწევად აუცილებელია პირველობა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სფეროში, ამიტომ საკუთარი „სილიკონური ველის“ არსებობა პრესტიჟის საკითხად იქცა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში მოხვედრას. მსოფლიოს თანამედროვე რუკაზე „სილიკონის“ ზედსართავით მრავალი სახელწოდება გაჩნდა.

„სილიკონზე“ ყურადღების გადატანას ბიძგი მისცა ცენტრალური კალიფორნიის მაღალი ტექნოლოგიების (High Tech) ინდუსტრიამ. ამ „სილიკონის ველში“ განლაგებულია ოთხი ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა ნახევარი მილიონი თანამშრომლით. აქ აწარმოებენ აშშ-ის რაკეტებისა და თვითმფრინავების წარმოების მესამედს, ნახევარგამტარების მსოფლიო წარმოების მეხუთედს, კომპიუტერების მეექვსედს. გერმანიაში სარისკო დაფინანსების ბასტიონად იქცა დიდი მიუნჰენი (ბავარია), ინდოეთი ამაცობს თავისი „სილიკონის პლატოთი“, შოტლანდია - „სილიკონის გლენით“ და ა. შ.

ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. ამერიკული ვენჩურული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. აშშ-ზე პლანეტის ვენჩურული კაპიტალის დაახლოებით სამი მეოთხედი მოდის. უახლოეს წლებში ვენჩურული ბიზნესის განვითარების მთავარ მიმართულებად მიჩნეულია: უსაფრთხოების ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგიები.

ვენჩურული დაფინანსების მოცულობები რიგ ქვეყანაში სერიოზულ დონეს აღწევს. მაგალითად, აშშ-ში უკანასკნელ წლებში ვენჩურული ინვესტიციების წლიური მოცულობა საშუალოდ 50 მლრდ დოლარის დონეზეა, ევროპულ ქვეყნებში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ - მათი მოცულობა 10 მლრდ დოლარს არ აღემატება. ევროპაში ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ჯერჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს (თუ არ ჩავთვლით ახლადშექმნილ „საპარტნიორო ფონდს“), ვინაიდან ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა არ გაგვარჩნია. ვენჩურული ბიზნესის მთავარი პრობაა - განვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც ვენჩურული კაპიტალის მუშაობის მთავარი პრინციპები უნდა უზრუნველყოს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალი ტავრობის თაოსნობით ვენჩურული ბიზნესის განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია.

საქართველოში საამისოდ უპირველესად, უნდა

ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი და შეიქმნას ვენჩურული ფონდები. გასათვალისწინებელია აშშ-ის გამოცდილება და საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან (პირველეს ყოვლისა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში) მიზანშეწონილია შეიქმნას ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული ფირმების პროტოტიპები იქნებიან და უზრუნველყოფენ დასაქმებას.

საქართველოს როგორც ადამიანური კაპიტალით მდიდარ ქვეყანას, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი გააჩნია, რომლის გონივრული გამოყენებით სერიოზული წარმატების მიღწევა არის შესაძლებელი. გათავისებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ვექტორი ადამიანური კაპიტალით განისაზღვრება. საქართველოს ისეთი ეროვნული პოლიტიკა ჭირდება, რომელიც მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას, ვენჩურული ბიზნესის განვითარებასა და სათანადო ფინანსური რესურსების მოძიებას განაპირობებდა. საქართველომ მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილი სწორედ ადამიანური კაპიტალის სექტორში არსებული უპირატესობებით უნდა დაიმკვიდროს.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას “ადამიანური კაპიტალის”, ანუ ე. წ. „ტვინების“, გადინება, ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების დაკარგვა, ასეთი საშიშროება ჩვენ ქვეყანაშიც არსებობს და მისი თავიდან აცილება მხოლოდ პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით არის შესაძლებელი. ამაში კი თავისი გადამწყვეტი წვლილი ქვეყანაში ვენჩურული ბიზნესის განვითარებამაც უნდა შეუწყოს ხელი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოკლე დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ, რომ:

1. „ვენჩურული“ ანუ სარისკო კაპიტალი - არის მაღალი რისკიანი დონის (საშუალოსაბაზროსთან შედარებით) პროექტებში ინვესტირებული კაპიტალი. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებით რეალიზებისას „ვენჩურულ კაპიტალს“ მისი მფლობელისათვის უფრო მაღალი მოგების მოტანა შეუძლია.

2. ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული და ინოვაციური მეცნიერულ-ტექნიკური გამოგონებების განვითარებას და მათ კომერციალიზაციას, რაც თავის მხრივ მაღალ ცოდნას, დიდ ფულსა და ტიტანურ გარჯას მოითხოვს, ამასთან იგი წარმატების შემთხვევაში უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

3. საქართველოს როგორც ადამიანური კაპიტალით მდიდარ ქვეყანას, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი გააჩნია,

რომლის გონივრული გამოყენებით სერიოზული წარმატებების მიღწევა არის შესაძლებელი. ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ვექტორი ადამიანური კაპიტალით განისაზღვრება, ამდენად ისეთი პოლიტიკაა საჭირო, რომელიც მძლავრი ეკონომიკური სექტორის ჩამოყალიბებას, ვენჩურული ბიზნესის განვითარებასა და სათანადო ფინანსური რესურსების მოძიებას შეუწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში შეუძლია საქართველოს მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა (სახელმძღვანელო), ტომი II: სანარმოს ფინანსების მართვა. - თბილისი, გამომცემლობა „გრანალი“, 2011. — 702 გვ.

ეკონომიკური სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის მოდელი

ტარიელ კიკვაძე, სტუ სრული პროფესორი
დავით გეგია, სტუ დოქტორანტი

Summary

Economic systems management unified model

Paper devoted to problem of supporting economic systems with information that dramatically changes effectiveness of decision making on all levels of economic activity (from country level to level of firm and down to level of customer). Paper presents model that deals with essential information collecting management structures and covers problems of conceptual, programming, classification, administrative and technical issues of decision making process.

* * * * *

ქვეყნაში ეკონომიკური საქმიანობისთვის პირობების შექმნა, ისევე როგორც ყველა მართვადი სისტემა, წარმოადგენს დროში მიმდევრობით გავრცელებულ ციკლურ პროცესს შემდეგი ძირითადი ეტაპებით: საწყისი ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის დაამუშავება-ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების რეალიზაცია, ციკლის ბოლოში სისტემა აღმოჩნდება ახალ მდგომარეობაში და შემდეგ ის ახალი ციკლისთვის კვლავ მოითხოვს დროში რეგლამენტირებული ეტაპების განმეორებას.

ამ პროცესში თანამედროვე დონის საინფორმაციო სისტემა (საინფორმაციო უზრუნველყოფა) ძალზე დიდ დათვირთვას იძენს. იგი წარმოადგენს უალტერნატივო ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს, კოორდინატორს, მარეგულირებელ რგოლს. იგი დღეს დიდი, იშვიათი ეკონომიკური სიკეთეა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის მართვას დელეგაციებით არ გააჩნია თანამედროვეობის შესატყვისი ინფორმაციული უზრუნველყოფა. იგი არაორგანიზებული, არაკოორდინირებული, არასანდო, წინააღმდეგობრივი, დაგვიანებული, უსარგებლო, დუბლირებული, არასრულია, ძნელად მოსაძებნი და ხშირად საერთოდ არ მოიპოვება. ამის მიზეზი ძალზე დიდი შეუთავსებლობა, წინააღმდეგობრიობა, ანტაგონიზმიც კი ეკონომიკის სხვადასხვა დონის ხელმძღვანელ მუშაკებსა და ინფორმატიკოსებს, კიბრნეტიკოსებს და სისტემური ანალიზის სპეციალისტებს შორის, ამ უკანასკნელების უმწვავესი დეფიციტის ფონზე, რაც ძალზე ამუხრუჭებს ამ საქმის პროგრესს საქართველოში.

ამასთან ერთად არსებობენ ობიექტური მიზეზებიც, რომლებიც დღეისთვის არსებულ ინფორმაციის მოპოვების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ სტრუქტურასთან არის დაკავშირებული.

მთელი სიძნელეები ნინფორმაციის მოპოვების საქმეში გადადის დაბალ საფეხურებზე. იქ კი დოკუმენტების სიჭარბითა და გართულებული მეთოდოლოგიით თუ ორგანიზაციით, კაადრები არასაკმარისი კვალიფიკაციისა და დენადობის გამო (რაც საბიუჯეტო ხარჯებ არამინიმალურად ზრდის) ძალზე აფერხებს საინფორმაციო სისტემის მართვას.

საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს ინფორმაციის მოპოვების სტრუქტურა. ქვეყნის (ან სხვა მასში შემავალი ეკონომიკური ქვესისტემის) ინფორმაციული სივრცე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ჩვეულებრივ მრავალსაფეხურიან პირამიდად, რომლის წვერო შეიძლება იყოს ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი ინფორმაციის მონაცემთა ბანკი, ხოლო მის საფეხურებად ავტონომიური რთეულის და/ან მხარის (რეგიონის), რიონის, მუნიციპალიტეტის, სოფლის (საარჩევნო უბნის) დაბოლოს, მოსახლეობის ფენის (მომხმარებელთა და გადასახადის გადამხდელთა სახით) საქმიანობის ინფორმაცია. პირამიდა სტრუქტურულად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: $A; A(B_1, B_2, \dots); B(B_1(C_1, C_2, \dots); B_2(C_1, C_2, \dots); \dots)$ და შემდეგ C დონეზე თითოეული ჩი-რებიც ისევე წარმოდგება, როგორც B_i -რები ნებისმიერი რაოდენობის D_i -რების საშუალებით და D დონეზე თითოეული D_i -რიც თავისმხრივ წარმოდგება ნებისმიერი რაოდენობის E_i -რების საშუალებით, რომლებიც შეადგენენ E დონეს. ვუნდოთ მას „ჰორიზონტალური პირამიდა“.

წარმოდგენილ „ჰორიზონტალური პირამიდის“ სტრუქტურაში A არის ცენტრალური მმართველობის დონე, B რეგიონალური, ჩრაიონული, D ადგილობრივი მმართველობის დონე, ხოლო E გადამხდელთა და მომხმარებელთა დონე. როგორც ვხედავთ, თითოეული წვერო შეიძლება განხილულ იქნას ახალი „პირამიდის“ საწყისად და ნებისმიერი შუალედური დონე შეიძლება ამოვარდეს ან დაემატოს. პირამიდის ნებისმიერ კვანძში საჭიროა ინფორმაციის შესახებ ცნობების შეგროვება საინფორმაციო მოთხოვნების დადგენის მიზნით.

ინფორმაცია სახეობის მიხედვით შეიძლება იყოს ექსპერტული (ექსპერტის მონაცემებზე დაყრდნობილი), ალბათურ-სტატისტიკური (შერჩევით გამოკითხვებზე დაფუძნებული) და დეტერმინისტიკური (მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით განპირობებულ-განსაზღვრული, როდესაც კვანძების მიხედვით ყოველ მონაცემს თავისი საწყისი წყარო მოეპოვება), ხოლო ფორმის მიხედვით - განაცხადის, გარიგების და კონტროლის.

განვიხილოთ განაცხადის ფორმის ინფორმაცია. იდეალურ შემთხვევაში ყველა გადამხდელი და მომხმარებელი, ანუ კერძო და იურიდიული

პირი (კერძო და საჯარო სამართლის) აკეთებს ცალმხრივ განაცხადს თავისი ა) შესაძლებლობის, ბ) მოთხოვნილების, ც) ვალდებულების შესახებ. ე. ი. თითოეული მათგანი წარმოადგენს თავისი შესაძლებლობების განაცხადს (რა სიმძლავრე აქვს), რა სჭირდება (რა რესურსები) და რა ვალდებულებებს იღებს თავის თავზე, რა შეუძლია გაილოს გადასახადების სახით (ადგილობრივი თუ ცენტრალური მმართველობისთვის, ბიუჯეტისთვის), ინვესტიციებისთვის, ქველმოქმედებისთვის თუ სხვა ვალდებულებებისთვის, არსებული კანონმდებლობის დაცვით. ასეთ ინფორმაციას ვუნოდოთ განაცხადის ფორმის ინფორმაცია. გამოვიყენოთ ცნობილი ტერმინები პერსპექტიული ($a > b+c$), რეალური ($a=b+c$), პესიმისტური ($a < b+c$) ვარიანტებისათვის. გარიგების ფორმის ინფორმაცია ვუნოდოთ იმ ინფორმაციას, რომელიც მიიღება მხარეებს შორის რეგისტრირებული რაიმე გარიგების (ხელშეკრულების) საშუალებით. ასეთი სახის ინფორმაცია განაცხადის ფორმის ინფორმაციის კორექტირებას, მის ბალანსირებას და შეჯერებას. რაც შეეხება კონტროლის ფორმის ინფორმაციას, იგი შეიძლება მიღებულ იქნას მომხმარებლისგან თავისი მოთხოვნილებების განხორციელების შედეგად (მას შეიძლება ენოდოს მონიტორინგის აქცია).

მივიღოთ, რომ მომხმარებელს ნებაყოფლობით გაუჩნდა სურვილი სრულად აღრიცხოს თავისი მოხმარებული პროდუქცია (საქონელი, მომსახურება). ეს შესაძლებელია უმარტივესი საშუალებებით (ჩანაწერებით, ჩეკებით, ხელშეკრულებებით, ცნობებით, ქვითრებით და ა.შ.), რომლებიც სბოლოოდ დაჯამდება სპეციალურ ბლანკებზე, ან შესაძლებელია თანამედროვე სუპერმარკეტების მუდმივი მესხიერების სალაროების ჩეკებით და შემდგომში მათი სპეციალურ ცენტრებში (მომსახურების ცენტრებში) წარდგენით.

დავუშვათ, რომ გვაქვს მექანიზმი, მოდელი, რომლის საშუალებით ზემოთაღნიშნული სამი ტიპის ინფორმაცია მიიღება, დამუშავდება (გარაიქმნება) და ჩამოყალიბდება გარკვეული სახის მონაცემთა ბაზად. ყოველი პირისათვის მისი ინფორმაციის მოძრაობა სრულად აისახება მთელს პირამიდაზე, მის კვანძებზე. ე. ი. პირამიდის E დონის მონაცემების საფუძველზე მიიღწევა D დონის მონაცემების ბალანსირება და შეჯერება. განისაზღვრება ჯამური მაჩვენებლებიც D დონეზე და ეს პროცესი იმოდრავებს პირამიდის ნვეროსკენ. D დონის მონაცემებიდან მიიღება C დონეზე შეჯერებული მონაცემები და ბოლოს მიიღება A დონეზე შეჯერებული მაჩვენებლები. ე. ი. პირამიდის საკვანძო ნერტილებში განაცხადის ფორმაში გვექნება ინფორმაცია ა) შესაძლებლობის, ბ)-მოთხოვნილების და ც)-ვალდებულების შესახებ, რის საფუძველზეც გარკვეული ეტაპების გავლით (წინასწარი, კორექტირებული და შეთანხმებული ვარიანტების გათვლის შემდეგ) მიიღება ქვეყნის საბიუჯეტო საქმიანობის პროგნოზი და ქვეყნის სტრატეგიის განმსაზღვრელი მაჩვენებლები. გარიგების ფორმის

ინფორმაციის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ყოველი მომენტისთვის განსაზღვრული იქნება ქვეყნის სტრატეგიის შესრულების კონტროლი. ცნობილი გახდება პირამიდის საკვანძო ნერტილებში ჯამური ბ) - მოთხოვნილების, ა) - შესაძლებლობის და ც) ვალდებულების შესრულების (განხორციელების) მდგომარეობა. ხოლო კონტროლის ფორმის ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდება „პირამიდის“ ყველა კვანძში, ყველა დონეზე, მმართველობის ნებისმიერ რგოლში მივიღოთ არა მარტო საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და კონტროლი, არამედ დაზუსტდეს კიდევ, ჰქონდა თუ არა სწორად წარდგენილი განაცხადები გადამხდელებს თავიანთი ვალდებულების შესახებ.

მოდელის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მომხმარებლებისა და გადამხდელთაგან ისეთი, ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი, საწყისი ინფორმაციის მოპოვება, რომ ამ საწყისი ინფორმაციის მიწოდება სისტემის ყველა მომხმარებლისათვის და გადამხდელისათვის ეკონომიკურად მისაღები, ხელსაყრელი, სასარგებლო და ყველას ინტერესის საგანი გახდეს, როგორც ეკონომიკური ზრდის, ქვეყნის წინსვლის ერთერთი ბერკეტი.

მოდელის მეორე დიდ ამოცანად უნდა ჩაითვალოს მოსალოდნელი დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება-დამუშავებისთვის სრულყოფილი ექსპერტული კომპიუტერული უზრუნველყოფის შექმნა, კანონმდებლობის სრული დაცვით, მინიმალური ხარჯებით და ყველა დაინტერესებული აგენტისთვის მისაღები ფორმით.

მოდელის რეალიზაცია გულისმობს შემდეგ ეტაპებს:

კლასიფიკაციის ორიგინალური ლოკალური კოდირების სისტემის დამუშავება. რომელიც ჰარმონიზირებული იქნება ევროგაერთიანებისა და გაეროს სათანადო კოდირებისა და კლასიფიკაციის სისტემებთან, იდენტიფიცირების, პერსონიფიცირების, კადასტრის, სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის საკითხებთან და რომლის დანერგვა გაამარტივებს ერთიანი ეროვნული რეგისტრის ფუნქციონირებას.

ერთიანი ცნობარის შემუშავება, რომელიც წაროდგენილი იქნება ორი ნაირსახეობით: ძირითადი, მასობრივი მოხმარების და დამხმარე, სისტემის შიდა მოხმარებისთვის, მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ძირითადი ცნობარი სტრუქტურულად შედგება სამი ბლოკისგან: შიფრი (ლოკალური კოდი), ზომის ერთეული, დსახელება ქართულ ენაზე. დამხმარე ცნობარი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველი ნაწილი სტრუქტურულად შედგება ხუთი ბლოკისგან: ძირითადი ცნობარის შიფრისგან და სეკ (CBA) 002-99 კლასიფიკატორის შესაბამისი ოთხი ბლოკისგან. ხოლო მეორე ნაწილი ძირითადი ცნობარის შიფრისგან და დასახელების ბლოკებისგან სხვადასხვაქვეყნების სალაპარაკო ენებზე.

სპეციალური ანკეტის მოდელის დამუშავება. ის წარმოადგენს საშუალებად დოკუმენტს და გამოიყენება სისტემის საწყისი ინფორმაციის (მონაცემთა ბაზის) შესაქმნელად. მისი დანიშნულებაა მოსახლეობის, ოჯახის, იურიდიული პირის (კერძო და საჯარო სამართლის), მინის ნაკვეთების, აქციების, ფასიანი ქაღალდების, შენობა-ნაგებობების, მანქანა-იარაღების, ბუნებრივი რესურსების, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა ობიექტების რეგისტრაცია-აღრიცხვა მათი წარმოშობის დღიდან მოცემულ მომენტამდე. (სისტემის ამუშევების შემდეგ ჩამოთვლილი სუბიექტების შესახებ ინფორმაცია მიიღება უკვე სხვა, სახელდობრ გარიგების აქტის საშუალებით. ანკეტის ძირითადი ფორმის პარამეტრებია: შიფრი, ფორმა, დასახელება და თარიღი. ხოლო მისი დამატებითი ფორმის პარამეტრები ობიექტების (სუბიექტების) მიხედვით განსხვავდება.

გარიგების აქტის მოდელის დამუშავება. იგი წარმოადგენილი უნდა იყოს როგორც ძირითადი დოკუმენტი სისტემის მუშაობისთვის. საწყის ეტაპზე იგი მოიაზრება, როგორც საშუალებად დოკუმენტი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში მოქმედი ყველა პირველადი დოკუმენტების: ჩეკის, ქვითრის, ბლანკის, ფაქტურის, ზედნაღების, შემოსავლის და გასავლის ორდერის, ხელშეკრულების, აქტის, ანკეტის და სხვა მსგავსი დოკუმენტების ჩამანაცვლებელი დოკუმენტი. მისი ძირითადი ბლოკები (პარამეტრებია): აქტის შიფრი, სახე, სუბიექტები (პირველი და მეორე პირი) და ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს შვიდ ბლოკს: შიფრი (კოდი), რაოდენობა, ფასი, ფორმა, პერიოდი (დანყება-დამთავრება) და დასახელება. განსაკუთრებულ შემთხვევაში „აქტს“ თან ერთვის „დამატებითი აქტი“, როელიც სრულად უზრუნველყოფს მხარეებს შორის მკაცრი მოთხოვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს.

რეესტრის ოპერატიული სამსახურის კონცეპტუალური და ორგანიზაციული ბიზნეს მოდელის დამუშავება. ის წარმოადგენილია, როგორც ნოტარიუსის ტიპის, ინფორმაციის რეგისტრაციისა და დაცვის სრულიად გამიჯნული (დამოუკიდებელი) ერთეული, რომელიც განლაგებული იქნება პირამიდის ქვედა დონეებზე (საარჩევნო უბნებში) საჭიროების მიხედვით. აქ ინფორმაცია შენახული და დაცული იქნება იმ თანმიმდევრობით, როგორც ის შემოვა სისტემაში. აქ ინფორმაციის მხოლოდ მიღება ხდება და გაიცემა მიღებული და შენახული ინფორმაციის ასლი.

მასობრივი მომსახურების ცენტრის (მმც) მოდელი წარმოადგენილია, როგორც რეესტრის ოპერატიული სამსახურის ინფორმაციაზე დაფუძნებული საძიებო-საინფორმაციო, გარდაქმნა-დამუშავების, ანალიზის, კვლევის, კონფიდენციალობის დაცვის შესაბამისი სამსახური. ცენტრი შეიძლება იყოს უწყებებში და ამავე დროს მას ჰქონდეს დამოუკიდებელი იურიდიული პირის (კერძო და საჯარო სამართლი) სტატუსი. ცენტრს შეუძლია ყოველ მომხმარებელს

და გადამხდელს გადაუჭრას პრობლემები ბიზნესის სფეროში. გაუნიოს საბუღალტრო-აუდიტორული მომსახურება. მათემატიკური მოდელირების საფუძველზე გადაუჭრას სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები და შესთავაზოს საექსპერტო დასკვნები. გარიგების აქტების და განაცხადების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით ცენტრი აკვირდება მომხმარებლების საქმიანობას, მათ ეკონომიკურ აქტივობას და ამის საფუძველზე სთავაზობს მათი საქმიანობის შესაბამის მათთვის მომგებიან წინადადებებს.

ინფორმაციული უზრუნველყოფის მოდელისთვის დამუშავებული შესაბამისი ეროვნულ ენოვანი (ქართულ და სხვა ენაზე ინტერაქტიური რეჟიმში მომუშავე) ექსპერტული სისტემის მათემატიკურ-პროგრამული უზრუნველყოფის პროექტი. ის შედგება სამი ძირითადი უნიფიცირებული ბლოკისგან. ინფორმაციის მიღების, ინფორმაციის გარდაქმნის (დამუშავების) და ინფორმაციის გადაცემის (გამოტანის) სტანდარტული ბლოკებისგან. ინფორმაციის მიღების ბლოკით ხდება, ერთის მხრივ, ტექსტური ნაწილის („ცნობარის“ ძირითადი და დამატებითი ნაწილის კომპიუტერული ანალოგის) შექმნა და მეორეს მხრივ, რიცხვითი მონაცემების განლაგება-გარდაქმნის ბლოკში.

ინფორმაციის გარდაქმნის ბლოკი თავის მხრივ წარმოადგენს „ცნობარის“ შესაბამისი სტრუქტურის კომპიუტერულ წარმონაქმნს, რომელიც „ჰორიზონტალური პირამიდის“ ყოველი E დონის სუბიექტის მიმართ მიიღება. მას შემდგომში ვუნოდებთ „ვერტიკალურ პირამიდას“.

„ვერტიკალური პირამიდის“ ყოველ პარამეტრს, თავის მხრივ, გამოეყოფა ველი შესაბამისი მნიშვნელობების აკუმულირებისთვის სათანადო თარიღისა და რიცხვითი მონაცემების ფიქსირებისთვის ამ სუბიექტის სისტემაში შემოსვლის მომენტიდან მოცემულ მომენტამდე. ამის შედეგად მიიღწევა ყოველგვარი გარდაქმნების (გამოთვლების) ჩატარების შესაძლებლობა, რაც ცნობარის დამატებითი ნაწილის სტრუქტურითაა განსაზღვრული. ამასთან ცხადია, რომ მიღებული ყოველი ახალი ინფორმაცია მოახდენს შესაბამისი „ვერტიკალური პირამიდის“ კორექტირებას და იგი ამავე დროს გარდაქმნის მთელი ჰორიზონტალური პირამიდის მნიშვნელობებსაც.

ინფორმაციის გადაცემის (გამოტანის) ბლოკის საშუალებით კი ხდება უნიფიცირებული დოკუმენტის გამოტანა. იგი შესაძლებელია, სპეციალური ფორმით, ცნობარის ძირითადი ნაწილიდან მაჩვენებლების ჩამონათვალის კოდების არჩევით და იმის მითითებით თუ, რომელ ენაზე უნდა იყოს მონოდებული დოკუმენტის ტექსტური ნაწილი, რაც ნებისმიერ მომხმარებელს ხელეწიფება. თუ მომხმარებელს არ დააკმაყოფილებს სტანდარტული დოკუმენტის ფორმა, იგი ნებისმიერი ტექსტური რედაქტორით შეძლებს მის გადამუშავებას სასურველ სახემდე.

ეკონომიკური სისტემის მოდელის შესაბამისი

ტექნიკური უზრუნველყოფის სამი პროექტი შეიძლება იქნას განხილული. პირველი, როდესაც კვანძები მხოლოდ კომპიუტერული ქსელების საშუალებით ურთიერთქმედებენ. მეორე, როდესაც ზოგიერთი მომხმარებელი კომპიუტერულ ქსელში არ არის ჩართული და მესამე, როდესაც ოპერატიული სამსახური სათანადო ინფორმაციას დისკების, „ფლეშების“ და ა. შ. საშუალებით ახორციელებს. ძირითადი მოდელის თავისებურებებიდან გამომდინარე თითოეული ამ შესაძლებლობათაგანი ჰარმონიზირებული იქნება ერთნაბეთთან და გლობალურ მოდელთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკვაძე ტ. გადანყვეტილებათა მიღების მოდელები და მეთოდები. სტუ. თბილისი. 2013.
2. ეფრემიძე ნ. ლოკალური კოდირებისა და კლასიფიკაციის სისტემის მოდელი. თბილისი. 1998.
3. Саати Т.Л. Принятие решений при зависимостях и обратных связях: Аналитические сети. Москва. 2015.
4. Gia Sirbiladze. Extremal Fuzzy Dynamic Systems. Springer. 2012
5. Fuzzy Optimization: Recent Advances and Applications. Springer. 2010

Corporate Compliance დანერგვა საქართველოს კორპორაციულ ბანკებში

ირინა ყაშუაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

Corporate Compliance შეიძლება განვმარტოთ, როგორც დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფა კომპანიაში, მათი შესრულება, კორპორაციული შესაბამისობა. წესები კი ამ შემთხვევაში, ნორმატიული, კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სამართლებრივი აქტებისა და ზოგადი ქცევის წესების ერთობლიობაა. საქართველოში Corporate Compliance-ის განხორციელება ძირითადად, კომერციულ ბანკებს უკავშირდება. Compliance-ის ამოსავალ წერტილს კომპანიის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, რომელთა შელახვის თავიდან ასაცილებლად Compliance -ის განმხორციელებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა ან პირმა:

- თვალყური უნდა მიადევნოს კომპანიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების ქმედების სამართლებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობას;

- უნდა უზრუნველყოს წესების დაცვით ქმედება კომპანიაში;

- უნდა მოახდინოს კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენცია/მათ შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

ქართულმა საბანკო სექტორმა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მისი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, პირველმა უნდა განახორციელოს საუკეთესო პრაქტიკასა და რეალურ საჭიროებებზე მორგებული Compliance-მოდელის დანერგვა, რათა ბიზნესისათვის ჯანსაღი კორპორაციული მართვის მაგალითი იყოს.

Резюме

Corporate Compliance можно разъяснить, как обеспечение соблюдения установленных правил в компании, их выполнение и их корпоративное соответствие. В правилах в этом случае подразумевается совокупность нормативов, установленных компанией внутренними правовыми актами и правил, общего поведения. В Грузии реализация Corporate Compliance в основном связана с коммерческими банками. Исходной точкой Compliance-а является защита интересов компании, для избежания подвержения рисков которых, структурная единица или лицо, ведущие процесс Compliance, должны:

- Следить за течением действий структурных единиц и сортудников, в соответствии нормативно-правовой базе;

- Должен обеспечить, чтоб все действия в компании соответствовали правилам;

- Должен предотвратить риски, существующие перед компанией и провести требуемые мероприятия,

с целью их предотвращения.

Банковский сектор Грузии, с учетом его важной роли в развитии экономики страны, должен первым реализовать внедрение модели Compliance, который будет соответствовать реальным потребностям, этим быть примером корпоративного управления для бизнеса.

* * * * *

Corporate Compliance ბოლო პერიოდის ერთერთი პოპულარული თემა გახდა ამერიკული და ევროპული სამეცნიერო პუბლიკაციებისა თუ ნაშრომებისათვის. ავტორების მიერ განიხილება აღნიშნული სისტემის დანერგვის თეორიული შესაძლებლობები, მისი თანმხლები დადებითი მხარეები; კერძოდ, რისკის მართვის გაუმჯობესება, ასევე, უარყოფითი მხარეები, მაგალითად, ბიუროკრატიის მატების საფრთხე და სხვ.

ლიტერატურაში ტერმინის ჩომპლიანცე წარმომავლობას ანგლო-ამერიკულ საბანკო სფეროს მიანერენ. Corporate Compliance ვინრო გაგებით კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფასთან ასოცირდება. თუმცა, ის არ შემოიფარგლება ამ ვინრო განმარტებით. იმისათვის, რომ Corporate Compliance-ის არსი და დანიშნულება უკეთ შევიცნოთ, საჭიროა, უფრო დეტალურად გავიგოთ, თუ რას მოიცავს და გულისხმობს ეს ცნება. Corporate Compliance შეიძლება განვმარტოთ, როგორც დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფა კომპანიაში, მათი შესრულება, წესებთან შესაბამისობაში ყოფნა, კორპორაციული შესაბამისობა. წესები კი ამ შემთხვევაში, ნორმატიული, კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სამართლებრივი აქტებისა და ზოგადი ქცევის წესების ერთობლიობაა. რაც უფრო ზედმიწევნით ხდება წესების დაცვა კომპანიაში, მით უფრო მაღალია მისი კორპორაციული შესაბამისობის ხარისხი. Corporate Compliance -ის სისტემა კომპანიის მიერ საკუთარი თავისათვის, მისი ორგანოებისა და თანამშრომლებისათვის შემუშავებული მაკონტროლებელი მექანიზმია, რომელიც მისი საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობისა თუ კომპანიის შიდა სამართლებრივი აქტების, მის მიერ დადგენილი პრინციპების ჩარჩოებში წარმართვას უზრუნველყოფს.

Corporate Compliance დაახლოებით შვიდი წლის წინ დაინერგა მსოფლიოში. ის სწრაფად შეიჭრა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპულ ეკონომიკურ წრეებში და დღეს ის კარგი კორპორაციული მართვის შეუცვლელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

Corporate Compliance-ს პირდაპირი მიზანია,

თავიდან აიცილოს აღნიშნული სამართლებრივი თუ ეკონომიკური რისკები და ამით გამოწვეული პასუხისმგებლობა. Compliance-ის დარღვევამ, კომპანიისა და მისი ხელმძღვანელობისათვის შესაძლოა, ისეთი რისკები გამოიწვიოს, როგორცაა: — სანქციები (ფულადი ჯარიმა, გაფრთხილება და სხვა); — სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა; — რეპუტაციის შელახვა. თუ ამ რისკს კომერციულ ქრილში განვიხილავთ, პასუხისმგებლობის გამომწვევმა გადაცდომამ კომპანიით დაინტერესებული მხარეების ნდობის კლება და მათი დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს.

პირდაპირი მიზნის პარალელურად, ლიტერატურაში საუბარია Corporate Compliance-ის დამატებითი მიზნების არსებობაზეც. ძლიერი და გამჭვირვალე Compliance სისტემა არა მხოლოდ არსებული პარტნიორების ნდობისა და ინტერესის შენარჩუნებას, მათი დაკარგვის თავიდან აცილებას, არამედ სხვა, ფართო წრის დაინტერესების სტიმულირებასაც შეიძლება ემსახურებოდეს.

საქართველოში Corporate Compliance-ის განხორციელება ძირითადად, კომერციულ ბანკებს უკავშირდება. Basel II ურჩევს ბანკებს, კარგი კორპორაციული მართვისათვის რისკის მენეჯმენტსა და შიდა აუდიტთან ერთად, განახორციელონ Compliance. საქართველო არ გახლავთ ბაზელის კომიტეტის წევრი ქვეყანა, თუმცა, ნაწილი ბანკებისა სხვადასხვა ფორმით ითვალისწინებს ამ რეკომენდაციას საკუთარ საქმიანობაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ Corporate Compliance ისეთი ჩამოყალიბებული მოდელით, როგორი სახითაც ეს აშშ-ისა და ევროპის კომპანიებში გვხვდება, ჯერჯერობით საქართველოში დანერგული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ Corporate Compliance-ის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს კანონისა და დადგენილი წესების დაცვა წარმოადგენს, მისი მხოლოდ სამართლის სფეროსათვის მიკუთვნება საკმარისი არ იქნებოდა. Corporate Compliance ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკური ეთიკის ნაწილი გახდა, ზოგიერთი ავტორი კი მას მარკეტინგის ინსტრუმენტადაც განიხილავს.

Corporate Compliance-ის სისტემის ასამუშავებლად საჭიროა მისი:

- იმპლემენტირება;
- დოკუმენტურად გამყარება;
- შემდგომი განვითარება.

მომცრო კომპანიები შესაძლოა, მხოლოდ ერთი თანამშრომლის დანიშვნით შემოიფარგლონ. დიდი, რეგულირებული კომპანიები კი, როგორცაა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნით ახორციელებენ Compliance-ს. სტრუქტურული ერთეულისა თუ პოზიციის შექმნისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ დეტალებზე: მნიშვნელოვანია Compliance-სისტემის იმიჯი.

სტრუქტურული ერთეული თუ ცალკეული კადრი ნდობასა და პატივისცემას უნდა იწვევდეს კომპანიის თანამშრომლებში. ერთეულის რეპუტაციის სწორად ფორმირებისათვის, თავიდან უნდა იქნეს აცილებული Compliance ფუნქციების ისეთი განყოფილებისათვის მინიჭება, რომელიც ნაკლებ მნიშვნელოვნად ითვლებოდა კომპანიაში. Compliance-სისტემა შესაძლოა, დაინერგოს კომპანიაში და მართული იქნას ცალკე სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ყველა ფუნქციას. მეორე ვარიანტი მატრიცული ორგანიზებაა, სადაც სამუშაო ფუნქციები გადანაწილებული იქნება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე (Compliance-ის, იურიდიული, ფინანსური, ადამიანური რესურსების და სხვა განყოფილებები), რომელთა ნამუშევარი თავს მოიყრის ზემდგომ კომიტეტში. თუმცა, ასევე შესაძლებელია გარე მომსახურებით სარგებლობა – Compliance ფუნქციების აუტსორსინგი. ამ უკანასკნელზე დიდხანს არ შევჩერდები, მაგრამ დადებითთან ერთად საჭიროა, აღინიშნოს მისი უარყოფითი ასპექტებიც. დადებით მხარეს, ცხადია, დაზოგილი ფიქსირებული ხარჯები წარმოადგენს, რაც კომპანიაში Corporate Compliance-ის სისტემის დანერგვისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნის შემთხვევაში, არც თუ ისე მცირე იქნება. აუტსორსინგის უარყოფითი მხარედ კი შესაძლოა, შემდეგი მოვლენები მოვიხსენიოთ: — კომპანიის ხელმძღვანელობას მაინც თავად მოუწევს Compliance-თან დაკავშირებული გადამწყვეტილებების მიღება, ვინაიდან კომპანიის შიდა პროცესების მართვის უფლების მესამე პირებისათვის გადანდობა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. ამდენად, გამოდის, რომ მესამე პირებისათვის Compliance-ის მხოლოდ აღსრულების ნაწილის გადანდობა იქნება შესაძლებელი. — შეუძლებელია, მესამე პირებმა ისე კარგად შეძლონ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვა, შიდა პროცესებში მონაწილეობის მიღება და ნდობის მოპოვება, როგორც ამას შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი კომპანიის სტრუქტურული ერთეული შეძლებდა. აღნიშნული დისტანცია აისახება ინფორმაციის მიღების სისწრაფესა და ღონისძიებების გატარების ეფექტიანობაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტი მოქნილობისა და ეფექტიანობისათვის, ავტორები ხშირად უწევენ რეკომენდაციას Corporate Compliance-ის ფუნქციების გადანაწილებას შიდა და გარე მომსახურებაზე.

კომპანიაში Corporate Compliance სტრუქტურული ერთეულის ფორმირება და მისი ფუნქციონირების პრინციპი ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორცაა კომპანიის სიდიდე, სამართლებრივი ფორმა, სფერო და ა.შ. ამდენად, არ არსებობს Compliance-ის სტრუქტურული ერთეულის ფორმირების მზა მოდელი. ზემოხსენებული და სხვა სპეციფიკური ფაქტორების მიხედვით, უნდა მოხდეს საბაზისო მოდელის განვითარება, გავრცობა ან შემცირება და კომპანიაზე მორგება.

ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს Compliance-ის განმახორციელებელი პირების სწორად შერჩევა. Compliance-ოფიცრები მმართველობის მიერ კომპანიაში წარგზავნილი „მცველები“ არიან, რომელთა მიზანია, წინასწარ განჭვრიტონ, გამოავლინონ და აღკვეთონ/მინიმუმამდე დაიყვანონ კომპანიისა თუ მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობიდან/ შიდა სამართლებრივი აქტებიდან გადაცდომები. ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად Compliance-ოფიცრებმა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებულად უნდა იმუშაონ. თუმცა, მათთვის მაინც საჭიროა საბაზისო ცოდნა მათდამი დაქვემდებარებული საკითხების გარშემო. ხშირ შემთხვევაში, Compliance-ოფიცრები ბიზნეს სამართლის სპეციალისტები არიან, რადგან კანონმდებლობის კარგი ცოდნა ამ პოზიციაზე დასაქმებული კადრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. კომპანიის იურისტი, რომელიც იდეალურ შემთხვევაში, გადამზადებას გაივლის ჩომპლიანცე-ს დაქვემდებარებული სფეროების უკეთ შესასწავლად, საუკეთესო კანდიდატურა შეიძლება იყოს ამ პოზიციაზე. შერჩეულ პირებს კომპანიამ დეტალურად უნდა გააცნოს მათი უფლებები და ვალდებულებები, იზრუნოს მათთვის საჭირო რესურსების მიწოდებაზე და რეგულარულად მისცეს მათ კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება.

Compliance-ის მანარმოებელის საქმიანობა მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მის მიერ კონტროლირებადი სამსახურების საქმიანობისაგან. კონტროლის ეფექტიანობის მიზნით, ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს Compliance-ის მანარმოებელი სტრუქტურული ერთეულის დამოუკიდებლობა, მიანიჭოს მას თავისუფლად მოქმედების უფლება და აღჭურვოს სათანადო ძალაუფლებით.

Compliance-ის საბაზისო მოდელი დროთა განმავლობაში აუცილებლად განიცდის ცვლილებებს, უკეთ მოერგება კომპანიის სპეციფიკასა და გარე გამოწვევებს. მნიშვნელოვანია კომპანიის მმართველობის მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს და ცვლილებები შეიტანოს Compliance-ის მექანიზმში, პოლიტიკასა და მეთოდებში.

კომერციული ბანკის საქმიანობა სხვადასხვა სახის რისკს უკავშირდება, რომელთა ეფექტურად სამართავად, ბანკმა მუდმივად უნდა ახორციელოს მონიტორინგი და კონტროლი. კომერციულ ბანკებში ამგვარი რისკების კონტროლით პირდაპირ ან არაპირდაპირ ბანკის აუდიტის კომიტეტი, შიდა აუდიტი, რისკების მართვის კომიტეტი და რისკების მართვის სამსახურია დაკავებული. ჩნდება კითხვა: რა ადგილს იკავებს Compliance კომპანიის შიდა კონტროლის სისტემაში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, მოკლედ დავახასიათოთ შიდა აუდიტისა და რისკების მართვის სამსახურების ფუნქციები და

შედლებისდაგვარად გავმიჯნოთ ისინი Compliance-ისაგან. შიდა აუდიტი — შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და მოქმედ ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენა. ამგვარად, შიდა აუდიტის სამსახურისა და Compliance-ის ფუნქციები ერთმანეთთან იკვეთება. თუმცა, მათ შორის განსხვავებას საქმიანობის საბოლოო მიზნობრიობა წარმოადგენს — შიდა აუდიტის განხორციელების მიზანს საქმიანობის შეფასება და რისკების შესახებ ანგარიშის წარდგენა შეადგენს, როცა Compliance-ის მიზანი რისკების პრევენცია, პრობლემებზე რეაგირება, პასუხისმგებლობის რისკის შემცირება, კონკრეტული სამართლებრივი ნესების დაცვის უზრუნველყოფა და შენარჩუნებაა. კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულება განსაზღვრავს ბანკში ისეთი სტრუქტურული ერთეულის ან თანამშრომელთა ჯგუფის არსებობის საჭიროებას, რომელიც „სამართლებრივ ზედამხედველობას“ განახორციელებს იმ პირების მიმართ, რომლებიც კომპანიას იურიდიულ მომსახურებას უწევენ. ჩნდება კითხვა — ვინ უნდა განახორციელოს Compliance ბანკში. კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების თანახმად, ბანკებში არსებობს რისკების მართვის კომიტეტი და სტრუქტურული ერთეული, რომელთა ორგანიზება, ფუნქციები და ვალდებულებები კანონმდებლობის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. კომიტეტი კომპლექტდება დირექტორებისა და მაღალი რგოლის მენეჯერებისაგან. რისკების მართვის კომიტეტი ამზადებს და გასცემს რეკომენდაციებს გენერალური დირექტორისათვის, ისეთი საკითხების გარშემო, როგორცაა — რისკების მართვის პოლიტიკის ფორმულირება, არატიპობრივი ბიზნესგადაწყვეტილებები.

Compliance-ს მუშაობა დაფუძნებულია შეცდომის პრევენციის, ამოცნობისა და რეაგირების ფუნქციებზე. ამ ფუნქციების ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია Compliance-ის განმახორციელებელი ერთეულის მოქნილობა და დამოუკიდებლობა. ამდენად, სასურველია, Compliance-ის სტრუქტურული ერთეული, კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდეს.

ქართულმა საბანკო სექტორმა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მისი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, პირველმა უნდა განახორციელოს საუკეთესო პრაქტიკასა და რეალურ საჭიროებებზე მორგებული Compliance-მოდელის დანერგვა, რათა ბიზნესისათვის ჯანსაღი კორპორაციული მართვის მაგალითი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინფორმაცია ინტერნეტიდან - Basel Committee on Banking Supervision 2010, Principles for enhancing corporate governance, <http://www.bis.org/publ/bcbs176.pdf>
2. PwC-Studie, 2013, Wirtschaftskriminalitat.
3. PwC-Studie, 2007, Wirtschaftskriminalitat.
4. - PwC-Studie, 2010, Compliance und Unternehmenskultur.
5. - Strothmeyer, Uta, 2010, Compliance – Risikobegrenzung und Imagevorteil, JWV, Jena
6. Moosmayer, Klaus, 2012; Compliance – Praxisleitfaden für Unternehmen, 2nd ed., C.H. Beck, Munchen;

მულტიბიომეტრიული მეთოდის გამოყენება

პედაგოგთა რეგისტრირების სისტემაში

ლევან იმნაიშვილი, სტუ-ს პროფესორი
მაგული ბედინიშვილი, სტუ-ს ასისტენტი პროფესორი
ნათია კირკიტაძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემის საექსპლუატაციო თვისებები და შემოთავაზებულია მათი გაუმჯობესება მულტიბიომეტრიული მეთოდის გამოყენებით, კერძოდ დაქტილოსკოპიური და სახის ბიომეტრიული მარჩვენებლების კომბინირებით. პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემისათვის არსებული მულტიბიომეტრიული მეთოდი მოდიფიცირებულია, რაც ამცირებს რეგისტრირებული მომხმარებლის სისტემის მიერ უარყოფის ალბათობას და ზრდის სისტემის გამტარუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: ბიომეტრია, მულტი-ბიომეტრია, ბიომეტრიული სისტემა.

Summary

The article analyzed the biometric registration system for teachers to improve their operational features and multibiometric proposed method, in particular, a combination of fingerprint and facial biometric data. Teachers biometric registration system is modified to multibiometric method, which reduces the likelihood of rejection by the registered user of the system and increase system capacity.

* * * * *

პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში [1] სუბიექტის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულია დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული მარჩვენებელი, რომელიც პრაქტიკაში რეალიზდება ოპტიკური დაქტილოსკოპიური სკანერით. ასეთი მიდგომა სხვა ბიომეტრიულ მარჩვენებლებთან მიმართებაში განპირობებულია ოპტიკური დაქტილოსკოპიური სკანერების გამოყენების სიმარტივით და დაბალი ღირებულებით. პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემის ექსპლუატაციის პერიოდში გამოიკვეთა ოპტიკური დაქტილოსკოპიური სკანერების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საიმედოობის თვალსაზრისით ზოგადად ბიომეტრიული ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელია სამი ტიპის შეცდომა [2]:

- პირველი რიგის შეცდომა (FRR – False Rejection Rate) - მცდარი უარყოფის დონე — “ვერცნობს თავისიანს”, ე.ი. მიიღება გადაწყვეტილება, რომ „უცხოა“, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი

არის დარეგისტრირებული მომხმარებელი.

- მეორე რიგის შეცდომა (FAR – False Acceptance Rate) - მცდარი დაშვების დონე - “დაშვებული იქნას უცხო”, ე.ი. მიიღება გადაწყვეტილება, რომ “თავისიანია”, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი არ არის დარეგისტრირებული მომხმარებელი.

- მესამე რიგის შეცდომა (FER – Failure to Enroll Rate) - რეგისტრირების შეუძლებლობის დონე. მიიღება გადაწყვეტილება, რომ სუბიექტი “უცხოა” იმის გამო, რომ ბიომეტრიული სენსორით ტექნიკურად ვერ ხერხდება სუბიექტის ბიომეტრიული მახასიათებლის აღქმა.

ცხადია, აღნიშნული შეცდომები ძალაშია დაქტილოსკოპიური იდენტიფიცირების შემთხვევაშიც.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ოპტიკური სკანერით სუბიექტის დაქტილოსკოპიური იდენტიფიცირების უარყოფითი მხარეებია:

- გარემო ტემპერატურაზე დამოკიდებულება (ტემპერატურის შემცირებასთან ერთად იზრდება FRR).

- თითის კანის გარემო G ტენიანობაზე დამოკიდებულება (ტენიანობის შემცირებასთან ერთად იზრდება FRR).

- თითის ანაბეჭდზე დაბალი ოპტიკური მგრძობიარობა (თითის გაჭუჭყიანების შემთხვევაში ანაბეჭდის პაპილარული ხაზების დაქტილოსკოპიური სკანერის მიერ აღქმა რთულდება).

- დაქტილოსკოპიური სკანერის ოპტიკური საფარის დაბალი მექანიკური მედეგობა. ოპტიკური საფარის მექანიკური მედეგობის ამალღებით მცირდება სკანერის ოპტიკური მგრძობიარობა.

- არაჰიგიენურობა დაქტილოსკოპიურ სკანერთან სხვადასხვა სუბიექტების ფიზიკური კონტაქტის გამო.

შედეგად, პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში იკვეთება შემდეგი გადასაწყვეტი ამოცანები:

- შემცირებული უნდა იქნას „საკუთარი“ მომხმარებლის უარყოფის ალბათობა — FER და, შესაბამისად, FRR-იც, რაც გაზრდის სისტემის გამტარუნარიანობას (დროის ერთეულში იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა). FER და FRR-ის შემთხვევაში მომხმარებელი მრავალჯერადად მიმართავს სისტემას დაშვებაზე, მაგრამ უშედეგოდ, რაც დაკავშირებულია სარეგისტრაციო ტერმინალის დროით დანახარჯებთან.


- გაზრდილი უნდა იქნას სისტემის გამოყენების ჰიგიენურობა.

პიროვნების იდენტიფიცირებისათვის მულტიბიომეტრიული მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ბიომეტრიული მაჩვენებლების კომბინირებით სიახლე არ არის [3]. მულტიბიომეტრიული მეთოდით სისტემაში პიროვნების დაშვების დროს მან ერთდროულად უნდა გაიაროს ბიომეტრიული იდენტიფიცირება ორი ან მეტი (n) ბიომეტრიული მაჩვენებლის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენება ძირითადად ხდება სისტემის საიმედოობის ამაღლების მიზნით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს FAR-ის შემცირებას, ანუ მიზნად ისახავს სისტემაში არ დაუშვას „უცხო“ პიროვნება. ამდენად, სისტემაში „უცხო“ — არარეგისტრირებული პიროვნების დაშვების ალბათობა შემცირდება და იქნება:

$$P_{FAR}^{სისტემა} = P_{FAR}^{ბიომეტრიული მაჩვენებელი 1} * \dots * P_{FAR}^{ბიომეტრიული მაჩვენებელი n}$$

მაგრამ, იმავდროულად გაიზრდება „საკუთარი“ — რეგისტრირებული მომხმარებლის უარყოფის ალბათობა:

$$P_{FRR}^{სისტემა} = 1 - P_{FAR}^{სისტემა}$$



ამდენად, არარეგისტრირებული სუბიექტის დაშვების და რეგისტრირებული სუბიექტის უარყოფის ალბათობებს აქვთ წინააღმდეგობრივი ხასიათი. მულტიბიომეტრიული მეთოდით ბიომეტრიული სისტემის განხორციელებისას საჭიროა კომპრომისული გადანყვეტილების მიღება. თუ საპროექტო სისტემის მთავარი ამოცანაა არ დაუშვას არარეგისტრირებული მომხმარებელი, მაშინ უპირატესობა ეძლევა არარეგისტრირებული სუბიექტის დაშვების ალბათობის შემცირებას რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის დისკომფორტის გაზრდის, ანუ მათი უარყოფის ალბათობის გაზრდის ხარჯზე.

პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში ნაკლებ ალბათურია არარეგისტრირებული

მომხმარებლის არსებობა. ამდენად, წინა პლანზე იწვევს რეგისტრირებული მომხმარებლის უარყოფის ალბათობის შემცირება, ანუ ამ ტიპის სისტემისათვის მთავარია მომხმარებლებისათვის შექმნას კომფორტული გარემო.

ნახ—ზე ნაჩვენებია FAR—სა და FRR—ის წინააღმდეგობრივი ხასიათი [2] და მათი შერჩევის ზონები ორი სხვადასხვა დანიშნულების სისტემისათვის, შესაბამისად, პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების და დაშვების (აუტენტიფიცირების) სისტემებისათვის. როგორც დიაგრამიდან ჩანს, პედაგოგთა ბიომეტრიულ რეგისტრირების სისტემაში მთავარია FRR იყოს დაბალი, ანუ უარი არ უნდა ეთქვას იდენტიფიცირებაზე რეგისტრირებულ მომხმარებელს, ხოლო აუტენტიფიცირების სისტემისათვის მთავარია FAR იყოს დაბალი, ანუ სისტემაში არ უნდა იქნას დაშვებული არარეგისტრირებული სუბიექტი.

აქედან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი ახალი მეთოდი, რომ, მაგალითად, ორი ბიომეტრიული მაჩვენებლის შემთხვევაში პიროვნებამ იდენტიფიცირება გაიაროს ჯერ ერთი ბიომეტრიული მაჩვენებლით, ხოლო მეორე ბიომეტრიული მაჩვენებლით იდენტიფიცირება გაიაროს პირველი იდენტიფიცირების პროცედურით უარყოფის შემთხვევაში. გასაგებია, რომ შემოთავაზებული მეთოდი განსხვავდება ცნობილი მულტიბიომეტრიული მეთოდისაგან, რომელიც გულისხმობს ორი ბიომეტრიული მაჩვენებლის აუცილებელ გამოყენებას.

პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახის ფორმის და დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული მაჩვენებლის გამოყენება. სახის ფორმის ბიომეტრიული მაჩვენებლის გამოყენება, მიუხედავად მისი დაბალი საიმედოობისა [3], განპირობებულია ბოლო წლებში ამ ბიომეტრიული მაჩვენებლის ბაზრის სეგმენტის ინტენსიური ზრდით. გარდა ამისა, სახის ფორმის ბიომეტრიული მაჩვენებლის „აღება“ და დამუშავება ხდება ტექნიკურ საშუალებებთან ფიზიკური კონტაქტის გარეშე, რაც ხსნის სისტემასთან ურთიერთობის ჰიგიენურობის პრობლემას. მეორე ბიომეტრიულ მაჩვენებლად შერჩეულია დაქტილოსკოპიური მაჩვენებელი, რამდენადაც მაღალსაიმედოა და დღეისათვის მასზე მოდის ბიომეტრიული საშუალებების ბაზრის უდიდესი სეგმენტი.

დავუშვათ FRR—ის, ანუ რეგისტრირებული მომხმარებლის უარყოფის ალბათობა

სახის ფორმით იდენტიფიცირებისას არის P_{FRR}^{Face} , ხოლო დაქტილოსკოპიით იდენტიფიცირებისას

P_{FRR}^{Finger} . ამასთან მომხმარებელი იდენტიფიცირებას გადის ჯერ სახის ფორმის მიხედვით და მისი უარყოფის შემთხვევაში დაქტილოსკოპიურად (ან პირიქით). მაშინ სისტემის მიერ რეგისტრირებული

მომხმარებლის უარყოფის ალბათობა შემცირდება და იქნება:

$$P_{FRR}^{სისტემ} = P_{FRR}^{Face} * P_{FRR}^{Finger}.$$

შესაბამისად, რეგისტრირებული მომხმარებლის სისტემაში დაშვების ალბათობა იქნება:

$$P_{დაშვება}^{სისტემ} = 1 - P_{FRR}^{Face} * P_{FRR}^{Finger}.$$

თუ მომხმარებელი რეგისტრირებას გაივლის მხოლოდ სახის ფორმის ბიომეტრიული მაჩვენებლის

მიხედვით, მაშინ $P_{დაშვება}^{სისტემ} = 1 - P_{FRR}^{Face} * 1$ რაც ამცირებს ზოგადად რეგისტრირებული მომხმარებლის სისტემაში დაშვების ალბათობას. მაგრამ პრაქტიკაში ეს გავლენას ვერ ახდენს რეგისტრირებული მომხმარებლის სისტემაში დაშვებაზე, რამდენადაც მისი სისტემაში უპრობლემო დაშვებისათვის საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ სახის ფორმის ბიომეტრიული მაჩვენებლის გამოყენება. იგივე ანალიზი ძალაში რჩება, თუ მომხმარებლის სისტემაში დაშვებისათვის გამოიყენება მხოლოდ დაქტილოსკოპიური მაჩვენებელი.

სისტემის მიერ რეგისტრირებული მომხმარებლის უარყოფა იწვევს სუბიექტის მიერ სარეგისტრაციო ტერმინალის მრავალჯერად გამოყენებას. არსებულ პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემის შემთხვევაში ზოგიერთ მომხმარებლისთვის ეს შეადგენს რეგისტრირების 3—4 ცდას, რაც დაკავშირებულია ტერმინალის დროით დანაკარგებთან. შემოთავაზებული მიდგომით სისტემის განხორციელების შემთხვევაში ეს დროითი დანაკარგები შემცირდება, შესაბამისად, გაიზრდება სისტემის ტერმინალების გამტარუნარიანობა, რომლის მაქსიმალური მაჩვენებელი დღეისათვის შეადგენს 8 რეგისტრირებულ მომხმარებელს ნუთში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Prangishvili A., Imnaishvili L., Bedineishvili M., Sulaberidze M.. Electronic System of Teachers' Registration
2. in The Highest Educational Institution. Information and Computer Technologies – Theory and Practice:
3. Proceedings of the International Scientific Conference ICTMC-2010 Devoted to the 80th Anniversary of I.V.
4. Prangishvili. Nova Science Publishers. New York, 2012, pp.93-100.
5. Technical Document about FAR, FRR and EER. by SYRIS Technology Corp., 2004.
6. Arun Ross. AN INTRODUCTION TO MULTIBIOMETRICS. Appeared in Proc. of the 15th European Signal
7. Processing Conference (EUSIPCO), (Poznan, Poland), September 2007.

რეზიუმე


სამუშაოში განხილულია ბიომეტრიული სისტემის სინთეზის ზოგადი პრინციპები საიმედოობის უზრუნველყოფის და გამტარუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით. შემოთავაზებულია პედაგოგთა რეგისტრირების სისტემის გამტარუნარიანობის ამაღლების სინთეზის ზოგადი სქემა.

საკვანძო სიტყვები: ბიომეტრია, ბიომეტრიული სისტემის საიმედოობა, ბიომეტრიული სისტემის გამტარუნარიანობა.

Summary

The paper discusses the general principles of synthesis of a biometric system in terms of reliability, security and capacity enhancement. It is proposed to increase the capacity of the system of teacher registration in the general scheme of the synthesis.


ჩვეულებრივ, ბიომეტრიული სისტემის სინთეზის დროს იყენებენ იდენტიფიცირების ან ვერიფიცირების მეთოდს [1].




ნახ. 1. ბიომეტრიული სისტემის სინთეზის განზოგადოებული სქემა

იმავდროულად, ბიომეტრიული სისტემების სინთეზის დროს მნიშვნელოვანია ორი პრინციპის გამოყენება - სისტემაში არ დაუშვას დაურეგისტრირებელი სუბიექტი და უარი არ უთხრას დარეგისტრირებულ მომხმარებელს [2]. ამასთან, ბიომეტრიულ სისტემას ყავს ორი ტიპის მომხმარებელი - სისტემაში დაურეგისტრირებელი სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია სისტემაში შეღწევით და დარეგისტრირებული მომხმარებელი, რომლის მოთხოვნაა, რომ სისტემამ უარი არ უთხრას დაშვებაზე. ნახ.1-ზე ნაჩვენებია მოცემული მოთხოვნებით ბიომეტრიული სისტემების სინთეზის განზოგადოებული სქემა.

ლევან იმნაიშვილი — სტუ-ს პროფესორი
მაგული ბედინიშვილი — სტუ-ს ასისტენტ პროფესორი
ნათია კირკიტაძე — სტუ-ს დოქტორანტი
ზაზა მაცაბერიძე — სტუ-ს დოქტორანტი



ნახ. 2. დაცვის ბიომეტრიული სისტემის სინთეზის სქემა



ნახ.3. პედაგოგთა რეგისტრირების ბიომეტრიული სისტემის სინთეზის ერთი ვარიანტის სქემა

ნაჩვენებია სქემა ასახავს ბიომეტრიული სისტემის ფუნქციონირების რვა შესაძლო პროტოკოლს. თითოეული პროტოკოლი სათანადო შინაარსის მატარებელია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სისტემის დანიშნულებას. კონკრეტული ბიომეტრიული სისტემის სინთეზისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას სისტემის რეალიზაციის ერთი პროტოკოლი, ან რამდენიმე, ან სულაც — რვავე. რამდენიმე პროტოკოლის შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მათი ამოქმედების თანმიმდევრობასაც.

ნახ.2-ზე ნაჩვენებია სქემა, როცა ბიომეტრიული სისტემა მუშაობს მხოლოდ ვერიფიცირების მეთოდით. მისი უპირველესი ამოცანაა არ დაუშვას დაურეგისტრირებელი და დაუშვას რეგისტრირებული მომხმარებელი, რაც დამახასიათებელია დაცვის (უსაფრთხოების) სისტემებისთვის.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში [3], როცა სისტემამ გარკვეული ნესით უნდა დაუშვას რეგისტრირებული მომხმარებელი და არ უნდა დაუშვას დაურეგისტრირებელი სუბიექტი. გარკვეულ ნესში იგულისხმება სისტემის უნარი გარკვეულ დღეებში და გარკვეულ სასწავლო კორპუსებში დაუშვას (ან არ უნდა დაუშვას) გარკვეული მომხმარებლები. მაშინ სისტემის

სინთეზი უნდა მოხდეს ნახ.3—ზე ნაჩვენები სქემით.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში [3], როცა სისტემამ გარკვეული წესით უნდა დაუშვას რეგისტრირებული მომხმარებელი და არ უნდა დაუშვას დაურეგისტრირებელი სუბიექტი. გარკვეულ წესში იგულისხმება სისტემის უნარი გარკვეულ დღეებში და გარკვეულ სასწავლო კორპუსებში დაუშვას (ან არ უნდა დაუშვას) გარკვეული მომხმარებლები. მაშინ სისტემის სინთეზი უნდა მოხდეს ნახ.3—ზე ნაჩვენები სქემით.

ამ შემთხვევაში პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემა მუშაობს მხოლოდ იდენტიფიცირების მეთოდით.

ვერიფიცირების მეთოდის გამოყენების დროს ხდება სუბიექტის მიმდინარე ბიომეტრიული შაბლონის შედარება დარეგისტრირებული მომხმარებლების შაბლონების ბაზაში არსებულ n შაბლონიდან ერთ-ერთთან. n შაბლონიდან ერთი i შაბლონის ამორჩევა ხდება დამატებითი იდენტიფიკატორის გამოყენებით. შესაბამისად, დაურეგისტრირებული

სუბიექტის დაშვების ალბათობა იქნება: $P_{unreg.i} = P_{FARi}$, სადაც FAR (False Acceptance Rate) [2] პარამეტრი არის დაურეგისტრირებელი სუბიექტის სისტემაში


მცდარი დაშვების დონე. შესაბამისად, P_{FARi} არის დაურეგისტრირებელი სუბიექტის სისტემაში დაშვების ალბათობა, ხოლო დარეგისტრირებული მომხმარებლის დაშვების ალბათობა იქნება:

$$P_{reg.i} = 1 - P_{FRRi}$$

, სადაც FRR (False Rejection Rate) პარამეტრი არის რეგისტრირებული მომხმარებლის მცდარი უარყოფის დონე [2].

იდენტიფიცირების მეთოდის დროს მიმდინარე შაბლონი დარდება ბაზაში არსებულ ყველა n შაბლონთან. შედეგად, გაიზრდება დაურეგისტრირებელი სუბიექტის დაშვების ალბათობა, რომელიც მიიღებს სახეს:

$$P_{unreg.i} = 1 - (1 - P_{FARi})^n$$



ნახ.4. რეგისტრირებული მომხმარებლის დაშვების ალბათობის დამოკიდებულება FAR და FRR შეცდომებზე

შემცირდება დარეგისტრირებული მომხმარებლის დაშვების უარყოფის ალბათობა, რომელიც

გაითვლება ფორმულით: $P_{FRRi} = P_{FRRi} (1 - P_{FARi})^{n-1}$, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ერთი მომხმარებელი შეიძლება დაშვებული იქნას სხვა მომხმარებლის იდენტიფიკატორით. ამდენად, გაიზრდება რეგისტრირებული მომხმარებლის

დაშვების ალბათობა: $P_{reg.i} = 1 - P_{FRRi} (1 - P_{FARi})^{n-1}$ სადაც მოიაზრება შეცდომით დაშვებული

მომხმარებლებიც. ნახ.4-ზე ნაჩვენებია $P_{reg.i}$ -ის დამოკიდებულება სისტემაში დარეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობაზე. როგორც ვხედავთ, მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად,

მატულობს $P_{reg.i}$ -ც, რაც დაკავშირებულია დაურეგისტრირებელი მომხმარებლების სისტემაში დაშვების რაოდენობის ზრდასთან და იმასთან, რომ სისტემა ნაკლებად ეუბნება უარს დაშვებაზე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს. დავუშვათ, სისტემაში დარეგისტრირებულია 1000 მომხმარებელი. იმავდროულად დავუშვათ,

რომ $P_{FARi} = 0.001$ და $P_{FRRi} = 0.0$, მაშინ

იდენტიფიცირების რეჟიმისათვის $P_{reg.i} = 0.963$.

იგივე $P_{FARi} = 0.001$ და $P_{FRRi} = 0.0$ -ის შემთხვევაში ერთი დარეგისტრირებული მომხმარებლისთვის, ანუ

ვერიფიცირების რეჟიმისათვის $P_{reg.i} = 0.9$.

როგორც ვხედავთ, იდენტიფიცირების მეთოდის გამოყენების დროს შესამჩნევად უარესდება ბიომეტრიული სისტემის საიმედოობის მაჩვენებელი ვერიფიცირების მეთოდთან შედარებით, მაგრამ უმჯობესდება სისტემაში დაშვების სისწრაფე (გამტარუნარიანობა), ერგონომიულობა (ალარ არის საჭირო დამატებითი იდენტიფიკატორი) და ა.შ. [4].

როგორც ცნობილია, მომხმარებლის თითის ანაბეჭდის ხარისხი ყოველთვის მაღალი არ არის,

რაც, ცხადია, ზრდის P_{FRRi} -ის მნიშვნელობას და თუ რამდენად - ეს ექსპერიმენტულად უნდა დადგინდეს კონკრეტული კატეგორიის მომხმარებლებისათვის. შესაბამისად შეიცვლება რეგისტრირებული

მომხმარებლის დაშვების ალბათობაც: $P_{reg.i} = 1 - k * P_{FRRi}$, სადაც k პროპორციულობის კოეფიციენტი.

დავუშვათ, ექსპერიმენტულად დავადგინეთ, რომ ჩვეულებრივ შემთხვევასთან შედარებით 5-ჯერ მეტ მომხმარებელს ეთქვა დაშვებაზე უარი, მაშინ $k=5$ და

შესაბამისად $P_{reg.i} = 0.9$. იმისათვის, რომ სიტუაცია

გამოვასწოროთ, საჭიროა P_{FRRi} შევამციროთ 5-ჯერ,

რაც თავის მხრივ აუცილებლად გამოიწვევს P_{FARi} -ის გაზრდას, ანუ დაურეგისტრირებული სუბიექტის დაშვების ალბათობის ზრდას. მიუხედავად ამისა, ვერიფიცირების მეთოდის გამოყენებით მიდიან

კომპრომისზე და ფიქრობენ, რომ საკითხის ნაწილობრივი გამოსწორება ხდება დამატებითი იდენტიფიკატორის გამოყენების ხარჯზე.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის დანიშნულება ისეთია, სადაც დაურეგისტრირებელი სუბიექტის არსებობა მინიმუმამდეა დაყვანილი (მაგალითად, პედაგოგთა რეგისტრირების სისტემაში, სადაც დაურეგისტრირებელი სუბიექტის არსებობა რეალურად გამორიცხულია), მაშინ ამ ნაბიჯზე თამამად შეიძლება წავიდეთ. ცხადია, ეს ეხება ვერიფიცირების მეთოდს. მაგრამ, თუ იგივე ნაბიჯს გადავდგამთ იდენტიფიცირების მეთოდის გამოყენებით (ანუ დამატებითი იდენტიფიკატორის გარეშე), მაშინ გაიზრდება ერთი მომხმარებლის სხვა მომხმარებლის ნაცვლად დაშვების შემთხვევები, რაც ცხადია, მიუღებელია.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ კატეგორიის მომხმარებლებისთვის, რომლებსაც აქვთ თითის ანაბეჭდის დაბალი ხარისხი, მიზანშეწონილია ვერიფიცირების მეთოდის გამოყენება.

პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში არიან მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ თითის ანაბეჭდის დაბალი ხარისხი. მათი რაოდენობა შეადგენს მომხმარებლების საერთო რაოდენობის 10-15%-ს. ამდენად, პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემისთვის მიზანშეწონილია ვერიფიცირების მეთოდის არჩევა. იმავდროულად, სისტემის სარგებლობის კომფორტის ამაღლების მიზნით სასურველია, რომ შენარჩუნებული იქნას სისტემის მაღალი გამტარუნარიანობა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას იდენტიფიცირების მეთოდის გამოყენებით, რადგან არ მოითხოვება დამატებითი იდენტიფიკატორის გამოყენება. ამდენად, შემოთავაზებულია პრინციპი, რომლის მიხედვით პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემაში შენარჩუნებული უნდა იყოს როგორც ვერიფიცირების, ასევე იდენტიფიცირების მეთოდი. აქედან გამომდინარე, პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემის სინთეზი უნდა განხორციელდეს ნახ.1-ზე ნაჩვენების სქემის მიხედვით, რისთვისაც სისტემის მომხმარებლები რანჟირებულია თითის ანაბეჭდის ხარისხის მიხედვით. თითის ანაბეჭდის მაღალი ხარისხის მქონე მომხმარებლები ისარგებლებენ იდენტიფიცირების მეთოდით, ხოლო თითის ანაბეჭდის დაბალი ხარისხის მქონე მომხმარებლები - ვერიფიცირების მეთოდით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იდენტიფიცირების მეთოდის მთავარი ნაკლია სისტემაში დაურეგისტრირებელი სუბიექტის შესაძლო დაშვება. ამდენად, პედაგოგთა რეგისტრირების სისტემაში ამ მეთოდის გამოყენება თითქოს არ უნდა იყოს გამართლებული. მაგრამ პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების სისტემის სინთეზის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დარეგისტრირებული მომხმარებლის სისტემაში დაშვება, რამდენადაც დაურეგისტრირებელი სუბიექტი საერთოდ არ სარგებლობს ამ სისტემით. ამ შემთხვევაში

პირველ პლანზე იწევს სისტემის ერგონომიულობა, რამდენადაც იდენტიფიცირების მეთოდი არ მოითხოვს დამატებითი იდენტიფიკატორის გამოყენებას და იგი მომხმარებლისათვის ქმნის უფრო კომფორტულ გარემოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Technical Document about FAR, FRR and EER. by SYRIS Technology Corp., 2004.
2. Davide Maltoni, Dario Maio, Anil K. Jain, Salil Prabhakar. Handbook of Fingerprint Recognition. Springer-Verlag, New York, Berlin, Heidelberg, 2003.
3. Prangishvili A., Imnaishvili L., Bedineishvili M., Sulaberidze M.. Electronic System of Teachers' Registration in The Highest Educational Institution. Information and Computer Technologies – Theory and Practice: Proceedings of the International Scientific Conference ICTMC-2010 Devoted to the 80th Anniversary of I.V. Prangishvili. Nova Science Publishers. New York, 2012, pp.93-100.
4. იმნაიშვილი ლ., ბედინეიშვილი მ., ტიტვინიძე ა. იდენტიფიცირებისა და ვერიფიცირების მეთოდების ერთდროული გამოყენება ბიომეტრიულ სისტემებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“, თბილისი 19-21 სექტემბერი, 2012 წ. შრომები, ტომი 2, 2012 წ. გვ. 130-134.

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნის და განვითარების კონცეპტუალური საკითხები

ლალი ხვედელიძე, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში ეკონომიკური თვალთახედვით, გლობალიზაციის კონტექსტში განხილულია საქართველოს განათლების სისტემის ტრანსფორმირებისა და უსაფრთხო და მდგრადი განვითარების კონცეპტუალური საკითხები, მოცემულია რიგი დამკვიდრებული ცნებების არსობრივი განმარტებები.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა, განათლების კონცეფცია, უსაფრთხოება, მდგრადობა, გლობალიზაცია,

Summary

The article, from the economic point of view, in the context of globalization discusses the conceptual issues of transformation and safe and sustainable development of the education system of Georgia, offered explanations of several basic concepts established.

* * * * *

უნდა ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად მთელი რიგი ე.წ. „რეფორმებისა“ და გარკვეული პოზიტიური ნოვაციებისა, საქართველოს განათლების სისტემა (გველისხმობთ სახელმწიფო სექტორს) რჩება საკმაოდ ხისტ, მორალურად და ფიზიკურად (არსებული მატერიალ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზით) შერყეულ სისტემად, რომელსაც მის წინაშე დასამუდომო რთული ამოცანების დასაძლევად საკმაოდ შესუსტებული და შეზღუდული რესურსები (ადამიანთა, მატერიალ-ტექნიკური, ფინანსური) გააჩნია. თუმცა, მათი რაციონალური გამოყენებით, პრიორიტეტების სწორად შერჩევით და, ზოგადად სწორი სტრატეგიით, ასევე დამატებითი ინვესტირებით შესაძლებელია სისტემის ფეხზე მყარად დაყენება და მდგრადი განვითარების კალაპოტში ჩაყენება.

განათლების სისტემის არსებითი გარდაქმნა გარდაუვალი აუცილებლობაა, თუ გვინდა გლობალურ, შემტევ, მოქიშპე სამყაროში გადარჩეს ქვეყანაც და მისი მოქალაქეებიც. ამასთან მიგვაჩნია, რომ გარდაქმნების საყრდენი პრინციპი უნდა იყოს არა არსებულის უარყოფა და ნგრევა, არამედ საუკეთესო რესურსის, ტრადიციის, გამოცდილების გადარჩევა, დანმენდა-გაფილტვრა და შევსება ყოველივე იმ პროგრესულით, რაც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის და მისი მოქალაქეების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს.

განათლების სისტემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ტრანსფორმირების და განვითარების პროცესები რომ სწორი გზით წარიმართოს, უპირველესი ამოცანაა დამუშავდეს განათლების

სისტემის კონცეფცია - ახალი საგანმანათლებლო პარადიგმა - ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და საერთაშორისო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. ამიტომ, საჭიროა ხელახლა გავიაზროთ და დღევანდელი და სამომავლო გადასახედიდან გავაცნობიეროთ რა არის განათლება, ვისთვის გვინდა განათლების სისტემა? რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მან და როგორ? ანუ, გასაცემია პასუხი ეკონომიკის ტრადიციულ სამ კითხვაზე – რა? ვისთვის? როგორ? მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განსაზღვრული თუ რა შინაარსის მატარებელია ცნებები: განათლება, განათლების სისტემა, განათლების პროდუქტი, განათლების სისტემის მიზანი.

დასახელებულ ცნებათა განმარტება სხვადასხვა კუთხით შეიძლება. ეკონომიკური თვალთახედვით მათ ამგვარად განვმარტავდით:

განათლება არის ადამიანის მიერ ზოგადი და პროფესიული ცოდნისა და უნარების, ზნეობრივი ნორმებისა და ზოგადი კულტურის ათვისების, პირადი ნიჭის და უნარ-შესაძლებლობების განვითარების, თავისუფალი, ჰუმანიტური, სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მატარებელი მოქალაქის ფორმირების უწყვეტი პროცესი აღზრდის, სწავლა-სწავლების და წრთვნის გზით — განათლების სისტემის სივრცეში და/ან მის გარეთ.

განათლების სისტემა არის მართვის კონკრეტულ პოლიტიკასა და შესაბამის საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაზე დაფუძნებული საფეხურებრივი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომლის ყველა საფეხურზე გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებს შეუძლიათ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული დონის, ხარისხის და მოცულობის საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობა.

განათლების სისტემის მიზანია მოამზადოს და გამოუშვას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტი სახელმწიფოს სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური და ფუნქციური საჭიროებების, შიდა და საერთაშორისო ბაზრების, საზოგადოების და ცალკეულ პიროვნებათა საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხელი შეუწყოს ქვეყნის სტაბილურ, უსაფრთხო და მდგრად განვითარებას.

განათლების სისტემის პროდუქტი არის: ა) ყველა, ვინც სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღზრდისა და სწავლის პერიოდში დამაკმაყოფილებლად ათვისა კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის სასწავლო პროგრამის სრული ან არასრული კურსი და აქვს უფლება მიიღოს აღნიშნულის დამადასტურებელი

დოკუმენტი ან აკადემიური ხარისხის სერტიფიკატი; ბ) განათლების სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შექმნილი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროდუქცია.

განათლების სისტემის ფუნქცია, არსი ისაა, რომ სისტემას შეეძლოს ისეთი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რაც შეესაბამება სამი ძირითადი სუბიექტის ინტერესებს. ეს სამი სუბიექტია:

- მომხმარებელი (საოჯახო მეურნეობები);
- მწარმოებელი (ფირმები);
- სახელმწიფო (მთავრობა).

აქედან გამომდინარე, სისტემამ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები:

1. პიროვნების, ინდივიდის – ადამიანებს სურთ მიიღონ პირადი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების და ინტერესების შესაბამისი უმაღლესი დონისა და ხარისხის განათლება, რაც უზრუნველყოფს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ღირსეულ პირობებს და სტატუსს საზოგადოებაში.

2. ეკონომიკის, მეურნეობის — ეკონომიკის ყველა დარგს, სახელმწიფო და კერძო ფირმას (ორგანიზაციას, წარმოებას, საოჯახო მეურნეობას და ა.შ.) ჭირდება კონკრეტული პროფესიისა და სპეციალობის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი კადრები საჭირო პროდუქციისა და მომსახურების წარმოების, კაპიტალის მატების, ეკონომიკური ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მისაღწევად.

3. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ნებისმიერი მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ქვეყანას ჰქონდეს განათლების რაც შეიძლება მაღალი პოტენციალი და დონე; საზოგადოება დაინტერესებულია, რომ განათლების, სწავლა-აღზრდის სისტემა ეფუძნებოდეს ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, ითვალისწინებდეს ერის ფსიქო-ფიზიკურ, ეთნიკურ, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ თავისებურებებს, ტრადიციებს, ითვისებდეს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, განათლების და კულტურის მიღწევებს, ცივილიზაციის მონაპოვარს და თავადაც საკუთარი ღირსეული წვლილი შეჰქონდეს მასში.

ამ სამი სუბიექტის მოთხოვნები უსაზღვროა, რაც განათლების სისტემას აძლევს მრავალფეროვნების, ცვლის, განვითარებისა და პროგრესის სტიმულს; ხოლო სისტემის მიერ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობები და რესურსები შეზღუდულია, რაც იძლევა სისტემის რაციონალიზაციის, მისი შიდა და გარე ეფექტიანობის ზრდის მოტივაციას.

საბაზრო ეკონომიკის გამყარების, გლობალურ სამყაროსთან მზარდი ინტეგრირების პროცესში განათლების სფეროს გარე და შიდა გარემო იქნება მუდმივად ცვალებადი. ამდენად გადარჩენა და წინსვლა მხოლოდ სისტემის მოქნილობის, შემგუებლობის (ადაპტირების) და ტრანსფორმირების უნარზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ განათლების

სისტემას უნდა მიეცეს დინამიკური ცვლის და მანევრირების შესაძლებლობა, რათა იყოს ეკონომიკასთან თავსებადი, სწრაფად და ადვილად მოახდინოს რეაგირება მუდმივად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნებზე, მოახერხოს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარში ინტეგრირება და საკუთარი სეგმენტის – ნიშის მოპოვება, პარტნიორულ ურთიერთობებში ჩართვა, ცოდნის სამკუთხედის „განათლება-მეცნიერება-ინოვაციური ბიზნესი“ ფორმირება, ანუ ცოდნისმიერი, ინოვაციური ეკონომიკის სტიმულირება, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური და ცალკეული სხვა დარგების განვითარების პერსპექტივების განჭვრეტა და მათი საჭიროებების წინმსწრები რეჟიმით უზრუნველყოფა.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ საჭიროა ისეთი სისტემა, რომელსაც ექნება:

მოქნილი საგანმანათლებლო სტრუქტურა; მარტივი და ოპერატიული მართვის სტრუქტურა; განათლების სისტემის განვითარების და წინსვლის მასტიმულირებელი სამართლებრივ- ნორმატიული ბაზა.

განათლების სისტემის სტრუქტურა უნდა იყოს:

- იოლად ტრანსფორმირებადი – შეეძლოს საგანმანათლებლო მოთხოვნების ცვლილებაზე სწრაფი, თანადროული რეაგირება;
- მრავალსაფეხურიანი – ყოველი საფეხური იყოს დასრულებული და თავსებადი მომდევნო დონის საფეხურთან, რაც უზრუნველყოფს განათლების მემკვიდრეობითობას;
- ღია, გახსნილი — უზრუნველყოფილი იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული, შინაარსობრივი და სხვა სიახლეების დანერგვა ცალკეული დაწესებულებებისა თუ სისტემის მასშტაბით, საზოგადოებისთვის გამჭვირვალეობა;
- მრავალსახოვანი — განათლების დაწესებულებათა და ინსტიტუციების ტიპების, სწავლების სახეობების, ფორმების, პროგრამების, მეთოდების და ა.შ. ნაირგვარობა განათლების მრავალფეროვნებისა და არჩევანის უზრუნველსაყოფად;
- ავტონომიური — სისტემის ყველა დონეზე მართვის, ორგანიზაციის, დაგეგმვის, ფინანსების მოზიდვისა და განკარგვის, ადამიანთა რესურსების შერჩევისა და სხვა საკითხებზე გადანაცვლებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა შესაბამისი იურიდიულ-სამართლებრივი კომპეტენციის ფარგლებში;
- ინტეგრირებადი (ადვილად თავსებადი) – შეეძლოს ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ბიზნეს ორგანიზაციებთან აქტიური პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ერთობლივ პროექტებსა და საქმიანობაში ეფექტიანი მონაწილეობა.

უნყვეტი – იძლეოდეს ცოდნის მუდმივად შექმნის და განახლების შესაძლებლობას ნებისმიერ ასაკში,

კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის (ე.წ. Lifelong Learning) საფუძველზე:

ყველასათვის ხელმისაწვდომი — აძლევდეს სასურველ განათლებას ყველა მოქალაქეს მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობებისა, სარწმუნოებისა და ა.შ., მათი სოციალურ-უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

განათლების მართვის სტრუქტურა — უნდა ჩამოყალიბდეს როგორც:

დეცენტრალიზებული — სისტემის მართვის ყოველი დონე უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად იმ ადმინისტრაციულ, უფლება-მოვალეობრივ და საფინანსო კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც იქნება დაზუსტებული და მკაფიოდ გამიჯნული კანონმდებლობით.

ოპერატიული — უზრუნველყოფილი იყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ჰორიზონტული (უშუალო) კავშირები მართვის ცალკეულ დონეებს შორის ინფორმაციის სწრაფად და დამახინჯების გარეშე ურთიერთგაცვლის მიზნით.

დემოკრატიული — მართვის სისტემის თითოეული ინსტიტუციური ერთეულის საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს მართვის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის, ანუ მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, საზოგადოების ჩართვითა და აქტიური მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანთა სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია და დაცვა.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემის ფუნქციონირება და მართვა ხორციელდებოდეს განათლების სფეროს კვლევის, ანალიზის, პროგნოზირების და დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებით აგებული პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით.

საკანონმდებლო-ნორმატიულმა ბაზამ უნდა:

შექმნას როგორც მთლიანად განათლების სისტემის, ასევე მისი ყოველი რგოლისა და საფეხურის ავტონომიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლები — საქართველოს კონსტიტუციასთან, ძირითად კანონებთან და შესაბამის საერთაშორისო კანონებთან ჰარმონიზაციის ბაზაზე.

უზრუნველყოს სისტემის და მისი ცალკეული ელემენტის დინამიკური განვითარების სტიმულირება და ტრანსფორმირების შესაძლებლობები;

შექმნას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი და ჩვენი ქვეყნისთვის რაციონალური საგანმანათლებლო სტანდარტები;

უზრუნველყოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვა; დაანესოს პასუხისმგებლობისა და კომპენსაციების ზომები უხარისხო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის.

საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად არეგულიროს საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცეებში ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მოქალაქეების ინტეგრირების და თანამშრომლობის პროცესები და ანალოგიური პროცესები საქართველოში.

შექმნას სტიმულები და ბერკეტები ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მძლავრი თანამედროვე ფაქტორის ე.წ. ცოდნის სამკუთხედის ფორმირების ხელშესაწყობად - მეცნიერებასთან და ბიზნესთან განათლების ინტეგრაციის პროცესების გასააქტიურებლად.

შექმნას ინტელექტუალური საკუთრების, განსაკუთრებით გამოგონებებისა და პატენტების დაცვის მექანიზმები.

საბოლოოდ, მოკლე თეზისების სახით წარმოვადგინო უახლოესი 10-15 წლის მანძილზე საქართველოს განათლების სისტემის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პოლიტიკის უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანებს. ესენია:

საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, მისი სტაბილური ფუნქციონირების და დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა; გლობალიზაციის პროცესში განათლების სისტემის და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხო განვითარების მექანიზმების განსაზღვრა-ამოქმედება, მდგრადობის გარანტიების შექმნა.

გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ქვეყნის განათლების სისტემის ინტეგრირება,

ამ სივრცეში მისი თავისუფალი მანევრირების და განვითარების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხვედელიძე ლ. საქართველოს განათლების სიტემის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პროგრამა. ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 2006.
2. ნასრაშვილი ა. ცოდნის ეკონომიკა. <http://www.slideshare.net/archilTb/ss-8412662>, 24.10 2011.
3. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები).
4. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიში. ნოემბერი, 2011.
5. შრომის ბაზარი საქართველოში 1998-2003. სტატისტიკური კრებული, თბ., 2004.
6. ხვედელიძე ლ. განათლების დარგში სახელმწიფო დაკვეთის განსაზღვრის სრულყოფა. ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VI, 2003.
7. ხვედელიძე ლ., გოგლიჩიძე ა., თარხანმოურავი გ. განათლების რეფორმის პროგრამის BI ქვეკომპონენტის /პოლიტიკა, სტრატეგია, მართვა/ ანალიზი და შეფასება. ჭფონდი "ჰორიზონტის" პუბლიკაცია, 2002.

აღვილობრივი თვითმმართველობის განვითარების
თანამედროვე პრობლემები საქართველოში

ბორის ქიქინაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

Резюме

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში

Современные проблемы развития местных органов самоуправления Грузии

თანამედროვე პირობებში, მაშინ როცა საქართველოს კურსი აქვს აღებული ევროპული სტრუქტურებისკენ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარებას, პროფესიონალი კადრების მოძიებას და თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვას. ამ მიმართულებით საჭიროა ცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომპეტენციითა და მკაცრად გამიჯვნა, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს უფლება-მოვალეობათა აღრევა და პარალელიზმი. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობა და მათი ცენტრზე (თბილისი) დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს. გამომდინარე აქედან ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ უნდა იქნეს ისეთი კანონები, რომელიც ხელს შეუწყობს მაქსიმალურად მოკლე ვადებში თვითმმართველობებში არსებული პრობლემების მოგვარებას და ადგილობრივი სოციალური ფონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. სწორედ ამ შემთხვევაში იქნება ადგილობრივი თვითმმართველობები რეალურად თვითმმართველი და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ორიენტირებულნი.

В современных условиях, когда у Грузии взят курс на европейские структуры, особенно большое значение уделяется проведению правильной и ориентированной на результат реформы местных самоуправлений. В этом направлении необходимо строгое разграничение компетенции между центром и местными самоуправлениями с целью максимального исключения смешения прав и обязанностей и паралелизма. Значительно должна возрасти финансовая независимость самоуправлений, а также значительно должна снизиться их зависимость от центра (Тбилиси). Исходя из этого, центральной властью должны быть приняты такие законы, которые в максимально короткие сроки будут способствовать решению проблем, существующих в местных самоуправлениях и значительному улучшению социального фона.

Именно в этом случае органы самоуправления будут реально самоуправляемы и ориентированы на рост уровня благосостояния населения

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, ტრანსფერი, ადმინისტრაციული დაყოფა, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, გადასახადების გადანაწილება, სტრატეგიული გეგმა, უფლებამოსილებათა გამიჯვნა.

პოსტსოციალისტურ საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ყოველთვის მიიჩნეოდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება და გაძლიერება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების რამდენიმე მოდელი შეიქმნა, იყო პოზიტიური ნაბიჯებიც, თუმცა თვითმმართველობათა რეალური განვითარება მაინც ვერ მივიღეთ.

თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობა განსაკუთრებულ მწვავედ დგას დღის წესრიგში ეხლა, რადგანაც საქართველოს კურსი აღებული აქვს ევროპული სტრუქტურებისკენ, გამომდინარე აქედან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა. საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტების შემდგომ განვითარებას.

მუნიციპალიტეტებისადმი გატარებულ პოლიტიკას არ გააჩნდა მწყობრი ხასიათი, ამას ემატებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენური და ეკონომიკური მდგომარეობა, დაქვეითებული შრომითი და სამეწარმეო აქტივობა, რაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტების განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა და არაპროგნოზირებადს ხდიდა მათ საქმიანობას.

მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული არაერთი კანონისა, წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტების მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და მათი ცენტრზე დამოკიდებულება კიდევ უფრო იზრდებოდა.

ათწლეულების განმავლობაში არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული რეზერვების გამოყენება. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროგრამები. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისათვის არ იყო განსაზღვრული სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა, საკითხები წყდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი განხილვისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე. ადგილი ჰქონდა კომპეტენციების და უფლებამოვალეობების აღრევას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

მდგომარეობა ამჟამადაც რთულია, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე გადასვლას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის. მინიმალური იქნება უცხოეთის ე.წ. „კეთილისმყოფელების“ ჩარევის ხარისხი ადგილობრივი კანონების მიღებისას და მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

თვითმმართველობების განვითარებისათვის ამოსავლად უნდა იქცეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ცენტრის და მუნიციპალიტეტების ურთიერთობების სწორად შეფასება. ამისათვის კი საჭიროა მოხდეს არსებული პრობლემებისადმი სისტემური მიდგომა, სხვა ქვეყნების განვითარების, მისი მმართველობითი სისტემის ისტორიის ცოდნის გაზიარება. მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის

განსაზღვრა-შეფასება, ადგილებზე არსებული ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენება. საზღვარგარეთის ქვეყნების მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და ტრადიციები.

თვითმმართველობების განვითარების მორიგ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავება, რომელიც ვფიქრობთ, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან და პრობლემათა ღრმად წვდომას მოითხოვს.

ახალი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, მნიშვნელოვანი ნოვაციებით ხასიათდება, მაგრამ მიუხედავად ამისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ვერც ეს ახალი კოდექსი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ცენტრისა და მუნიციპალიტეტების უფლებამოვალეობათა მკაცრად გამიჯვნას.

ამ კანონით მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული გამგებლის (მერის) ფუნქციები, მაგრამ ამასთანავე შემცირდა თემების (სოფლების) უფლებები. მუნიციპალიტეტის თემებში ადრე არსებული რწმუნებული შეიცვალა გამგებლის წარმომადგენლებით, აღნიშნული ცვლილება გაუგებარია, რადგანაც ამ ცვლილებით არ მომხდარა მუნიციპალიტეტების თემებში დანიშნული პირების უფლებების ზრდა, ამ პირებს ისევ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიშნავს და მათი ფუნქციები კანონით არ არის მკაცრად რეგულირებული, ასეთი მიდგომები ადგილებზე კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის (გამგებლის/მერის უფლებამოსილება) მეორე ნაწილით გამგებელი/მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნორმა გამგებელს ანიჭებს უფლებას და არ ავალდებულებს მას მუნიციპალიტეტის ყველა თემში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, ასეთი მიდგომით შეიძლება მოხდეს, რომ ზოგიერთ თემში მუნიციპალიტეტის გამგებელს არ ყავდეს თავისი წარმომადგენელი.

სიახლეა ახალ კოდექსში ტრანსფერების კუთხითაც, რადგანაც შემოღებულია ახალი ტრანსფერი - კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 94-ე მუხლის მიხედვით სულ მუნიციპალიტეტები შემდეგი სახის ტრანსფერებს მიიღებენ:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;
- გ) სპეციალური ტრანსფერი;

დ) კაპიტალური ტრანსფერი.

იმავე კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით კაპიტალური ტრანსფერი გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს მიზნობრივი პროექტის განსახორციელებლად და იგი დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება გადაეცეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

იქვე აღნიშნულია, რომ კაპიტალური ტრანსფერის გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

კოდექსის სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შემოღება. კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით სამხარეო საკონსულტაციო საბჭო არის სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორთან არსებული მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება და საქმიანობს ამ კანონით დადგენილი წესით. საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების, ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებაა:

ა) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა;

გ) სახელმწიფო რწმუნებულისთვის-გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორი. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

რამდენად ეფექტური და პროდუქტიული იქნება რეგიონებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირება ამას დრო გვიჩვენებს, ამ ეტაპისათვის რაიმე სახის კომენტარის გაკეთება არ იქნება მიზანშეწონილი.

სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალი

კოდექსით არ განხორციელებულა, გამომდინარე აქედან ისევ გადაუჭრელი დარჩა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც წლების განმავლობაში არსებობს მუნიციპალიტეტებში.

ახალი კანონის პროექტში არაფერია აღნიშნული ზიარი გადასახადების შესახებ, ანუ სახელმწიფო გადასახადებიდან დარჩება თუ არა გარკვეული შემოსავალი ადგილობრივ თვითმმართველობებში. აღნიშნული კოდექსის 154-ე მუხლი ავალდებულებს მთავრობას 2014 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, ამ ცვლილებებით უნდა განისაზღვროს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილების პროპორცია და მექანიზმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი ამ საკითხს „საბიუჯეტო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების დროს გაითვალისწინებს. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გადასახადებიდან, განსაკუთრებით საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში კვლავ არ დარჩა განსაზღვრული ანარჩებები (თუნდაც 20-50%), მაშინ ადგილი ექნება არსებული მმართველობის კიდევ უფრო ცენტრალიზებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობაზე ნეგატიურად აისახება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე მუხლით საქართველოს მთავრობა ვალდებულია მიიღოს ასევე გარკვეული სახის ადმინისტრაციული აქტები მუნიციპალიტეტების ნორმალურად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი მუნიციპალიტეტების ქონების ფორმირებისას. კანონის პროექტით ფაქტობრივად არ არის განსაზღვრული თვითმმართველობებზე გადასაცემი ქონების შესახებ. რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის თვითმმართველობების მუშაობას და აძლიერებს ცენტრალიზებას. კანონის 107-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი შემადგენელი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირგასამაგრი ნაგებობები.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ბ.ა) კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწისა;

ბ.ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა;

ბ.გ) მიწებისა, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით

არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტებზე, მათ შორის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსები;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ე.ა) კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, მათ შორის საძოვრებისა (აქ ცოტა გაურკვეველობაა, მიწა ან კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაშია, აქედან აღნიშნული კანონის პროექტით არცერთი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, მაშინ საინტერესოა რომელი მიწები ეძლევა ადგილობრივ თვითმმართველობებს);

ე.ბ) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

ე.გ) 500 -მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

ე.დ) დაცული ტეროტორიების მიწისა;

ე.ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

ე.ზ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დანესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

ე.თ) წყლის ფონდის მიწისა.

როგორც ჩანს, თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი მეტად მწირია და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული კუთხით კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი, რათა დაცულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ქონება და ფინანსები.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიული გეგმები ჰქონდა მიღებული მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით. 2010 წლის 25 ივნისის 172 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული იყო:

ა) ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის განვითარება;

ბ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება;

გ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების ეფექტიანად განვითარების უზრუნველსაყოფად თვითმმართველ ერთეულებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა;

დ) რეგიონული განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ე) რეგიონული განვითარების რეფორმის

პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციების განსაზღვრა;

ვ) ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველყოფისათვის ახალი ინსტიტუციების შექმნა;

ზ) მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა „მოქალაქეებზე ორიენტირებული“ ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველსაყოფად;

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

ი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა;

კ) ადამიანური რესურსების მომზადება მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად;

ლ) საჯარო მოსამსახურეების შეფასების და ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა;

მ) ელექტრონული მმართველობის (ე-ჩოვერნანცე) პლატფორმის შემცველი კომპონენტებისა და სერვისების დანერგვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

აღნიშნული სტრატეგიით განისაზღვრა ასევე გასატარებელი ღონისძიებები მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მენარმეობის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2012 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ახალი სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, რითაც განისაზღვრა 2013-2016 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად გამოყოფილ იქნა ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თვითმმართველობის საკითხი. დაიგეგმა, რომ თვითმმართველ ორგანოებს გადაეცემოდა შესაბამისი საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილება, ფინანსები და საკუთრება. მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლები, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემოდათ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არაპრივატიზებული როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების დიდი ნაწილი. თვითმმართველ თემებში შემავალ სოფლებს ეყოლებათ არა დანიშნული, არამედ მათ მიერ არჩეული მამასახლისები. ჩამოყალიბდება თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების ქმედითი სისტემა, უზრუნველყოფილი იქნება მოხელეთა უწყვეტი მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, საქართველოს

მაღალმთიანი ზონის განვითარებისათვის ამოქმედდება ფინანსური სტიმულირების სისტემა.

აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში 2013 წელს შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები. ამ ეტაპისათვის ფაქტიურად გაურკვეველია ჩამოთვლილი საკითხებიდან თუ რისი შესრულება შეძლო მთავრობამ თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით, გამომდინარე იქედან, რომ სამთავრობო პროგრამა 2016-2017 წელს მთავრდება, საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. საჭიროა ამ მიმართულებით მთავრობის მნიშვნელოვანი გააქტიურება.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე რეგიონის და თვითმმართველობების დონეზე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;

2) კანონით მკაცრად განისაზღვროს იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც გადაეცემა ადგილობრივი თვითმმართველობებს;

3) მკაცრად გაიმიჯნოს გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციები. ამ ეტაპზე საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრების რაოდენობა. რადგან როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს ამ ეტაპისათვის ხელოვნურად არის გაზრდილი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების რაოდენობა, რაც პარალელურად იწვევს შესაბამისი საბიუჯეტო თანხების ხარჯვას. საქართველოში მოქმედი საკრებულოები ხშირად მხოლოდ პოლიტიკური დავალებების შემსრულებელ ორგანოდ წარმოგვიდგება;

4) მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებები, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა არანაირად არ უწყობს ხელს რეგიონების და მათ შორის თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში დანიშნული რწმუნებულ-გუბერნატორები თვითმმართველობებში არჩეული გამგებლების და საკრებულოების უფროსებად გვევლინებიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქვეყანაში დანიშნულ პიროვნებებს უფრო მეტი უფლებები აქვთ ვიდრე მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეულ პიროვნებებს;

5) ყველა კანონის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი, ბუნებრივი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანად და ყაირათიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობებში დასაქმებული

არიან კომპეტენტური, კეთილინდისიერი და საქმის ერთგული პიროვნებები. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს ადგილობრივ თვითმმართველობებში მდგომარეობა არასახარბიელოა და სწრაფ საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს;

6) 2014 წლიდან (როგორც წინა წლებში იყო) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ძირითადი შემოსავალი კვლავ ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერებია. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი თვითმმართველობები კვლავ ცენტრზე დამოკიდებული იქნებიან. ასეთი არასტაბილური ბიუჯეტების დროს ფაქტობრივად აზრს კარგავს თვითმმართველობების დამოუკიდებლობა;

7) საჭიროა მთავრობის მიერ შემუშავებული იქნეს თვითმმართველობებში პიროვნებების თანამდებობებზე (განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე) დანიშვნის კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება თვითმმართველობებიდან პროფესიონალი კადრების გადინება, რაც საბოლოოდ თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება;

8) ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწიანა თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით;

9) დასახვეწიანა კანონი „ინვენსტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შეღავათები უნდა დაუნესდეთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, აღნიშნული მიდგომა მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება;

10) აუცილებელი საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა მოსახლეობის დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. საჭიროა ადგილობრივი გადამზადების ცენტრების და პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება და დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება;

11) მუნიციპალიტეტებში სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სრულყოფის მიზნით საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგანაც ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტები ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ, მაშინ როდესაც ამ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების

ქონების გადასახადის ძირითად წყაროს;

12) მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები ანაზღაურებას უნდა ღებულობდნენ დამსახურებისა და ნამსახურები ნლების, გამოცდილებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მიხედვით. აღნიშნული მიდგომების უგულვებელყოფა ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებში არაპროფესიონალი კადრების შემოდინებას.

მჯერა და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული იქნება სწორედ ისეთი კანონები, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ზრდას, რაც საბოლოოდ თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
2. „საბიუჯეტო კოდექსი“;
3. „საგადასახადო კოდექსი“;
4. საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
5. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი);
6. ჭიჭინაძე ბ., „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები“. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 6-7 აპრილი, 2012 წ. კონფერენცია თემაზე: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“. გვ.134-140;
7. Уваров В. Н. Учебник- „Государственная служба и управление“, Петропавловск, 2004 г, ст. 41-43;
8. Чичинадзе Б., „К вопросу регулирования экономического развития местного самоуправления в Грузии“. Международная научно-практическая конференция, „Проблемы и перспективы развития местного самоуправления в странах СНГ и Европы“ Сборник научных трудов. Москва, РУДН, 2013, ст. 77-78.

ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში

გივი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ბრალდებულის, როგორც სისხლის სამართალწარმოების ცენტრალური ფიგურის და ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ცნება, პირის ბრალდებულად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები და წესები, ბრალდებულის საპროცესო უფლებები და მოვალეობები, მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში.

გადმოცემულია ბრალდებულის დაკავების, დაკითხვის საპროცესო წესები და უმთავრესი უფლების – დაცვის უფლების საკითხები და სამართლებრივი გარანტიები.

Summary

An Accused in the Legal Procedure

The present work deals with the concept of an accused as one of the central figures and one of the active participants in the criminal law processing, as well as the legal principles and rules of pleading a person guilty, procedural rights and duties of the accused and its place in criminal law process.

The present work considers the procedural rules of detaining and interrogating an accused and the legal guarantees and the issues of the chief right – the right of defending.

* * * * *

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის, განსხვავებით ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან, რომელიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულს სხვადასხვა სტატუსს ანიჭებდა, ლოგიკური ნაბიჯია ბრალდებულის ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება.

თუ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულის ფიგურა სისხლის სამართლის პროცესში ჩნდებოდა პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან და მანამდე ის სარგებლობდა ეჭვმიტანილის სტატუსით, ახალმა საპროცესო კოდექსმა, ერთიანი გამოძიების სისტემაში გაუმართლებლად მიიჩნია განსხვავება ეჭვმიტანილს, ბრალდებულს და განსასჯელს

შორის, რომელიც კანონპროექტის ავტორთა აზრით ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურ დადგენილებას ან/და საქმის საგამოძიებო ორგანოდან სასამართლოში გადასვლას — არსებითი უფლებრივი ცვლილებების გარეშე.

საკითხი, თუ რამდენად მართებულია ბრალდებულის საპროცესო სტატუსის ამგვარი გადაწყვეტა, რომლის თაობაზე სისხლის საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ არაერთი საპირისპირო მოსაზრება იქნა გამოთქმული და რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები, ცალკე კვლევის და მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურაა, რადგან სისხლის სამართლებრივი დევნა მის მიმართ წარმოებს და ამის შედეგად პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით ყველაზე დიდი ზიანი მის ინტერესებს ადგება. სწორედ ამიტომ, იგი ყველაზე მეტი საპროცესო გარანტიებით უნდა სარგებლობდეს და განსაკუთრებულ ადგილს ეკავოს სისხლის სამართლის პროცესში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილში განმარტებულია ბრალდებულის ცნება, რომლის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდებულის ცნების ამგვარ განმარტებასთან დაკავშირებით ვეთანხმები იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მოცემული განმარტება არასრულფასოვანია და საჭიროებს განვრცობას.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ავტომატურად ბრალდებულად და მიენიჭოს მას ბრალდებულის საპროცესო უფლებები, რადგან დასაბუთებული ვარაუდი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად იმ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობაა, ანუ წარმოადგენს იმ სავალდებულო მტიცებულებით სტანდარტს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს დანაშაულის შესაძლო ფაქტის დადგენა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, პირის ბრალდებულად ცნობა ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით სწორი იქნებოდა ბრალდებულის ცნების დასაბუთებული ვარაუდის ფორმულირების გაფართოება და შემდეგნაირად ჩამოყალიბება: ბრალდებული არის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე სათანადო

უფლებამოსილებით მალჭურვილი ორგანოს თანამშრომლის მიერ დაკავებული ან პროკურორის შესაბამისი დადგენილებით ბრალდებულად ცნობილი პირი.

ამ პოზიციას ამყარებს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის თანახმად პირი ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

ამდენად, პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა (თუ ის არ დაუკავებიათ) სისხლის სამართალწარმოებაში წარმოშობს ახალი სუბიექტის — ბრალდებულის მონაწილეობას. ამ მომენტიდან ბრალდებულს უჩნდება უფლებათა მთელი რიგი კომპლექსი, რომელიც აძლევს მას საშუალებას სისხლის სამართლის პროცესში გამოხატოს და დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. ამავე დროს მას უჩნდება ვალდებულებებიც. თავის მხრივ ბრალდებულის მიმართ მოვალეობები უჩნდება სახელმწიფო ორგანოებს და იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც კანონით უნდა უზრუნველყონ ბრალდებულის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო დახმარება.

საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ანუ პირის ბრალდებულად ცნობა ხდება მისთვის ბრალის წაყენების გზით.

პირის დაკავება და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭების საფუძველია, უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესების დაცვით. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულისათვის საჭიროა სახეზე იყოს შესაბამისი იურიდიული საფუძველი და დადგენილება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი იქნას მაშინ, როცა საპროცესო წესების დაცვით შეგროვილი და შემოწმებული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამ, კონკრეტული პირის მიერ არის ჩადენილი ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

ბრალი, როგორც წესი წაყენება უშუალოდ ბრალდებულს, რომელსაც გადაეცემა პროკურორის დადგენილება ბრალდების შესახებ, ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების თანდართული ნუსხით. თუ ბრალდებული სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაესწროს ბრალის წაყენების პროცედურას.

დანაშაულის ჩამდენი პირი არცთუ იშვიათად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ემალება

სამართალდამცავ ორგანოებს და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას. იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევებში გამოძიების პროცესს და მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი არ შეეშალოს, კანონი ითვალისწინებს ბრალის წაყენებას ბრალდებულის ადვოკატის მეშვეობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით ბრალდების მხარე სთავაზობს ბრალდებულს ან მის ახლო ნათესავს ადვოკატის აყვანას და განუსაზღვრავს ამისათვის გონივრულ ვადას. თუ აღნიშნულ ვადაში იგი არ აიყვანს ადვოკატს, მაშინ ბრალდებულს სავალდებულო წესით დაენიშნება ადვოკატი, რომელსაც შემდგომ პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებული გააცნობს დადგენილებას ბრალდების შესახებ, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად დაკავების მომენტში, ან თუ დაკავება არ ხდება - ბრალდებულად ცნობისთანავე დაუყოვნებლივ, ასევე შემდგომი ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, მას უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის, ან თუ ის არ დაუკავებიათ - ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი. ამასთან, უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

დაკავების და ბრალდებულად ცნობის მომენტში პირის ამგვარ ინფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

როგორც აღვნიშნა, დაკავებისას პირს ზეპირად ატყობინებენ ბრალდების შესახებ და შემდგომ გადასცემენ დაკავების ოქმსაც, სადაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია მითითებული, რომლის ჩადენაშიც არის იგი ბრალდებული.

სწორედ, როგორც ბრალდებულის უფლება, რომ მას როგორც დაკავების, ისე ბრალდებულად ცნობისთანავე განემარტოს რა დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, ადვოკატის არჩევის და ყოლის, გადაეცეს დაკავების ოქმი, თუ არ დაუკავებიათ — ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი და ასევე სსს კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა სხვა უფლებები წარმოადგენს უმთავრეს გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედებას. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაშინაც, როცა ბრალდებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მზადაა ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან.

აქედან გამომდინარე ბრალდებულის ცნება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სამართლებრივ სახელმწიფოში ბრალდებული იყოს მხოლოდ სახელმწიფო

იძულების ობიექტი. რა თქმა უნდა გარკვეულად ბრალდებული სახელმწიფო იძულების ობიექტია, რადგან მან უნდა ითმინოს მთელი რიგი საპროცესო იძულების ღონისძიებები საკუთარი ნებისა და სურვილის გარეშე (მაგალითად, წინასწარი პატიმრობა, სხეულიდან ნიმუშის აღება და ა.შ.), მაგრამ სამართლიანი პროცესის პრინციპის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებულს, როგორც პროცესის აქტიურ სუბიექტს უნდა გააჩნდეს თავისი კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ფართო შესაძლებლობები, რათა ზემოქმედება მოახდინოს პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ცალკე გამოვყოთ ბრალდებულის თვითინკრინინაციისაგან დაცვია პრივილეგია, კერძოდ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე ბრალდებულის უფლებებს შორის უმნიშვნელოვანესია და რომელიც პირდაპირ არის აღიარებული სსს კოდექსის მე-15 მუხლში, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

ამ ნორმის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, — ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, და ასევე უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული.

ამ უფლებიდან გამომდინარე, როცა ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას და უარს ამბობს ჩვენების ან განმარტებების მიცემაზე, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ზოგადად, სსს კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად ბრალდებულს მაშინაც კი, როდესაც არ სარგებლობს დუმილის უფლებით მაინც არ გააჩნია ვალდებულება, ილაპარაკოს სიმართლე. ამდენად, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება გამორიცხავს ბრალდებულის პასუხისმგებლობას ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

ბრალდებულის დაცვის უფლების მთავარი გარანტია სისხლის სამართლის პროცესში, სხვა უფლებებთან ერთად არის ბრალდებულის მიერ ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, რაც ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით. აქ, მთავარია აგრეთვე ბრალდებულის უფლება დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ მას არ გააჩნია ადვოკატის აყვანის მატერიალური საშუალება.

ადვოკატის ყოლა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. მას ადვოკატის მომსახურების გარეშე შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი ინტერესების დაცვა, რისთვისაც ბრალდებულს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება.

აქედან გამონაკლის ნარმოადგენს ე.წ. სავალდებულო დაცვის შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს უფლება არ აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე.

ბრალდებულის დაცვის უფლების მყარი გარანტიაა აგრეთვე, ბრალდებულის უფლება საქართველოს სსს კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები; მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაასაჩივროს გამოძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადანყვეტილება - ზემდგომ პროკურორთან, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევაში - სასამართლოში.

ბრალდებულს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე აქვს უფლება გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და დაიცვას თავი ყველა კანონიერი საშუალებებით და ხერხებით.

უმთავრესი საშუალება რა თქმა უნდა არის კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენება. რაც შეეხება სხვა საშუალებებს და ხერხებს - ეს არის ყველაფერი, გარდა კანონით აკრძალული მოქმედებებისა, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას პასუხისმგებლობის ესა თუ ის ფორმა. მაგ: ბრალდებულს შეუძლია დაიცვას თავი ბრალდებისაგან პასიური ფორმით, ანუ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, არ განაცხადოს შუამდგომლობა, ხელი არ შეუწყოს გამოძიებას მტკიცებულებათა, მათ შორის მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, უარი თქვას მისი უფლებების აქტიურ გამოყენებაზე და სხვა, რაც მისი უფლებაა.

მაგრამ, ბრალდებულს არ შეუძლია არ დაემორჩილოს გამომძიებლის, პროკურორის კანონიერ მოთხოვნებს, მისი დაცვის მიზნით არ შეუძლია მტკიცებულებათა ფალსიფიცირება, მონქმეზე და პროცესის სხვა მონაწილეებზე ძალადობის გზით ზეწოლის მოხდენა და ამგვარი ზემოქმედების განხორციელების გზით გამოძიებისათვის ხელის შეშლა და სხვა. როგორც წესი, მტკიცებულებების გაყალბების ან განადგურებისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემაზე მონქმის დაყოლებისთვის მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

როგორც აღინიშნა, ბრალდებულს გააჩნია კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი გარანტიები მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით,

რომელთა გამოყენება მისი უფლებაა, მაგრამ ბრალდებულის მიერ თავისი უფლებების გამოყენება ან გამოუყენებლობა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995 წ.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2010
4. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი, 2008 წელი.
5. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი
6. გ. აბაშიძე. დამცველი სისხლის სამართლის პროცესში (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე). გამომცემლობა – „ინოვაცია“, თბილისი, 2010 წ
7. Петрухин И.Л. Прокурорский надзор и судебная власть. пособие, М. „проспект“,2001
8. Печников Н.П. Защита прав и свобод личности в уголовном процессе: Монография. Тамбов: Изд-во Тамб. гос. техн. ун-та, 2006
9. გ. აბაშიძე. ბრალდება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მამოძრავებელი ძალა. ჟურნალი „ინტელექტუალი“, №12, 2009წ
10. გ. აბაშიძე. ბრალდებულის დაცვის უფლების გარანტიები. ჟურნალი „თემიდა“, №6, 2012
11. გ. აბაშიძე, ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა და დაცვის უფლების გარანტიები. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“. №2 (26), 2014 წელი
12. <http://mimomxilveli.wordpress.com/> (სამართლის მიმომხილველი ბლოგი

საქართველო საერთაშორისო-ინტეგრაციულ პროცესებში და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები

გელა ლობჯიანიძე, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დინამიური პროცესები სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მწვავე ვითარებათა ფონზე, საქართველოს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს, რომელთა გონივრულ მართვაზეც დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება-გაძლიერება. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა, მსოფლიო გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესები და ტენდენციები. განსაზღვრული და შემოთავაზებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა ძირითადი მიმართულებები ეროვნული პრინციპების და მსოფლიო გლობალიზაციიდან დადებითი თავისებურებების გათვალისწინებით, რომელთა განხორციელება ქვეყანას მისცემს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობებს, ამასთან, იგი დაიკავებს კუთვნილ ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში და ღირსეულ წვლილს შეიტანს ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკა, გლობალიზაცია, პოლიტიკა, იდეოლოგია, რელიგია.

Summary

Georgia's international-integration process and the basic directions of development of the national economy

National economic trends shaping the development of concepts, doctrine development and effective implementation must be based on national statehood and the population of developed countries, matching the life of real guarantees, which are achieved through the be closely connected interrelation integrated into the system and self-functioning, our traditions, modern technology and advancements based Georgian state-building, because it guarantees the existence and development of any country. To develop a national state and its ideology should not be a determinant of external geopolitical factors, but national interests. We must protect our identity, in order not to become blind as a tool to achieve the objectives of others.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო ეკონომიკის ძირითად შემადგენელ ნაწილს სწორედ ეროვნული სახელმწიფო, შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პირობებში მიმდინარეობს სახელმწიფო ფუნქციების ტრანსფორმაციის პროცესი, რის შედეგადაც სახელმწიფო იძენს ახალ ფუნქციებს, რომელთა შორის უმთავრესს სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და გლობალურ, ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განხორციელება წარმოადგენს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ძირითად პირობებად მიჩნეულია შემდეგი: ა) მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ ნაკლები არ უნდა იყოს 8-10 ათას დოლარზე; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3-5%-ს; გ) სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს; დ) საგარეო ვალის მომსახურებაზე განეული ხარჯები არ უნდა იყოს წლიური საქსპორტო შემოსავლების 20%-ზე მეტი, — რომელთა ნაწილი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა დარღვეული და თვით სახელმწიფოებრიობას უქმნის რეალურ საფრთხეს, რადგან მას არსებულ ვითარებაში დაკარგული აქვს გაფართოებული ნორმალური კვლავნარმოებისა და თვითგანვითარების უნარი [1, გვ. 335-336].

ევროპის კავშირში განვერიანებისათვის მიღწეულ უნდა იქნეს ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმების შემდეგი პარამეტრები: 1. მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3,1% (თუმცა აღნიშნული ეხება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოსთვის აღნიშნული პარამეტრის მოთხოვნა უფრო მეტი იქნება). 2. მშპ ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) 4900 ევრო; 3. ინვესტიციების წილი მშპ-ში 22,81%; 4. უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე 83 ევრო; 5. საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 32%; 6. ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3,3%; 7. საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ 36%; 8. ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 74,6%; 9. საბაჟო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 4%; 10. უმუშევრობის დონე (მკაცრი კრიტერიუმით) 10,9% და ა.შ. საქართველოსთვის აღნიშნული კრიტერიუმებიდან ზოგიერთი, მაგალითად 2, 4, 8

საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება [2, გვ. 489].

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, ამერიკელი მეცნიერის ნიკოლას სფიქმენის, მიერ დადგენილი სახელმწიფოს სიძლიერის ათი კრიტერიუმის აღნიშვნა: — 1. ტერიტორიის ზედაპირი; 2. საზღვრების ბუნება; 3. მოსახლეობის რაოდენობა; 4. ეთნიკური ერთგვაროვნება; 5. სასარგებლო წიაღისეული; 6. ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონე; 7. ფინანსური სიძლიერე; 8. სოციალური ინტეგრაციის დონე; 9. პოლიტიკური სტაბილურობა; 10. ეროვნული სულისკვეთება. აღნიშნული კრიტერიუმები არის მუდმივი პროცესები და არა ერთჯერადი აქტები. თუ ამ კრიტერიუმების ჯამური შეფასება სახელმწიფოსათვის დაბალი აღმოჩნდება სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად სტრატეგიულ კავშირში უნდა შევიდეს სხვა სახელმწიფოებთან და დათმოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი. ნიკოლას სფიქმენს და სხვა მეცნიერებს სახელმწიფოს და ერის უსაფრთხოების მნიშვნელოვან პარამეტრად მიაჩნიათ ადგილობრივი ეთნიკური ერის დომინანტური მდგომარეობა სახელმწიფოში და ტერიტორიაზე. დიდი ეთნიკური და რელიგიური სიჭრელის შემთხვევაში, სახელმწიფოების და ტერიტორიების დაშლა ადრე თუ გვიან გარდაუვალია, ხოლო ერის შეკვრა უნდა განახორციელოს სახელმწიფოს მართვის იერარქიულმა სისტემამ, ეროვნულ მესაკუთრეთა ფენამ და ინტელექტუალურმა პოტენციალმა [3, გვ. 13-14].

როგორც შესწავლილი მასალების ანალიზიდან ირკვევა, საერთაშორისო ეკონომიკური პარამეტრების შედარებითი ანალიზით საქართველოში ტრანსფორმაციული პროცესები კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება. დემოკრატიული განვითარების რეიტინგების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ საკმარისად შორსაა რეალური დემოკრატიისგან, რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. 2012-2014 წლების ეკონომიკურ ზრდას საქართველოში მოჰყვა ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი რეიტინგის ცვლილება პოზიტიური კუთხით. ამ თვალსაზრისით მართალია, მეტ—ნაკლებად გაუმჯობესდა საქართველოს საერთაშორისო რეიტინგი, საერთაშორისო სააგენტოს „Fitch“-ის მიხედვით — შემდეგი მაჩვენებლებით, 2012 წელს ვ გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის დეფოლტის რეიტინგი (IDRs) — „BB—“ (2010 წელს იყო — „B+“), მოკლევადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი — IDR — „B“, ქვეყნის გაჯანსაღების რეიტინგი — „BB“, არაუზრუნველყოფილი სესხი — „BB—“ (2010 წელს იყო — „B+“), შეფასება — სტაბილური, თუმცა, 2013 წელს კორუფციის თავიდან აცილების ინდექსის მიხედვით მდგომარეობა გაუარესდა 4 ერთეულით და 177 ქვეყანას შორის 100-ქულიან შკალაზე 55-ე

მსოფლიო ადგილი განისაზღვრა (2012 წელს იყო 51-ე მსოფლიო ადგილი); 2014 წელს F„Heritage Foundation“-ის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (ძირითადი სფეროების მიხედვით: კანონის უზენაესობა, მთავრობის ზომა, რეგულაციების ეფექტიანობა, ღია ბაზრები) მიხედვით ჩატარებულ კვლევაზე მსოფლიო 178 ქვეყანას შორის — 22-ე მსოფლიო ადგილი უმეტესად თავისუფალ ჯგუფში რეიტინგით 72,6 ქულით და მე-12 ადგილზე ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის, სადაც საქართველოს საშუალო ქულა (72.6) აღემატება 5,5 ქულით ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (67.1); 52-ე მსოფლიო ადგილი საგადასახადო ტვირთისა და რეფორმების ინდექსის მიხედვით (2007 წელს იყო 72-ე მსოფლიო ადგილი), მსოფლიო ბანკის კვლევა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით 2014 წელს 189 ქვეყანას შორის 8-ე მსოფლიო ადგილი (2006, 2010 და 2012 წელს იყო 112-ე, 13-ე და 12-ე ადგილი); ამასთან, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა და 4,2 ქულით 72-ე ადგილიდან 69-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ სტრუქტურას 12 კომპონენტი შეადგენს, რომლებიც სამ ძირითად ბლოკად იყოფა: 1. ძირითადი მოთხოვნები — ინსტიტუტების არსებობა, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, პირველადი განათლება და ჯანდაცვა; 2. ე.წ. ეფექტიანობის კატალიზატორები — უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზარი, ფინანსური ბაზრის ეფექტიანობა, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის ზომა; 3. ინოვაციური ფაქტორები — ბიზნესის წარმოების დახვეწილობა და ინოვაცია.

ძირითად მოთხოვნებში საქართველოს პოზიცია 9 საფეხურით გაუმჯობესდა და 57-ე ადგილიდან 48-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეფექტურობის მასტიმულირებელ ფაქტორში საქართველო 79-ე პოზიციაზეა, ინოვაციური ფაქტორების მაჩვენებელში კი — 118-ე პოზიციაზე.

2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ 148 ქვეყნის მაჩვენებელია შეფასებული. რეიტინგში საქართველოს ჩამორჩებიან უკრაინა (76-ე პოზიცია), მოლდოვა (82), სომხეთი (85). რეიტინგის პირველ ხუთეულში არიან შვეიცარია, სინგაპური, აშშ-ი, ფინეთი და გერმანია [4] და [5].

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ წინააღმდეგობრივი რჩება მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, სახელდობრ: 2013 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) მოცულობამ დაახლოებით 26.8 მლრდ ლარი, ანუ 16.1 მლრდ აშშ დოლარი და მოსახლეობის ერთ სულზე იმავე 2013 წელს 5982.6 ლარი ანუ 3596.6 აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში

ანალოგიური მაჩვენებელი, — მოსახლეობის ერთ სულზე მშპ დაახლოებით 30 ათასი დოლარია. 2003 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 380%-ით გაიზარდა და საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 13.6 მილიარდი დოლარი (23.7 მილიარდი ლარი) შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის დაახლოებით 88%-ს შეადგენს; საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სახელმწიფო საგარეო ვალი 5.4 მილიარდი დოლარით (მშპ-ს 33.2%) განისაზღვრა. სამთავრობო სექტორის ვალი 4.2 მილიარდი დოლარია (მშპ-ს 26%), ეროვნული ბანკის — 338.2 მილიონი დოლარი, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ვალი — 833.5 მილიონი დოლარი. საბანკო სექტორის საგარეო ვალი 2.6 მლრდ აშშ დოლარით განისაზღვრა (4.6 მლრდ ლარი), სხვა სექტორების საგარეო ვალი — 3.4 მილიარდი დოლარით, ხოლო კომპანიათაშორისი ვალი — 3.1 მილიარდი დოლარით. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8.7 მილიარდი აშშ დოლარი (15.1 მილიარდი ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 53.9%-ია, აქედან, წმინდა სახელმწიფო საგარეო ვალმა 2.5 მილიარდ დოლარს (ანუ, მშპ-ს 15.5 %) , ხოლო კერძო სექტორის წმინდა საგარეო ვალმა — 6.2 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 38.4%) მიაღწია. იმავე 2013 წელს საქართველოში 914,4 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც მხოლოდ 1%—ით მეტია 2012 წლის და 18,4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემზე. 2013 წელს ექსპორტმა 2,9 მლრდ აშშ დოლარი და იმპორტმა 7,9 მლრდ აშშ დოლარი შედგინა, მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც მოყვა შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების უარყოფითი ტენდენცია და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა 2013 წელს რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბეა 9,7 და 21,4%. უმუშევრობის დონე კი, წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა 0,1%-ით და შეადგინა 15% (დასაშვები დონე 7%), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მაკროეკონომიკური რეალური მაჩვენებლები დათვლის მეთოდის არასრულყოფილების გამო ოფიციალურ სტატისტიკას საკმაოდ აღემატება [6] და [7], რაც, ცხადია, ყოველივე ეს ძირითადად განპირობებულია სტატისტიკური სამსახურის სანდოობისა და ტრანსპარენტულობის დაბალი დონით, სტატისტიკური მეთოდოლოგიის და კანონის არასრულყოფილებით.

მსოფლიოში აღიარებული სტანდარტით, ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი საერთო დანახარჯების 15% მაინც უნდა იყოს. თუმცა, საქართველო ამ მხრივ, არა მხოლოდ ევროპის, დსთ-ის ქვეყნებსაც კი ჩამორჩება. საქართველო საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ბოლო

წლებში საშუალოდ ხარჯავს ქვეყნის მშპ—ის 2.4 პროცენტს (საშუალოდ მსოფლიოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე იხარჯება მშპ-ის 6.5%, EU27-ში — 7.3%), განათლებაზე — 3.2 პროცენტს (მსოფლიოში - 4.9%, EU27-ში — 5.5%), ხოლო თავდაცვაზე — 3.9 პროცენტს (მსოფლიოში — 2.6%; EU27-ში — 2.0%). 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით, განათლებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან იქნება 2.6—2.6 პროცენტი თითოეული, თავდაცვაზე, შესაბამისად — 2.2 პროცენტი. საქართველოში ჯანდაცვაზე ხარჯების წილის თანაფარდობა შესაბამის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შეადგენს მხოლოდ 37 პროცენტს, განათლებაზე, შესაბამისად — 65 პროცენტს, თავდაცვაზე კი — 150 პროცენტს. საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ხარჯავს 142.3 აშშ დოლარს, რაც საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 21.9 პროცენტია. განათლებაზე ანალოგიური ხარჯების რაოდენობა 189.8 დოლარია (38.0%), თავდაცვაზე კი — 231.3 დოლარი (87.3%). ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მიხედვით თანაფარდობა შეადგენს 49.1%-ს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამხედრო ხარჯების მოცულობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე საგრძნობლად ჩამორჩება თავის ოთხივე სახმელეთო მეზობლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. თავდაცვაზე ხარჯების სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსთან შედარებით შეადგენს: სომხეთში — 106%-ს, აზერბაიჯანში — 131 პროცენტს, რუსეთში — 299 პროცენტს, თურქეთში — 169 პროცენტს. ამჟამად საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და განათლებაზე გაღებული ხარჯები პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 3—3-ჯერ, ხოლო თავდაცვაზე — 1.8-ჯერ ჩამორჩება [8, გვ. 26]. ცნობილია და პრაქტიკით დადასტურებულია, რომ რაც უფრო სოციალურად დაძაბულია საზოგადოება, მით უფრო დაბალია ეკონომიკური განვითარების ტემპი და გართულებულია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური წესრიგის დამყარება და სტაბილურობის მიღწევა.

გლობალიზაციის ძალზე რთული და სწრაფი პროცესების ზემოქმედებით მთელი რიგი სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმართონ საერთაშორისო კონკურენტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, შესაბამისად ამისა, პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა გონივრულმა სოციალურ—ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაანეიტრალოს გლობალიზაციის შესაძლო, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, შეინარჩუნოს, განავითაროს და განამტკიცოს

ეროვნული ეკონომიკური თავისთავადობა (თვითმყოფადობა) და უსაფრთხოება.

ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება—განმტკიცებისათვის, საქართველოს სოციალურ—ეკონომიკური, საზოგადოებრივ—პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ქრისტიანული მორალის შენარჩუნებასა და განვითარებას, რადგან ჩვენი ქვეყანა მართლმადიდებლური, ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელია, რომლის ისტორია ორი ათას წელზე მეტს ითვლის და საზოგადოების სულიერი აღორძინება, მისი ქრისტიანული ცნობიერების გაღრმავება—განვითარება უპირველესი და გადამწყვეტია. ყოველივე აღნიშნულს მონაბოძს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები: — „...ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს[9]. როგორც ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები ალექსანდრ ჰამილტონი და ჯეიმს მედისონი ამბობენ „ბედნიერება არ არსებობს თავისუფლების გარეშე, თავისუფლება თვითმართველობის გარეშე, თვითმართველობა კონსტიტუციურობის გარეშე, კონსტიტუციურობა ზნეობრიობის გარეშე და ეს ყველაფერი არ არსებობს სტაბილურობისა და წესრიგის გარეშე“[10].

საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერის თვითმყოფობის ისტორიული ხანგრძლივობა, არამედ იმის გარკვევა, თუ ეროვნული მემკვიდრეობის რა ნაწილია გამოსადეგი სამომავლო აღმშენებლობის გზაზე, მემკვიდრეობისა, რომელიც ერის ნების საფუძველზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა. როგორც წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) განმარტავს, — ეროვნული მემკვიდრეობა ესაა იგივე „ეკონომიკური აგებულება, ეკონომიკური წყობა“, რომელმაც ერი საუკუნეების მანძილზე თავისთავადობის („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“) გრძნობით გამოატარა „და ბოლოს XVIII საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავითარი ვალი და ვახში არ დასდებია“. ეკონომიკური აგებულება, ეკონომიკური წყობა არის „მეურნეობრიობის სისტემა, რომელშიც ხალხი იჩენს თავის თავს, თავის თვისებას, თავის მონაწილეობას ისტორიაში“.

ამასთან, „ეკონომიკური წყობა“ ფსიქიური, სამართლებრივი და გამრჯეობის ნორმებისა და სულიერი საწყისების ერთობლიობაა, რომელიც „განაპირობებს მყუდრო სამოქალაქო ცხოვრების უზრუნველყოფას“. აღნიშნულ განმარტებებში ნათლად ჩანს ჩვენი შორეული წინაპრების დამოკიდებულება მეურნეობრიობისადმი, მათი რწმენა იმის შესახებ, რომ ამ წყობით საქართველო მუდმივ ადგილს დაიკავებდა ცივილიზებულ სამყაროში. ცხადია, ამ ფასეულობებს დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტრადიციულის მივიწყებამ და ჩვენში უცხოური მოდელების მექანიკურად შემოტანამ უგულვებლყო და შთანთქა ეროვნული პოტენციალი და ეროვნული მეურნეობის ყველა კომპონენტი. სწორედ წარსულ საუკუნეთა დიდი მონაპოვარი, ქმედითი მეთოდების წარმოჩენით, ქართული სახელმწიფოებრიობის წარსული მემკვიდრეობის გათავისებით და გათანამედრო-ვეობით უნდა აღდგეს ქართული ეკონომიკური წყობა და ახალ ვითარებისადმი იქნეს მისადაგებული, რადგან როგორც შეფასებები მონაბოძს ქართული ეკონომიკური წყობა ის მაღალგანვითარებული ფენომენია, რომელსაც შეუძლია იხსნას ერი, ჩასწვდეს მისი მეურნეობრიობის ურთულეს სტრუქტურებს, ასევე სრულყოფილად დაიცვას ქვეყნის ის ფუნქცია, რომელიც დამსახურებულ ადგილს დაუმკვიდრებს მას(ერს) კაცობრიობის მეურნეობრივ გარემოში. ანუ, წარსულიდან უნდა იქნას აღებული ყოველივე ის, რაც აძლიერებს ანმყოს და მომავალს, სწორედ ეროვნული ტრადიციების გათავისებით და ეპოქის მოთხოვნებისადმი მისადაგებით არის შესაძლებელი წარმატებების მიღწევა. [11.გვ.269—270].

მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრების თანახმად და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, ისრაელი, გერმანია, იაპონია და სხვ.) გამოცდილების გათვალისწინებით, პერსპექტივაში საქართველოს ოვნიული ეკონომიკის განვითარების სტრატეგია მიზანშეწონილად მიგვაჩნია გონივრული გზით წარიმართოს, სადაც გამართლებულია ჩვენი ქვეყანისათვის შედარებით მისაღები და ეფექტური შერეული (მრავალწყობიანი) სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სისტემა—მოდელის ფუნქციონირება, რომელიც ორგანულად აკავშირებს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს და სახელმწიფოს მიერ არასაბაზრო სისტემების მართვასა და რეგულირებას, სახელმწიფოზე ორიენტირებული კეინსიანური მოძღვრების და თვითმართვად საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირებული მონეტარული თეორიის ურთიერთ-შეხამებას და, რომელსაც გლობალიზაციის შედეგებით ჩამოყალიბებულ სოციალურ—პოლიტიკურ სიტუაციასთან ადაპტირების მზარდი უნარი და მდგრადი განვითარების რესურსული პოტენციალი უნდა გააჩნდეს. ვფიქრობთ, სწორედ ზემოაღნიშნული ეკონომიკური სისტემა იქნება სიცოცხლისუნარიანი და ეფექტიანი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში

უნდა გახდეს ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის საფუძველი და ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი, „ინოვაცია“, 2005. 380 გვ.
2. რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2011, 556 გვ.
3. ი(ვ). შარვაშიძე, ტრანსნაციონალური კომპანიებით სხვა ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდებას მეთოდები, გაზ. „24 საათი“, № 296, 2004, გვ. 8.
4. <http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>.
5. <http://www.interpressnews.ge/ge/politika/295612-qglobaluri-konkurentunarianobis-angarishshiq-saqarthvelom-poziciebi-gaiumjobesa.html>.
6. <http://www.geostat.ge/>.
7. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.
8. ი. არჩვაძე, პოსტსაბჭოთა ქვეყნები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ პერიოდ-ში, (2012 წლის შედარება 1990 წელთან), ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6 (30), 2013, გვ. 15—27.
9. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, ნიგნი II, 1997, გვ. 468 და ნიგნი III, 2008, 576 გვ. 1. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ—ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბილისი, 2001, 423 გვ.
10. <http://www.infousa.ru/government/ch2.htm>.
11. ო. სალარეიშვილი, ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები. II ტ. თბილისი, „სიახლე“, 2001, გვ. 141—164.
12. მესხია, ეკონომიკა და ქრისტიანული მორალი, ჟურნალი „რელიგია“, № 7-8-9, 2003, გვ. 62—71.
13. [Ian Goldin](#), [Kenneth A. Reinert](#), Globalization for Development: Meeting New Challenges, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2012, 339 p.
14. Белорус О. Г., Майценко Ю. М., Глобальное устойчивое развитие, Киев, «КНЭУ», 2006, 488 с.

საქართველოს ტურისტული ბაზრის განვითარების დონე და მდგრადი ზრდის მიმართულება

მარინა მეტრეველი, სტუ-ს პროფესორი
ირინა გოგორიშვილი, თსუ-ს ასოც. პროფესორი

რეზიუმე

ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს სისტემური მიდგომის საფუძველზე შემუშავებასა და მდგრადი განვითარების კონცეფციებზე დაფუძვნებას.

კვლევის მიზნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების საფუძველზე დავახასიათოთ საქართველოს ტურისტული ბაზარი, მისი განვითარების დონე და მდგრადი ზრდის მიმართულებები. კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა: სისტემური მიდგომა დარგის გაფართოების შედეგების შეფასებისადმი, იდუქციისა, დედუქციისა და სტატისტიკის მეთოდები.

ნაშრომში მოცემულია ორი ცხრილი, რომელთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები:

თუ არ ჩავთვლით 2009 და 2012 წლებს საქართველოს ტურისტული ბაზარი განუხრელად ფართოვდება;

2013 წელს მოქმედი ტურისტული სააგენტოებისა და სამოგზაურო ბიუროების რაოდენობა ყველაზე წარმატებულ 2011 წელთან შედარებით შემცირდა 9%-ით. ამავე დროს მიუხედავად სანარმოთა რაოდენობის აბსოლუტური შემცირებისა დეკლარირებული მონაცემებით ბრუნვის საერთო მოცულობა გაიზარდა 13%-ით და ცვლილებამ 36.4 მილიონი ლარი შეადგინა;

საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მონაწილე სანარმოთა შორის ბრუნვის ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნება საშუალო და მცირე სანარმოებში;

მცირე სანარმოთა სწრაფი და უპირატესი ზრდა 2008 წლის საომარ მოქმედებათა შემდგომ განხორციელდა და უკავშირდება: საქართველოს ტურიზმის ბაზართან დაკავშირებულ ცვლილებებსა და მსხვილ და საშუალო სანარმოებთან შედარებით, რისკების დაბალ დონეს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკა, ტურისტული პროდუქტი, ბრუნვის მოცულობა, კონკურენტუნარიანობა, ტურისტული ბაზარი.

Summary

Developmental Level of Georgian Tourism Market and Trends of its Sustainable Development

The tourism economic policy is to be developed based on the systemic approach and is to be based on the concept of sustainable development, meaning the improvement of the efficiency of the use of the existing potential, i.e. intense branch development.

The goal of our study is to describe the Georgian tourism market, its developmental level and trends of its sustainable development by using the existing possibilities (we mean the lack of information and reliability about the study object). The following were used as the methods of the study: systemic approach to the evaluation of the results of the branch expansion and induction, deduction and statistical methods.

The paper gives tables evidence the following trends in the Georgian tourism market:

- If not considering the years of 2009 and 2012, the Georgian tourism market is characterized by sustainable expansion.

- The number of the tour and travel agencies operating in 2013 decreased by 9% as compared to 2011, the most successful year for tourism in Georgia (the number of large companies did not change, the number of medium businesses decreased by 9 and that of small businesses decreased by 27). At the same time, despite absolute reduction in the number of businesses, as the declared data suggest, the total turnover increased by 13% yielding the difference of 36,4 million Gel (as calculated by using the data of Tables 1 and 2);

- The high rate of increase in the turnover of the companies operating on the Georgian tourism market is typical to medium and small businesses (the turnover with large companies in 2013 as compared to 2006, increased by 130%, while the same indicator amounted to 248% for medium businesses and 1575% for small businesses).

- Rapid and advantageous development of small businesses was the case after the military actions in Georgia in 2008 and is mostly caused by the changes in the Georgian tourism market and low risks as compared to large and medium businesses.

* * * * *

ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს სისტემური მიდგომის საფუძველზე შემუშავებასა და მდგრადი განვითარების კონცეფციებზე დაფუძვნებას. ყოველივე ეს გულისხმობს არსებული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას - დარგის ინტენსიურ განვითარებას. აღნიშნულმა პროცესებმა შესაძლებელია სერიოზული ზიანი მი-

აყენოს გარემოს, რაც ტურიზმის განვითარების პოლიტიკის მიზნების ბუნების დაცვის პოლიტიკის მიზნებთან კონფლიქტს განაპირობებს. აღნიშნულ მიზანთა კონფლიქტი კი საბოლოოდ ორივე პოლიტიკის განხორციელებას შეაფერხებს. პროცესები ამ მიმართულებით რომ არ წარმართოს აუცილებელია ტურისტული ბაზრის მიკრო და მაკროეკონომიკური ასპექტების სიღრმისეული შესწავლა და მიღებული ცოდნის საფუძველზე ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოს ტურისტული ბაზრის დახასიათებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ემპირიული მასალა, რომელიც მეცნიერებსა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს სჭირდებათ ერთობ მწირი და სრულიად არადაამაკმაყოფილებელია. მიუხედავად სტრუქტურებისა, რომლებსაც ევალებათ ამ მასალის მოგროვება და დამუშავება, დღეს არსებული ტურიზმის როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის სტატისტიკა კრიტიკას ვერ უძლებს. შეუძლებელია მოიპოვო მასალა ტურისტული კომპანიების მიერ ტურპროდუქტის ნაირსახეობის, რაოდენობის, ხარისხის, სამუშაო ადგილების, ზრდის ტენდენციების, ინვესტიციების ეფექტიანობის, ფასების, პროდუქტის ღირებულებისა და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელთა საფუძველზე უნდა შემუშავდეს, როგორც მიკროეკონომიკური, ასევე მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

ჩვენი კვლევის მიზნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების საფუძველზე (ვგულისხმობთ საკვლევე ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის სიმცირესა და მის სანდოობის დონეს) დავახასიათოთ საქართველოს ტურისტული ბაზარი, მისი განვითარების დონე და მდგრადი ზრდის მიმართულებები. კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა: სისტემური მიდგომა დარგის გაფართოების შედეგების შეფასებისადმი, იდუქციისა, დედუქციისა და სტატისტიკის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ცალკეული ტურკომპანიების მიერ მოწოდებული მასალები.

ჰააგის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ აღიარებს ტურიზმის ახალ განსაკუთრებულ როლს მსოფლიო ხალხების ცხოვრების დონისა და ხარისხის მნიშვნელოვან ზრდაში, ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო მშვიდობის დამყარებისა და კულტურათა გლობალიზაციის თვალსაზრისით ტურიზმი ის ქმედითი ძალაა, რომელსაც, განვითარების შედეგების მიხედვით, ვერ ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ვერც ერთი დარგი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ტურიზმი როგორც ეკონომიკის დარგი და მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი მჭიდროდ არ უკავშირდება ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების დონეს. ამ მოსაზრების გააზრების გამარტივების მიზნით მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია (ეკონომიკური განვითარების დონე, უსაფრთხოების მდგომარეობა, პოლიტი-

კური მდგრადობა და სხვა) ძირითადად მასობრივი ტურიზმის განვითარებაზე ზემოქმედებს, ხოლო რაც შეეხება ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებას აქ ჩვენ ხელშემწყობი და რისკფაქტორები მათი არსებობის მდგრადობის მიხედვით უნდა განვიხილოთ.

ხელშემწყობ ფაქტორებში ვგულისხმობთ: ტურიზმის ინფრასტრუქტურას, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და, როგორც ზოგადად ქვეყანაში არსებულ სანარმოო ფაქტორებს, ასევე (და უფრო მეტადაც) სპეციფიკურ ფაქტორებს ვგულისხმობთ. სპეციფიკურ ფაქტორებს შორის აქცენტირებულია, ერთი შეხედვით, ზღვრული მახასიათებლები, როგორცაა: ქვეყნის სოციუმის ღირებულებათა სისტემა რომელიც უშუალოდ კულტურასა და სოციოეკოლოგიურ საკითხებს უკავშირდება. ზოგადად, ტურიზმის საკითხების კვლევის პროცესში ტრადიციულ მიდგომათა გარდა ბოლო პერიოდში აღსანიშნავია ახალი მიდგომა, რომელიც კომპლექსურობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ერთი შეხედვით ტრადიციულად ტურიზმთან არადაკავშირებული საკითხების როლის ზრდას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მენეჯმენტის თეორიაში მკვიდრდება ახალი მიმართულება - ე.წ. მარკეტინგული მენეჯმენტი, რომელიც ტურპროდუქტის სანარმოების ბიზნეს-ინჟინერინგში მიკროეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად ტურპროდუქტების მომხმარებელთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მიიჩნევს.

მარკეტინგული მენეჯმენტის კონცეფციის საფუძველზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ ბაზარზე მომქმედი ტურისტული ფირმის (სანარმოს) მიერ ტურისტული პროდუქტის შექმნისა და შემდგომ მისი რეალიზაციის პროცესის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მარკეტინგული მენეჯმენტის სქემა (სქემა №1).


სქემაზე მოცემულია ტურისტული ბიზნესის განვითარების პროცესში ფირმების მიერ ტურპროდუქტის უწყვეტი წრებრუნვის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული სქემით განხორციელებული წრებრუნვის ყოველ ეტაპზე ტურპროდუქტის ან მისი შემადგენელი კომპონენტების მოძრაობის მიმართულება (მიზეზ-შედეგობრივი კავშირები) ისრებითაა ნაჩვენები.

სქემის მარცხენა ნაწილში პირველი ეტაპი გვიჩვენებს მარკეტინგულ გამოკვლევას, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ბაზარზე გასვლის სისტემის შემუშავებაში. მარკეტინგული გამოკვლევის მთავარი ამოცანაა ფირმის რეალური შესაძლებლობების გამოვლენა ტურისტული მომსახურების ბაზარზე. ეს რეალური შესაძლებლობები ერთი მხრიდან განისაზღვრება ბაზარზე შექმნილი სიტუაციით (კონიუნქტურა), მეორე მხრიდან კი ფირმის ტექნოლოგიური, ფინანსური, საკადრო და ორგანიზაციული პოტენციალით. საბაზრო გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მოთხოვნების შესწავლა, რომელიც ახასიათებს ფირმისათვის საინტერესო ტურპროდუქტს. ამასთან მნიშვნელოვანია

არა მარტო იმ დონის და მოთხოვნის გამოვლენა, რომელიც არის გამოკვლევის მომენტში, არამედ ამ მაჩვენებლების დადგენა სამომავლო პერსპექტივაში. მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩნდება კონიუნქტურული სამუშაოს დასაწყისში არის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ტურისტული ბაზრის მდგომარეობის მონაცემები, ფასების დონე და ა.შ.

სქემა №1

ტურისტული სანარმოს მარკეტინგული მენეჯმენტი სქემა



წყარო: მ. მეტრეველი, დისერტაცია „ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა დამისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, 2001

საქართველოში ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოანგარიშება. ამ ინდექსის დადგენისათვის მაჩვენებლებსა და მახასიათებლებს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ. ცხადია ეს მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რადგან ამ პროცესში ქართველი სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობა ერთობ შეზღუდულია.

საქართველოს ტურისტული ბაზრის დღევანდელი მდგომარეობის განხილვისას იკვეთება (თუ არ ჩავთვლით 2009 და 2012 წლებს) საქართველოს ტურისტული ბაზარი განუხრელად ფართოვდება. ნაშრომში მოცემულია ორი ცხრილი, რომელთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე საქართველოს ტურისტულ ბაზარზე შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები:

1. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე 2013 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს: 42 მსხვილი, 22 საშუალო და 313 მცირე ტურისტული საწარმო (საბაზისო პერიოდად აღებულია 2006 წელი). 2013 წელს მოქმედი ტურისტული სააგენტოებისა და სამოგზაურო ბიუროების რაოდენობა, ყველაზე წარმატებულ 2011 წელთან შედარებით, შემცირდა 9%-ით (მსხვილ საწარმოთა რაოდენობა იგივე დარჩა, საშუალო საწარმოები შემცირდა 9, ხოლო მცირე ბიზნესი შემცირდა 27 ერთეულით. (გამოანგარიშებულია მოცემული №1 ცხრილის მონაცემთა საფუძველზე).

ცხრილი №1

მოქმედი ტურისტული სააგენტოებისა და სამოგზაურო ბიუროების რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით (2006-2013 წწ)

წ.	ტურისტული საწარმოები		მსხვილი საწარმო			საშუალო საწარმო			მცირე საწარმო		
	რაოდ.	(ცვლილება)	რაოდ.	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)	რაოდ.	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)	რაოდ.	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)
2006	114	100%	25	100%		14	100%		75	100%	
2007	124	9%	26	4%	4%	22	57%	57%	76	1%	1%
2008	137	10%	30	20%	15%	22	57%	0%	85	13%	12%
2009	248	118%	28	12%	-7%	321	29%	49%	188	151%	121%
2010	351	141%	30	20%	7%	351	50%	9%	262	80%	52%
2011	413	262%	42	68%	40%	311	21%	-11%	343	53%	19%
2012	361	216%	35	40%	-17%	321	29%	3%	294	91%	-14%
2013	377	231%	42	68%	20%	22	57%	-31%	313	316%	6%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის 2013 წლის მასალების საფუძველზე.

2. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მონაწილე საწარმოთა შორის ბრუნვის ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნება საშუალო და მცირე საწარმოებში (2013 წელს 2006 წელთან შედარებით ბრუნვა გაიზარდა მსხვილ საწარმოებში 130%-ით, საშუალო საწარმოებში 248%-ით, ხოლო მცირე საწარმოებში 1575%-ით).

ანუ, მიუხედავად საწარმოთა რაოდენობის აბსოლუტური შემცირებისა დეკლარირებული მონაცემებით ბრუნვის საერთო მოცულობა გაიზარდა 13%-ით და ცვლილებამ 36.4 მილიონი ლარი შეადგინა (გამოანგარიშებულია №2 ცხრილის მონაცემთა საფუძველზე).

ცხრილი №2

ტურისტული სააგენტოების და სამოგზაურო ბიუროების ბრუნვის მოცულობა (დეკლარირებული მონაცემები)(მლნ. ლარი)

წ.	ტურისტული საწარმოების ბრუნვის მოცულობა			მსხვილი საწარმო			საშუალო საწარმო			მცირე საწარმო		
	მლნ. ლარი	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)	მლნ. ლარი	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)	მლნ. ლარი	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)	მლნ. ლარი	(ცვლილება)	(წინა წელიწადის შედარებით)
2006	116.8	100%		104.7			9.6			2.4		
2007	160.0	37%	37%	139.3	33%	33%	14.3	49%	49%	6.4	167%	167%
2008	165.1	41%	3%	137.8	32%	-1%	22.3	132%	56%	5.0	108%	-22%
2009	147.5	26%	-11%	116.6	11%	-15%	22.0	129%	-1%	8.9	271%	78%
2010	173.9	49%	18%	121.9	16%	4.5%	32.0	233%	45%	20.0	733%	125%
2011	277.6	138%	60%	198.6	90%	63%	48.5	405%	52%	30.4	167%	52%
2012	257.4	120%	-7%	191.5	82%	-3%	41.4	331%	-2%	24.6	925%	-19%
2013	314	169%	22%	240.3	130%	25%	33.4	248%	-19%	40.2	1575%	63%
I.შე.	80.2	31%	69%	56.1	-46%	-70%	14.7	53%	-64%	9.3	288%	62%
II.შე.	51.3	-56%	-80%	36.2	-65%	-81%	5.2	-46%	-87%	10.0	317%	8%
III.შე.	75.3	-35%	-70%	56.8	-48%	-70%	5.8	-40%	-86%	12.7	429%	27%
IV.შე.	107.1	-8%	-58%	91.2	-13%	-52%	7.7	-20%	-81%	8.2	242%	-35%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მასალების საფუძველზე

2011 წელს 139 საქართველოს კონკურენტუნარიანობის ინდექსით 73 ადგილი უჭირავს, შესაბამისად, უკეთესი მაჩვენებელი აქვს თავის მეზობელ ქვეყნებთან აზერბაიჯანსა (83-ე ადგილი) და სომხეთთან შედარებით (90-ე ადგილი), მაგრამ ჩამორჩება რუსეთსა (59-ე ადგილი) და თურქეთს (50-ე ადგილი); 2013 წლის მონაცემებით, 140 ქვეყანას შორის საქართველოს კონკურენტუნარიანობის ინდექსით 66 ადგილზეა, მეზობელი ქვეყნებიდან აზერბაიჯანი - 78-ე, სომხეთი - 79-ე ადგილებზეა, ხოლო რუსეთი 63-ე და თურქეთი - 46-ე ადგილებზეა (გამოანგარიშებულია №3 ცხრილის მონაცემთა საფუძველზე).

ცხრილი №3

მოგზაურობა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი(2011წ. და 2013 წ.)

ქვეყნები	2011	2013	ქულა
	ადგილი/139ქვეყანას შორის	ადგილი/140ქვეყანას შორის	
საქართველო	73	66	4.10
აზერბაიჯანი	83	78	3.97
სომხეთი	90	79	3.96
თურქეთი	50	46	4.44
რუსეთი	59	63	4.16

წყარო: ცხრილი შედგენილია „The Travel & Tourism, Report 2013“-ის მონაცემების მიხედვით

მეზობელ ქვეყნებთან კონკურენტუნარიანობის ამალგების მიზნით საჭიროა ტურიზმის პოლიტიკის ორიენტირება ტურისტულ ბაზარზე და არსებული პრობლემების ანალიზი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის სტიმულირებას.

ზემოაღნიშნული მონაცემები ნათლად მიგვანიშნებენ მეზობელ ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას, მაგრამ ნაკლებად დამამშვიდებელია ქვემოთ წარმოდგენილი ტურისტული ბიზნესის 14 მახასიათებლის ფონზე დარგში მიმდინარე პროცესები, რადგან ტურისტული ბაზრის გაფართოებისა და განვითარებისთვის აუცილებელია საქართველოში მიმდინარეობდეს სამეცნიერო მუშაობა ტურისტული ბიზნესის 14 მახასიათებლისა და მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წარმოდგენილი კვლევის (The Travel & Tourism Competitiveness Report 2013) მონაცემთა მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებლები, თავის მხრივ, მთელ რიგ პოზიციებს შეიცავს.

ცხრილი №4
საქართველოში ტურისტული ბიზნესის მდგომარეობა 14 მახასიათებლის მიხედვით

სეგმი	ინდიკატორი	ქულა	ადგილი
1.	ტურიზმის წესებისა და რეგულირების პოლიტიკა (ტურიზმის წესების პოლიტიკა)	4.8	40
1.02	საკუთრების უფლებები	3.1	128
1.05	საპაერო სატრანსპორტო მომსახურების ორმხრივი შეთანხმებების დიალბა	6.8	118
2.	გარემოს მდგრადობა	4.5	74
2.01	ბუნებრივი გარემოს რეგულირების წესების სიმკაცრე	3.4	94
2.03	მოგზაურობა და ტურიზმის დარგის მდგრადობა	4.8	47
2.05	კონცენტრაციის ზუსტი აღრიცხვა მგ/მ	54.1	106
5.	მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტები	5.5	17
5.01	მოგზაურობა და ტურიზმის პრიორიტეტულობა სახელმწიფოსთვის	6.3	16
5.02	მოგზაურობა და ტურიზმის სახელმწიფო ხარჯები, ბიუჯეტის %-ში	ნ/ა	ნ/ა
6.	საპაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	2.5	101
6.01	საპაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ხარისხი	4.3	82
6.02	ავიახაზზე ადგილები/კვირა, შიდა რეისებზე, მილიონი	0.2	93
6.03	ავიახაზზე ადგილები/კვირა, საზღვარგარეთულ რეისებზე, მილიონი	33.1	103
6.04	გაფრენები/1,000 მოსახლეზე	1.4	92
6.07	საპაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ქსელი	4.2	94
8.	ტურიზმის ინფრასტრუქტურა	3.3	82
8.02	აგლომაციების არენდის შესაძლებლობა (1-7)	3	97
9.	საიფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	3.0	75
9.01	საიფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება -ტო-გარეგებებში	ნ/ა	ნ/ა
9.02	საიფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება -ტო-ჩ გარეგებებში	ნ/ა .	ნ/ა
11.	ადამიანური რესურსები	5.1	40
11.03	განათლების სისტემის ხარისხი	3.0	113
11.04	სპეციალიზებული კვლევებისა და სწავლების ხელმისაწვდომობა	3.3	118
12.	მოგზაურობა და ტურიზმის თვისობრივი კავშირები	4.8	53
12.04	კლიენტზე ორიენტაციის დონე	3.9	118
13.	ბუნებრივი რესურსები	2.7	119
13.03	ცნობილ სახეობათარაღდენობა	395	101
13.04	დელამიწის ბომის დაცვა (0-17%)	3.6	114
14.	კულტურული რესურსები	2.0	84
14.01	მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის რაოდენობა	4	63
14.03	ბაზრობებისა და გამოფენების რაოდენობა	3.3	111
14.04	შემოქმედებითი დარგების პროდუქტების ექსპორტი, მსოფლიო ექსპორტის %-ში	0.0	106

წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report, World Economic Forum, 2013

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წარმოდგენილი კვლევის შედეგები მიგვანიშნებს, რამდენად საქაროა ძირეული გარდაქმნები და რეფორმები საქართველოში ტურიზმის დარგის კომპლექსურ განვითარებაში (ცხრილი №4).

ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლებისა და მაჩვენებლების განხილვის საფუძველზე იკვეთება უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობა საქართველოში ტურისტული ბაზრის განვითარების დონესა და პერსპექტივების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, გვსურს აღვნიშნოთ, რომ 140 სახელმწიფოს შორის სწორედ ისეთ მაჩვენებლებში გვაქვს პრობლემა, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ და პირდაპირ ზემოქმედებენ ტურიზმის დარგის წარმატებულ განვითარებაზე, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი მაჩვენებლები: 1.02; 1.05; 2.01; 2.05; 5.02; 6; 6.01; 6.02; 6.03; 6.04; 6.07; 8 (ტურიზმის ინფრასტრუქტურა); 8.02; 9.01; 9.02; 11.03; 11.04 (განათლების დონე და ხარისხი); გასაკუთრებით საყურადღებოა 12.04 - მსოფლიოში 118 ადგილი კლიენტზე ორიენტაციის მაჩვენებელში. დანანებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 13; 13.03; და 13.04 მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო აღნიშნული კვლევის მიხედვით, მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანად განიხილება. შესაბამისად, აქცენტი კულტურული ტურიზმის განვითარებასა და ხელშეწყობაზე უნდა გაკეთდეს. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველოა 14.01 მაჩვენებლის მიხედვით 63-ე ადგილზეა (მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის რაოდენობა), სამწუხაროდ ეს პოზიციაც ძალზე სუსტად გამოიყურება, რასაც ადასტურებს 14.03 (ბაზრობებისა და გამოფენების რაოდენობა) და 14.04 მაჩვენებელი (შემოქმედებითი დარგების პროდუქტების ექსპორტი, მსოფლიო ექსპორტის %-ში).

ხაზგასმით გვინდა მივუთითოთ ადამიანური (შრომითი) რესურსების 11.03 - განათლების სისტემის ხარისხსა და 11.04 - სპეციალიზებული კვლევებისა და სწავლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებზე, რომელთა მიხედვით მსოფლიოს 140 ქვეყანაში 113-ე და 118-ე დონეზე ვართ. აღნიშნული პოზიცია ტურიზმის განვითარებისთვის კვალიფიციური შრომითი რესურსების მომზადების შესაძლებლობებს ეჭვს ქვეშ აყენებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევების მიხედვით, საქართველოში ტურისტული ბაზრის განვითარების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია და თუ არ დაისახა ძირეული, გარდამტეხი ღონისძიებები, საქართველო ვერ მიაღწევ 2013-2023 წწ-ის ისედაც საკმაოდ დაბალ მაჩვენებლებს.

საქართველოს ტურისტული ბაზრის პროდუქტის ღირებულების წილი მშპ-ში 15,9%-ს შეადგენს და პერსპექტივაში 4,8%-ით მისი ზრდა, ან მშპ-ს ზრდას შეაფერხებს, ან ტურიზმის დარგის პრიორიტეტულობას უარყოფს (თუ დარგობრივი სტრუქტურა შეიცვლება). რეალობა 2013 წელს ტურისტული ბაზრის პროდუქტის ღირებულების წილის მიხედ-

ვით მკვეთრად შეიცვალა და შეადგინა 5.2%. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურიზმის მრეწველობის წილი მშპ-ში 2012 წელს 4.5%-დან (Tourism's Direct Contribution to GDP) 2013 წ. 5.4%-მდე შეიცვალა (ანუ მცირეოდენ შეიცვალა). მაშინ გაუგებარია რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი ცვლილება.

The Travel & Tourism Competitiveness Report. Reducing Barriers to Economic Growth and Job Creation. Insight Report-ის 172 გვერდზე საქართველოზე 2012 წლის მონაცემები გაურკვეველი მიზეზის გამო შესული არ არის. ამავე დროს, მომავალი ზრდის პერსპექტივა მოცემულია 2013-2022 წწ. მაშინ როდესაც, WTTC Travel & Tourism Economic Impact 2013-ში 2013-2023წწ-ია მოცემული. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციისთვის საქართველოს არ აქვს მიწოდებული მონაცემები შემდეგ მაჩვენებლებზე: 5.02 (სახელმწიფო ხარჯების % სახელმწიფო ბიუჯეტის %-ში), 9.01 (საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება B—B გარიგებებში), 9.02 (საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება B-to-C გარიგებებში).

ასევე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში რაციონალური პოლიტიკის შემუშავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის მონაცემები, რომელთა საფუძველზე კვლევის წარმოებაა შესაძლებელი. სამწუხაროდ ეს შესაძლებლობები ჩვენთვის მიუწვდომელია (ამაზე The Travel & Tourism Competitiveness Report 2013-ის 11.04-ის მონაცემი მიუთითებს).

ზემოაღნიშნული მონაცემები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისადმი მიწოდებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის (IFC) მიერ, რომელიც წყაროდ იყენებდა საქართველოში საერთაშორისო მონეტარული ფონდის მასალებს (IMF).

კვლევების ანალიზიდან იქნება შთაბეჭდილება, რომ ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებლები უგულვებელყოფენ და არ აანალიზებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ კვლევებს აღნიშნულ საკითხებზე. ამასთან ერთად, საქართველოს ოფიციალური სტატისტიკა არ აგროვებს და არც ადრე (როდესაც ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა საქართველოში) აგროვებდა უმნიშვნელოვანეს მონაცემებსა და მახასიათებლების მაჩვენებლებს ტურიზმის შესახებ.

ძალზე მნიშვნელოვანია ტურისტული ბიზნესში არსებული მოძველებული სტერეოტიპების დამსხვრევა, განსაკუთრებით, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების ფონზე. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის (1992 წ. რიო დე ჟანეიროს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენცია) მიხედვით, არა მხოლოდ ქვეყნები და დარგები, არამედ თითოეული წარმოება უნდა გადავიდეს ადაპტაციის რეჟიმში.

ჩვენ შემთხვევაში ტურიზმი, კლიმატური ცვლილებიდან გამომდინარე, ადაპტაციის რეჟიმის გარდა, იძულებულია მომხმარებელს შესთავაზოს მრავალ-

ფეროვანი, განახლებული პროდუქტი, რადგან XXI საუკუნეში ტურისტი უკვე ხშირად არაორგანიზებულ ტურიზმს ირჩევს, ანუ მოგზაურობს ტურისტული კომპანიების დახმარების გარეშე. არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის ტურისტულმა კომპანიებმა ტურპაკეტში და შეთავაზებულ მომსახურებებში საჭიროა ინოვაციური ცვლილებები შეიტანონ, რაც გულისხმობს მეტ გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს. პირველ ეტაპზე საკმარისია ჩვენს ქვეყანაში მყოფი სამეცნიერო-საგამანათლებლო სფეროს კადრების (თუნდაც პენსიაზე გასული ან დროებით უმუშევარი ლექტორებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების, პრაქტიკანტებისა მოზიდვა) დასაქმება. გავისხენოთ დიდი გერმანელი მწერლის, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატის, თომას მანის უკვდავი ნაწარმოები „ჯადოსნური მთა“, სადაც მწერალი მოგვითხრობს შვეიცარიის სანატორიუმში ლექტორის ჩამოსვლაზე, რომელიც სიყვარულზე კითხულობს ლექციას. ეს პრაქტიკა XX საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთ უკვე არსებობდა.

ტურპროდუქტების წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში უნდა შევიდეს პოტენციურ მყიდველთა მოთხოვნებზე ზემოქმედების ის მექანიზმები, რომლებიც ადამიანის განვითარების არამატერიალური შემადგენლების საფუძველზე შემუშავდება. მაგალითად: სიხარულის, ბუნების დაცვაში მონაწილეობის მიღების, უმწეოთა დახმარების, ქველმოქმედებისა და სხვა სახის, ტურისტის პიროვნების მნიშვნელობის ამაღლების სტიმულები. ასეთი მიდგომა ფრიად გავრცელებულია ავსტრალიაში, სადაც ტურისტებს (მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ახალგაზრდებსა და სხვა დაინტერესებულ ადამიანებს) საშუალებას აძლევენ, და ხშირად ეს გარკვეული საფასურის გადახდის ხარჯზე ხდება, მოუარონ ან უმკურნალონ ცხოველებს.

ზოგადსაკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებათა მდგრადობა განაპირობებს რელიგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურსა და ზნეობრივი მრწამსის მრავალსახოვნებას, რაც საპასუხისმგებლო ტურიზმის საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს. საპასუხისმგებლო მდგრადი ტურიზმი უნდა გახდეს საქართველოს ტურისტული ბაზრის ძირითადი თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც ეფექტიანობისა და წარმატების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Georgian Tourism in Figures (2013). Structure&Industry Data
- 2.Moufakkir O., Kelly I. (2010). Tourism, Progress and Peace, UK, USA: CAB International
- 3.UNWTO World Tourism Barometer (2013)
- 4.მეტრეველი მ. (2011). ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი
- 5.http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTTrade_January_%20March_2014_GEO.pdf
- 6.http://www3.weforum.org/docs/WEF_TT_Competitiveness_Report_2013.pdf

რეზიუმე

თანამედროვე კაცობრიობის განვითარების ლოგიკა მიმართულია მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ტრანსნაციონალურ სივრცეში, ეროვნულ სახელმწიფოსა და ეროვნულ საზოგადოებებს შორის. ტრანსნაციონალიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების რეორგანიზაციას ყველა ასპექტში. ჩნდება პარადოქსული ვითარება: სახელმწიფოების არსებობა განცალკევებულ სუბიექტებად ანუ ასეთი გაგებით ინდივიდუალიზმი, ვერ იქნება გონივრული პასუხი გლობალიზაციაზე, მაგრამ ვერც გლობალიზაცია გამოდგება ეროვნული თვითმყოფადობის თვალსაზრისით, ინდივიდუალიზაციის შენარჩუნების გარანტიად (მით უმეტეს პატარა ერებთან მიმართებაში). საქმე სწორედ იქნება რომ პირიქითაა.

ვფიქრობთ, გლობალიზაციის პარადოქსების დაძლევა მხოლოდ მისი ტენდენციების სიღრმეული შესწავლის ფონზე გახდება შესაძლებელი.

Summary
Paradoxes of Globalisation

The logical thinking of the mankind is directly concentrated to the development of the world society. We live in a traditional atmosphere among the national State and national society. Transnationalization means to reorganize the lifestyle of the society. The paradox appears: Individualism could never be the right answer to the globalization, as well as the globalization could not be guarantee of individualism. It is visa-versa.

We think, to deal with the paradoxes of globalisation could be only by means of studying its tendencies deeply.

* * * * *

საზოგადოებრივი ყოფიერება – უსასრულოების გარკვეული მონაკვეთი, რომელსაც ადამიანი ქმნის და რომელიც ერთი შეხედვით, ბუნდოვანი და გაურკვეველი, მაგრამ მაინც ხელშესახები მანძილია, ადამიანი ტოვებს საკუთარ მინიშნებებს: ფიზიკურს, გონებრივსა და სულიერს. ამ საზღვრებში ავლენს და აფიქსირებს იგი საკუთარი ყოფიერების ექსისტენციურ საწყისებს და ქმნის ადამიანურ ისტორიას. მაგრამ, მიუხედავად კაცობრიობის ცნობიერი არსებობისა, ისტორიულ ცვლილებებში ხშირად იკარგება ჭეშმარიტებები, რომლისთვისაც ღირს ცალკეული ინდივიდის, ერის, ქვეყნისა თუ ზოგადად, ადამიანის არსებობა.

ძნელი სათქმელია, კიდევ „რა ღირებულების განძის“ პოვნასა და მოვლა-პატრონობაში დაიხარჯება ადამიანური შესაძლებლობები, მაგრამ ამ გადასახედიდან ხელისგულივით მოჩანს მომავალი ცხოვრების მართონი: ეპოქალურ ცვლილებებში თვითმყოფადობის შეინარჩუნებს ის სოციალური სუბიექტი (ცალკეული პიროვნება, ერი ან სახელმწიფო), რომელიც სიღრმისეულად დაეუფლება ცვალებადობისა და განვითარების ბუნებრივ სასიცოცხლო იმპულსებს, ეპოქალურ გამონვევებს, შესაძლებელია, პარადოქსებით სავსეს, თუმცა საბოლოოდ, მაინც კანონზომიერსა და პროგრესულს.

მოსალოდნელი რეალობის წარმოსახვის ფონზე, XX საუკუნის ადამიანს ამიტომ უფროთხობდა მოსვენებას მგრძობიარე ფილისოფოსი, ნიცშე. მისი პათოსი ასეთია: უკომპრომისოდ გადაამონმე წარსულიცა და აწმყოც და დიდი შემოქმედებითობისათვის დამახასიათებელი გონიერებაზე დამყარებული რისკით მოახდინე იდეალების ინდივიდუალიზაცია, გახდი საკუთარი თავის კანონმდებელი, დაამსხვრეე მორალს ამოფარებული ამორალობა, ძალადობა, უპასუხისმგებლობა და მონობა და ეგოიზმი. დიახ, ნიცშეანური სივრცე აბსოლუტისტური მოთხოვნებისაგან თავისუფლდება, მაგრამ სიცარიელე კი არ რჩება, არამედ შესაძლებლობების საზღვრები ფართოვდება მისი ერთდროული გაზრდისა და შემცირების მოთხოვნით. ნიცშე საუბრობს ერთდროულად, „კანონმდებლობაზე საკუთარი თავისათვის“ და „საკუთარ თავში დაეჭვებაზე“. პირველი მეორის გარეშე ეგოცენტრიზმს ბადებს, მეორე პირველის გარეშე – სისუსტესა და მონობას. დიახ, საკუთარ თავში დაეჭვება, დაეჭვება საკუთარ ღირსებაში და შესაძლებლობებში ცნობიერებას იმ ზომამდე აუძლურებს, რომ სამყაროსეულ პრობლემებს კაპიტულაციას უცხადებს. ეს პარადოქსული ვითარება ინდივიდუალიზაციის ერის თვისობრივი მახასიათებელია, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფონზე. ჩვენ ამ პროცესების ანალიზი გვაინტერესებს ქართული სახელმწიფოს მომავალი განვითარების მაჩვენებლებთან მიმართებაში, რამდენადაც ეროვნული თვითმყოფადობის საკითხი თანამედროვე რეალობის – მსოფლიო გაერთიანების შექმნის იდეის ფონზე უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

დღეს XXI საუკუნეა, გლობალიზაციის ეპოქა, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში პროცესები სიღრმისეული მასშტაბებით მიმდინარეობს, წარმოუდგენელი ტემპებით იცვლება ურთიერთდამოკიდებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით: პოლიტიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მკაფიო გახდეს გლობალიზაციის

პარადოქსები, რომელიც პრობლემის სიღრმისეული გააზრებისა და შესწავლის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ, საკითხი განვიხილოთ საზოგადოებრივი ცხოვრების სამივე ასპექტით, (რასაკვირველია, ქართული სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების ფონზე) და ერთიც: პროცესები წარმოვაჩინოთ გლობალიზაციის, როგორც სასიკეთო საკაცობრიო იდეისა და გლობალიზაციის, როგორც მოსალოდნელი საფრთხის ავკარგინანობის განხილვითა და შეფასებით.

პოლიტიკური ასპექტი. ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს ასრულებს რეგიონალიზმის კონცეფცია. “რეგიონულობის” ცნება გამოხატავს კონკრეტული რეგიონის ერთობის პირობებსა და ხარისხს. იგი შეიძლება იყოს ხანგრძლივი ენდოგენური პროცესი ან ნებაყოფლობით გაერთიანება. რეგიონი არ არის უბრალო გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული ობიექტი, მისი შინაგანი ერთიანობა და საზღვრები მუდმივად იცვლება. “რეგიონულობა” ნიშნავს გეოგრაფიული სივრცის ტრანსფორმაციას პასიური ობიექტიდან აქტიურ ობიექტამდე.

1970-იანი წლებიდან, მესამე მსოფლიო ქვეყნების განვითარების ჰარმონიზაციის იდეით დაიწყო დისკუსია “ახალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის” დამყარების შესახებ. ერთის მხრივ, “ახალი მსოფლიო წერიგი”, ტერორისტებისა და ტირანების წინააღმდეგ ომს (გლობალური “ომი” ტერორიზმის წინააღმდეგ 2001 წლის 11 სექტემბერს დაიწყო), ხოლო, მეორე მხრივ, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების შექმნას გულისხმობს. (როგორცაა, მაგ., ევროკავშირი). თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთს ეჯახება ეს ორი პარადიგმა: აშშ-ის ეროვნული ინტერესი და ევროკავშირის რეგიონალიზმი.

ასეთ ვითარებაში რა მდგომარეობა უკავია საქართველოს და სად გადის ჩვენი ეროვნული ინტერესების ზღვარი? ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური გეზი აღებული აქვს ევროპისაკენ, ამასთანავე, თავდაცვისუნარიანობის კუთხით, ვითვლებით აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად. ერთი შეხედვით, პოლიტიკურ სივრცეში შუალედური მდგომარეობა გვიკავია, რაც საკითხის ერთი მხარეა. ეროვნული სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, გლობალიზაციის პროცესი, გვაძლევს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით განვითარების შესაძლებლობას, ასევე ცხადად ავლენს უცხო სახელმწიფოების ზეგავლენის საშიშროებასაც.

სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. გლობალიზაციის სოციოლოგიურ კონტექსტში განხილვისას იკვეთება არასახარბიელო ტენდენციები: 1. უცხოელი გაღარიბებული მუშების ექსპლუატაცია - ღარიბი ქვეყნების წარმომადგენელთა ექსპლუატაცია მსხვილი ინდუსტრიული ძალების მიერ; 2. მანუფაქტურების შეცვლა მომსახურების სფეროთი - იაფი მუშახელის არსებობა მდიდარ კომპანიებს “აიძულბს”

გაზარდონ პროდუქციის წარმოება საზღვარგარეთ. შესაბამისი უნარის მქონე და არმქონე მუშაკებს შორის ხდება ეკონომიკური პოლარიზაცია, რაც იწვევს საშუალო ფენის შესუსტებას; შესაბამისად მცირდება დაბალი ფენებისათვის სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობა; 3. “კონტინგენტური სამუშაოს აღმავლობა” - გლობალიზაციის პროცესებს სამუშაო ადგილები ოკეანის გადაღმა გადააქვს და საშუალო ფენას ასუსტებს, ამცირებს სრულ განაკვეთზე მომუშავე ადამიანების რიცხვს. კომპანიები სულ უფრო ნაკლებად იყენებენ დამატებით ნახალისებებს, შევბუღებებს, ბონუსებს, პენსიებსა და ჯანდაცვის გარანტიებს. საშუალო ფენის ნაწილი კვლავ მუშაობს, მაგრამ მათი მსყიდველობითუნარიანობა მცირდება. 4. პროფკავშირების დასუსტება - პროფკავშირები კარგავს თავის ძალას, სხვადასხვა სფეროს მუშაკები ნაკლებად წევრიანდებიან კავშირებში.

ამ ფონზე მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს სოციალური მოძრაობების მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესში. იკვეთება სოციალური მოძრაობების, როგორც გარკვეული ტიპის მოქმედებების (სამოქმედო კომპლექსის) მნიშვნელობა, რომელიც პოლიტიკურად მოტივირებულია და მიმართულია სოციალური და კულტურული ცვლილებებისაკენ. სოციალურ მოძრაობებს ხშირად რესურსების ნაკლებობა და შიდა განხეთქილებები აზარალებს, თუმცა მათ მსოფლიო მმართველობაზე მაინც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

გარდა ამისა, სახეზეა უთანასწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე და უკიდურესი სიღარიბე. უთანასწორობა - ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სიმდიდრის არათანაბარი ფლობა; პოლარიზაცია - ორ უკიდურეს პოლუსს შორის მანძილის გაზრდა; სიღარიბე - ინსტიტუციურად განსაზღვრული ნორმის მიხედვით დაწესებული საარსებო მინიმუმის დონე. უკიდურესი სიღატაკე უკავშირდება გადარჩენისათვის ბრძოლას. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად იმისა, სიღარიბე და უკიდურესი სიღატაკე პროპორციულად ბევრგან მცირდება, ღარიბ-ღატაკი ადამიანების რიცხვი უფრო მეტად იზრდება.

კულტურული ასპექტი. გლობალიზაცია მსოფლიო კულტურას ცვლის ორი ფუნდამენტური გზით. პირველს აღიქვამენ ამერიკანიზაციის ტოლფას მოვლენად იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ შეერთებული შტატების მედია, განსაკუთრებით ტელევიზია, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ამასთანავე, ინტერნეტის მსოფლიო სივრცეში დომინირებს ინგლისური ენა და ამერიკული პორტალები.

მეორე მხრივ, ეკონომიკური პოლიცენტრიზმის ეკვივალენტია სხვადასხვა კულტურის კომბინაცია და ინტერნაციონალური ან ზენაციონალური კავშირების გაღრმავება (მაგალითად, იაპონელებმა ეროვნული კულტურის ელემენტები გლობალური კულტურის ნაწილად აქციეს). დომინირებს აზრი, რომ გლობალიზაცია და მულტიკულტურალიზმი ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავს და ახლად წარმოქმნილი გლობალური კულტურა მსოფლიო

მედიის მიერ ვრცელდება და უფრო მეტად განსხვავებული ხდება დომინანტური ერების კულტურისაგან. ამასთან, დიდი ერების კულტურა პოლიტიკური პოლიცენტრიზმისა და მულტიკულტურალიზმის პრინციპების დანერგვის კვალდაკვალ კარგავს გავლენასა და უნარს, მოსპოს მცირე ერების კულტურა.

გლობალიზაციის პარადოქსები სხვა კუთხითაც ვლინდება. კერძოდ, გლობალიზაცია, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია, მეორე მხრივ, ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტაცია, კიდევ უფრო ჩამორჩენილები ხდებიან.

რამია გამოსავალი? გლობალიზაციის პროცესების პოზიტიურად წარმართვისათვის არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. მაგალითად, შემუშავებულია შეთანხმება ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ, დადებულია ხელშეკრულებები ტელეკომუნიკაციებისა და ფინანსური მომსახურების თაობაზე, შეიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, იხსნება ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიდა კაპიტალისა და სავაჭრო ნაკადების გადაადგილებას (მაგალითად, “აზიურმა ვეფხვებმა” – სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ აჩვენეს, რომ იაფი მუშახელისა და მაღალი ტექნოლოგიების არსებობისას, ურთიერთგაცვლის გააძვირებულ პირობებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მაღალია).

ნათქვამიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ გლობალიზაციის დადებით შედეგებზე, როგორცაა: განათლების სფეროს განვითარება; ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის გაფართოება; სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია; საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნა; კონკურენციის გაღრმავებისა და გაფართოების შედეგად წარმოების არნახული ზრდა საერთაშორისო და სახელმწიფო დონეზე; განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა; ბრძოლა ეპიდემიებთან (შიდსთან, ტუბერკულოზთან და სხვ.); ბრძოლა ნარკომანიასა და ტერორიზმთან; ბრძოლა გლობალური დათბობის შედეგებთან.

რაც შეეხება გლობალიზაციის უარყოფით შედეგებს, სახეზეა: გლობალიზაციის “შენაძენების” არათანაბარი განაწილება. ამის გამო კონფლიქტების საფრთხე, რეგიონულ, სახელმწიფო და ინტერნაციონალურ დონეებზე (სწრაფად განვითარებადი ქვეყნები შედიან მდიდარი ქვეყნების წრეში, ღარიბი ქვეყნები კი მათ უფრო მეტად ჩამორჩებიან); გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპების გამო კაპიტალის, ბუნებრივი სახელმწიფო რესურსების “გადინება”; ეკონომიკის სრული გახსნილობის, იმპორტული საქონლით შინაგანი ბაზრის მეტისმეტად შევსების გამო სახელმწიფო წარმოების მიღვევადობა, ქვეყნის რესურსების ამონურვა და შიდა ეკონომიკის სრული დეგრადაცია; სახელმწიფოთა უუნარობა, გააკონტროლოს და მართოს საკუთარი ეკონომიკა; ნარკობ-

იზნესის, ტრეფიკინგის განვითარებისათვის, არალეგალური პროდუქციის გასაღებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; გლობალიზაციის პირობებში მცირე ქვეყნების ეროვნული იდენტურობის – კორელაციის, ენისა და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება; კულტურის კომერციალიზაცია, კულტურული ღირებულებების გაუფასურება და ხელოვნების დარგების გადაქცევა გლობალური ბაზრის პროდუქტად; სოციალური უთანასწორობის გაღრმავება; პიროვნული მახასიათებლების გაქრობის საშიშროება.

რაც კიდევ უფრო მთავარია, ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოების მწვავე კრიტიკასა და პროტესტს იწვევს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაკარგვის მოსალოდნელი საფრთხე, რაც ჩვენი თანა პატარა ქვეყნებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

ტრადიციულად, სახელმწიფოს შიდა და საგარეო ფუნქცია განიხილებოდა გასაკუთრებულ ეროვნულ ფუნქციად (იმის მიუხედავად, თითოეული სახელმწიფო მოქმედებდა დამოუკიდებლად თუ სხვა ქვეყნებთან კორელაციაში), ის დამოუკიდებლად წყვეტდა თავდაცვისა და უსაფრთხოების ამოცანებს. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს არა აქვს საზოგადოების წინაშე წამოჭრილ ბევრ პრობლემაზე სწრაფად რეაგირებისა და მათი დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა, ვინაიდან მისი პრე-როგატივებისა და უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობებზე ძლიერ გავლენას ახდენს რეგიონული და სახელმწიფოთაშორისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა. (მაგალითად, ფასების რეგულირებაზე გადაწყვეტილებას იღებს არა ერთი მთავრობა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები).

სადავო არაა, რომ გლობალიზაციის შედეგები, პოზიტიური და განსაკუთრებით ნეგატიური, თავის გავლენას ახდენს მსოფლიო მოსახლეობის არამართო ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ყოფაზე, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე; განწყობებზე, მოტივაციაზე, ხასიათზე, გრძობებზე, აღქმებზე, ემოციებზე, წარმოდგენებზე, წარმოსახვებზე, იდეებზე. ერთის მხრივ, ეს ვირტუალური ვითარება, რომელიც მსოფლიო მოსახლეობას ჰპირდება აღორძინებას, სტაბილურობას, სიმდიდრეს, იზიდავს ადამიანს, მაგრამ მეორეს მხრივ, ფსიქიკაში წარმოშობილი კონფლიქტები იწვევს მის დემოტივაციას, უიმედობას, სასონარკვეთილებას. ამიტომაცაა, რომ ანტიგლობალურ მოძრაობებში ჩართულია მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყანა, ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, ათასობით გამორჩეული ადამიანი.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, გლობალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა – საქართველო დგას ურთულესი პრობლემების წინაშე.

პატარა ქვეყნის სტატუსის მიუხედავად, გლობალიზაციის პირობებში თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა რომ გააძლიეროს, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობები: ხელსაყრელი გეო-

გრაფიული მდებარეობა, (უძველესი დროიდან იგი ასრულებდა დამაკავშირებელ როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის), ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მაღალი სამეცნიერო დონე. მაგრამ მას, როგორც პატარა ქვეყანას, დამოუკიდებლად არ შეუძლია ებრძოდეს გლობალურ პრობლემებს.

საკითხი ასეთნაირად დგას: გახსნილი ეკონომიკის პირობებში ასეთმა ქვეყანამ, როგორ უნდა გამოიყენოს ფინანსური ინსტრუმენტები საკუთარი ინტერესებისათვის, როგორ შეამციროს და როგორ აიცილოს ეკონომიკური შეცდომების, ქვეყნის შიგნით სოციალური უთანასწორობის რისკი, რა მეთოდებით აღუდგეს წინ უსაფუძვლო კრედიტებსა და სესხებს, როგორ შექმნას და აითვისოს ინოვაციები, როგორ გაზარდოს საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, როგორ უზრუნველყოს ნაციონალური ეკონომიკის უსაფრთხოება რეგიონალიზმის განვითარებით, როგორ მიაღწიოს ძლიერ მეზობლებთან ურთიერთობის სტაბილიზაციას, რა ძალებით შეძლოს მეცნიერებისა და განათლების სფეროების ეფექტური რეფორმირება, რომელიც გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს წარმატებული განვითარების საფუძველია, ხოლო მისი შეწყვეტა – ქვეყნის მომავლის განადგურების ტოლფასი.

ზემოაღნიშნული საკითხების სიღრმისეული ანალიზი პრობლემების გაცნობიერებისა და დაძლევის ყველაზე რეალური გზაა. გლობალიზაციის პარადოქსების გამოვლენა, ვფიქრობთ, არა მხოლოდ სასურველი, არამედ საჭიროცაა მომავალში ამ მიზნით წარიმართოს.

დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია მკაცრი გამოწვევაა და იგი არაერთი პარადოქსის შემცველია, ის არ არის გადაუჭრელი პრობლემა. იმისათვის, რომ გლობალიზაციის პროცესი ჩვენი სახელმწიფოსათვის სიკეთის მომგანი აღმოჩნდეს, უმთავრესია ქვეყნის სტრატეგია და ერის ფსიქოლოგიური სიმყარე. მით უმეტეს, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც სახელმწიფოებრიობის ექსისტენციალური საწყისი, ასეთი ისტორიული სირთულეების დაძლევის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები. სერია „ევროპული ძიებანი“, სტატიების კრებული - 2006. თბილისი, 2007
2. ევროპული კულტურის ორი საფუძველი: Vita Contemplativa da Vita Activa. სერია „ევროპული ძიებანი“, სტატიების კრებული -2007. თბილისი, 2008
3. ულრიხ ბეკი, „რა არის გლობალიზაცია?“ ელფის გამომცემლობა, 2003.
4. Федотова В. Г. Меняющийся мир и глобализация. Знание. Понимание. Умение. — 2005. — № 1. — С. 44-55.

რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ?!

ჯემალ გახოკიძე, სტუ-ს პროფესორი

Summary

How which way to go to Abkhazia?!

The most important problem of Georgia is regulation of the conflict with Abkhazia and South Ossetia. We thought the new form of territorial arrangement, our attention was drawn to Chinese government's innovative approach towards Hong Kong and it became interesting as historical, political and legal precedent. The Hong Kong Special Administrative Region in the People's Republic of China is an absolutely new model of territorial arrangement, we think it was a manifestation of China's realpolitics and we hope, that the model will be very useful, if not completely at least partially, for the future of Georgia, for its territorial integrity.

* * * * *

თავისი დამლუპველი შედეგებით საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის შემდეგაც რეგიონში პოლიტიკური რეალობა შეიძლება ითქვას რადიკალურად შეიცვალა. იგი მთელი სიგრძე-სიგანით შეეხო პირველ რიგში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, მათ შორის უპირველესად კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივებს. ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 %. მთლიანად დაკარგეთ კონტროლი კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონზე. სხვათაშორის, 1993 წლიდან მოყოლებული 2008 წლის აგვისტოს ომამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხრიდან კოდორისა და ახალგორის დაბრუნების სერიოზული მცდელობა არ დაფიქსირებულა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს თავის საზღვრებში აღიარების მიუხედავად, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების (ტერიტორიული მთლიანობის) უგულვებელყოფით ცნო აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ომის შემდეგ საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი უნდა განვიხილოთ, როგორც ტიპიური განდგომილი რეგიონები.

2008 წლიდან დღემდე კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი გაიყინა, ჩიხში შევიდა და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, რაიმე პერსპექტივას ვერ ვხედავთ. ასეთ ვითარებაში საჭიროა ახალი გზების ძიება, რომელიც რეალპოლიტიკას დაემყარება. ახალ პოლიტიკურ რეალობას სულ სხვა ახალი სტრატეგია სჭირდება კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ოცი წელი გავიდა. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ძალისხმევისა მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა, პირი-

ქით — კი. ე.წ. ბოდენის გეგმა თბილისსა და სოხუმს შორის „საიდუმლოდ მოგზაურობის“ დროს უკვალოდ დაიკარგა. ყველანაირი მცდელობა მისი გაცოცხლებისა მარცხით დამთავრდა. კონფლიქტების დარეგულირების საკითხის ფენივის მოლაპარაკებებისა და ამ ფორმატის იმედად დატოვებაც, რბილად, რომ ვთქვათ თავის მოცულებასა და მეტი არაფერი. სხვა პერსპექტივებიც არ ჩანს.

რაც შეეხება ტერიტორიული მოწყობის საკითხს, აქაც სირთულის წინაშე დგას საქართველო. არსებობს მხოლოდ 2 ძირითადი ფორმა ტერიტორიული მოწყობისა — უნიტარული და ფედერაციული. მაგრამ საკითხავია პასუხობს თუ არა სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებებში აღიარებული სახელმწიფო მოწყობის ეს ორი ტიპი თანამედროვე გამონევენებს, შესაძლებელია თუ არა ამ ორი ტიპიდან ერთ-ერთის შეთავაზება იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ განდგომილი რეგიონები, თუნდაც, საქართველოს მაგალითზე. ჩვენი პასუხი ცალსახაა — არა. არგუმენტად გვინდა მოვიყვანოთ შემდეგი: საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 10 აგვისტოს განაცხადა შემდეგი: „მე ვადასტურებ სამი წლის წინ ჩემს მიერ წამოყენებულ, წლების განმავლობაში გავრცობილ გეგმას სამხრეთ ოსეთისათვის პრაქტიკულად შეუზღუდავი ავტონომიის და თვითმართველობის შესახებ, ყველა ეთნიკური ოსის უფლების განსაკუთრებული დაცვის თაობაზე. საერთაშორისო გარანტიების ქვეშ მყოფ ავტონომიას, ევროკავშირის სტანდარტებით შექმნილ ავტონომიურ ერთეულს და მე, ასევე, ვთავაზობდი და ვთავაზობ რუსეთის ფედერაციას იყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე“ (სტილი დაცულია).

ავტონომიასთან დაკავშირებით საქართველოს ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან განდგომილი რეგიონებისადმი გაჩნდა ახალი მიდგომები: პირველი — შეუზღუდავი ავტონომია; მეორე — საერთაშორისო გარანტიების ქვეშ მყოფი ავტონომია და მესამე — რუსეთის ფედერაცია, როგორც ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე.

რა დინამიკაა ამ თვალსაზრისით მსოფლიოში და რა მიდგომები ფიქსირდება განდგომილი რეგიონების სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობილმა ლიდერმა დენ-სიაოპინმა განაცხადა, რომ თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობა (რა თქმა უნდა, იგი გულისხმობდა ჩინეთის სახელმწიფოსა და მისი განდგომილი რეგიონის ჰონკონგის სამომავლო თანაარსებობის შესაძლებლობას).

აქვე აღსანიშნავია, რომ 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერომ, აფხაზეთი კონფლიქტის გადასაჭრელად, შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით „სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების შესახებ“. თავისი არსით, ეს

იყო გაეროს მცდელობა, რათა, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის საჭირო პირობებზე სასაუბროდ, აფხაზური და ქართული მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დაესვა. დოკუმენტში ნინასნარ არის განსაზღვრული, რა ჩარჩოებში უნდა მოხდეს დიალოგი. კერძოდ, მის მეორე მუხლში ვკითხულობთ: „აფხაზეთი არის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში კანონით განსაზღვრული სუვერენული ერთეული“.

მაშინ გაეროს უშიშროების საბჭოს უკლებლივ ყველა წევრი თანხმდებოდა ერთ რამეში, რომ სხვადასხვა გარემოებების გავლენით შეიქმნა ისეთი უნიკალური სიტუაცია, როცა პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა კონფლიქტის მოგვარება მისი უმთავრესი პრობლემის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის - გადაჭრის საფუძველზე [1].

როგორც ვხედავთ, როგორც სააკაშვილის, ისე დენ-სიაოპინის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოებრივი მოწყობა დიდი ხნის წინ აღიარებულ არც ფედერაციულ და არც უნიტარულ სახელმწიფო მოწყობის მოდელში არ ჯდება. მით უფრო არ ჯდება დიტერ ბოდენის შემოთავაზება საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში აფხაზეთის, როგორც სუვერენული ერთეულის არსებობა.

აქვე, ჩნდება კითხვა — შეესაბამება თუ არა ზემოთქმული ავტონომიასთან დაკავშირებული ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის მოდელები ქართულ სინამდვილეს?

საჭიროა სახელმწიფოდმცოდნეებმა, პოლიტიკოსებმა და არა მარტო მათ საერთაშორისო თანამეგობრობას შესთავაზონ ახალი ტიპის სახელმწიფო მოწყობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც უნდა იყოს თავისი შინაარსით ტიპიური, ტრადიციული, როგორც ფედერაციული, ისე უნიტარული სახელმწიფოებისაგან განსხვავებული. რაც მთავარა, უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ისეთი ტიპი, რომელიც მოხსნის მკვეთრ გამიჯვნას ცენტრსა და სახელმწიფოში შემავალ სახელმწიფო წარმონაქმნებს შორის, კერძოდ: ერთის მხრივ მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის რეგიონებისათვის ცენტრალურ ხელისუფლებაში კონსტიტუციურად გარანტირებულ მონაწილეობას და მეორე მხრივ არ გამოიწვევს ცენტრისათვის საშიშროებას, რაც გამოიხატება რეგიონის მუდმივ მისწრაფებაში განდგომისაკენ რაც თანდათან, როგორც წესი, გადაიზრდება სეპარატიზმში. ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას სახელმწიფო მოწყობის ახალი მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება, როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული სახელმწიფოს ნიშან-თვისებები, კერძოდ: სპეციალურ ავტონომიურ რეგიონს უნდა ენიჭებოდეს სახელმწიფო წარმონაქმნისათვის დამახასიათებელი თვისებები გარდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა, დედა-სახელმწიფოს შემადგენლობაში მუდმივად მისი არსებობა კონსტიტუციით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, კონსტიტუციებში უნდა არსებობდეს საკანონმდებლო ჰარმონია, რაც განაპირობებს ცენტრისა და რეგიონების სახელისუ-

ფლებო სტრუქტურების უკონფლიქტო საქმიანობას, რაც დაფუძნებული არ იქნება არც პოლიტიკურ და არც სამართლებრივ დისკრიმინაციაზე. ასევე, დედა-სახელმწიფოსა და რეგიონს შორის ურთიერთვალდებულებების შესრულების გარანტი, ვფიქრობთ, შეიძლება იყოს საერთაშორისო თანამეგობრობა, საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად როგორც არის გაერო. ასევე შესაძლებელია გაეროსთან შეიქმნას სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც აიღებს ვალდებულებას იყოს მყარი გარანტორი დედა-სახელმწიფოსა და რეგიონს შორის სტაბილური და მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. არ გამოვრიცხავთ ასეთი როლი შეასრულოს ცალკე სახელმწიფომ. რაც შეეხება სახელმწიფოთა ჯგუფს საქართველოსთან მიმართებაში, ამის პრეცედენტი უკვე გვაქვს მეგობარი ქვეყნების სახით: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ჩინეთის ლიდერის დენ-სიაოპინის დამოკიდებულება ჰონკონგთან. ჰონკონგი არა მხოლოდ ამიტომ არის ჩვენთვის საინტერესო, არამედ იმიტაც, რომ მისი ჩინეთის სახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენაა. ამიტომ მნიშვნელოვნად გვეჩვენება კონფლიქტის ჰონკონგი-სეული გადაწყვეტის როგორც ისტორიული, ისე პორლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების ანალიზი და შესაძლებელი პარალელების გავლება, მსგავსებისა და განსხვავებების ძიება საქართველოსა და მის განდგომილ რეგიონებთან მიმართებაში. ვფიქრობთ საჭიროა შესაბამისი წინადადებების შემუშავება არამარტო მისი თეორიულ დონეზე განსჯისათვის, არამედ პრაგმატული, კონფლიქტის მხარეებისათვის მისაღები და რეალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

როგორც ცნობილია, ჰონკონგი უძველესი დროიდან ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი იყო. ოპიუმის ომის (1840 წელი) შემდგომ ჰონკონგი ოკუპირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მიერ. 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ ხეიმონერილ იქნა ერთობლივი დეკლარაცია ჰონკონგის შესახებ და დადასტურდა, რომ 1997 წლის 1 ივლისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება აღადგენდა სუვერენიტეტს ჰონკონგზე. ამგვარად, ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფება განდგომილი რეგიონის დაბრუნების თაობაზე რეალობად იქცა. ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ჰონკონგისთვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების პირობით, ასევე, მისი ისტორიისა და რეალობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსების შესახებ, თანახმად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 31 მუხლისა, პრინციპით „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“. ფრიად საყურადღებოა, რომ 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფი, რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს. ამასთან, არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული პოზ-

იტყვი, როგორც ფაქტობრივად შუამავლისა, აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. სხვათაშორის სამწინარო ფაქტია, რომ არცერთი დოკუმენტი, არც ჰონკონგის კონსტიტუცია და არც დიდი ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამთავრობათაშორისო ერთობლივი დეკლარაცია ჰონკონგის საკითხზე დღემდე ქართულად არ თარგმნილა).

თავისუფლად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს მოდელი დღეს მსოფლიოში აღიარებულ ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოთა მოდელში არ ჯდება და ამ თვალსაზრისითაც ახალ რეალობასთან გვაქვს საქმე.

ფაქტობრივად, ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნება მოხდა მშვიდობიანად და თითქმის უპრობლემოდ. ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ მოვლენად კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების თვალსაზრისით. თუმცა, შეუთავსებლობის და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად დაპირისპირებული ორი სისტემის არსებობა: ერთის მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალიზმი და მეორეს მხრივ ჰონკონგის კაპიტალიზმი. ეს წინააღმდეგობა გადაილახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დაყრდნობილი პოლიტიკური ნებით. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის მე-5 მუხლში ჩანერილია: „სოციალისტური სისტემა და პოლიტიკა არ იქნება დამკვიდრებული ჰონკონგში და კაპიტალისტური სისტემა და ცხოვრების სტილი უცვლელი დარჩება 50 წლის განმავლობაში“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა დენ სიაოპინმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იმდენად მნიშვნელოვანია ჩინეთისათვის განდგომილი რეგიონის (ჰონკონგის) დედასახელმწიფოში დაბრუნება, რომ დასაშვებად მიიჩნია ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩინეთისათვის ტერიტორიების დაბრუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მუდმივ და უპირველეს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა ყოველთვის და შედეგმაც არ დააყოვნა.

უპირველესად თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ჰონკონგს ეწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. აქ საქმე მარტო დასახელებაში არ არის. სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონკონგის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით) სწორედ სპეციალური უფლებამოსილება მიენიჭა. ჩინეთის სხვა ადმინისტრაციული რეგიონებისაგან განსხვავებით ჰონკონგში ძალიან მაღალია დამოუკიდებლობისა და მართვის ხარისხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, კომპეტენციათა და უფლებათა გამიჯვნაში ცენტრსა და რეგიონს შორის. ძალიან საინტერესო ჩანს ჰონკონგის კონსტიტუციის პირველი მუხლი: „ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის განუყოფელი ნაწილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა“[2]. კონსტიტუციის

მე-13 და მე-14 მუხლებში აღნიშნულია, რომ ცენტრალური სახალხო მთავრობა იქნება პასუხისმგებელი ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის საგარეო საქმეებსა და თავდაცვაზე. ერთი სიტყვით, ჰონკონგმა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუთმო მხოლოდ საგარეო და თავდაცვითი ფუნქციები. სამაგიეროდ, იმავე კონსტიტუციის მე-19 მუხლით, ჰონკონგის სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასამართლოებში. ასევე, ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს შეუწარმოდა თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკას წარმართავს ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება, ჰონკონგში შესასვლელად უსცოვლ მოქალაქეს სჭრიდება ცალკე ვიზა სპეციალურად გაცემული ამ მიზნისათვის.

როგორც ვხედავთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთ მხარეს არ ჰქონდა მცდელობა ცალმხრივად გადაეწყვიტათ პრობლემა და მხოლოდ ორივე მხარისათვის მისაღებ და ამასთანავე რეალურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რასაც მოწმობს ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფის შექმნა, რომელიც 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ინგლისელების მონაწილეობით, და რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს.

ჩვენ შევვებით ძალიან მცირე ნაწილს იმ პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტებისას, რომელმაც განაპირობა ჩინეთისა და ჰონკონგის ინტერესთა თანხვედრა. ერთი სტატია მეტის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ზემოთ აღნიშნული გვაძლევს იმის შესაძლებლობას ბევრი რამ გამოვიყენოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ბევრი რამ ჩვენს სინამდვილეში გასათვალისწინებელია, ბევრი კრიტიკულად შესაფასებელი, ზოგი ყურადსაღებო და ზოგიც მიუღებელია. სამომავლოდ ვგეგმავთ აღნიშნული საკითხის ძირეულ შესწავლას, რადგან ჰონკონგის პრობლემის ასეთი ნოვატორული გადაწყვეტა ძალზედ საინტერესო და ყურადსაღებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=8067.
2. THE BASIC LAW OF THE HONG KONG SPECIAL ADMINISTRATIVE REGION OF THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA.
3. Sino-British Joint Declaration (Joint Declaration of the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland and the Government of the People's Republic of China on the Question of Hong Kong).

საქართველოს ექსპორტის რაზროსაქმრული ანალიზი
და სამომავლო პერსაქტივები

თამარ წერეთელი, სტუ-ს აკადემიური დოქტორი
თეა ბიძინაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში საერთოდ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების და, კერძოდ, ექსპორტის დინამიკა 2004 წლიდან 2013 წლამდე მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. ამ პერიოდის მანძილზე მკვეთრი ვარდნა შეინიშნება 2009 წელს, რაც საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი ინერციით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით აიხსნება. მზარდი ტენდენცია ფიქსირდება იმპორტშიც 2004-2008 წლებში, რომლის მაჩვენებელმაც იგივე მოვლენების გამო 2009 წლისთვის საგრძნობლად დაინია და 2008 წლის მაჩვენებელს, მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჯერჯერობით იმპორტი ექსპორტს სჭარბობს. იგივე მონაცემებით, საქართველოს სავაჭრო პარტიორებს შორის წამყვანი ადგილი მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, ბოლო წლებში კი ამ მხრივ გარკვეული პროგრესი, კერძოდ, ევროპულ ბაზარზე გასვლის პერსპექტივები შეინიშნება. ევროპულ ბაზარზე გასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ასევე ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღოდა წინ. საქართველოს ეკონომიკისათვის იმედისმომცემია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ასოციორების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი – ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი

Summary

Georgia's foreign trade relations in general and in particular, the dynamics of exports increasing trend from 2004 until 2013. During this period, the sharp drop observed in 2009, which is the reason of the August war and the global economic crisis. A growing trend in Import observed in 2004-2008.

Statistical data show that the import and export of foreign trade so far prevails. In the same category of trading partners occupy the leading place the neighboring countries. In last years, some progress in this regard, in particular, there is the prospect of leaving the European mar-

ket. Establishing the European market is a long process, which was also preceded by lengthy negotiations. Georgia's economy is encouraging a deep and comprehensive free trade area agreement with the European Union (D C F T A), which is the most important part of the Association Agreement, That's because it includes a mechanism for economic integration with the EU and the EU's internal market is facing the opening, which will positively impact the country's economic growth and development

* * * * *

თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა გლობალური ეკონომიკური სისტემაა, რომელშიც ყველა მონაწილე დაკავშირებულია ერთმანეთთან სხვადასხვა სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო, სავალუტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობებით. აქედან გამოდინარე, დღეს განვითარებადი ქვეყნების სწრაფი აღმავლობა შეინიშნება. ეს ქვეყნები წინა საუკუნეებშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ მაშინ მათი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობები, ძირითადად განვითარებული ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კი, მათ შესაძლებლობა მიეცათ წინა პლანზე წამოეწიათ ეროვნული ინტერესები და გაეუმჯობესებინათ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები [1].

საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო დარღვეული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით, რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას. დღეს საქართველო თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში თავის დასამკვიდრებლად და მისთვის მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა.

საექსპორტო პოტენციალის დინამიკა და მისი სრული ათვისება ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკური პრობლემაა, რომლის ეკონომიკური რეფორმის ქვაკუთხედს საექსპორტო საქონლის წარმოების ხელშემწყობი სისტემის შექმნა და მსოფლიო ბაზარში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს [2. 35].

იმისათვის, რომ წარმოადგენა შეგვექმნას თანამედროვე პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახ-

ებ, აუცილებელია მოვახდინოთ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი. 2000 წლამდე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ მიმართულებით ნაკლები იყო პრაქტიკული გამოცდილება. უამრავი შეცდომა ფიქსირდებოდა მონაცემთა პირველად წყაროებში და დიდი იყო ალურიცხავი სავაჭრო ნაკადების წილი. ამიტომ საანალიზოდ შევარჩიეთ ბოლო ათი წლის (2004-2013) წლების პერიოდი. 2004 წლიდან 2013 წლამდე საქართველოში საერთოდ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების და, კერძოდ, ექსპორტის დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. ამ პერიოდის მანძილზე მკვეთრი ვარდნა შეინიშნება 2009 წელს, რაც საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი ინერციით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით აიხსნება. მზარდი ტენდენცია ფიქსირდება იმპორტშიც 2004-2008 წლებში, რომლის მაჩვენებელმაც იგივე მოვლენების გამო 2009 წლისთვის საგრძნობლად დაინია და 2008 წლის მაჩვენებელს, მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად – 8289.2 მლნ. აშშ დოლარით ანუ თითქმის 4,4-ჯერ გაიზარდა. აქვე ადვილი შესამჩნევია ექსპორტის ზრდის ტენდენცია, რაც თითქმის 4,5-ჯერ გაიზარდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თითქმის ამდენივედგეა (4,3-ჯერ) გაზრდილი იმპორტიც. მნიშვნელოვანია ის მაჩვენებლებიც, რომელიც ამ წლებში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებისას ჩანს, თუ 2004 წლისათვის საერთო ბრუნვიდან (2494.8) ექსპორტზე მოდიოდა 647.0, ხოლო იმპორტზე – 1847.9 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 1194 მლნ. დოლარით მეტი, შემდეგ წლებში ამ სხვაობის ზრდა ნათლად ჩანს, საბოლოო მონაცემებით კი მან 4965 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად ექსპორტის გაზრდით ხდება. რაც შეეხება უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსს, ის საქართველოსთვის უკვე კანონზომიერებად იქცა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ამ მაჩვენებლების ციფრობრივი მონაცემები ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს გაურთულდა პოლიტიკური მდგომარეობაც. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად კიდევ უფრო საგრძნობი გახდა კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ საქართველოს ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

როდესაც საქართველოს ბოლო ათწლეულის საგარეო ვაჭრობას ვეხებით, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, 2006 წელს რუსეთის მხრიდან ქარ-

თულ პროდუქციაზე დაწესებულ ემბარგოს, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა ეს სექტორი ქვეყანაში. თუმცა, ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის დაკარგვის გამო წარმოქმნილი სიძნელეების ფონზე, მოხდა ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიება. მართალია, რუსეთის მხრიდან ქართული სასმელების, ციტრუსებისა და სხვა პროდუქციის აკრძალვის შედეგად ქართულ ექსპორტს დიდი ზიანი მიადგა, მაგრამ ეს დანაკლისი მნიშვნელოვნად შეივსო ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხარჯზე, როგორიცაა: აზოტოვანი სასუქები, სპილენძის ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, კაკალი და თხილი. 2006 წელს რუსეთში ღვინის ექსპორტის მოცულობა 1,4-ჯერ ნაკლები იყო 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობა თითქმის 2001 წლის მაჩვენებლის დონემდე დაეცა. სულ რუსული ემბარგოს გამო საქართველოს საექსპორტო შემოსავლებს დააკლდა 50 მლნ. აშშ დოლარამდე ღვინის ექსპორტში, ხოლო 15 მილიონით (აშშ დოლარი) დაზარალდა მინერალური წყლების ექსპორტი [3. 29].

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჯერჯერობით, იმპორტი ექსპორტს სჭარბობს. იგივე მონაცემებით, საქართველოს სავაჭრო პარტიორებს შორის წამყვანი ადგილი მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ ძველი სავაჭრო ურთიერთობების ტრადიციით, არამედ იმითაც, რომ მათთან ვაჭრობა ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და შედარებით მაღალი შემოსავლები მოაქვს, რისი გამოყენებაც ეკონომიკის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა. აქვე უნდა ითქვას, რომ მეზობელ ქვეყნებთან ექსპორტის განვითარებას გარკვეული უპირატესობები და წინაპირობები გააჩნია, კერძოდ, მრავალი წლების განმავლობაში ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ქართული პროდუქციის გასაღების ბაზარს; ამ ქვეყნების ბაზარზე ქართული პროდუქცია მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს, არა მარტო ხარისხის, არამედ ტერიტორიული სიახლოვის გამოც. განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, როგორიცაა: ციტრუსი, ჩაი, ღვინო და ა.შ. [4. 143-144].

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2005 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2004 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდა დსთ-ს (ექსპორტი – 327.7 მლნ. აშშ დოლარი; იმპორტი – 657,2 მლნ. აშშ დოლარი) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (ექსპორტი – 342.9 მლნ. აშშ დოლარი; იმპორტი – 854.0 მლნ. აშშ დოლარი), რაც შეეხება ევროკავშირს, საექსპორტო ბრუნვამ აქ 111.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საიმპორტომ – 617.5 მლნ. აშშ დოლარი. დანარჩენ ქვეყნებში საგარეო ვაჭრობის მოცულობა სულ 1232 მლნ. აშშ დოლარი იყო (აქედან 272.0 ექსპორტი და

960.0 იმპორტი). ბოლო, 2013 წლის მონაცემებით კი, სავაჭრო ბრუნვამ 10784 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 40% დსთ-ს ქვეყნებზე, 27% - ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 33% მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე მოდის.

ევროპულ ბაზარზე გასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ასევე ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღოდა წინ. თუმცა, ფაქტია, რომ რუსული აგრესიის გამოვლენამდე ჩვენი მონდომება დასავლეთზე არც ისე ეფექტურ გავლენას ახდენდა. ექსპორტის ნახალისება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული, თუმცა საქართველოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შედარებით უპირატესობა არც თუ ბევრ დარგში აქვს. ამასთან, არ არის ათვისებული ის დარგებიც, რომელთაც საექსპორტო პოტენციალი აქვთ. ეს ძირითადად ეხება სოფლის მეურნეობას. ბევრი ისეთი პროდუქციის იმპორტი ხდება, რომელიც შეძლება ადგილზე იყოს წარმოებული. ადგილობრივი წარმოების გაზრდით იმპორტის მოცულობა შემცირდებოდა.

დღეს საკმაოდ აქტუალურია სოფლის მეურნეობის სფეროსა და, შესაბამისად, პროდუქციის ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის თემაც. თუმცა ეს თემა ბევრ საკითხთან არის კავშირში - მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს ზღუდავს სტანდარტების, ფიტოსანიტარული და მცენარეთა დაცვის ზომების და პირუტყვის დაავადებათა კონტროლის არარსებობაც. კონტროლის გამკაცრება ევროკავშირის ერთ-ერთი პირობა ევროზონის ბაზრების მეტი ღიაობისთვის. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის საგანია ლიბერალური ეკონომიკის მხარდამჭერთა მხრიდან, რომლებიც ამ გზით საქართველოს ბიზნეს-გარემოს გაუარესებას წინასწარმეტყველებენ. ამ შიშებს, შესაძლოა, მართლაც ჰქონდეს საფუძველი, განსაკუთრებით რეფორმამდელი პერიოდის კორუფციული გამოცდილებებიდან გამომდინარე, თუმცა, ვფიქრობთ, მთავრობამ ამ მიმართულებით აქტიურობა უნდა გააძლიეროს და თან წინააღმდეგობებით აღსავსე საკმაოდ ვიწრო ბილიკზე გავლაც შეძლოს. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო ბევრი მწარმე ვერ ახერხებს საკუთარი ხარისხის კონტროლის მექანიზმის შექმნას.

ექსპერტების აზრით, საქართველოს ექსპორტის ყველაზე სუსტი მხარე, ექსპორტის რამდენიმე მთავარ საქონელზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა. 2012 წელს, მსუბუქი ავტომობილები და ფეროშენადნობები საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო საქონლად რჩებოდა. 2009 წლიდან მოყოლებული, მსუბუქი ავტომობილების, ფეროშენადნობების და ლითონის ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტი საქართველოს წლიური ექსპორტის 1/5-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მანქანების რექსპორტი მცირე სანყის კაპიტალს და ძალიან ცოტა დამატებით ხარჯს მოითხოვს, მოგების მარჯა საკმაოდ მცირეა, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნის პოტენ-

ციალი მინიმალური.

2009 წელს DCFTA-ის მოლაპარაკებებისათვის მომზადების პროცესი დაიწყო. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებისათვის მომზადების პროცესს საფუძველი დაუდო ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის (Commission services' fact-finding trade mission) ვიზიტმა თბილისში, 2008 წლის 13—14 ოქტომბერს. აღნიშნული ვიზიტის შედეგად, 2009 წლის მარტში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ (EU Commission's Recommendations Regarding Georgia's Preparedness for the DCFTA Negotiations). რეკომენდაციების მიხედვით მოლაპარაკებების დაწყებისათვის ევროკომისიის მიერ პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი ოთხი სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია. აღნიშნული მოლაპარაკებების პროცესი ოფიციალურად 2011 წლის დეკემბერში გაიხსნა და მის ფარგლებში 6 რაუნდი და ათეულობით ვიდუო-კონფერენცია გაიმართა. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება, ხელმძღვანელი პირებისა და ექსპერტების ღონეზე.

საქართველოს ეკონომიკისათვის იმედისმომცემია ასოცირების შეთანხმების პარაფირება (2013 წლის 28-29 ნოემბერი), „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის ივნისში. 2013 წლის 22 ივლისს, დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც თავის მხრივ ასოცირების შეთანხმების ნაწილია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული

პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი სანარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ფაზაში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქათამაძე დ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (თეორია და პრაქტიკა), დამხმარე სახელმძღვანელო, ბათუმი, 2008.
2. ყანდაშვილი თ. საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება, თბ., 2002.
3. ბიძინაშვილი თ., აბუშვილი თ. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები, ყურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1, თბ., 2014.
4. ნანუაშვილი გ. ლაგვილავა თ. საქართველოს პესპექტივა საერთაშორისო ვაჭრობაში, ყურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4, თბ., 2013.

ბიზნესისა და რელიგიის ურთიერთმიმართების ფორმირების საკითხი

ზურაბ ჯორბენაძე, სტუ-ს პროფესორი
ლექსო ლემონჯავა, სტუ-ს ასისტენტი პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში ბიზნესისა და რელიგიის ურთიერთ-მიმართების ფორმირების საკითხი ნათქვამია, რომ ადამიანის რწმენა უმეტესწილად რელიგიით არის ზღვარდებული.

სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე ბიზნესში არსებული ყველა ნიუანსი და წესი გარკვეულწილად რელიგიურ ზეგავლენას განიცდის.

სტატიაში კარგად ჩანს, რომ მართლმადიდებლობა ბიზნესში, ისევე როგორც სხვა საქმეში პატიოსნებას მთელის კატეგორიულობით განიხილავს.

ნაშრომში ნათლად ჩანს ბიზნესის დამოკიდებულება დროისადმი. „დრო ფულია“ — აცხადებს ბიზნესი. ამ ფონზე ბიზნესმენი მოვალეა სრულად დაიცვას და აღასრულოს მართლმადიდებლობის მოთხოვნა: „აიძულე თავი ღვანლისათვის, ნუ იურვი და დროს უქმად ნუ დაკარგავ“.

Summary

The correlation between some of the items of business and religion says that human faith religion is largely limited.

The article states that of all the nuances and rules of modern business is experiencing a religious influence.

The article exposes the orthodoxy in the business, as well as in other cases categorically honest review.

The work clearly shows the business's attitude towards time. „ Time is money ‘ - the business. Against this background, a businessman shall fully protect and enforce orthodoxy request: „ Do not lose time“’.

* * * * *

ადამიანი თავის ცხოვრებაში ამა თუ იმ სახის და ფორმის გადაწყვეტილებას იღებს; თვით გადწყვეტილება ზოგადად მის რწმენას ეფუძნება. აქ კი ადამიანი ნებსით თუ უნებლიედ აცნობიერებს გარემომცველ სამყაროს და ისიც კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურ ქმედებას სჩადის. ადამიანის რწმენა უმეტესწილად რელიგიით არის ზღვარდებული; და ამდენად, რელიგია ადამიანის საერთო რწმენისა და ადეკვატური ქმედების ერთიანი ის ორგანიზმია, სადაც ღვთაებრივი სამყაროს უზენაესი ძალი და ასევე მისი რეალობა სრულად წარმოიხილება და ამ სახით არსებობს.

რელიგიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მთელი გამა ძალიან ფაქიზია; დღეს ზოგადად ყველა სახის რელიგია თითქმის ყველა მიმართებით გარკვეული აზრით ადამიანთა საზოგადოების მომცველობის არეალიდან

თვით ამა თუ იმ სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკური სახის განმსაზღვრელიც კი გახდა. უფრო მეტიც, რელიგიამ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის ისეთ ძირეულ საწყისში შეაღწია, როგორც არის ეკონომიკა, გარკვეული ზომით პოლიტიკაც კი მოიცვა; ის “ჩასწვდა” შრომით ურთიერთობებს, შეაღწია ბიზნესის საერთო არეალებში, აქ არსებული კომუნიკაციების შიგთავსებში და ხვეულებში და სხვ. მოვლენათა განვითარების კვალობაზე რელიგია ამკარად “აგრესიულად” დაიწყო თავისი მრწამსის და სანქციების, პრინციპების და ბოლოს კი, თავისი ეთიკის სრულად გავრცელება ბიზნესზე.

თანამედროვე ბიზნესში არსებული ყველა ნიუანსი და წესი გარკვეულწილად რელიგიურ ზეგავლენას განიცდის: ბიზნესის ეთიკა, წესი და მოთხოვნები ხომ ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ რელიგიურს ესადაგება, რაც ბიზნესში გარკვეული მოცემულობების დაცვისას მისი წარმატების წინაპირობად გამოდის. ამ ფონზე კი ძალზე უპრიანია ბიზნესისა და რელიგიის თანხედრის ხარისხის სრულად გაცნობიერება. აღნიშნული მით უფრო თვალნათელი ხდება იმ ფონზე რაც შეინიშნება დღეს: გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ეკონომისტებმა, ასევე სოციოლოგებმა, თეოლოგებმა და ა. შ. თვალნათლად დაიწყეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხზე დაკვირვება და ამ ფონზე გაჩნდა სერიოზული გამოკვლევები, სადაც მთელის სიცხადით მტკიცდება, რომ ძლიერ რელიგიურ რწმენას პოზიტიური ზეგავლენა მოაქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ქვეყნის ეკონომიკური წარმატება, ცხოვრების სიკეთე და კეთილდღეობა, ამ ქვეყნის მცხოვრებთა შრომის კანონზომიერი შედეგი არის; ამ წარმატების შემოქმედთა რელიგიური სახე და სულიერი ძლიერება, უზენაესის მიმართ სიყვარულის მომცველობა და სიმკვეთრე ადეკვატურ ასახვას პოულობს მთელს ერზე და ქვეყანაზეც კი. აქ ხომ თვით ადამიანის სულითწმინდობა ორთავ სოფელსა შინა წარმატების მიღწევის წინაპირობად წარმოიჩინდა.

წარმატებული ბიზნესის შემოქმედი ადამიანი ჭეშმარიტად რელიგიური სახის ქმედების მატარებელი არის. აღნიშნული თვალნათელია ისრეალის სახელმწიფოს და მთლიანად ებრაული საზოგადოების მაგალითზე, სადაც ბიზნესმა და რელიგიამ ურთიერთმიმართების ძალზე უნიკალური სივრცე ჩამოაყალიბა.

ბიზნესისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხის სრულად წარმოჩინება და გაცნობიერება ძალზე ღირებულთა საქართველოსათვის, სადაც ქართველთა სწორედ ძირეული რელიგიური მრწამსი - ქრისტიანული მართლმადიდებლობა და ამ ქვეყანაში არსებული ბიზნესი ერთმანეთს “ხვდება”, ანუ სადაც მათი გზების იკვეთება როგორც ვერტიკალში ისე ჰორიზონტალში. საკითხი მით უფრო აქტუალური არის ისეთი პატარა ერისთვის როგორც ქართველობა არის, რომელიც უფლის განგებით ჭეშმარიტ რელიგიას - ქრისტიანობას, ქრისტიანულ მართლმადიდებლობას აღიარებს და აქვე ღირსეულად ცდილობს თავის სახე შეინარჩუნოს ბიზნესში. აღნიშნული კი სრულად მიღწევადი ხდება მართლმადიდებლობის ისეთი კანონიკური მოთხოვნების დაცვით როგორც არის: დაიცავი სამართლიანობა(!), გიყვარდეს

მოყვასი შენი(!), „იყავი კეთილი!“, ან „ჩაიდინე კეთილი საქმე!“;

ბიზნესი თავისი დანიშნულების და მონოდევის გვერდით ადამიანთა ურთიერთობის სპეციფიკური სახეობა არის; იგი თავის არსში სწორედ ადამიანთა შორის ყველაზე ცოცხალ ურთიერთობას ასახავს; ბიზნესის მემკვიდრით საზრდოობს, იზრდება და ვითარდება ერთეული, ანუ პიროვნება, ისე ზოგადი, ანუ საზოგადოებრივი. ამ კუთხით კი ხაზგასმით უნდა მივანიშნოთ, რომ ბიზნესი მაშინ იღებს თავის სახეს სრულად და მაშინ არის ის საზოგადოების მიერ აღიარებული საქმე და პროფესია, როცა იგი რეალურად, კანონიკურად, და სულიერად სამართლიანია.

დღეს ყველა რელიგია მთელი სიცხადით ქადაგებს სამართლიანობას, და იგი თავის მიმდევრებს მოუწოდებს მისი დაცვისაკენ. ამ რელიგიური მოთხოვნის ფონზე რეალურად წარმართული და განხორციელებული ადამიანის საქმიანობა, და მათ შორის ბიზნესი, როგორც საქმიანობა პოტენციურად წარმატებულია; ბიზნესში დაცული სამართლიანობა ხომ ადექვატურად აღსაბეგება არა მარტო პიროვნების, ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფის ყოფა-ცხოვრებაზე, იგი შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური შედეგობრივი ძალით მთელ საზოგადოებას, მთლიანად სახელმწიფოს შესაბამის ფერებში ახვევს.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ღირსეულად გამორჩეული ადგილი უჭირავს სამართლიანობას. აქ, ამ კატეგორიის ფარგლებში და მის არსში სამართლიანობა სიმართლის რეალიზაციისა და ხორცხმების სისტემად არის წარმოდგენილი; ამ რელიგიაში სიმართლე და ქრისტიანობა ერთურთშია გადაჯაჭვული, თვით სამართლიანობა კი უფლის სიყვარულით არის ზღვარდებული. ქრისტიანობაში სამართლიანობის დამცველნი და შემოქმედნი უფლისგან დალოცვილები და ამაღლებული არიან; „ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ჰყონ სიმართლე ყოველთა ჟამსა“ - ქადაგებს ქრისტიანობა.

სიმართლე - მთელი ქრისტიანობა! აღნიშნული აზრის თანახმად მართლმადიდებლობა მთელის სიცხადით მოითხოვს სიმართლის დაცვას, და, ამიტომაც, იგი ყველა ქრისტიანს სისხლხორციელად ავალდებულებს ყველგან და ყოველმხრივი მიმართებით რუდუნებით დაიცვან სიმართლე და შესაბამისად ისინი თავიანთ საქმიანობაში სამართლიანნი იყვნენ, რათა უფლის წინაშე პირნათლად წარსდგნენ. აღნიშნული რელიგიური მოთხოვნა ბიზნესის ერთ-ერთი არსებითი წესთაგანია და მისი აღსრულება ყველა მართლმადიდებელ ქრისტიან ბიზნესმენს ევალება.

სამართლიანობის კატეგორიის დედააზრი სიმართლეა; სამართლიანობა სიმართლის არსის დაცვისა და რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს; ამდენად, სამართლიანობის დაცვა სიმართლის აღსრულების ტოლფასი არის. სიმართლის გზაზე სიარული რელიგიის და ასევე მინიერი ცხოვრების გადასახედიდან საკმაოდ ძნელი, რთული და მძიმეა; მაგრამ როცა ადამიანს უფლის ნებით მოყვასი თვისი უყვარს, მაშინ ყველა წინააღობა და დაბრკოლება უბრალოდ დაძლევადი ხდება; „მძიმეა გზა სიმართლისა, მაგრამ ისაა ერთადერთი და გადამრჩენი გზა და მას აცისკროვნებს ბეთლემის

ვარსკვლავის ბრწყინვალეობა, - “ნათელი იგი, რომელი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი ვერ ენა”. (იხ. ილია II ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი. ნაწ. III გვ. 164. იხ. www.Orthodoxy.ge.)

ბიზნესში ადამიანი გარკვეული სახის აუცილებელი და საკმარისი მოცემულობებით შედის; ბიზნესი ისეთივე სახის საქმიანობაა, როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობა, მაგრამ ის იმდენად განსხვავდება მათთან, რომ მასში, ანუ ბიზნესში სრულად მყოფ ადამიანს უბრალოდ ბადალი არ ჰყავს თავისი აზარტითა და ემოციით, და, ბოლოს კი, ამ საქმიანობის შედეგის გრანდიოზული წარმატებულობით და არანაკლებ გრანდიოზული სასტიკი დამარცხების ფასითა და გემოთი;

ბიზნესი, როგორც საქმიანობა იმდენად მომცველი არის დროსა და სივრცეში, რომ მას პიროვნება, პირთა ჯგუფი და თუნდაც ოჯახებიც კი უბრალოდ თავისი ღირსების დარად აცნობიერებენ; ამიტომაც, ისინი ბიზნესისთვის ყველაფერს იმეტებენ, და, მასში თავიანთ ჯანმრთელობასაც კი სდებენ, არაფერი რომ არ ვთქვათ მათ მიერ გახარჯულ დროზე და მატერიალურ თუ სულიერ რესურსებზე. თვით ბიზნესში კი შემდეგო სავესებით ლოგიკური და კანონზომიერი მოთხოვნა არის ჩადებული: შესძლებ კი ამის გაკეთებას(!), შესძლებ კი სრულად დათმო ხილული და უხილავი ძალა(!), ან თუნდაც შესძლებ სრულად “ჩაინვა” ამ საქმეში და შემდეგ ამ სახის მორევიდან ამოხვიდე როგორც გამარჯვებით აღტკინებული და აღიარებული(!).

„შეიცან თავი შენი“ - ქრისტიანული მართლმადიდებლობისათვის ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნაა. ამიტომაც მას უდიდეს სულიერ დატვირთვას ანიჭებს და ქრისტიანებს მისი დაცვისაკენ მოუწოდებს. ამ თეზის პერეფრაზირება სრულად მისაღებია ბიზნესისათვის. და აქ დასაქმებულისათვის. საკუთარი თავის სხვებზე უკეთ ან თუნდაც სხვებზე გამორჩეულად წარმოჩენის სურვილი, ხომ ყველა ადამიანში ამა თუ იმ ზომით ძვეს და სხვადასხვა ამპლიტუდით თითქმის ყოველთვის ვლინდება; გამორჩეულობა გარკვეულ წილად ტანჯავს ადამიანს მისი გაჩენის დღიდან დღემდე და მან თითქოს წარუშლელი ადამიანური თვისების სახე შეიძინა; გამორჩეულობის მაგიურობამ ადამიანის ცხოვრების ყველა დროში თავისი ადგილი და სივრცე დაიპყრო. სწორედ გამორჩეულობის სინდრომმა ადამიანის ცდუნების მოტივირება გააძლიერა. ამ დროს ადამიანი თავს აძლევს უფლებას, სხვის ხარჯზე უკეთ წარმოჩენის მიზნით, ყველა შესაძლო ხერხს მიმართოს რათა იგი წარმოჩინდეს. მაგალითად, ადამიანი, რომელიც მოლოდინის რეჟიმში მყოფთაგანებისგან ურიგოდ წასვლის სურვილით გარემომცველებს ხელს ჰკრავს, იგი ხომ თავის თავს სხვებზე უკეთესად თვლის. აქ, ამ მარტივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ასეთი ადამიანი დამნაშავეა, იგი თავის საკუთარ ინტერესს ხომ სხვათა ინტერესის ხარჯზე იკმაყოფილებს.

ქრისტიანულ მართლმადიდებლობაში ერთ-ერთი მოთხოვნაა: ნუ ჩათვლი შენს თავს სხვებისგან გამორჩეულად(!); იგი გმობს ადამიანის ცხოვრების ამ სახის მანკიერ მხარეს და ქადაგებს: “რას ფლობ ისეთს, ყოყორი კაცო, რაც არ მიგიღია? ხოლო თუკი მიიღე, რას იქადი, თითქოს არ მიგელოს? შეიცან, მდაბლო სულო, შენი ქველისმოქმედი და უყურე,

სხვისი არ მიითვისო - ღმრთისა, როგორც საკუთარი მონაპოვარი. შეიცან, ბედკრულო, შენი არსება, შეიგნე შენი წარმომავლობა. (იოსებ ათონელი (ისიხასტი), „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“. გვ. 144. www.Orthodoxy.ge.) ამიტომაც ქართველმა ბიზნესმენმა უთუოდ უნდა გაითავისოს ეს რელიგიური წესი ადექვატური ქმედებით იმოღვაწეოს.

ქრისტიანობაში აღიარებულ მოთხოვნას: წაახალისე საკუთარი თავი კარგი მუშაობისათვის. მართლმადიდებლობაში აღიარებულია ის ყოფითი აზრი, რომ ადამიანი კარგად აკეთებს მხოლოდ იმას, რაც წახალისდება. ეს მოთხოვნა სრულად ჯდება ბიზნესის წესებში და მას შესაბამისი დატვირთვა გააჩნია. ადამიანის წახალისება და მისი სრულად რეალიზაცია დღევანდელი ყოფითი ცხოვრების ერთი ძალიან მგძნობიარე ბერკეცია; დღეს სტიმულის მომცემი წახალისება სასურველი საბოლოო შედეგის მიღების ძალიან მნიშვნელოვანია. თვით წახალისება მაშინ არის “წონადი” და “მგძნობიარე” არსებითი, როცა ადამიანი მნიშვნელოვან საქმეს ასრულებს და არა ყოველთვის და ყველაფრისათვის; ამდენად, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა თავისი სული უნდა გამოაწრთოს: თუ ღვთის ტაძარში მოდიხარ, უპირატესად აანთე სანთელი საკუთარ გულში, დაუნთე ხილულად მეორე, თუ შეძლებ (II კორ. 9,7.) ღმერთს, ან და - მის წმინდანს და გულმოდგინედ ილოცე, ვიდრე სანთლები იწვიან”. სწორედ ასეთი არის ქრისტიანის რელიგიური მოვალეობა. („სულიერი მდელი“ გვ. 241. www.Orthodoxy.ge.)

რელიგიურად მორწმუნე ადამიანი, ყველა თვისებებთან ერთად, უბრალოდ უნდა იყოს კეთილი; უფლის მოყვასის ერთ-ერთი ამქვეყნიური ძირითადი მოვალეობაა კეთილი საქმეების კეთება, რამდენადაც კეთილი საქმის კეთება - მოწყალეობის გაღების იდენტური არის; თავისი არსით, მოწყალეობის გაცემა სრულებით არ გულისხმობს შესრულებულ მოთხოვნა - „იყავი კეთილი!“, ან „ჩაიღინე კეთილი საქმე!“, მოწყალეობა თავისი მომცველობითი უფრო მეტის და მრავლის მთქმელია: ჯერ ერთი, მოწყალეობა გაცივება ფულით, ნივთით, ხოლო კეთილი საქმე სრულდება როგორც ფულითაც და ისე პირადი მონაწილეობითაც; და, მეორე, მოწყალეობა გაცივება მხოლოდ ღარიბ-ღატაკზე, ხოლო თვით კეთილი საქმის ჰქმნა უბრალოდ შეიძლება როგორც ღარიბ-ღატაკთათვის, ასევე შეძლებულთათვის და მდიდარი ადამიანისათვისაც კი; და-ბოლოს, მესამე: მოწყალეობას ხომ მხოლოდ ცოცხალ ადამიანებზე გაცემენ, ხოლო აი სიკეთე და კეთილი საქმე კი შეიძლება ჩავიდენილი იქნეს როგორც ცოცხალთა მიმართ ასევე თვით გარდაცვლილთათვის. სიკეთის და მოწყალეობის გაცემა ქრისტიანთათვის ერთ-ერთი ღირსეული ქმედება არის; ეს რელიგია ხომ „გიყვარდეს მოყვასი შენი“ მცნების არსიდან გამომდინარე ამ საკითხს უფრო მეტის დატვირთვით უდგება და იგი შემდეგი სახის კითხვას სვამს: „გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას და სინდისს, განა მართლა სიხარულით გავცემთ მოწყალეობას?“. ამ კითხვაზე შესაბამისი დადებითი პასუხის გაცემით რელიგია ქრისტიანებს ავალდებულებს, რომ მათ გააცნობიერონ მთელი თავისი ცხოვრება და ასევე სრულად დაიცვან შემდეგი მოთხოვნა: ცხელით სიხარულით და არა “სხვა გულით” და ან “სხვა სულით”. სხვა შემთხვევაში ადამიანი “ძალიან ძუნწი” არის, იმიტომ, რომ რასაც გაცემს, მას “ყველაფერი ენანება”. „ეს სიტყვები სამხილებელია ჩვენთვისაც, ჩვენც ასეთები

ვართ - ან საერთოდ არ გავცემთ, ან გავცემთ დანანებით”. (არქიმანდრიტი იოანე კრესტიანკინი, „აღსარების აგების გამოცდილება“. გვ. 106. www.Orthodoxy.ge.)

იყო კეთილი, აკეთო სიკეთე და ჩაიღინო კეთილი საქმე - ეს ხომ ადამიანის მიერ უფლის მიმართ ვალდებულების და მოვალეობის აღსრულების ტოლფასოვანია; სიკეთის ჩადენა, სიკეთის გაცემა კი თავისთავად ადვილი არაა და ის მარტივად შესასრულებელი პროცესი სრულებით არ არის. სხვა თუ არაფერი, ფაქტია, რომ სიკეთის ჩადენა, კეთილი საქმის ქმნის სურვილი და მისი აღსრულება მხოლოდ სულიერად მტკიცე ადამიანს შეუძლია; სიკეთე სიმტკიცის გარეშე სისუსტეა. (იხ. „სულიერი მდელი“. გვ. 537. www.Orthodoxy.ge.)

მართლმადიდებლობაში ერთ-ერთი ძირეული მცნებაა მოთხოვნა - “არ იცრუო”. ბიზნესი კი უბრალოდ “ფულის კეთება” არ არის: იგი ძალიან საინტერესო და რთული ხელობა არის, რომელიც უდიდესი შრომის ფასად და ძალისხმევის ფასად წარიმართება. ამ სიტუაციაში კი ბიზნესი კატეგორიულად უნდა გაემიჯნოს სიცრუეს, ტყუილს და თუნდაც ფარისევლობას. ამიტომაც იგი მთელის სიცხადით ქადაგებს: “მოერიდეთ სიცრუესა და მოტყუებასა, ნურცა სიტყვით, ნურცა საქმით ნუ ატყუებ მოყვასსა შენსა”. აღნიშნულის ფონზე ქრისტიანობის ერთ ძირეული მინიშნებაა: „სიცრუის მამა ეშმაკია და ამიტომ არასოდეს გამართლებება სიცრუე”. („აღსარების აგების გამოცდილება“ გვ. 70. იხ. www.Orthodoxy.ge.)

მართლმადიდებლობა ბიზნესში, ისევე როგორც სხვა საქმეში, პატიოსნებას მთელის კატეგორიულობით განიხილავს. ეს რელიგია ყველას ამცნობს უფლის მოთხოვნას, და მათგან მოითხოვს - „ყველაფერი ღვთისნიერად აკეთე და მასში შენ შემწეს ჰპოვებ”. („სულიერი მდელი“. გვ. 138. www.Orthodoxy.ge.) ამ მოწოდების ფონზე ბიზნესი ხომ მოვალეა სრულად გაითავისოს ეს რელიგიური წესი, და, ადექვატურად აკეთოს თავისი საქმე.

“დრო ფულია” - აცხადებს ბიზნესი. ამ ფონზე ბიზნესმენი მოვალე ხდება სრულად დაიცვას და აღასრულოს მართლმადიდებლობის შემდეგი მოთხოვნა: „აიძულე თავი ღვთისათვის. ნუ იურვი და დროს უქმად ნუ დაკარგავ!“ („მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“. www.Orthodoxy.ge გვ. 137.)

ტაქტი და პატიოსნება, ეთიკის ნორმები და ზნეობა, და სხვა ანალოგიური მოთხოვნა და წესი მართლმადიდებელი ქრისტიანობისათვის ძლიერი და უპირობო ნესთაგანი არის. სხვა შემთხვევაში კი ფაქტია რომ ადამიანებს შორის ურთიერთობას ყოველთვის პირველობის სენი დაჰკრავს და სინამდვილე „მოჩვენებითი“ რეალობის სახეს შეიძენს და ასეთიც იქნება. აღნიშნულის გათვალისწინებით ყველა ქრისტიანი მოვალეა გაითავისოს, რომ ადამიანის „მინიერი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი და გამუდმებული მიახლოება ღმერთთან”. („სულიერი მდელი“. გვ. 613. იხ. www.Orthodoxy.ge.) და ეს სრულად

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. მღვდელი ბასილი ახვლედიანი, გიორგი შიხიაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი. თბ. 2009
2. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ნ. ჩიხლაძე
3. www.ortodoxy.ge ქართული მართლმადიდებლური ვებ-გვერდი
4. ბიზნესის რელიგიური ასპექტები: იუდაიზმი და მართლმადიდებელი ქრისტიანობა. ზ. ჯორბენაძე თბ. 2014

რეზიუმე

ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოს ელექტრონული მთავრობის მარკეტინგული კვლევის საკითხები, რომელიც პროგრესის, მდგრადობის ხელშეწყობის, პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად პლატფორმას წარმოადგენს.

სტატიაში ხაზგასმულია ელექტრონული მთავრობის სისტემისადმი ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლების დამოკიდებულება და ნდობა. შეფასებულია ელექტრონული მთავრობის ფასეულობა და მომსახურების მიღების მოტივები.

დადგენილია ელექტრონული მთავრობის დანერგვისადმი ინტერნეტ-მომხმარებელთა მოლოდინი, როგორცაა: სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ჩართულობა, რესპონდენტთა დემოკრატიული პროცესების დამკვიდრება და გაღრმავება, გამჭვირვალობის ზრდა, ანგარიშვალდებულების ზრდა, ქვეყნის გლობალური იმიჯის ზრდა, სოციალ-ეკონომიკური სარგებელი და სხვა.

მომხმარებელთა შეფასების საფუძველზე განხილულია საქართველოს ელექტრონული მთავრობის პროცესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები: ინტერნეტ-ხელმისაწვდომობა, ინტერნეტ-ნიგნიერება, ინტერნეტის სიჩქარე, ინფორმაციულობა, ელექტრონული მთავრობის ეროვნული სტრატეგიის უქონლობას, სამართლებრივი გარემო, ელექტრონული მთავრობის მომსახურების სპექტრი, ნდობის უქონლობა, არაეფექტური პროდუქტები-ინტელექტუალური საკუთრებისა და კოპირაიტის დაცვა.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე გაანალიზებულია რეგიონთაშორისი ციფრული უთანასწორობის საკითხები და წარმოდგენილია ელექტრონული მთავრობის განვითარების ხელშეწყობის პროცესები.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების საჭირო მიდგომები და რეკომენდაციები.

Summary

Marketing Research of e-government of Georgia

In the work, there are shown the issues of marketing research of e-government of Georgia, which is a main platform for progress, support of stability, social and economic development.

In the Article there is emphasized the attitude and trust of the Georgian internet users towards the system of e-government. There is estimated the value of e-government and motives of accepting the service.

There is set the expectation of internet users towards the implementation of e-government, such as: involvement of

citizens in state administration, in calculation and deepening of democratic processes of respondents, increasing of transparency, heightening of liability for payment, increasing of global image of the country, social and economic benefit and the others. On the basis of users assessment, there are reviewed the factors delaying the development of the process of e-government of Georgia: internet availability, internet-literacy, internet speed, in formativeness, failure in having the national strategy of e-government, legal environment, service spectrum of e-government, failure in having the trust, protection of intellectual property and copyrights of ineffective products,

On the basis of made researches, there are analyzed the issues of inter region digital inequality and process for the support of development of e-government.

In the face of findings, there is formatted the attitudes and recommendations required for the development of e-government.

* * * * *

ციფრული მსოფლიოს განვითარების კვალდაკვალ ვითარდება საქართველოს ციფრული გარემო, ფორმირდება ელექტრონული მთავრობის სისტემა, მარტივდება ადმინისტრაციული საფეხურები, იზრდება სახელმწიფოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ციფრული გარემოს პროცესები განსაზღვრავს და გავლენას ახდენს ე-მთავრობის განვითარებაზე (ამ პროცესებიდან შეიძლება აღვნიშნოთ: ციფრული ნიგნიერება, ადმინისტრაციული რეფორმირება, ბიუროკრატიული საფეხურების გამარტივება, პროცედურების დემატერიალიზაცია, ციფრული პრობლემების კვლევა-ძიება და სხვა) [1].

ელექტრონული მთავრობა, მთავრობის web-საიტები წარმოადგენს გამჭვირვალობისა და დემოკრატიის ეფექტურ ინსტრუმენტს [2], რომელიც მოქალაქეების მომსახურება მთავრობის მომსახურების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით უფრო ეფექტური, ხელსაყრელი და სწრაფია [3]. თავის მხრივ, ელექტრონული მთავრობის პროგრამა ქვეყნის ინოვაციური განვითარების მამოძრავებელია, რომელიც ინვესს, როგორც მართვის ინსტიტუტების, ისე განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, პოლიტიკის სფეროს ხარისხობრივ ცვლილებას [4].

ე-მთავრობა აღქმულია, როგორც „სამთავრობო ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდების საშუალება“ (Moon M., Norris D., 2005) [5], რომელიც მიმართულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სამთავრობო პროცესების ორგანიზაციის, სტრუქტურის ტრანსფორმაციის

(Lenk K., Traunmüller R., 2000) [6], სახელმწიფო მართვის სფეროს ინოვაციის, მოდერნიზაციის, მომსახურებისა და მართვის ოპტიმიზაციის [7], ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მთავრობის ჩამოყალიბებისკენ.

დღეს, გაეროს ყველა წევრი ქვეყანა წარმოდგენილია ელექტრონული მთავრობის web-საიტით. გაეროს კვლევა აჩვენებს, რომ ელექტრონული მთავრობის განვითარების ძალიან მაღალი ინდექსით წარმოდგენილია ქვეყნების 13%, მაღალი შეფასებისაა ქვეყნების 32%, საშუალო შეფასებისაა ქვეყნების 38%, ხოლო დაბალი შეფასებისაა ქვეყნების 17% [8].

საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების ტენდენცია მზარდია. მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში საქართველო 2001 წელს 99-ე ადგილზე იყო, ხოლო 2014 წელს 56-ე ადგილზე და წარმოდგენილია მაღალი შეფასების ინდექსით. ასევე, ელექტრონული ჩართულობის კუთხით, გაეროს რეიტინგში ქვეყანას ukavia 49-ე ადგილი.

საქართველოში, ელექტრონული მთავრობის მომსახურების ფორმების წარმოქმნამდე, სახელმწიფოს მართვის სისტემა მკაცრი, ხისტი, მოუქნელი, გაუმჭვირვალე, დაბალპროდუქტიული და არაეფექტური იყო. ადგილი არ ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სახელმწიფოს ეფექტურ მომსახურებას, მოქალაქეებზე ორიენტირებულ მართვას. ყოველივე ხელს უწყობდა მართვის მეთოდების აბსოლუტიზაციას.

თანამედროვე საზოგადოება საქართველოს ელექტრონულ მთავრობას განიხილავს, როგორც კრიზისის, პოლიტიკური რყევების, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მართვის ეფექტურ ფორმას, რომელიც ქვეყნის პროგრესის, მდგრადობის ხელშეწყობის, პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად პლატფორმას წარმოადგენს.

მიმდინარე წლის დასაწყისში, საქართველოს ელექტრონული მთავრობის პროცესების შესწავლის მიზნით, ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. საქართველოს ყველა რეგიონში გამოიკითხა 1600 რესპონდენტი, მოქალაქეთა საკვლევი კონტინენტის შესაბამისი სოციალურდემოგრაფიული სტრუქტურის გათვალისწინებით. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს ელექტრონული მთავრობის სისტემის განვითარების ტენდენციებისა და გამოწვევების დადგენა.

საქართველოს ელექტრონული მთავრობის web-საიტების შესწავლამ აჩვენა, რომ სახელმწიფო უწყებები საქართველოს მოქალაქეების ოფიციალური ინფორმირებისათვის იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს: Facebook, ელექტრონული ფოსტა, web-საიტი, მობილური კავშირი და მობილური ტელეფონით sms-ის გაგზავნა.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ქვეყანაში ნდო-


ბითა და პოპულარობით სარგებლობს საქართველოს პრეზიდენტის web-საიტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს web-საიტები, ხოლო ნაკლებ პოპულარობით ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების web-საიტები.

საქართველოს ე-მთავრობის მომსახურების ფასეულობის კვლევისას დადგინდა შემდეგი: ე-მთავრობის მომსახურების მიღების/მოთხოვნის ღირებულებას საშუალო და მაღალ შეფასებას აძლევს რესპონდენტთა 49,3%. ე-მთავრობის მომსახურების მიღების სისწრაფეს - რესპონდენტთა 52%, მთავრობასთან ინტერაქტიულ ურთიერთქმედებას - გამოკითხულთა 42,4%, ინფორმაციის/მომსახურების მიღების ხელსაყრელობას -რესპონდენტთა 50,4%, მომსახურების მიღების პროცესის მართვის მოქნილობას - გამოკითხულთა 45,9%, ელექტრონული დოკუმენტრუნვის ეფექტიანობას - რესპონდენტთა 46,4%, ელექტრონული მთავრობის მომსახურების სისტემის ინფორმაციულობას - გამოკითხულთა 47,5%, ე-მთავრობის მომსახურებასთან წვდომას - კვლევაში მონაილე პირთა 47,6% .

საქართველოში, ელექტრონული მთავრობის მომსახურების მიღების მოტივების კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 39,9% ელექტრონული მთავრობის მომსახურებას იყენებს საქმიანი მიზნებით, რესპონდენტთა 21,6% - სოციალური მოტივებით, ინტერნეტ-მომხმარებელთა 19,5% - ეკონომიკური მოტივებით, მომხმარებელთა 18,5% - ინტერესების მოდისა და ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, გამოკითხულთა 18,4% - ტექნოლოგიური მიღწევებისადმი ინტერესისა და ცნობისმოყვარეობისათვის. ასევე, რესპონდენტთა 18,4%-ისათვის ელექტრონული მთავრობის მომსახურების მოხმარების მოტივს წარმოადგენს შეხედულებები და რესპონდენტთა 17%-ისათვის ცხოვრების სტილი (იხ. ჰისტოგრამა 1) .

ჰისტოგრამა 1

ელექტრონული მთავრობის მომსახურების მიღების მოტივი



კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ელექტრონული მთავრობის დანერგვით ქართველ რესპონდენტთა 35,4%-ს მოლოდინს წარმოადგენს სახელმწიფო მარ-

თვაში მოქალაქეთა ჩართულობის მიღწევა, რესპონდენტთა 25,4% ელის დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებასა და გაღრმავებას, გამოკითხულთა 25,4%-ს მიაჩნია, რომ გაიზრდება სახელმწიფოს გამჭვირვალობა, კვლევაში მონაწილე პირთა 14,5% თვლის, რომ ელექტრონული მთავრობის დანერგვა გამოიწვევს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების ზრდას, 13,2%-ს შეფასებით მოხდება მოქალაქეების თავისუფლების ამაღწევა და დაცვა, რესპონდენტთა 12% ფიქრობს, რომ ელექტრონული მთავრობის დანერგვა გამოიწვევს ქვეყნის გლობალური იმიჯის ზრდას, გამოკითხულთა 9,1%-მა აღნიშნა ეკონომიკური სარგებელი, ხოლო რესპონდენტთა 8%-მა - სოციალური სარგებელი. აღსანიშნავია მომხმარებელთა პასიური სეგმენტი (9,2%), რომელიც არაფერს არ ელის.

საქართველოში ელექტრონული მთავრობის პროცესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შეფასებისას მომხმარებელთა 26,3% ასახელებს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემას (ფასი, გავრცელების არეალი და სხვა), გამოკითხულთა 24,8% თვლის კომპიუტერიზაციის დაბალ დონეს (კომპიუტერის ფასი, ყიდვის შესაძლებლობა, მისაწვდომობა), რესპონდენტთა 22,7% ასახელებს ICT-ის სფეროში წიგნიერების დაბალ დონეს, კვლევაში მონაწილე პირთა 22,2% აღნიშნავს ინტერნეტის დაბალ სიჩქარეს, რესპონდენტთა 22,1% ხაზს უსვავს დაბალ ინფორმაციულობას (ელექტრონულ მთავრობაზე), გამოკითხულთა 18,1% კი, ელექტრონული მთავრობის ეროვნული სტრატეგიის უქონლობას. ასევე, ინტერნეტ-მომხმარებელი ფიქრობს, რომ ელექტრონული მთავრობის პროცესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: არასათანადო სამართლებრივი გარემო, ელექტრონული მთავრობის მომსახურების სპექტრი, ნდობის უქონლობა, არაეფექტური პროდუქტები, ციფრული ხელმოწერის მფლობელთა მცირე რაოდენობა, მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვა, ინტელექტუალური საკუთრებისა და კოპირაითის დაცვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი უთანასწორო სახელმწიფოა. უთანასწორობა, რომელიც არსებობს ციფრულ გარემოში გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. გაეროს კვლევის (E-GOVERNMENT SURVEY 2014) ანგარიშით საქართველოს ციფრული უთანასწორობა განპირობებულია მოსახლეობის ნახევარზე ნაკლების მიერ ინტერნეტ მომხმარებითა და შემოსავლების დაბალი დონით.

ციფრული უთანასწორობა წარმოადგენს სოციალურ პრობლემას, რომელიც ინტერნეტ-ქსელთან, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, მედიასთან წვდომის მქონე პირებსა და წვდომის არ მქონე პირებს შორის სხვაობას გულისხმობს [9].


კვლევისას დადგინდა, რომ რეგიონებში

უფრო მაღალი უთანასწორობაა ვიდრე თბილისში. საქართველოს, რეგიონებს შორის ციფრული უთანასწორობის შეფასებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა 29,7% უთანასწორობის გამომწვევ ფაქტორად ასახელებს რეგიონებში არსებულ დაბალი ხარისხის ინტერნეტს (თბილისთან შედარებით), რესპონდენტთა 29,6% თვლის ICT-ში განათლებისა და ცოდნის დონეს, გამოკითხულთა 26% მიიჩნევს სოციალურ-ეკონომიკურ ფონს, კვლევაში მონაწილე პირთა 18,6% აღნიშნავს რეგიონებში პროფესიონალური კადრების დეფიციტს, გამოკითხულთა 18,4% ასახელებს დაბალ ინტერნეტ-კულტურასა და უნარ-ჩვევებს, რესპონდენტთა 15% ასახელებს რეგიონის მოსახლეობის დაბალ აქტივობას. ინტერნეტ-მომხმარებელთა 13,8% ფიქრობს, რომ უთანასწორობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციული ვაკუუმი. გარდა ამისა, კვლევაში აჩვენა, რომ რეგიონებში დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო ინტერნეტ-კომპანიების ინტერესის მხოლოდ დიდ ქალაქებზეა ფოკუსირებული (მიიჩნევს რესპონდენტთა 7,8), ასევე, გამოკითხულთა 7,2% აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მზაობა, მხოლოდ თბილისის ელექტრონულ განვითარებაზე ორიენტირებული, ვიდრე რეგიონებზე. კვლევისას 5,8% უარი განაცხადა პასუხზე.

ქართული ელექტრონული მთავრობის გარემო ფორმირებისა და ფრანგმენტირებული პროცესების ინტეგრირების პროცესშია. ქვეყანას არ აქვს ერთიანი გლობალური ელექტრონული გარემო. კვლევისას გამოვლინდა ე-მთავრობის პროგრამების ეფექტურად დანერგვის ხელშემწყობი ინიციატივები. გამოკითხვის შედეგებით, ინტერნეტ-მომხმარებელთა 24,5% ე-მთავრობის პროგრამების ეფექტურად დანერგვისათვის უპირატესობას ანიჭებს ე-მთავრობის სტრატეგიის შექმნას, რესპონდენტთა 22,7% უპირატესობას ანიჭებს სამართლებრივი მექანიზმებისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარებას, გამოკითხულთა 21,8% მიიჩნევს, რომ ე-მთავრობის პროგრამების დანერგვის ხელშემწყობისათვის ქვეყანა საჭიროებს პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკის დახვეწას, რესპონდენტთა 20,4% მიიჩნევს - უსაფრთხო ინტერნეტ-გარემოს ფორმირებას, ინტერნეტ-მომხმარებელთა 17,2% აღნიშნავს - გლობალურ სახელმწიფო პორტალს, მომხმარებელთა 15,6% მიიჩნევს - განვითარებულ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურას, რესპონდენტთა 13,4% მიიჩნევს - ელექტრონული მომსახურების აპლიკაციებსა და მრავალფეროვან სერვისებს (იხ. ჰისტოგრამა 2).

პისტოგრამა 2

ელექტრონული მთავრობის განვითარების ხელშეწყობის პროცესები



მარკეტინგული კვლევის ფარგლებში მონაწილე რესპონდენტთა 59% არის ქალი, ხოლო 41% მამაკაცი, რომელთა ასაკობრივი კატეგორია 18-დან 80 წლამდეა. გამოკითხულთა ნახევარი (49,6%) არის უმაღლესი განათლების მქონე, კვლევაში მონაწილე პირთა 27,1% სტუდენტ-ახალგაზრდობა, 9,4% პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, 8,6% -ს აქვს საშუალო სკოლის განათლება, ხოლო 5,3% არის დაუმთავრებელი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სტუდენტი.

სოციალური კატეგორიის მიხედვით ინტერნეტ-მომხმარებელთა 61,2% დასაქმებულია, ხოლო 38,8% დაუსაქმებელი/დროებით უმუშევარი. შესაბამისად, კვლევაში მონაწილე პირთა ოჯახის საშუალოთვიური შემოსავალი ძირითადად 100-დან 1000 ლარამდეა. კვლევისას შემოსავალის დასახელებისაგან თავი შეიკავა 30,2%-მა.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს განვითარების ძირითადი პრიორიტეტი იყოს სახელმწიფოს ფოკუსირება არსებულ რესურსებზე, ინოვაციებსა და ელექტრონული მთავრობის განვითარებაზე.

ელექტრონული მთავრობის სისტემა მორგებული უნდა იყოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლიმატს, ინფორმაციული საზოგადოების კულტურულ და სოციალურ თავისებურებებს. შესაბამისად, საქართველოსათვის არაეფექტური იქნება სხვა ქვეყნის ელექტრონული მთავრობის სისტემისა და web-საიტების ფუნქციონალურობის კოპირება.

დაბოლოს, საქართველოს ელექტრონული მთავრობის კვლევის საფუძველზე შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- საქართველოს ელექტრონული მთავრობა წარმოდგენილია მრავალფეროვანი ელექტრონული მომსახურებითა და თანამედროვე web-ტექნოლოგიებით, თუმცა სახელისუფლებო უწყებები ერთმანეთისაგან განსხვავდება web-ტექნოლოგიების სპექტრითა და გამოყენებით (განსხვავებულია ინფორმაციულობის ხარისხი, სიახლეების წარდგენა, ელექტრონული მომსახურების სპექტრი, მომსახურების მისაწვდომობა, მობილური და web-ტექნოლოგიების გამოყენება, ონლაინ კოსულტაცია, ინტერაქტიულობა და სხვა). მთავრობასთან ინტერაქტიულობისათვის თითოეულ მოქალაქეს/ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მისთვის ხელსაყრელი საკომუნიკაციო არხის არჩევისა და გამოყენების შესაძლებლობა;

- ქვეყანაში, ელექტრონული მთავრობის ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის ინტენსიურად განახლებული ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაცია, ინტერაქტიული ურთიერთქმედება, მომსახურება და ანგარიშვალდებულება. სამთავრობო web-საიტი უნდა იყოს ინფორმაციის ონლაინ საცავი;

- მარკეტინგულმა კვლევამ ცხადყო, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის ე-მთავრობის მომსახურების ბევრი კომპონენტი სიახლიდან გამომდინარე ათვისებული არ არის. შესაბამისად, საზოგადოებას მისი ფასეულობის გაცნობიერება უჭირს და არც ცხოვრების ყოველდღიურ ნაწილად თვლის. ამიტომ, მიზანშეწონილია ინოვაციის ინფორმირების ამადლების ღონისძიებების გატარება და საზოგადოების ფართო ფენისათვის ტექნოლოგიების მისაწვდომობის მარკეტინგული პროგრამების შემუშავება;

- შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლის თვალთ დანახული ელექტრონული მთავრობა განვითარებადი, პროგრესირებადი, მდიდარი ფასეულობისა და დიდი პოტენციალის მქონეა, რომელიც საჭიროებს ეფექტურ ადმინისტრირებასა და მარკეტინგულ სტრატეგიას;

- ელექტრონული მთავრობის მომსახურების წარმატებული ათვისება საჭიროებს სტრატეგიულ გეგმას. სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმა შეიძლება მოიცავდეს განვითარების პროცესებს, პოლიტიკას, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა/შეყენას, ოპერაციული და სერვისული გარემოს განვითარებას, მენეჯმენტს, აუტსორსინგს, თანამშრომლების მომზადებას, მოქალაქეების ინფორმირების კომუნიკაციურ პოლიტიკას^[10];

- საქართველოს მთავრობის ელექტრონული მომსახურების პოტენციალი, გავრცელების არეალი და მოხმარების მასშტაბი მცირეა. განსხვავებულია მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო სექტორის მოლოდინი ელექტრონული მთავრობის ფასეულობისადმი. შედეგად, ელექტრონული მთავრობის ინიციატივები შედეგს ვერ აღწევს;

- მოსახლეობის ფართო ფენებისათვის

ქართული ელექტრონული მთავრობის მომსახურების სისტემის მისაწვდომობას საკმაოდ დასჭირდება, რადგან ქვეყანაში სუსტია ინტერნეტ-ბაზრის განვითარება, დაბალია მოსახლეობის კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის ტემპები, დაბალია ახალგაზრდა ოჯახებისთვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობები, ქვეყანას არ აქვს ელექტრონული განვითარების სტრატეგია და გეგმა;

- საქართველოს ელექტრონული მთავრობის მომსახურების გარემო საჭიროებს თამამ რეფორმებს, დინამიურ პროგრესს. სტრატეგიულ დაგეგმვას. მხოლოდ ონლაინ აპლიკაციებით ელექტრონული მთავრობის მომსახურების სისტემის საყოველთაო დანერგვა და პრაქტიკული მოხმარება ვერ მიიღწევა;

- საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა მცირე სეგმენტმა იცის ელექტრონული მთავრობის მომსახურების სრული სპექტრი. შესაბამისად, ელექტრონული მთავრობის სისტემა საჭიროებს ინფორმაციულ პროპაგანდას, სასწავლო პროგრამებს, ფინანსურ მხარდაჭერას (საბიუჯეტო დაფინანსების ზრდას), რეგიონის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობას, ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას (რეგიონებში), ინტერნეტ-წიგნიერების ამალგების ღონისძიებებს, ონლაინ მომსახურების ფართო სპექტრსა და აპლიკაციებს;

- დასასრულ, ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში ლოკომოტივის როლი ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ უნდა იტვირთოს (მათ შორის საქართველოს ციფრული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში).

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 CapGemini. Online Availability of Public Services: How is Europe Progressing?. European Commission: Brussels, Web Based Survey on Electronic Public Services Report of the 6th Measurement. June 2006. http://ec.europa.eu/information_society/eeurope/i2010/docs/bench_marking/online_availability_2006.pdf
- 2 Asiimwe E.N., Lim, N. "Usability of Government Websites in Uganda" Electronic Journal of e-Government Volume 8 Issue 1 2010, (pp1 - 12), available online at www.ejeg.com
- 3 Wangpipatwong S., Chutimaskul W, Papasratorn B. Factors Influencing the Adoption of Thai eGovernment Websites: Information Quality and System Quality Approach . Special Issue of the International Journal of the Computer, the Internet and Management, Vol. 13 No.SP3, November, 2005. <http://www.ijcim.th.org/>
- 4 Санкт-Петербургский национальный исследовательский университет информационных технологий, механики и оптики . Научно-образовательный модуль: Автоматизированные методы оценки качества государственных услуг на основе анализа данных социальных сетей. Исследование выполнено при поддержке Министерства образования и науки РФ, Соглашение № 14.В37.21.0553 www.mkf.ifmo.ru
- 5 Moon M.J. Norris D. Does managerial orientation matter? The adoption of reinventing government and e-government at the municipal level. Information Systems Journal, 15, 43-60. 2005.
- 6 Lenk K., Traunmüller R. "A Framework for Electronic Government", in Proceedings of DEXA 2000, London/Greenwich, UK, September 4-8, 2000.
- 7 Wimmer M.A., Tamborius E. Online One-Stop Government:A working framework and requirements. In proceedings of the IFIP World Computer Congress, Montreal. August 26-39, 2002.
- 8 UNITED NATIONS E-GOVERNMENT SURVEY 2014. E-Government for the Future We Want. United Nations . New York, 2014.
- 9 <http://www.internetworldstats.com/links10.htm>
- 10 Alshehri M., Drew S. Challenges of e-Government Services Adoption in Saudi Arabia from an e-Ready Citizen Perspective. International Scholarly and Scientific Research & Innovation .World Academy of Science, Engineering and Technology. Vol:4 2010-06-28. International Science Index Vol:4, No:6, 2010 waset.org/Publication/5629

მედია ჩიქავა, სტუ-ს პროფესორი
თამარ ცინცაძე, სტუ-ს პროფესორი

Summary

Chronic Diseases Preventive Models

Preventive and therapeutic models use is necessary for proper planning and effective management of prevention and treatment of chronic diseases and conditions. An epidemiological research was conducted by us, using sociological survey method. We have developed Digestive System Chronic Diseases (DSCD) preventive models: for healthy and at DSCD development risk adolescents.

The epidemiological study has shown, that healthy adults need to reduce the impact of early predictors: food and drug allergy (OR=&), acute viral hepatitis (OR=4,82), frequent food poisonings (OR=4,49). Chronic Diseases Prevention Models for at DSCD development risk adolescents includes the most important preventive measures, aimed to reduce following risk factors: eating disorders (OR=26,3), chronic overloads (OR=15,3), psicho-emotional tension (OR=12,2), adolescents bad habits (OR=5,14), obesity (OR=4,62), unsatisfactory living conditions (OR=3,74).

Preventive models developed by us can be used for drawing up appropriate prevention programs, which may form the basis for the development of appropriate business models. This will create a scientific basis for reducing the prevalence of Digestive System Chronic Diseases.

საკვანძო სიტყვები: ქრონიკული დაავადებები, პრევენციული მოდელი, ეპიდემიოლოგიური კვლევა.

* * * * *

ქრონიკულ დაავადებათა და მდგომარეობათა პრევენციისა და თერაპიის სწორად დაგეგმვისა და მართვის ეფექტურობისთვის აუცილებელია შესაბამისი მოდელების სწორად შედგენა. მოდელის ეფექტურობა ფასდება მისი მომხმარებლის — პაციენტის მიერ, რომელიც მისი დამფინანსებელია და ამავე დროს დაინტერესებულია მაღალი ეფექტურობით: სწორი დიაგნოზის დროულად დასმითა და დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მაღალი ხარისხით. ასეთი მოდელები არსებობს აშშ-ის სამედიცინო დაწესებულებათა 60%-ში, ხოლო ევროპის (ძირითადად დიდ ბრიტანეთის) – 20%-ზე ნაკლებში.

ამჟამად საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკულად არ არსებობს სამედიცინო მომსახურების მინოდების ეფექტურობის შეფასების მექანიზმი, არ არიან სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ამ მომსახურების შესრულებასა და ხარისხზე. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში საჭიროა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ინოვაციური მოდერნიზაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება ქრონიკულ დაავადებათა პრევენციული

და თერაპიული მოდელების გამოყენებაზე. ეს საშუალებას მოგვცემს, რადიკალურად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხარისხი, რასაც აშშ-ის გამოცდილებაც მოწმობს.

დასავლეთში პრევენციულ ღონისძიებათა ერთობლიობის დასადგენად შემუშავებულია მრავალი ქრონიკული დაავადების: შაქრიანი დიაბეტის, არტერიული ჰიპერტენზიის, დეპრესიის და სხვათა პრევენციის ბიზნეს-მოდელები. აღნიშნულ მოდელებში აღწერილია რისკის ფაქტორთა მოდიფიკაციის მიმართულებები; პრევენციის ღირებულება მაღალი და დაბალი რისკის მქონე ინდივიდთა ჯგუფებისთვის.

დღესდღეობით დამსაქმებლები უკვე აცნობიერებენ, რომ დასაქმებულთა არასათანადო ჯანმრთელობა აისახება არა მარტო თვით თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე, არამედ აგრეთვე – მათი ბიზნესის ფინანსურ „ჯანმრთელობაზე“. ამიტომ აშშ-ში დიდ ფირმათა 35-60% და მცირე ფირმათა 10-32% თავის თანამშრომლებს გარკვეული ტიპის პრევენციულ პროგრამებს სთავაზობს. თანამშრომელთა ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სარგებელი უნდა გახდეს ყველა დამსაქმებლის სტრატეგიული ბიზნეს-მოდელის ფუნდამენტური ნაწილი, როგორც მართვის გარდაუვალი ხარჯი” (Tracey Moorhead, The Care Continuum Alliance-ის პრეზიდენტი, 2009).

მნიშვნელოვანია, საქართველოშიც გაჩნდეს დამსაქმებელთა ინტერესი პრევენციული პროგრამების განხორციელებისადმი. ასეთი პროგრამები ბიზნეს-მოდელის შემადგენელი ნაწილია. ქრონიკულ დაავადებათა განვითარებას ძირითადად მოზარდობის პერიოდში ეყრება საფუძველი. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა (სმსდ) პრევენციული პროგრამების შემუშავება, რადგან, ჩვენს მიერ ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით, მათი გავრცელება საქართველოს 14—21 წლის მოზარდთა შორის საკმაოდ მაღალია — 19,5%.

მასალა და მეთოდები. ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდით. შევისწავლეთ დემოგრაფიული, გენეტიკური, კვებითი, ფსიქოსოციალური და გარე სამყაროს სხვა რისკის ფაქტორთა სიხშირეები სმსდ-ის მქონე (I ჯგუფი), რისკის ქვეშ მყოფ (II ჯგუფი) და პრაქტიკულად ჯანმრთელ (III ჯგუფი) მოზარდებში.

I ჯგუფის მოზარდთა შორის არსებულ რისკის ფაქტორთა სიხშირეები შევადარეთ II და III ჯგუფში არსებულ შესაბამის სიხშირეებს, რითაც დადგინდა გვიანი პრედიქტორების ზეგავლენის დონეები სმსდ-თა ფორმირებაზე, ხოლო I და III ჯგუფის შედარებით გამოვლინდა ადრეული პრედიქტორების

მნიშვნელობები შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR) მიხედვით.

რისკის ქვეშ მყოფ და პრაქტიკულად ჯანმრთელ მოზარდთა ჯგუფებში გასატარებელ ღონისძიებათა რანჟირებული ნუსხა წარმოდგენილ იქნა რანჟირებული თანმიმდევრობით OR-ის მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე შევიშუშავეთ სათანადო პრევენციული მოდელები, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს შესაბამისი ბიზნეს-მოდელების შემუშავებასა და რედიზაინს.

შედეგები და მათი განხილვა. ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელ მოზარდებში საჭიროა ისეთი ადრეული პრედიქტორების ზეგავლენის შემცირებაზე ზრუნვა, როგორებიცაა: კვებითი და მედიკამენტური ალერგია, მწვავე ვირუსული ჰეპატიტის გადატანა, სშირი კვებითი მონამვლები, შფოთვის დონის მატება, ცხიმიანი საკვების ჭარბად მიღება, 3-ზე მეტი ბავშვთა ინფექციური დაავადების გადატანა; აგრეთვე — კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, უარყოფითი ემოციები ჭამამდე ან ჭამის დროს, არარეგულარული კვება, სიჩქარე კვების დროს, თამბაქოს მოხმარება; ჯანმრთელობის მდგომარეობის დაბალი თვითშეფასება, ჰიპოდინამია (ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

ადრეული პრედიქტორების სისშირეთა განაწილება და შანსების თანაფარდობები

ადრეული პრედიქტორები	sixSireTa განაწილება (%)		d	p	ლ*
	I ჯგუფი	II და III ჯგუფები			
1. კვებითი და მედიკამენტური ალერგია	6,5±2,5	0	2,54	0,0055	&
2. მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	10,2 ±3,0	2,3±1,5	2,29	0,011	4,82
3. სშირი კვებითი მოჭამულები	7,6 ±2,7	1,8 ±1,4	1,93	0,0268	4,49
4. შფოთვის მაღალი დონე	44,2 ± 5,0	15,6 ±3,7	4,36	<0,0001	4,29
5. ცხიმიანი საკვების ჭარბად მიღება	49,9±5,0	21,9±4,2	4,09	<0,0001	3,55
6. ბავშვთა ინფექციები (3-ზე მეტი)	23,1 ± 4,32	7,9 ± 2,7	2,95	0,0016	3,5
7. კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში	15,7 ±3,6	6,3±2,5	2,11	0,0174	2,77
8. უარყოფითი ემოციები ჭამამდე ან ჭამის დროს	29,2±4,5	14,3±3,6	2,53	0,0057	2,47
9. არარეგულარული კვება	27,0 ± 4,4	13,6±3,5	2,32	0,0102	2,35
2. 10. სიჩქარე კვების დროს	22,3±4,2	11,4±3,3	2,05	0,0202	2,23
11. თამბაქოს მოხმარება	20,4 ± 4,1	10,8 ± 3,2	1,83	0,0263	2,12
12. ჯანმრთელობის მდგომარეობის დაბალი თვითშეფასება	37,1±4,8	21,9 ±4,2	2,33	0,0099	2,1
13. ჰიპოდინამია	49,9±5,0	37,5±5,0	1,75	0,0401	1,66

სმსდ-თა განვითარების რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება ისეთი რისკის ფაქტორების შესამცირებლად, როგორიცაა: კვებითი დარღვევები, ქრონიკული გადატვირთვები, ფსიქოემოციური დაძაბულობა, მოზარდის მავნე ჩვევები, სიმსუქნე, არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები, გადატანი-

ლი დაავადებები, კომპიუტერისა და ტელევიზორის გადამეტებული გამოყენება, ეგზოგენური ფაქტორები (ცხრილი №2; დიაგრამა №2).

მართალია, სმსდ-ით დამძიმებული მეტკვიდრეობა საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს აღნიშნულ დაავადებათა ფორმირებაზე (R=11,5), მაგრამ ის პრაქტიკულად არამართვად ფაქტორებს განეკუთვნება.


ცხრილი № 2

მოზარდებში სმსდ-თან ასოცირებულ ძირითად რისკ-ფაქტორთა სისშირეთა განაწილება (%) და შანსების თანაფარდობები (OR)

რისკის ფაქტორები (p < 0,0001)	sixSireTa განაწილება (%)		d	ლ
	I ჯგუფი	II ჯგუფი		
1. კვებითი დარღვევები	97,6 ± 1,7	60,7 ± 2,6	6,5	26,3
2. ქრონიკული გადატვირთვები	96,4 ± 2,0	63,6 ± 2,6	5,89	15,3
3. ფსიქოემოციური დაძაბულობა	91,3 ± 3,1	46,2 ± 2,7	7,45	12,2
4. სმსდ-ით დამძიმებული მეტკვიდრეობა	67,5 ± 5,3	15,3 ± 1,9	9,7	11,5
5. მოზარდის მავნე ჩვევები	55,0 ± 5,7	19,2 ± 2,2	6,43	5,14
6. სიმსუქნე	40,5 ± 5,4	13,3 ± 1,8	5,74	4,62
7. არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები	46,4 ± 5,5	18,8 ± 2,1	5,30	3,74
8. გადატანილი დაავადებები	41,7 ± 5,4	18,8 ± 2,1	4,45	3,09
9. კომპიუტ. ტელევიზორის გადამეტებული გამოყენება	66,7 ± 5,2	42,2 ± 2,7	4,03	2,74
10. ეგზოგენური ფაქტორები	48,8 ± 5,6	27,2 ± 2,4	3,75	2,55

დიაგრამა № 2

მოზარდებში სმსდ-თან ასოცირებული რისკის ძირითადი ფაქტორები რანჟირებული თანმიმდევრობით (OR-ის მიხედვით)



1. კვებითი დარღვევები (OR₁);
2. ქრონიკული გადატვირთვები (OR₂);
3. ფსიქოემოციური დაძაბულობა (OR₃);
4. სმსდ-ით დამძიმებული მემკვიდრეობა (OR₄);
5. მოზარდის მავნე ჩვევები (OR₅);
6. სიმსუქნე (OR₆);
7. ადამაკაყოფილებელი ცხოვრების პირობები (OR₇);
8. გადატანილი დაავადებები (OR₈);
9. კომპიუტერის, ტელევიზორის გადამეტებული გამოყენება (OR₉);
10. ეგზოგენური ფაქტორები (OR₁₀).

ჩვენს მიერ შემუშავებული პრევენციული მოდელები შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი პრევენციული პროგრამების შესადგენად, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა საფუძვლად დაედოს შესაბამისი ბიზნეს-მოდელების შემუშავებას. ეს კი საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებათა გავრცელების შემცირებისთვის საჭირო მეცნიერულ საფუძველს შექმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. BUSINESS MODEL FOR THE PREVENTION OF CHRONIC DISEASE. Jan 2011. <http://www.gpgc.com.au/getFileLibFile.aspx?FK=1694>
2. И. В. Кузьмин. // Реинжиниринг управления в визуализационной медицине. 1996. <http://oncodome.narod.ru/re-engineering.htm>
3. Farshad Fani Marvasti, M.D., M.P.H., and Randall S. Stafford, M.D., Ph.D. // From Sick Care to Health Care — Reengineering Prevention into the U.S. System. N Engl J Med 2012; 367:889-891. September, 2012. <http://www.nejm.org/doi/full/10.1056/NEJMp1206230>
4. მ. ჩიქავა. // საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა ზოგიერთი ნამლის ზემოქმედების გამოყენებით. დის. მედ. დოქტ. ხარ. მოსაპოვებლად. 2009.
5. BUSINESSES AND OTHER EMPLOYERS PROMOTING HEALTH AND DISEASE PREVENTION. U.S. Department of Health and Human Services. September 2003. <http://aspe.hhs.gov/health/prevention/index.shtml#BUSINESSES>
6. Maureen O Padden MD MPH. CDR MC USN (FS).// Disease Management: Proactive vs. Reactive? Reengineering for success. <http://www.slideserve.com/elina/disease-management-proactive-vs-reactive-reengineering-for-success>
7. Outcomes Research Workshop (ORW) - Randy Stafford, Stanford - Re-Engineering Prevention and Chronic Disease Management: Can We Escape Cultural, Economic and Technological imperatives. February, 2010. <http://event.uchicago.edu/maincampus/detail.php?guid=CAL-402882f8-264c390d-0126-574d3298-0000027ceventscaledar@uchicago.edu>
8. Christensen R. Employment-based health promotion and wellness programs. Employee Benefit Research Institute. 2001 (July); 22(7):1-6

საჯარო საქმის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიზაციის საკითხები

ლევან გრიგალაშვილი, სტუ-ს პროფესორი.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საჯარო სექტორის (საბიუჯეტო ორგანიზაციების) ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიზაციის საკითხები. დასაბუთებულია საქართველოს საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის განხორციელების აუცილებლობა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება. შემოთავაზებულია სტანდარტის მოდელი - "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა"

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, სტანდარტი, აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები, ხარჯები, დაფინანსება, საბალანსო ღირებულება, სააღრიცხვო პოლიტიკა.

Summary

Issues Concerning the Standardization of the Public Sector Financial Accounting

The thesis concerns the issues of standardization of the public sector (budget institutions) financial accounting. Hereby, the thesis substantiates the necessity of implementing the public sector accounting reforms and bringing them into harmony with international standards. There is suggested a standard model — «Presentation of Financial Reporting».

Key words: financial accounting, standard, assets, liabilities, revenues, expenses, financing, balance value, accounting policy.

* * * * *

საჯარო სექტორის ორგანიზაციებში ფინანსური ანგარიშგების შედგენა და წარდგენა საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის ერთ ერთი მნიშვნელოვანი პროცედურული ეტაპია. ჭეფინანსური ანგარიშგების მეშვეობით, დაინტერესებული მხარეები ლეზულობენ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვისა და გამოყენების შესახებ. დღეის მდგომარეობით საქართველოში ამ პროცესებს არეგულირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის წესებს და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში, საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა დღევანდელი მარეგულირებელი აქტები ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო სრულყოფილებისაგან, უფრო მეტიც, დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკისაგან. უუნდა აღინიშნოს თუნდაც ის, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები ჯერ კიდევ წარადგენენ კვარტალურ ბუღალტრულ ანგარიშგებას, მაშინ როდესაც საერთაშორისო ნორმები მხოლოდ წლიური ანგარიშგების

წარდგენას ითვალისწინებენ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბუღალტრული (ფინანსური) ანგარიშგება გადატვირთულია ისეთი მარეგულირებით, რომლებიც დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პიებისათვის რაიმე სასარგებლო ინფორმაციას არ იძლევა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის NNN97 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესები“. აღნიშნული მიჩნეული იქნა სტანდარტების დანერგვამდე გარდამავალ ღონისძიებად, თუმცა ამ დოკუმენტიდან გამომდინარეობს, რომ მთავარ მიზანს წარმოადგენს არა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არამედ ამ სტანდარტების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდზე გადასვლა, რომლის მიღწევაც 2020 წლამდეა ნაგარაუდები. ჩგარდა იმისა, რომ ორიენტირად აღებულია საკმაოდ დიდი პერიოდი, ჯერჯერობით შემუშავებული არ არის კონკრეტული ღონისძიებები, თუ რა პერიოდში რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო წესებს შეესაბამებოდეს. ჩვენი აზრით, პირველ რიგში შესამუშავებელია საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების რეფორმირების კონცეპტუალური საკითხები, რომელიც უნდა მოიცავდეს ისეთ პოსტულატებს, როგორცაა: რეფორმის მიზანი; ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები; ფინანსური ანგარიშგების შემადგენლობა; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნობრიობა; ფინანსური ანგარიშგებისა და საბიუჯეტო დაგეგმვის ურთიერთკავშირი; საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რაოდენობა, სტრუქტურა და შემადგენლობა; სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის თანმიმდევრობა;

- რეფორმის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს:
 - სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის ხარისხის ამაღლება, მათი ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესახებ;
 - ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
 - სახელმწიფო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება;
 - სახელმწიფო სექტორის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის სანდოობის ამაღლება;
 - ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შეფასების შესაძლებლობათა გაზრდა;
 - სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება;
 - საბუღალტრო, სტატისტიკურ და საბიუჯეტო ანგარიშგებებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა და სხვ.

მოცემულ სტატიაში შევეცდებით წარმოვადგი-

ნოთ სტანდარტის მოდელი — “საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა”. მიგვაჩნია, რომ ამ სტანდარტმა უნდა დაადგინოს საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებელთა ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები, აგრეთვე ამ სუბიექტების მიერ ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის საჯაროობის პრინციპები, კერძოდ იმ მაჩვენებლებისა, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო გამოქვეყნებას. სტანდარტის დებულებები თანაბრად უნდა გავრცელდეს საჯარო სუბიექტების, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ (ბულალტრულ) ანგარიშგებაზე.

სტანდარტის მოთხოვნები არ უნდა გავრცელდეს სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაზე, რომელიც მოითხოვება ზემდგომი ორგანოების მიერ, აგრეთვე საგადასახადო, მმართველობითი, სტატისტიკური და სხვა განსაკუთრებული ტიპის ანგარიშგებაზე.

სტანდარტში უნდა განიმარტოს ისეთი ტერმინები, როგორცაა: აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები, ხარჯები, საკასო და დარიცხვის მეთოდები, სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი კომერციული ორგანიზაციები (კერძო სამართლის იურიდიული პირები), გაცვლითი ოპერაციები, საანგარიშო პერიოდი, არსებითობა, წმინდა აქტივები და სხვ.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უნდა იძლეოდეს სანდო ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ საანგარიშო პერიოდში. კერძოდ, ფინანსური რესურსების წყაროებისა და მათი გამოყენების მიმართულებების, დაფინანსების სახეების, მიღებული ფინანსური სახსრების დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის, მიღებული მატერიალური რესურსების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შესახებ და სხვ.

ამ მიზნის მიღწევისათვის საჯარო სექტორის ორგანიზაციები თანმიმდევრულად უნდა იყენებდნენ შემუშავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს ცალკე სტანდარტი — “საჯარო სექტორის ორგანიზაციების სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასებები”.

სტანდარტის ძირითადი პოსტულატები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები წარმოდგენილი უნდა იყოს გამლილად, თუ სხვა რომელიმე ნორმატიული აქტით არ მოითხოვება მათი ურთიერთ გადაფარვა.

2. ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში აისახება წმინდა შემოსულობების ან გასავლების სახით “ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობის შესახებ” სტანდარტის შესაბამისად.

3. ფინანსური ანგარიშგების მონაცემები გამყარებული უნდა იყოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგებით.

4. ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მაჩვენებლებს, მუხედავად მათი ადგილმდებარეობისა.

5. ფინანსური ანგარიშგების თითოეულ ფორმაში მოცემული უნდა იყოს:

- ორგანიზაციის დასახელება (აგრეთვე მისი შეცვლის შემთხვევაში ნებისმიერი ცვლილება);

- ინფორმაცია იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ ერთი სუბიექტის მაჩვენებლებს, თუ იგი არის კონსოლიდირებული ანგარიშგება;

- საანგარიშო პერიოდს ან საანგარიშო თარიღს, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე;

- ანგარიშგების მაჩვენებელთა ზომის ერთეულს.
6. საჯარო სექტორის ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგება უნდა შედგეს ქართულ ენაზე.

7. საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საანგარიშო წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. საანგარიშო პერიოდში შექმნილი ორგანიზაციებისათვის პირველ საანგარიშო პერიოდად ითვლება პერიოდი მათი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით.

8. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების წესი (მისი ინტერნეტში განთავსება) დგინდება ცალკე ნორმატიული აქტით. საჯარო სექტორის იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ნებაყოფლობის საფუძველზე ახდენენ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებას, უნდა დაიცან მოცემული სტანდარტის მოთხოვნები.

9. ფინანსური ანგარიშგების საჯარო გამოქვეყნება ორგანიზაციის მიერ, იმავდროულად ნიშნავს, რომ სამეურნეო სუბიექტი აგრძელებს თავის საქმიანობას და ახლო მომავალში არ არის გათვალისწინებული მისი ლიკვიდაცია. თუ სამეურნეო სუბიექტის ლიკვიდაცია იგეგმება, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ჩარდა ზემოაღნიშნულისა მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების განხილული სტანდარტი უნდა მოიცავდეს ისეთ განმარტებებს, როგორცაა აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად, თითოეული ანგარიშგების ტიპიურ ნიმუშს, წარდგენის თარიღს და სხვ.

მიგვაჩნია, რომ მოცემული კონცეპტუალური პოსტულატები შეიძლება საფუძვლად დაედოს საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შემუშავებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ სფეროში რეფორმირების პტოცესების დაჩქარებას და საერთაშორისო ნორმებთან მათ დაახლოებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. გრიგალაშვილი - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბულალტრული აღრიცხვა, თბ., 2011წ.
2. ლ. გრიგალაშვილი - საბულალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ძირითადი მიმართულებები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., 2006წ.
3. ი. მესხია, დ. ჯალალონია — ბულალტრული აღრიცხვა ბასს-ით, თბ., 2010 წ.
4. ზ. ლიპარტია, ლ. ჭუმპურიძე — საქართველოში ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკის ქრილში. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2011 წ.
5. საქართველოს კანონი ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. თბ., 2012წ.
6. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესები. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის NNN97 ბრძანება.

**ქიზაზი მარკეტინგის განვითარებისთვის ჯანდაცვის სფეროში
(საკურორტო მეურნეობის მაგალითზე)**

Summary
Finding ways of marketing
development in the health sector
(Example: resort economy)

The article refers to the following reasons for requiring special attention of the government to health care: The social functions of the industry, its high rate of growth, deepening differentiation of its product, information asymmetry among patients, doctors, insurance companies and others. The article raises the question about the use of government, international and consumer marketing in this industry at the example of the resort health care, in which Georgia has unique healing natural resources. According to the authors, the solution to this problem requires governmental and intergovernmental efforts and, first of all, making of disease mapping and related resort resources.

Резюме

К причинам, требующим особое внимание правительства к здравоохранению, в статье отнесены: социальные функции этой отрасли, высокие темпы её роста, углубление дифференциации её продукта, асимметричность информации в средах пациентов, докторов и страховых компаний и др. Поставлен вопрос об использовании правительственного, международного и потребительского маркетинга в этой отрасли на примере курортного медицинского обслуживания, в сфере которого Грузия располагает уникальными лечебными природными ресурсами. По мнению авторов, решение этой проблемы требует правительственных и межправительственных усилий и, прежде всего, по составлению карт заболеваемости и соответствующих курортных ресурсов.

* * * * *

ბოლო ათწლეულებში ჯანდაცვის ეკონომიკის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა კითხვა, რამდენად არის ჩართული სამედიცინო მომსახურება საბაზრო წრებრუნვაში და რა ტემპით იზრდება ეს ჩართულობა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანამ იგი ბუნებრივად და კანონზომიერად წამოსწია წინ. მაგრამ სწორი არ იქნებოდა მის გამო ყურადღება მოგვეკლო სამედიცინო მომსახურების როგორც საზოგადოებრივი საქონლის (საზოგადოებრივი სიკეთის) სოციალური ფუნქციებისთვის, რომლებიც საზოგადოების მხრივ ამ სფეროს რეგულირებას ითხოვენ.

პროცესები კი პოსტსაბჭოთა ხანაში სწორედ

*მერაბ გველესიანი, სტუ-ს პროფესორი
ნათან თაფლიაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

ამ არასწორი გზით ვითარდებოდა: სახელმწიფო თითქოს გაურბოდა პასუხისმგებლობას ჯანდაცვაზე და იცილებდა მისი რეგულირების ფუნქციებს. მხოლოდ ბოლო წლებში ჯანდაცვაში განხორციელებულმა რეფორმამ შეცვალა მიდგომა, მაგრამ ჯერ წინაა დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი უზრუნველყოფა საჭირო ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით. ცხადია, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მთავრობას, რომელიც უნდა დაეყრდნოს მეცნიერულ გამოკვლევებსა და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს. ჩვენი მიზანია შევექმნათ ერთი წინაპირობა ასეთი საქმიანობისთვის მარკეტინგის განვითარების ასპექტით.

ჯანდაცვის სფეროს პრობლემების აქტუალობას მხოლოდ მისი სოციალური ფუნქციები არ განაპირობებენ. იგი უკავშირდება დარგის სწრაფ ზრდასაც, რომელიც ახსნას ითხოვს. ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ნობელიანტმა პოლ სამუელსონმა და ვილიამ ნორდჰაუსმა ჯანდაცვის წინააღმდეგობრივ პრობლემებს ცალკე მოზრდილი ქვეთავი დაუთმეს. ეკონომიკის სახელმძღვანელოში¹, რაც უჩვეულო შემთხვევაა ეკონომიკის ზოგადი კურსისათვის: ზოგადი კურსი ხომ ცალკე დარგების ანალიზს კი არ აერთიანებს, არამედ მათ საერთო ნიშნებსა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს ადგენს.

ქვეთავში ავტორები მოგვითხრობენ დისკუსიაზე, რომლის ფონზეც 1993 — 94 წლებში აშშ - ში განხორციელდა ჯანდაცვის მათი აზრით წარუმატებელი რეფორმა. დისკუსიაც და თვით რეფორმაც იყო სწორედ ამ დარგის ჰიპერტროფიული ზრდის გამოდახილი: სამედიცინო მომსახურებაზე მომხმარებელთაგან განეული ხარჯის ხვედრინონამ აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 14% - ს მიაღწია და დაახლოებით 7-ჯერ გადაამეტა ქვეყნის თავდაცვაზე განეულ ხარჯს. საკითხთან - რამდენად არის გამართლებული ასეთი ზრდა - ერთად იშვა საკითხი, რამე ხომ არ იღონოს ხელისუფლებამ პროცესის დასარეგულირებლად. დისკუსიისა და რეფორმის წარუმატებლობაზე ავტორთა საუბარი და ჯანდაცვის წინააღმდეგობრიობის მათეული ანალიზი, ვფიქრობთ, თეორიულ საფუძველს უქმნის ამ სფეროსთვის ახალი მექანიზმების ძიებას. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს ზრდის მიზეზებს, ავტორები გამოყოფენ სამს. ესენია: სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა (1), ამ სფეროს ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება (2) და ფასისგან მომხმარებ-

ლის მზარდი იზოლაცია (3). ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ სამედიცინო მომსახურების ღირებულების დიდ ნაწილს იხდის მესამე პირი - სახელმწიფო ან კერძო მზღვეველი და მომხმარებელს ფასი დიდად აღარ აინტერესებს. როცა ფასას იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, მართლაც რილასთვის შეინუხებს თავს მომჭირნე მოხმარებაზე ფიქრით და ეს ხელოვნურად ზრდის მოთხოვნას. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ფასისგან იზოლაცია“ მოსახლეობის ღარიბ ფენებს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებს, როგორც საქართველოა, საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს პირველი რიგის მოთხოვნილება, რომელიც დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა „მესამე პირის“ ჩაურევლობის შემთხვევაში.

უთუოდ იმსახურებს ცალკე გამოკვლევას, რამდენად გაზარდა ამ მესამე ფაქტორმა საქართველოში მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის შემოღების მომდევნო პერიოდში და, საერთოდ, რა გავლენას ახდენს იგი ამ სიკეთის რაციონალურ მოხმარებაზე, ფასებზე და ა.შ., მაგრამ ჩვენი ძიების კუთხით უფრო მნიშვნელოვანია პირველი მიზეზი და კიდევ უფრო მეტად - მეორე.

დარგის სწრაფი ზრდა უწინარესად იმაზე მეტყველებს, რომ თავიანთი შემოსავლის ზრდისას შინამეურნეობები ნაზრდის მეტსა და მეტ ნაწილს ჯანმრთელობას ახმარენ. მოთხოვნის ზრდა აძლევს ბიძგს ტექნოლოგიების განვითარებას, ხოლო ახალი ტექნოლოგიები - დიაგნოსტიკა-მკურნალობისა ქირურგიის ახალი ტექნიკური თუ ცოდნისმიერი მეთოდ-საშუალებები აჩენენ ახალ მოთხოვნილებებსა და ახალ მოთხოვნას. ძლიერი სახელმწიფოები დიდ თანხებს ახმარენ ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების შექმნას, რომლებსაც შემდეგ სხვა ქვეყნებიც იძენენ. ნოვაციები ინვესტენ სამედიცინო მომსახურების დიფერენციაციას არა მარტო ამ პროდუქტის (ამ მომსახურების) ახალი სახეობებისა და ნაირსახეობების წარმოშობით, არამედ იმითაც, რომ მათ ზოგი ორგანიზაცია სწრაფად და კარგად ითვისებს, ზოგი - ნელა და ცუდად ან სულაც უარს ამბობს მათ გამოყენებაზე და ძველ ტექნოლოგიებს სჯერდება. ეს დიდად არის განპირობებული იმით, რომ თეორიული სამედიცინო ცოდნის მარაგი, რომელიც თვითონ არის ტექნოლოგიათა განუყოფელი ნაწილი მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევებთან ერთად, კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დარგი.

სამედიცინო მომსახურების სახეობათა დიფერენციაცია დღეს ისე შორს წავიდა, რომ ნებისმიერი პოტენციალის ქვეყანას გაუძნელდება მიაღწიოს ლიდერობას ერთდროულად მისი ყველა სახეობის მიხედვით. მოთხოვნის ზრდასთან ერთად ეს ინვესტს საერთაშორისო სამედიცინო ტურისტული ნაკადების ზრდას. მით უფრო მნიშვნელოვანია დარგის განვითარების სამთავრობო

რეგულირება, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს პრიორიტეტული ქვედარგების, როგორც სტრატეგიული ორიენტირების, გამოყოფა. ესეც უთუოდ არის ცალკე კვლევის საგანი, მაგრამ უეჭველია, რომ ამ ქვედარგთა შორის საქართველოში უწონარესად საკურორტო სამედიცინო მომსახირება მოიზრება, რადგან ქვეყანა უნიკალურ სამკურნალო ბუნებრივ რესურსებს ფლობს.

საკურორტო სამედიცინო მომსახურება თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ბევრ სხვა დარგთან, უწინარესად ტურიზმთან, სატუმრო მეურნეობასთან, აგრეთვე, სოფლის მეურნეობასთან, ტრანსპორტთან და ა.შ. მათთან კავშირებით იგი წარმოქმნის საკურორტო - ტურისტულ მეურნეობას. ეს ერთერთია იმ დარგთაგან, რომელთაც გასული საუკუნის 90 - იანი წლების საქართველოში სხვა დარგებზე მკვეთრი დაცემა განიცადეს, რაშიც დიდი როლი ითამაშა საბჭოური ორგანიზაციულ - მმართველობითი სტრუქტურების მოშლამ და კავშირების განწყვეტამ. შემდეგ მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ პროცესები ცალმხრივად განვითარდა - ნაკლებად შეეხო საკურორტო სამედიცინო მომსახურებას. ანუ ქვეყნის საკურორტო პოტენციალის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელი დარჩა, გარკვეულ ნაწილს კი იყენებს „ველური“ წესით ჩამოსული ტურისტი და ამ შემთხვევაში ძნელია განსაზღვროს სამკურნალო ბუნებრივი რესურსების ეფექტიანობა როგორც მისთვის პირადად, ისე ქვეყნისათვის.

მარკეტინგი გვესახება იმ საშუალებად, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ პოტენციალის ამოქმედებასა და მისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვაში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ჯერ კიდევ ცალკეული მტრისებით მოხაზული მექანიზმი მხოლოდ ამ სფეროში კი არ იქნება გამოსადეგი, არამედ სამედიცინო მომსახურების სხვა სფეროებშიც. ზოგადად თუ ვიტყვით, იგი მდგომარეობს იმაში, რომ ჯანდაცვის წინააღმდეგობრივ პრობლემათა გადასაწყვეტად მოვიშველიოთ მომხმარებლის, სამთავრობო და, აგრეთვე, საერთაშორისო მარკეტინგი მათი ელემენტების შეწყვილებით მიმწოდებლის მარკეტინგთან.

რა პირობები ამზადებს ასეთი მარკეტინგული „ჰიბრიდის“ შექმნას, რისთვის გჭირდება იგი? და თუ მთავრობის როლი ასე თუ ისე კიდევ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რისთვის გვჭირდება მომხმარებლის მარკეტინგი? გვჭირდება იმისთვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება მიმწოდებელთა შორის ანუ იმისთვის, რომ იგიც მოგებული დარჩეს და მისმა არჩევანმა წარმოაჩინოს უკეთესი მიმწოდებელიც, რათა საბოლოო ანგარიშით მოგებული დარჩეს მთელი საზოგადოება. მარკეტინგი, ზოგადად თუ ავიღებთ, არ არის მეთოდი მომხმარებლის მოტყუებისა და „წყალქვეშა“ ან თუნდ „წყალზედა“, მაგრამ არაეთიკური პრინციპებით კონკურენტის

დამარცხებისა. ასეთად მას აქცევს მომხმარებლის მარკეტინგის განუვითარებლობა. ხოლო განუვითარებელია იგი მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობის გამო. გაფანტული, გათითოვებული მომხმარებლისათვის ინფორმაციის წყარო ხშირად მხოლოდ რეკლამაა და მას უჭირს განსაზღვროს, რომელ მიმწოდებელს მიაკითხოს - ვინც აცხადებს, რომ ლიდერია - ვთქვათ, ფარმაციის ბაზარზე, - თუ ამავე ბაზრის ლიდერთა შორის ლიდერად აცხადებს თავს. მეორე წყაროა მოარული ხმები მომხმარებლის დონის შესახებ, რომელთა მოსმენა შესაძლებელია ახლობელთა ან ახლობლის ახლობელთა წრეებში.

პ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსი ჯანდაცვის ერთერთ პრობლემად სწორედ ინფორმაციის ასიმეტრიულობას ასახელებენ და აღწერენ სიტუაციას, როდესაც პაციენტი საერთოდ არის მოკლებული არჩევანის შესაძლებლობას. მსგავს სიტუაციებში მიმწოდებელი ასრულებს მომხმარებლისთვის მკურნალობისა თუ ქირურგიის მეთოდ - საშუალებათა შერჩევის ფუნქციას,

რაც, ავტორთა მონიშნებით, არ გამოორიცხავს არასწორი გზის განზრახ თავსმოხვევას. ეს მეთოდ-საშუალებები, ცხადია, ექიმმა უნდა შესთავაზოს პაციენტს, ოღონდ საჭიროა პაციენტის დაცვის მექანიზმებიც, რომელთა საფუძველიც უნდა შექმნას არჩევანის შესაძლებლობამ მთავრობის მიერ მოკვლეული და სისტემატიზებული ვარიანტებიდან. თუ მიმწოდებლისათვის მარკეტინგული საქმიანობის ამოსავალი და ფუძემდებლური ეტაპი მომხმარებლის საჭიროებათა გაგებაა, მომხმარებლისათვის ასეთი ეტაპი უნდა იყოს მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაგება, რასაც იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

„ჰიბრიდული“ მარკეტინგი არ უნდა გავიგოთ როგორც სამთავრობო მარკეტინგის შერწყმა ორგანიზაციების მარკეტინგთან ამ უკანასკნელის შეზღუდვის გზით. არც მომხმარებელს ეზღუდება პარალელური მარკეტინგული მოკვლევის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოისურვებს იგი ამის გაკეთებას თუ სამომხმარებლო საზოგადოების მეშვეობით. პირიქით, სამთავრობო მარკეტინგი მონოდებულია ხელი შეუწყოს მათს ამ საქმიანობას იმ ინფორმაციის მიწოდებით, რომლის მიწოდება მათ უძნელდებათ. ასეთი პრაქტიკა ხომ დღესაც არსებობს: ნებისმიერი სუბიექტისთვისაა ხელმისაწვდომი სამთავრობო სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ხშირად ამოსავალი მარკეტინგული ინფორმაციის როლს ასრულებს. მაგრამ სამთავრობო მარკეტინგის მისია ამით არ შემოიფარგლება. ეს ინფორმაცია თვით მთავრობისთვისაა საბაზისო თავისი მარკეტინგული საქმიანობის შემდეგი ეტაპისთვის: მან ხომ ამ საფუძველზე ჯანდაცვისა და შესაძლოა, აგრეთვე, სხვა დარგების განვითარების პროგრამები უნდა შეიმუშაოს. სწორედ მთავრობის ეს მარკეტინგული პროდუქტი (პროგრამები)

შეერწყმება ორგანიზაციების მარკეტინგულ პროგრამას, რადგან პროგრამებში ასახული იქნება ამ საქმიანობის პირობებზე მოქმედი ინსტრუმენტ-მექანიზმები (ვთქვათ, ნოვაციების სტიმულირება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.), რომლებიც დარგის განვითარებას საზოგადოების ინტერესების მიხედვით წარმართავს. მთავრობის ეს მარკეტინგული პროდუქტი შეერწყმება მომხმარებლისეულ მარკეტინგულ მოკვლევასაც — სისტემატიზებული (ადვილად ასარჩევი) სახით მიანვდის მას მის მიერ დამოუკიდებლად გასააზრებელ ფართო ინფორმაციას მიმწოდებელთა შედარებითი ანალიზისათვის და გაუადვილებს მას არჩევანის გაკეთებას.

ვვარაუდობთ, რომ სამთავრობო და ქვეყნის სუბიექტების მარკეტინგულ საქმიანობათა შერწყმა სხვა ფორმითაც მოხდება. მთავრობამ უნდა დაიყვანოს ეს პროდუქტი მის მომხმარებლამდე ანუ, ვთქვათ, პროგრამები დაიყვანოს ჯანდაცვის ორგანიზაციებამდე და სამედიცინო მომსახურების მომხმარებლებამდე, რაც აამალლებს მათი მარკეტინგული აზროვნებისა და საქმიანობის დონეს ანუ განავითარებს თვით მარკეტინგს. ამ პროცესში მოსალოდნელია გამოვლინდეს დაცილება საზოგადოებრივ (სამთავრობო), კოლექტივებისა და ინდივიდების ინტერესთა შორის და მთავრობის მარკეტინგული საქმიანობის ერთერთი ამოცანაა შეისწავლოს დაცილების მიზეზები ანუ გაარკვიოს თავისი მარკეტინგული პროდუქტის მომხმარებელთა პრეტენზიები და საჭიროებები, ამ საფუძველზე ან ცვლილებები შეიტანოს დარგის განვითარების სტრატეგიასა და მის შესატყვისად შედგენილ პროგრამებში, ან დაარწმუნოს მოპაექრენი მათი პრეტენზიების უსაფუძვლობაში.

რა თქმა უნდა, სოციალურ-ეკონომიკური მიზანდანიშნულების პროგრამებს მთავრობა ადრეც შეიმუშავებდა და კვლავაც შეიმუშავებს. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რამდენაა შედგენილი ისინი მარკეტინგული მიდგომით, რაც გაცილებით უფრო ფართო და შრომატევად მუშაობას ითხოვს. სანაცვლოდ, მისი ეფექტი დიდია. საკურორტო — სამედიცინო მომსახურების მაგალითზე ეს უფრო ნათლად გამოჩნდება.

გავიხსენოთ, რომ მარკეტინგულ საქმიანობის პირველი ეტაპი ბაზრის შესწავლაა ამ სიტყვის ფართო გაგებით: მიმწოდებლისათვის ეს არის მომხმარებლის საჭიროებებისა და რეალური თუ პოტენციური კონკურენტების ძალის გაგება, ხოლო მომხმარებლისათვის კი — მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაგება. ამ საფუძველზე ხდება გადასვლა მეორე ეტაპზე, რომლითაც მომხმარებელი ამთავრებს თავის მარკეტინგს, რაკი ირჩევს სასურველ მიმწოდებელს — წყვეტს საკითხს, რა იყიდოს და ვისგან, რომელ მიმწოდებელს უერთგულდებნოს ანუ ვისთან ააგოს სტრატეგიული კავშირურთიერთობა. მიმწოდებლისათვის ეს ეტაპი მისი სანარმოო საქმიანობის სანყისი ეტაპია, რომელსაც უნდა მოჰყვეს პროდუქტის შექმნა და მისი სვლა მომხმარებლისაკენ, რაც დამატებით მარკეტინგულ ძალისხმევას ითხოვს. ხოლო

ამ ეტაპზე მან უნდა გადაწყვიტოს, რა ანარმოოს, როგორ და ვისთვის (გავიხსენოთ ისიც, რომ ეს არის ეკონომიკის ორგანიზაციის სამი ფუნდამენტური საკითხი). ანუ მისგან შესწავლილ ბაზარზე მან უნდა გამოყოს მიზნობრივი სეგმენტი — მომხმარებელთა ის განსაკუთრებული ჯგუფი, რომლისთვისაც შექმნის მის საჭიროებებთან, მის გემოვნებასთან, ასაკთან, შეხედულებებთან, შეძლებასთან, ეთნოფსიქიკასთან და ა.შ. მისადაგებულ პროდუქტს. ცხადია, ამას თან ახლავს კონკურენტების შესწავლა — იმის გარკვევა, რამდენად სარისკოა ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე შესვლა.

საკურორტო მომსახურების თანამედროვე ბაზრის თავისებურებაა ის, რომ ზღვარი ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტებს შორის სულ უფრო პირობითი ხდება.

სამთავრობო მარკეტინგმა, საერთაშორისოსთან შეწყვილებით, მოსალოდნელია დააჩქაროს ეს პროცესი. ასეთი შედეგი მოსალოდნელია იმიტომ, რომ მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებლის დიფერენცირებულ შესწავლას — მისი იმ განსაკუთრებული კატეგორიის გამოვლენას, რომლისთვისაც, ვთქვათ, ახტალის ტალახია უებარი სამკურნალო საშუალება. და თუ ამ კატეგორიის გამოვლენა მსოფლიო მასშტაბით მოხდა და, ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ მსგავს საშუალებათა მარაგი დედამიწაზე შეზღუდულია, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ახტალამ ქვეყანას არანაკლები შემოსავალი მისცეს, ვიდრე, ვთქვათ, წყალტუბომ ან ბორჯომმა.

რა თქმა უნდა, ეს მაგალითი პირობითია და მხოლოდ იმიტომ, მოვიტანეთ, რომ საკურორტო მეურნეობის განვითარება ითხოვს როგორც ავადობის გავრცელების (მისი გეოგრაფიის), ისე ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ზედმინევენით შესწავლას პლანეტარული მასშტაბით.

გლობალური ბაზრის ცოდნა ბევრი სხვა ფაქტორის შესწავლასაც ითხოვს. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ შორეულ კურორტს პაციენტი ხშირად მხოლოდ სამკურნალო მიზნით არ ირჩევს — მას შეიძლება ჰქონდეს ტურისტული, საქმიანი ან სხვა მიზნებიც, რაც ასევეა მხედველობაში მისაღები. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, არის მომხმარებლისათვის შედგეს მსოფლიო რუკა, რომელზეც ადვილი საპოვნო იქნება ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის სამკურნალო თვისებები, მკურნალი ორგანიზაციებისა და სპეციალისტების პროფესიონალიზმი, მკურნალობის შედეგიანობის, თანამდე მომსახურებათა დონისა და ა.შ. აღწერა შესატყვისი პრეისკურანტების მითითებით, აგრეთვე, შეღავათების ჩვენებით, რომელთაც სხვადასხვა კატეგორიის პაციენტები ერთიმეორისაგან განსხვავებულ ვარიანტებში მიიღებენ. რუკა საჭიროა მოქმედი ან პოტენციური მიმწოდებლისათვისაც, ოღონდ - უფრო კონკრეტული. კონკურენტთა კონკურენტუნარიანობის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემებთან ერთად იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს პოტენციურ მომხმარებელთა შესახებ.

ერთიც და მეორეც მიეკუთვნება ურთულეს

ამოცანათა რიცხვს, რომელთა გადაწყვეტა ალემატე-ბა ცალკეული ორგანიზაციების შესაძლებლობებს. ურთულესია მთავრობისთვისაც, თუმცა მისთვის ხელმისაწვდომია მის ხელთ არსებული სხვადასხვა არხისა და საშუალების (საელჩოების, საქმიანი ურთიერთობების და ა.შ.) გამოყენების შემთხვევაში. შედარებით ეფექტიანი იქნებოდა ამ ამოცანების გადაწყვეტა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დონეზე. თუმცა, დასაწყისისათვის, ჩვენი წინადადების წარმატებული აპრობაციის შემთხვევაში სასურველია საქმე დაიწყოს თავდაპირველად ორი-სამი მეგობარი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების საფუძველზე.

ლია კვარაცხელია, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი;
დათო ქარაზანიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი.

Summary The main directions of Ergonomics

The main directions of economic development based on the intensification of production and efficiency. The scientific-technological revolution which transforms the production of all branches, Impacts on all areas of public life.

Ergonomics is a Greek word and means the “work of the law” (“Ergo” – Work, “Nomos” – Law). Ergonomics is the science that aims to create an optimal role in the system: “Man-machine” - Biology, physiology, functional anatomy, psychology and the technical assistance of modern advances in science, Find the most comfortable work and life conditions. Ergonomics science has been created at the end of 40-ies of XX century in England. Ergonomics integrated study of the functional capabilities of individuals with regard to the use of technical means of activity. At the beginning of the XX century in addition to offering techniques for complex types (Automobiles, locomotives, etc.) requiring a rapid response human psychological traits put forward new demands. When designing workplace ergonomics specialists rely on the knowledge of human anatomy and labor productivity in order for maximum work and minimal health losses. Discipline is also known under the name of the human factor.

Keywords: Ergonomics. Military Engineering. Scientific-Technical Revolution. Man-Machine. Modern Manufacturing and Technology. Engineering psychology.

* * * * *

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობის ამაღლება. მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც ახდენს წარმოების ყველა დარგის გარდაქმნას, ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებაზე. ერგონომიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კანონს მუშაობის შესახებ („ერგო” - მუშაობა, „ნომოს” - კანონი). ერგონომიკა არის მეცნიერება, როლის მიზანია შეიქმნას ოპტიმალური სისტემა: “ადამიანი-მანქანა” - ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფუნქციონალური ანატომიის, ფსიქოლოგიისა და ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების დახმარებით; გამოინახოს შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველაზე უფრო კომფორტული პირობები. ერგონომიკა შეიქმნა ხხის 40-იანი წლების დამლევს ინგლისში. ერგონომიკა კომპლექსურად შეისწავლის ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს ტექნიკურ საშუალებათა

გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ხხ ს. დასაწყისში ტექნიკის რთული სახეების (ავტომობილის, ლოკომოტივის და ა.შ.) შექმნასთან ერთად, რომლებიც ითხოვდნენ სწრაფ რეაქციას, ადამიანის ფსიქოლოგიური თვისებების მიმართ წამოყენებულ იქნა ახალი მოთხოვნები. ერგონომიკის სპეციალისტები სამუშაო პროექტირებისას ეყრდნობიან ადამიანის ანატომიის ცოდნას იმისთვის, რომ ადამიანებმა მაქსიმალური თვითგაღებითა და ჯანმრთელობისთვის მინიმალური დანაკარგებით იმუშაონ და აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. დისციპლინა აგრეთვე ცნობილია ადამიანური ფაქტორის სახელწოდებით.

ინგლისელმა ეკონომისტმა მარელმა 1967წ. გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „რატომ ერგონომიკა?”, სადაც ასახული იყო საზოგადოების აზრი ამ ახალ მიმართულებაზე. მეცნიერულ ტექნოლოგიური რევოლუცია განისაზღვრება, როგორც გადასვლა ტექნიკური ნაკეთობებიდან ტექნიკურ სისტემაზე, ადამიანი სულ უფრო თავისუფლდება შრომატევადი ფუნქციისაგან და მისთვის უფრო ძირითადი ხდება „მანქანის” მუშაობაზე პროგრამირების და კონტროლის ფუნქცია. ავტომატიზაციაზე გადასვლისას თანმიმდევრულად იზრდება ადამიანის, როგორც სუბიექტის როლი შრომასა და მართვაში. ადამიანს აკისრია პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური სისტემის ეფექტიან მუშაობაზე. წარმოების ავტომატიზაცია აუმჯობესებს შრომის პირობებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ავტომატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შემთხვევა და მოგვცეს რთული დაძაბულობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტექნიკის განვითარება, შრომის საერთო პირობების გაუმჯობესება, რიგ შემთხვევაში არასასურველი კუთხით გაძლიერებულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე (ჰაერის დაბინძურება, ტრადიციული ფონი, ეკოლოგიური პრობლემები და ა.შ.), ამიტომ შრომითი საქმიანობის პირობების ოპტიმიზაცია შეიძლება მხოლოდ სისტემის „ადამიანი შრომის საშუალება - შრომის საგანი-საწარმოო გარემო“-ს კომპლექსური პროექტირებით.

ერგონომიკის საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს შრომითი საქმიანობის კომპლექსური შესწავლა და პროექტირებით მოახდინოს შრომითი პირობებისა და პროცესების ოპტიმიზაცია, ასევე ახდენს მუშაკთა პროფესიონალურ დახელოვნებას. ერგონომიკის კვლევის საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობა, ხოლო კვლევის ობიექტს - სისტემაში „ადამიანი-შრომის საშუალება-შრომის საგანი-საწარმოო გარემო“. ასეთი სისტემის აღნიშნისათვის ხშირად იყენებენ შემოკლებულ ტერმინს „სისტემა - ადამიანი-მანქანა“[1].

თანამედროვე წარმოება და ტექნიკა, რომელიც აღჭურვილია რთული ტექნიკური სისტემებით, ადამიანს მოთხოვნას უყენებს იმუშაოს რთული ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობების ზღვარზე, ექსტრემალურ სიტუაციაში. მაგალითად, მფრინავების საქმიანობა ზოგიერთ თანამედროვე თვითმფრინავზე და განსაკუთრებით სამხედრო თვითმფრინავზე მოითხოვს ადამიანისგან უკიდურეს და შთაბეჭქდავ შესაძლებლობების გამოვლენას. ეს ვლინდება - გრავიტაციის ვექტორის შეცვლისას მხედველობითი ილუზიების პირობების დროს, გადანყვეტილების მიღებისას 2-3 წამში, პარალელური 3-5 ინფორმაციის ერთდროულად მიღების ბდროს, ერთ წუთში მფრინავის მიერ დაახლოებით 200-ჯერ შეხედვის ფიქსაციის დროს და ა.შ.

ნახევრად ავტომატიზირებულ და ავტომატურ ხაზებზე მაღალი მექანიზაცია აადვილებს ადამიანის შრომას, მაგრამ ამასთან ითხოვს სისწრაფეს ოპერაციის შესრულების დროს, რის შედეგად, მონაცემების საფუძველზე, ადამიანი ავადდება სხვადასხვა დაავადებებით (მაგ. სახსრები, კუნთები, ხერხემალი და ა.შ.). ეს ავადმყოფობები ვითარდება ნელ-ნელა, წლების განმავლობაში და მათ უწოდებენ „კუმულატიურ ტრამებს“. დაავადებების დიაგნოსტიკის დროს არც ისე ადვილია გამოვლინდეს მუშაობის უარყოფითი როლი ჯამრთელობაზე. ცნობილია კუმულატიური ტრამის მიღების რამდენიმე მდგომარეობა: გადაღლა, ხერხემლის გამრუდება, არასაკმარისი დასვენება და ა. შ. შრომითი საქმიანობის ოპტიმიზაცია და მისი პირობების განხორციელება, უნდა ქმნიდეს აუცილებელ წინაპირობას ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ჯამრთელობის შენარჩუნებისათვის. ეს საერთო კანონზომიერების ის კონკრეტული გამოვლინებაა, რომლის თანახმად მეცნიერულ-ტექნიკურ-ტექნოლოგიური რევოლუცია წინა რიგებზე აყენებს საკითხს ადამიანზე, არა როგორც უბრალო მომუშავეზე, არამედ როგორც პიროვნებაზე, რომლის ყოველმხრივი განვითარება მწარმოებლური ძალებისა და მთლიანად საზოგადოების განვითარების პირობა ხდება.

ადამიანის ტექნიკასთან ურთიერთობის პრობლემა ჯერ კიდევ ხლხ ს-ში წარმოიშვა, ხხ ს. დასასრულს კი მან ფუნდამენტური მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა მიიღო. ტექნიკური გარემოს უსაფრთხოება არის თანამედროვეობის გლობალური პრობლემა. კატაკლიზმები, ავარიები, ეკოლოგია და ა.შ. ინვევს ადამიანთა მსხვერპლს, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას, განუკურნებელ დაავადებას, ზიანს აყენებს ბუნებას, ინვევს სოციალური წონასწორობის დარღვევას და საბოლოოდ ჯამში ეს ყველაფერი დამანგრეველად მოქმედებს მოსახლეობის გენოფონდზე. გასულ საუკუნეში მომხდარი სამი უდიდესი ავარიის მიზეზი გასაოცარი მზგავსებით გამოიჩინა: 1979 წ ამერიკის ატომურ სადგურზე „სამი მილის კუნძული“, 1984წ ინდოეთის ქიმიურ ქარხანაში და 1986 წ ჩერნობილ-

ში მომხდარი ავარიების მიზეზი განპიროვნებული იყო დაპროექტებისას კომბინაციის უკმარისობის შედეგად. ორგანიზაციული და ადმინისტრაციული გამოთვლებისას დაშვებულმა შეცდომებმა მოგვცა უდიდესი უარყოფითი შედეგები. აქ დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა ავარიების წინაპირობა, რაც საბოლოოდ ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგი იყო. ჩერნობილის ავარიის გამომწვევი მიზეზების განხილვისას ფიქსირდა საშიში პრაქტიკა-ტექნიკური სისტემების დაპროექტებისას ადამიანის იგნორირება. ერგონომიკის, როგორც მეცნიერების სრულყოფის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საინჟინრო ფსიქოლოგიას. საინჟინრო ფსიქოლოგიისა და ერგოეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების ანალიზი საჭიროა დავიწყოთ პირველ რიგში ა.შ.შ. გამოცდილებით. სწორედ აქ ჩაისახა და განვითარდა ის დისციპლინები, რომლებმაც განაპირობა სამამულო ინჟინერული ფსიქოლოგიისა და ერგონომიკის რეალიზაცია. ეს უკავშირდება ა.შ.შ-ში სამრეწველო ტექნიკის და ადამიანური-ტექნიკური დისციპლინის კომპლექსურ დაჩამოყალიბებას. ისინი სწრაფად რეაგირებენ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ევოლუციაზე, რომლებიც წარმოქმნიენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით. ა.შ.შ-სა და ინგლისში ხხ ს-ის 40-იან წლებში საინჟინრო ფსიქოლოგიაში უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოები წარმოიშვა, რომელიცდაკავშირებული იყო სამხედრო ტექნიკის ობიექტების სრულყოფასთან. კერძოდ, სამხედრო ავიაციასა და შეიარაღების მართვასთან. ადამიანისეული ფაქტორის სფეროში იმ პერიოდის ცნობილ ავტირებს შორის უნდა აღინიშნოს ცნობილი ფსიქოლოგი სპეციალისტები: ჩაპანისა, მორგანი, სპლეიტა, მილერი, და სხვა. საინჟინრო ფსიქოლოგია- ესარის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით - სისტემას „ადამიანი-ტექნიკა“, მისი უფრო მაღალი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით. საინჟინრო ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს მართვისა და კონტროლის სისტემაში, ადამიანების ინფორმაციულ ურთიერთქმედებას ამ სისტემის ტექნიკურ მხარესთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია, ნ. გალახვარიძე, გ. ყურაშვილი, ლ. ბულია. საინჟინრო ეკონომიკური ფსიქოლოგია და ერგონომიკა, თბ; 2013წ;
2. Раздорожный А. А. Охрана труда и производственная безопасность: Учебно-методическое пособие — Москва: Изд-во «Экзамен», 2005. — 512 с. (Серия «Документы и комментарии»);
3. Федорович Г. В. Рациональная эпидемиология профессиональных заболеваний. — Saarbrücken, Deutschland: Palmarium Academic Publishing, 2014. — 343 с. — ISBN 9783639827224.;
4. В. М. Мунипов, В. П. Зинченко Эргономика. — Логос, 2001. — С. 356. — ISBN 5-94010-043-0..

ფახრალის ტუფის საბადო

*ნოდარ ფოფორაძე, სტუ-ს პროფესორი
ოლლა სესკურია, სტუ-ს პროფესორი
პეტრე ივანიშვილი, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ბოლნისის ტუფის საბადოზე განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ფახრალის უბანი, რომლის აგებულებაში, ძირითადად, მონაწილეობს ერთგვაროვანი ტუფები, მომწვანო ტუფობრეჭიები, დეკორატიული ტუფები, ტუფოგრაველიტები და ლიპარიტის მცირე სიმძლავრის დაიკები. ტუფობრეჭია და მომწვანო ფერის ტუფი გავრცელებულია უბნის ჩრდილოეთ, დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ ნაწილში, მწვანე ტუფები კი უბნის დასავლეთ ნაწილში. დეკორატიული ტუფები, ძირითადად, უბნის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული. ისინი ყვითელი, ღია—ყვითელი, იშვიათად მოყვითალო-ნაცრისფერია, რომელთა შორის გამოიყოფა შემდეგი სახესხვაობები: ნაყშებიანი, ლაქებრივი, ზოლებრივი და ერთგვაროვანი.

საკვანძო სიტყვები: ტუფი, ტუფობრეჭია, დეკორატიული ტუფი, ტუფიტი, ლავა.

* * * * *

საქართველოში მოსაპირკეთებელი ქვების მრავალი საბადო და მადანგამოვლინებაა ცნობილი. ქვეყანას ამ ქვების მოპოვებისა და დამუშავების დიდი გამოცდილება გააჩნია და მათი გამოყენება ათასწლეულებს ითვლის. მოსაპირკეთებელი ქვებიდან ერთ—ერთი გამორჩეულია ბოლნისის ტუფი, რომელიც სახესხვაობების მრავალფეროვნებით ხასიათდება. წარსულში მის გამოყენებას ადასტურებს ბოლნისის სიონისა და წულურულაშენის ეკლესიების მოპირკეთება.

ბოლნისის ტუფის საბადოზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფახრალის უბანი, რომელიც საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ართვინ—ბოლნისის ზონის (ბელტის) ბოლნისის ქვეზონაში მდებარეობს და ლოქისა და ხრამის კრისტალურ ფუნდამენტებს (მასივებს) შორის არის მოქცეული.

საბადოს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ბუნებრივი საზღვრები: ჩრდილოეთით — მდ. ხრამის ხეობა, სამხრეთით — ლოქის ქედი, დასავლეთით — დმანისის პლატო და აღმოსავლეთით — მარნეულის დაბლობი. საბადო ბოლნისის მადნიან რაიონს წარმოადგენს, რომელიც ამჟამად საქართველოს მთავარი სამთამადნო რეგიონია, იგი არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის (საქართველოს) ეკონომიკურ პოტენციალს (ფერადი და კეთილშობილი ლითონების, მოსაპირკეთებელი ქვები — ბაზალტი, ტუფი, დოლერიტი, სამშენებლო მასალები და

სხვა). შევჩერდებით ფახრალის ტუფის საბადოს დახასიათებაზე.

რეგიონი, რომლის საზღვრებშიც ბოლნისის ტუფის საბადო მდებარეობს, აგებულია ზედა ცარცული და მეოთხეული ნალექებით. ზედა ცარცი წარმოდგენილია ქვედა ტურონული, ზედა ტურონულ - კონიაკური და ქვედა სანტონურით. ეს უკანასკნელი ტერიტორიის უდიდეს ნაწილს იკავებს.

ქვედა ტურონული ნალექები მცირე ფართობზეა გავრცელებული რაიონის სამხრეთ ნაწილში. ისინი თანხმობით არის განლაგებული სენო-მანურ ნალექებზე და წარმოდგენილია უხეშნატეხოვანი ტუფებით, ტუფოქვიშაქვებით, ქვიშაქვებითა და მერგელიანი კირქვებით. წყებაში შემავალი ვულკანოგენური ქანები წარმოდგენილია კრისტალურ-ვიტროკლასტური, ვიტროკლასტური და ვიტრო-კრისტალო-ლითოკლასტური წარმონაქმნებით. წყების სიმძლავრე 500 მ-ს აღწევს.

ზედა ტურონულ-კონიაკური ნალექები რაიონის სამხრეთ ნაწილშია გავრცელებული. ისინი წარმოდგენილია წვრილ და მსხვილნატეხოვანი ვიტროკლასტური, ლითო-ვიტროკლასტური, ვიტრო-კრისტალოკლასტური ტუფებით, წვრილ და მსხვილმარცვლოვანი პოლიმიქტური და გრაუვაკული ქვიშაქვებით, ტუფოგრაველიტებით და კირქვების და კირქვიანი ქვიშაქვების მცირე სიმძლავრის დასტებით.

ქანების ლითოლოგიურ-პეტროქიმიური შესწავლა და ჭრილების ფაციალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტურონულ-კონიაკური ნალექების ქვედა ნაწილში დომინირებს დაციტური შედგენილობის სუბეარალური ქანები, ხოლო ზედა ნაწილში — ანდეზიტების ლავური პიროკლასტური წარმონაქმნები და ტუფიტები.

ქვედა სანტონური ნალექები ფართოდ არის გავრცელებული რაიონის ცენტრალურ ნაწილში და წარმოდგენილია, ძირითადად ლიპარიტული და დაციტური შედგენილობის ვულკანიტებით. ისინი თითქმის ყველგან უთანხმოდაა განლაგებული ტურონულ-კონიაკური ნალექების სხვადასხვა ჰორიზონტზე. ეს ქანები ასევე უთანხმოდ არის გადაფარული ზედა სანტონური ანდეზიტ-ბაზალტური ვულკანიტებით. ქვედა სანტონური ნალექების ასეთი განლაგება, როგორც ჩანს, განპირობებულია დანაოჭების სუბპერციინული (გვიანვარისკული) ფაზის ტექტონიკური მოძრაობებით.

აღნიშნული ნალექების ქვედა ნაწილი წარმოდგენილია ლიპარიტული შედგენილობის ვულკანიტებით, ფართოდ არის გავრცელებული იგნიმბრიტები, რომლებიც წარმოდგენილია საშუ-

ალო და მსხვილნატეხი იგნიმბრიტებითა და იშვიათად კრისტალურ-ვიტროკლასტური იგნიმბრიტებით (სიმძლავრე 300მ-მდე). ასევე ფართოდაა გავრცელებული აგლომერატული, ფსეფიტური და ალევრო-ფსამიტური, დაციტური და ლიპარიტული შედგენილობის ტუფები, ტუფოკონგლომერატების, ტუფოქვიშაქვების, ტუფოკირქვებისა და ტუფომერგელების დასტებით.

ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-ტერიგენული ნალექების სივრცობრივი განაწილება, ქანთა ლითოფაციალური ხასიათი გვიჩვენებს, რომ ქვედა სანტონური წყების წარმოქმნა მიმდინარეობდა წყალმარჩხი აუზის პირობებში. ქვედა სანტონური ვულკანური მოქმედების საწყის სტადიაზე მიმდინარეობდა ვულკანური ამოფრქვევა სუბაერალურ პირობებში და სანაპირო ზოლში, ხოლო შემდეგ მეჩხერწყლიან ზღვის აუზში.

რაიონის ჩრდილო ნაწილში გავრცელებულია ზედა მეოთხეული და თანამედროვე ნალექები. ისინი წარმოდგენილია ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური თიხებით, თიხნარით, ქვარგვალეებითა და ქვიშებით. ნალექების სიმძლავრე ფართო საზღვრებში იცვლება 1—2 - დან 50—60 მ-მდე. აღნიშნული ნალექები წარმოადგენს, ძირითადად ვულკანოგენური წარმონაქმნების გამოფიტვის შემდგომი პროდუქტების დალექვის შედეგს. დოლერიტული განფენები, რომლებიც რეგიონში ფართო გავრცელებით სარგებლობს, აღნიშნულ რაიონში არ გვხვდება.

ბოლნისის ტუფის საბადოს, ფახრალოს უბნის აგებულებაში მონაწილეობს ტუფები და მომწვანო ფერის ტუფობრექჩიები, დეკორატიული ტუფები, ტუფოგრაველიტები და ლიპარიტის მცირე სიმძლავრის დაიკები. ტუფობრექჩია და მომწვანო ფერის ტუფი განვითარებულია უბნის ჩრდილოეთ, დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ ნაწილში.

ბოლნისის მოსაპირკეთებელი დეკორატიული ტუფის საბადოს რაიონი მიეკუთვნება ქვემო ქართლის მთათაშუა დაბლობს. იგი წარმოდგენილია გორაკებიანი რელიეფით და დაბლობებით, რომლებიც ალუვიურ-დელუვიური ნალექებით არის წარმოდგენილი. რაიონისათვის დამახასიათებელია რელიეფის რბილი ფორმები. ამაღლებული ადგილები აგებულია, ძირითადად, ლიპარიტების სუბვულკანური სხეულების ნაშთებით. ისინი 100 — 300 მ-ის სიმაღლისაა და ციცაბო, თითქმის ვერტიკალური ფერდობები აქვს.

მწვანე ტუფები გავრცელებულია უბნის დასავლეთ ნაწილში და ამ მხრიდან საზღვრავს სასარგებლო წიაღისეულს. ისინი წარმოდგენილია სხვადასხვა მარცვლოვანი ტუფებით, რომლებიც ხშირად იცვლება საშუალო და მსხვილნატეხი იგნიმბრიტურ ტუფობრექჩიებით.

დეკორატიული ტუფები, ძირითადად, უბნის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული. ისინი ყვითელი, ღია-ყვითე-

ლი, იშვიათად მოყვითალო-ნაცრისფერია. ქარბობს ყვითელი ფერი. გვხვდება ტუფების შემდეგი სახეობები: ნაყმებიანი, ლაქებრივი, ზოლებრივი და ერთგვაროვანი ტონის. ნაყმები და ლაქები მუქი ყავისფერი, ჟანგისფერ-ყავისფერია. ზოლები ტალღოვანია, ერთმანეთშია გადახლართული და ქანის საერთო ყვითელ ფონზე ლამაზ, თავისებურ ფაქტორს ქმნის. ზოლებრივ ტუფებს აქვს ყავისფერი და მუქი ყავისფერი, პარალელური, ზოგჯერ ტალღოვანი ზოლები. ისინი ასევე ლამაზია და მაღალი დეკორატიული თვისებებით ხასიათდება. არანაკლებ ლამაზია ტუფის ლაქებიანი სახეობებიც.

სასარგებლო წყებაში გვხვდება ფუჭი ქანების შუამრეებრივი, წარმოდგენილი დამსხვრეული, გაკვარცხული და კაოლინტიზებული ტუფით (სიმძლავრე 01-5მ). დეკორატიული ტუფის წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა. გავრცელებული აზრის თანახმად, ტუფების დეკორატიული სახესხვაობა არის ვულკანურ ლავაზე ჰიდროთერმული პროცესების ზემოქმედების შედეგი, ხოლო ქანის ყვითელი ფერი, ისევე როგორც ზოლებრიობა და ლაქები, წარმოიქმნა ლავაში შემავალი რკინის შემცველი მინერალების დაჟანგვის შედეგად.

ტუფების ზოლებრიობა, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, შედეგია პოსტმაგმური ჰიდროთერმული პროცესებისა და მიუთითებს, რომ რაც უფრო ვცილებით ნაპრალთა ზალბანდებს, ნაყმებიანი ტუფები თანდათანობით იცვლება ზოლებრივით, შემდეგ ლაქებიანით და ბოლოს ყვითელი ტუფებით (უბ. ფახრალი).

მომწვანო ფერის ტუფის კონტაქტი დეკორატიულ ტუფთან მკვეთრია და გვხვდება უბნის ჩრდილო ფლანგზე. უბნის დასავლეთ და სამხრეთ ფლანგზე კონტაქტი მომწვანო ფერის და დეკორატიულ ტუფს შორის ტექტონიკურია, სამთო გამონამუშევრებით გახსნილია ტექტონიკური რღვევები სიმძლავრით 1,5 — 2,0მ. კონტაქტის საზღვრებში ქანები ძლიერ დამსხვრეულია, ბრექჩიული და ინტენსიურად ლიმონტიზებულია.

სამხრეთი ფლანგის გასწვრივ დაიკვირვება ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართების მსხვილი ტექტონიკური რღვევა. ამ რღვევით შემოჭრილია ალბიტოფირული დაიკა, რომლის სიმძლავრე 70მ-ს აღწევს. დაიკის შემოჭრას თან სდევს გვერდითი ქანების ინტენსიური დამსხვრევა, ხოლო შემდგომ ჰიდროთერმული პროცესებით თითქმის მთლიანადაა შეცვლილი პირველადი სტრუქტურა. აღნიშნული ქანების სიმძლავრე იცვლება, როგორც მიმართებაზე, ისე დაქანებაზე და მერყეობს 4-დან 30მ-მდე. დეკორატიული ტუფი ზემოდან გადაფარულია ტუფოგრაველიტით, რომლის სიმძლავრე იცვლება 0—14,5მ-მდე. ზედაპირზე დეკორატიული ტუფი ვრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთით 200 — 300მ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით 200 — 320მ-ზე. სიმძლავრე მერყეობს 3,4 — 100მ-მდე.

თუმცა, ეს მოსაზრება არ დასტურდება ჩრდილო ფახრალის უბანზე. თუკი გავრცელების ასეთ კანონზომიერებას ექნებოდა ადგილი, მაშინ ტუფების სხვადასხვა სახეობების სივრცეში გეომეტრიზაციისა და შესაბამისად, მათი მარაგების ცალ-ცალკე დათვლის შესაძლებლობა იქნებოდა.

ფაქტობრივად, უბნის — ჩრდილო ფახრალის მაგალითზე, სრულიად სხვაგვარი სურათი გვაქვს. არათუ სივრცობრივად, არამედ ერთ მოსაპირკეთებელ ფილაზე შეიძლება ვნახოთ ყველა ზემოაღნიშნული სახეობა და მათი მრავალრიცხოვანი კომბინაციები. ისეთი ცალკეული უბნის გამოყოფა, სადაც მხოლოდ ერთი სახეობის ტუფია გავრცელებული, შეუძლებელია. სხვადასხვა დეკორატიული თვისების ტუფების მონაცვლეობა იმდენად ხშირია, რომ ლითოლოგიურ ჭრილებში, ყველა ეს სახეობა ერთი ლეგენდით არის ნაჩვენები და მთელი დასტა განხილულია, როგორც ერთი მთლიანი.

საბადოს უბანზე გვხვდება მთელი რიგი ლიპარიტული შედგენილობის გამკვეთი სხეულები, რომელსაც დაიკის ფორმა აქვს და თითქმის პარალელურად არის გავრცელებული ჩრდილო აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ. ჭრილში დაიკებს სოლისებური ფორმა აქვს, თუმცა შესაძლოა სიღრმეში დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. მათი სიმაღლე 30მ-დან 40მ-მდე იცვლება.

ლიპარიტები, ძირითადად, უბნის აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული. როგორც ჩანს, ამით არის გამოწვეული ამ რაიონში დეკორატიული ტუფების ინტენსიური გავრცელება, მაშინ როდესაც უბნის ცენტრალურ ნაწილში კვარცი იშვიათად გვხვდება, უმნიშვნელო რაოდენობით, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში საერთოდ არ ფიქსირდება.

უბნის სამხრეთ ნაწილში დადგენილია მსხვრევის ზონის არსებობა, რომელიც შესაძლოა წარმოქმნილი იყოს უკვე გამყარებულ ტუფებში ლიპარიტის დაიკების შეჭრისა და შემდგომი ტექტონიკური მოძრაობების შედეგად.

მსხვრევის ზონა ორი რღვევით არის შემოსაზღვრული, რომელთაგან ძირითადი დაიკის გავრცელების მიმართულებას თანხვდება, ხოლო მეორე მის განშტოებას წარმოადგენს. მათ შორის არსებული უბანი ინტენსიურად არის დამსხვრეული, გამოიყოფა უფრო მასიური ტუფების უბნები.

სამრეწველო მნიშვნელობის სხეული გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 350-360მ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 50-160მ. აღმოსავლეთით ლიპარიტის დაიკითაა შემოსაზღვრული, დასავლეთით — მწვანე ტუფებით, სამხრეთით კი — ტექტონიკური აშლილობებით. დეკორატიული ტუფის ზუსტი დასახელებაა — ტუფოლავა.

პეტროგრაფიულად დეკორატიული ტუფი წარმოადგენს შეცვლილ ლიპარიტულ ტუფს. აღინიშ-

ნება პორფირული სტრუქტურის ქანთა ნატეხების რელიქტები. პორფირული ჩანართები წარმოდგენილია კვარცით და ალბიტ-ოლიგოკლაზის რიგის პლაგიოკლაზით. ზოგიერთი პლაგიოკლაზის ფენოკრისტალი კარბონატიზებულია. ძირითადი მასა მთლიანად კაოლინიტიზებულია და გაკვარცებული. დამახასიათებელია ინტენსიური პირიტიზაცია. პირიტის უწვრილესი მარცვლები ძირითად მასაშია გაბნეული და მთლიანად ლიმონიტიზებულია. ზოგიერთ შლიფში აღინიშნება ვულკანური მინის ნამტვრევები ან ფელზიტი. ზოგან, ძირითად მასაში (ძირითადად, ვულკანური მინა) გაბნეულია კვარცის, პლაგიოკლაზის წვრილი მარცვლები. ამან განსაზღვრა ქანის სახელწოდება — ტუფოლავა.

საბადოზე გამოიყოფა მოსაპირკეთებელი ქვის შემდეგი სახესხვაობები:

1. ყვითელი ფერის ზოლიანი;
2. ყვითელი ან ზოგჯერ ნაცრისფერი, ყავისფერი წვრილი ან მოზრდილი ლაქებით;
3. მონაცრისფრო-ყვითელი ფერის, ზოგან მცირე ზომის ყავისფერი ლაქებით;
4. მწვანე ფერის ერთგვაროვანი ტუფები.

ამყამად, ფახრალის ტუფის საბადოს დამუშავება ხდება თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით და ფაქტიურად დანაკარგი არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუდაური ო. ბოლნისის რაიონის სუბვულკანური მცირე ინტრუზივების პეტროგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ჩეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია. ნაკვ. 56. ჩგამომცემლობა 'მეცნიერება', თბილისი, 1965. ჩგვ. 56-70.
2. Чуприна А.А. Природные облицовочные камни Грузии, Тбилиси, 1969, стр. 74.

თინათინ გუგუშაშვილი, ანსუ-ს ასოც. პროფესორი

Summary

Several aspects of the modern business finances

Businesses are established to serve the needs of consumers by owners who seek to make profits. The people who create a business may see an opportunity to produce a product or service that is not already being offered by other firms. Alternatively, they may believe that they can produce a product or service that they can sell for a lower price than existing firms. By providing a product that is desired by customers, they may be able to make profits for their business. A business receives revenue when it sells its products or services. It incurs expenses from paying its employees and when it purchases machinery or facilities. The difference between the revenue and the expenses is the profit (or earnings) generated by the business. The profits go to the owners of the business. Thus, owners who create a business have a strong incentive to ensure that it is successful, as they are directly rewarded for their efforts

საკვანძო სიტყვები: მომგებიანი ბიზნესი, მოგება, არამომგებიანი ორგანიზაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები

* * * * *

ბიზნესს ერთი მთავარი მიზანი გააჩნია - მოგების მიღება. ისინი, ვინც ბიზნესს ქმნიან, იმ ამოცანის წინაშე აღმოჩნდებიან, რომელიც გულისხმობს ისეთი პროდუქტის ან მომსახურების წარმოებას, რომელიც სხვა ფორმებს ვერ კიდევ არ აქვთ შემოთავაზებული. ზოგჯერ ბიზნესის წამომწყობთ სჯერათ, რომ მათ უფრო იაფად შეუძლიათ თავიანთი პროდუქტის ან მომსახურების რეალიზაცია, ვიდრე ამას ბაზარზე უკვე არსებული ფორმები ახორციელებენ. ორივე შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მოგების მიღების შანსი.

ბიზნესი იღებს შემოსავლებს, როცა ყიდის თავის პროდუქტს ან მომსახურებას. ხოლო, როცა თანამშრომლებს უზდიან ხელფასებს, ახორციელებენ ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების შესყიდვებს, ადგილი აქვს ხარჯების გაღებას (დანახარჯების განევა). სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არის ბიზნესის მიერ წარმოქმნილი (გენერირებული) მოგება, რომელიც ამ ბიზნესის მფლობელთა საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომ ბიზნესის მფლობელებს გააჩნიათ დიდი სტიმული იმისა, რომ მათი ბიზნესი იყოს წარმატებული და მათი ძალისხმევა სათანადო მოგების მიღებით გარანტირებული.

მოგება, რომელსაც გამოიმუშავენ ახალი ბიზნესი, სამ პირობაზეა დამოკიდებული. პირველი, უნდა არსებობდეს მოთხოვნა იმ საქონელზე და მომსახურებაზე, რასაც სთავაზობენ ბაზარს. თუ არ არსე-

ბობს ასეთი მოთხოვნა, ვერ მოხდება შემოსავლების გენერირება და ამიტომაც ვერც მოგება მიიღება. მეორე, საჭიროა მომხმარებლების (კლიენტების) მოზიდვა, რაც გულისხმობს, რომ ისინი ამ ბიზნესზე უნდა აკეთებდნენ არჩევანს და არა კონკურენტებზე. თუ ბიზნესი თავაზობს უკეთეს მომსახურებას (სერვისს), ვიდრე ამას კონკურენტები ახერხებენ, მომხმარებლები, რომლებსაც სჭირდებათ მომსახურება, შეეცდებიან კონკურენტების ნაცვლად ეს ბიზნესი აირჩიონ. მესამე, იმისათვის, რომ მაღალი მოგება ნახოს, ბიზნესმენს მოუწევს ხარჯების დაბალ დონეზე შენარჩუნება. თუ ბიზნესს გონივრულად წარმართავენ, მაშინ ხარჯები შედარებით დაბალი იქნება და უფრო მაღალი მოგებით დაჯილდოვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესების უმრავლესობა იმაზე რთული და ჩახლართულია ვიდრე ის ბიზნესი, რომელიც ახლახანს აღვწერეთ, ნებისმიერი ბიზნესის შედეგიანობა მაინც ზემოთ ჩამოთვლილ სამ პირობაზეა დამოკიდებული.

მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ადამიანებს თავისუფლად შეუძლია ბიზნესის წამოწყება და მოგების მიღება. საკუთარი ბიზნესით ისინი პასუხობენ მომხმარებლების არჩევანს და აკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე მთავრობები აღიარებენ იმ უპირატესობებს, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ფორმით ბიზნესის მფლობელობის შესაძლებლობებთან. ეს ბიზნესები არამარტო მომხმარებლებს ემსახურებიან, არამედ სამუშაო ადგილების შექმნით ამცირებენ ქვეყანაში უმუშევრობას.

სოციალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ბიზნესებს მთავრობა ფლობდა და ისინი არ იყვნენ ჩვეულებრივ მოგებაზე ორიენტირებული. მოგების გამოიმუშავების პერსპექტივის არარსებობის გამო ადამიანთა უმრავლესობას არ ხელენიფებოდა ბიზნესის შექმნა და იძულებული იყო გამოენახა სამუშაოს რაიმე ალტერნატიული ფორმა შემოსავლების მისაღებად. უფრო მეტიც, მოგების მოტივის არქონის გარეშე ბიზნესებს არ გააჩნდათ პროდუქციის წარმოების სტიმული, რომელიც დააკმაყოფილებდა მომხმარებლების საჭიროებებს. შედეგად, მომხმარებლებს უმეტესწილად არ შეეძლოთ ემოვნათ ის პროდუქცია, რაც მათ სურდათ, ანუ იქმნებოდა საქონლის საყოველთაო დეფიციტი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ე.წ. პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ქონება და მასთან დაკავშირებული ბიზნესები კერძო სექტორის ხელში გადავიდა, გაჩნდა ახალი ბიზნესების შექმნის შესაძლებლობები და, რაც მთავარია, გაჩნდა მოგების მიღების სტიმული.

ყველა ბიზნესი როდი იქმნება მოგების მის-

აღებად. არამომგებიანი ორგანიზაცია ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც კონკრეტული ანუ სპეციფიკური მიზნითაა შექმნილი და არ არის მოწოდებული მოგების მისაღებად. როდესაც გარკვეულ პერიოდში მისი შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს, ხდება მოგების რე-ინვესტირება ორგანიზაციაში. არამომგებიანი ორგანიზაციების ტიპიურ მაგალითებს წარმოადგენს ზოგიერთი საავადმყოფო, სკოლა, სამშობიარო სახლი, საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ეკლესია და სხვ.

დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს ათასობით არამომგებიანი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მაგალითისათვის აშშ-ში, დაახლოებით 800,000 საზოგადოებრივი, არამომგებიანი და 400,000 პროფესიული ასოციაცია მოქმედებს, რომელთა უმრავლესობა შეიქმნა 1990-ანი წლების ბოლოს. საქართველოში კი დღესდღეობით დარეგისტრირებულია დაახლოებით 3,000-ზე მეტი არამომგებიანი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ არამომგებიანი ორგანიზაცია მთლიანად არ არის ფოკუსირებული მოგების მიღებაზე, იგი მაინც ოპერირებს ჩვეულებრივი ბიზნესის მსგავსად. ასე მაგალითად, წარმოვიდგინოთ არამომგებიანი საავადმყოფოს ბიზნესი. იგი თავის მომსახურებაზე აწესებს ფასებს, როგორც მომგებიანი საავადმყოფო, იგივე წესით ახდენს ანგარიშსწორებას პაციენტებთან მათი დაზღვევის პოლისის გათვალისწინებით. თუ არამომგებიანი საავადმყოფო თავის მომსახურებას უფასოდ განახორციელებდა, იგი მთლიანად ამონურავდა მის განკარგულებაში არსებულ ფონდებს, რომელიც შემოწირულობების სახით აქვს მიღებული, ასევე იმ აკუმულირებულ (დაგროვილ) მოგებასაც, რომლის გენერირებაც წლების განმავლობაში თვითონ მოახერხა. არამომგებიანი საავადმყოფოს თანამშრომლები ისევე იღებენ ხელფასს, როგორც მომგებიანი საავადმყოფოს მუშაკები. თუ იგი თავის ექიმებს, ექთნებს, ძიძა-მომვლელებს და სხვა საშტატო ერთეულებს არ გადაუხდის სათანადო კონკურენტულ ხელფასს, ეს თანამშრომლები სხვაგან მოძებნიან სამსახურს. ამრიგად, არამომგებიანმა საავადმყოფომ სამედიცინო მომსახურება ეფექტიანად უნდა განახორციელოს, რათა ადექვატური დაფინანსების პირობებში შეძლოს ბიზნესში დარჩენა და გააგრძელოს საზოგადოების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. მომგებიანი საავადმყოფოების მსგავსად, თუ მას სურს გაფართოვდეს და უფრო მეტ ფულად სახსრებს საჭიროებს, ვიდრე ამას შემოწირულობების გზით ან საკუთარი მოგების საშუალებით იღებს, სავადმყოფოს შეუძლია კრედიტორებისაგან (მაგალითად, ბანკებისაგან) მიიღოს დაფინანსება. საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის ფირმები იყენებენ შემდეგ რესურსებს: ბუნებრივი რესურსები (მიწა); ადამიანური რესურსები (შრომა); კაპიტალი; მეწარმეობა (სამეწარმეო უნარი).

ბუნებრივი რესურსები აერთიანებს ყველა

რესურსს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ნატურალური ფორმით. ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება ცოცხალი ბუნება, მინერალური (სასარგებლო წიაღისეული) და ტყის რესურსები, ასევე ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ. ბიზნესების მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის ყველაზე საჭირო ბუნებრივი რესურსია მინა, რომლის გარეშეც სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი წარმოუდგენელია. ნებისმიერი ბიზნესი იყენებს ამ რესურსს. ფაბრიკა-ქარხნების ან საოფისე შენობების ასაგებად და სათანადო სანარმოო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მინის გარკვეული ფართობი საჭირო, რომელსაც ან იძენენ ან ქირაობენ. დაქირავების შემთხვევაში მინის სარგებლობისათვის გადახდილ ფასს (ღირებულებულებას) რენტა ეწოდება, ანუ რენტა მინის მესაკუთრის შემოსავალია. ეკონომისტები ხშირად იყენებენ ტერმინს „მინას“, როდესაც საუბრობენ ზოგადად ბუნებრივ რესურსებზე, როგორც წარმოების ფაქტორზე.

ადამიანური რესურსები, იგივე სამუშაო ძალა, ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ უნართა ერთობლიობას წარმოადგენს. ადამიანურ რესურსებს შეადგენს ყველა ის პირი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს გარკვეული სამუშაო ბიზნესისთვის. მათ შეაქვთ წვლილი წარმოებაში თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით, მუშაობენ რა ფაბრიკა-ქარხნებში და ქმნიან პროდუქციას, ასევე გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით, როცა სთავაზობენ სასარგებლო ინიციატივებს არსებულ სანარმოო პროცესში საჭირო ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით ან ახდენენ სხვა მუშაკთა მოტივაციას. წარმოებისა და მომსახურების პროცესში ადამიანის მიერ დახარჯულ ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევას ეკონომისტები შრომას უწოდებენ. შრომის ფასად დაქირავებული პირები (მენეჯერები, მუშები) იღებენ ხელფასს. ხელფასი დაქირავებული პირის შემოსავალია ანუ ფულადი კომპენსაცია, რომელსაც იგი საკუთარი შრომის გაყიდვისას იღებს.

ფიზიკურ კაპიტალს (ანუ უბრალოდ კაპიტალს, როგორც მას ეკონომისტები უწოდებენ) ადამიანები საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ქმნიან. ფაბრიკა-ქარხნები, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სამუშაო იარაღები (ინსტრუმენტები) კაპიტალური რესურსებია, რადგან ისინი ადამიანური რესურსების მეშვეობით შეიძლება სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად გამოვიყენოთ. ასეთივე კაპიტალური რესურსია გაზსადენის შტო, რომლითაც გასამართ სადგურს საწვავი მიეწოდება.

ტერმინს „კაპიტალი“ ბიზნესმენები ხშირად იმ ფულის აღსანიშნავად იყენებენ (ფინანსური კაპიტალი), რომლითაც შეუძლიათ იყიდონ ქარხანა, მანქანა და ანალოგიური საწარმოო რესურსები ანუ ფიზიკური კაპიტალი.

განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ტექნოლოგიების წყალობით ბიზნესები უფრო ეფექტიანად იყენებენ თავიანთ კაპიტალს. ტექნოლოგია შეგ-

ვიძლია განვსაზღვროთ როგორც ცოდნა ან ინსტრუმენტი პროდუქციის ან მომსახურების საწარმოებლად. ინტერნეტი ტექნოლოგიის ნათელი მაგალითია.

აუმჯობესებენ რა კაპიტალს, ტექნოლოგიის გამოყენებით ბიზნესები ახერხებენ საქონლისა და მომსახურების წარმოებას უფრო სწრაფად და ხარისხიანად. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა საჭიროებები უფრო უკეთაა დაკმაყოფილებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) ტექნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეჯგუფია, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გამოყენებით საქონლისა და მომსახურების წარმოებას. იგი გულისხმობს კომპიუტერების გამოყენებით ინფორმაციის ტრანსფერს (გადატანას-გადაცემას) ფირმის დეპარტამენტებს (ქვეგანყოფილებებს) შორის და ინტერნეტის გამოყენებას საჭირო ინფორმაციით მომხმარებლების უზრუნველსაყოფად. აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის უახლესი კვლევების მონაცემებით, აშშ-ის სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევარი მალე ჩართული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მცირდება პროდუქციის თვითღირებულება და შესაბამისად, გასაყიდი ფასებიც. გარდა ამისა, ტექნოლოგიურ ინდუსტრიებში დასაქმებული მუშები წელიწადში საშუალოდ გამოიმუშავენ დაახლოებით \$53,000-ს მაშინ, როცა სხვა ინდუსტრიებში ეს მაჩვენებელი \$30,000-ია. მსგავსი ტიპის ტექნოლოგიას წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესი (e-business), რომელსაც ზოგჯერ ელექტრონული კომერცის (e-commerce) სახელითაც მოიხსენიებენ. იგი გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით საქონლისა და მომსახურების წარმოებას და რეალიზაციას (გაყიდვას). ელექტრონული ბიზნესი მოიცავს როგორც ბიზნეს გარიგებებს, მაგალითად, პროდუქციის გაყიდვას ინტერნეტით, ასევე ფირმასა და მის მომწოდებლებს შორის ურთიერთობებს ინტერნეტის მეშვეობით. ფაქტობრივად, ბევრი ადამიანი იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიისა და ე-ბიზნესის ტერმინებს ერთი და იგივე მნიშვნელობით. წარმატებული e-biznes იდეის მაგალითს წარმოადგენს „Amazon.com“-ი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეიძინონ წიგნები და ახლა უკვე სხვადასხვა პროდუქტები „ონ-ლაინში“. „Amazon.com“-ის შემოქმედებითობა („კრეატიულობა“) თავად წიგნები კი არაა, არამედ ალტერნატიული მეთოდი ამ წიგნების მომხმარებლებამდე მიწვდენისა. მისი მომხმარებლები წიგნის მაღაზიების საცალო ქსელში კი არ ყიდულობენ წიგნებს, არამედ უკვეთავენ ინტერნეტის საშუალებით. შეკვეთილი წიგნები კი ფოსტით სახლში ეგზავნებათ. ბევრი ფირმა იყენებს იგივე იდეას საკუთარი ბიზნესისთვის. ამჟამად კომპიუტერული ფირმები ინტერნეტის საშუალებით ჰყიდიან თავიანთ კომპიუტერებს; სათამაშოების და ავტომობილების მწარმოებელი ფირმებიც თავიანთ პროდუქციას ასევე ინტერნეტით ასაღებენ; სასტუმროები, ავიახაზები და საკრედიტო ხაზები მომხმარებლებს საშუალებას აძლევენ დაჯავშნოს ბილეთები ინტერნეტის მეშვეობით. წარმატებული ე-ბიზნესის მქონე კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნება: Yahoo, Google, eBay და სხვ. ეს ბიზნესები დასაწყისში ძალიან პატარა ფირმებს წარმოადგენდნენ, თუმცა მომხმარებლებს ისეთ პროდუქტს და მომსახურებას სთავაზობდნენ, რომლებიც სხვა ფირმების მიერ ბაზარზე

არ იყო შემოთავაზებული. მათი ინოვაციური მიდგომა ბიზნესში შედეგში სხვა ფირმების მიერაც იქნა გამოყენებული, რის შედეგადაც შეიქმნა მომხმარებლისთვის პროდუქციისა და მომსახურების უფრო ფართო არჩევანი. ზოგიერთი ფირმა იყენებს e-business იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწას. ინტერნეტი საშუალებას იძლევა უფრო ადვილად დამყარდეს კომუნიკაცია ფირმასა და მომხმარებელს შორის, ფირმასა და სხვა ფირმებს შორის და მომხმარებელსა და თვით ამ ფირმას შორის. ის ფირმაც კი, რომელიც კლასიფიცირებული არ არის როგორც ინტერნეტ კომპანია, ცდილობს e-bizness გამოყენებას, რათა გაზარდოს ფირმის ღირებულება, მისი კაპიტალი.

ამრიგად, მეწარმეობა მოიცავს ბიზნეს იდეების ფორმირებას და რისკის აღების სურვილს. მენარმეები არიან ადამიანები, რომლებიც მოიპოვებენ ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებებს ზემოთ ჩამოთვლილი სამი ეკონომიკური რესურსის (მინა, შრომა და კაპიტალი) გამოსაყენებლად. ისინი იძენენ ნედლეულს, ქირაობენ მუშახელს, აბანდებენ თანხებს წარმოების საშუალებებში და ავითარებენ წარმოებასა და მომსახურებას. მენარმეები ცდილობენ მოახდინონ ბიზნეს შესაძლებლობების იდენტიფიცირება. როდესაც ისინი მოძებნიან ამ შესაძლებლობას, აბანდებენ თავიანთ ფულს ბიზნესის დასაარსებლად იმ მოლოდინით, რომ ჯილდოს სახით მიიღებენ ადექვატურ მოგებას მათ მიერ გაღებული ძალისხმევის საფასურად. თუმცა, ისინი დგანან იმ რისკის ანუ შესაძლო საფრთხის წინაშე, რომ მოსალოდნელი მოგება შეიძლება არ აღმოჩნდეს ისეთი მაღალი, როგორც თავიდანვე ვარაუდობდნენ. ფაქტობრივად, თუ ხარჯები შემოსავლებს აღემატება, მოგება აღმოჩნდება უარყოფითი სიდიდე (ზარალი) და ბიზნესი კრახის წინაშე დგება. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბევრი ბიზნესი იქმნება ერთი და იმავე დარგში (ინდუსტრიაში), რაც ინვესს მძაფრ კონკურენციას ფირმებს შორის. ამ სიტუაციაში ის ფირმები, რომლებიც მაღალ გასაყიდ ფასს ადებენ თავიანთ პროდუქტს, შეიძლება დაზარალებულნი იყვნენ ვინაიდან მომხმარებლებები მათ კონკურენტებზე გადაერთვებიან. ანალოგიურად, ფირმა, რომელიც ცუდად იმართება (სუსტი მენეჯმენტი გააჩნია), ასევე შეიძლება გაკოტრდეს მაღალი ხარჯების გამო. ამ ნარუმატებლობის რისკმა შეიძლება გაანელოს ბიზნესის შექმნის ანუ ბიზნესის „კეთების“ მოტივი. მენარმეებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ თუ ისინი გადაჭარბებულად შეაფასებენ ბიზნესის პოტენციურ მოგებიანობას ან ბიზნესის მართვას კარგად ვერ შეძლებენ ან დაკარგავენ იმ ფულს, რისი ინვესტირებაც მოახდინეს ამ ბიზნესში. ამრიგად, მენარმეები პირდაპირ ჯარიმდებიან ცუდი გადაწყვეტილების გამო. რისკის შესამცირებლად მენარმეებმა ფრთხილად და რეალისტურად უნდა შეაფასონ სიტუაცია, და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება ახალ ბიზნესში საკუთარი ფულის ინვესტირების შესახებ.

რეზიუმე

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში ნიდერლანდელმა სოციოლოგმა გერარდ ჰენდრიკ ჰოფსტედემ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის 70-ზე მეტ ქვეყანაში ჩაატარა გამოკვლევები, რომლის შედეგადაც მოახდინა კულტურათა კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის შედეგად კულტურები დაიყო სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, რომელთაგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა კულტურების ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ტიპების მიხედვით დაყოფამ. ინდივიდუალისტურ კულტურებში ადამიანები ზრუნავენ საკუთარ თავზე და ახლობლებზე, ადამიანთა შორის კავშირები არ არის მყარი. კოლექტივისტურ კულტურებში ხალხი გაერთიანებულია სოციალურ ჯგუფებში, ფართო გაგებით ოჯახებში (ბებიები, ბაბუები, ბიძები, დეიდები, ბიძაშვილები და ა.შ.). თანამედროვე მეცნიერებაში ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი მიჩნეულია კულტურათა ფუნდამენტალურ მახასიათებლებად.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმი, ჯგუფები

Резюме

В 70-80 годах 20-го века нидерландский социолог Герард Хендрик Хопстеде провёл исследования в разных регионах более 70 стран мира. В результате этих исследований он дал классификацию культур. Особую популярность получила разделение культур на индивидуалистическую и коллективистические культуры. В индивидуалистических культурах каждый человек заботится о самом себе и своих близких. В коллективистических культурах люди интегрированы в плаченные группы, часто включающие семью в широком смысле (дяди, тети, бабушки и т.д.) Современной науке индивидуализм и коллективизм признаны фундаментальными характеристиками культуры.

Summary

Features of individual and collective cultures

In 1970-80 Dutch sociologist Gerard Hendrik Hofstede, made social studies in social culture, senses were held in 40 countries, studies allowed him to classify social cultures by different features. Among those classifications most popularity went to individualism and collectivism.

In individualism people care for self and beloved ones, relation ties are weak,

In Collective cultures people are integrated into social groups, families.

In modern sciences individualism and collectivism are considered as modern features of culture.

ნაციონალური კულტურების ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებად დაყოფა პირველად შემოგვთავაზა გ. ჰოფსტედემ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში. IBM-ის და 50 ქვეყნის სხვადასხვა ტრანსნაციონალური კორპორაციის თანამშრომლების ანკეტების ანალიზის პროცესში, მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან განსხვავებული პასუხებია მიღებული ღირებულებებისა და ადამიანთა ურთიერთობების შესახებ დასმულ კითხვებზე. გ. ჰოფსტედემ გამოჰყო კულტურათა კლასიფიკაციისა და აღწერის შემდეგი დიქტომიური სკალები: 1) ძალაუფლების დისტანცია (დიდი – მცირე); 2) გაურკვევლობის თავიდან აცილება; 3) ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი; 4) ფემინურობა-მასკულიზმი; 5) ხანგრძლივი-ხანმოკლე ორიენტაცია. სოციოლოგებში, ფსიქოლოგებში, ეკონომისტებში და ფილოსოფოსებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის სკალამ. დღეს ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი აღიარებულია მსოფლიოს ყველა საზოგადოების ფუნდამენტალურ მახასიათებლებად. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი წარმოადგენენ არა პიროვნების, არამედ საზოგადოების მახასიათებლებს. ისინი ასახავენ ამა თუ იმ საზოგადოების ხალხის ჯგუფებში ინტეგრირების ხარისხს. ინდივიდუალისტურ კულტურებში ადამიანთა შორის კავშირები არ არის ძლიერი. ითვლება რომ აქ ადამიანი ზრუნავს საკუთარ თავზე და ახლობლებზე. კოლექტივისტურ კულტურებში ხალხი მთელი ცხოვრება არიან ინტეგრირებული ჯგუფებში, ფართო გაგებით ოჯახებში (ბებიები, ბაბუები, ბიძები, დეიდები და ა.შ.), რომლებიც მათ მფარველობენ უსიტყვო (უდავო) ლოიალობის სანაცვლოდ. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: ინდივიდის ჯგუფთან და საზოგადოებასთან კავშირის ტიპი, თვითცნობიერება და სოციალური აღქმა; გადაწყვეტილების მიღება და კონფლიქტთან დამოკიდებულება; განათლებასთან დამოკიდებულება; ინდივიდებს შორის ქცევის წესები და ნორმები; სახელმწიფოსა და სამართლებრივი რეგულირების როლი, მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები სოციალურ სინამდვილეზე. ინდივიდუალისტური კულტურა ხასიათდება ინდივიდის ისეთი კავშირით ჯგუფთან ან საზოგადოებასთან, როდესაც აქცენტი კეთდება ინდივიდუალობაზე, უნიკალობაზე, თვითაქტივიზაციისაკენ სწრაფვაზე. ამ შემთხვევაში ყველა ზრუნავს საკუთარ თავსა და ახლობლებზე. საერთო მიზნით გაერთიანებული ინდივიდები ერთიანდებიან ჯგუფებში იქამდე, სანამ ეს მათ მოთხოვნებს პასუხობს. თვითცნო-

ბიერება და სოციალური აღქმა გამოირჩევიან „მეცნობიერებით“, სოციალური აღქმის ძირითადი ერთეულია ინდივიდუალობა, პიროვნული იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური. გადამწყვეტილებების მიღება უფრო ჩქარა ხდება, ვიდრე კოლექტივისტურ კულტურაში და ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული. მისასალმებელია საკუთარი აზრის ქონა და მისი ღიად დაფიქსირება. კონფლიქტს კონსტრუქციული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. მეტყველებაში ხშირად ისმის სიტყვა „მე“. განათლების მიზანია სწავლების სწავლა. მატერიალური რესურსების განაწილების დროს სჭარბობს სამართლიანობის ნორმა: გასამრჯელო? უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ ღვაწლს. ინდივიდის და საზოგადოების ატომისტური კავშირის შესახებ წარმოდგენა შემდეგნაირია: ინდივიდი უმაღლესი ღირებულებაა, ხოლო საზოგადოება დამოუკიდებელი ინდივიდების ჯამია. სამყაროს, ბუნების და საზოგადოების „ფრაგმენტარული“ სურათი. ინდივიდის ჯგუფთან და საზოგადოებასთან ურთიერთკავშირის მიხედვით, კოლექტივისტური კულტურა გამოირჩევა ჯგუფის ინტერესების პრიორიტეტით პიროვნულ ინტერესებთან შედარებით: ხალხი ეკუთვნის დიდ ოჯახს (ჯგუფს), რომელიც მათზე ზრუნავს. ინდივიდები საკუთარ თავს ნაკლები რაოდენობის ჯგუფს მიაკუთვნებენ, მაგრამ უფრო მჭიდროდ არიან მათთან კავშირში. თვითცნობიერება და სოციალური აღქმა ხასიათდება, როგორც „ჩვენ-ცნობიერება“. ამ კულტურებში სოციალური აღქმის საბაზო ერთეულები ჯგუფებია. ხალხი აღიქმება, როგორც საკუთარი ან სხვისი ჯგუფის წევრები.

სოციალური იდენტობა პიროვნებაზე უფრო მნიშვნელოვანია. საკუთარ აზრზე უფრო მნიშვნელოვანი ურთიერთობებში ჰარმონიაა. კოლექტივისტური კულტურისათვის დამახასიათებელია საკუთარი გადამწყვეტილებებისა და ქმედებების გავლენა თანამედროვეობაზე და საერთო ინტერესების საპირისპირო აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება.

კონფლიქტი დაუშვებელია. სიტყვა „მეს“ წარმოთქმისაგან თავის არიდება: განათლების მიზანია – კეთების სწავლა. ჯგუფური ნორმები სოციალურ განწყობებზე უფრო მნიშვნელოვანი ქცევის რეგულატორია. ნორმების დარღვევას ახლავს სირცხვილის გრძნობა. ღირებულება ადათების მიხედვით ცხოვრება, ნახალისებადია გარკვეულ ჯგუფზე დამოკიდებულება: ფულის ან ნივთების სესხება ხელს უწყობს ურთიერთდამოკიდებულებაზე დამყარებული ურთიერთობების შენარჩუნებას. სამართლებრივი ცნობიერება სუსტადაა განვითარებული, მორალური შეფასებები სჭარბობს, ხშირად ხდება აპელირება არა სამართლებრივ ურთიერთობებზე, არამედ პრიონებათაშორისაზე. საქმეზე უფრო მნიშვნელოვანი ურთიერთობებია. სახელმწიფოს პრიორიტეტული კონტროლის პრინციპი ვრცელდება წარმოებაზე, საქონლის განაწილებასა და მომსახურების სფეროზე. ჯგუფურ მოვალეობებს და უფლებებს გააჩნია უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით.

რესურსების განაწილებისას მოქმედებს თანასწორობის და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრინციპი. მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები სოციალური სინამდვილის და ბუნების შესახებ ემყარება იმ აზრს, რომ საზოგადოება არის არა ცალკეული ინდივიდების ერთიანობა, არამედ ორგანული მთლიანობა. მნიშვნელოვანია, ბუნების, საზოგადოების და სამყაროს ერთიანობის პრინციპი.

ინდივიდუალისტური კულტურის ქვეყნებს მიეკუთვნებიან ინგლისურენოვანი ქვეყნები. პირველ რიგში, აშშ და დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, ნიდერლანდები. კოლექტივისტური კულტურები ისეთ ქვეყნებშია, როგორიცაა: აზისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები: იაპონია, სინგაპური, ჰონკონგი, ტაივანი, პერუ, კოლუმბია.

ინდივიდუალისტური კულტურის წარმომობას უკავშირებენ იმას, რომ დასავლეთ ევროპაში ახალი ეთნიკური ერთობები წარმოიქმნა უკვე არსებული კოლექტიური წარმონაქმნების (ოჯახი, კლანი, საზოგადოება, რელიგია) დაყოფის შედეგად. ახალი კოლექტივების ფორმირების საფუძველი არა საგვარეულო კავშირები, არამედ საერთო ინტერესები და მიზნები გახდა.

ინდივიდუალისტური კულტურა ამ ტიპის ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა, ხოლო კოლექტივისტურ კულტურაში შენარჩუნებულ იქნა ოჯახურ და სოციალურ ერთობაზე დაფუძნებული კავშირები. ნაციონალური კულტურის კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური ორიენტაცია უკავშირდება პირველყოფილი თანამეგობრობის ჩამოყალიბების ეკოლოგიურ პირობებსა და მათ ისტორიულ სპეციალიზაციას: ნადირობა და შემგროვებლობა საჭიროებდა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და პირად მიღწევებს, მაშინ, როდესაც მეცხვარეობის და სოფლის მეურნეობის საზოგადოებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქმედებათა თანხვედრას და გონიერებას.

ეროვნული კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების მისაღწევად კოლექტივისტურ კულტურებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ინდივიდუალიზმის პროპაგანდამ. მაგრამ კეთილდღეობას მიყვავართ ინდივიდუალიზმამდე. ამრიგად, საზოგადოების რეალური ნაციონალურ-კულტურული ტიპი არის ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის ელემენტების შერწყმა, ერთ-ერთი მათგანის უპირატესობით. ხოლო საზოგადოების ევოლუციის საერთო ტენდენცია გამოიხატება „ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი“ სკალას ცენტრისკენ მოძრაობაში. ამასთან, ეს ტენდენცია უფრო ინდივიდუალისტური ორიენტაციის კულტურების ქვეყნებშია გამოხატული.

Резюме

Изучая планы нацистской военно-политического руководства относительно будущей политической организации и национального переустройства «восточных территорий» вообще и Крыма – в частности, нельзя не прийти к следующим выводам. Несомненно, модель такой организации имела. И как явствует из источников, основными ее носителями являлись Розенберг и некоторые круги военного командования. Другое дело, что военные почти сразу же были отстранены от анализа этой проблемы Гитлером, который предпочел работать с Розенбергом. Но и точка зрения последнего не оказалась окончательной. Начиная с лета 1941 года, он был вынужден согласовывать ее со взглядами Гитлера, как мы видели, довольно хаотичными и неустойчивыми. В результате, единая концепция переустройства «восточных территорий» так, фактически, и не была разработана. Все национально-политическое устройство оккупированных советских территорий было организовано согласно его взглядам. Однако, поскольку они носили крайне общий характер, немецкие инстанции, отвечавшие за проведение «восточной политики», вступили в войну с совершенно разными установками. Тем не менее не вызывает сомнения, что в случае победы нацисткой Германии, Крым ожидала масштабная этническая чистка, причем не только русско-украинского, но и татарского населения.

საკვანძო სიტყვები: ყირიმი, ტერიტორია, თათბირი, ჰიტლერი, როზენბერგი, ფიურერი, მემორანდუმი, ომი, გადასახლება, ხალხი.

* * * * *

რუსეთის მიერ ყირიმის ძალით მიერთების შემდეგ ახალი ძალით იფეთქა კამათმა ნახევარკუნძულის სტატუსის შესახებ, რომელიც არ ჩამქრალა დიდი ბერძნული კოლონიზაციის დროიდანაც კი. ყირიმის ტერიტორიაზე „ისტორიულად დასახლებული“ პრეტენზიები თავის დროზე თვით მესამე რაიხმაც წამოაყენა, რომლის მმართველებიც ნახევარკუნძულს თვლიდნენ „ძირძველ გერმანულ ტერიტორიად“. ამასთან, ჰიტლერი ყირიმის მიმართ თავისი პოზიციის დამტკიცებას ცდილობდა ძალზე ორიგინალური მეთოდით.

ფაშისტური გერმანიის მიზნები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში საბოლოოდ ფორმირებული იქნა 1941 წლის 30 მარტს გერმანიის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირზე. თავისი გამოსვლის ბოლოს ჰიტლერმა განაცხადა: „ჩვენი ამოცანები რუსეთთან მიმართებაში — გავა-

ნადგუროთ მისი შეიარაღებული ძალები, მოვსპოთ სახელმწიფო“. დაპყრობილი საბჭოთა ტერიტორიების სამართავად ფიურერი სთავაზობდა, შეექმნათ პროტექტორატები. „აღმოსავლეთის ტერიტორიების“ მომავალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაგეგმვის ყველა საკითხი გადავიდა რაიხსლაიტერ ალფრედ როზენბერგის დაქვემდებარებაში. უკვე 1941 წლის 2 აპრილს როზენბერგმა წარადგინა თავისი პირველი მემორანდუმი, სადაც მთლიანად ასახა საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადწყვეტის საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები და კონცეფცია. მისი შეთავაზება ითვალისწინებდა ქვეყნის შვიდ რეგიონად დაყოფას.

ამ გეგმამ გამოიწვია ჰიტლერის არსებითი შენიშვნები. ფიურერი თვლიდა, რომ დაყოფას არ უნდა გამოეწვია ასეთი დაქუცმაცება, ახალი ადმინისტრაციული ერთეულები არ უნდა ყოფილიყო ხელოვნური. შენიშვნები გამოითქვა როზენბერგის მემორანდუმის პრაქტიკულად ყველა პუნქტის მიმართ.

1941 წლის 20 ივნისს ბერლინში გაიმართა ფაშისტური გერმანიის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მორიგი თათბირი, რომელზეც როზენბერგმა ჰიტლერს წარუდგინა საბჭოთა კავშირის მომავალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მოწყობის ახალი გეგმა. ამ გეგმის თანახმად, უნდა შექმნილიყო ხუთი ადმინისტრაციული ერთეული — რაიხსკომისარიატი (Reichskommissariat): „მოსკოვი“ (რუსეთის ცენტრალური ოლქები), „ოსტლანდი“ (ბალტიისპირეთი და ბელორუსია), „უკრაინა“ (უკრაინის დიდი ნაწილი და ყირიმი), „კავკასია“ (ჩრდილოეთი კავკასია, ამიერკავკასია და ყალმუხეთი) და „თურქესტანი“ (შუა აზია, ყაზახეთი, ვოლგისპირეთი და ბაშკირეთი). ჰიტლერმა, ფაქტობრივად, უკრიტიკოდ მიიღო ეს გეგმა და 1941 წლის 17 ივლისს ხელი მოაწერა ბრძანებას ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე სამოქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ. გეგმის მიხედვით შეიქმნა ოკუპირებული აღმოსავლური ტერიტორიების სამინისტრო (Reichsministerium Für die besetzen ostgebiete) — აღნიშნული ტერიტორიების მთავარი ხელმძღვანელი ორგანო. სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ნაცისტთა მთავარი იდეოლოგ ალფრედ როზენბერგი.

როზენბერგის გეგმის თანახმად, ყირიმი ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებთან ერთად უნდა შესულიყო გენერალურ ოკრუგ „ტავრიას“ შემადგენლობაში. გენერალური ოკრუგი „ტავრია“ იყო რაიხსკომისარიატ „უკრაინის“ ნაწილი. გენერალურ ოკრუგ „ტავრიას“ საოკუპაციო ადმინისტრაციის უმაღლესი სამოქალაქო ორგანო უნდა ყოფილიყო გენერალური კომისარიატი, რომლის ხელმძღვანელობა დაევადა ალფრედ ფრაუნფელდს. იმის გამო, რომ ეს ტერიტორია 1942

წლის ზაფხულამდე იყო მოქმედი არმიის უახლოესი ზურგი, ის თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა მხოლოდ სექტემბრიდან. ფრონტის სიახლოვის გამო სამოქალაქო ადმინისტრაცია მხოლოდ ნომინალურად ფლობდა ხელისუფლებას, რეალური ძალაუფლება მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელობას გააჩნდა. ასეთი ვითარება იყო 1944 წლის მაისამდე.

არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ყირიმი ჰიტლერისა და სხვა ფაშისტი ხელმძღვანელების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. მართალია, იგი გეგმის მიხედვით რაიხსკომისარიატ „უკრაინის“ შემადგენლობაში მოიაზრებოდა, როზენბერგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ყირიმი უშუალოდ მესამე რაიხის კონტროლქვეშ ყოფილიყო. ის ამტკიცებდა, რომ პირველ მსოფლიო ომამდე გერმანულ კოლონიზაციებს აქ ეკუთვნოდათ მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ყირიმში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცხოვრობდნენ გოთები, ძველი გერმანული ტომი. ამგვარად, ნახევარკუნძული მხოლოდ ფორმალურად უერთდებოდა უკრაინას, რეალურად ის უნდა ემართათ ბერლინიდან.

როზენბერგის გეგმები ყირიმის მიმართ იყო ასახვა ჰიტლერის არგუმენტაციისა მისი გერმანიზაციის მიზეზების თაობაზე. ფიურერს მიაჩნდა, რომ ყირიმი უნდა გამხდარიყო „გერმანული გიბრალტარი“, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა მთელი შავი ზღვის გაკონტროლება. გერმანიის შრომითი ფრონტის შეფირობერტ ლეი ოცნებობდა, ეს ტერიტორია ექცია „ერთ დიდი გერმანულ კურორტად“, რომელიც მუდამ მიმზიდველი იქნებოდა გერმანელებისთვის.

ყირიმის მომავლის შესახებ ჰიტლერმა კონკრეტული მოსაზრებები გამოთქვა 1941 წლის 16 ივლისს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირზე. თავის გამოსვლაში მან სხვა საბჭოთა ტერიტორიებთან შედარებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ყირიმს. ფიურერმა განაცხადა, რომ „ნახევარკუნძული აუცილებლად უნდა გაინმინდოს ყველა უცხო საგან და დასახლდეს გერმანელებით“.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „ყირიმის საკითხი“ და იქ მცხოვრებთა ბედი ჰიტლერის ყურადღებას იქცევდა მომდევნო თვეებშიც. 1941 წლის დეკემბერში როზენბერგთან შეხვედრის დროს ჰიტლერმა კიდევ ერთხელ შეახსენა მას, რომ „ყირიმი მთლიანად უნდა გაინმინდოს არაგერმანული მოსახლეობისაგან“. ამავე შეხვედრაზე ნამოჭრა „გოთური მემკვიდრეობის“ პრობლემა. მხედველობაში ჰქონდა რა მისი მნიშვნელობა, ფიურერმა გამოთქვა სურვილი, რომ ომის დამთავრებისა და მოსახლეობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, ყირიმისთვის დაერქმიათ „გოთელანდი“. როზენბერგმა ნამოაყენა წინადადება, რომ სიმფეროპოლისთვის დაერქმიათ გოთენბურგი, ხოლო სევასტოპოლისთვის — თეოდორისპაფენი. ჰიტლერის „გოთური გეგმის“ განხორციელებისთვის „ისტორიული სამართლიანობის“ ელფერის მისაცემად მოეწყო არქეოლო-

გიური ექსპედიცია, რომელიც ორგანიზებული იქნა გენერალური კომისრის ფრაუნფელდის მიერ 1942 წლის ივლისში. ამ ღონისძიების უშუალო ხელმძღვანელად დაინიშნა „ტავრიის“ სს-ის და პოლიციის ფიურერი ლიუდოლფ ფონ ალვენსლებენი. გამოკვლეული იქნა ნაქალაქარი მანგუპი — ფეოდოროს სამთავროს ყოფილი დედაქალაქი, რომელიც 1475 წელს გაანადგურეს თურქებმა. ნაციისტმა არქეოლოგებმა დაასკვნეს: ციხე-სიმაგრე მანგუპი და ყირიმის სამხრეთ ნაპირზე არსებული მთელი რიგი ქალაქები აშენებული იყო გოთების მიერ. ექსპედიციის მუშაობის შედეგები ასახულია ერთ-ერთი მონაწილის, პოლკოვნიკ ვერნერ ბაუმელბურგის წიგნში „გოთები ყირიმში“.

ყირიმში გერმანელების ჩასახლების გეგმები მესამე რაიხის სხვადასხვა ინსტანციის მიერ არაერთხელ იქნა მიწოდებული ჰიტლერისთვის განსახილველად. სს-ის ხელმძღვანელობა სთავაზობდა, გადმოესახლებინათ 140 ათასი ეთნიკური გერმანელი ე.წ. „ტრანსნიტრიიდან“ - დნესტრსა და დნეპრს შორის არსებული სსრკ-ის ტერიტორიიდან, რომელიც რუმინეთის მმართველობის ქვეშ იყო. ეს გეგმა დღის წესრიგში იყო თვით ყირიმის გათავისუფლებამდე, მაგრამ გერმანელებს მისი განხორციელება არ დაუნდიათ.

1942 წლის ზაფხულში გენერალურმა კომისარმა ალფრედ ფრაუნფელდმა მოამზადა სპეციალური მემორანდუმი, რომლის ასლებიც მან დაგზავნა სხვადასხვა ინსტანციაში. ის აყენებდა წინადადებას, ყირიმში ჩამოესახლებინათ სამხრეთ ტიროლის მცხოვრებნი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტათ ძველი იტალო-გერმანული დავა. ცნობილია, რომ ჰიტლერი ამ გეგმას დიდი ენთუზიზმით შეხვდა: „მე ვფიქრობ, რომ ეს შესანიშნავი იდეაა. ამას გარდა, მე აგრეთვე ვთვლი, რომ ყირიმი კლიმატურადაც და გეოგრაფიულადაც შეეფერება ტიროლელებს, ხოლო მათ სამშობლოსთან შედარებით, ის ნამდვილად არის მინა, სადაც მოედინება რძისა და თაფლის მდინარეები. ყირიმში მათმა გადასახლებამ არ უნდა გამოიწვიოს არც ფიზიკური, არც ფსიქოლოგიური სიძნელებები“.

სს-ის რაიხსფიურერი და გერმანიის პოლიციის შეფი ჰაინრიხ ჰიმლერიც მომხრე იყო „ტიროლური პრობლემის“ ამგვარი გადაწყვეტისა. მაგრამ მისი აზრით, მათი გადმოსახლება უნდა მომხდარიყო მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ. ჰიტლერი დაეთანხმა რაიხსფიურერს, თუმცა 1942 წლის ივლისში ხელი მოაწერა დირექტივას, რომლის თანახმადაც რუსების გადასახლება უნდა დაეწყოთ მაშინვე, ხოლო უკრაინელებისა და თათრებისა — ცოტა მოგვიანებით.

1942 წლის მეორე ნახევარში აფრაუნფელდმა შეიმუშავა კიდევ ერთი გეგმა. ამჯერად, ის სთავაზობდა ყირიმში გადმოსახლებინათ 2 ათასი გერმანელი პალესტინიდან. როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს რეგიონის ბრიტანული ოკუპაციის პირობებში გაუგებარი დარჩა. მთლიანობაში ამ გეგმის ფანტას-

ტიკურობა იმდენად აშკარა იყო, რომ თვით ჰიმლერმაც კი გასცა ბრძანება, გადაედოთ იგი უკეთესი დროისათვის.

გადმოსახლების გეგმებს და ძალისხმევას ზღვარი დაუდო ვერმახტის იმ ორგანოების პროტესტმა, რომლებიც პასუხს აგებდნენ სამხედრო ეკონომიკაზე. 1943 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ვერმახტის უმაღლესი სარდლობის უფროსი გენერალ-ფელდმარშალი ვილჰელმ კაიტელი გაბედულად გამოვიდა ომის პირობებში მოსახლეობის ნებისმიერი გადაადგილების წინააღმდეგ. არცთუ უსაფუძვლოდ მან შენიშნა, რომ „ევაკუაცია“ რუსებისა და უკრაინელებისა — ყირიმის მთელი მოსახლეობის 4/5-ისა — მოახდენდა ეკონომიკური ცხოვრების სრულ პარალიზებას. სამი კვირის დაგვიანებით ჰიტლერმა მხარი დაუჭირა სამხედროებს და გამოთქვა აზრი, რომ ნებისმიერი გადაადგილება შეიძლება მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ. ამ აზრს დაეთანხმა ჰიმლერიც. ის, რა თქმა უნდა, თვლიდა რომ გერმანელების გადასახლება აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს, მაგრამ ამის გაკეთება საომარი სიტუაციის პირობებში, უკიდურესად ნაადრევია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიტლერი ძალზე გაბედულად აღუდგა წინ ყირიმიდან თათრების გასახლების გეგმებს. თუმცა ამ აკრძალვას უნდა ემოქმედა მხოლოდ საომარი პერიოდისათვის.

ყირიმის მომავალთან დაკავშირებული ნაცისტური სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ მისი პოლიტიკური ორგანიზაციის და ეროვნული მოწყობის მოდელი ნამდვილად არსებობდა. მისი შემოქმედნი იყვნენ როზენბერგი და სამხედრო სარდლობის ზოგიერთი წრის წარმომადგენელი. თუმცა ჰიტლერმა სამხედროები მაშინვე ჩამოაცილა ამ პრობლემების ანალიზს და ამჯობინა, ამ მიმართულებით ემუშავა როზენბერგთან. ერთიანი კონცეფცია „აღმოსავლეთის ტერიტორიების“ მოწყობისა, ფაქტობრივად, არ შემუშავებულა. ამ მხრივ, ჰიტლერის შეხედულებები იყო საკმაოდ ქაოტური და არამყარი. ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიების ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის გეგმების შემუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადოლფ ჰიტლერის მოსაზრებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხეილ სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, თბილისი, 1999
2. ზბიგნევ ბუეზინსკი, დიდი საჭადრაკო დაფა, თბილისი, 2014
3. Фадеева Т. М., Шапошникова А. К., Княжество Феодоро и его князья. Симферополь, 2005
4. Ганина Н.А. Крымско-готский язык. СПб: «Алтейя», 2011
5. Щукин М.Б. Готский путь. Готы, Рим и Черняховская культура/М.Б. Щукин –СПБ.: Филологический факультет Санкт-Петербургского государственного университета, 2006
6. Айбабин А.И. Этническая История ранневизантийского Крыма/А.И. Айбабин. – Симферополь: Дар, 1999
7. Чикин А.М. Что они готовили для нас, <http://www.ruslo.cz/articles/604/>
8. Период немецкой оккупации Севастополя, <http://www.sevastopol.ws/Pages/?aid=46>
9. Lambert M. Alfred Frauenfeld, Betascript Publishing, Surhone, 2011

რეზიუმე

ქვეყნის ბრენდინგის მნიშვნელობა 21-ე საუკუნეში დღითიდღე იზრდება. ბრენდი და ბრენდინგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. გვინდა ეს თუ არ გვინდა, გლობალიზაციის შედეგად, პროდუქციის სიმრავლემ და კონკურენციის ზრდამ გამოიწვია მუდმივი შეჯიბრი და ბრძოლა პროდუქტებს, ადამიანებს, ქვეყნებსა და ქალაქებს შორის.

ქვეყნის ბრენდინგი ძალიან რთული და მნიშვნელოვანი თემაა, რადგან მოითხოვს უამრავ წვრილმანზე ყურადღების გამახვილებას და გააზრებას. სახელმწიფოს სათავეში მყოფი ადამიანები მუდმივად უნდა ცდილობდნენ ყველანაირი პირობა შეუქმნან თავდაპირველად საკუთარ მოსახლეს და შემდეგ ტურისტსა თუ ინვესტორს, რადგან მხოლოდ რეკლამის მეშვეობით ცნობადობის მოპოვება, იმ შემთხვევაში თუ ის არ შეესაბამება ქვეყნის ღირებულებებს - ფაქტიურად ფუჭად დაკარგული დრო და რესურსია. ძლიერი ქვეყანა ბრენდი საშუალებას აძლევს თითოეულ მოქალაქეს თავს ამაყად გრძნობდეს. მათ უნდა უხაროდეთ, რომ სწორედ ამ კონკრეტული ქვეყნის შვილები არიან.

ქვეყნის სახელმწიფო იმიჯი და ბრენდინგი და ამ იმიჯის წარმატებული გადაცემა ექსპორტზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის პროდუქცია და გაყიდვები, რასაც ქვეყანა ახორციელებს. მეცნიერები თვლიან, რომ ბრენდ სახელმწიფოს ძალიან ბევრი შეუძლია გააკეთოს საგარეო პოლიტიკაში. ბრენდი სახელმწიფოს განვითარებაში ეხმარება.

ქვეყნის ბრენდინგი უმნიშვნელოვანესი და ძალიან საინტერესოა და მას დიდი გზა აქვს მომავლისკენ.

საკვანძო სიტყვები: ქვეყნის ბრენდინგი, ტერიტორიის მარკეტინგი, ადგილის ბრენდინგი.

* * * * *

ქვეყნის ბრენდინგის მნიშვნელობა, როგორც მარკეტინგის მიმდინარეობა 20-ე საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა, რაც ტერიტორიულ სფეროში კონკურენციის ზრდით იყო გამოწვეული. ტერმინი “ნაციონალური ბრენდი” პირველად 1996 წელს ბრიტანელმა ბრენდინგის სპეციალისტმა საიმონ ანჰოლტმა გამოიყენა. მოგვიანებით ჩამოაყალიბა კონკურენტული იდენტურობის კონცეფცია, რომელიც ტერიტორიის ბრენდინგს ექვსი პარამეტრის მიხედვით გულისხმობს: ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური მდგომარეობა, ტურიზმი, ბიზნეს გარემო და საინვესტიციო პირობები, კულტურა და მოსახლეობა. ამ პარამეტრების მიხედვით საიმონ ანჰოლტი ყოველწლი-

ურად იკვლევს ამა თუ იმ ქვეყნის ბრენდის ინდექსს მთელ მსოფლიოში. დღეს გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები “ადგილის ბრენდინგი”, “ნაციონალური ბრენდინგი”, “ტერიტორიების ბრენდინგი”, “ქვეყნის ბრენდინგი”, რაც დაკავშირებულია კონკრეტული ადგილის თუ ტერიტორიის განვითარებასა და წარმოჩენასთან.

სიმართლე რომ ვთქვათ ქვეყნები ყოველთვის იყვნენ ბრენდები. საუკუნეების მანძილზე ქვეყნები საკუთარ თავს ფრთხილად და სისტემატიურად უკეთებდნენ ბრენდინგს. ქვეყნის რეპუტაცია ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ლიდერებისთვის და სწორედ ისინი მართავდნენ და ქმნიდნენ მას. უბრალოდ დღეს ამას სახელი ჰქვია და შესაბამისად ყველა ქვეყანა ცდილობს დაიმკვიდროს მსოფლიო რუქაზე საუკეთესოს ნოდება. ქვეყნის ლიდერებიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საკუთარი ქვეყნის წარმოსაჩენად და ღირსეული ადგილის დასაკავებლად, აუცილებელი გახდა ქვეყნების ბრენდინგი ან რებრენდინგი. შესაბამისად კონკურენცია გაიზარდა ქვეყნებსა და ქალაქებს შორისაც.

პროდუქტისა და მომსახურების ბრენდებისგან განსხვავებით, რომლის მიზანიც არის ბაზრის დაკავება, ქვეყნის ბრენდინგისა და ადგილის მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მრავალფეროვნების საჭიროებით ადგილობრივი ეკონომიკის გამოყენებით მოიზიდოს ტურისტები და შიდა ინვესტიცია, გააუმჯობესოს შიდა გარემო და დააკმაყოფილოს, როგორც შიდა ისე გარეშე მოსახლეობა. ანჰოლტი აქცენტს აკეთებს ისეთ კომუნიკაციის ქმედებაზე, რაც გამოიწვევს ტერიტორიების საყოველთაო ჩართულობას. ეს მოიცავს: ბრენდები, რომელსაც ქვეყანა ექსპორტზე უშვებს; რა ვაჭრობის, ტურიზმის, შიდა ინვესტიციების, შიდა რეკრუტირების ადგილს ირჩევს ტერიტორია; როგორ მოქმედებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საქმიანობაში და ის გზები, რომლითაც ეს მოქმედებები უკავშირდება ერთმანეთს; როგორ წარმოადგენს, წარმოაჩენს და ავრცელებს საკუთარ კულტურას სხვა ქვეყნებში; შენობა-ნაგებობები და ბუნებრივი გარემო, რასაც წარუდგენს დამთვალიერებლებს, ვიზიტორებს; რა მახასიათებლებით გამოირჩევა მსოფლიო მედიაში; ორგანიზაციები და მთავარი ძალა, რომელსაც ის ეკუთვნის; სხვა ქვეყნები, რომლებთანაც პარტნიორული ურთიერთობა აქვს; რა გზებით უწევს კონკურენციას სხვა ქვეყნებს სპორტსა და სხვადასხვა ღონისძიებებში; რას აძლევს იგი მსოფლიოს და რას იღებს უკან მსოფლიოსგან.

როგორც ვხედავთ ქვეყნის ბრენდინგი არის მნიშვნელოვანი თუმცა ამავე დროს ხშირად გაუგებარი კონცეფცია. იმისთვის, რომ ქვეყანამ შექმნას წარ-

მატებული ბრენდი, ლიდერებმა უნდა გაითვალისწინონ ის აქტივები და ვალდებულებები რასაც ქვეყანა ფლობს. ხშირად რთულია უარყოფითი ასპექტების არსებობის ფონზე წარმატების მიღწევა, თუმცა აუცილებელია სანამ მათ დაფარავ ან გამოასწორობ, აქცენტები გაკეთდეს ქვეყნის უპირატესობებზე და დადებით მხარეზე. ქვეყნებს, რომლებსაც შეუძლიათ ამის კეთება, სწორი მარკეტინგული გეგმის ფარგლებში, აუცილებლად დაჯილდოვდებიან ამ მიღწევისთვის. ქვეყნის ბრენდირება შესაძლოა არამარტო არსებული რესურსების რეკლამირებით, არამედ ქვეყანაში ტურისტებისთვის საინტერესო სიახლეების შექმნით, რაც ბაზრის შესწავლისა და ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ბრენდინგმა უნდა დააფიქროს ქვეყნის ლიდერები მომავალზე. ბრენდინგს შეუძლია მოსახლეობას შეაყვაროს საკუთარი ქვეყანა და ამ ქვეყნის მმართველები. შეუძლია გადაახდევინოს გადასახადები, ამსახუროს სამხედრო სამსახურში, გახადოს მოქალაქე კეთილსინდისიერი — რაზეც აგებულია მთლიანად სახელმწიფო. სახელმწიფო არის ბრენდი თავისი საიდენტიფიკაციო სიმბოლოებით: დროშა, გერბი, ჰიმნი, პრეზიდენტი, ძალაუფლების სტრუქტურა, ტაიპური მოსახლის პორტრეტი, ახალი ამბები, ოპოზიცია და მრავალი სხვა.

ქვეყნებისა და ქალაქების ბრენდინგი დაკავშირებულია სიცოცხლის ყველა სფეროს ბრენდირებასთან. მისი ფასეულობა არის ის დანაპირები, რასაც იგი მომხმარებელს ჰპირდება, იქნება ის რეზიდენტი, მუშა, ხელმძღვანელი, ინვესტორი, ტურისტი თუ სხვა. რაც არ უნდა შეიქმნას ახალი ქვეყნისთვის, ყველაზე ძვირფასია, რომ არსებული ბიზნესები, ინვესტიციები და რეზიდენტები შენარჩუნდეს, ეს მოიზიდავს მეტ ინვესტორებს, დამთვალეირებლებს, ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ შთაბეჭდილებას ამ ქვეყნის შესახებ გადასცემენ და დაინტერესებენ სხვებს. ქვეყნის ბრენდის დაპირების ფასეულობა არის სწორედ ასეთი სახის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის ბრენდინგი არის იმ ღირებულებების შენება, შექმნა და დემონსტრირება, რაც დამახასიათებელია ბრენდის ქმედებისთვის, რომელიც მოიცავს ინვესტიციებს, ფსიქიკურ და ეკონომიკურ გეგმებს, მომხმარებლის მოსაზიდად შექმნილ პროგრამებს, ღონისძიებებს, ურთიერთობებს და მოწონებას.

იმისთვის რათა უკეთ გავერკვეთ ტერიტორიის (ადგილის) ან მოსახლეობის ბრენდინგის აუცილებლობაში, ხელსაყრელი იქნება გავისხენოთ მოსახლეობის ბრენდინგის უთუოდ წარმატებული მაგალითი: თანამედროვე იაპონია. სულ რაღაც 30 — 40 წლის წინ, როცა ვიგებდით სიტყვებს “შექმნილია იაპონიაში” უარყოფითად ვიმუხტებოდით, რადგან უმეტესად დასავლეთში მცხოვრები მომხმარებლები “ბრენდ იაპონიას” აღიქვამდნენ, როგორც მეორე ხარისხის პროდუქტების მწარმოებელ ქვეყანად, რომლის პროდუქციამაც წააღწია ბაზარი. იაპონური

პროდუქტები იყო იაფი და სუსტი ხარისხის. მაგრამ დღეს იაპონიის სახელი გახდა მონინავე ტექნოლოგიის, ხარისხის წარმოების, კონკურენტული ფასების, მაღალი სტილისა და სტატუსის სინონიმური. ბრენდინგის კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებლებმა გამოხატეს მზადყოფნა გადაიხადონ მაღალი თანხები იაპონიაში წარმოებულ განსაკუთრებით ტექნოლოგიურ პროდუქტებში. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ კარგ იმიჯს ქვეყანა პროგრესისკენ მიჰყავს. იმ შემთხვევაში თუ იმიჯსა და პროგრესს ერთად გამოვიყენებთ ისინი ერთმანეთს დაეხმარება და ცვლილებებს მოახდენს.

დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბრენდინგს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უდიდესი როლი უჭირავს. ჩვეულებრივი მარკის ბრენდად გარდაქმნა პროდუქტს ბევრად მიმზიდველს და სასურველს ხდის მომხმარებლისთვის. კმაყოფილი მომხმარებელიც თავისუფლად იხდის ფულს ბრენდში. გვინდა ეს თუ არ გვინდა ბრენდინგი სულ ჩვენთან არის. თუ დავაკვირდებით ყოველ დღით კბილებს ვიხეხავთ “Colgate” -ის კბილის ჯაგრისით, ვსვამთ “Jacobs”-ის ყავას, ვმგზავრობთ “Mercedes”-ის ავტომობილით, ვვამშობთ “McDonald’s”-ში, გვიჭირავს “I Phone” - ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ბრენდებით, რომელსაც ხშირად ვერც კი ვიაზრებთ. რეკლამის მეშვეობით ბრენდის ცნობადობა მაღლდება, ზემოქმედება ხდება ადამიანის გონებაზე და გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენ ბუნებრივი მოთხოვნილება გვიჩნდება ამ პროდუქტების შეძენა/მომხმარების კუთხით. ყველაზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხშირად კონკრეტულ პროდუქტს ჩვენ ვირჩევთ მისი წარმომავლობიდან გამომდინარე. დარწმუნებულები ვართ, რომ გერმანული ხარისხის პროდუქტი სჯობს თურქულს, ხოლო თურქული - ჩინურს, ამიტომაც შესაბამისად ვიხდით გაცილებით მეტს კონკრეტულ ბრენდში. ეს მდგომარეობა სწორედ გამომდინარეობს ქვეყანა ბრენდის სიძლიერიდან. კონკრეტულ ქვეყანას დანყებული აქვს ბრენდინგზე ზრუნვა და შესაბამისი შედეგიც მოაქვს მის აქტივობებს. როგორც ვხედავთ, ქვეყნის დადებითი იმიჯი უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ბრენდირების სისტემაში. იგი ეხმარება ქვეყანას მოახდინოს არა მარტო თავისი პროდუქციის ბრენდირება, არამედ თავად იყოს მთლიანობაში საერთაშორისო არენაზე ბრენდირებული.

საზოგადოების ინტერესიც “ადგილის ბრენდინგის” მიმართ დღითიდღე იზრდება. სიტყვა “ადგილში” შესაძლებელია ვიგულისხმოთ: ერები, ქვეყნები, რეგიონები ან კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც მზარდი კონკურენტციის პირობებში ცდილობენ აღმოაჩინონ ახალი ტალანტი, გააკეთონ რაიმე ახალი და ღირებული. ძირითად შეკითხვებზე აუცილებელია კონკრეტული და დანაჯერებელი პასუხები გაიცეს: თუ რატომ უნდა ვიცხოვროთ კონკრეტულ ადგილას? რატომ უნდა მოვიხანულოთ ესა თუ ის ადგილი? ჩავდეთ ინვესტიცია? და მარტივად, რომ ვთქვათ რა ღირებულებები აქვს კონკრეტულ ქვეყან-

ნას, რათა ჩვენი მიზნები განვახორციელოთ? სწორედ ასეთ კითხვებს უნდა სცემდეს კონკრეტულ პასუხს ქვეყნის ბრენდინგი და ის იმიჯი, რითიც იგი წარსდგება მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებსა თუ მათი მოქალაქეების წინაშე - უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ღირებულებებს და შიდა ატმოსფეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება იმიჯის დამსხვრევა, რასაც აუცილებლად დიდი დრო დასჭირდება აღდგენისთვის.

ტერიტორიის ბრენდი უფრო წინ დგას ვიდრე კონკურენტული ბიზნეს ბრენდი. რაც არ უნდა უნიკალური იყოს ესა თუ ის სასტუმრო, სუპერმარკეტი, კლუბი, ის ვინც მათ ირჩევს, წინასწარ განსაზღვრავს ქალაქს ან ქვეყანას, რომელშიც უნდა გაჩერდეს. ტერიტორიის ბრენდინგის ილბალი პირველ რიგში დამოკიდებულია ტერიტორიის პოლიტიკური ლიდერის საჯარო აქტივობაზე, მის რეგიონალურ და ცენტრალურ მოვლენებში აქტიურ მონაწილეობაზე, ქალაქსა და ქვეყანაში პოზიტიურ იმიჯზე. ესე იგი სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აუცილებელია ქვეყნის პრეზიდენტის აქტიურობა და მისი პრესსამსახურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კომპეტენტური მუშაობა.

ცნობადობა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთაც (და სხვათა შორის ინვესტიციის მოზიდვა) აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ზუსტად იმ ქვეყნებმა, ვისაც მკვეთრი, ამბიციური ლიდერები ჰყავთ. ზუსტად ასეთ პრეზიდენტს აქვს საშუალება იყოს მუდმივი ნიუსმეიქერი (ახალი ამბების შემქმნელი), რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ინფორმაციულ საზოგადოებაში. ამრიგად, ქვეყნის ლიდერი - მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა რეგიონალური ბრენდისა. საბოლოო ანგარიშში ის პერსონიფიცირებას უკეთებს სოციალურ - პოლიტიკურ სტილსა და რეგიონის კლიმატს. ის გამოდის ინვესტიციის არა მარტო პერსონალურ გარანტიად, არამედ კონკრეტულ რეგიონში საქმეთა წარმოების სტილის, საქმიანობის აქტივობის, ინტერესების, კომპეტენტურობისა და ხასიათის სიმბოლოდ.

ქვეყნის ბრენდინგის მთავარ შედეგად უნდა გახდნენ: ქვეყნის დადებითი იმიჯის, მისი პრესტიჟის, საქმიანი და სოციალური კონკურენტუნარიანობის ფორმირება; ქალაქში სახელმწიფო და კომერციული შეკვეთების მოზიდვა; საერთაშორისო და რეგიონალური პროგრამების რეალიზაციაში ქვეყნის მონაწილეობის გაფართოება.

რეკლამის საშუალებებს და საზოგადოებრივ ურთიერთობებს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკური სიტუაციების მონიტორინგს შეუძლიათ რეალურად დაეხმარონ ქვეყნის იმიჯის ფორმირებაში. შეიმუშაონ და დანერგონ საინვესტიციო პროდუქტები და საბოლოოდ ხელი შეუწყონ ქვეყნის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებისთვის ბიუჯეტური და არაბიუჯეტური სახსრების მოზიდვას.

ამგვარად, საჯაროა ვალდართო ქვეყნის ბრენდინგის აუცილებლობა, მაცხოვრებელთა ცხოვრების

დონის გაუმჯობესებისათვის, ინვესტიციების, ტურისტების მოზიდვისთვის, როგორც ქვეყნის, როგორც პოზიტიური იმიჯის შექმნის მნიშვნელოვანი ელემენტი. ბრენდინგი გვაძლევს საშუალებას ქვეყნის პრესტიჟის ავამაღლოთ არა მარტო შიდა არამედ გარე აუდიტორიის თვალშიც, რაც საერთო ჯამში დადებითად მოქმედებს, როგორც მოცემულ რეგიონში ასევე მთლიანი ქვეყნის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kevin Lane Keller - Strategic Brand Management (Person International Edition, Third Edition, 2008)
2. Simon Anholt - Beyond the Nation Brand: The role of image and Identity in International Relations (*The Journal of Public Diplomacy*: Vol. 2: Iss. 1, Article 1)
3. Julia Winfield-Pfefferkorn - The Branding of Cities (Master Thesis – Graduate school of Syracuse University, 2005) u
4. Dr. Rik Riezebos (EURIB – European Institute for Brand Management. February 2007) - City Branding – Sense or Nonsense
5. Anholt, S. (2007). - Competitive Identity: New Brand Management for Nations, Cities and Regions, London, Palgrave Macmillan.
6. Anholt, S. (2010). - Places: Identity, Image and Reputation, London, Palgrave Macmillan.
7. Gary Armstrong, Philip Kotler - Marketing / An Introduction (2009).

სასტუმრო ბიზნესი საქართველოში და მისი როლი ტურიზმის განვითარებაში

რეზიუმე

ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სასტუმრო ბიზნესი, რომელიც დღეს საქართველოში სწრაფად ვითარდება. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ამ სფეროში ინვესტიციების განთავსების საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს სასტუმრო ბიზნესის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას.

დაკვირვების შედეგად ვლინდება რომ მოგზაურობის დროს ტურისტების 71 % ამჯობინებს სასტუმროში განთავსებას, 12% - სპეციალიზებულ სახლებში 9 % - კემპინგებში, 8%-კი კერძო ბინებში. ამასთან, მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს დაახლოებით 34%, საშუალო კლასით -45% და 21% უპირატესობას ეკონომ-კლასის სასტუმროებს ანიჭებს. სასტუმროს საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მისი დატვირთვა. სასტუმროების 100%-ით დატვირთვა ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში სასტუმროს ყველა ადგილი მთლიანად დატვირთულია, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება, უკეთეს შემთხვევაში სასტუმროს წლიური დატვირთვა 65-70 %-ს შეადგენს.

სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის შემუშავება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. სასტუმროებისათვის სტანდარტით გარკვეული კატეგორიის მინიჭებისათვის საჭიროა განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნები:

- მატრეიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა;
- მომსახურების ნომენკლატურა;
- მომსახურების დონე;
- მოსახერხებელი მისასვლელი გზები, კეთილმოწყობილი ტერიტორია და სხვა.

სამწუხაროდ, ქართული სასტუმროებისა და სხვა ინდუსტრიის მენეჯერების დიდ ნაწილს ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ ხარისხის შესახებ. მომსახურების ხარისხი ისევე მისი მრავალფეროვნება მომხმარებელთა მოთხოვნებს უნდა შესაბამებოდეს და ფასის ადეკვატური უნდა იყოს.

არსებობენ სასტუმროები, რომლებიც მხოლოდ ელიტარული იმიჯიდან გამომდინარე ადებენ მაღალ ფასებს, სახელის გარდა რაიმე ადეკვატური უპირატესობის გარეშე. ამგვარი მიდგომა გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ასეთი სასტუმროების გაქრობას. მიღწეული წარმატების შესანარჩუნებლად მხოლოდ პრეფერენციების სწორად განსაზღვრა და ნდობის მოპოვება საკმარისი არ არის. მოპოვებულ ნდობას შენარჩუნება სჭირდება, რაც მხოლოდ ეფექტიანი მენეჯმენტით მიიღწევა.

*ელისო გველესიანი, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი
РЕЗИОМЕ*

Гостиничный бизнес в Грузии и
его роль в развитии туризма

Как свидетельствует мировая практика, одним из составных частей туристического бизнеса является гостиничный бизнес, быстро развивающийся сегодня в Грузии. Хотя весьма важен вопрос вложения инвестиций в эту сферу, содействующий развитию гостиничного бизнеса еще более быстрыми темпами.

Наблюдения показали, что 71% туристов предпочитают проживание в гостинице, 12% - специализированных домах, 9% - в кемпингах 8% - в частных домах.

Разработка единой системы классификаций гостиниц – одна из самых сложных проблем туристической индустрии. Для присвоения гостиницам определенной стандартом категории необходимо определить минимальные требования:

- состояние материально-технической базы;
- номенклатура обслуживания;
- уровень обслуживания;
- удобные подъездные дороги, благоустроенная территория и др.

К сожалению, заметную часть менеджеров грузинских гостиниц и другой индустрии зачастую характеризует ошибочное представление о качестве. Качество услуг, а также его многообразие должно соответствовать спросу потребителей и должно быть адекватным цене.

Существуют гостиницы, устанавливающие высокие цены, исходя лишь из элитарного имиджа, без всякого адекватного преимущества за исключением имени. Подобный подход в долгосрочный период предопределяет исчезновение таких гостиниц. Для сохранения достигнутых успехов недостаточно правильное определение предпочтений и обретение доверия. Сохранить обретенное доверие можно лишь достижением эффективного менеджмента.

* * * * *

ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სასტუმრო ბიზნესი, რომელიც დღეს საქართველოში სწრაფად ვითარდება. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ამ სფეროში ინვესტიციების განთავსების საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს სასტუმრო ბიზნესის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას. საქართველოში ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად რჩება სოფლის მეურნეობასთან

ერთად. თუმცა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის დაუგეგმავად მშენებლობა და მხოლოდ რაოდენობრივ ზრდაზე გათვლა შეცდომაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონით საქართველოს 133 ქვეყნიდან 115-ე ადგილი უკავია.

მსოფლიოში ბევრი ადამიანისათვის საქართველო ჯერ კიდევ სრულიად უცნობი მხარეა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის გამოცდილება ტურისტისათვის დადებითი იყოს, რათა მას უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს. ყოველივე ეს კი შეუძლებელია მომსახურების სფეროს მაღალი სტანდარტების გარეშე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ტურისტების მხრიდან საქართველოზე გაზრდილ მოთხოვნას ქვეყანა ინფრასტრუქტურული პროექტებით პასუხობს, რომელთა შორის აღსანიშნავია: გზების მშენებლობა, ტურისტული გამოფენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, გზამკვლევების, რუკების, ბუკლეტების და საიმიჯო ბანერების დამზადება, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების გახსნა რეგიონებში, საზღვაო და სამთო კურორტების კეთილმოწყობა, განთავსების საშუალებების კვების ობიექტების კლასიფიკაცია და ა. შ. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის სტუმართა განთავსების საშუალებების განვითარებას. უკანასკნელ წლებში მრავალი ინვესტორია დაინტერესებული ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელებით. უცხოელი ინვესტორების ზრდასთან ერთად შესაბამისად სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოში ჩამოსული ტურისტებისა და სამთავრობო დელეგაციების რაოდენობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება მოთხოვნები სტუმართა განთავსების საშუალებებზე, როგორც რაოდენობის ასევე მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით. დაკვირვების შედეგად ვლინდება რომ მოგზაურობის დროს ტურისტების 71% ამჯობინებს სასტუმროში განთავსებას, 12% - სპეციალიზებულ სახლებში 9% - კემპინგებში, 8%-კი კერძო ბინებში. ამასთან, მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს დაახლოებით 34%, საშუალო კლასით-45% და 21% უპირატესობას ეკონომ-კლასის სასტუმროებს ანიჭებს. სასტუმროს საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მისი დატვირთვა. სასტუმროების 100%-ით დატვირთვა ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში სასტუმროს ყველა ადგილი მთლიანად დატვირთულია, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება, უკეთეს შემთხვევაში სასტუმროს წლიური დატვირთვა 65-70 %-ს შეადგენს.

სასტუმროების ბიზნესი საქართველოში შედარებით სწრაფად ვითარდება და შეიმჩნევა ბრენდების სიმრავლეც. ბაზარზე ცნობილი ბრენდების შემოსვლამ არსებული მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა ადგილობრივი სასტუმროებიც წარმატებით მუშაობენ, რაც იაფი სერვისით აიხსნება. ასე მაგალითად

თბილისში სასტუმროები მრავლადაა, მაგრამ ასევე მაღალია ტარიფებიც (იხ. ცხრილი 2.2) ტურისტების უმრავლესობა როგორც წესი საშუალო კლასის მომხმარებელია, რომლებიც დამოუკიდებლად ცდილობენ მოგზაურობას და დამოუკიდებლად ეძებენ სასტუმროებსაც. ასე მაგალითად, თუ ანტალიაში ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმრო დღეში ღირს 25-70 აშშ. დოლარი, თბილისში ღირს 70-300 აშშ დოლარი. ამიტომ საშუალო სტატისტიკურ ტურისტს ურჩევნია იპოვოს ისეთი სასტუმრო, რომელშიც გადაიხდის დაახლოებით 50 აშშ. დოლარს. დღეისათვის კომფორტაბელური სასტუმროების უმრავლესობა თავმოყრილია საქართველოს დედაქალაქში. ამჟამად თბილისში არსებობს ოთხი მაღალი კლასის სასტუმრო: „ქორთიანდ მარიოტი“, თბილისის მარიოტი, შერატონ მეტეხი პალასი, რედისონ ბლუ ივერია. 2010 წლიდან მოქმედებს მომსახურების მაღალი დონის ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმრო ჰოლიდეი ინი. აღნიშნული სასტუმროების გარდა თბილისის ცენტრალურ უბნებში არის სამ ვარსკვლავიანი საკმაოდ მაღალი ხარისხის სასტუმროებიც.

ცხრილი 2.2

თბილისში სასტუმროს ნომრების ფასები

№	თბილისში არსებული სასტუმროები	კატეგორია	ნომრების რაოდენობა	ფასი აშშ დოლარი
1	შერატონ მეტეხი პალასი	5 *	182	230-450
2	თბილისის მარიოტი	5 *	127	275-485
3	რედისონი	5 *	118	220-430
4	ამბა სადორი	4 *	248	115-270
5	სასტუმრო ბეჭხი	4 *	28	149-175
6	ძველი მეტეხი	3 *	15	80-110
7	ბიმონდ გარდენ ელვანტ	3 *	11	100-150
8	ძველი ვარაზი	3 *	44	70-140

სასტუმროების უმრავლესობა მიეკუთვნება ბიზნეს-ოტელებს. საერთო ჯამში დღეისათვის თბილისში არსებობს დაახლოებით 350 ნომერი ე.წ. ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროებში, ხოლო 200 ნომერი ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმროებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ დღეისათვის თბილისში არის გაცილებით ნაკლები 4-5 ვარსკვლავიანი სასტუმრო და შესაბამისად სასტუმროს ნომრები, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქში. ასევე მნიშვნელოვნად დაბალია ნომრების რაოდენობა ყოველ 100 სულ მოსახლეზე. შესაბამისად

დატვირთვის კოეფიციენტები და ფასები საკმაოდ მაღალია. სავარაუდოდ ახალი პროდუქტების დასრულების შემდეგ მაღალი კლასის სასტუმროს ნომრების რაოდენობა 1494 - ს მიაღწევს და ნომრების რაოდენობით მოსახლეობის ყოველ 100 სულზე თბილისის მაჩვენებელი გაუსწრებს დღევანდელი კიევის მაჩვენებელს. თუმცა, კვლავ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ქალაქებთან შედარებით.

თბილისში არის, აგრეთვე შედარებით მცირე ზომის სასტუმრო და დიდი რაოდენობა კერძო სასტუმროებისა, რომელთა უმრავლესობა ძირითადად წარმოადგენს კეთილმოწყობილ, კომფორტაბელურ საცხოვრებელს და არ შეესაბამება საოჯახო სასტუმროს საერთაშორისო სტანდარტებს. სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მცირე ადგილობრივი საწარმოების რაოდენობა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისსა და მის შემოგარენში ძალიან მცირეა ტურისტების განთავსების საშუალებები ე.წ. ჰოსტელები.

Hostel – ეს საჯარო ტიპის სასტუმროა, რომელიც წარმოადგენს მოკლე ვადით საცხოვრებელს მოგზაურთათვის. როგორც წესი ეს არის საძინებელი დამატებითი კომფორტის გარეშე. Hostel-ის ტიპის სასტუმრო უფრო მეტად ახალგაზრდულ სეგმენტზეა გათვლილი. ასეთი ტიპის სასტუმრო აპრობირებულია ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში და საკმაოდ პოპულარულია ფასისა და შესაბამისი მომსახურების გამო.

საქართველოს რეგიონებში სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით სტუმართა განთავსების საშუალებებს ძირითადად შეადგენს საოჯახო სასტუმროები. ქალაქები როგორცაა ქუთაისი, თელავი ბორჯომი და სხვა არსებობს რამოდენიმე სასტუმრო, თუმცა უცხოელი ტურისტების უმრავლესობა ამჯობინებს დაბინავდეს საოჯახო სასტუმროებში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით სასტუმროებისა და რესტორნების განვითარების ტენდენციებს 2005 წლიდან 2012 წლამდე ასახავს ცხრილი 2.3 .

ცხრილი 2.3
სასტუმროებისა და რესტორნების განვითარების ტენდენციები

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ბრუნვა მლნ.ლარი	81,3	126,7	179,0	292,8	224,6	280,0	388	573	730
გამომუშავებული პროდუქტის მლნ.ლარი	88,3	134,6	177,4	193,5	225,7	271,5	365	574	718
დამატებული ღირებულება მლნ.ლარი	38,4	56,7	74,8	84,1	93,7	114,3	149	200	281
შუალედური მოხმარება	49,9	77,9	102,6	109,4	132,0	157,2	215	373	437
ფიქსირებული აქტივები	232,7	309,6	222,9	186 0	379,0	591,3	646	680	749
დასაქმებულთა რაოდენობა კაცი	7920	114337	11993	11554	11184	13540	16106	2400	27821
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	155,5	153,1	196,7	232,5	333,7	364,9	377	342	397

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური

საქართველოში ტურისტიული ინდუსტრიის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე, მათ შორის საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასა და სრულყოფაზე. საქართველოსა და საზღვარგარეთის ინვესტიციებს უნდა ჰქონდეს ყველა პირობები წარმატებით და მაღალეფექტიანად განავითარონ სამამულო ტურისტულ ინდუსტრია.

საქართველოს ინვესტიციების ხვედრითი წილი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში 2006 წლიდან ზრდადი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა და სერიოზული ჩავარდნა გარკვეული მიზეზების გამო 2009 წელს გამოვლინდა (იხ ცხრილი 2.4).

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინვესტიციების მეტი წილი მიმართულია მსხვილ პროდუქტებში, რაც ცნობილი ბრენდების სახითა წარმოდგენილი. შერატონის შემდეგ, ბათუმში 2011 წელს სასტუმრო რედისონიცი გაიხსნა, ექსპლოატაციაში შევიდა სასტუმრო „ჰილტონი“, სასტუმრო ბიზნესი რეგიონებშიც ვითარდება. ამ შემთხვევაში სერვისის გარდა მოთხოვნა აქტიურ დასვენებაზეცაა.

ცხრილი 2.4

სასტუმროებსა და რესტორნებში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში

	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი
	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი
სულ	18,3	81,1	54,7	141,2	54,8	45,6
მსხვილი	9,5	59,7	14 0	126,6	50,8	24,6
საშუალო	3,6	17,7	36,5	12,8	2,2	19,7
მცირე	5,2	3,8	4,2	2,4	1,8	1,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური.

სასტუმროები ერთმანეთისაგან კლასის მიხედვით განსხვავდებიან. ბოლო წლებში სასტუმროების კლასიფიკაციის პრობლემა ტურიზმის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. კლასიფიკაცია მიღებულია მსოფლიოს 64 ქვეყანაში, 11 ქვეყანაში ის დამუშავების პროცესშია. ხოლო 58 ქვეყანას არა აქვს ერთიანი კლასიფიკაცია. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება ქვეყნები როგორცაა: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ, და იაპონია. სხვაობა სასტუმროების კლასებს შორის მომსახურების ნომენკლატურით, დონით და ფასებით აისახება. კატეგორიებს კი ასახავენ სიმბოლოთი ვარსკვლავით.

სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის შემუშავება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. სასტუმროებისათვის სტანდარტით გარკვეული კატეგორიის მინიჭებისათვის საჭიროა განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნები:

- მატრეიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა;
- მომსახურების ნომენკლატურა;
- მომსახურების დონე;
- მოსახერხებელი მისასვლელი გზები, კეთილმოწყობილი ტერიტორია და სხვ.

საქართველოში მოქმედი გლობალური სასტუმროების ქსელების ობიექტების შეფასება ამ სისტემით ხდება. ქართული სასტუმროები კი ზოგ შემთხვევაში ვარსკვლავების სისტემას საკმაოდ უდიერად ეპყრობიან და ვარსკვლავებს დამოუკიდებლად ანიჭებენ სასტუმროებს. სამწუხაროდ, ქართული სასტუმროებისა და სხვა ინდუსტრიის მენეჯერების დიდ ნაწილს ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ ხარისხის შესახებ. მომსახურების ხარისხი ისევე მისი მრავალფეროვნება მომხმარებელთა მოთხოვნებს უნდა შესაბამებოდეს და ფასის ადეკვატური უნდა იყოს.

არსებობენ სასტუმროები, რომლებიც მხოლოდ ელიტარული იმიჯიდან გამომდინარე ადებენ მაღალ ფასებს, სახელის გარდა რაიმე ადეკვატური უპირატესობის გარეშე. ამგვარი მიდგომა გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ასეთი სასტუმროების გაქრობას. მიღწეული წარმატების შესანარჩუნე-

ბლად მხოლოდ პრეფერენციების სწორად განსაზღვრა და ნდობის მოპოვება საკმარისი არ არის. მოპოვებულ ნდობას შენარჩუნება სჭირდება, რაც მხოლოდ ეფექტიანი მენეჯმენტით მიიღწევა.

კერძო და საჯარო დაწესებულებების მიერ რეგულირებადი საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების უფლების მოპოვებისადმი ერთგვაროვანი სახელმწიფო ვიზიონის ფორმირება

ნუგზარ სიჭინავა, სტუდენტ-დოქტორანტი

რეზიუმე

Summary

კერძო სამართლის სუბიექტ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების (საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის) საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში მიმდინარე რეფორმების ფონზე, სამენარმეო ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების მუდმივი ცვალებადობის პირობებში.

საგანმანათლებლო საქმიანობა, თავისი არსით, წარმოადგენს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან ერთად, საყურადღებოა მოცემული საქმიანობის კერძოსამართლებრივი სუბიექტების მიერ რეალიზაციის, ასევე ამ საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პროცესში წარმოშობილი პრობლემური საკითხების ანალიზი. კერძო საგანმანათლებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პირობები და წესი წლების განმავლობაში ხშირად იცვლებოდა, რის შედეგადაც დაგროვდა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ამ სფეროში არსებული ამჟამად მოქმედი სამართლებრივი ბაზა, გამოვლინდეს ნაკლოვანებები და დაიგეგმოს განსახორციელებელი ღონისძიებები სახელმწიფოსა და საზოგადოების, მათ შორის მენარმე თუ არამენარმე სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

1991 წლის 10 ივლისიდან მოყოლებული, როდესაც გაცემულ იქნა საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში პირველი ლიცენზია, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების პროცესში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი პროგრესული იდეაც დიდი ხნით დავიწყებას მიეცა, ან ვერ განხორციელდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მოცემული ნაშრომის მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებისა და განვითარების ცალკეული სამართლებრივი ასპექტების წარმოჩენა და მათი ანალიზის შედეგად არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიების ხელშეწყობა.

Issues on private law entities education institutions activities regulated by the state is especially urgent question in light of the ongoing reforms in Georgia and the constant variability of the legal acts governing the corporate relationships.

Educational activities are such organized activities, in its essence, which refers to the indeterminate group of persons and covers especially important interest of state and public. In addition, it is noteworthy analyze the issues raised during carrying out of this activities by the legal entities of private law, also during the regulating this activities by the state. State regulations terms and rules in private educational activities often changed over the years, as a result, has accumulated rich practical experience. It gives us opportunity to evaluate the current legal base in this field. It gives us opportunity to take into account legitimate interests and rights of state, society, entrepreneurs and non-entrepreneurial entities during identifying gaps and planning measures to be implemented.

From 10th of July, 1991 years onwards, when in the field of educational activities was issued the first license, a lot of things have changed in the process of education activities carried out by the private law entities. Many progressive ideas were forgotten for a long time, or have not been implemented due to poor socio-economic conditions of the country. The aim of the paper is formation and development of the certain legal aspects and promotion find the ways of solving problems of the state regulation mechanism in education activities

კერძო სამართლის სუბიექტების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება სათავეს იღებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდიდან. რეგულირების მექანიზმის არსებობის სამართლებრივი საფუძველი გახდა 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ფასიანი სწავლების თაობაზე ცვლილების განხორციელება და საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულების დამტკიცება. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული სახელმწიფო ინარჩუნებდა მონოპოლიას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაზე, ვინაიდან

მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები არ საჭიროებდნენ სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებას, განსხვავებით კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან, რომლებიც ვალდებული იყვნენ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებამდე დაეცვათ კანონმდებლობით დადგენილი სპეციფიკური წინაპირობები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პერიოდულად იცვლებოდა სახელმწიფოს მიდგომაც.

1997 წლის 27 ივნისს მიღებული „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის¹ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენდა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებათა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების თვალსაზრისით ერთსა და იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა. კერძოდ, კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაიწერა უმნიშვნელოვანესი ნორმა: „საგანმანათლებლო დაწესებულებას თავისი წესდებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების უფლება აქვს ლიცენზიის მიღების შემდეგ, რომელსაც გასცემს ამ კანონით განსაზღვრული და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე განათლების სისტემის მართვის ორგანო“. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა „როგორც საჯარო სამართლის, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით“. ამასთან, განისაზღვრა, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არ იყო შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ასრულებენ უმაღლეს, უმაღლესის შემდგომ და სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ლიცენზიას აძლევს საქართველოს განათლების სამინისტრო“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა მხოლოდ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება. კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის ნორმებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გარდა) დაფუძნების გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სასკოლო ოლქის სამმართველო,

1 პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 58.
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31756&publication=0&lang=ge;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამასთან, საქართველოს განათლების სამინისტრო წარმოადგენდა უმაღლესი, უმაღლესის შემდგომი და სამხედრო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ლიცენზიის გამცემ ორგანოს, ხოლო ამ საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა არსებული ყველა დანარჩენი საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულების ლიცენზირებას, თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების შესაბამისად, ახორციელებდნენ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების შესაბამისი სამინისტროები და სასკოლო ოლქები (სასკოლო ოლქის სამმართველო), რომლებიც წარმოადგენდნენ განათლების სისტემის მართვის შუალედურ რგოლს და მოიცავდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის რამდენიმე ერთეულის შესაბამის ტერიტორიას. ამავე კანონით სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის გაუქმების უფლებამოსილება გააჩნდათ ლიცენზიის გამცემ დაწესებულებებს მათი სამოქმედო ტერიტორიის გათვალისწინებით, თუმცა ლიცენზიის გაუქმების ეს უფლებამოსილება, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონით², შეიცვალა ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ, საკანონმდებლო აქტით პირველად განსაზღვრა კერძო სამართლის იურიდიული პირების ანალოგიურად საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვალდებულება, სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წინაპირობად ლიცენზირების პროცედურის გავლა.

საქართველოში, საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში, პირველი ლიცენზია გაიცა „თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტზე“ 1991 წლის 10 ივლისს (ლიცენზიის №01-17-02/1433)³, რომლითაც აღნიშნულმა ინსტიტუტმა მიიღო უფლება განეხორციელებინა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა. მოცემული პერიოდის დასრულებული, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების გათვალისწინებით, პირველად მოექცნენ ერთსა და იმავე სამართლებრივ რეჟიმში სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო რო-

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, №20(27), 09.06.1999წ; მუხ.92; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=11656

3 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიო რეგსტრი (სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ არქივი).

გორც ქვეყნის დემოკრატიული რეფორმების, ისე ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის გზაზე. სამწუხაროდ, ხსენებული საკანონმდებლო რეგულაცია მოქმედებდა მხოლოდ 1999 წლის 01 ივლისამდე და ამ პერიოდიდან გაუქმებულ იქნა „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონით. რვა წელი დასჭირდა სახელმწიფოს იმისათვის, რომ კვლავ მისულიყო ანალოგიურ გადაწყვეტილებამდე, ერთგვაროვანი მიდგომა ჰქონოდა სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი და მათ მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება დაეკავშირებინა ლიცენზირების გავლის ერთსა და იმავე სავალდებულო პროცედურასთან. კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საქმიანობის განსახორციელებლად კონკურენციის თანაბარი პირობები გათვალისწინებულ იქნა „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 10 მარტის კანონით⁴ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 აპრილის №281 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების სამინისტროს დებულების“⁵ მე-2 მუხლის მე-15 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“⁶ მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნორმებით შენარჩუნებულ იქნა განათლების (მოგვიანებით - განათლებისა და მეცნიერების) სამინისტროს უფლებამოსილება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირების თვალსაზრისით. კერძოდ, ამ ნორმების თანახმად სამინისტრო შესაბამის ლიცენზიას აძლევდა სააღმზრდელო და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებდნენ „უმაღლეს, უმაღლესის შემდგომ და სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს“.

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგინდა ამ კან-

4 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №11, 29.03.2005წ., მუხ. 72. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29068&publication=0

5 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების კრებული, №8, 30.04.1998წ.; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1237768&publication=4#

6 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 25.05.2004წ.; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=12262&publication=0#

ონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება. ასევე გადაწყდა, ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელახალი ლიცენზირების პროცესის განხორციელება (მუხლი 58.1) ამ კანონის შესაბამისად ლიცენზირების დებულების დამტკიცებიდან ორი წლის განმავლობაში.

საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების მინისტრის 1998 წლის 25 ივნისის №414 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების დებულება“⁷, რომლითაც ასევე დადასტურებულ იქნა, რომ „ლიცენზია წარმოადგენს დოკუმენტს საგანმანათლებლო (სააღმზრდელო) საქმიანობის დაწყების უფლების მიღების შესახებ“ (მუხლი 1.2). მოცემული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ შეიცავდა უმნიშვნელოვანეს ნორმას, რომლის თანახმადაც, საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია გაიცემოდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, ისე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოცემული დებულებით განისაზღვრა ლიცენზირებისათვის საჭირო საბუთების დეტალური ჩამონათვალი, რომლითაც დაკონკრეტდა ლიცენზირებადი საქმიანობის განსახორციელებლად როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის სუბიექტების მიერ დასაკმაყოფილებელი ცალკეული სალიცენზიო პირობები და მათი ფარგლები. დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ იქნა „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ლიცენზირებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელახალი ლიცენზირების ჩატარება 2000 წლამდე, განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

საქართველოს განათლების მინისტრის 1998 წლის 25 ივნისის №414 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების დებულების“ გაუქმება უკავშირდებოდა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 14 მაისის კანონის მიღებას (ამოქმედდა 1999 წლის 01 ივლისს), რომლის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ამ კანონით განსაზღვრული, ლიცენზირებას დაქვემდებარე-

7 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არქივი (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 1998 წლის 01 ივლისს, რეგისტრაციის №190.012.003.302).

ბული სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირები, რომელთაც ლიცენზია მიღებული ჰქონდათ ამ კანონის ამოქმედებამდე, ვალდებული იყვნენ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში წერილობით მიემართათ ლიცენზიის გამცემი ორგანოსათვის ლიცენზიის სალიცენზიო რეესტრში რეგისტრაციისატვის. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონის ამოქმედებამდე მიღებული ლიცენზიები ჩათვლებოდა გაუქმებულად.

შესაბამისად, რეგულირების მიღმა აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 10 მარტის კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის ამოქმედებამდე არ მოეთხოვებოდათ სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 33, 31 ივლისი, 1997, გვ. 58;
2. „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 20(27), 09.06.1999წ; მუხ.92;
3. „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 10 მარტის კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11, 29.03.2005წ, მუხ. 72;
4. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 აპრილის №281 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების სამინისტროს დებულება“, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების კრებული, 8, 30.04.1998წ.;
5. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისი №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება“, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების კრებული, №8, 30.04.1998წ.;
6. საქართველოს განათლების მინისტრის 1998 წლის 25 ივნისის №414 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების დებულება“, რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 1998 წლის 01 ივლისს, რეგისტრაციის №190.012.003.302;
7. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005წ., მუხ. 264.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი ეკონომიკური კონსერვაციის განვითარების კონცეფციები

ელენე მენაბდე-ჯობაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

Summary

მსოფლიო ფინანსური კრიზისი ეკონომიკური კონსერვაციების განვითარების კონცეფციებში - აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიება, განსაკუთრებით აქტუალური, 2008 წლის კრიზისის შემდეგ გახდა. ამ პრობლემას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ სამწუხაროდ რაიმე რადიკალური მოსაზრება ჯერჯერობით ცნობილი არ არის. არსებული გლობალური კრიზისი მსოფლიო ფინანსური სისტემის რადიკალური რეფორმის აუცილებლობის ნათელი დადასტურებაა. განხილულია ეკონომიკურ შეხედულებათა და კონცეფციათა აღმოცენების პირობები და მიზეზები, კავშირი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებთან. ნაჩვენებია ეკონომიკური თეორიის განვითარების დაახლოებით 40-წლიანი ციკლურობა XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე. აღნიშნულია, რომ ინფორმაციული ეპოქის თანამედროვე ეტაპზე განვითარების ახალ ციკლურ ფაზაზე გადასვლის რეალობის წინაშე ვდგავართ და თანამედროვე ეკონომიკური თეორია ახალი სამეცნიერო რევოლუციის ზღვარზეა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გრძელდება. მისი დაძლევის რეცეპტების უმეტესობა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ე.წ. „მკაცრი პოლიტიკის“ ფარგლებში თავსდება და იშვიათად ასახავს ამ ორ მიმართულებას შორის ბუნებრივად არსებულ წინააღმდეგობებს. ეს ვარაუდები წარსული გამოცდილების შეზღუდული (არასრული ან წარმოსახვითი) გააზრებიდან, მასთან გადაჯაჭვული საბაზრო იდეოლოგიის თეორიებიდან და ნორმატიული პრინციპებიდან („რადიკალიზმი“) აღმოცენდებიან.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური კრიზისები, ეკონომიკური პოლიტიკა, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, ნეოკლასიკური თეორიები, მარჟინალიზმი, ინსტიტუციონალური თეორიები, მონეტარიზმი, კეინზი, სილარიტი, სამომხმარებლო მოდელი, მიწოდების სტიმულირება, პოსტინდუსტრიალიზმი, ინოვაციური ეკონომიკა.

Search the present conditions of economic development model has become especially acute after the 2008 crisis. A lot of work has been devoted to this problem, but unfortunately for some radical notion is not yet known. The current global crisis in the world financial system is a clear sign of the need for radical reform.

this article provides discussion of the conditions and reasons of creation of the economic views and conceptions, their relation with the world economic crises. It demonstrates the cyclic nature of economic theory development with about 40-years cycles, from the end of 19th century up to present. It states that at the current stage of the information epoch we face the reality of moving to the new cyclic stage of development and modern economic theory is at the verge of new scientific revolution. The global economic crisis is still continuing and Technological innovation is the solution

* * * * *

ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიება განსაკუთრებით აქტუალურია 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. უამრავი ნაშრომი მიეძღვნა ამ პრობლემას, მაგრამ სამწუხაროდ დღეისათვის რაიმე რადიკალური მოსაზრება ცნობილი არ არის. მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრიზისების სწორი და დროული პროგნოზირება, რათა წინასწარ შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული კრიზისების სინქრონულ, რბილად გადატანას.


მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ძირითადი აქცენტი, მის ნეგატიურ მხარეებზე კეთდება, რაც საზოგადოებასა და საქმიან წრეებში პესიმისტურ განწყობას იწვევს. კრიზისის მასშტაბებზე ვრცელდება ცალსახა, ზედაპირული, ხშირად ხელოვნურად გაზვიადებული ინფორმაცია, ხოლო ობიექტური, განონასწორებული და კომპეტენტური ანალიზი რეალურ მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე იშვიათია. აღსანიშნავია, რომ ჩინურ ენაზე დანერგილი სიტყვა „კრიზისი“ ორი იეროგლიფისაგან შედგება: ერთი შეესაბამება „საფრთხეს“, მეორე კი „ხელსაყრელ შესაძლებლობას“.

მრავალ ნეგატიურ ასპექტებთან ერთად კრიზისი ცივილიზაციის განვითარებაში რევოლუციურ მომენტად განიხილება. ამ მხრივ, კრიზისის ეპოქას თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნია: ესაა ფრიად ხელსაყრელი მომენტი ბაზარზე კონკურენტების შევინროებისა და გარკვეული ნიშის დაკავებისათვის,

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა და წარმოების მართვის უფრო მისაღებ ფორმებზე გადასვლისათვის, მომგებიანი მეთოდების წამოწევისა და მაქსიმალურად ეფექტური ინვესტირებისათვის. ასეთ დროს ეყრება საფუძველი ახალ დარგებს, ხდება უკვე არსებული სანარმოო პროცესების ფუნქციონირების გადასვლა ინოვაციურ მოდელებსა თუ ტექნოლოგიებზე და არაჯანსაღ, მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულ მოდელთა რეცესია.

ფინანსური კრიზისი სათავეს იღებს XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც მანქანათმშენებლობის ინდუსტრია (რომელიც საზოგადოებრივი წარმოების დომინირებად ფორმად იქცა ჯერ ცალკეულ ქვეყნებში, შემდეგ მთელს მსოფლიოში) ყოველ 7-11 წელიწადში განიცდიდა სტაგნაციას, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ იქმნებოდა გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე რეალიზდებოდა.

ჩვენს მიერ განალიზებული ეკონომიკური თეორიის ევოლუცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დღემდე სქემიზებულია ნაჩვენები. როგორც ვხედავთ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკური აზრის განვითარება ორი მიმართულებით წავიდა. ეკონომიკის სოციალური პრობლემების ანალიზით ძირითადად მარქსისტული (ხოლო მე-20 საუკუნეში ასევე ინსტიტუციონალიზმის) პოლიტიკური ეკონომიის მიმდევრები იყვნენ დაკავებული. ხოლო კერძოდ საბაზრო მეურნეობის მექანიზმის ფუნქციონირების შესწავლა – ნეოკლასიკოსების პრეროგატივა გახდა. ეს ორივე მიმართულება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიიდან განვითარდა. პირველი მიმართულების წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს რაციონალური ეგოიზმის და ბაზრის რეგულირების “უხილავი ხელი” პრინციპი, ხოლო ნეოკლასიკოსები მათ ჭეშმარიტი მიცნვირული ანალიზის საფუძვლად მიიჩნევენ.



ნეოკლასიკური მიმართულების ფორმირება მარქინალური სამეცნიერო რევიოლუციის ფონზე ხდებო-

და და იგი ალფრედ მარშალის “ეკონომიკის პრინციპების” (1890) გამოსვლით დასრულდა.

ნეოკლასიკური თეორია დაახლოებით 40 წელი 1930-იან წლებამდე ბატონობდა. 1929–1933 წლების დიდი დეპრესიის შემდეგ (რომელმაც თავისი მასშტაბით ყველა წინამორბედ კრიზისს გადააჭარბა), განხორციელდა სამეცნიერო რევიოლუცია, რომელიც ჯ.მ. კეინზის სახელთანაა დაკავშირებული. ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით კეინზიანელებმა უარყვეს სახელმწიფოს ჩაურევლობა სამეურნეო ცხოვრებაში და შეიმუშავეს მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია.

კეინზელობა ორ მიმდინარეობად იყოფა: მემარცხენე (ლიბერალურ) და კონსერვატიულად. კონსერვატიული მიმართულება ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე მონოპოლიური მოგების მაქსიმიზაციის, ეკონომიკის მილიტარიზაციის და ომების გზით. მემარცხენე კეინზელობა თანამედროვე ეკონომიკის წინააღმდეგობებიდან გამოსავალს ეძებდა: სამხედრო ხარჯების შემცირებაში; სახელმწიფოს სამშვიდობო დანახარჯების (საბინაო მშენებლობაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალურ დაზღვევაზე, საზოგადოებრივ მშენებლობაზე და ა.შ.) ზრდაში; ფერმერების, წვრილ მენარმეთა და მუშების შემოსავლების ზრდაში, “ეფექტიანი მოთხოვნის” პრობლემის გადასაჭრელად.

პოსტკეინზელების მოწოდება იყო საბოლოოდ დაემხოთ ნეოკლასიკური სისტემა, ბოლომდე მიეყვანათ კეინზის მიერ ეკონომიკურ თეორიაში დაწყებული “რევიოლუცია”, შეექმნათ მაკრო და მიკროეკონომიკის ახალი სინთეზი.

პოსტკეინზელობასთან ერთად მაკროეკონომიკური ანალიზის საყურადღებო მიმართულებაა ნეოკლასიკური სკოლა თავის იმ ნაწილში, რომელიც ე.წ. სანარმოო ფუნქციების განხილვას უკავშირდება.

კეინზიანური შეხედულებებიც დაახლოებით 40 წლის განმავლობაში 1970-იან წლებამდე ბატონობდა. 70-იანი წლების კრიზისმა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეზღუდვის იდეა ისევ პოპულარული გახადა. 1970-იანი წლების სამეცნიერო რევიოლუციას “ნეოკლასიკურ კონტრრევიოლუციას” უწოდებენ, რადგან მან ისევ ნეოკლასიკური შეხედულებები გააბატონა.

60-70-იან წლების განუყოფელი ნიშნებია ეკონომიკური კრიზისები და წარმოების დაცემა, არნახული მასშტაბური ინფლაცია, რომელმაც ყველა კაპიტალისტური ქვეყანა მოიცვა, ხანგრძლივი მსოფლიო სავალუტო, ენერგორესურსების, ასევე მზარდი ეკოლოგიური კრიზისი. ამიტომ დასავლეთის ეკონომიკური თეორიაში სცადეს მიკრო და მაკროეკონომიკური ანალიზის ინტეგრირება ნეოკლასიკური სინთეზის ახალი კრიტიკული ტალღის — მაკროეკონომიკური ანალიზების მიმდინარეობათა: ნეოკეინზელობის, ზრდის ნეოკლასიკური თეორიის, კონიუნქტურის თეორიის, ეკონომეტრიკისა და სხვათა სინთეზის მეშვეობით. ამგვარი სინთეზირების თეორიული საფუძველი ნეოკეინზელობა გახდა. ამ მიმართულების

ეკონომისტების უმრავლესობა ცდილობს ეფექტიანი ფულად — საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გზით შეაერთოს სმითისა და მარშალის კლასიკური მიკროეკონომიკა, შემოსავლის დონის განსაზღვრის თანამედროვე მაკროეკონომიკასთან და ერთმანეთს შეუხამოს ყოველივე ის ჯანსაღი, რაც ორივე ამ მიდგომაშია მოცემული.

ნეოკეინზური და ნეოკლასიკური სკოლის სინთეზის ტენდენციებს საფუძვლად უდევს მათი კვლევის საგნის ერთიანობა, ეკონომიკის მზარდი სახელმწიფოებრივი რეგულირების მოთხოვნა, მეტ-ნაკლებად ერთიან თეორიულ საფუძვლებზე.

თანამედროვე მონეტარიზმი გამოდის, როგორც კეინზელობის ოპოზიცია საკითხთა ფართო წრეში და რაც მთავარია, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევის წინააღმდეგია.

ნეოკლასიკური ორთოდოქსული თეორია უსუსური აღმოჩნდა აქხსნა 30-იანი წლების სოციალურ—ეკონომიკური რყევების გამომწვევი მიზეზები და დასაქმების დონეებზე ზემოქმედების ეფექტიანი ხერხები, რამაც კეინზელობა წარმოშვა. ამის მსგავსადვე კეინზელების უუნარობამ 70-იან წლების კრიზისული პროცესებისას, რომლებსაც ინფლაციის მაღალი ტემპები და სულ უფრო მზარდი უმუშევრობა ახასიათებდა, ეკონომისტებს მონეტარიზმისკენ მიბრუნება აიძულა.

მონეტარისტები ინფლაციას უყურებენ, როგორც წმინდა ფულად პროცესს. ისინი არ ითვალისწინებენ მრავალ კვლავწარმოებით ურთიერთობას, ინფლაციის კავშირს წარმოება—მოხმარების წონასწორობასთან და ა.შ.

პრაქტიკით დადასტურდა, რომ ინფლაციასთან ბრძოლა უმედეგო აღმოჩნდა, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველა ქვეყანამ და რეგიონმა.

60-იან წლების დასასრულს და 70-იან წლების დასაწყისში მონეტარიზმში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ინფლაციის თანდათანობით ყოვლისმომცველ პრობლემად გადაქცევამ მონეტარიზმის მრავალი დებულების ხელახალი გააზრება მოითხოვა. ასე ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება — “გლობალური მონეტარიზმი”, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ისაა, რომ ქვეყნის შიგნით ფულის მიმოქცევის მოთხოვნილებები სრულიად ვერ კმაყოფილდება ეროვნული ვალუტის მიწოდების ხარჯზე. აქ გარკვეულ როლს უცხოური ვალუტაც ასრულებს. ასეთ ვითარებაში სავალუტო ბაზრებზე მომხდარი ცვლილებები ზეგავლენას ახდენენ ცალკეული ქვეყნის შიგნით ფულის მიმოქცევის პროცესზე.

მონეტარიზმს თანამედროვე ეკონომიკაში წინა პლანზე წამოწეული აქვს ეკონომიკური სისტემის თვითმარეგულირებელი თვისებები და იმავდროულად, სახელმწიფოს მაკორექტირებელ პოლიტიკის აუცილებლობას უარყოფს.

თუმცა დღემდე, დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ, ნეოკლასიკური თეორია თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი მიმართულების სტა-

ტუსს ინარჩუნებს, ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან შეიმჩნეოდა კრიზისი, რომელიც გამწვავდა. თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, მრავალი განვითარებული ქვეყნისთვის, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ღრმად და დრამატულად ითვლება. რაც საბოლოოდ 2007-2008 წლების მსოფლიო გლობალურ ფინანსურ — ეკონომიკური კრიზისით დაგვირგვინდა. მრავალი მეცნიერ - ეკონომისტის აზრით, იგი ძირითადად ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მოდელის შედეგია.

კრიზისის ძირითადი გლობალური და ობიექტური მიზეზი განვითარებული მსოფლიო ეკონომიკის ციკლურობაა. თანამედროვე ფინანსური კრიზისი საბაზრო ეკონომიკის ტიპური კანონზომიერებაა და სავსებით პროგნოზირებადი მოვლენაა. კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა საკუთარი წესებით ვითარდება. ეკონომიკური მოდელი, ტექნოლოგიის განვითარების გიგანტური ბაზრის მიუხედავად, ციკლურობის პრინციპს ეფუძვნება. ბუნებრივია, რომ ზრდისა და ვარდნის ფაზები განსხვავდება სიღრმითა და ხანგრძლივობით, მაგრამ არსებითად მუდმივი პერიოდულობით ხასიათდება.

მსოფლიოს ეკონომიკის დამანგრეველი უკანასკნელი კრიზისის არსებით მიზეზად, ძირითადი ფულადი ერთეულის — აშშ დოლარის გაცილებით ზედმეტი რაოდენობით მიმოქცევა მიიჩნევა. იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დოლარის “ძალას” არასოდეს ჰქონდათ დოლარის მოცულობის ემისიის გაკონტროლების საშუალება. მას აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა (კერძო ორგანიზაცია) ახორციელებს, რომელიც ამერიკის 20 უმსხვილეს ბანკს ეკუთვნის.

ძირითადად, არსებული ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად მიიჩნევა აშშ-ს იპოთეკური კრიზისი, რამაც გამოიწვია საბანკო სექტორის პარალიზება. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს საბანკო სექტორში, (ეხება აშშ-ს, რომლის ეკონომიკის მოცულობა დაახლოებით მსოფლიო ეკონომიკის მეოთხედს შეადგენს), საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების ფაქტობრივი შერწყმაა, რამაც გააადვილა იპოთეკური კრედიტების გაცემა მყარი გარანტიების გარეშე. შედეგად, მკვეთრად გაიზარდა დავალიანება ბანკების მიმართ, რამაც გაკოტრების ზღვარზე მიიყვანა არამარტო ბანკების დიდი ნაწილი, არამედ სადაზღვევო სექტორის უმსხვილესი მოთამაშეებიც. არავის აღარ უნდოდა სესხის გაცემა. ამის საშუალება მოესპოთ თვით იმ ქვეყნებსაც კი, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობისათვის კომერციულ კრედიტებს თავისუფლად იღებდნენ. პროდუქციის ექსპორტს თუ იმპორტს, წარმოებას, ხელფასის გაცემას სერიოზული პრობლემები შეექმნა. ყველაფერი ერთდროულად ჩამოიშალა ეკონომიკის გლობალიზაციის გამო....

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, XX საუკუნის ბოლოს ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების პიკიდან, მრავალი ექსპერტის აზრით

ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების, უფრო ზუსტად რეცესიის ფაზაში გადავიდა. მეცნიერები თვლიან, რომ ნეოკლასიკოსების “მეორე მოსვლის” ხანა ამოიწურა და თანამედროვე ეკონომიკური თეორია ახალი სამეცნიერო რევოლუციის ზღვარზეა.

ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის დაახლოებით 40-წლიანი ციკლორობაა დამახასიათებელი XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე. აქედან გამომდინარე ინფორმაციული ეპოქის თანამედროვე ეტაპზე განვითარების ახალ ციკლურ ფაზაზე გადასვლის რეალობის წინაშე ვდგავართ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გრძელდება. მისი დაძლევის რეცეპტების უმეტესობა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ე.წ. „მკაცრი პოლიტიკის“ ფარგლებში თავსდება და იშვიათად ასახავს ამ ორ მიმართულებას შორის ბუნებრივად არსებულ წინააღმდეგობებს. შემოთავაზებული ზომები ხშირად ეფუძნება ვარაუდებს, რომლებიც ხელს უშლიან სათანადო შედეგის მიღებას. ეს ვარაუდები ნარსული გამოცდილების შეზღუდული (არასრული ან ნარმოსახვითი) გააზრებიდან, მასთან გადაჯაჭვული საბაზრო იდეოლოგიის თეორიებიდან და ნორმატიული პრინციპებიდან („რა უნდა იყოს“) აღმოცენდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2001.
2. მენაბდე-ჯობაძე ე., მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების თეორიული რაკურსი, “მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო” ჟ. “სოციალური ეკონომიკა” XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №1 2011 წ.
3. Папова В., О «Некροэкономическом постиндустриализме» на постсоветском пространстве., Общество и Экономика, №6, 2014.
4. www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00
5. www.or.ge/view.php?for_id=4095&cat=3
6. <http://www.bfm.ge/banks/2402-crisis.html>

ზურაბ ვაშაკიძე, სტუ-ს პროფესორი
მანუჩარ ჯაგოდნიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საფინანსო რესურსების მართვის საკითხები, ზოგადად მიმოხილულია ძირითადი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში და მათ შორის მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესს, ანგარიშგების ფორმებს.

გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში ფინანსების მართვის კუთხით დახვეწილი საკანონმდებლო ბაზაა, რომ ყველა პირობაა შექმნილი მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობისა და საკუთარი უფლებამოსილებების თავისუფლად განხორციელებისათვის.

აღინიშნება, რომ უმჯობესია ანგარიშგების კუთხით ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბუღალტრული ბალანსი თანდართული ფორმებით, რადგან ის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის წმინდა ღირებულებას.

Summary
Management of Financial Resources
in Municipalities

The article surveys issues about management of financial resources, its legal basis in Georgia and particularly, concerning to budgeting and accounting forms in municipalities.

The research approves, that all requirements for financial management are taken into account and reflected in Georgian legislation. Consequently, for municipalities, the independence and unimpeded execution of their authorities are guaranteed.

The article states, that it would be better practice, if along with annual report, submitted for approval to City Council (Sakrebulo), it would be submitted for approval The Statement of Financial Position (Balance Sheet) of Municipality, with all relevant annexes and accounting forms. It is important, considering that it is in Balance Sheet, where Net Value of Municipality is shown.

* * * * *

ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელო-

ვან ინსტიტუტს წარმოადგენს. თვითმმართველობის განვითარების დონე სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთ განმსაზღვრელ საზომდაც შეიძლება მოვიხაზოთ. საქართველოში 2014 წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტს — თვითმმართველ ქალაქსა თუ თვითმმართველ თემს ჰყავს ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი/მერი, რაც თვითმმართველობის განვითარების მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯია. ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პირობებში მუნიციპალური მმართველობა ბევრად ეფექტურად და ოპერატიულად უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია მუნიციპალური მენეჯმენტის საფინანსო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივი ფინანსების მართვის პროცესში.

საქართველოში მუნიციპალიტეტების საფინანსო დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საბიუჯეტო კოდექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან. გარდა ბიუჯეტისა, თვითმმართველი ერთეულის საფინანსო წყაროს წარმოადგენს არასაბიუჯეტო ფონდები და მუნიციპალური საწარმოები, რომელთა ქონება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას წარმოადგენს.

საქართველოში მუნიციპალური ფინანსების მართვა ძირითადად ხორციელდება შემდეგი კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე: საბიუჯეტო კოდექსი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 336 „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672 საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1321 “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ”

ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N364 ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე და სხვა.

მუნიციპალიტეტის ძირითად საფინანსო წყაროს მისი ბიუჯეტი წარმოადგენს. საქართველოში ყველა დონის საბიუჯეტო პროცესი საბიუჯეტო კოდექსით რეგულირდება. კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. კოდექსის შექმნის მიზანია საბიუჯეტო პროცესის გამარტივება, სრულყოფა და საბიუჯეტო დანახარჯების გამჭვირვალობის ზრდა, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება და ყველა დონის ბიუჯეტის ერთიან საბიუჯეტო პროცესში მოქცევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია სხვა დონის ბიუჯეტებისაგან. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების განევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადანუვტილებების მიღების უფლებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი) და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები. არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

ფინანსური რესურსების მართვის კუთხით მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672 საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული კლასიფიკაცია უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დეტალიზაციას, ბიუჯეტის გადასახდელების აღრიცხვის სრულყოფასა და გამჭვირვალობის ზრდას. საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს — შემოსავლების

კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას და პროგრამულ კლასიფიკაციას.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო პროგრამული კლასიფიკაცია არის პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა და განისაზღვრება ბიუჯეტით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ბიუჯეტის შემოსულობებია:

- შემოსავლები;
- არაფინანსური აქტივების კლება;
- ფინანსური აქტივების კლება;
- ვალდებულების ზრდა;

ბიუჯეტის გადასახდელებია:

- ხარჯები;
- არაფინანსური აქტივების ზრდა;
- ფინანსური აქტივების ზრდა;
- ვალდებულებების კლება;

საბიუჯეტო კლასიფიკაცია ადგენს ბიუჯეტის ბალანსის ფორმას, რომელიც ნათლად ასახავს ბიუჯეტის მდგომარეობას, კერძოდ მთლიანი სალდოს მოცულობას, რომელიც განსაზღვრავს ბიუჯეტის პროფიციტს ან დეფიციტს (დადებითი მთლიანი სალდო — პროფიციტი, უარყოფითი — დეფიციტი) და მისი დაბალანსებისათვის საჭირო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას.

ბიუჯეტის ბალანსის ფორმა

I. შემოსავლები	
II. ხარჯები	
III. საოპერაციო სალდო	III = I - II
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	
V. მთლიანი სალდო	V = III - IV
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	
VII. ვალდებულებების ცვლილება	
VIII. ბალანსი	VIII = V - VI + VII

ფინანსური აღრიცხვის კუთხით მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტებია - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 1321 “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე და ბრძანება N 364 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ”.

აღნიშნული ინსტრუქციების საშუალებით აღირ-

იცხება მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ყველა ეკონომიკური მოვლენა და ბიუჯეტიდან განეული დანახარჯები, ხდება ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურირებული ასახვა. ბუღალტრული ბალანსის ფორმები ასახავს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა ღირებულების მოცულობებს.

ბუღალტრული აღრიცხვა, ბალანსის ფორმები მუნიციპალიტეტის საქმიანობის შედეგების, მისი ფინანსური რესურსების განაწილების მართლზომიერებისა და მიზნობრიობის ანალიზის კუთხით მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენენ, თუმცა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მსგავსად არ ხდება მათი წარმომადგენლობით ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა. ბიუჯეტის შესრულება მხოლოდ გასული წლის ფინანსურ შედეგებს ასახავს, ხოლო ბუღალტრული ანგარიშგება ისტორიულ შედეგებს, ასევე ისეთ ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებიც საბიუჯეტო პროცესის მიღმა ვითარდება (მაგალითად ქონების გადაცემა, ჩამონერა, ცვეთა და ა.შ.), ამიტომ აუცილებელია ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) დასამტკიცებლად წარედგინოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბუღალტრული ბალანსი თანდართული ფორმებით საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N364 -ის („ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად, რათა ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თუ რა ქონებას ფლობს მუნიციპალიტეტი, რა არის მისი წმინდა ღირებულება.

ამდენად, საქართველოში ფინანსების მართვის კუთხით დახვეწილი საკანონმდებლო ბაზაა შექმნილი, რომელიც წლების განმავლობაში განიცდიდა ცვილებებს. ყველა პირობაა შექმნილი მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობისა და საკუთარი უფლებამოსილებების თავისუფლად განხორციელებისათვის. ამის გარანტია საბიუჯეტო კოდექსი, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების განევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადანეცილებების მიღების უფლებით. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი ბიუჯეტის პრიორიტეტებს, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, თუმცა საბიუჯეტო პროცესი, ხარჯების განევის წესი და ფინანსური ანგარიშგებების წარმოება ერთიანია ყველა დონის სახელმწიფო მმართველობის დონ-

ეზე, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი ფინანსური წესრიგი და დისციპლინა.

განხილული ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ფინანსების მართვის კუთხით კარგი საკანონმდებლო ბაზაა იმისათვის, რომ ყველა დონის ხელისუფლებამ თავისუფლად შეასრულოს თავისი უფლებამოსილებები, თუმცა ვფიქრობ, ანგარიშგების კუთხით ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბუღალტრული ბალანსი თანდართული ფორმებით.

*თამარ ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ირაკლი მესხი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

Summary

In tourism service international market in terms of fierce competition, implementing innovations is seen as a powerful factor of effective tourism development. Additionally, new alternative directions in tourism are less studied, which determines the ways of innovative decisions. However, analysis of economic processes shows that in contemporary globalization and growing competition only innovative approaches can ensure the effective development of tourism. It is preferable to invest in innovative directions of tourism business, because only innovation-based strategy will lead to success and thus tourism will still remain a sector for dynamic development of the economy, employment and wellbeing of population.

Keywords: investments, tourism, innovation

* * * * *

თანამედროვე პირობებში ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სფეროა, რომელიც მიმართულია ადამიანების დასვენებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ.

უკანასკნელი ოცნეულის განმავლობაში მსოფლიოში უცხოელი ტურისტების შემოსვლის ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 5,1 %-ს, (დაახლოებით 43 მლნ. შემოსვლა ყოველწლიურად). საკვალუტო შემოსულობები - 14 %-ია, დაახლოებით 75 ქვეყანამ გამოიმუშავა 1 მლრდ. დოლარზე მეტი ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით, ამასთან, თვით ტურიზმი გამოდის როგორც ადამიანის ფიზიკური და მორალური კვლავნარმოების პროცესის ბაზა, ტურიზმის, როგორც გლობალური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, ინტენსიური განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად.[4]

საყოველთაო გლობალიზაციის და რესურსების შეზღუდულობის თანამედროვე პირობებში აუცილებელია მოძიებული იქნას ახალი მიდგომები თანამედროვე ტურისტების მუდმივად ცვალებადი და მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათ შორის მნიშვნელოვან საშუალებად გვევლინება ტურიზმის განვითარების და ფუნქციონირების პროცესისადმი ინოვაციური მიდგომა, რომლის გამოყენებაც გულისხმობს ტურისტული სისტემის ყველა ელემენტში წარმოების ახალი ფაქტორების ჩართვას, რაც უზრუნველყოფს, მოცემულ დარგში კვლავნარმოებითი პროცესების უწყვეტობას.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება შეხედულება, რომ ტურისტული მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე მძლავრი

კონკურენციის პირობებში ტურიზმის ეფექტური განვითარების მძლავრ ფაქტორად გვევლინება სიახლეების დანერგვა. ეკონომისტთა ნაწილი განიხილავს მათ, როგორც განსაკუთრებით პროგრესული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, ამასთან, ნაკლებად არის შესწავლილი ტურიზმის განვითარების ახალი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავს ინოვაციურ გადაწყვეტილებათა გამოყენების ვექტორს. თანამედროვე პირობებში ტურიზმი ჩამოყალიბდა და მიიღო აღიარება, როგორც მსოფლიოში მომსახურების განვითარების თვალსაზრისით უმსხვილესმა სფერომ, საყოველთაო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დამახასიათებელ ტენდენციად გვევლინება ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია, ახალი ტურისტული მიმართულებების ძიება. ტრანსპორტირებისა და განთავსების ალტერნატიული საშუალებების არჩევა, ამიტომ აქტუალურია წარმოების ახალი ფაქტორების მოძიება და ჩართვა. ტურიზმის, როგორც ღია სისტემის განვითარების პროცესში თავს იჩენს აქამდე უცნობი თვისებები. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ტურიზმი, მისი ფუნქციონალური პარამეტრების მიხედვით გვევლინება ინოვაციურობა, რომელიც ჯერ ერთი, ასახავს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ინტენსიურ ზემოქმედებას ტურიზმის განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს ტურისტთა მომსახურების დონისა და ხარისხის ამაღლებას, მეორე მხრივ, ახალი ელემენტების ჩართვის ხარჯზე ტურიზმი გრძელვადიანი პერსპექტივით რჩება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად სფეროდ. ამრიგად, თანამედროვე ტურიზმის ღია სისტემის ფორმირების პროცესში აუცილებელი ელემენტია სიახლეების შემოტანა, რაც განაპირობებს ცვლილებათა კომპლექსს, რომელსაც ადგილი აქვს სისტემაში და მიმართულია ტურიზმის განვითარების ეფექტიანობის ამაღლებისკენ.

Sparkasse-ს ტურიზმის ბარომეტრის 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველი 10 გამოკითხულიდან 6 სრულიად დარწმუნებულია, რომ ინოვაცია არიას კონკურენციული უპირატესობის უმთავრესი ფაქტორი.[5]

ტურიზმში ინოვაციების ქვეშ იგულისხმება თვისებრივად ახალი პროდუქტი/მომსახურება, ან ინოვაციური საქმიანობის ნებისმიერი საბოლოო პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკმაყოფილოთ ტურისტების მზარდი და ცვალებადი მოთხოვნილებები მაქსიმალური ეფექტის მიღებით, როგორც ტურისტული ინდუსტრიის სანარმოსთვის,

რეგიონისთვის ან ქვეყნისთვის. სიახლეები, რომელიც გამოიყენება ტურიზმში, შეიძლება იყოს ძალიან მრავალგვარი. აღსანიშნავია ინოვაციების კლასიფიკაცია, რომელიც მიმართულია ტურიზმში კვლავწარმოებითი პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის, ეფექტური მეთოდების გამოვლენისკენ. აუცილებელია ავლენიონოთ, რომ სიახლეების გამოყენების ხასიათი დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომლებსაც ისახავენ კონკრეტული ტურისტული სანარმოები. აგრეთვე სასიცოცხლო ციკლის ცალკეული ეტაპების მიზნები, რომელზეც მდებარეობს მოცემულ მომენტში სანარმო. ტურიზმის მთელი სისტემის ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შედგება სხვადასხვა სანარმოთა სიმრავლიდან აუცილებელია განვიხილოთ ყველა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი და ჩაერთოთ იმ ელემენტში ინოვაციები, რომლებიც მოცემული მომენტისთვის ინვესტორს შეთავაზებული მომსახურების ხარისხის რისკს. რადგან ყველაფერმა ამან შეიძლება გამოიწვიოს ტურისტული მოთხოვნის შემცირება. ამასთან დანერგული ინოვაციები შეთანხმებული უნდა იყოს ტურიზმის გლობალურ მიზნებთან, რაც გულისხმობს ტურიზმის მყარი განვითარების უზრუნველყოფას, პირველ რიგში ხარისხიანი პროდუქტების ფორმირების ხარჯზე და მეორეს მხრივ ტურიზმის, როგორც დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ქვეყნის შიგნით და მსოფლიო დონეზე.

ტურიზმში ინოვაციების ეფექტურობის შეფასების არსებული მიდგომების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი სრულად ვერ ასახავენ ტურიზმში ინოვაციების დანერგვის შედეგიანობას, რამდენადაც ასახავენ მათი დამუშავებისა და გამოყენების შეფასების ცალკეულ მხარეებს. მისაღებად მიგვაჩნია ინოვაციების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემისა და ინდექსომეთოდის გამოყენებით, რომელიც დამყარებულია, განმაზოგადებელი მაჩვენებლების, წმინდა მოგების საერთო მასასა და გამოყენებული რესურსების უკუგების რენტაბელობაზე, სასიცოცხლო ციკლის ტურისტული საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებებს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საბოლოო შედეგებზე.

საქართველოში ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემო მნიშვნელოვან პერსპექტივებს ბადებს ინვესტიციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, იქმნება ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მისთვის საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

ტურიზმის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე უაღრესად ფართო მასშტაბიანი და მრავალმხრივია. ეს გამოიხატება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. პირდაპირი ზემოქმედება გულისხმობს სახელმწიფო და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება ტურიზმის განვითარების საფუძველზე ეკონომიკის სხვა დარგების სტიმულირებაში.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორების ეფექტიანად გამოყენ-

ების დიდი გამოცდილება არსებობს, ასეთ გამოცდილებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს, მითუმეტეს, რომ დავას არ ინვესტის მისი დიდი პოტენციალი და ქვეყნის სამომავლო შესაძლებლობები ამ დარგის ინოვაციურ განვითარებაში: 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა დღე-ღამური დებეტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კარსტული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტერიტორიული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, არაორდინარული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი.[3]

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და ლიბერალური საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის მაინც ნაკლებ მიმზიდველი რჩება. არადა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ჩგლობალიზაციის პირობებში ინვესტიციები უფრო და უფრო მზარდი მასშტაბებით მოძრაობს ქვეყნებს შორის, რათა მისმა მფლობელმა მიღოს უფრო მეტი მოგება.

სასურველია ინვესტიციები განხორციელდეს ტურისტული ბიზნესის ინოვაციური მიმართულებით განვითარებისათვის, რადგან მხოლოდ სიახლეებზე დამყარებული სტრატეგია იქნება წარმატების მომტანი და ტურიზმი კვლავ დარჩება ეკონომიკის დინამიური განვითარების, დასაქმებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების სფეროდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე, მაგრაქველიძე დ. „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. 2009
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „2013 წლის ანგარიში, 2014 წლის ძირითადი მიმართულებები“.
3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია „საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა“ თბილისი, 2012 წ.
4. Крыга А.В. „Повышение эффективности развития туризма в регионе на основе инновационного подхода“ СактПетербург, 2009
5. www.tourismusbarometer.de